



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2015

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology**

**ISSN 1512-3154**

# **Studies in Modern and Contemporary History**

## **2(17)**



**Publishing House „UNIVERSAL“**

**Tbilisi 2015**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

# ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

## 2(17)



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2015

უაკ (UDC) 94(100) „15/18“ + 94(100) „1918/...“  
ა-984

**სარედაქციო კოლეგია:**

**ირაკლი გაბისონია**  
**ზურაბ გამეზარდაშვილი**  
**გია გელაშვილი**  
**ოთარ გოგოლიშვილი**  
**ჰაჯი-მურად დონოგო**  
(მაჰაჩყალის უნივერსიტეტი)  
**შოთა ვადაჭკორია**  
**ნუგზარ ზოსიძე**  
**ვასილ კაჭარავა**  
**იგორ კვესელავა**  
**ვაჟა კიკნაძე**  
**სულხან კუპრაშვილი**  
**ალექსანდრე მოსიაშვილი**  
**ურჩა ოქროპირიძე**  
**რიმვიდას პეტრაუსკასი**  
(ვილნიუსის უნივერსიტეტი)  
**ანჟეი პუქშტო**  
(ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტი)  
**გელა საითიძე**  
(რედაქტორის მოადგილე)  
**ლელა სარალიძე**  
**ავთანდილ სონლულაშვილი**  
(რედაქტორი)  
**ხათუნა ქოქრაშვილი**  
(პასუხისმგებელი მდივანი)  
**აინარს ლერჰისი**  
(ლატვიის ისტორიის ინსტიტუტი)  
**დოდო ჭუმბურიძე**  
(რედაქტორის მოადგილე)  
**ნიკო ჯავახიშვილი**  
(რედაქტორის მოადგილე)

**EDITORIAL BOARD:**

**Irakli Gabisonia**  
**Zurab Gamezardashvili**  
**Gia Gelashvili**  
**Otar Gogolishvili**  
**Hadji-Murad Donogo**  
(University of Makhachkala)  
**Shota Vadachkoria**  
**Nugzar Zosidze**  
**Vasil Kacharava**  
**Igor Kveselava**  
**Vazha Kiknadze**  
**Sulkhan Kuprashvili**  
**Aleksandre Moshishvili**  
**Ucha Okropiridze**  
**Rimvydas Petrauskas**  
(Vilnius University)  
**Andžej Pukšto**  
(Vytautas Magnus University)  
**Gela Saitidze**  
(Deputy editor)  
**Lela Saralidze**  
**Avtandil Songulashvili**  
(Editor)  
**Khatuna Kokrashvili**  
(Executive secretary)  
**Ainars Lerhis**  
(Institut of History of Latvia)  
**Dodo Chumburidze**  
(Deputy editor)  
**Niko Javakhishvili**  
(Deputy editor)

**საგამომცემლო საბჭო:**

**ირინა არაბიძე, ლელა მიქიაშვილი, შორენა მურუსიძე, მზია ტყავაშვილი.**

**PUBLISHING COUNCIL:**

**Irina Arabidze, Lela Mikiashvili, Shorena Murusidze, Mzia Tkavashvili.**

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2015

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზა. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი

Contents

ს ა ქ ა ზ თ ე ე ლ ო ს ი ს ტ ო ნ ი ა

The History of the Georgia

გელა საითიძე.....11

უსინხარულოდ განვლილი ცხოვრების გზა

/ირაკლი ალექსანდრე ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი/

**Gela Saitidze**

*The Way of Life, Gone Without Joy In It (Irakli Bagration-Gruzinski, the Son of Alexandre Bagration-Gruzinski)*

Давид Джавахишвили .....34

ГРУЗИНСКИЙ ЦАРСКИЙ ПИР В КОНЦЕ XVIII ВЕКА

**David Javakhishvili**

*Georgian Royal Fast in the Late 18<sup>th</sup> Century*

დოდო ჭუმბურიძე.....38

რუსი იმპერატორები საქართველოში

**Dodo Chumburidze**

*Russian Emperors Visits to Georgia*

მაია ფართლაძე .....72

საზოგადოებრივი აზრი საქართველოში დემოკრატიული

რესპუბლიკის განათლების რეფორმის შესახებ

1918-1920 წლების პრესაში

**Maia Phartladze**

*Public Opinion about Education Reform in the Democratic Republic of Georgia (1918-1921 years)*

ავთანდილ სონღულაშვილი.....87

ეროვნულ უმცირესობათა განსახლების რაიონები

საქართველოში XX ს-ის 20-30-იანი წლები

**Avtandil Songulashvili**

*Accommodation Areas of Ethnic Minorities in Georgia In the 20s and 30s of the XX century*

**შოთა ვადაჭკორია**.....101  
პოლიტიკურ ქალთა გაერთიანების საკითხი და ქართული  
პოლიტიკური აზრი (1921 წლის აპრილი-1922 წლის მარტი)

**Shota Vadachkoria**

*Issue of Uniting Political Forces and the Georgian Political Thinking  
(April, 1921 – March, 1922)*

**ნატო სონღულაშვილი** .....150  
ქართული ეროვნული იდეის აღქმა (XX ს-ის 20-იან წლებში)

**Nata Songhulashvili**

*Perception of the Georgian National Idea (The 20s of the XX Century)*

**ლელა სარალიძე**.....165  
საქართველოს ემიგრაციული მთავრობის საგარეო  
პოლიტიკის ისტორიიდან (1921-1924)

**Lela Saralidze**

*From the History of Foreign Policy of the Government in Exile (1921-1924)*

**ოთარ გოგოლიშვილი** .....198  
ბრძოლა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის  
ბათუმში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის I ნახევარში

**Otar Gogolishvili**

*Fighting for Forming National Consciousness in Batumi at the End of XIX  
Century and in First Part of XX Century*

**ალექსანდრე მოსიაშვილი**.....205  
1989 წელს საქართველოში განვითარებული მოვლენების  
კვალდაკვალ

**Aleksander Mosiashvili**

*About the Event Happened in Georgia in 1989*

**ს ა ქ ა წ თ ე ე ლ თ დ ა ქ ს თ ფ ლ ი თ**  
**Georgia and the World**

**ნიკო ჯავახიშვილი** .....210  
იაპონიის ასახვა ქართულ საზოგადოების აზროვნებაში  
(XVIII საუკუნის დასაწყისიდან – XX საუკუნის პირველი  
მესამედის ჩათვლით)

**Niko Javakhishvili**

*The Reflection of Japan in Georgian Public Thinking  
(from the beginning of XVIII century till the first third of the XX century)*

**ლელა მიქიაშვილი** .....224  
ალექსანდრე ბატონიშვილის ოჯახის პეტირბურგში  
ბასახლება და რუსეთის ხელისუფლების „ოფიციალური  
პერსონები“

**Lela Mikiashvili**

*Deportation of the Family of Prince Alekhandre of Georgia to St. Petersburg and  
„Official Versions“ of the Russian Authorities*

**ქ ს ო ფ ლ ი თ ი ს ტ ო რ ი ა**

**The History of the World**

**არჩილ ჩაჩხიანი**.....237  
მესამე რომის იდეოლოგია

**Archil Chachkhiani**

*“The Third Rome“ Ideologeme*

**არჩილ ჩაჩხიანი**.....250  
მესამე რომი და რუსული მესიანიზმის იდეოლოგია

**Archil Chachkhiani**

*The „Third Rome“ and the Ideology of the Russian „Revolutionary Messianism“*

**დ ი ბ ლ თ ქ ა ტ ი ი ს ი ს ტ ო რ ი ა**

**From the History of Diplomacy**

**მარიამ გაბუნია** .....267  
ნიკიფორე ირბახის ვიზიტი რომის პაპ ურბან VIII-თან და  
ვატიკანის ინტერესები საქართველოში

**Mariam Gabunia**

*Nikiphor Irbakh's Embassy in Rome*

**ბ თ ლ ი ტ ი კ ა**

**The Policy**

**არჩილ ჩაჩხიანი**.....284  
ცივი ომის სტრატეგია – რუსული ექსპანსიონისტური  
პოლიტიკის ქვაკუთხედი

**Archil Chachkhiani**

*Strategy of the „Cold War“ – a Capstone of the Russian Expansionistic Politics*

მაია ამირგულაშვილი.....298  
ოჯახი, როგორც სოციალიზაციის საკითხი

**Maia Amirgulashvili**

*The Family, as a Socialization from*

რელიგია. ეკლესიის ისტორია

**Religion. History of the Church**

ხათუნა ქოქრაშვილი.....304  
ქურნალი „სვეტიცხოველი“ საქართველოს ეკლესიის  
ეროვნული მისიის შესახებ

**Khatuna Kokrashvili**

*Journal “Svetitskhoveli” about the National Mission of the Church of Georgia*

წყაროთქმულ ნაშრომები

**Source Study**

ნინო ღამბაშიძე.....312  
ქართლის ცხოვრების ერთი ადგილის გაგებისათვის

**Nino Ghambashidze**

*For the Understanding of the Passage of „Kartlis Tskhovreba”(The Life of Kartli)*

დავით მერკვილაძე.....318  
ბაგრატონთა სამეფო ოჯახის წევრთა წერილები  
პოლკოვნიკ სტიფანე ბურნაშვილისადმი

**David Merkviladze**

*The Letters of Bagration Royal Family Members to Stefan Burnashev*

ჯიჯიშვილი ნინო .....329  
რუსი მოხელე – კორნელი ბოროზდინი იმერეთის  
სამეფოს შესახებ

**Nino Jijishvili**

*Russian Official – Cornell Borozdini about Imereti Kingdom*



გია გელაშვილი.....337  
ინგლისელი კაპიტანი ტელფერი თბილისის შესახებ  
(XIX ს-ის 70-იან წლებში)

**Gia Gelashvili**

*English Captain Telfer about Tbilisi (70-th of XIX century).*

კ რ ი ტ ი კ ა   დ ა   ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა  
**C r i t i c i s m   a n d   B i b l i o g r a p h y**

ნესტან სულავა, მურად მთვარელიძე .....364  
უმნიშვნელოვანესი ნაშრომი იერუსალიმის წმინდა  
ჯვარის მონასტრის შესახებ

**Nestan Sulava, Murad Mtvarelidze**

*The Most Important Work About the Holy Cross Monastery in Jerusalem*

ზურაბ კვეტენაძე.....374  
მნიშვნელოვანი გამოკვლევები ხონი-სამტრედიის  
ეპარქიის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრების  
შესახებ

**Zurab Kvetenadze**

*Research Khoni-Samtredia Eparchy of Located Territory Churches and Monasteries*

## კრებული გამოდის წელიწადში ორჯერ

კრებულის სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე და შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

### რედაქციის მისამართი:

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება

თბილისი, პეტრე მელიქიშვილის ქ. № 10, III სართული  
ტელეფონი: 2 93 41 37

# ს ა ქ ა რ თ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა

## გელა საითიძე

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი*

## უსიხარულოდ განვლილი ცხოვრების გზა (ირაკლი ალექსანდრე ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი)

2015 წლის 15 იანვარს, მცხეთაში, მე და ჩემმა ვაჟმა, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი მოვინახულეთ. მზიანი ამინდი იდგა. შუადღე ჯერ კიდევ არ დამდგარიყო. ხალხმრავლობა არ შეინიშნებოდა. გალავნის მთავარი შესასვლელის მარჯვნივ, სახელიმილიანი კაცი იჯდა და ფანდურს აჩხაკუნებდა. სანთლები ავიღეთ და ტაძარში შევედით. პირვეარი გადავიწერეთ და არაერთი სახელოვანი წინაპრის საფლავთან მოწინებით თავი დავხარეთ. აღსავლის კარების წინ, სადაც ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის განსასვენებლებია, უფრო მეტ ხანს შევყოვნდით. გონების თვალი გადავაველე ამ გამოჩინებული ხუროთმოძღვრული ძეგლის წარსულს და თვალწინ არაერთი ისტორიული ფაქტი წარმომიდგა, რომლებიც ჩვენი საერო თუ სასულიერო მოღვაწეების სახელებთან არის დაკავშირებული. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დღესაც ვცოცხლობთ და ისევ იმედის თვალთ გააცქერით მომავალს და ამაყად შეგვიძლია პოეტის სიტყვები გავიმეოროთ: „ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში, საქართველოს ცხელი გული ასვენია!“. ამ დროს ჩემი ყურადღება ტაძრის სამხრეთის კედელთან დადებული მარმარილოს ქვამ მიიპყრო. ნაბიჯი უნებურად იქით გადავდგი. ვინ იცის, რამდენჯერ ვარ ნამყოფი ამ ტაძარში და თითქოს პირველად დავინახე ეს საფლავის ქვა, რომელზეც ქართულ და რუსულ ენებზე გაკეთებული წარწერა გვამცნობს:

„აქ განისვენებს ერეკლე II შვილიშვილი ერეკლე ალექსანდრე ძე“. „Здесь покоится Внук Царя Ираклия II Ираклий Александрович“.

ესაა და ეს!..

დაბადების და გარდაცვალების თარიღებიც კი არ არის აღნიშნული. იქვე ორი პატარა საფლავის ქვა გვაუწყებს, რომ მათ ქვეშ განისვენებენ – მარიამ ბატონიშვილის ირაკლის ასული (დაბად. ნოემბრის 20-ს წელსა 1873, გარდაცვ. ივნისის 20-ს წელსა 1874-ს); ალექსანდრე ბატონიშვილის ირაკლის ძე (დაბ. თებერვლის 14-ს, 1878, გარდაცვ. მაისის 11-ს, 1879). მცხეთიდან წამოსულმა, გზაშივე გადავწყვიტე, რომ ზოგი რამ მომეთხრო დღევანდელი ქართველი საზოგადოებისათვის და გამეხსენებინა თითქმის დავიწყების ფერფლნაყრილი მათი სახელები. ასეთი სურვილი, განსაკუთრებით, ერეკლე ალექსანდრე ბატონიშვილის ძის მიმართ გამიჩნდა. ერეკლე მეფის ძის – ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი და საქმენი, კი ჩვენს ისტორიაში რამდენადმე ცნობილია, როგორც რუსეთის მიერ საქართველოსა და მისი სამეფო სახლის დამპყრობლისადმი შეურიგებელი მებრძოლისა, ხოლო მისი შვილის შესახებ ძალზე ცოტა რამ მოეხსენება ჩვენი ქვეყნის არა მხოლოდ მოსახლეობის ფართო წრეს, არამედ სწავლულთა დიდ ნაწილსაც კი. არავის აქვს დაფიქსირებული ის სამწუხარო ფაქტი, რომ სვეტიცხოვლის ტაძარში, დიდი პაპის – ერეკლე მეფის საფლავის ახლოს, მამის საფლავის გვერდით, დასაფლავებულნი არიან ექვსი თვის მარიამი და წლისა და ორი თვის ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკები.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით, ზოგიერთი ცნობილი ფაქტისა თუ ახლად გამოვლენილი დოკუმენტური მასალის გამოყენებით, მოკლედ გავიხსენოთ ალექსანდრე ბატონიშვილის (1770-1844 წწ.) და უიმისოდ დარჩენილი მისი უსაყვარლესი ცოლ-შვილის, უსიხარულოდ განვლილი ცხოვრების გზა.

აღ. ბატონიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ; ვიტყვით მხოლოდ, რომ მისი სახელის დადებით კონტექსტში მოხსენიებაც კი, როგორც რუსეთის ცარისტული, ისე საბჭოთა რეჟიმის წლებშიც, უსაფრთხო როდი იყო ქვეშაირების მაძიებელი მკვლევრებისათვის. არადა ის დოკუმენტური მასალები, სადაც მის შესახებაა საუბარი და, რომლებიც უზარმაზარი კრებულების სახით დაიბეჭდა საერთო სათაურით: „Акты собранные Кавказской археографической комиссией“, под. ред. Ад. Берже, т. I-XII, ფართო შესაძლებლობას იძლეოდა აღ. ბატონიშვილის პოლიტიკური პორტრეტის დასახატავად. მისი სახელი ზოგჯერ იმდროინდელი მცირერიცხოვანი პერიოდული გამოცემების ფურცლებზეც ირეკლება. ქართველ ავტორთაგან აღ. ბატონიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას სხვადასხვა ასპექტში წარმოაჩენენ: პლ. იოსელიანი –

„ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება“. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფილისი, 1895; თამარ პაპავა – „ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახი“, პარიზი, 1990; ეთერ ორჯონიკიძე – „ალ. ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ“, თბილისი, 1999; ა. ცამციშვილი-ფიცხელაური – „დავიბრუნოთ საქართველოს უგვირგვინო მეფე ალ. ბატონიშვილი“, თბილისი, 2000; ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი, 2002; ვახტ. სუხიტაშვილი – „ალ. ბატონიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობა“ თბილისი, 2006; როსტომ ჩხეიძე – „მზის რაინდი“ (ბიოგრაფიული რომანი), თბილისი, 2011; აგრეთვე სტატიები, რომლებიც სხვადასხვა კრებულებშია დასტამბული. მათ შორისაა შოთა ხანთაძის – „მასალები ალ. ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის“ (ჯანაშიას მუზეუმის „მოამბე“, ტ. XXII, თბილისი, 1961); ალ. ბატონიშვილის წერილები“ (წიგნში – „ქართული ფენომენი“, რედ. ზაზა აბზიანიძე), თბილისი, 2013; ნ. მოლაშვილის – „სადაც ქართველი კაცი მარხია“, ჟ. „ჩვენი მწერლობა“, №38, 2002 და სხვ.

\*\*\*

1820 წლის მაისში, ალექსანდრე ბატონიშვილი დაქორწინდა ერევნის მელიქის, სააკ (ისაკ) ალამალიანის 14 წლის ასულ მარიამზე. ჯვრისწერა ეჩმიადინის ტაძარში მოხდა, რომელსაც არაერთი წარჩინებული პირი ესწრებოდა. ქორწილთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ირანის შაჰის ძემ, აზერბაიჯანის სახანოს მმართველმა, აბას მირზამ გადაიხადა. სხვა წყაროში ისიც აღნიშნულია, რომ „ფეთ-ალი შაჰის ბრძანებით, აბას მირზამ, შაჰის მემკვიდრემ (ნაობელ სულთანმა) და ადერბაიჯანის ჯანიშინმა (ნამესტნიკმა) ბატონიშვილს ალექსანდრეს უწყალობა რამდენიმე სოფელი მშვენიერს მაზრაში, სალმატში, საცხოვრებლად და სარჩენად. ამ სოფელში ბატონიშვილმა ბინად ამოირჩია სოფელი ხოსროვი, რომელშიც ცხოვრობენ სომხები და აისორები და, რომელსაც თავის ბალებით და ტყეებით, წმინდა წყლით და მშვენიერის ჰაერით, შეეძლოთ დროებით შევება მიეცათ მისთვის მამულის დაშორების ნაღვლიანობაში“ (იხ. სახსოვარი ბატონიშვილის ალექსანდრეს ძის ირაკლის გარდაცვალებაზედ შეკრებილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისგან, თბილისი, 1882, გვ. 38). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ჯვრისწერის შესახებ წინასწარ ინფორმირებული იყო კავკასიის მთავარმართველი, რომლის თანაშემწის ველიამინოვის სახელზე გაგზავნილ წერილში, გენერალი სავარსამიძე იტყობინებოდა; „ბატონიშვილი ალექსანდრე

დარღვაგოზშია და ამ დღეებში ეჩმიაძინში მოელოდებიან, სადაც ის ჯვარს დაინერს მელიქ სააკის ასულზე“-ო [2, 312].

გაზეთ „Кавказ“-ში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ მასალაში ალ. ბატონიშვილის სიმამრის შესახებ ნათქვამია, რომ „მან, ერევნის ცნობილმა სომეხმა მელიქმა, ძალზე მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია რუსეთს ოციან და ოცდაათიან წლებში, როცა იგი ჯერ კიდევ სპარსელების მფლობელობაში იმყოფებოდა. სწორედ იმ ხანებში, სპარსეთში გაქცეული ბატონიშვილი ალექსანდრე, საქართველოს მეფის ერეკლე მეორის ღვიძლი შვილი, დაუახლოვდა აღამალიანების ოჯახს“-ო [30].

მაგრამ ეს ოჯახური ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. „Вынужденный обстоятельством вести жизни полную тревоге и опасностей, при постоянных своих разъездах, Царевич Александр, тем не менее в первая пять-шесть лет не разставался с супругою: она сопровождала его всюду...“ [2, 219].

თამარ ჰაპავას თქმით: სპარსეთში, აბას-მირზა ხანის ნაჩუქარ სამფლობელოში, ბატონიშვილის მეუღლე მარიამი „ენერგიულად ჩაება საქმეში და სპარსეთის წარჩინებულ წრეებში საქართველოს განთავისუფლების იდეის სამსახურს შეუდგა. ამ გავლენით ფრიად სარგებლობდნენ ქართველი ლტოლვილები, ალექსანდრესთან რომ მოეყარათ თავი. ამავ დროს ეს ქალი სომხურ კათალიკოსთა მიერ სომეხ-ქართველთა ჩატეხილ ხიდს ამრთელებდა სპარსელი სომეხების მოწინავე წრის ალექსანდრე ბატონიშვილთან შემომტკიცებით...“ [4, 219].

საბედისწერო აღმოჩნდა ალ. ბატონიშვილისათვის 1826-1828 წლების რუსეთ-ირანის ომში რუსების გამარჯვება, რომელიც 1826 წლის შემოდგომაზე განჯასთან და თავრიზთან აბას-მირზას ჯარების დამარცხებით დაიწყო, ხოლო 1827 წლის 1 ოქტომბერს გენ. პასკევიჩის მიერ ერევნის აღებით დამთავრდა. ალექსანდრემ მეუღლესთან და ახლადშობილ ვაჟთან – პაპის მოსახელე ერეკლესთან ერთად, უსაფრთხოების მიზნით, ჯერ თურქეთის ტერიტორიას შეაფარა თავი, ბოლოს კი იძულებული გახდა ერევანში, სიმამრის ოჯახში ცოლ-შვილის გაგზავნას შეგუებოდა. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ჯარების ამ გამარჯვებებში, ათეულობით ქართველი ოფიცერი და გენერალი მონაწილეობდა... ერთ-ერთმა მათგანმა, გენერალმა ერისთავმა – „მოულოდნელი და თავგანწირული დარტყმით თავრიზი აიღო“ და ცოტაც დააკლდა თვით ალექსანდრე ბატონიშვილიც კინალამ დაატყვევა... თავის გამოჩენის სურვილით შეპყრო-

ბილმა ერისთავმა, პასკევიჩთან შეუთანხმებლად განახორციელა თავრიზის აღების ოპერაცია... ამ შეუთანხმებლობის გამო ჯილდოს მაგივრად მთავარსარდლის რისხვა დაიმსახურა. სამაგიეროდ, ჩინმედლები არ დაკლებიათ, ერევნის აღებაში მონაწილე ქართველ ოფიცრობას (ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს და სხვ.), რომლებმაც ერევანთან ახლოს დიდი ლხინი გადაიხადეს და მნიშვნელოვანი სადღეგრძელოები წარმოთქვეს, რამაც თავისი ასახვა ჰპოვეს გრ. ორბელიანის პოემაში – „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერევნის სიახლოვეს“, რომელშიც ახალგაზრდა პოეტი უქვეშევრდომილესი ერთგულებით ადღეგრძელებს საქართველოს მხსნელად და მფარველად მოვლენილ რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ პირველს, ვისაც „თამარის დღენი, დიდების დღენი“ მოუვლენია ივერიისათვის... „ხელმწიფევე ჩვენო, ძლიერო ბრძენო,

ნიკოლოზ დიდო სულგრძელობითა!

მხედარნი შენნი, ერთგულნი მხნენი,

ვსვამთ შენს სადღეგრძელოს მონიწებითა!“ [12, 25] და აშ.

ამ საყოველთაო ზეიმის დროს, პოეტის სისხლით ნათესავი ალ. ბატონიშვილის ცოლ-შვილი, მართალია, საფრთხეს გაცილებულნი არიან, მაგრამ რუსთა „მფარველობის“ ქვეშ იყვნენ მოქცეულნი. მათ რამდენიმე წელი დაჰყვეს ერევანში... რუსები და მათი ერთგული სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები იმთავითვე ცდილობდნენ ამ ძვირფასი სატყუარათი ხელში ჩაეგდოთ განდგომილი ბატონიშვილი, რომელიც ფიზიკურად ვეღარ ახერხებდა მშვენიერ მეუღლესთან და პატარა შვილთან შეხვედრებს, მაგრამ წერილებით და შიკრიკების მეშვეობით ჯერ კიდევ აგრძელებდა მათთან ურთიერთობას... 1828 წლის თებერვალში რუსეთსა და სპარსეთს შორის დადებულიმა თურქმენ ჩაის ზავმა, ხოლო 1829 წლის სექტემბერში გაფორმებულმა ხელშეკრულებამ, ალ. ბატონიშვილს დაანახა, რომ რუსეთის დარჩენა აქ დიდხანს გაგრძელდებოდა... 1832 წლის შეთქმულების გამოააშკარავებამ, რომლის გამარჯვების შემთხვევაში ნავარაუდევია იყო ალ. ბატონიშვილის ქართლ-კახეთის მეფედ კურთხევა, პერსპექტივა სამშობლოში დაბრუნებისა თითქმის უიმედო გახადა, ანუ „დაილუპა საქართველოს შეთქმულებაც და ბაგრატიონთა მზე ეხლა უკვე სამუდამოდ ჩაესვენა“ [4, 224].

რუსული ადმინისტრაცია, პირველ რიგში კი კავკასიის მთავარმართებელი, ბარონი როზენი, იმთავითვე შეეცადა ალექსანდრე ბატონიშვილის „შემორიგებას“ მისი მეუღლის გამოყენებით.

ამ მიზნით „ბატონის რძალი“ მამის სახლში, არაერთგზის მოი-

ნახულა ერევნის ოლქის ახალმა მმართველმა, გენერალმა ბებუთოვ-მა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მეუღლის ერთგული და მოყვარული მარიამი მტკიცე უარზე იდგა... თუ რა დონის ძალისხმევას მიმართავდნენ რუსული ხელისუფლების წარმომადგენლები მისი სიმტკიცის გასატყუებლად ამაზე პასუხები დაფიქსირებულია იმდროინდელ ოფიციალურ პირთა მიმონერებში. მათში ნათლად იკითხება განდგომილი ბატონიშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენი, რომლის აღსრულების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მისი ცოლ-შვილის ბედით თამაშს. სამაგალითოდ, აქ რამდენიმე ფაქტს მოვიხსენიებთ:

1833 წლის 10 მარტს, ბარონი როზენი, გენერალ ბებუთოვს, წერდა: „გავალებთ, რომ მონარქის სურვილის თანახმად ბატონიშვილ ირაკლის დედა და ბაბუა, მელიქი ისააკ აღამალოვი, ყველაფრით მოამარაგეთ და გამომგზავროთ ტფილისში კეთილსაიმედო მოხელის თანხლებით. ამასთან ერთად, ბატონიშვილ ალექსანდრეს მეუღლეს აუწყეთ, რომ მას თავისი შვილი შეუძლია გააცილოს არა მხოლოდ ტფილისში, არამედ ს.-პეტერბურგშიც-კი, რისთვისაც ყველა ხარჯს სახელმწიფო ხაზინა დაფარავს. ეს შეთავაზება მისდამი, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე უნდა იქნას გაცხადებული და რაც უფრო მალე დათანხმდება მას, იმისდამიხედვით ყოველმხრივ საკმარისი თანხით მოამარაგეთ მისი გამცილებელი მოხელე, რათა გზაში ყველაფერი საკმარისი ჰქონდეთ“ [3, 216].

ამ წერილის პასუხად, გენ. ბებუთოვი 1833 წლის 31 მარტს, ბარონ როზენს მოახსენებდა: მცირეწლოვან ბატონიშვილ ირაკლის ს.-პეტერბურგში გაგზავნასთან დაკავშირებით პირადად განუცხადე ირაკლის დედას და ბაბუას, მელიქ სააკ აღამალოვს და ისიც, ვაუწყე, რომ ხელმწიფის ნება დაუყოვნებლივ უნდა იქნას აღსრულებული – თქო. ბატონიშვილ ალექსანდრეს მეუღლემ შეუძლებლად მიიჩნია ასე გრძელ გზაზე მცირეწლოვანი შვილის გამგზავრება, რადგან მას უიმისოდ არსებობა არ შეუძლია... და ამის შესახებ წერილობით გაცნობებთო – მითხრა“ [3, 216].

ბარონი როზენის 12 აპრილის წერილში, გენ. ბებუთოვისადმი, ნათქვამია: ბატონიშვილ ალექსანდრეს მეუღლის უარმა ირაკლის პეტერბურგში გაგზავნის თაობაზე, ძალზე გამაოცა: მონარქის უმაღლესი ნებით, პეტერბურგში გაგზავნილი იქნება მისი წარმომავლობის შესაფერისი ცოდნის მისაღებად და არა სხვა რაიმესათვის... მეგონა, რომ ყველა დედისათვის მთავრობის ასეთი სიკეთე გასახარელი იქნებოდა... რომ შვილთან რამდენიმე წლით დაშორების



(თუ მას არ ენდომება შვილთან ერთად პეტერბურგში წასვლა) საზღაური დიდი განათლება იქნებოდა. თქვენო აღმატებულებავ, ყოველივე ეს ერთხელ კიდევ აუხსენით ბატონიშვილის მეუღლეს და არ გადადოთ მისი შვილის ტფილისში გამომგზავრება. ამასთან მკაცრად ადევნეთ თვალყური, რომ დედა არსად გაიქცეს, ანდა ირაკლი არსად გააპაროს... მამამისის, მელიქ სააკ ალამალოვის რჩევის გარეშე იგი ასეთი უარის თქმას ვერ გაბედავდა... ამიტომ კიდევ ერთხელ გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ხელისუფლების ამ მოთხოვნას უარი არ ეგების“ [3, 217].

თუ რა შედეგი მოჰყვა ამ მოთხოვნას, კარგად ჩანს გენ. ბებუთოვის საპასუხო წერილიდან (22 აპრილი, 1833 წ.): როცა ბატონიშვილის მეუღლეს განმეორებით ავუხსენი, შვილის აუცილებლად გამგზავრების თაობაზე, მან с изступлением განმიცხადა – რომ ხანჯლით თავად მოკლავს საკუთარ შვილს, თუ მას ძალით წაიყვანთო. მან ასევე მკაცრად გააფრთხილა თავისი მამა, მელიქ სააკი, თუ ის მთავრობის მოთხოვნის მიზეზით, მოისურვებს მისი შვილის გაგზავნას... ჩემმა ახსნა-განმარტებმა, რომ ყველაფერი ეს მისი შვილის, მისი ოჯახის, ქმრისა და ნათესავებისთვის კეთდებოდა, ვერ შეასუსტა მისი გაჯიუტება და წარმატების გარეშე დამთავრდა... იგი თავისი შვილის ნებაყოფლობით გამგზავრებას არ დათანხმდა, ამიტომ თქვენი მითითებების აღსასრულებლად ძალასაც გამოვიყენებ, ამასთან სიფრთხილის ყველა ზომას მივიღებ უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად და ისე გამოვამგზავრებო“, – პირობას დებდა გენერალი ბებუთოვი [3, 218].

ბატონიშვილის მეუღლეს ბარონ როზენისათვის მიუმართავს, მაგრამ უშედეგოდ. ეს ნათლად ჩანს მარიამისადმი 1833 წლის 1 ივლისის გაგზავნილი საპასუხო წერილიდან: 8 ივნისს მივიღეთ თქვენი წერილი და ვჩქარობთ შეგატყობინოთ პეტერბურგში თქვენი შვილის გაგზავნა მონარქის ნებაა და მისი გადადება არაფრით არ შეიძლება, ამიტომ ჩემს თხოვნას გაითვალისწინებთ და ტფილისში მის დროულად ჩამოყვანას დააჩქარებთ. ამასთან უარს არ იტყვით ჩემთან პირისპირ შეხვედრაზეც, რათა კიდევ ერთხელ აგისხნათ, რომ ყველაფერი ეს თქვენი შვილის კეთილდღეობისათვის კეთდება... ამიტომ საჭიროდ არ ვთვლით ერევნიდან თქვენი გამომგზავრების გადადებას. ტფილისში, თქვენს შვილთან ერთად რამდენ ხანსაც ინებებთ, იმდენს დარჩებით, ანუ ვიდრე პეტერბურგში გამგზავრებას ან ერევანში ნათესავებთან დაბრუნებას არ გადაწყვეტო...“. ამ ძალადობის გამჟღავნებას არ სჯერდება ბარონი როზენი და გამოუ-

ვალ მდგომარეობაში ჩაყენებულ ქალს, უფრო მზაკვრულ ჩანაფიქრზეც პირდაპირ მიანიშნებს: იფიქრეთ იმაზეც, რომ ბავშვის მამა, ბატონიშვილი ალექსანდრე, ხანში შესულია და ეჭვი არ არის, რომ მისი მოხეტიალე ცხოვრებაც უმძიმესია. გაითვალისწინეთ ისიც, თუ რა შეიძლება სპარსეთში უმამოდ დარჩენილ თქვენს ვაჟს დაემართოს, ამიტომ დაეყრდენით ჩვენი დიდი ხელმწიფის მონოდებას და თქვენს შვილს ნუ დაუკარგავთ იმ სიკეთეს, რომელიც მას მხოლოდ ბედნიერებას მოუტანს...“ [3, 219].

იმავე დღეს, ბარონი როზენი სპარსეთში რუსეთის წარმომადგენელს, გრაფ სიმონიჩს, წერდა – გააგებინეთ შაჰის მთავრობას, რომ ბატონიშვილ ალექსანდრესთან ურთიერთობა რუსეთის საშინაო საქმეა და რა უფლებით ერევიან ჩვენს საქმეებში რომ იგი იმპერიისგან განდგომის გამო კანონგარეშეა გამოცხადებული, ხოლო მისი ვაჟი – ერეკლე, რუსეთის ქვეშევრდომია და არა სპარსეთისა. ამიტომ რაც გვინდა იმას ვუზამთ, ეს ჩვენი საქმეაო... ალექსანდრე ლეკებთან კარგად არის და მისი შვილი საქართველოს ტახტის მადიებლად თუ დარჩება, ვინ იცის მომავალში რა არეულობებს მოგვინყობსო“ და სხვ. [3, 219].

უმძიმეს სულიერ მდგომარეობაში ჩავარდნილი და ოჯახურ სიმყუდროვეს დანატრებული მარიამი, განსაკუთრებით კი შვილის მომავალზე გამუდმებით მოფიქრალი ახალგაზრდა დედა, წერილს უგზავნის მეუღლეს და სთხოვს, მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს შვილისა და თანამეცხედრის მიმართ... მაგრამ გაზ. „დროების“ სარედაქციო წერილის სიტყვებით რომ ვთქვათ; ალ. ბატონიშვილმა „ცოლ-შვილი დათმო, მეფობის აღდგენაზე ფიქრი კი ვერა“ [23].

ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, მიუხედავად წინააღმდეგობისა, ძალამ აღმართი მაინც დახნა, რუსეთის მთავრობამ მელიქის სახლს ჯარი შემოარტყა და პატარა ერეკლე ძალ-დატანებით გამოაშორეს ერევანს და დედისა და პაპის – ისააკ ალამალოვის თანხლებით ტფილისში მოიყვანეს, ხოლო 1834 წლის მაისში, გვარდიის ოფიცრის, თედუმანოვის თანხლებით პეტერბურგს გაამგზავრეს [30].

იმპერატორ ნიკოლოზ I-თან და სამეფო ოჯახთან შეხვედრის შემდეგ გადანყდა პატარა ირაკლის მატერიალური უზრუნველყოფის და განათლების მიღებისათვის საჭირო ასიგნებების საკითხი. კერძოდ, მუდმივად დაენიშნა პენსია 11.320 მანეთის ოდენობით, ხოლო განათლების მიღებისათვის იმდენივე, ხოლო დედამისს – მუდმივ პენსიად – 3050 მანეთი და უძრავი ქონების შეძენისათვის – 75 000 რუბლი. იმავდროულად ერეკლე ალექსანდრეს ძე ცარსკოე სე-

ლოს ალექსანდრეს სასწავლებელში გაამწესეს, შემდეგ კი პეტერ-ბურგის პაჟთა კორპუსში გადმოიყვანეს [30].

მართალია, იქაური დისციპლინა მისთვის მძიმედ ასატანი ყოფილა, მაგრამ მაინც გაუსრულებია იგი და ერთხანს სამხედრო სამსახურში მყოფს, პოდპოლკოვნიკის წოდება მიუღია, ხოლო შემდეგ ავადმყოფობის მიზეზით თადარიგში გასულა. ვერც პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში ტრიალს და ვერც იქ მცხოვრებ ნათესავებთან ურთიერთობას, სამშობლოზე ფიქრი წუთითაც ვერ გაუნელებია ერეკლესათვის. ამასობაში მამის გარდაცვალების ამბავიც შეუტყვია (1844 წ.) და ისიც, რომ კავკასიაში მეფისნაცვლის ინსტიტუტი შემოეღოთ და პირველ ნამეტსნიკად თ-დი მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი დაენიშნათ...

სწორედ ამ ევროპულად განათლებამიღებულ რუსს მიმართა ერეკლე ალექსანდრე ბატონიშვილის ძემ თხოვნით: ვითარცა კერძო პირისათვის, დედასთან ერთად საქართველოში ცხოვრების უფლება მიეცა. მიუხედავად დიდი შინაგანი პროტესტისა, მიხ. ვორონცოვს, ეს წყალობა გაუღია და „ელირსა ერეკლეს საყვარელ ტფილისში დაბრუნება“, მაგრამ ათასნაირი პირობის ქვეშ მისცეს მას თავის ისტორიულ სამშობლოში ცხოვრების უფლება... თამარ პაპავას მოხდენილი თქმით: „ეხლა ეს უკვე სხვა ტფილისი იყო, მას რომ დახვდა... ტფილისი, „ტიფლისად“ ექციათ და ერეკლეს ხომ „გრუზინსკად“ გაეხადათ... თუმცა რუსებს ისიც დიდ საფრთხედ მიაჩნდათ, რომ ქართველობა ამ კაცს ქუჩაში ხედავდა, როგორც სიმბოლოს ძველი დიდებისას...“ [94, 240].

პეტრე უმიკაშვილის მოწმობით: „თ-დი ვორონცოვი დიდ პატივს სცემდა იმას და სწორედ ისე ეპყრობოდა, როგორც მეფის შთამომავალს შეეფერებოდა“-ო [1, 11].

იქვე ერთი საინტერესო ბიოგრაფიული ფაქტიცაა აღნიშნული: 1852 წელს ერეკლე გრუზინსკი (ბაგრატიონი) თბილისელი პოპოვის ქალზე დანიშნულა, რომელიც მამით რუსი, ხოლო დედით ქართველი, თორნიკე ერისთავის ასული ყოფილა... თუმცა ჯვარისწერა აღარ შემდგარა, რადგან საცოლეს რუსეთში გადასახლება მოუთხოვია საქართველოში ძლივს დაბრუნებული ერეკლესათვის. ამაზე დიდი შელაპარაკება მოსვლიათ და ჯვარისწერაც ჩაშლილა [1, 12].

სიტყვამ მოიტანა და აქვე დავასრულებ ერეკლე ბატონიშვილ ალექსანდრეს ძის დაქორწინების ამბავს. რისთვისაც, შალვა ამირეჯიბის სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ თითქმის უცნობ წერილს, გამოვიყენებთ. იგი ერეკლე გრუზინსკისა და ავსტრიელი

გრაფინიას ბერტა კინსკაიას, შემდგომში ცნობილ მწერალს, ბერტა ფონ ზუტნერის (1843-1914 წწ.) ურთიერთობას შეეხება...

1909 წელს ავსტრიაში მყოფ სტუდენტ შ. ამირეჯიბს, მისთვის უცნობი მწერალი ქალის, ბერტა ფონ ზუტნერის წიგნი შეუძენია, რომლის სათაურია – „Memoiren von Berta von Zuttner“ Stuttgart und Leipzig. Deutsche Verlags. Anstalt 1909“. შ. ამირეჯიბის თქმით: საქართველოსთვის ბერტა უცნობი პირი არ იყო. მან და მისმა ქმარმა ბარონმა არტურ გუნდაკკარ ფონ ზუტნერმა, ამანაც ავსტრიელმა, სრული ცხრა წელიწადი იცხოვრეს საქართველოში, კარგად გაიცნეს ქართველები, იქვე დაიწყეს პირველად ცოლმაცა და ქმარმაც მწერლობა და საკმაოდ სწერეს თვით საქართველოზეც... რომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი პირველი თარგმანთაგანი უცხო ენაზე ბერტა და არტურ ფონ ზუტნერებს ეკუთვნით... ეს მომხდარა იმ დროს, როცა გ. ქართველიშვილისეული გამოცემა მზადდებოდაო... [13, 10-11].

ბერტა კინსკაიას ნაცნობობა, საქართველოსთან მაშინ დაწყებულია, როცა იგი სამეგრელოს დედოფლის – ეკატერინე ჭავჭავაძის შვილების გუფერნანტი გამხდარა... სწორედ დედოფალ ეკატერინეს მეშვეობით, ბერტას, 1864 წელს, ჰომბურგში გაუცნია ირაკლი ბატონიშვილი. მათი ნაცნობობა ორი წელი გაგრძელებულა და დედოფალ ეკატერინეს მათ დაქორწინებაზე უზრუნია. თავის “მოგონებებში“, ბერტა ფონ ზუტნერი, აღნიშნავს: „ერთ დღეს დედოფალთან ერთი ადამიანი დამხვდა, რომელიც მანამდე არასოდეს მენახა. იგი დაახლოებით ორმოცი წლისა იყო, შუა ტანის, ელეგანტური შეხედულების, შავგვრემანი, მწყობრი, მაგრამ ნაღვლიანი სახით, თითქმის დაღვრემილის გამომეტყველებით, გრძელის წვრილის და შავის უღვაშებით... ჩემი საყვარელი ნათესავი, Prince Heraclius de Georgie – საქართველოს უფლისწული ირაკლი. ჩემი გულითადი kontesina, ვიზედაც ამდენი გელაპარაკე. და დედოფალმა ბატონიშვილი და ბერტა ერთმანეთს გააცნო. ბერტასა და ერეკლეს ეს ორწლიანი სასიყვარულო ურთიერთობა სასურველი შედეგით არ დასრულებულა, თუმცა ქალიშვილი ორი წელიწადი ოცნებობდა, რომ პრინცი ჰერაკლიუსი მას ცოლად შეირთავდა.

შ. ამირეჯიბის თქმით: დედოფალი ეკატერინე ვერაფერი და შეიძლება ითქვას, წინდაუხედავი მაჭანკალი გამოდგა. რამდენიმე წლის შემდეგ, საქართველოს პრინცმა, დედოფლის ძმისწული შეერთო ცოლად“ [13, 15].

იგი გახლდათ დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის ასული თამარი, რომელთანაც ერეკლე ალექსანდრეს ძეს ოთხი შვილი შესძენია,

თუმცა, როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, ორი მათგანი მცირე ასაკშივე დაღუპვიათ...

ერეკლე გრუზინსკი, თბილისში, ავლაბარში ცხოვრობდა თავის სასახლეში ცოლ-შვილთან და მის მოსიყვარულე დედასთან ერთად. ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობას ერიდებოდა, რადგან ერთი წუთით არ ავინყდებოდა რუსეთის ხელისუფლებისათვის მიცემული პირობა, რომლის დარღვევისათვის სამშობლოს სამუდამო დატოვება მოუწევდა. თუმცა მას კარგად სცნობდა იმდროინდელი თბილისის ყველა ფენის წარმომადგენელი. წყნარად და დაუშურველად ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას.

ამ დამსახურებათა შესახებ არქიმანდრიტი გრიგოლი (დადიანი) აღნიშნავდა: ირაკლი, ალექსანდრე ბატონიშვილის ძე, არც თავისი კერძო ცხოვრებით იყო უმნიშვნელო ჩვენთვის... გარდა დაფარულთა ქველთა საქმეთა, ჩვენ უნდა გავიხსენოთ მისი ქველმოქმედებითი ზრუნვა შესახებ პირველ საშუალებათ ხალხის კეთილდღეობისა. 1862, 1863 და 1864 წლების განმავლობაში ერეკლეს თაოსნობით შრომობდა ტფილისში წერა-კითხვის კომიტეტი, რომელსაც ჰქონდა გამართული ორი სასწავლებელი – მთანმინდაზე და ავლაბარში. ეს სასწავლებლები, რომლებსაც ხალხი ერეკლეს სკოლებს უწოდებდა, პირველნი და რიგიანად მოწყობილი ქართული სკოლები იყვნენ. საგნების სწავლა ამათში იყო ქართველებისათვის ქართულად, სომხებისათვის – სომხურად. აგრეთვე დიდებული საღმრთო წერილის სწავლება და სამშობლო ენისაც. თვითეულს ამ სასწავლებელზედ წელიწადში იხარჯებოდა არანაკლებ რვაასის მანეთისა და თვითეულში 75 შეგირდამდის ითვლებოდა; სწავლისათვის შეგირდებს ფასი არა ხდებოდათ, სასწავლო ნივთები და წიგნები კიდევ მუქთად ეძლეოდათ...“ [1, 21-22].

ამავე თემასთან დაკავშირებით პეტრე უმიკაშვილი იმაზეც ამახვილებდა ყურადღებას, თუ რა ბედი ეწია აღნიშნულ სკოლებს. „მუქთა სწავლებამ თუ სხვა ბოროტმა კაცებმა, ხალხში ხმა დააგდეს, ვითომც საღდათის გაყვანა უნდათო და ეგ სკოლა იმიტომ გამართესო. ამ ხმამ დააფრთხო შეგირდები... შემდეგ კიდევ ხმა დააგდეს, ვითომც სომხის ყმანვილების გადარჯულება უნდოდესთო... ამასთან, როდესაც ერეკლე 1863 წელს სამზღვარ გარეთ წავიდა კომიტეტმა (რომელშიც ითვლებოდა ივანე პავლეს ძე თუმანოვი და ექიმი იოანესიანი) ვერ გამოიჩინა მხნეობა და 1864 წ. სკოლა უსახსრობის გამო დაიკეტა“ [22].

თავის საქმიანობას ერეკლე გრუზინსკი ყოველთვის დიდს

სიფრთხილით ეკიდებოდა... თუმცა შედიოდა მეფისნაცვლის საბჭოში, ქ.შ.ნ.კ.გ. საზოგადოების გამგეობაში და სხვ.

ბოლოს ჯანმრთელობამაც უღალატა და იშვიათად თუ ნახულობდნენ ქალაქის ქუჩებში. კაცს, რომელსაც აღნაგობით და ფიზიკური ძალით („ბაგრატიონთ ჩამომავლობა მოსდევდა, ვერცხლის მანეთს ხელით მოჰკეცდა და რკინის ჯოხს ჰგრებდაო“ და „ქართული სამოსით სიარული უყვარდაო“), ხანგრძლივმა ავადმყოფობამ მის სახეს სისრულე წაართვა და 55 წლის ასაკში გამოეთხოვა წუთისოფელს. დარჩა მოხუცებული დედა, მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ქალიშვილი.

ეს მოხდა 1882 წლის 27 აპრილს. და ეს სამწუხარო ცნობა სწრაფად გავრცელდა ქალაქში. მეორე დღეს კი გაზეთებმა „დროებამ“ და „კავკაზმა“ ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები გამოაქვეყნეს. „ბატონის რძალი საქართველოსა მარიამ ისააკის ასული და კნენია თამარ დავითის ასული გრუზინსკისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებთა და ნაცნობებს – პირველი თავისის შვილის და მეორე ქმრის, თავადის ირაკლი გრუზინსკის გარდაცვალებასა, 27-ს ამა აპრილს.

პანაშვიდი გარდაცვალებულისა იქნება 29 და 30 აპრილს, საღამოს 7 საათზე საკუთარს სახლში. მიცვალებულს გამოასვენებენ სახლიდამ სიონის სობორში შაბათს, 1 მაისს, დილის 10 საათზე; დაასაფლავებენ მცხეთის სობორის სამეფო სასაფლაოზე კვირას, 2 მაისს, დილის 11 საათზე“ [21].

უფრო მეტი ინფორმაციის შემცველია რუსული „კავკაზის“ „ქრონიკის“ განყოფილებაში დასტამბული სამგლოვიარო განცხადება:

„გუშინ, 27 აპრილს, გარდაიცვალა უბრწყინვალესი თავადი ირაკლი ალექსანდრეს ძე გრუზინსკი, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XIII-ის ძმისწული, შვილი მეფის ძის ალექსანდრესი და შვილიშვილი მეფე ერეკლე მეორისა, რომელიც დაიბადა ერევანში 1828 წელს“ [27].

ამ სამწუხარო ცნობამ ერთბაშად გამოაფხიზლა თბილისის მცხოვრებნი – განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. თითქოს ვიღაცის უჩინარი ხელი მართავსო – ყველაფერმა ორგანიზებული ხასიათი მიიღო. თბილისში გამომავალმა გამოცემებმა – „დროებამ“ და „კავკაზმა“ არაერთი პუბლიკაცია მიანოდეს თავის მკითხველებს არა მხოლოდ კონკრეტული პიროვნების – ირაკლი გრუზინსკის შესახებ, არამედ მის წარმომავლობაზე და იმაზეც, თუ რა დამ-

სახურება მიუძღოდა მის სამეფო დინასტიას ერისა და ქვეყნის წინაშე, რომ მისი სახით უკანასკნელად ეთხოვებოდნენ, საქართველოში იმუამად მცხოვრებ ბაგრატიონთა უკანასკნელ წარმომადგენელს მამაკაცთა მხრიდან... სწორედ ეს მატებდა დამატებით სამწუხარო ელფერს, ისედაც ტრაგიკულ ფაქტს...

დასაფლავების დღეს, 1882 წლის 1 მაისს, დილიდანვე დიდძალი ხალხი მოაწყდა სოლოლაკის ქუჩას, საიდანაც მიცვალებულის გვამი, სიონის ტაძარში უნდა გადაესვენებინათ.

გაზეთ „დროების“ თქმით:

„დიდის ამბითა და საერთო პატივისცემის გამოცხადებით გამოასვენეს ახლად-გარდაცვალებული ბატონის შვილი ერეკლე. შაბათს, დილის 10 საათზე იყო დანიშნული სახლიდამ გამოსვენება. ამ დროისათვის იმის სასახლეში მოგროვდნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყების წარმომადგენელნი, ექსარხოსი თავის კრებულითა, სომხების, მაჰმადიანთ და სხვა სარწმუნოების სამღვდლოება, ბევრი ნათესავეები და პატივისმცემელნი მიცვალებულისა.

მთელი ქალაქის მალაზიები დაკეტილი იყო.

ყველა ამქრები თავისი დროებით მოვიდნენ და მიცვალებულის სახლის წინ დაემწყრივნენ. ამ ქუჩაზე უანგარიშო ხალხია; უანგარიშო ხალხია აგრეთვე ერევნის მოედანზე, შუა ბაზრის ქუჩაზე და ყველა სახლების ბალკონებზე და ფანჯრებზე, რომელიც კი სიონისაკენ არის.

ბალდახინს, მშვენივრად შემკობილს ყვავილებითა და ძვირფას ფარჩეულობით, ოთხივე კუთხით საქართველოს გერბი აქვს მიკრული!..

მიცვალებული გამოასვენეს სახლიდამ და პროცესია დაიძრა. თავი რომ შუა-ბაზრის ქუჩაზე იყო ხალხისა, ბოლო ჯერ კიდევ მიცვალებულის სახლთან ჰქონდა.

თითქმის ნახევარი საათი მოუნდნენ სიონში მოსვლამდინ. ახალგაზრდა ქვრივის, უბრწყინვალესის კნენის თამარის ნახვა და იმის ორის მცირე წლოვანის ქალისა, რომელნიც მძიმე შავებში იყვნენ და გულხელდაკრეფილნი მიჰყვებოდნენ კუბოს, გულმოსაკლავ სურათს წარმომადგენდა.

პირველ საათზე გაათავეს პარაკლისი. მეორე საათზედ მიცვალებულის კუბო გამოასვენეს ხელით. აქ მომზადებულს ბალდახინზე დაასვენეს და მცხეთისაკენ მიემართნენ, სადაც იმ ღამესვე დაასვენეს მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიაში.

დასაფლავება მეორე დღის – კვირისათვის იყო დანიშნული.

მინვეული ხალხისათვის საგანგებო მატარებელი – შვიდი ვაგონი – იყო დანიშნული... რკინიგზის ვაგზალზე ამ დღეს ისეთი ამბავი იყო, როგორც მცხეთობა დღეს იცის ხოლმე. სულ მცირე სამი ათასი კაცი წავიდა ამ დღეს მცხეთას, საქართველოს ბატონის შვილის უკანასკნელ პატივის საცემლად და ადგილი რომ ყოფილიყო, ორი ამდენი კიდევ იყო მსურველი. მცხეთაშიც გარდაიხადეს წირვა და პარაკლისი. აქ კი ქართული წირვა და გალობაც იყო...“ [23].

იმის დასამტკიცებლად – თუ რა თანაგრძნობა და პატივისცემა ჰქონდა ქალაქის ხალხს მიცვალებულის ბატონიშვილის ერეკლესი, მოგვყავს შემდეგი ამბავი: როცა ამქრებმა შეიტყვეს, რომ ბატონიშვილის უბრწყინვალესი ქვრივი იმათთვის ქალაქში ქელესს ამზადებდა, იმათ საერთო სურვილი გამოაცხადეს, რომ ქელესს ჩვენ ჩვენის ხარჯით გაიხლებითო და თუ ბატონისშვილს ამისათვის რაიმე ფული ჰქონდა დანიშნული, იმ ფულით სასწავლებელში იმის სახელობით ღარიბი ხალხის შვილები გაიზარდონო [23].

გაზეთი „კავკაზი“, „დროებისაგან“ განსხვავებული დეტალებით ავსებდა თავის ანგარიშს...

„С 9 часов утра, почти весь Тифлис, и по преимуществу грузинское его население, составлял сплошную толпу на Сололакском улице, Эриванской площади и по дороге Сионскому собору. Толпы эти собрались отдать последний долг на земле учащему потомку грузинских царей, светелейшему князю Ираклию Александровичу Грузинскому... В 10 часов в доме почившего собрались представители власти, генералитет, грузинское дворянство, многие офицеры и гражданские чиновники и масса других лиц, По совершение необходимых обрядов экзарком Грузии, в служении с духовенством Тифлиса и в присутствии представителей армяно-григорианского и других исповедании последовал вынос тела покойного в Сионский собор... Вынос тела из дома почтил своим присутствием его Императорского Высочество Великий Князь Николай Михайлович. Процессию замыкала парадная траурная колесница, запряженная шестью лошадьми“ [29].

პანაშვიდის გადახდის შემდეგ მოკლე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს ეგზარქოსმა და არქიმანდრიტმა გრიგოლმა... შემდეგ პროცესია იგივე წესრიგით სიონის ტაძრიდან დაიძრა და ერევნის მოედნის, სასახლის ქუჩის და გოლოვინის პროსპექტის გავლით გაემართა ჯვრისაკენ (იგულისხმება საბურთალოზე დღევანდელი სპორტის სასახლის მიდამოებში აღმართულ ჯვარზე... – გ. ს.), სა-



დაც განსვენებულის ცხედარი კატაფალკაზე გადაიტანეს მცხეთაში წასასვენებლად“ [29].

აღსანიშნავია, რომ სიონისა და სვეტიცხოვლის ტაძრებში მიცვალებულის კუბოსთან წარმოთქმულ სიტყვებში – მღვდელმა დიმიტრი ჯანაშვილმა, არქიმანდრიტმა გრიგოლ დადიანმა, მღვდელმა ვასილ კარბელაშვილმა არა მხოლოდ ირაკლი ბატონიშვილზე, არამედ მისი წინაპრების „სიმწრითა და ნაღველით“ აღსავსე ცხოვრებაზეც ილაპარაკეს...

მღვდელი დ. ჯანაშვილი თავის მიერ დასმულ კითხვაზე: ვინაა, ძმანო ქრისტიანენო, თქვენს წინაშე უძრავად მყოფი განსვენებული? – თვითონვე პასუხობდა: იგი არის ბატონიშვილი ირაკლი, რომლის პაპამაც ჩვენი ბედი თავის კალთით ატარა. ეს არის შვილისშვილი იმ მეფე ირაკლისა, რომელმაც დაიცვა ჩვენი საწმენოება და წმინდა ბარძიმ-ფეშხუმი... ახლადგარდაცვალებული თავადი ირაკლის სიცოცხლე სიყრმიდანვე აღვსილი იყო სიმწრითა და ნაღველითა... საქართველოში მცხოვრებ ქართველთა მეფეთა გვარიდან სამშობლო ქვეყანაში მამა-კაცთაგანი მარტო ირაკლია იყო და ამასაც დღეს ვაცილებთ საიქიოს...“ [1, 13].

არქიმანდრიტი გრიგოლი (დადიანი), ორატორული ნიჭით გაჯერებულ თავის სიტყვაში, ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ „წინაგანი და გარეგანი არეულობისა გამო, მეფე ერეკლე იძულებული შეიქმნა ჩვენი ქვეყანა რუსეთის მფარველობის ქვეშ გადაეცა... განსვენებულის მამა ალექსანდრე ვერ შეურიგდა ამას, ვერ შეელია ქართველების დამოკიდებულებას და ფიქრობდა მის დაბრუნებას. საქართველოში, რასაკვირველია, აღარ ედგომებოდა; ამისათვის გავიდა სპარსეთში... განსვენებულს ირაკლის იქამდის უყვარდა თავისი წინაპრების სამკვიდრო ქვეყანა, რომ არ გასცვალა იგი უფრო სასიამოვნო და მდიდარ ქალაქზე, სადაც უფრო კარგად შეეძლო გაეტარებინა თავისი ცხოვრება, და მუდამ სცხოვრობდა ტფილისში. ამ მხრით იგი დაუფასებელი იყო ჩვენთვის, როგორც ნიშანი ჩვენის წარსულის დიდებისა და მაგალითი სამშობლო ქვეყნის სიყვარულითა. როდესაც მოვიფიქრებთ, რომ აღარ დაგვრჩენია მის შემდეგ ჩვენს შორის არცა სხვათა ბატონისშვილებთა შთამომავლობის წარმომადგენელი ვინმე, რომელსაც შეეძლო მის მაგივრობა გაგვიწიოს სიტყვით თუ საქმით, უნებურად ვგრძნობთ, რომ მართლაც-და კარს მოგვედგომია დიდი ზარალი და დიდი მწუხარება...“. არქიმანდრიტი გრიგოლი მაღლიერებით აღნიშნავდა განსვენებულის მეუღლის თავდადებას, რომელიც თანამგრძნობი და თანამოაზრე იყო მი-

სი. რომელმაც სულგრძელობით, თავ-განწირვით და ერთგულებით ემსახურა თანამეცხედრეს გრძელისუამიერს მის ავადმყოფობაში და დაითმინა მემკვიდრის დაკარგვა... განსვენებული უგანათლებულესი თავადი ერეკლე ირიცხებოდა ჭეშმარიტ ქრისტიანთა შორის, არ იყო ზოგიერთივით სიმდიდრით, თუ შთამომავლობის სიამპარტავნით გატაცებული. მისგან სიკეთე ბევრს მოაგონდება და წყენაკი არავის... აი, რით უნდა ვინუგეშოთ თავი ჩვენი და ვანუგეშოთ უგანათლებულესნი ქვრივ-ობოლნი!“ [1, 19-20].

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, ათასობით შეკრებილთა წინაშე გამოსვლისას, მღვდელი ვასილ კარბელაშვილი, დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა: „ქართველობავ! დღეს ჩვენ შეგვკრიბა, გრძნობით შეგვაერთა აქ სამგლოვიარო ზარმა, შეგვაერთა მწუხარებაში.. ჩვენი დღეს აქ შეკრების მიზეზი ყველას ერთნაირად გვაძრუნებს, ერთნაირად გვიმსჭვალავს გულს და მით უმეტეს, რომ ჩვენი აქ შემკრები გლოვა გამოითხოვა ბატონიშვილის ირაკლის, ჩვენი მამულის გმირის მეფე ირაკლის ძის ძისას მიცვალებამ...“

დიახ, დღეს სამეფო ოჯახის კიდევ ერთი შვილი მიიწვია თავისთან ამ ტაძარში საუკუნოთ განსვენებულ აჩრდილთა დასამა!...

დღეს ეგ ერთათ-ერთი ვარსკვლავებზე ბრწყინვალის სახელიც მოგვეშალა... შემოკრებით აქ განსვენებულის გვამთა აჩრდილთა ალავერდით, გელათით, ვარძიით, სპარსეთით, ჩრდილოთ კერძოთ! აჩრდილთა ბაგრატიონთა სამეფო ოჯახისაო, ვინაიდგან ერთიც ესე ჩვენ კერძოთაგან მოისწრაფის თქვენდა!.. ხოლო შენ დიდებული მეფეო, გმირო ივერიისაო, ირაკლი! განუსვენე ამასა ბატონის შვილს, ირაკლის, რომელ არა განეშორა სამეფოსა შენსა და მხოლოდ იგი იქმნა შენებრი დატირებული შენ მიერვე შეყვარებული ქართველებისაგან!..“ [1, 29-30].

ამ საყოველთაო გლოვის ანარეკლი კარგადაა გადმოცემული იმ დღეებში გამოქვეყნებულ ა. ცაგარელის ლექსშიც:

„წმინდათა-თანა განუსვენოს, ვსთხოვთ მაცხოვარსა,  
ნუ უკუ-გვიქცევს მხურვალ ლოცვით ამ სახსოვარსა,  
მიიღე წიაღს, შემოქმედო, ეს დიდებული

ბატონის შვილი, ირაკლითა სახელდებული!“ [1, 6].

ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინისკის მეუღლე, მასზე 23 წლით უმცროსი, თამარ დავითის ასული ჭავჭავაძე (1850-1931 წწ.) თავისი მამიდების – ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეების მსგავსად, მომაჯადოებელი სილამაზითა და სიღარბისლით ხიბლავდა თავის თანამედროვეებს... იგი თავისი მამიდის, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის

ხელშეწყობით, ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის რძალი გახდა. მაგრამ ოჯახური ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა: ჯერ იყო და მცირენილოვანი ქალ-ვაჟის – მარიამისა და ალექსანდრეს დალუპვამ, შემდეგ კი მეუღლის ხანგრძლივმა ავადმყოფობამ და მოულოდნელმა სიკვდილმა, აგრეთვე უმოკლეს ხანაში დედამთილის – მარიამის გარდაცვალებამ, უდროოდ ჩააცვა ძაძები ახალგაზრდა მანდილოსანს. მკვლევარ ნინო ჩიხლაძის თქმით: „მან დიდი მწუხარებით მიაბარა სვეტიცხოვლის ტაძარს ბაგრატიონთა უკანასკნელი შთამომავალი და ჯერ კიდევ თვალზე ცრემლშეუშრობელმა გადანყვიტა თავისი ორი ქალიშვილით – ელისაბედითა და ეკატერინეთი, საზღვარგარეთ გამგზავრება, რათა უცხოეთში მიეცა მათთვის უმაღლესი სწავლა-განათლება... 1885 წლიდან თამარი ცხოვრობდა დრეზდენში, რომში, ვენეციაში, უკანასკნელად პარიზში... ქართული საზოგადოება თამარს იცნობდა როგორც ქველმოქმედს, თავისი სამშობლოს სვე-ბედით დაინტერესებულ პატრიოტ ქალს“ [14, 163-166].

თამარ ჭავჭავაძე, ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის მეუღლე, გარდაიცვალა სამშობლოში, 1931 წელს, 81 წლის ასაკში. მან თავისი სურვილი – შვილებისათვის შესაფერისი განათლების მიღებისა, შეასრულა. ქალიშვილები ღირსეულ საგვარეულოთა წარმომადგენლებს მიათხოვა. უმცროსი ეკატერინე – ივანე რატიშვილს (მომავალში პეტერბურგის ზამთრის სასახლის უკანასკნელ კომენდანტს) გაჰყვა ცოლად, ხოლო უფროსი – ელისაბედი, მამუკა ორბელიანის, სამხედრო მოხელის, „ქართული დრუჟინის“ ერთ-ერთი ორგანიზატორისა და ბორჩალოს მინების მდიდარი მემამულის, თანამეცხედრე გახდა.

ელისაბედ ირაკლის ასულ ბაგრატიონ-ორბელიანს (1871-1942) მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა – ილიასთან, აკაკისთან, ვაჟა-ფშაველასთან, გიგო გაბაშვილთან, იაკობ ნიკოლაძესთან, იოსებ გრიშაშვილთან, ივანე ჯავახიშვილთან, ექვთიმე თაყაიშვილთან, შალვა დადიანთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, შალვა ნუცუბიძესთან, სოლომონ იორდანიშვილთან, ალ. აბაშელთან, ზაქარია ფალიაშვილთან, დიმიტრი არაყიშვილთან და სხვებთან. იგი იყო ფრანგულენოვანი ქართველი პოეტი, მთარგმნელი... სწორედ მას ხვდა ბედნიერება ყოფილიყო თბილისის უნივერსიტეტის ფრანგული ენის პირველი ქალი ლექტორი; რედაქტორობდა გაზეთებს – „თავისუფალი საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“ (ფრანგ. ენაზე) და „საქართველოს მოამბე“ (ინგლისურ ენაზე)... და ა. შ. [15, 557; 14, 168].

აქვე პატივისცემით უნდა გავიხსენოთ ბატონიშვილის ალექ-

სანდრეს ღირსეული მეუღლისა და ერეკლე ბაგრატიონ-გრუზინსკის დედის – მარიამ ისაკის ასულ აღამალოვა-გრუზინსკაიას დამსახურება და ღვაწლი მეუღლისა და სამეფო სახლის მემკვიდრის წინაშე... რომელიც საყვარელი შვილის გარდაცვალებიდან სულ რაღაც ხუთიოდე თვის შემდეგ აქვე, თბილისში აღესრულა და დიდი პატივით იქნა მიბარებული საქართველოს მიწას.

გაზეთი „დროება“ წერილში – „ბატონის რძალი მარიამი“ დიდი და გულწრფელი სინანული აღნიშნავდა; „ბატონის რძალს, ყმანვილს ქალს, მრავალი მწუხარება უნდა გამოეველო ქმრის დაშორებისა გამო, რომელიც უყვარდა და იცოდა მისი სიყვარულიც. თავისი სიყვარული დაამყარა შვილის აღზრდასა და მის კეთილმყოფობასა... იგი ჩვენში ყველასაგან პატივცემული იყო, არა მხოლოდ მეფის რძლობით, არამედ კეთილის გულის, პატიოსნის ცხოვრებით, გონიერებით... არც ერთს ოჯახს არა ჰქონია ხალხისა და საზოგადოების პატივისცემა და გულწრფელი სიყვარული, როგორც მათს ოჯახს ჰქონდა... ამის მიზეზი იყო ბატონის რძალი, რომელსაც კარგად ესმოდა, როგორც ჭკვიან დედაკაცს, ეხლანდელი ამაოება. იმან ბევრი მწუხარება გამოიარა თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში და მხოლოდ შვილისა და მისი ოჯახის ბედნიერებისათვის ზრუნავდა. თავის ერეკლეს შვილების აღზრდა იყო იმისი ფიქრი და ზრდიდა, როგორც ძველ დარბაისელ, ჩვენს პატივცემულ მანდილოსნებს სცოდნიათ. უკანასკნელ ხნებში ბატონის – რძალი ძალიან ავად შეიქნა და შვილის გარდაცვალების დროსვე ლოგინად ჩავარდა. გარდაცვალებულის შვილის გვამის დანახვაზე თითქმის გონება დაჰკარგა და მას შემდეგ ნელ-ნელა ილეოდა მისი ამქვეყნიური სიცოცხლე“ [26].

მისი გამოსვენებისა და თბილისში ვანქის სომეხთა ეკლესიაში დაკრძალვის თაობაზეც, ფართოდ არის მოთხრობილი გაზეთების „დროების“, „კავკასის“ და სხვათა ფურცლებზე... კერძოდ, გაზეთი „კავკასი“ თავის „ქრონიკაში“ წერდა: „ვინაიდან, განსვენებული წარმომავლობით სომეხი იყო, ამიტომ დასაფლავების ცერემონიაში მონაწილეობას ღებულობდა სომხური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. გამოსვენებას დაესწრნენ მთავარმართებელი კავკასიისა, გენერალ-ადიუტანტი, თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენლები, ქალაქის საბჭოს ხმოსნები, ნათესავები... პროცესია გაემართა სოლოლაკის, სასახლის, გოლოვინისა და ბარიატინსკის ქუჩების გავლით ვანქის ტაძრისაკენ... პროცესიის თავში ქართველ თავადებს მიჰქონდათ ყვავილებით მორთული კუბოს სახურავი. შემდეგ მიდიოდა მგალობელთა

გუნდი და მთელი სომეხი სამღვდელოება – ეპისკოპოსისა და არქი-  
პისკოპოსების თავკაცობით... ამქრები თავიანთი დროებით. კნია-  
გინია თამარა გრუზინსკაია და მრავალრიცხოვანი ნათესაობა... გან-  
სვენებულის კუბოს რიგრიგობით ხელით მისვენებდნენ ქართველი  
თავად-აზნაურობისა და სომეხი მოსახლეობის წარმომადგენლები...  
ვანქის ტაძარში მალალი რანგის სასულიერო პირების სიტყვების  
წარმოთქმის შემდეგ განსვენებული დედოფლის ნეშტი მიწას მიაბა-  
რეს...“ [31].

\*\*\*

აქ შეიძლება ჩემი სტატია დამესრულებინა და არ მინდოდა  
ერთ კასრ თაფლში, ერთი კოვზი კუპრი გამერია, მაგრამ არ თქმაც არ  
შემიძლია. საქმე ეხება ისტორიულ ფაქტს, 1865 წელს, თბილისის ჰამ-  
ქრების აჯანყების სახელით რომ არის ცნობილი... დასაწყისში, ხელი-  
სუფლება შეეცადა მოლაპარაკების გზით მათ დამშვიდებას, მაგრამ  
როცა ამით სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, ძალა გამოიყენა...

სწორედ ამ ფაქტს იგონეს იაკობ მანსვეტაშვილი და აღნიშნავს;  
„...დიდად გამწვავდა არეულობა ავლაბარში, სადაც აჯანყებულ  
ხალხს ხელმძღვანელი გამოუჩნდა – მეზაკე მოსე. მთავრობა ამო-  
რავდა და ჯარი გაგზავნა დასამშვიდებლად. მაგრამ ავლაბარში  
ჯარმა შესვლა ვერ მოახერხა, რადგან ავლაბრის ხიდი შეკრული  
დაჰხვდათ. სისხლის ღვრის ასაცილებლად საჭირო შეიქმნა ისეთი  
კაცის გაგზავნა, რომელსაც ქართველობა ენდობოდა. ასეთ კაცად  
ცნობილი იყო ირაკლი გრუზინსკი, უკანასკნელი მეფის, გიორგის,  
უახლოესი შთამომავალი.

მანსოვს ეს ირაკლი, ქართულ ტანისამოსში გამონყობილი, თუ-  
შური ქუდით, ხშირად დასეირნობდა ხოლმე ცხენით ქუჩებში. თავი  
ისე ეჭირა, თითქოს ქართველების მართლაც ერთგული მოსარჩლე  
ყოფილიყო. მთავრობასაც სჯეროდა და მისი გულის მოსაგებად,  
რომ რუსეთის ერთგული ყოფილიყო, საცხოვრებლად აბანო აჩუქეს,  
რომელსაც ხალხი აქამდინ ერეკლეს აბანოს ეძახის. ამით უზრუნ-  
ველჰყვეს, მისი ცხოვრება და ისიც კმაყოფილი დანავარდობდა.

აი სწორედ ამ ირაკლის მიჰმართა მთავრობამ და გაგზავნა  
აღელვებული ხალხის დასამშვიდებლად. ხალხმა ირაკლი რომ დაი-  
ნახა; „აი ჩვენი მეფეო, გაუმარჯოს ირაკლისო“.

ირაკლიმ სიმხდალე იჩინა და იმის შიშით, რომ ვაი თუ მთავრო-  
ბის წყალობა მომაკლდესო, პირი იბრუნა და სასახლისაკენ გაეშურა.

მთავრობამ მაშინ მეორე ქართველს მიჰმართა. ეს მეორე გახ-

ლდათ გრ. ორბელიანი. მან ბევრი არ დაახანა და ხალხს ჯარი მიუ-  
სია, ავლაბარი ააკლებინა, მეთაურები შეიპყრეს...“ [10, 14-15].

ი. მანსვეტაშვილის ქილიკგარეულ ამ მოგონებას, მისთვის და-  
მახასიათებელი ობიექტურობით პასუხობს მწერალი როსტომ ჩხეი-  
ძე; „იაკობ მანსვეტაშვილს ახსოვდა ის კაცი – ბატონიშვილი...  
ოღონდ პატივისცემით კი არ მოიხსენიებს მას თავის მემუარებში,  
სულაც კბილს გაჰკრავს; თავი ისე ეჭირა, თითქოს ქართველების  
მართლაც ერთგული მოსარჩლე იყო... საცხოვრებლად აბანო აჩუ-  
ქეს... ამით უზრუნველჰყვეს მისი ცხოვრება და ისიც კმაყოფილი  
დანავარდობდაო... ირაკლიმ სიმხდალე იჩინა და იმისი შიშით, რომ  
ვაი თუ მთავრობამ წყალობა მომაკლოსო, პირი იბრუნა და სახლის-  
კენ გაეშურაო... დემოკრატიზაცია იაკობ მანსვეტაშვილი და მისთვის  
მიუღებელი გახლდათ სამეფო ტახტიც, მეფეც და მისი შთამომავ-  
ლობაც. ბრაზით შეჰყურებდა ირაკლი ბატონიშვილის ყოველ გამო-  
ჩენას და შემთხვევას არ უშვებს ხელიდან გაკილოს ის კაცი, ვინც  
იმპერატორის უზომო წყალობას გულმშვიდად შეაქცია ზურგი და  
დიდებით მოკირწყლულ გზას უმთენარი ყოფა არჩია თავის გამ-  
ქრალ სამშობლოში“ [14, 420].

რ. ჩხეიძეს იქვე, ისიც მართებულად აქვს ახსნილი, თუ რატომ  
მოიქცა ასე ერეკლე ბატონიშვილი, რომელსაც სახვადიოდ არავი-  
თარი მხარდამჭერი ძალა არ ეგულებოდა უკან გარდა დიდი მსხვერ-  
პლისა თბილისის ჰამქართა შორის, მისთვის ყოველგვარი ღირსები-  
სა და პატივის აყრისა და ნანატრი სამშობლო მიწისაგან სამუდამო  
მოცილებისა [14, 420].

ჩვენს მხრიდან კი დავუმატებდით; დაახლოებით ორი ათეული  
წლის შემდეგ, ერეკლე ბატონიშვილის (1827-1882 წწ.) სიკვდილმა და  
დასაფლავებამ, უდიდესი ეროვნული მუხტი მისცა სამოციანელების  
მიერ დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

გაზ. „დროების“ გარჯილობის თაობაზე, რაც ირაკლი გრუზინ-  
სკის (ბაგრატიონის) გარდაცვალებისა და დასაფლავების დღეებში  
გასწია, შევეცადეთ ფართოდ აღგვენიშნა... მაგრამ განსაკუთრებით  
წარმოჩენას მოითხოვს კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც რედაქციის  
დამსახურებად უნდა ჩაითვალოს და, რომლის განხორციელებით  
მომავალ მკვლევრებს ძალზე ღირებული მასალები შემოგვინახა...  
1882 წლის 12 მაისს, გაზეთის რედაქტორი სერგეი მესხი, საზოგა-  
დოებას სთხოვდა: „ვისაც რამე ცნობა მოეპოება ახალ-მიცვალეუ-  
ლის ბატონიშვილის ერეკლეს თაობაზედ, გამოგზავნონ ჩვენს რე-  
დაქციაში. ამას ვთხოვლობთ იმიტომ, რომ ერთი პატივცემული პი-

რი აპირებს მიცვალებულის ბატონიშვილის ბიოგრაფიის გამოცემას“ [24].

ის „ერთი პატივცემული პირი“, რომლის შესახებაც ს. მესხი მიუთითებდა, შემდგომში კიდევ უფრო პატივცემული და ღვანღმოსილი მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე გახლდათ, რომელმაც მოახერხა ერთად შეკრება და იმავე წელს ცალკე კრებულად გამოსცა – „სახსოვარი ბატონიშვილის ალექსანდრეს ძის ირაკლის გარდაცვალებაზე“.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრებულის არსებობის და მასში თავმოყრილი მასალების გამომზეურებისათვის დღემდე სათანადო ყურადღება არავის მიუქცევია...

წინამდებარე სტატიაში არაერთხელ მოგვაქვს ამონაწერები, სადაც ხაზგასმით მივანიშნებ მამის კუბოს ადევნებულ ორ მცირეწლოვან ასულზე, რომელთა არც ზუსტი ასაკია მითითებული და არც სახელებია მოხსენებული... ამ ინტერესით შევუდექით დამატებითი მასალების მოძიებას და ჩვენდა სასიხარულოდ მივაკვლიეთ გასული საუკუნის 80-იან წლებში დასტამბულ ნინო ჩიხლაძის მშვენიერ წიგნს – „ღვანღმოსილი ქართველი მანდილოსნები“, თბილისი, 1976 წ., რომელშიც საკმარისი მასალებია ირაკლი ბატონიშვილის ცოლის შესახებ.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. სახსოვარი ბატონიშვილის ალექსანდრეს ძის ირაკლის გარდაცვალებაზე, შეკრებილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან, თბილისი, 1882.
2. Акты собранные Кавказской Археографической Комиссией, под Редакции с Ад. Берже, т. VI, Тифлис.
3. Акты собранные Кавказской Археографической Комиссией, под Редакции с Ад. Берже, т. VIII, Тифлис.
4. პლ. იოსელიანი, ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა, და საქართველოს რუსეთთან შეერთება. ზაქ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი, 1895.
5. თამარ პაპავა, ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახი, წიგნში: „ქართული ფენომენი“, ზაზა აბზიანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2013.
6. ეთერ ორჯონიკიძე, ალ. ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელი-სუფლების წინააღმდეგ, წიგნში: „ქართული ფენომენი“, თბილისი, 2013.

7. ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი, 2002.
8. ალექსანდრე ბატონიშვილის ნერილები, წიგნში „ქართული ფენომენი“, თბილისი, 2013, ამირან ცამციშვილი-ფიცხელაური, დავიბრუნოთ საქართველოს უგვირგვინო მეფე, ალ. ბატონიშვილი. თბილისი, 2000.
9. ვახტანგ სუხიტაშვილი, ალ. ბატონიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობა, თბილისი, 2006.
10. იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ნახული და გაგონილი ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და კომენტარებით. ტფილისი, 1936.
11. როსტომ ჩხეიძე, მზის რაინდი (ბიოგრაფიული რომანი), თბილისი, 2011.
12. გრიგოლ ორბელიანი, პოეზია, პროზა, ნერილები, თბილისი, 2013.
13. შალვა ამირეჯიბი, წიგნი მეორე, თბილისი, 1998.
14. ნინო ჩიხლაძე, ღვანლმოსილი ქართველი მანდილოსნები, თბილისი, 1976.
15. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 7, თბილისი, 1984.
16. შოთა ხანთაძე, მასალები ალ. ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის, ს. ჯანაშიას მუზეუმის „მომბე“, ტ. XXII, თბილისი, 1961.
17. Сборник, Вес Кавказ, том I, 1903.
18. მოლაშვილი ნ., სადაც ქართველი კაცი მარხია, ჟურნ.: „ჩვენი მწერლობა“, №38, 2002.
19. გაზეთი „კვალი“, №41, 1893, 8-10.
20. გაზეთი „დროება“, №82, 28 აპრილი, 1882.
21. გაზეთი „დროება“, №82, 28 აპრილი, 1882.
22. გაზეთი „დროება“, №88, 30 აპრილი, 1882.
23. გაზეთი „დროება“, №90, 4 მაისი, 1882.
24. გაზეთი „დროება“, №96, 12 მაისი, 1882.
25. გაზეთი „დროება“, №112, 2 ივნისი, 1882.
26. გაზეთი „დროება“, №212, 12 ოქტომბერი, 1882.
27. Газ. Кавказ, №114, 1 мая, 1882.
28. Газ. Кавказ, №115, 2 мая, 1882.
29. Газ. Кавказ, №267, 10 октября, 1882.
30. Газ. Кавказ, №269, 12 октября, 1882.



**Gela Saitidze**

*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute  
of the History and Ethnology, Chief scientist-  
researcher of the Department of Modern and  
Contemporary History, Professor*

**The Way of Life, Gone Without Joy In It  
(Irakli Bagration-Gruzinski, the Son of Alexandre  
Bagration-Gruzinski)**

**Summary**

The name of Erekle the Son of the King Alexandre Batonishvili (also meaning the Son of the King or the Prince), as that of an unappeasable fighter with conquerors, is very well known in our historiography... The victory won by the Russians in the 1826-1829 Russian-Persian War lost the prospect for Alexandre Batonishvili to resurrect the king's throne of Georgia. And yet, despite all its numerous attempts to win the renegade Prince back, the Tsarist administration of Russia achieved no success in its strivings... The Prince's wife and children, remaining with the family of the Governor of Yerevan, Saak Aghamalian, were called up to Petersburg against their own will and following the will of the Emperor Alexander the First. In Petersburg everything was done to make the heir of the Georgian Prince forget his mother land, its king's throne and even his father's name, but all these endeavors were doomed to bring no fruit.

Irakli, the Son of Alexandre, with the great support from his mother – Mariam, managed to return to Tbilisi in the status of a private body and notwithstanding the numerous restrictions he had to face, he did his best for his homeland that had been made to be a colony to Russia. His strivings were crowned with success and he put in his share to the life of his country...

Irakli Bagration-Gruzinski married in Georgia to a granddaughter of the Georgian poet Alexandre Chavchavadze – Tamar, the daughter of Davit; they gave life to four children, though two of them left the life too early, what caused their father fell ill as well and in the end, he left this world at the age of 55. Irakli Batonishvili was buried on May 1, 1882 in the Svetitskhoveli Temple, what became a powerful manifestation of the Georgian national spirit.

The spouse of Irakli Bagration-Gruzinski, Tamar, and her two daughters: Elisabed and Ekaterine, lived to be live witnesses of both independence of Georgia and its return back to the now modernized Empire of Russia – the USSR. Both the daughters of Irakli Batonishvili married to create Georgian families and had their input into the educational and cultural activities of their country. This is what the present article is about.

**Давид Джавахишвили**  
*Доктор истории, Ассистент-профессор  
Телавского государственного университе-  
та имени Якова Гогобаишвили*

## **ГРУЗИНСКИЙ ЦАРСКИЙ ПИР В КОНЦЕ XVIII ВЕКА**

Традиция приема иностранных послов в Грузии имеет длительную и богатую историю. Соответственно с этим и дипломатический этикет царского двора в течение веков менялся и постепенно совершенствовался.

При царском дворе были определены особые правила (этикет) приема и угощения дипломатов и других почетных гостей. Кроме того, было установлено также меню, специально предусмотренное для царского пиршества.

После распада единого Грузинского государства (XV в.) дипломатический этикет претерпел некоторые изменения и в отдельных царствах (Картли/Карталиния, Кахети/Кахетия и Имерети/Имеретия) и княжествах (Самегрело/Мегрелия, Абхазети/Абхазия, Гурия и Сванети/Сванетия) укоренились различные правила приема и угощения.

Грузинский профессор Санкт-Петербургского императорского университета Александр Антонович Цагарели (1844-1929) отмечал: «Церемониал приема послов иностранных государств, существовавший в Грузии, напоминает частью византийский, частью персидский подобного рода придворные этикеты» [1, 26].

Таким образом, существовавший при грузинском царском дворе дипломатический этикет представлял собой некоторым образом и синтез византийского и персидского этикета.

Примечательные сведения по этому поводу содержатся как в грузинских, так и иностранных исторических источниках и исследованиях. Этому вопросу посвящен пространный очерк [2, 11-30], в котором изучены традиции дипломатического этикета и угощения гостей в Карталинском (Картлийском), Кахетинском, Имеретинском и Карталино-Кахетинском (Картлийско-Кахетинском) царствах.

В настоящем очерке нами изучены традиции царского застолья периода царствования (1798-1800 гг.) монарха Восточногрузинского (Карталино-Кахетинского) царства – Георгия XII (1746-1800), сына царя Ираклия II (1720-1798).

Интересная информация касательно царского пира и меню застолья имеется в сочинении историка Платона Игнатиевича Иоселиани (1809-1875) [3].

Царь Георгий XII был глубоковерующим христианином. Он строго соблюдал посты и религиозные нормы, особенно следил за гигиеной.

Во времена его царствования царское застолье отличалось особой чистотой и изысканностью.

Красное вино – «саперави» – специально привозили из кахетинских сел: Квемо Ходашени (ныне – Телавский район) и Кварели (ныне – административный центр Кварельского района).

Вино, предназначенное для царского застолья, перегоняли из винограда, растущего в запущенном винограднике, под который земля специально не вскапывалась. В силу этого получали малое количество вина, однако, качества оно было высочайшего.

Хранили вино в отдельном, тщательно очищенном «Квеври» (большой керамический кувшин для хранения вина, зарытый в землю).

Сам царь регулярно пил вино, но в небольшом количестве – не более четверти столового кувшина («тунги»). Опьянение претило ему.

Любителям виноградной водки (на грузинском языке – «Чача») царь советовал запивать ею, согласно грузинскому обычаю, варенье, либо пить ее, подслащенную медом.

В царских пекарнях выпекали хлеб пяти сортов:

- 1) «Мураса»;
- 2) «Сагареджо»;
- 3) «Шоти»;
- 4) «Надрезанный хлеб»;
- 5) «Сайка».

Для последнего сорта специально привозили пшеницу из региона Байдары.

Твердый хлеб, предназначенный для обеда, выпекался ежедневно из белой муки.

В дни, когда позволялось есть скоромное, к столу подавали куриный плов с кислицей, жаренную телятину, свежую вареную говядину (т. н. «хашлама»), а из рыбных блюд – лососину.

Было принято также мясо годовалого буйволого теленка.

Известно, что мясо барана, возвращенного в горах, отличалось превосходными вкусовыми качествами. Поэтому один из народов

Северного Кавказа, в частности Дагестана – дидойцы, начиная с мая и до самой зимы привозили для царской кухни годовалых баранов. За это по царскому указу дидойцев одаривали баранами же в пропорции 1 : 3.

Царь Георгий XII имел обыкновение в знак уважения предлагать почетным гостям лучший кусок мяса.

По утрам, после заутрени, царь пил чай, заваренный с корицей и кардамоном. В основном потребляли китайский чай, который привозили из России. Его употребляли также как лечебное средство.

Изредка пили кофе по-турецки, который подавали в основном гостям.

Купцы специально привозили сахар (рафинад) из Персии или из Египта.

За столом в дворцовой гостинной традиционно сидели по 20-25 человек.

Сам царь Георгий XII произносил молитву «Отче наш» (иногда – по-гречески), после чего просил священника благословить застолье [3, 25-26].

Таким было царское застолье в Карталино-Кахетинском царстве на исходе XVIII века.

В особых случаях застолье отличалось большим разнообразием и довольно-таки оригинальным меню.

#### **Указанные источники и литература:**

1. Цагарели А., Сношения России с Кавказом в XVI-XVIII столетиях, Санкт-Петербург, 1891 (на русском языке).
2. Джавахишвили Н., Дипломатический этикет при грузинском царском дворе (XVI-XVIII вв.). Сборник научных трудов отделения новой и новейшей истории Института истории и этнологии имени Иванэ Джавахишвили: «Вопросы новой и новейшей истории», т. IV, Тбилиси, 2008 (на грузинском языке).
3. Иоселиани П., Жизнь Георгия XII, Введение, редакция и примечания А. Гацерелия, Тифлис, 1936 (на грузинском языке).

***David Javakhishvili***

*Doctor of History, Assistant-Professor of  
Jakob Gogebashvili Telavi State Uni-  
versity*

## **Georgian Royal Feast in the Late 18<sup>th</sup> Century**

### **Summary**

The audience in Georgia of foreign ambassadors has long and rich traditions. Appropriately, diplomatic etiquette of royal court was changing and taking its perfect form during the centuries. Also the menu of the royal feast was defined.

In the article is observed information kept in Georgian historic sources about the feast traditions in East Georgian – Kartalino-Kakhetian kingdom in the late 18<sup>th</sup> century.

## დოდო ჭუმბურიძე

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*

## რუსეთის იმპერატორები საქართველოში

რუსეთის პირველი იმპერატორი, ვინც კავკასიასა და საქართველოში იმოგზაურა, ნიკოლოზ I (1825-1855წ. წ.) იყო. მას რთული მეფობის წლები ერგო, რასაც სწორედ კავკასიაში შექმნილი საომარი ვითარება, მუდმივი შფოთი და დაუმორჩილებლობა განაპირობებდა. საქართველოში მისი ჩამოსვლის დროს ქვეყანა ერთგვარად ჩანყნარებული იყო: გადაიარა ანტირუსული აჯანყებების დიდმა ტალღამ, ბოლო შეთქმულებაც ჩაიშალა და ჩაცხრა, ამბოხებულები დააშინეს და მოათვინიერეს, თუმცა ჯერ კიდევ არაფერი იყო ბოლომდე გამორკვეული. კავკასიის მთებში მძვინვარე შამილთან ომში ეს მოთვინიერებული ქართველი სარდლები თავგანწირვით იბრძოდნენ და რუსეთის იმპერატორისა და ტახტის ერთგულებას სისხლის უკანასკნელი წვეთის გალებით ამტკიცებდნენ. როგორც არასდროს, რუსეთს ახლა ისე სჭირდებოდა ქართული ძალა, ამ მთებში ბრძოლა და წარმატება ამ ძალის გარეშე მას გაუჭირდებოდა, უამისოდ კავკასიის ომში მარცხი გარდაუვალი შეიქმნებოდა და იძულებული გახდებოდა იმპერია უკან, რუსეთის სიღრმისაკენ დაეხია. ეს კი მას არ სჩვეოდა. ამიტომ შეიძინა ნიკოლოზ პირველის სტუმრობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა: 1832 წლის ამბოხით დარცხვენილი ქართველი არისტოკრატიისათვის ის ერთგულების დასამტკიცებელი საშუალება გახდა, იმპერატორისათვის სასინჯი ქვა: ამ სტუმრობით უნდა დაენახა, სინამდვილეში რას ფიქრობდა და განიცდიდა ხალხი, რა იყო კიდევ საჭირო მის დასამორჩილებლად! იმპერატორი ადგილზე უნდა გაცნობოდა მდგომარეობას, რაპორტები და საიდუმლო მრჩევლები აღარ აკმაყოფილებდა.

და აი, ოქტომბერი, 1837 წელი: იმპერატორისთვის ასეთი მარშრუტი შეირჩა: ნოვოჩერკასკი – ეკატერინოდარი – ტამანი – ანაპა – სუფუკ-კალე – გელენჯიკი – რედუტ-კალე – ქუთაისი – ახალციხე – წალკა – თბილისი – გუმრი – ერმიადინი – ერევანი, იქიდან უკან:

თბილისი – ანანური – ვლადიკავკაზი – გეორგიევსკი – სტავროპოლი – ნოვოჩერკასკი.

ნიკოლოზ პავლეს ძე რომანოვის კავკასიაში ჩამოსვლას სტალინსკის მიერ 1901 წელს შედგენილი და თბილისში გამოცემული კრებული მიიჩნევს საქართველოში რუს იმპერატორთა მეორე ვიზიტად, (პირველი, მისი აზრით, იყო პეტრე I, რაც სინამდვილეს არ შეეფერება), რომლის მიზანს წარმოადგენდა „პირადად ეთქვა მადლობა აქაური ხალხისა და ჯარისათვის ერთგული, ქველი და თავგანწირული სამსახურისათვის“. წიგნში აღნიშნულია ის სამწუხარო ფაქტიც, რომელმაც კინალამ იმსხვერპლა იმპერატორი. ეს ეხებოდა იმ შემთხვევას, როდესაც ვარაზისხევში ჩასვლისას, სამეფო ეტლის ცხენები დაფრთხნენ და ეტლი გადაბრუნდა. იმპერატორი გადარჩა და „ზედ თბილისის გასასვლელთან“ გაკეთდა სამახსოვრო ძეგლი – გრანიტის პიედესტალზე აღმართული თუჯის ჯვარი წარწერით: „Живый в помощи Вышняго, в крове Бога небеснаго водворится“.

„მეორე სამახსოვრო ძეგლი იმპერატორის კავკასიაში ჩამოსვლის აღსანიშნავად, – წერს სტალინსკი, – არის უბრალო სახლი, მისთვის ღამის გასათევად აგებული სარდარ-აბადში. ეს სახლი დაინგრა, მაგრამ კავალერიის გენერლის, თავად ამილახვრის ზრუნვითა და მცდელობით პირველი სახით იქნა აღდგენილი და შთამომავლობისათვის შემონახული [1, 5].

წიგნის ავტორის მთელი პათოსი მიმართული იყო იქითკენ, რომ იმპერატორების სტუმრობა განსაკუთრებულ მოვლენად, ქართველი ხალხის მიმართ მეფისგან გაღებულ დიდ წყალობად და ბედნიერებად წარმოედგინა. ეს მაშინ, როდესაც ქვეყანა გმინავდა კოლონიური რეჟიმის სისასტიკით, როდესაც ქართველი ერის საუკეთესო შვილები რუსულ-ქართული ურთიერთობის ასი წლის იუბილეს კრიტიკული განწყობითა და გამოსავლის ძიების წყურვილით ხვდებოდნენ. რა თქმა უნდა, რუსი ავტორი არ ივინყებდა ქართველი არისტოკრატის წრეების მლიქვნელობასა და პირმოთნეობას და თავად ამილახვრის ქმედებას ხოტბას ასხამდა.

იმპერატორის ჩამოსვლა განსაკუთრებული მოვლენა იყო აქაური რუსი მოხელეებისთვისაც, მათაც ელოდათ შემოწმება და თავის მოწონება, ამიტომ, წინასწარი სამზადისი და საქმიანობა დროულად დაიწყო და ყველაფერი კეთდებოდა საპატიო სტუმრის ღირსეულად დახვედრისათვის.

ამ დროს საქართველოს მთავარმართველი და კავკასიაში მყოფი რუსული ჯარის მთავარსარდალი იყო ბარონი გრიგოლ ვლადი-

მირის ძე როზენი ( 1831-1837), იმერეთის მმართველი – გენერალ-მაიორი აკიმ მიხეილის ძე ესპეხო (1837-1840).

სამზადისში ჩაბმული იყო არა მარტო რუსული მმართველობა, მთელი ქართველი საზოგადოება და ეკლესია. ეგზარქოსმა და საქართველოს სინოდის კანტორამ იმერეთის ეპარქიის მმართველს სოფრონიოსს აცნობა მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ ჯერ კიდევ 19 მაისს, დაავალა მას სათანადო მომზადება, დამხმარედ გაუგზავნა სინოდის არქიტექტორი რიჰარდი, რომელსაც უნდა შეემონებინა დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრების მდგომარეობა და ეზრუნა მისი შეკეთებისათვის, რათა ხელმწიფე თუ მოისურვებდა ამ ძეგლების ხილვას, ცუდი შთაბეჭდილება არ დარჩენოდა. ამისათვის სათანადო ხარჯთაღრიცხვაც რიჰარდს უნდა შეედგინა[2].

როდესაც დანგრეული ბაგრატის ტაძარი ნახა, რიჰარდმა იფიქრა, რომ ის არ მოეწონებოდა იმერატორს, ამიტომ შეადგინა დოკუმენტი, სადაც აღნიშნავდა, რომ სიძველის გამო ეს ძეგლი საშიში იყო და საბოლოოდ უნდა დაენგრიათ. მკვლევარ პეტრე ვაჭრიძეს მოაქვს ქუთაისის არქივში დაცული დოკუმენტი, სადაც ვკითხულობთ: „ქუთაისში სობორო სრულიად არ არის. ხოლო ნოდებული აწინდელ სობოროდ ქუთაისსა შინა არის არა სხვა რამე, ვითარცა კარიბჭე ძველისა მოხრებულისა ოსმალთა მიერ დიდისა სობორონისა, რომლისგანაც ან დაშენ მხოლოდ კედელნი ულომფინოთ თლილისა ქვისაგან აღშენებულნი სიმალლითა ცამეტ საყენზე, **რომელნიცა სიძველისა გამო ფრიად საშიშ არიან და მოითხოვენ დაქცევას**“ [3, 1-4].

„არქიტექტორ რიჰარდის გამოანგარიშებით, – წერს მკვლევარი, – ტაძრის დანგრევას დასჭირდებოდა დიდძალი ფული და დიდი დრო, რაც ოქტომბრამდე ვერ მოესწრებოდა. კავკასიის ადგილობრივ ხელისუფლებას პეტერბურგიდან ცოტა ადრე რომ მიელო ცნობა საქართველოში იმპერატორის მოსალოდნელი ჩამოსვლის შესახებ, ხოლო ეგზარქატს სათანადო თანხები ჰქონოდა, – ბაგრატის ტაძარს დაანგრევდნენ.“ ბაგრატის ტაძარი მაშინ გადარჩა.

**სტუმარს კავკასიური და მათ შორის ქართული ადათი განსაკუთრებულ პატივს მიაგებს, მაგრამ, ამ შემთხვევაში იმპერატორის წინაშე ქართველმა თავადაზნაურობამ შესამჩნევად გადააჭარბა, მათი ქცევა და სიტყვები უფრო მლიქვნელობის შთაბეჭდილებასა და უსიამოვნო განცდას ტოვებდა, ვიდრე ჩვეულებრივი სტუმრის, რაგინდარა საპატიოს, პატივისცემა გულისხმობს. ეს მით უფრო, რომ სისხლისმღვრელი დაპირისპირებანი რუსულ ხე-**



## **ლისუფლებასა და ქართველი ხალხს შორის უკვე მრავალჯერ და თანაც სულ ცოტა ხნის წინ იყო გამართული.**

ნიკოლოზ I-ის სტუმრობა სამეგრელოში ასე აქვს აღწერილი რუს ავტორს – ივანენკოს წიგნში – Гражданское управление Закавказья по присоединению Грузии до намьстничества Великого князя Михаила Николаевича. Исторический очеркъ, сост. В. Н. Иваненко. Тифл. 1901.

„ლევანი (დადიანი) უსასრულოდ კეთილშობილი და მხიარული ცხოვრების მოყვარე ადამიანი იყო, ცხოვრებას არ ინამლავდა შრომითა და სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვით და ბედს ემადლიერებოდა სამეგრელოს რუსეთთან დაკავშირებისათვის. მან უშურველად დაგვითმო ჩვენ ზღვისპირა ორი პუნქტი: რედუტ-კალე და ანაკლია, სადაც ავაშენეთ საბაჟო, ხოლო ყოველწლიური 12 ათასი მანეთი, რასაც მას ამ დათმობისათვის ხაზინიდან ვუხდიდით, ასევე სხვა შემოსავლები საკუთარი მამულებიდან, აძლევდა მას საშუალებას ეცხოვრა მშვიდად, ხელგანვდილი არ ყოფილიყო თავის ქვეყანაში და ხელქვეითებისათვის ზედმეტი გადასახადები არ შეეწერა.

1837 წელს ის შეეგება იმპერატორ ნიკოლოზ I-ს თავისი სამფლობელოს საზღვართან. ჩვეულებრივ ჩოხაში გამოწყობილი, მაგრამ გენერლის ეპოლეტებით მხრებზე და ფრთაგაყრილი სამკუთხა ქუდით, ის და დედოფალი დაჩოქილები იდგნენ მეფის წინაშე და ისე მიესალმენ უმაღლეს სტუმარს. მეფემ მათ ორივეს აკოცა და შეძრა მათმა ერთგულებამ და უბრალო გულითადობამ, ესტუმრა მათ ზუგდიდის სასახლეში და მთელი სამი დღე იქ დაჰყო. სიხარული, რითაც ლევანი ღებულობდა ყველა რუსს, ვრცელდებოდა მთელს სამეგრელოს მოსახლეობაზე, რომლებიც მიეჩვივნენ დაენახათ რუს ოფიცრებსა და ჩინოვნიკებში თავიანთი დამცველები და მეგობრები.“

იმდენად სასაცილო ყოფილა ლევანის ჩაცმულობა (ის საკუთრივ მისი შეთხზული იყო, – წერს კორნელი ბოროზდინი), რომ იმპერატორს ამან ღიმილი მოჰგვარა, მაგრამ არაფერი თქვა.

ივანენკო აღწერს დადიანის ოჯახურ ბედნიერებას, ლევანი დაქორწინებული იყო ზურაბ წერეთლის ასულზე (ცნობილი რუსეთუმე ზურაბ წერეთლისა, გმირ იმერეთის მეფეს – სოლომონ II–ს რომ უპისისპირდებოდა და რუსებთან აბეზლებდა), აღნიშნავს მისი მემკვიდრის ქორწინებას ჭავჭავაძეების ასულ ეკატერინეზე (ის ჩვენი სახელოვანი მწერლის მეუღლის – ნინოს ღვიძლი დააო, – დასძენს), ამბობს, რომ დავით დადიანი, როგორც მომავალი მთავარი, იზრდებოდა თბილისში გენერალ ბებუთოვისა და ბარონ როზენის ხელ-

მძღვანელობით, რომ მისმა ძმებმა – გრიგოლმა და კონსტანტინემ ევროპული განათლება მიიღეს („რუსეთის დამსახურებით“), რუსეთის დამსახურებითვე, 1842 წელს, მამის გარდაცვალებამდე 4 წლით ადრე დავითი მთავარი გახდა, ზუგდიდში გაჩნდა შესანიშნავი სასახლე, ბაღი, შეფ-მზარეულები, რუსულად მოლაპარაკე ახალგაზრდა მეგრელი ქალ-ვაჟები და ა. შ. [4, 486-487].

მოკლედ, რუსეთმა ქართველ ხალხში განათლება, წესრიგი და კულტურა შემოიტანაო, – ამტკიცებენ რუსი ავტორები.

იმპერატორებს უყვარდათ დადიანის მსგავსი ადამიანები, სულით, გულითა და რწმენით მორჩილები, დადიანის სამთავრო კარი მათთვის სწორედ ამგვარი ერთგულების გამოხატულება იყო. იმპერატორის ჩამოსვლა მრავალმხრივ წარმოადგენდა უდიდეს მოვლენას და პრობლემასაც: სხვა რომ არაფერი, ჯერ კიდევ საკმარისად არ იყვნენ რუსული ენის კარგად მცოდნე ადამიანები. ეს არა მარტო ქუთაისს, თბილისსაც კი ეხებოდა. ქუთაისში თავადებმა, მცირე გამონაკილს გარდა, ცუდად იცოდნენ რუსული. როგორც პურადაშვილის მოგონებებში ვკითხულობთ, მაშინდელი იმერეთის თავადაზნაურობის წინამძღოლი, თავადი გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელი ლაპარაკობდა კარგად რუსულ ენაზე და ზოგადად განათლებული ადამიანი იყო [5, 115].

იმპერატორმა ქუთაისში მოითხოვა რუსულის მცოდნე, რათა უბრალო მოქალაქეებს გამოლაპარაკებოდა, მას წარუდგა ქალაქში კარგად ცნობილი მრეწველი სტეფანე აკოფოვი, რომელიც იმერეთის მმართველობაში თარჯიმნადაც მუშაობდა. მან ისეთი შეცდომები დაუშვა პირველივე წინადადებაში, ხელმწიფეს გაელიმა და უთხრა: „ვხედავ, ჩემო კარგო, შენი საშუალებით ბევრს ვერაფერს ვიტყვიო“ [5, 56].

ძნელი ასახსნელია არა მარტო დღეს, არამედ თავად იმპერატორმაც ვერ გაიგო კარგად, რატომ შეხვდა მას ასეთი ზარ-ზეიმით თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის ქართველობა, ამდენი აჯანყებების, ომების, სისხლისა და დამცირების ქვეშ გამოტარებულმა ქართველობამ ასეთი უსაზღვრო მორჩილება და მონური ქედმობრა რატომ გამოავლინა მის წინაშე. ეს ყველაფერი მონარქიისადმი ქართველთა დამახასიათებელ ერთგულებას მიეწერა, თუმცა ისინიც იყვნენ მონარქები, რომელთაც ებრძოდა ქართველი ხალხი უძველესი დროიდან რუსეთის მორჩილებამდე. თავად იმპერატორს, 1837 წელს დლიურში ჩაუნერია: „არ შეიძლება არ გავცდე იმით, რომ ხალხი მონარქისადმი ერთგულების გრძნობას ატარებს მაშინ, როცა არსე-

ბობს მმართველობის საძაგელი წესი, რომელიც, ჩემდა სამარცხვინოდ, დიდი ხანია ტვირთად აწევს ამ მხარეს“.

კავკასიაში მოგზაურობამ დაანახა ნიკოლოზ I-ს ამ მმართველობის წესის გარდაქმნის აუცილებლობა და კიდევ განახორციელა ეს, თუმცა ამით ქართველი ხალხის ცხოვრებაში ბევრი არც არაფერი შეცვლილა.

ნიკოლოზ I-ის თბილისში სტუმრობას ბევრი ამბავი უკავშირდება, თუმცა ყველა ამბავი დოკუმენტურად გადმოცემული და დადასტურებული არაა. შემდეგდროინდელ იმპერატორთა სტუმრობა უფრო დაწვრილებით აღწერა პრესამ, განსაკუთრებით 70-80-იან წლებში ალექსანდრე II-ისა და ალექსანდრე III-ის ვიზიტები, 1837 წელს კი საქართველოში თითქმის არ გამოდოდა ჟურნალ-გაზეთები და პოლიტიკური მოვლენებიც მხოლოდ მემუარულ და მხატვრულ ლიტერატურაში თუ აისახა. ცალკეა ზეპირი გადმოცემებიც, რომელთა შორის არის ქართველთა კოლაბორაციონიზმისა თუ სამარცხვინო მლიქვნელობის გამომხატველი ფაქტები. დაუჯერებელი ამ ამბებში არც არაფერია იმ ობიექტური ისტორიული მოვლენების ფონზე, რომელთა დიდი წილი სამარცხვინო ლაქის მომცხებია ჩვენი ერის თავმოყვარეობისთვის, თუმცა არაფრით არ შეიძლება იყოს განზოგადებული ერის საერთო თვისებად: საქართველოს ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს ნამდვილი მამულიშვილები, სიკეთისა და სიმართლისათვის თავგანწირულნი, რომელთა მადლია ამ ქვეყნის გადარჩენა თავსდატეხილი ქართველებისაგან, საკუთარ თანამემამულეთა თუ მრავალრიცხოვანი მტრების ბოროტებისა და სიძულვილის ძლევა. რუსეთისგან დაპყრობილ და სახელმწიფოებრიობა წართმეულ საქართველოშიც იყვნენ ასეთი მამულიშვილები, ოღონდ ისინი უფრო ცოტანი იყვნენ, ვიდრე მოლაღატეები, კოლაბორაციონისტები, უბრალოდ გულგრილი, ან ყველაფერზე თვალების დამხუჭავი და რეალობას შეგუებული მასა. იმპერატორების ჩამოსვლას ეს უკანასკნელი ნაწილი განსაკუთრებული აღტაცებით ეგებებოდა და ეს იმის მანიშნებელიცაა, რა ძნელი იყო უმცირესობის მხრებზე გადატანილი სამშობლოს ყოფნა-არყოფნის საკითხის სიმძიმე, რა რთული ჩანდა ამ უაზრო ეიფორიაში იმ სინამდვილის დანახვა, საიდანაც უამრავი საფრთხე მოდიოდა და დროზე ჭირდებოდა მხილება-გამომზეურება.

რუსეთში თბილისელი, ცნობილი ცენზორი და თავისუფალი ქართული აზრის დამსჯელი – ლუკა ისარლიშვილი (1814-1893) დაპყრობილი კავკასიის საზოგადოების საერთო განწყობილებას ხა-

ტოვნად გადმოგვცემს რუსულ ენაზე დაწერილ წიგნში – „Письма о Грузии“.

„ხელმწიფე-იმპერატორის ხილვის ბედნიერებას რომ ღირსებოდნენ, ტფილისს მოაწყდა ყველა წოდების მოსახლეობა კავკასიის ყველა კუთხიდან. სპარსეთისა და თურქეთის საზღვრისპირა პროვინციებიდან, სამეგრელოს, აფხაზეთის, სვანეთის, დაღესტნის ხელისუფალნი. დიდხანს ეჭვობდნენ და თითქოს არცა სჯეროდათ, რომ დიდი ფადიშაჰი ჩამოზრდნებოდა და თავისივე სხივმოსილი ყურადღებით დააჯილდოვებდა ამიერკავკასიას, – ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მზრდნებელი ფადიშაჰი, რომლის ერთ ნიშანზეც კი მაღალი მთები იწყებენ ძრწოლას და ვისი თვითეული სიტყვაც კი ადამიანებს ანიჭებთ სიცოცხლესა თუ სიკვდილს, ბედნიერებასა თუ უბედურებას. ამიტომაც, მადათოვის მოედანი, როგორც მაშინ უწოდებდნენ, აქაურები ყაბახს რომ ეძახდნენ...სავსე იყო ხალხით. აქვე იდგა დათვალიერებისათვის იმ დღეს შემოყვანილი ჯარიც ერევნის პოლკითურთ. მთელი შემოგარენი, – ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან დაწყებული გოლოვინის პროსპექტის ჩათვლით, სადაც ამჟამად გიმნაზია დგას, – გადაჭედილი იყო ათასგვარი ეროვნების, ჩამომავლობის, ენის, წოდებისა თუ ქონებრივი მდგომარეობის ხალხით. და მთელი ეს უზარმაზარი მასა განსაცვიფრებელ სიჩუმეს მოეცვა, სასოებით ელოდნენ სამეფო ეკიპაჟის გამოჩენას. ბოლოს დს ბოლოს გაისმა ბრძანება: „სმენა!“ და ჯარიც ელვის სისწრაფით მოეწყო. და აჰა, გამოჩნდა მეფის ეკიპაჟიც, რომელიც შეჩერდა ინჟინერთა სახლთან... იმპერატორი ამალით, გენერლებით, ბენკენდორფით, ორლოვითა და სხვებით, რომელთა შორის კორპუსის მეთაური ბარონი როზენიც იმყოფებოდა, მიუახლოვდა ჯარის წინა ხაზს. მუსიკის ხმებიც გაისმა და სამეფო დათვალიერებამ გააბედნიერა მხედრობის ის ნაწილი, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ხელმწიფის სამსახურში და რომლის მქუხარე და მხურვალე „ურაც“ აზანზარებდა იქაურობას. ბევრი იყო იქ ბრგე გენერალი, მაგრამ ყველაზე ახოვანი მანაც იმპერატორი გახლდათ, და ეს ახოვნებაც, მანერებიც, გამოხედვაც მას რაღაც მომხიბლაობასა და მილიონთა მზრდნებლის სიდიადეს ანიჭებდა. მთელი ამ ურიცხვი, სუნთქვაშეკრული ხალხის მოწინებული მზერა მხოლოდ და მხოლოდ მისკენ, – ხელმწიფე იმპერატორისკენ იყო მიმართული...

ირგვლივ ჩქამიც კი არ ისმოდა. ხელმწიფური სამართლის აღ-

სრულებამ (პოლკ. დადიანის დასჯამ<sup>1</sup>) ადგილზევე გააქვავა ყველა: ლეკები, ფშავლები, თუშები, ხევსურები, თათრები, თურქები, სპარსელები, თურქმენები, რომელთაც ხელმწიფის სახილველად კასპიის ზღვის გადმოლახვა მოუხდათ, სხვები და სხვები. აღმოსავლეთის ხალხთა წარმოსახვაში გამოიკვეთა განსახიერება დიადი ფადიშაჰის იდეალისა, მსოფლიოს მბრძანებლისა, რომლის მონა-მორჩილიცაა კაციცა და ბუნებაც და ვისი ერთი ხელიც სიკვდილით სჯის ორგულთ, მეორე ხელი კი ერთგულების ჯილდოს ანიჭებს. ყურიდან ყურში ჩურჩულით გადადიოდა: „ესაა ჭემმარითად დიადი ფადიშაჰი!“ [6, 181-186].

ამ სურათით შეიძლება ჩვენს წინაშე ცხადად წარმოდგეს ყველა დროის იმპერიის მბრძანებელთა წინაშე ხალხის მასების თავმოდრეკის სცენა. რა იყო ეს: შიშის, ცნობისმოყვარეობის, ძალის წინაშე გადარჩენის მიზნით მასების მორჩილების გამოხატულებისა თუ, უბრალოდ, შემდრკალ-დამონებული ხალხის გულისამრევი მლიქვნელობა!.. სამწუხაროდ, თავისუფლების სიყვარულს ეს მონური სული დაპატრონებოდა და სხვაგვარი გამოვლენის უფლება წაერთმია. ყველფერი ყალბი ნამდვილად გაესაღებინა: სიძულვილი – სიყვარულად, მონობა – თავისუფლებად, გულისტყვივლი აღფრთოვანებად... ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლას ერთი პატარა ამბავიც უკავშირდება:

---

<sup>1</sup>თავადი ალექსანდრე ლევანის ძე დადიანი იყო ბარონ როზენის ქალიშვილის მეუღლე. ის მსახურობდა ერევნის პოლკში, იყო ფლიგელ-ადიუტანტი. დაკავებული თანამდებობისათვის მისი შეუფერებლობის შესახებ კავკასიაში ჩამოსულ იმპერატორს აცნობეს. თბილისის საზოგადოებასა და ჯართან პირველი შეხვედრისას ნიკოლოზმა მოიკითხა ის. დადიანი უსიტყვოდ გამოიყო მაღალი სამხედრო ჩინის მქონე პირების მწყობრს და იმპერატორს წარუდგა. იმპერატორმა მკაცრად უთხრა მას, რომ ვერ გაამართლა ნდობა, თავისი ბოროტი საქციელით პოლკში არ იმსახურებდა ფლიგელ-ადიუტანტის აქსელბანტების ტარების უფლებას, შემდეგ მიმართა თბილისის სამხედრო გუბერნატორს: – „გენერალო ბრაიკო! ჩამოხსენით დადიანს აქსელბანტები!“ ხელის ცახცახით ჩამოხსნა ბრაიკომ აქსელბანტები დადიანს და გადასცა იმპერატორს, რომელმაც მოიხმო როზენის ვაჟი და უთხრა: „ალექსანდრე როზენ, გიბოძებ ფლიგელ-ადიუტანტობას და იმედს გამოვთქვამ, მას ისევე სახელოვნად ატარებთ, როგორც მამათქვენი. ახალი ფლიგელ-ადიუტანტი მოწინებთ ეახლა იმპერატორს, ჩამოართვა აქსელბანტები და თავის ადგილზე დადგა. „მამამისი კი, – იგონებს ისარლოვი, – ძველი გენერალი და მხარის მმართველი ბარონი როზენი, მდუმარედ ეახლა მეფეს, მადლობა უძღვნა და მკერდზე ეამბოროა მის უმაღლესობას და კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდა, აღელვებული და დაბნეული, ისე, რომ ხელი არ გაუშვია შლიაპისათვის“ (ისარლოვის მოგონებები, გვ.184).

როგორ გამოარჩია იმპერატორმა თავადაზნაურთა მწკრივში ჩამდგარი ჭაბუკებიდან ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიეფერა და უთხრა: „შენ ჩემი „ორდინარეცი“ უნდა გახდეო. მართალია, პოეტს სპეციალურად ახალი შვინდისფერი ჩოხა შეუკერავს ამ დღისთვის ( როგორც მისი და იგონებდა), მაგრამ ეს არ იქნებოდა მთავარი, შეხვედრაზე ყველას საზეიმოდ ეცვა და გარეგნობითაც გამორჩეულ ყურადღებას პოეტი ვერაფრით დაიმსახურებდა. ალბათ, იმპერატორს წინასწარ ექნებოდა ცნობები მის წინააღმდეგ განწყობილ ქართველებზე და მათ შორის შესაძლოა ბარათაშვილიც ყოფილიყო, როგორც მთავრობის კრიტიკოსი, ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას კლასელ პ. ბაგრატიონთან ერთად დასჯილი. არც მისი მწარე კალამბურები გამორჩებოდათ მაშინდელ ცენზორებს. პავლე ინგოროყვამ აღნიშნა ბარათაშვილის დამოკიდებულება ტირანი მეფის – ნიკოლოზ I-ისადმი, ლექსში – „ფიქრნი მტკვრის პირას“. ინგოროყვას აზრით, „მეფე-ტირანი“, რომელიც „დრტვინავს და იტყვის: როდის იქნება, ის სამეფოცა ჩვენი იყოსო“, იყო ნიკოლოზ I. ინგოროყვას დაკვირვებით, ბოროტი მეფის ეს სიტყვები პოეტის ლექსების ავტოგრაფულ ხელნაწერ გამოცემებში, რომელიც საზოგადოებაში გასავრცელებლად იყო დაგეგმილი, ხაზგასმულია. ხაზგასმა მიღებულია ფარული აზრის განსაკუთრებული მინიშნების მიზნით [7, 62].

ბარათაშვილის ეროვნულ ცნობიერებასა და თავისუფლების პოეტური აპოლოგიით განმსჭვალულ შემოქმედებას არ შეიძლება არ დაეფრთხო საქართველოში მოღვაწე რუსი მოხელეები და მათგან ინფორმირებული იმპერატორიც ცდილობდა თავისებური დაყვავებითა და მოფერებით ქართველი საზოგადოების მოთვინიერებას.

იმპერატორი ალექსანდრე II პირველად მამას ჩამოჰყვა კავკასიაში, 1837 წელს და საკუთარი თვალთ იხილა ის უსაზღვრო თავყვანისცემა და მორჩილების გამოხატულება, რითაც აქაურმა მოსახლეობამ განაცვიფრა იმპერატორიცა და მისი მხლებელნიც. ამ თავდახრასა და უსაზღვრო მორჩილებას დიდი შედეგი არ მოჰქონდა, მაგრამ დაპყრობილი ხალხი კარგა ხანს მაინც ამ გზით ცდილობდა ყურადღების მიქცევას და ეროვნული არსებობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნაში ხელმწიფის თანადგომის იმედს. ხალხს გულუბრყვილოდ ეგონა, ან იძულებული იყო ასეთი განწყობა შეექმნა, რომ ხელმწიფე მისი ერთგული და თანამზრახველი იყო, მხოლოდ ცუდი მოხელეები აფუჭებდნენ იმპერატორის განაზრახს და არ ატარებდნენ მის პოლიტიკას.

მეორედ ის 1850 წელს ჩამოვიდა, კავკასიის ომის დროს. მოგზაურობა საშიში იყო და ახლგაზრდა ტახტის მემკვიდრეს სპეციალური ეკიპაჟით დასდევდა კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვი. ის კინალამ დაიღუპა ამ მოგზაურობისას ჩეჩენი მეომრების ხელით, რასაც იგონებს მისი თანამგზავრი მ. ი. ოლშევსკი. მას ვორონცოვი დაჰყვებოდა, რომელიც შეუძლოდ იყო, მაგრამ როდესაც გაიგონა კივილი – „ჩეჩნებიო“, ეკიპაჟიდან ისე გადმოხტა, როგორც ყმანვილი, ცხენს შეახტა და გაქცეულ ცესარევიჩს დაედევნა. როდესაც მიუახლოვდა, დაინახა, რომ მოკლული იყო ერთი თავდამსხმელი, ორი რუსი კაზაკი კი მსუბუქად დაჭრილი.

მის სტუმრობას ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში იგონებს ნიკო ნიკოლაძე. უფლისწული კლასიკურ გიმნაზიაში გაკვეთილზე შესულა, ნიკოლაძე წერს, როგორ ჰკითხა მან უფროს შეგირდს პატაროძეს რამდენი წლისა ხარო, შეგირდმა ვერ გაიგო, ეგონა ჰკითხეს რამდენი წელია სწავლობო და უპასუხა – სამი წელიო. ტახტის მემკვიდრეს გაეცინა, მოსწავლე კი უმცროს კლასში დააბრუნეს [8, 29].

მესამედ ალექსანდრე II საქართველოში 1861 წელს ჩამოვიდა, მეოთხედ კი 1871 წელს. მეორედ ჩამოსვლა მაინცდამაინც სასიამოვნო ვერ იყო იმ ქვეყანაში, რომლის ახალგაზრდა შვილებიც რუსეთის უნივერსიტეტებში აბუნტებულებიყვნენ და მონარქიის წინააღმდეგ სურდათ ხალხის დარაზმვა. იმპერატორმა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გაიგო ქართველი სტუდენტების (განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიიდან წასულების) დიდი წარმომადგენლობით ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლაში მონაწილეობის ამბავი. ამჯერად ის სასწრაფოდ გაემგზავრა, რათა მოვლენები ჩაეწყნარებინა.

1871 წლის მოგზაურობა ნამდვილად გრანდიოზული და სადღესასწაულო ელფერის იყო. იმპერატორს თან ახლდა მემკვიდრეალექსანდრე ალექსანდრეს ძე, დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, საიმპერატორო კარის მინისტრი, გენერალ-ადიუტანტი გრაფი ადლერბერგ II, ჟანდარმთა შეფი, გენერალ-ადიუტანტი გრაფი შუვალოვი, ამაღლის გენერლები – რილევი და ვოეიკოვი.

იმპერატორი ვლადიკავკაზიდან ჩამოვიდა თბილისში. მას ჯერ დუშეთში, შემდეგ კი მცხეთაში შეეგებნენ ქართველი თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წარმომადგენლები. ამ სტუმრობისას დაათვალიერა ბორჯომი, შამილის ყოფილი რეზიდენცია – ლუნიბი და კვლავ თბილისში დაბრუნდა, თბილისიდან 27 სექტემბერს გაემგზავრა ქუთაისში.

ალექსანდრე II-ის სტუმრობას დაუკავშირდა იმ დიდი განხეთ-

ქილების ჩამოვარდნა ქართულ ინტელიგენციაში, რაც „მამათა და შვილთა“ ბრძოლის სახელითაა ცნობილი. ერთ-ერთ სახელოვან მამათაგანს, გრიგოლ ორბელიანს, რომელსაც ამ დროს საზოგადო და სამხედრო მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა, თავად იმპერატორმა მიულოცა ეს თარიღი და საკუთარი ხელით დააბნია მკერდზე ალექსანდრე ნეველის ორდენი. ეს ორდენი მას უკვე მიღებული ჰქონდა, მაგრამ იმპერატორის ხელით მისი ხელახალი დაბნევა მაინც სხვა იყო და თავდახრილი, „სხვა საქართველო სად არის“ – სტრიქონების ავტორი მორჩილად ეამბორა ხელზე ამ საქართველოს დამპყრობელს. იმ დიდი გმირების სამშობლოში, რომელსაც „სადღეგრძელოში“ თვითონაც ჩამოთვლიდა და რომ არ ეწყენინებინა ხელისუფლებისათვის, დამპყრობელ ხელმწიფესაც მიამატებდა (იმპერატორ ნიკოლოზ I-ს თამარს ადარებდა), ალექსანდრე ნეველის სახელი გამორჩეულად ედიდებოდა. ამასობაში ახალგაზრდა მოღვაწეების თხოვნაც კი „გადაავიწყდათ“ ქართული საზოგადოების „მამებს“. თავადაზნაურთა საკრებულომ არ შეასრულა მათი ახალი თაობის თხოვნა: პეტიცია მიერთმიათ იმპერატორისათვის საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე. მათ ვერ გაბედეს ეს, რადგან უნივერსიტეტებისა და იქ გამეფებული თავსუფალი აზრის ასე ეშინოდა იმპერიის ხელისუფლებას, სანაცვლოდ კადეტთა კორპუსის დაარსება ითხოვეს, რაც თავად იმპერატორის სურვილიც იყო.

ალექსანდრე II-ის ვიზიტი დაწვრილებითაა აღწერილი კავკასიის რუსულ ოფიციალურ ორგანოში – გაზეთ „კავკაზში“. გაზეთის რამდენიმე ნომერი, 1871 წლის 106-დან 125-მდე ამ მნიშვნელოვანი მოვლენის დეტალებს ასახავს. იმპერატორის სტუმრობა აღწერილია 1901 წელს გამოცემულ საიუბილეო კრებულში, რომლის შემდგენელი იყო სტალინსკი.

იმპერატორის მოგზაურობისას თბილისის თავადაზნაურთა მარშალი იყო თავადი რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი. ელოდნენ რა იმპერატორს, 1870 წლის ზაფხულში, თავადაზნაურთა ყრილობამ გადაირჩია დიმიტრი ყიფიანი და ის აირჩია, მიიჩნიეს, რომ თავადიშვილი, გამოჩენილი გვარის წარმომადგენელი მეტ დაფასებას მიიღებდა ხელმწიფისაგან და საქართველოსაც მეტს გაუკეთებდა. იცოდა რა ასეთი განწყობილება ქართველი არისტოკრატისა, დიმიტრი ყიფიანმა თავად თქვა უარი თანამდებობის შენარჩუნებაზე. როგორც ვახტანგ თულაშვილი იგონებდა 1895 წელს ჟურნალ „მოამბეში“, ყიფიანმა ყრილობის მონაწილეებს ასეთი არგუმენტი წაუყენა: „ყველანი დარწმუნებული არიან, რომ ხელმწიფე-იმპერატორი



მონყალებას რასმე უბოძებს საქართველოს. და თუ ვინიცობაა, ეს იმედი არ გამართლდა, საზოგადოება მე დამაბრალებს, შენ რომ არ ყოფილიყავი მარშლად, იქნება ეს არ დაგვმართნოდო. ან, ვინ იცის, იქნება მართლა ჩე მი მარშლობა შეიქმნას მიზეზი იმისა, თუ ვინიცობაა ხელმწიფემ არავითარი მონყალება არ ისურვა და საზოგადების წინაშე დამნაშავე გამოვალო.

თავადაზნაურობამ წინამძლოლად გენერალ-ადიუტანტი რევახოვანეს ძე ანდრონიკაშვილი ამოირჩია, 1871 წელს ალექსანდრე II საქართველოში მართლაც ჩამოვიდა, მაგრამ ყველამ დავინახეთ, რა უნარიც გამოიჩინა ახალმა წინამძლოლმა და რა მონყალება მიიღო საქართველოს თავადაზნაურობამო, – შენიშნავს ვ. თულაშვილი [9].

ალექსანდრე II-ს ქართველ თავადებს შორის უკმაყოფილება 1864 წლის არჩევნებშიც სცოდნია, როდესაც ყიფიანი პირველად, დიდი კამათის შემდეგ აირჩიეს თბილის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლად. ერთ-ერთი აუდიენციის დროს, 1864 წლის 20 ივნისს, ამის თაობაზე შეკითხვები დაუსვია გენერალ გ. მუხრან-ბატონისათვის [10, 41].

კიდევ რომ ყოფილიყო ამ თანამდებობაზე, ალბათ არც ყიფიანი ჩამორჩებოდა იმ საერთო აღმატებულ პათეტიკას, რაც ანდრონიკაშვილმა და ქართველმა თავადებმა გამოავლინეს იმპერატორთან შეხვედრების დროს, და ყველა შემთხვევაში ეს შეხვედრა ქართველ ხალხს განსაკუთრებულ შედეგს ვერ მოუტანდა.

იმპერატორის მოგზაურობის დროს დაემთხვა სადღესასწაულო თარიღი (იმპერატორი 7 სექტემბერს ჩამოვიდა ჩრდილოეთ კავკასიაში, შამილისგან ახლად განთავისუფლებულ თემირ-ხან შურაში), 8 სექტემბერს კი დიდი მთავრის მეუღლის ოღლა ფიოდოროვნას დაბადების დღე იყო, რაც ამ ზეიმის საერთო განწყობილების გაგრძელებად იქცა და გაიმართა დიდი საზეიმო სადილი ბალით. დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე იმპერატორის მიერ სამურის პოლკის უფროსად დაინიშნა, აქვე დაჯილდოვდნენ სამხედრო მოსამსახურეები, რომელთა შორის იყვნენ ქართველები და თბილისელი სომხებიც: მელიქოვი, ლორის მელიქოვი, თავადები: გურიელი, კონსტანტინე დადიანი, წერეთელი, სალინოვი, ნიკო ჭავჭავაძე, ალექსანდრე თუმანოვი, იოსებ ორბელიანი, დავით ჭავჭავაძე, და სხვები. 9-ში სტუმრებმა დატოვეს თემირ-ხან-შურა და ღამე ხოჯალ-მახში გაათიეს, 10 სექტემბერს კი ღუნბში მივიდნენ.

თბილისში ჩამოვიდნენ არა მარტო კავკასიის მკვიდრი მოქალაქეები, არამედ უცხოელებიც, რათა ეხილათ იმპერატორი. მაგალი-

თად, სპარსეთის პრინცი ბეხმენ-მირზა, რომელიც შუშაში ცხოვრობდა და რუსულ ხელისუფლებასთან იყო დაახლოებული. „კავკაზის“ ცნობით, მას იმპერატორი გულითადად შეხვდა. გაზეთს აღწერილი აქვს ცერემონია პრინცთან პოლიცემისტერისა და პოლიციის შეხვედრისა, რომ ქალაქის დათვალიერებისას ის სასახლის კარვით სარგებლობდა, სახლი კი, სადაც პრინცი იდგა, კაზაკების მრავალრიცხოვანი რაზმით იყო გარშემორტყმული. 8 სექტემბერს თბილისის ენვია პორტუგალიის მეფის სპეციალური და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში – ვიკონტ ფიგანერი.

ალექსანდრე II 10 სექტემბერს ჩამოვიდა თბილისში. მას არნახული შეხვედრა მოუწყვეს. იმპერატორმა დაათვალიერა აქ მდგომი რუსული ჯარი და დააჯილდოვა მათ შორის რჩეულნი. დაჯილდოებულთა შორის იყვნენ: ქუთაისის მაზრის II განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე – კოლეგიის მდივანი ლორთქიფანიძე, ოზურგეთის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე თავადი ერისთავი, სენაკის მაზრიდან კოლეგიის მდივანი თავადი დგებუაძე, სვანეთის პრისტავი თავადი ჯორჯაძე, კოლეგიის ასესორი მაჭავარიანი, ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს თარჯიმანი – დიდებულები, ზუგდიდის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე ( მიროვი პოსრედნიკი) ერევნის პოლკის ლეიბ-გრენადერი, პორუჩიკი ქავთარაძე, III გან.-ის კოლეგიის მდივანი თავადი მიქელაძე; დაჯილდოვდნენ ასევე რუსი სამხედროები და ქუთაისის საგუბერნიო ტიტულიანი მრჩეველი თავადი დავით ლორთქიფანიძე. აქედან ზოგს ვლადიმირის III ხარისხის ორდენი, ზოგს სტანისლავის II ხარისხისა და წმინდა ანას II ხარისხის ორდენები გადაეცათ.

ის განსაკუთრებით მოიხიბლა ქალაქში არსებული სისუფთავითა და წესრიგით, ასევე საქართველოს გზებით. აღნიშნავდა რა ამ ფაქტს, კავკასიის არმიის მთავარსარდალი მიხეილ რომანოვი, მადლობას უცხადებდა კავკასიის გზათა სამმართველოს უფროსს, გენერალ-მაიორ ბლიკსს, მის ყველა თანამშრომელს მუყაითი და კეთილსინდისიერი შრომისათვის, რამაც შესაძლებელი გახადა მოკლე დროში კავკასიის გზების მოწესრიგება. ასევე დაჯილდოვდნენ (მადლობა გამოეცხადათ) ქალაქის მმართველობის მაღალ თანამდებობაზე მყოფებს, დაბალი ჩინის მოხელეებს კი ფულადი საზღაური – 50 კაპიკი დაემატათ ხელფასებზე [11, №125].

28 სექტემბერს ფოთში ჩასულმა იმპერატორმა დააჯილდოვა აქაური პოლიცემისტერი – ნადვორნი სოვეტნიკი სემიონ ლაზარევი, კოლეგიის რეგისტრატორი, სენაკის მაზრის მომრიგებელი მოსა-

მართლის თანამდებობის კანდიდატი, იუნკერი ტარიელ დადიანი. წმინდა ანას II ხარისხის ორდენი გადაეცა ერევნის ლეიბ-გრენადერთა პოლკის კაპიტანს თავად ნიკო დადიანს, სტანისლავის III ხარისხის ორდენი პრაპორშჩიკ სიმონ წერეთელს, ივანე დადიანს, მიხეილ ჩიჩუას, სიმონ გუგუნავას და თომა ახვლედიანს.

იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვიზიტი შეაფასა კავკასიის მთავარი სამმართველოს უფროსმა, სენატორმა, სტატს-სეკრეტარმა ბარონმა ნიკოლაიმ სპეციალური ცირკულარით, რომელიც 17 ოქტომბერს დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზ“-ში. მეფისნაცვლის დავალებით ბარონი ნიკოლაი ცირკულარში წერდა, რომ დიდმა მთავარმა, მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ბორჯომიდან 13 ოქტომბერს გადმოგზავნილ რესკრიპტში აცნობა მას შემდეგი: „გასული სექტემბრის 28 რიცხვში, ფოთში პატივი მერგო მიმელო მისი საიმპერატორო უდიდებულესობის რესკრიპტი, სადაც ეწერა: „1862 წელს მე წყალობა მოვიღე და დაგნიმნეთ კავკასიაში უმაღლეს სახელმწიფო და სამხედრო თანამდებობებზე: მეფისნაცვლად და კავკასიის ჯარის მთავარსარდლად. მას შემდეგ, მნიშვნელოვანი და არსებითი ცვლილებები განხორციელდა ამ შორეულ მხარეში, რომელიც მე თქვენ ჩაგაბარეთ. თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის სახელთან განუყრელად იქნება დაკავშირებული რუსული ჯარების საომარი გამირობები, რომლებიც 1864 წელს ამ მხარის დასავლეთი ნაწილის სრული დამორჩილებით დასრულდა. კავკასიის ომის დასრულების შემდეგ ჩვენს წინაშე წარმოჩნდა არანაკლები სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ახალი ამოცანები: დამორჩილებული ხალხების საბოლოო დანყნარება და ჩვენი ძალაუფლების გაძლიერება-განმტკიცება მთის ტომებზე, რაც იქნება ამ მხარის მშვიდობიანი ათვისების მყარი გარანტი. სამართლიანად ვაფასებ იმას, რომ თქვენ ამ ამოცანის შესრულებას განსაკუთრებული ძალისხმევა მოახმარეთ. თქვენ მიერ ჩაფიქრებული და თქვენი ხელმძღვანელობით განხორციელებული მთელი რიგი ღონისძიებების შედეგად მოხერხდა მთის საზოგადოებებში მტკიცე წესრიგის დამყარება და ამან იმდენად წინ წასწია მათი სამოქალაქო განვითარება, რომ ამჟამად შესაძლებლად არის მიჩნეული, რომ ბევრ მათგანში დამყარდეს რუსული დასახლებების მსაგავსი დაწესებულებები და წესები. მოვინახულე რა კავკასიის მხარე, დავათვალიერე კავკასიის არმიის ჯარები, გულწრფელად ვირწმუნე, რომ თქვენმა დაულალავმა შრომამ და ზრუნვამ კეთილი ნაყოფი გამოიღო და სრულად გაამართლა ჩემი თქვენდამი ნდობა. ყველაფერი, რაც კავკასიაში ვნახე, ოდნავ ეჭვსაც კი არტოვებს, რომ ეს ქვეყანა მტკიცედ არის დაყენებული იმპერიის განუყოფელ ნაწილად ქცევის გზაზე,

რის საფუძველსაც იძლევა აქ დამყარებული სამოქალაქო და საზოგადოებრივი ურთიერთობები. კავკასიის არმიაში მე ვიპოვე ყველაფერი ის, რაც შეიძლება მოეთხოვებოდეს ჯარს მშვიდობიანობის დროს, ესაა: ჯარისკაცების სიყოჩაღე და მხნე იერი, მათი სამწყობრო განათლების მაღალი დონე, წესრიგი, გონებაბამახვილობა და მოხერხებულობა, რაც თვანათლივ ჩანდა ჩემს წინაშე დემონსტრირებულ ყველა მათ სამხედრო მოქმედებაში, იქნებოდა ეს ნებისმიერი ტიპის იარაღის გამოყენება თუ სხვა რამ, როგორც მცირე, ისე დიდ საჯარო შენაერთებში. ეს ყველაფერი მაძლევს სრულ რწმენას, რომ კავკასიის არმია თქვენი უდიდებულესობის უშუალო ხელმძღვანელობით ისწრაფვის, რათა მშვიდობიანობის დროსაც კი მიაღწიოს სრულყოფილებას სამხედრო განათლების საქმეში, საჭიროების შემთხვევაში მზადაა თავი წარმოაჩინოს, როგორც კავკასიის არმიის ტრადიციების ღირსეულმა გამგრძელებელმა.

ახლა, როდესაც მივემგზავრები კავკასიიდან, თან მიმაქვს ყველაზე ნათელი და სასიხარულო მოგონებები ჩემ მიერ მანდ ნანახის შესახებ. ჩემთვის გულწრფელად სასიამოვნოა, გამოვუცხადო თქვენს უდიდებულესობას ჩემი გულითადი მადლობა თქვენი ცხრანლიანი შრომისა და გარჯისათვის თქვენდამი ჩაბარებული მხარის კეთილმოსაწყობად და ასევე თქვენდამი ჩაბარებული არმიის შესანიშნავი მდგომარეობის გამო.

დანერილია მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის საკუთარი ხელით და ბოლოს მიწერილია:

გულწრფელად თქვენი მოსიყვარულე და მადლიერი ძმა და მეგობარი ალექსანდრე.

ფოთი, 28 სექტემბერი, 1871 წელი“ [11, №122].

იმპერატორის რესკრიპტის მოტანის შემდეგ ბარონი ნიკოლაი წერდა: რომ ეს რესკრიპტი მას უჩენდა სურვილს ყველა თანამშრომლისათვის გამოეცხადებინა განსაკუთრებული მადლობა იმ მუშაობისათვის, რაც მათ ჩაატარეს, ხოლო ბარონ ნიკოლაის, რომელიც 8 წლის მანძილზე მისი ყველაზე ახლო თანამშრომელი იყო, ჰქონდა უფლება პირველს მიეღო მისი მადლობა, ამასთან თხოვდა, რომ გამოეცა სპეციალური ცირკულარი, რომლითაც მეფისნაცვლის გულითად მადლობას გამოუცხადებდა გუბერნატორებს, სამოქალაქო მმართველობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელებს, ასევე ყველა სახელმწიფო მოხელეს.

ნიკოლაი ასრულებდა მეფისნაცვლის დავალებას და „კავკაზში“ გამოქვეყნებულ ამ ცირკულარში მადლობას უცხადებდა კავკა-

სიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს ყველა დანესებულე-ბას, ყველა სამთავრობო და სასამართლო უწყებას, კავკასიისა და ამიერკავკასიის სამოქალაქო სამსახურში მომუშავე ყველა პირს და თავს ბედნიერად მიიჩნევდა, რომ „ყოფილიყო მისი უავგუსტესობის შუამავალი მადლობის გადმოცემის სამეში“. ხელს აწერს: მთავარი სამმართველოს უფროსი, სენატორი, სტატს-მდივანი ბარონი ნიკო-ლაი [11, №122].

ასეთი კმაყოფილებით დასრულდა „განმათავისუფლებელი“ იმ-პერატორის – ალექსანდრე II-ის მოგზაურობა კავკასიაში.

ალექსანდრე III-ის (1881-1894) მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში 1888 წელს უფრო მასშტაბური იყო, ვიდრე მისი წინამორბედების. მისი მარშრუტი ასეთი იყო: დონის როსტოვი – მინერალური წყლები – პროხლადნაია, ვლადიკავკაზი – ეკატერინოდარი – ნოვოროსიისკი – ახალი ათონი – ბათუმი – მიხაილოვო (ხაშური) – ბორჯომი – თბილისი – სიღნაღი – სოფელი ბოდბე (წმ. ნინოს ტაძარი) – წინანდალი – თელავი – თიანეთი – საბადურის უღელტეხილი – ავჭალა – აჯიკაბული – ელიზავეტპოლის სადგური – ყარაიაზი – ქუთაისი – ბათუმი.

მის მოგზაურობას ასე აღწერს რუსი ავტორი: „ძნელია აღწერა იმ სახალხო აღფრთოვანებისა, რითაც კავკასია შეეგება იმპერატორ ალექსანდრე ალექსანდრეს ძეს, რომელიც 1888 წლის შემოდგომაზე ეწვია მას თავის უავგუსტოეს ოჯახთან ერთად. და არა მარტო კავკასია, ზეიმობდა მთელი რუსეთი, კავკასიასთან დაკავშირებული განუზომელი მსხვერპლით, რომელიც ერგო მას ამ მხარეში თავისი დიდი ისტორიული მისიის შესასრულებლად. მილიონი გული ლოცვებითა და კეთილი სურვილებით ამკობდა მეფის გზას, რომელზეც მას უნდა ეხილა კავკასიის მშვიდობიანობისათვის ბრძოლის მრავალწლოვანი ნაყოფი, ნაყოფი მისი წარსულისა, მისი თანამედროვე ნაშუაკევი და კითხვები, მისი მომავლის იმედები და მიელო ყოველმხრივ სახალხო სიყვარულის გამოვლინება, ისევე უსაზღვრო, როგორც მისი ხელისუფლება, ისეთივე მტკიცე, როგორც მისდამი ნდობა და ისეთივე სამართლიანი, როგორც ამ ხელისუფლებას ეკადრება ... კავკასია არასოდეს დაივინყებს ამ სტუმრობას და ყოველთვის სიამაყით გაიმეორებს სამეფო დეპეშის სიტყვებს, რომელიც თავის დროზე ყველამ ზეპირად იცოდა: „განუსაზღვრელი კმაყოფილებით ვიგონებთ ჩვენს ზღაპრულ მოგზაურობას კავკასიაში და კიდევ ერთხელ გიძღვნიტ გულითად მადლობას“.

ალექსანდრე და მარია [12, 9].

იმპერატორის მოგზაურობისა და მასთან შეხვედრის ყველა დეტალი წინასწარ იყო განერილი სპეციალურ ბრძანებაში, რომელიც კავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსმა და ჯარების მთავარსარდალმა გენერალ-ადიუტანტმა დონდუკოვ-კორსაკოვმა გამოსცა. პურ-მარილით მიღებება, საჩუქრების გადაცემის და სხვა დეტალები ბრძანებაში დანვრილებით, 29 პუნქტად იყო ჩამოყალიბებული [13].

ალექსანდრე III ახალი ათონის ნავსადგურში მოვიდა 24 სექტემბერს. მას აქ შეეგებნენ აფხაზეთის წარმომადგენლები. იმპერატორს, ოჯახს გარდა (მეუღლე და ტახტის მემკვიდრე), ახლდნენ დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე, სხვა კარის დიდებულები, სასახლის მინისტრი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი და კავკასიის მთავარმართველი დონდუკოვ-კორსაკოვი.

აფხაზეთის თავადაზნაურობამ და სოხუმელებმა იმპერატორს მიართვეს პურ-მარილი, რისთვისაც მისგან მაღლობა მიიღეს. ქალებმა დედოფალს მიუძღვნეს ყვავილების თაიგული, გზაზეც ყვავილები და დაფნის ფოთლები დაუფინეს. სტუმრებს თავდაუხურავი ეტლი მიართვეს, რითაც ხელმწიფე, მეუღლითა და მემკვიდრით წაბრძანდნენ წმინდა პანტელეიმონის ეკლესიაში. ეკლესიის კართან მას მიეგება სოხუმის ეპისკოპოსი გენადი, მშვიდობიანად მოსვლა მიულოცა და შესხმა მოახსენა. აქედან სტუმრები სვიმონ კანანელის ეკლესიაში წაბრძანდნენ. აქ მათ უამრავი ხალხი დახვდა: მღვდელ-მონაზვნები, მონასტრის წინამძღვარი და მრევლი. მეფეს სვიმონ კანანელის ძვირფასად მოჭედილი ხატი მიართვეს, იმპერატრიცას – ღვთისმშობლის ხატი, მემკვიდრეს კი – წმინდა ნიკოლოზის. თავად იმპერატორმა ახალი ათონის მონასტერს ხუთასი თუმანი შესწირა.

მეორე დღეს, 25 სექტემბერს, დილის ათ საათზე, ხელმწიფე ბათუმში მივიდა. ციხეებიდან ზარბაზნების გრიალმა ამცნო ქალაქს მისი მობრძანება. ნავსადგური უჩეულოდ იყო მორთული, რამდენიმე მანძილზე ხალიჩები და ფარდაგები ეგო ფიანდაზად. ქალაქის თავი, საზოგადოების რჩეულ ნაწილთან ერთად, იმპერატორს პურ-მარილით მიეგება. აქაურმა ქალებმა იმპერატრიცას ყვავილების თაიგული მიართვეს. იმის შემდეგ, როდესაც დამხვედრ საზოგადოებას შეხვდა და მოიკითხა, ხელმწიფე წმინდა მიხეილის ეკლესიაში წავიდა. იქ მას ეპისკოპოსი გრიგოლი მთელი სასულიერო ამალით მიეგება. ვინაიდან კვირა დღე იყო, დაესწრენ სადღესასწაულო წირვას, წავიდნენ იმ ადგილის მოსანახულებლად, სადაც საკრებულო ტაძარი უნდა აგებულიყო. ხელმწიფემ საძირკველში პირველი ქვა ჩადო,

შემდეგ კი, იმპერატრიცამ, მემკვიდრემ და დიდმა მთვარმაც ჩადეს საძირკველში ქვები. ამის შემდეგ მოისმინეს პარაკლისი და ისხურეს აიაზმა. როგორც წმინდა მიხეილის ეკლესიაში, ისე აქაც, ეპისკოპოსმა გრიგოლმა, როგორც მაშინდელი გაზეთები აღნიშნავენ, გამორჩეული შესხმა მოახსენა ალექსანდრე III-ს. ამის შემდეგ იმპერატორი თავისი ამალით ჯარის დასათვალიერებლად წავიდა. მას განსაკუთრებით მოსწონებია გურიის დრუჟინა.

ბათუმიდან სტუმრები საღამოს ექვს საათზე გამოემგზავრნენ, ხელმწიფემ მატარებელი გააჩერებინა ციხისძირთან და თანამგზავრებთან ერთად ტკბებოდა ამ ადგილების სილამაზით.

„ივერია“ აღწერდა მის მოსვლას მიხაილოვოში (ხაშურში). „26 სექტემბერს ხელმწიფე იმპერატორმა და მისმა უავგუსტოესმა სახლობამ თავისი მობძანებით გააბედნიერა ლიხთ-ამერი. აქ, მიხაილოვოს გარემოში, მტკვრის პირას, სოფელს ცხრამუხას მახლობლად, დიდ-ძალი ცხენოსანი თუ ქვეითი ჯარი და არტილერია ბანაკადა სდგას. შუადღე მოახლოებული იყო და მათი უდიდებულესობანი მობრძანდნენ ბანაკისა და ჯარების სანახავად... ჯარის აღტაცებას არა ჰქონდა საზღვარი. ჯარმა დაინახა თუ არა დიდებული ხელმწიფე იმპერატორი მისის უავგუსტოესის სახლობითა, ასტყდა ერთი განუწყვეტელი გრიალი ურას ძახილისა. მთა, კლდე, ღრე, ტყე, მინდორი მთელის ხეობისა ზარსა და ბანს აძლევდა ამ გრიალს, ამ გრგვინვას სიხარულით აღტაცებულ ჯარისას. ჯარების გაჩხრეკის მერმედ ეღირსნენ და წარსდგნენ ხელმწიფის წინაშე დეპუტატები ახალციხისა და ახალქალაქისა და აგრეთვე ყარსისა. ხელმწიფე იმპერატორმა მონყალეს თვალით ინახულა ყველა ესენი. მერმედ მათი უდიდებულესობანი მიბძანდნენ საგანგებოდ მომზადებულს პავილიონში და საუზმე ინებეს. უმაღლეს საუზმეზედ მიწვეულ იქმნენ მრავალნი წარჩინებულნი მხედრობისა, აქ მოგროვილნი ქალნი თუ კაცნი, სადღესასწაულოდ მორთულნი ვერ სძლებდნენ შორიახლო დგომას და ყველა ისწრაფვიდა ახლოდ მისვლას, რათა ღირსებოდათ გვირგვინოსან სტუმართა ხილვა ახლოდამ. **აუსრულდათ ნატვრა და წყურვილი: ნება მიეცათ ახლო მისვლისა, ხალხმა მოინია, კედელსავით გარს შემოერტყა პავილიონს და თვისის საყვარელის ხელმწიფის და მის უავგუსტოესის სახლობის ახლოს ნახვით გაბედნიერდა“** [14, №202]. განსაკუთრებული ზეიმი იმპერატორთან შეხვედრისა გაიმართა ტფილისში. მას შეეგება გუბერნიის თავადაზნაურობა. საპატიო ყარაულში მთელი მისი საუკეთესო ნაწილი მოექცა. ისინი განსაკუთრებული პენით იყვნენ შემოსილნი. საპატიო

ყარაულის უფროსი იყო პოდპოლკოვნიკი ამილახვარი.

საპატიო ყარაულში შედიოდნენ თავადები: მ. რ. ვაჩნაძე, ნ. გ. ჭავჭავაძე, ნ. გ. ხიმშიაშვილი, ი. ზ. ტუსიშვილი, ს. გ. ჭავჭავაძე, ე. დ. ქობულაძე, ლ. გ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ნ. ტ. ვაჩნაძე, ნ. დ. ერისთავი, გ. ნ. ბეგთაბეგოვი, ლ. მ. ციციშვილი, ი. მ. ჭავჭავაძე, ი. გ. ერისთავი, დ. ი. ბარათაშვილი, ი. ზ. სუმბათაშვილი, ი. ი. აფხაზი, ი. ა. ანდრონიკაშვილი, რ. მ. ყარალაშვილი, ა. ა. ამირეჯიბი, ს. ა. ბებუთაშვილი, ზ. ბ. ფავლენიშვილი, ს. ა. ანდრონიკაშვილი, ნ. გ. ვაჩნაძე, ე. გ. თარხნიშვილი, კ. ა. ერისთავი, აზნაური გ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკი, ალექსანდრე იასეს ძე ფავლენიშვილი.

ამ საპატიო ყარაულის ყველა წევრი დაჯილდოვდა სხვადასხვა სახის ჯილდოებით [14, №206].

28 სექტემბერს რკინიგზის სადგურზე მას მოსევადებული ვერცხლის სინით შეეგება გუბერნიის მარშალი ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი. მან ისეთი მგრძნობიარე სიტყვებით მიმართა ხელმწიფეს, რომ „მათმა უდიდებულესობამ გააბედნიერა თავადი მუხრანსკი იმით, რომ ხელი გაუწოდა, ჩამოართვა და უთხრა: გმადლობ თავადო, დიდად ბედნიერი ვარ, რომ კავკასიაში მომიხდა მოსვლა“ .

სომხური საეკლესიო მხატვრობითა და ჭედურობით შემკული ვერცხლის სინით მიეგება იმპერატორს თბილისის ქალაქის თავი მატინოვი.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა გულმხურვალე სიტყვით მიმართა ხელმწიფეს და თავი არ დაზოგა ერთგულება და თავყვანისცემა დაემტკიცებინა მისთვის: „ყოვლად მონყალეო ხელმწიფევ!“ ძველად-ძველს დედაქალაქს ივერიისას მე მეღირსა ბედნიერება თქვენს იმპერატორებით დიდებულებას **ფერხთა წინაშე დავუგო ერთგულ-ქვეშევრდომული სიყვარული უსაზღვროდ თქვენდამი თავადადებულისა და ერთგულის საქართველოს თავადაზნაურობისა.**

დიდებულო ხელმწიფევ!

მეფეთა ერთგულება ანდერძია მემკვიდრეობით გადმოცემული ჩვენთა მამა-პაპათაგან, რომელთ არაერთხელ უჩვენებია მაგალითი თავგანწირულის ერთგულებისა თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ტახტისადმი.

„სარწმუნოებისა და მეფისათვისაო“ – ზედ სწერებია დროშას საქართველოს თავადაზნაურობისას მის ისტორიულ ცხოვრების მრავალ საუკუნოების განმავლობაში. „სარწმუნოებისა და მეფისათ-



ვის“ იგი დღესაც მზად არის ერთის თქვენის ბრძანებით თავი გაიწიროს სასახელოდ და სასიკვდილოდ.

მობძანება ჩვენს ქვეყანაში თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობისა – ეგ ბედნიერება, რომელიც დღეს ჩვენ წილად გვხვდა, – გვანახლებს ჩვენ სულით და ჰმოსავს ახალის ძალით უნმინდეს კავშირს თქვენის იმპერატორებითი უდიდებულესობის ტახტისასა და ჩვენის გულისას.

მობრძანებამ-ლა თქვენმან, ყოვლად მონყალეო ხელმწიფევ, მოგვანიჭა რა აქამომდე არცნობილი ჩვენ მიერ სიხარული ჩვენი დედა-მეფის პირველ ხილვისა, **ალავსნო გულნი ჩვენნი უღრმესის მადლობითა იმ შენუხებისათვის, რომელიც თქვენ იტვირთეთ ესოდენ შორეულ ქვეყანაში მოსაბძანებლად**

**შენ ხარ ხელმწიფე ჩვენი, შენთა ხელთ არის ჩვენი ძლიერება და ჩვენი ხსნა!**“

გაზეთი აგრძელებს ამ მოვლენის აღწერას და იძლევა ინფორმაციას, რომ „ამაზე ხელმწიფე იმპერატორმა ბძანა: „მადლობელი ვარ, ბატონებო, გულითადის დახვედრისათვის. დიდად მოხარული ვარ, რომ დრო მომეცა მოვსულიყავ თქვენს ქვეყანაში იმპერატორითურთ. საქართველოს თავადაზნაურობა ყოველთვის გამოჩენილი იყო ერთგულობითა და თავისის სისხლით აღბეჭდა თავისი ერთგულობა“. ვინ იცის, რას ფიქრობდა გულში იმპერატორი, ან რა თქვა თავის მსლებლებთან, ალბათ, მასაც ნიკოლოზ I-ვით უკვირდა ერთგულებისა და მორჩილების ეს წრეგადასული გამოვლინება იმ ხალხისაგან, რომელიც მისმა ქვეყანამ დაიპყრო და წაართვა ყველაფერი ეროვნული.

თბილისში მყოფი ალექსანდრე III იყო სიონში, გარდა ლოცვისა და სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა, აქ მას ეგულებოდა რუსეთის ტახტის იმ უერთგულეს მოხელეთა საფლავები, რომლებმაც თავი გასწირეს ამ მხარის საბოლოოდ დაპყრობისათვის. ყველაზე ერთგულ ქვეშევრდომს, ოდესლაც ქართველყოფილს, ციციანოვს რომ თავი დავანებოთ, აქ განისვენებდა შურისძიების მსხვერპლი ლაზარევი და ბევრი სხვაც რუს გენერალთაგანი.

სიონიდან სტუმრები მთავარმართებლის სასახლეში მივიდნენ, სადაც იყო მათი მთავარი ადგილსამყოფელი. გოლოვინის პროსპექტსა და სასახლის ქუჩაზე არ წყდებოდა ცნობისმოყვარე ხალხთა ნაკადი, მთელი ღამე განათებული ქალაქი თვალს ჭრიდა, ის ფერადი სანთლებისა და ჭრაქისაგან იყო გაჩირაღდებული, რასაც ემატებოდა ბანკის ქარვასლის წინ ანთებული „ელექტრონის მზის“ შუქი.

29 სექტემბერს სტუმრები დიდუბეს ენვივნენ. აქ დაათვალიერეს ჯარი, სპეციალურად მოწყობილ პავილიონში შებრძანდა მარია ფიოდოროვნა, მას საპატიო ყარაულში დამდგარი ორი თავადიშვილი მიეგება. მასთან შესახვედრად მოსული კავკასიის კორპუსის კომანდირის მეუღლე მ. დ. ჭავჭავაძისა იმპერატრიცას ყვავილების თაიგულით შეეგება. „ხელმწიფე იმპერატრიცამ მოწყალება მოილოდა კარგა ხანს ესაუბრა კნეინა ჭავჭავაძისას“, „ჯარებიც ელირსნენ უმაღლეს მადლობას“. მუშტაიდის ბალითა და მიხეილის ქუჩით სტუმრები I კლასიკურ გიმნაზიაში მივიდნენ, აქ მოსწავლეების მიერ შედგენილმა გუნდმა დაუკრა რუსული საერო ჰიმნი, მოსწავლე ოპოჩინინმა დედოფალს ყვავილების კონა მიართვა, მოწაფე გლობემ წაიკითხა საკუთარი ლექსი, მეფის ბრძანებით, მუსიკამ მარში დაუკრა. სამხატვრო დარბაზში დაათვალიერეს მოწაფეთა ნამუშევრები. ფიზიკის მასწავლებელმა კახიულკინმა ცესარევიჩსა და დიდ მთავარს მის მიერ შედგენილი კავკასიის ფოტოალბომი მიართვა. აქედან წავიდნენ ამიერკავკასიის დედათა ინსტიტუტში, სადაც მოისმინეს ჰიმნი, მოსწავლეთა შესრულებული ლერმონტოვის ლექსი, ოთხ როიალზე დაკრული ჩერნის კვარტეტი, კრილოვის „გუგული და მამალი“, დაათვალიერეს ინსტიტუტის ეკლესია და სამკურნალო. ყველგან რუსული სული, რუსული კულტურა და ცნობიერება ბატონობდა, იმპერატორი ამაში ადვილად დარწმუნდა.

ეგზარქოსმა პალადიმ გადაიხადა პარაკლისი, საფუძველი ჩაეყარა დედათა ინსტიტუტის ახალ შენობას, სადაც ჩადეს საძირკველში ქვები: პირველი – იმერატორმა. მეორე – იმპერატრიცამ, მესამე – ცესარევიჩმა, მეოთხე – დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ, მეხუთე – სამხედრო მინისტრმა ვანოვსკიმ, მეექვსე – მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა და მეშვიდე – სტატს-სეკრეტარმა დურნოვომ.

ამის შემდეგ სტუმრები გაემგზავრნენ წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელში. ამ სასწავლებლის დამაარსებელი 50-იანი წლების დასაწყისში იყო მიხეილ ვორონცოვის მეუღლე. აქაც საჩუქრად მიიღეს მოსწავლეების მიერ დამზადებული ნივთები, მოისმინეს რუსული სიმღერები, ხელმწიფეს განსაკუთრებით მოეწონა ხოროს ნაგალობევი : „Славься, славься наш Русский Царь“. მოინახულეს ალექსანდრე II-ის სახელზე არსებული თავშესაფარი, საღამოს იმპერატრიცას შეხვდნენ თბილისში მცხოვრები ყოფილი სახანოების წარმომადგენელი ქვრივი ქალები, მუსულმანურ ყაიდაზე და ძვირფასად ჩაცმულები, იმპერატრიცას მათ საჩუქრები გადასცეს. საღამოს სა-

სახლემში დიდი ნადიმი გაიმართა.

30 სექტემბერს სტუმრებმა მთელი ქალაქი დაათვალიერეს. იყვნენ ჩულურეთში, არსენალის მთაზე, მათ შეხვდნენ აქ მოგროვილი დუხობორები და მალაკნები, მალაკნების ოთხი ქალი ეტლს გადაუდგანინ, ხელმწიფე გაჩერდა და გადმოვიდა. ქალებმა მას ორი ბალიში აჩუქეს. მასზე რუსული ჰიმნის სამი სიტყვა იყო ამოქარგული. ერთმა ქალმა – ნოვიკოვისამ, ხელმწიფეს ნაქარგი პირსახოცი მიართვა. მე-7 ნაწილის ბოქაულ ნაცვლიშვილს ებრძანა ეს საჩუქრები სასახლემში მიეტანა.

ამის შემდეგ ინახულეს ფელდშერთა სკოლა, მოწყალეების დები და ნადეჟდას სახელზე დაარსებული თავშესაფარი, იმავე დღეს ინახულეს კავკასიის მუზეუმი, სამხედრო-საისტორიო მუზეუმი და კადეტთა კორპუსი. ამის შემდეგ მონაწილეობა მიიღეს სახალხო სეირნობაში, სადაც ხელმწიფემ სამჯერ გადაუხადა ხალხს მადლობა ასეთი დახვედრისათვის. 1 ოქტომბერს სტუმრებმა ინახულეს თელავი და ჩავიდნენ წინანდალში, სადაც ილოცეს ეკლესიაში, მათთვის გაიმართა დიდი წვეულება წინანდლის სასახლემში, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

3 ოქტომბერს სტუმრები სიღნაღში წავიდნენ, მათ ინახულეს ბოდბე, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია და სკოლა.

აი, რას წერდა გაზეთი „ივერია“ იმპერატორ ალექსანდრე III-ის ვიზიტზე 1888 წლის სექტემბერში:

„ტფილისი, 28 სექტემბერი

დღეს მეოთხე დღეა, რაც მისნი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა და მისი იმპერატორებითი უმაღლესობა ტახტის მემკვიდრე ჩვენს ქვეყანაში ბძანდებიან. კურთხეულ და ბედნიერ იყოს მათი მობძანება! ჩვენთან ერთად დღეს ყველა, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, გულის სიღრმიდამ იძახის: კურთხეულ და ბედნიერ იყოს!

ეს იშვიათი ბედნიერება, რომელიც ჩვენ გვარგუნა და გვიწყალობა ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ, ცხადი საბუთია იმისი, რომ ჩვენ, მანძილით შორს მყოფნი, ახლოს ვყოფილვართ ჩვენის ხელმწიფის გულთან და მისის უდიდებულესობის მზრუნველობისაგან ჩვენ გამოკლებულნი, გამორიცხულნი არა ვართ.

დღეს, ათ საათზედ დილით, უავგუსტოესნი და უდიდებულესნი სტუმარნი ეწვევიან ჩვენს დედაქალაქს, ამ გულს საქართველოსას. სიხარულით ველოდებით რა ჩვენს ხელმწიფეს, ჩვენს დედოფალს, ჩვენს მემკვიდრე ცესარევიჩს საქართველოს დედაქალაქში, მთელი

ჩვენი ქვეყანა, მთელი ჩვენი ერი თავის თავს ძლევამოსილად ჰგრძნობს, გამარჯვებულად ჰხადის. დღეს ჩვენი პატრონები ჩვენს შორის ბძანდებიან და ეს დიდი ამბავი მართლა რომ გამარჯვებაა, გამარჯვება მშვიდობიანი, წყნარი და მით უფრო ტკბილი და სასურველი, რომ ამ გამარჯვების სადღესასწაულო გვირგვინს სწნავს ერის უღრმესი ერთგულება და უგულისათვის სასოება თავის პატრონის, თავის ხელმწიფის მიმართ.

ხელმწიფე იმპერატორის მობძანებათავის უავგუსტოესის მეუღლით და მემკვიდრით ჭეშმარიტი ნიშანია მათის უდიდებულესობის ჩვენდამი გულის ტკივილისა და სიყვარულისა. გულ-მტკივნეულობა და სიყვარული ხელმწიფისა ერის მიმართ ერთი უდიდესი ძლევამოსილობაა, ერთი სასიქადულო გამარჯვებაა ერისათვის. დღეს ჩვენ შორის ბძანდება რა ხელმწიფე იმპერატორი და მასთან ერთად მის უმაღლეს სახლობის უავგუსტოესნი წევრნი, თავ-მონონებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ **უდიდებულესი გული დიდის და ძლიერის ხელმწიფისა ჩვენ მიერ მოგებულია და ჩვენკენ არის! ნუ თუ ეს გამარჯვება არ არის ჩვენთვის, ჩვენის ქვეყნისათვის, ჩვენის ერისათვის! გამარჯვება სხვა რა არის, თუ არ მოგება და მოპოება სანატრელისა და სანატრელი სხვა რა არის, თუ არ გულ-მტკივნეულობა და სიყვარული ხელმწიფისა ჩვენდამი! ამითი ვართ დღეს გამარჯვებულნი და გამარჯვებულნი სხვა რით მიეგებებიან თავის ბედნიერ ხელმწიფეს, თავის გულშემატკივარ პატრონს, თუ არ ერთიანის ძახილით: გაუმარჯოს ხელმწიფე იმპერატორს! გაუმარჯოს ხელმწიფე იმპერატორს! გაუმარჯოს ხელმწიფე იმპერატორს! გაუმარჯოს ხელმწიფე იმპერატორს!**

სტატიის ავტორი გამოთქვამს სურვილს, რომ მუდმივი იყოს რუსთ ხელმწიფისა და მისი ოჯახის ხილვის ბედნიერება, თუმცა ეს, სამწუხაროდ, ასე ვერ იქნება.

„ყველამ იცის, რა დიდი მონყალებაა, რომ დღეს ხელმწიფე იმპერატორი ჩვენ შორის ბძანდება, რათა თავისი ბედნიერის თვალთინახულოს თავისი ერი, რომელიც თავის ხსნას, თავის სასოებას, თავის ფარს, თავის ხმალს თავის ხელმწიფეში ჰხედავს უერთგულის ნდომით და ნდობითა. დიდი ზარია, როცა ბედი არგუნებს ერს თავის სასო-ხელმწიფეს გვერდით ეახლოს და მისის ხილვის ღირსი შეიქმნას. ამ ბრწყინვალე ბედნიერებას თუ რამ აჩრდილებს, მარტო ის, რომ გვერდით ხლება და ხილვა მისის უდიდებულესობისა ხან-მოკლეა, დღეებით გათვლილია და არა წლებით. ჩვენი ნატვრა, ჩვენი წყურვილია, რომ გვერდით ხლება და ხილვა მათთა უდიდებულესო-

ბათა იყოს და აღარ გათავდეს. მართალია, ეს მეტისმეტი ნატვრაა, მეტისმეტი წყურვილია, მაგრამ მით უფრო შესაწყნარებელია და პატივ-სადები, რომ გულითადია, ერთგულობის დანაბადია და მის მიერვე აღფრთოვანებული.“

ტიქსტის ავტორი ქართველთა გამორჩეულ, ისტორიულად დადასტურებულ თვისებას – ერთგულების ნიჭს უსვამს ხაზსა და ამით სურს ახსნას იმპერატორისა და მისი ოჯახის ყურადღება ქართველებისადმი.

„ჩვენი უღრმესი და შეურყეველი ერთგულება, ჩვენი მზადყოფნა თავდადებისათვის ჩვენ მამაპაპით მოგვდგამს, ჩვენთა სახელოვანთა წინაპართაგან მემკვიდრეობით გადმოცემულია, ჩვენის ისტორიის წმინდათა წმინდა ანდერძია. ჩვენს ერს, ჩვენს ქვეყანას არაერთხელ დაუმტკიცებია თავისის თავგანწირვითა, თავისის სისხლის ფრქვევითა, რომ ჩვენთვის ერთგულება ცარიელი სიტყვა არ არის, არამედ საქმეა და საქმე თავ-მოსაწონებელი. ჩვენ არა ვართ მდიდარნი ოქროთი და ვერცხლით. ხოლო ჩვენ ამაებზე უფრო ძვირფასი საუნჯე, ძვირფასი ქონება გვაქვს. ჩვენი საუნჯე, ჩვენი ქონება ჩვენი ერთგულებაა მისდამი, ვინც გვპატრონობს და გვიურვებს, და აი, ამ ჩვენს უღრმეს ერთგულებას, ამ ჩვენს დაუფასებელ საუნჯეს, ამ ჩვენს ხელთუქმნელ სტავრას, რომელსაც „სიღბო აქვს ქსოვილისა და სიმტკიცე ნაჭედისა“, ფიანდაზად ვუშლით ჩვენს ხსნასა და სასოებას ხელმწიფე იმპერატორს, რამეთუ გვწამს, რომ მისი უდიდებულესობა უძლიერესი ფარია ყოვლის ჩვენის კეთილისათვის და უძლეველი ხმალია უკუსაქცევლად ყოვლისა ბოროტისა.

ეს გულითადი რწმენა და სასოება, ჩვენს თავგამომეტებულ ერთგულებასთან ერთად ქვითკირსავით შედუღებულ-შეხორცებული, ის შეურყეველი კლდეა, რომელზედაც მრავალტანჯულს საქართველოს თვისის სვე-ბედის ციხე-სიმაგრე აუშენებია, რათა აწმყოს და მერმისს ნუგეშით და იმედით შეჰხაროდეს. იგი ნუგეში, იგი იმედი ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორი ბძანდება და აი, დღეს ჩვენ შევხარით ჩვენს ხელმწიფეს, ვითრცა ჩვენს ნუგეშს, ჩვენს იმედსა, შევხარით მთელის ჩვენის უღრმესის ერთგულებითა და სასოებით მისდამი ხელ-აღპყრობილნი შევლადდებთ: ვესავთ შენს ყოვლად ძლიერს მარჯვენასა, რამეთუ შენ ხარ ჩვენი ხსნა და ჩვენი ცხოვრება!“ [14, №202].

საინტერესოდ აქვს აღწერილი „ივერიას“ კახეთიდან წამოსული იმპერატორსა და მის ამაღლასთან თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის შეხვედრა საბადაურში. ეს იყო ულამაზესი ადგილი, საიდანაც იწყებოდა ერნოს ხეობა, ტყით, გორაკებითა და ფართო მინ-

დვრით მიმზიდველი, უზარმაზარი კავკასიონის მთებითა და დიდებული ყაზბეგით დამშვენებული ადგილი, რამაც სტუმრები მოხიბლა.

სახელდახელოდ აგებული „სამეფო პავილიონი“ განყოფილი იყო ვაზით, საიდანაც ნამდვილი ყურძნები მოჩანდა, ხილის ტოტებით, ქართული ფანჩატურებით დამშვენებული.... წინა სალამოს მოსულმა წვიმამ ძალზე ანერვიულა ქართველი თავადები, თუმცა მეორე დღეს გადაიღო და გაიხარეს, რომ სრულად წარმოაჩინეს თავიანთი სტუმარ-მასპინძლობა.

გუბერნიის მარშლის რძალმა კენინა ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრან-სკისამ თაიგული მიართვა იმპერატრიცას. მეფის სუფრაზე 40 კაცის დასაჯდომი ადგილი იყო. სუფრაზე იდო სანოვაგის სია, რომელთა შორის იყო: ჩიხირთმა ქათმისა, წვენი კუპატებით, კალმახი და ზუთხი ქართულად; ბეჭი ქართულად, სანებელი; ფლავი ხობხით, შვინდით, თურაჯი, მწვადები, ქართული მწნილები, ლობიო ქართულად, მასეღუანი საზამთროში, ხილეულობა, ჩაი, ყავა და სხვა. სია დაბეჭდილი იყო ქართულად და რუსულად, მასზე დახატული იყო რუმბი, საღვინეები, ქართული საკრავები. ხელმწიფე იმპერატორის მარჯვნივ ისხდნენ: კენინა მუხრან-ბატონისა, მემკვიდრე ცესრევიჩი, გრაფინია გოლენიშჩევ-კუტუზოვისა და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდროვიჩი.

მარცხნივ იმპერატორს უჯდა მეუღლე, მარია ფიოდოროვნა, გუბერნიის მარშალი თავადი ბაგრატიონ-მუხრანელი, კავკასიის მთავარმმართველის თანაშემწის მეუღლე ე. ბ. შერემეტიევისა, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და გრაფი ე.გ. შერემეტიევი.

მოშორებით ისხდნენ თავადაზნაურთა წარმომადგენლები და სოფლებიდან ჩამოსული ხალხი. შუა სადილზე გუბერნიის მარშალმა მიირთვა მეფის სადღეგრძელო, წარმოთქვეს: „ღმერო, ხელმწიფე დაიფარე“, გულბათა ჭავჭავაძემ უზარმაზარი ყანნი შესვა სულმოუთქმელად. შემდეგ წარმოითქვა იმპერატრიცას სადღეგრძელო, მეფემ ადღეგრძელა საქართველოს თავად-აზნაურობა. ასევე წარმოთქვეს ცესარევიჩისა და დიდი მთავრების – გიორგის და მიხეილის სადღეგრძელოები. გარდა ჯარების ორკესტრისა, უკრავდა აღნიაშვილის ხორო, მისმა ქართულმა სიმღერებმა – „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“, „თამარის დროშა გაშალეს“, „მაღლა ცაზე მშვიდ დარია“, ასევე თბილისელმა სახალხო მომღერალმა აბდულ-ბალიმ ხელმწიფის ყურადღება დაიმსახურა.

თავადაზნაურობამ სტუმრებს საჩუქრები მიართვა.

ბოდბეს შემდეგ იმპერატორი და მისი თანმხლებნი დატკბნენ

ყარაიაზში ორდღიანი ნადირობით.

საინტერესოა ალექსანდრე III-ის სტუმრობა ქუთაისში. ყარაიაზიდან ის სპეციალური მატარებლით სწორედ ქუთაისს გაემგზავრა. 12 ოქტომბერს, დღის 4 საათზე მატარებელი ქუთაისში ჩავიდა. ვაგზლის წინ მას აუარებელი ხალხი ელოდა. იმპერატორს მიეგება თავადაზნაურთა საპატიო ყარაული, თავადაზნაურთა მარშლები, სოფლის საზოგადოებათა დეპუტატები, ქუთაისისა და ფოთის ქალაქის თავები, თითოეულმა ცალ-ცალკე მიართვა სპეციალურად ამ შემთხვევისათვის ქუთაისისა თუ მოსკოვში დამზადებული ტაბაკებით პურ-მარილი. სტუმრებს სიტყვით მიმართა ქუთაისის ქალაქის თავმა . მისი სიტყვაც ისეთივე აღმატებულ მორჩილებას გამოხატავდა, როგორც სხვა ყველა, ქართველ თავადთა მიერ წარმოთქმული სიტყვები. „არ ძალმიძს სრულად გამოვხატო უუქვეშევრდომეს გრძნობათა სიღრმე ქუთაისის მცხოვრებთა, რომელთა სახელით ბედნიერება მაქვს პურ-მარილით მივეგებო თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას. თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობისა და თქვენის სეფე სახლელულობის მისაგებებლად ქუთაისს არ მოეპოვება არც ცეცხლები კასპიისა, არც სიმდიდრე ტფილისისა, არც ლაჟვარდი ბათუმისა, ქუთაისს აქვს მხოლოდ გრძნობა, ძველთაგანვე გამთბარი თავგანწირულის ერთგულებით ტახტისადმი, და ეს გრძნობა არ დაიშრიტების ჩვენსა და ჩვენის შთამომავლების გულში, ვიდრე სცემს ერთი გული მაინც ქართველი კაცისა“ [14, №215].

ვაგზლის პირველ დარბაზში იმპერატორსა და მის მსლებლებს მიეგებნენ გუბერნატორის, თავადაზნაურთა მარშლისა და ფოთის ქალაქის თავის მეუღლეები ყვავილებით, ვაგზლიდან გაემართნენ ქალაქის მთავარ საკრებულო ტაძრისაკენ, სადაც სტუმრებს მიეგება იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელი და ასეთი სიტყვით მიმართა: „უკეთილსმსახურესო ხელმწიფეო!

საქართველოს არაერთხელ ჰქონდა ბედნიერება ეხილნა გვირგვინოსანნი მეფენი რუსეთისანი, გარნა ეხლანდელი მობრძანება შენი საქართველოში დედოფლითა და უავგუსტოესის ძეებითურთ უმეტესად საბედნიეროა და საგულისხმიერო. იგი მობრძანება მოასწავებს, რომ ამ განაპირა ქვეყანამაც შენის სამპყრობელოსმან, ხანგრძლივს ბრძოლასა და ლაშქრობის შემდეგ, დაიმკვიდრა ბოლოს ჟამს ესოდენი მშვიდობა და კეთილდღეობა, რომ შესაძლო შეიქმნა ხელმწიფე იმპერატრიცისა და ძეთა მისისა მობრძანებაცა.

იხარებდეს სული შენი, უკეთილმსახურესო ხელმწიფეო, ხილვასა ზედა ერისა ამის, რომელიც გულწრფელის სიხარულით მოგვგებების, და ქვეყნისა ამის, რომელიც შენთა უთვითმპყრობელესთა წინაპართა მიერ იქმნა თავისუფალ, ბედნიერ და გზასა ზედა მშვიდობიანისა მუშაკობისასა მკვიდრ. მრავალსა ჟამსა არ გაუვლია მას შემდგომ, რაც ქვეყანა ესე, ვთარცა ახსოვთ და გვსმენია მამათა ჩვენთაგან, იყო აკლებულ, მოოხრებულ კიდით-კიდემდე და მორწყულ ძეთა მისთა სისხლითა. ან-კი, აჰა, განრინებული რუსეთისა ქველისა მხედრობითა ქრისტიანობისა მძულვარე მტერთაგან, ქვეყანა იგი, ვითარცა აღდგომილი მკვდრეთით, კვალად აჰყვავდა შენისა და წინაპართა შენთა სათნო გამგეობასა ქვეშე, ხელმწიფეო!

გვახსოვს რა ესე ყოველი, ჩვენ, მკვიდრნი ამა ქვეყნისანი, უსაზღვროდ ვმადლობთ: პირველად, უფალსა წინაპართა ჩვენთა განმანათლებელსა მართლმადიდებლისა სარწმუნოებითა, მეორედ, თვით წინაპართა, რომელთაც ხანგრძლივის ბრძოლისა და წამების შემდგომად, გვიანდერძეს იგი წინდი მართლმადიდებლობისა და მით გაგვიადვილეს საუკუნოდ შევრდომოდით დიდსა მართლმადიდებელსა რუსეთის სამპყრობელოსა და თანაზიარ შევექმნილიყავით სულიერისა მის საზრდოისა, დასასრულ, უსაზღვროდ ვმადლობთ შენთა თვითმპყრობელთა წინაპართა და შენცა, დიდებულო ხელმწიფეო, ყოველ იმ ურვისა, ღვანლისა და წარსაგებელისათვის, ყოველ იმ სისხლის ღვართათვის, რომელიც რუსეთმა იტვირთა ჩვენდა გამოსახსნელად მტერთა ჩვენთა ხელთაგან. უმეტესად ვმადლობთ კიდევ შენ, ხელმწიფეო, რომ არ გვამცრობ აუარებელთა ქვეშევრდომთა შენთა შორის, მობრძანდი ჩვენდა სანახავად, გაგვაცოცხლე, აღგვაფრთოვანე და შეგვაერთე ყველანი ერთისა შენდამი მადლობისა და სიყვარულისა გრძნობითა. ის არის დიდება და სახელი რუსეთის დიდისა და მსოფლიო სამპყრობელოსი, რომ ყველა ქვეშევრდომნი, ტომთა და სარწმუნოებათა განურჩევლად, ერთსა და იმავესა სამართლიანსა და პირუთვნელსა კანონებს ექვემდებარებიან, ერთი და იგივე უფლებანი აქვსთ, მაშინ როდესაც სხვათა, განათლებით თავმოძმონე დიდთა სამპყრობელოთა შინა ხშირად მხოლოდ სიტყვით არიან თანასწორნი ქვეშევრდომნი და პატივისცემა აქვსთ უღმრთოთა და ურწმუნოთა, ხოლო მართლმადიდებელთ ხშირად არა აქვთ შეწყნარებაცა ოდენ. მხოლოდ ღვთით დაფარული და ბრძენთა თვისთა მეთაურთა მიერ ხელ-ძღვანილი რუსეთი ისწრაფვის სახელმწიფოსა გამგეობასა შინაცა განახორციელოს



მართალი უფლისა.

ფიქრი იგი, რომ განგებულებასა ღვთისასა განუმზადებებს გზაი დიდი სამპყრობლოისათვის შენისა, განუგეშებსცა, მეფეო მართლმადიდებელთაო, სამეფოსა ღვანლსა და ურვასა შინა შენსა. მრავალჟამიერ ჰყოს სიცოცხლე შენი მეუფემან მეფეთამან და ბედნიერ გყოს ბედნიერებითა სახლეულობისა შენითა და მშვიდობიანისა ქვეშევრდომთა შენთა წარმატებითა“ [14, №215].

ქუთაისში ალექსანდრე III-ის სტუმრობის დეტალებს ვეცნობით პურადაშვილის, დავით კლდიაშვილის, ივანე ზურაბიშვილის, სეით იაშვილის, სამსონ ფირცხალავას, ილია ჩიქოვანის მოგონებებიდან, ასევე პეტრე და გოდერძი ვაჭრიძეების ნარკვევებიდან. ისინი აზუსტებენ იმ დეტალებს, რაც ამ მოგზაურობისას დაგეგმილად თუ დაუგეგმავად მოხდა. ქუთაისში იმპერატორის დახვედრის ორგანიზებას ხელმძღვანელობდა ქუთაისის მაშინდელი გუბერნატორი ალექსანდრე ევგენის ძე გროსმანი, საპატიო ყარაულში იყვნენ დასავლეთ საქართველოს წარჩინებული თავადები, თუმცა ძირითადი ორგანიზაცია მაინც ჯარი-სა და სამოქალაქო მმართველობის რუს მაღალჩინოსნებზე მოდიოდა. იმპერატორი გუბერნატორის ორსართულიან სახლში დააბინავეს, რომელიც საგანგებოდ მოაწყვეს. სობოროდან იმპერატორი წმინდა ნინოს სასწავლებელში მივიდა, სადაც თავი მოეყარათ როგორც ქუთაისის, ასევე ხონის სასწავლებლების მოსწავლეებს. იმპერატორს შეეგება ჩერნომორიის პოლკი, სიტყვით მიმართა გუბერნიის მარშალმა, რომელიც ამ სიტყვებით დაასრულა: „ეს ... ჩვენს ცხოვრებაში დიდებული მოვლენაა და ჩვენს გულში აძლიერებს განუქრობელს ცეცხლს წინაპართა ნაანდერძევის სიყვარულისას და ერთგულებისას ტახტისადმი, რომელიც ჩვენი უმთავრესი ნუგეშია“. წმინდა ნინოს სასწავლებელში სტუმრებს სიტყვით მიმართა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორმა სტოიანოვმა. მეფესა და დედოფალს მოსწავლეთა მიერ დამზადებული საჩუქრები მიართვეს.

13 ოქტომბერს იმპერატორმა დაათვალიერა ჰოსპიტალი, მეგზურობას უწევდა მთავარი ექიმი პოლკოვნიკი ფედორენკო. იმავე დღეს იმპერატორი მატარებლით გელათსა და მონამეთაში გაემგზავრა, მოისმინა მისთვის გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ აღვლენილი პარაკლისი. ეპისკოპოსის თხოვნით მიირთვა ჩაი, გელათის მონასტერს 1000 მანეთი შესწირა. ქუთაისში დაბრუნებისას შეიარა მონამეთაში, სადაც მას არქიმანდრიტი ბესარიონი მიეგება სამღვდლოებასთან ერთად. მათი სახელით, ქუთაისის ტაძრის წინამძღვარმა გაბრიელ ცაგარეიშვილმა სტუმარს წმინდა დავითისა და კონსტან-

ტინეს ხატი გადასცა. იმპერატორმა აქაც მოისმინა სადღესასწაულო პარაკლისი და შემდეგ წიმიდანთა ნაწილებს ემთხვია. მან მთელი მონასტერი და მისი შემოგარენი ინტერესით დაათვალიერა.

მოგზაურობისას იმპერატორების, დედოფლებისა თუ მათი თანმხლები დიდებულებისათვის საჩუქრად გადაცემული ბევრი ხატი, ასევე წინდა ნაწილები, ძვირფასი რელიქვია იყო ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის. მათი გასხვისება დიდი დანაკლისი და ზოგჯერ უბედურების მაცნე ხდებოდა, მაგრამ ვინც ამას აკეთებდა, ასე არ ფიქრობდა, მათ კი, ვინც ამ ქმედებას ეწინააღმდეგებოდა, არავინ არაფერს ეკითხებოდა. აქ უნებურად გვახსენდება კათალიკოს ბესარიონის მიმართვა ვახტანგისადმი 1733 წელს, სადაც ის ევედრება მეფეს საქართველოში დაბრუნებას და თხოვს თან წამოიღოს რუსეთში ოდესლაც გატანილი სამსჯვალავები, რომლის გარეშე სამეფოცა და ხალხიც დაზარალდა: „მაგრამ ერთს ამას მოგახსენებთ, უღვთოდ არა იქნება, იმან უნდა წარმართოს საქმე, ღმერთს აღთქმა მიეცით, რომ ღმერთმან თქვენი მოსვლა გვავლირსოს, ეკლესიებს პატივი მისცეთ, თავთავისი მამული რაც ქონებოდეს და ან შეიძლებოდეს მისცეთ და შეამკოთ, ქვეყანაზედ სამართალი და წყალობა ჩამოაგდოთ და ნათესაობაც აღარ მოხდეს შესართავად, ესეები აღთქმა დასდევით და თუ საქმეები არ წარგემართოსთ, მე თავი გამაგდებინეთ, თუ ღმერთმან ხელი მოგიმართოსთ და გაბედოთ, **ცხოველისმყოფელი სამსჯვალი გამოითხოვეთ, ის წინწამოიძღვანეთ, უმისოდ ძნელი არის.რა ეგ აქედან წაასვენეს, აღარც შენი ოჯახი დადგა, აღარც ქართლი. ვინც წაასვენა, ვერც იმას მოუხვდა კარგა...** [15, 198-200].

მიუხედავად ასეთი განწყობისა ერის საუკეთესო ნაწილის მხრიდან, მოხელეები კვლავ ასაჩუქრებდნენ საუკეთესო ხატებსა და საფასეებს, უმაღლესი ხელისუფლების თავის მოსაწონებლად არაფერს ზოგავდნენ.

რაც შეეხება ნიკოლოზ II-ს, 1888 წელს ის ახლდა მშობლებს, როდესაც რომანოვთა ოჯახმა, თანმხლებ პირებთან ერთად, დიდხანს და საფუძვლიანად დაათვალიერეს კავკასია.

მეორედ, იმპერატორი 1914 წლის 25 ნოემბერს ჩამოვიდა იმ დაპყრობილ მხარეში, რომლის მოწინავე ნაწილი ვერ ეგუებოდა ამგვარ მდგომარეობას და ასე თამამად ითხოვდა ავტონომიურ დამოუკიდებლობას.

ქართველი საზოგადოება იმპერატორს დახვდა ვაგზლის დარბაზშივე, თავადაზნაურობის სახელით მას სიტყვით მიმართა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა კოტე აფხაზმა,

რომელიც 2 წლის შემდეგ, 1916 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი გახდა [16, 132-135].

27 ნოემბერს მეფისნაცვლის სასახლეში იმპერატორს წარუდგინენ კავკასიის სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენლები. კოტე აფხაზმა აქაც წარმოთქვა სიტყვა და ქართველი თავადაზნაურობის სახელით პირობა მისცა იმპერატორს, რომ ბოლომდე იბრძოლებდნენ და რუსეთის საკეთილდღეოდ თავს დასდებდნენ, რაზედაც იმპერატორმა თავისი მადლიერება გამოხატა [17, 31].

28 ნოემბერს ქართველმა თავადაზნაურობამ იმპერატორს უმასპინძლა დავით სარაჯიშვილისეულ სახლში (დღევანდელი მარჩაბლის 13, მწერლის სახლი).

I მსოფლიო ომი ახალი დაწყებული იყო, საქართველო ფრონტის ხაზზე მდებარეობდა. მის ჩამოსვლამდე ერთი დღით ადრე ფრონტიდან ჩამოასვენეს ახალგაზრდა ოფიცერი ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. ის ქაშუეთის ტაძრის I სართულზე, წმინდა მარინეს ეკლესიაში ესვენა. მოხუცი მშობლები შვილის დაკრძალვას ვერ ბედავდნენ, რადგან იმ დროს დადგენილი წესის მიხედვით, პროვინციულ ქალაქებში იმპერატორის ყოფნის დროს სამგლოვიარო პროცესიები იკრძალებოდა. მაშინდელი ქაშუეთის ეკლესიის წინამძღოლი, შემდეგში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე თავის მოგონებებში იხსენებს ამ ამბავს და წერს, რომ იმპერატორმა ადიუტანტის ხელით მიცვალებულის პატივსაცემად გვირგვინი გაგზავნა, ხმა გავრცელდა, რომ მეორე დღეს ეკლესიაში თავადაც მივიდოდა მისასამძიმებლად, გარდაცვლილის მშობლები ელოდნენ მას, თუმცა, ეს ამბავი ჭორი აღმოჩნდა და ხელმწიფე მეორე დღით ყარსის ფრონტზე გაემგზავრა. მეუფე კალისტრატე ამ შემთხვევას კრიტიკულად იხსენებს, თუმცა მისი ეს კრიტიკა რუს ეგზარქოს პიტირიმს ეკუთვნის, რომელმაც ყველასთან დამალა მეფის გეგმები და არა მეფეს, რომელსაც წინა დღით შეეძლო მის მოსასვენებელ ადგილთან იქვე მდებარე ტაძარში შევლა და ჭირისუფლების მონახულება. პიტირიმის გამო, მეუფის თქმით, უნუგემო მშობლები ამაოდ ელოდნენ ხელმწიფე-იმპერატორს [18, 172-174].

ასეთი იყო კავკასიაში რუს იმპერატორთა ვიზიტების მოკლე და ოფიციალური ისტორია. ამ ფაქტების მიღმა ჩანს კოლონიური ქვეყანა, სადაც სამხედრო და თავადური არისტოკრატია, სავაჭრო-სამრეწველო ფენა თითქმის გარუსებულია. ისინი ცდილობენ აამონ დამპყრობელს, მათ წარმომადგენლობას კავკასიაში, რაც შეიძლება მეტად გამოიჩინონ თავი იმპერიის სამსახურში და ამით გარკვეული

პრივილეგიები მოიპოვონ. რაც შეეხება მასებს, იმპერიული იდეოლოგიის გავლენა მათზე დიდია და ისინი მინდობილნი არიან რუსული სამხედრო დიდების იდეას, რუსეთის იმპერია მიაჩნიათ გადამრჩენელად, ქართველი ერის მხსნელად. ეს სულაც არ ნიშნავს საყოველთაო მშვიდობასა და ჰარმონიის არსებობას დამპყრობელ და დაპყრობილ ხალხებს შორის. ეს კარგად ესმოდათ იმპერატორებსაც, რომლებიც ასეთი ზარ-ზეიმით იქნენ კავკასიაში მიღებულნი.

თუ როგორი იყო კოლონიური ქვეყნის მორჩილი საზოგადოება, ამას კარგად ვგრძნობთ საქართველოში მოღვაწე რუსი მოხელეების მოგონებებში, XIX ს-ის კავკასიის შესახებ.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ პროფესორ ცაგარელის 1919 წელს გამოცემული ნაშრომი, სადაც მეცნიერი იხსენებს ამგვარ ფაქტებს: „1839 წელს, ბოროდინოს გმირის – პეტრე ბაგრატიონის ფერფლის გადატანისას, ბოროდინოს ველზე მოწვეულ იმპერატორ ნიკოლოზ I-ს, ბაგრატიონთა საგვარეულოს წევრებმა, პეტრე ბაგრატიონის დამსახურებათა ხსოვნისათვის, მართვეს წერილობითი და ზეპირი თხოვნა – აღედგინა რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულება. ეს პეტიცია ინახება პეტერბურგში. ნიკალაი პავლეს ძემ ამაზე პირდაპირი პასუხი არ მისცა, თუმცა არც უარუყვია პეტიცია“ [19, 12-13].

ამავე საკითხის ხელახალ დაყენებას იგი მიაწერს რუსეთის ბოლო იმპერატორს ნიკოლოზ II-ს და აღნიშნავს: „უკანასკნელმა იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ, 11 წლის წინ (ანუ 1908 თუ 1907 წელს, რადგან ეს წიგნი 1919 წელს დაიბეჭდა, მაგრამ, ალბათ, დაინერა უფრო ადრე, ამას გვაფიქრებინებს თავად ავტორი, რომელიც იმპერატორის ამ საკითხით დაინტერესებას ქართველი პოლიტიკოსების მიერ 1907 წლის ჰააგის კონფერენციაზე წარდგენილ მიმართვას უკავშირებდა – ავტ.) უბრძანა თავის საგარეო საქმეთა მინისტრს წარედგინა მისთვის მოხსენება: რის საფუძველზე შეუერთდა საქართველო რუსეთის იმპერიას 1801 წელს? და ამისთვის გროვდებოდა ცნობები და შედგა მოხსენებითი ბარათი იმპერატორისადმი ანექსიის დროინდელი საარქივო დოკუმენტების მიხედვით. ეს განკარგულება, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვთ იმ მაღალი თანამდებობის პირებს, რომლებიც 11 წლის წინ მართავდნენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ახლა კი პარიზში სხედან“ [19, 13].

იმპერატორებთან ქართული საზოგადოების შეხვედრების თუ შემდეგი მოვლენების აღწერისას, ქართველი ავტორები ხშირად აღ-

ნიშნავდნენ იმ ფაქტს, თუ როგორ აფასებდნენ საიმპერატორო კარზე ქართველებს, როგორ „უყვარდათ“ ისინი, როგორ ანიხაურებდნენ და ენდობოდნენ მათ. ამაშიც არაფერია გამორჩეული. ასევე (თუ უფრო მეტად არა) ენდობოდნენ და ანიხაურებდნენ ქართველებს სპარსეთის შაჰისა თუ ოსმალეთის სულთნის კარზეც, მათ იქ კიდევ უფრო დიდი თანამდებობები ეჭირათ, თუმცა, ეს სულ არ უშლიდა ხელს ამ იმპერიებს ეძარცვათ საქართველო და დაემცივებინათ ქართველი ხალხი, გამოეყენებინათ ისინი თავიანთ ომებში და ყოველმხრივ შეევიწროებინათ მისი თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საზღვრები. მათთან შედარებით, რუსეთის იმპერია კიდევ უფრო შორს წავიდა: მან მთლიანად მოსპო ქართული სახელმწიფო და ის რუსეთად გადააქცია, თუმცა, ბოლომდე ეს ვერ შეძლო, და ეს იმიტომ კი არა, რომ დაინდო იგი, როგორც კეთილმა იმპერიამ, ან ქართველი ხალხი მოსწონდა და უყვარდა მისი ერთგულებისა და მამაცობის გამო, ეს თავად ქართველი ხალხის მონიხავე შვილების თავისუფლებისმოყვარე ნებამ არ დაანება. ისინი მრავლად დაიღუპნენ ანტირუსულ ბრძოლებში, ციხეებსა და გადასახლებებში, სამწუხაროდ, ზოგჯერ რუსეთშივე ქართველების ხელითა და ნებითაც, მაგრამ ამ „უმცირესობამ“ იხსნა მთლიანი ერი და მას თავისთავადობა, სახელმწიფოებრიობა, ეთნოისტორიული და ეთნოკულტურული ტრადიციები შეუნარჩუნა.

ზოგიერთი ავტორი, იგონებს რა იმპერატორთა ჩამოსვლებს, ამტკიცებს, რომ ისინი საქართველოში უშიშრად და ბედნიერად გრძნობდნენ თავს რუსეთის სხვა ქალაქებში მოგზაურობისგან განსხვავებით. სოფიო ჩიჯავაძე-კედიას მოგონებებში ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ: „მეფე ნიკოლოზი დამშვიდებულად მოძრაობდა ჩვენ მინა-წყალზე და დიდის კმაყოფილებით აღუნიშნავს, რომ არცერთ რუსულ ქალაქში ასე თავისუფლად ვერ ვივლიო“ [20, 184]. რა თქმა უნდა, ასეთი სიმშვიდის საფუძველი დიდი არ იყო. ხალხის უკმაყოფილება და ცარიზმის პოლიტიკისადმი უნდობლობა დიდი იყო საქართველოში, ხალხის ეს განწყობილება იმ ზარ-ზეიმის ფონზეც არ ავინყდებოდათ რუსეთის უმაღლეს პირებს. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის ბრძანებები, რომლებსაც კავკასიის უმაღლესი ხელისუფლება გამოსცემდა იმპერატორთა ვიზიტების წინ და სადაც დიდი სიფრთხილე ჩანდა ჩამოსული სტუმრების უსაფრთხოების დასაცავად.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. 1801-1901, Юбилейный сборник к столетию присоединения Грузии к России, материалы собрал Е. С. Сталинский, Тифлис, 1901.
2. პეტრე ვაჭრიძე, რუსეთის იმპერატორები სტუმრად ქუთაისში, ჟურნალი „მწვანეყვავილა“, 2001, № 24, ქუთაისი.
3. პეტრე ვაჭრიძე, რუსეთის იმპერატორები სტუმრად ქუთაისში, ჟურნალი „მწვანეყვავილა“, 2001, № 24, ქუთაისი, ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი. 21, საქმე 1465.
4. Гражданское управление Закавказья отъ присоединения Грузии до намъстничества Великаго князя Михаила Нилолаевича. Исторический очеркъ, сост. В. Н. Иваненко, Тифлис, 1901.
5. ი. პურადაშვილის მოგონებები, ჟურნალი „განთიადი“, 1997 წელი, №7-8.
6. Письма о Грузии, Л. С. Исарлова, издание 3. Чичинадзе, Тифлис, 1899.
7. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბულებანი, პ. ინგოროყვას რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი, 1968 წელი, გვ. 15; ნესტან სულავა, ნიკოლოზ ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“ ლიტერატურული და საღვთისმეტყველო პარადიგმები“, კრებულში – „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 2006.
8. ნიკო ნიკოლაძე, მოგონებები, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1984.
9. ვახტანგ თულაშვილი, შენიშვნა, ჟურნალი „მომამბე“, 1895, №5, მაისი.
10. ხელნაწერთა ეროვნული მუზეუმი, ბარონ ნიკოლაის ფონდი, №41.
11. გაზეთი „კავკაზი“, 1871.
12. 1801-1901, Юбилейный сборник к столетию присоединения Грузии к России, материалы собрал Е. С. Сталинский, Тифлис, 1901.
13. ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1, საქმე №405, ფურცელი 29-31.
14. გაზეთი „ივერია“, 1888.

15. Переписка на иностранных языках Грузинских Царей с Российскими Государями, от 1659 г. по 1770 г., СПб., 1861.
16. ნიკო ჯავახიშვილი, რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი და ქართველები, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 2007, №2.
17. გელა საითიძე, სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი), თბილისი, 1997.
18. კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან, გამომცემელი აკაკი ბრეგაძე, თბილისი, 2001.
19. Цагарели А., Непрекаемая права Грузии на признание независимости и на восстановления Государственных границ, Тифлис, 1919.
20. სოფიო ჩიჯავაძე-კედია, ნასმენ-ნახული, გამომცემლობა „ლეგა“, თბილისი, 2001.

**Dodo Chumburidze**

*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhisvili Tbilisi State University, Ivane Javakhisvili Institute of History and Ethnology, Chief Scientist Researcher of the Department of Modern and Contemporary History*

**Russian Emperors Visits to Georgia**

At various times, in the Caucasus and in Georgia arrived four Russian emperor (Nicholas I, Alexander II, Alexander III and Nicholas II). The article describes the events related to these visits.

მაია ფართლაძე

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტე-  
ტის დოქტორანტი

## საზოგადოებრივი აზრი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების რეფორმის შესახებ 1918-1920 წლების პრესაში

1918 წლის 25-26 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა-ში“ გამოქვეყნდა კანონპროექტი სახალხო განათლების შესახებ. გარდაქმნა სახალხო განათლების სისტემაში უფრო ადრე დაიწყო. 1917 წლის ზაფხულიდან მიმდინარეობდა ამიერკავკასიის სკოლების გაეროვნების პროცესი: ბევრ სასწავლებელში სწავლება მშობლიურ ენაზე ხდებოდა, ინერგებოდა ახალი პროგრამები და მეთოდები. ახალი კანონპროექტი გაცილებით ღრმა გარდაქმნებს ისახავდა მიზნად და სისტემის მთლიან რეფორმირებას უდებდა სათავეს [1, 183].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესვე შეიქმნა განათლების სამინისტრო, მინისტრი გახდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტი – გიორგი ლასხიშვილი. სამინისტროში სამუშაოდ მიიწვიეს რუსეთსა და ევროპაში განსწავლული საუკეთესო ქართველი ინტელიგენცია. სამინისტრომ გააგრძელა დაწყებული საქმე – ეროვნული და ეცნიერული პრინციპების სააფუძველზე სწავლა-განათლების სისტემის რეორგანიზაცია [2, 12]. ამავდროულად, სახალხო განათლების მინისტრის 1918 წლის 22 აგვისტოს ბრძანებით გაუქმდა კავკასიის სამოსწავლო კომისარიატი, მის ნაცვლად, განათლების სამინისტროსთან შეიქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სამოსწავლო საბჭო“, რომელშიც ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები გაერთიანდნენ.

პირველ რიგში, განათლების რეფორმა ეხებოდა არა მარტო სასკოლო სისტემის რეორგანიზაციას, არამედ ბევრი საგანმანათლებლო-კულტურული დაწესებულებისა და პროფესიონალურ-მეთოდური კურსების დაარსებას. მათ რიცხვში შედიოდა: ა) დაწყებითი (დაბალი) სასწავლებლები; ბ) საშუალო სასწავლებლები; გ) კერძო სკოლები; დ) პროფესიული სასწავლებლები; ე) სკოლის გარეშე განათლების დაწესებულებანი (მოძრავი ბიბლიოთეკები, სახალხო წიგნსაცავები და სამკითხველოები, სახალხო უნივერსიტეტები, სა-



ბავშვო ბალები, საკვირაო და სალამოს კურსები, უცხო ენათა კურსები, ხელბურთის კურსები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვ.); ვ) უმაღლესი სასწავლებლები; ზ) სამეცნიერო დაწესებულებები; თ) მუზეუმები, ბიბლიოთეკები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები; ი) მოკლევადიანი ყოველწლიური კურსები.

ეს იყო დიდი გარდაქმნების დასაწყისი სულიერ-კულტურულ სფეროში, რაც ქვეყნის წინსვლას და ყველა დარგის დაწინაურებას შეუწყობდა ხელს, თუკი ბოლომდე განხორციელდებოდა. ამასთანავე, რეფორმის მთავარი სულისკვეთება ქართველი ერის ეთნო-ისტორიული ტრადიციების მთავარ საფუძვლებს ეყრდნობოდა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შემდგომ წინსვლას განსაზღვრავდა. რეფორმატორების მიზანი მასწავლებლის როლის გაზრდა, მისთვის იმ ღირსების აღდგენა იყო, რაც ჯერ კიდევ სამოციანელებმა დააყენეს დღის წესრიგში. ამ მხრივ საინტერესოა გავიხსენოთ 1872 წელს პეტერბურგიდან მიხეილ ჭავჭავაძისადმი მოწერილი კირილე ლორთქიფანიძის წერილი, სადაც თერგდალეულთა ეს ღირსეული წარმომადგენელი და ილია ჭავჭავაძის ერთგული თანამოაზრე წერდა: „მე მასწავლებლის ალაგი მიხდოდა მეშოვა, და მასწავლებლობა, ჩემის აზრით, ერთი უკეთესი საქმეთაგანია, რომელიც სრულიად ეთანხმება და არ ეწინააღმდეგება სხვა სასარგებლო საქმეებს, რომელნიც ჩვენ ეხლა განსაკუთრებით უნდა გვქონდეს მხედველობაში“ [3, 145].

განათლების ახალ კანონპროექტში გათვალისწინებული იყო დარგის მთლიანი რეორგანიზაცია.

1918 წლის აგვისტოში გამართულ მთავრობის სხდომაზე მინისტრმა გიორგი ლასხიშვილმა დეტალურად წარმოადგინა მომავალი რეფორმის გზები და მეთოდები, ის დაბრკოლებანი, რაც შეიძლებოდა წინ გადაღობებოდა ამ პროცესს, ისაუბრა მოქალაქეობის საკითხზე და აღნიშნა, რომ სახელმწიფო სასწავლებლებში სწავლების უფლება ექნებოდათ საქართველოს მოქალაქეებს, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირები ისარგებლებდნენ მხოლოდ კერძო, ფასიანი სკოლებით [6, 21-24].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეფორმის გასატარებლად ათი მილიონი მანეთი გამოჰყო, რაც იმ დროისათვის დიდი თანხა იყო. განათლების სფეროში მუშაობდნენ და რეფორმის განხორციელებაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი პედაგოგები, ლიტერატურისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების რეფორმას სახელმწიფო-ებრივი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული, იყო დადებითი და ერის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისათვის სასარგებლო შედეგებიც, მაინც თვალნათლივ ჩანდა ბევრი ხარვეზიც რეფორმის განხორციელებაში. იმდროინდელ ურთულეს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მძიმე საშინაო და საგარეო ვითარების პირობებში, ვერ ხერხდებოდა რეფორმით გათვალისწინებული ყველა მიზნის შესრულება. იყო სუბიექტური მიზეზებიც, რაც მთავარობისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ცუდი მუშაობით, დაუდევრობითა და უცოდინრობით იყო გამოწვეული. მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილი პარტიები და მათი პრესა ამ მიზეზებს არ მალავდა და ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად აქცევდა.

ქვემოთ შემოგთავაზებთ ყველაზე რადიკალურად განწყობილი ოპოზიციური პარტიის – ეროვნულ-დემოკრატიების გაზეთ „საქართველოს“ მასალებს, მის დამოკიდებულებას განათლების რეფორმისადმი.

ცნობილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე – იპოლიტე ვართაგავა პუბლიცისტიური წერილების სერიაში – „სკოლის რეორგანიზაციისათვის“ – ეხებოდა განათლების რეფორმის ძირეულ საკითხებს. პუბლიცისტი საუბრობდა რეფორმის გატარებაში არსებულ ხარვეზებზე, ქართული სკოლის ჩამორჩენასა და ამ სფეროსადმი სახელმწიფო ორგანოების დაუდევრობაზე. „ერის გონებრივი, ზნეობრივი და ეკონომიკური წინსვლა სკოლაზეა დამოკიდებული, – წერდა ვართაგავა, – სკოლა ერთგვარი ლაბორატორიაა, სადაც მზადდება და გროვდება ის მასალა, რომელიც უნდა მოხმარდეს ცხოვრების სხვადასხვა დარგის ჯეროვნად მონყობას და გაფართოებას, აქ ეყრება საფუძველი მოქალაქის ცოდნას, აქ მუშავდება მისი მსოფლმხედველობა“.

ხასიათის, ნებისყოფის, ქვეყნის მომავალი ღირსეული მოქალაქის ყველა საუკეთესო თვისების ჩამოყალიბება, პუბლიცისტის აზრით, სკოლაში უნდა მომხდარიყო. იგი მახინჯ მოვლენად მიიჩნევდა ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების მცდელობას – ჰყოლოდათ სკოლა თავიანთ გავლენაში, საკუთარი ნება-სურვილით მოეწყობათ მისი ორგანიზაცია, გამოეყენებიათ მოსწავლეები და პედაგოგები პარტიული იდეების გასავრცელებლად. პუბლიცისტი თვლიდა, რომ ქართული სკოლა შინაარსით თვისობრივად კვლავ რუსული იყო. მას არ მოსწონდა განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული დებულება დირექტორების შესახებ, რაც ზღუდავდა იმ მცირე ავტონომიასაც, რევიოლუციის შემდეგ ქართულმა სკოლამ რომ მიიღო. საქმე ეხებოდა

დირექტორთა უფლებას – დაეთხოვათ მასწავლებელი პედაგოგიური საბჭოს დაუკითხავად. ვართავავას ეს კანონი მიაჩნდა არაკოლეგიალურად, პედაგოგის შეურაცხყოფად და დამცირებად, ძველი რუსული სკოლის მეთოდად. ის ასევე აკრიტიკებდა სასწავლო გეგმებს, სწავლის სისტემას და ასკვნოდა: „ამნაირად ჩვენში დღემდე სკოლა არ განახლებულა, ფაქტიურად იგი ისევ რუსული ელფერისა და ხასიათისაა. ამ ახალ ცხოვრებას, ახალ მოთხოვნილებებს და განცდას მისი სახე არ შეუცვლია.“ პუბლიცისტი ითხოვდა მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებას: სკოლის გაქართულებას, მისი პროფილის სწორად შემუშავებას, სწავლა-აღზრდის ახალი სისტემის შემოღებას. მისი აზრით, ეს საქმე გადაწყდებოდა არა კაბინეტებში, არამედ საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობით.

პუბლიცისტი აკრიტიკებდა ქუთაისში წასულ „დამსჯელ ექსპედიციას“, – რევიზიას, რომელსაც არ ჰქონდა მტკიცედ შემუშავებული სახელმძღვანელო კრიტერიუმები, რითაც გააკონტროლებდა სწავლებაში არსებულ ვითარებას. ამიტომ, რევიზიასაც იგი რუსულს უწოდებდა, სინანულით და ირონიით დასძენდა იმ მდგომარეობაზე, რაც, შესაძლოა, გამოჩენილ ქუთაისელ პედაგოგს იოსებ ოცხელს დაჰმართნოდა ამგვარი რევიზიის სტუმრობისას [4].

პუბლიცისტი „ზ-ედილი“ ზაქარია ედილაშვილი აღწერდა სახალხო სკოლების მდგომარეობას ქართლში, თანამდებობის პირთაგან სკოლების ანიოკებას, სოფლის სამღვდელოების დამოკიდებულებას ამ მოვლენებისადმი, საუბრობდა გორის სასულიერო სასწავლებლებზე.

„საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებული ამ პუბლიკაციით ნათელი ხდება, თუ როგორ უჭირდა ქართულ სკოლას ქვეყნის ერთ მნიშვნელოვან რეგიონში – ქართლში, როგორ ფერხდებოდა აქ სასკოლო რეფორმის განხორციელება. ფრონის ხეობის ოცდაათამდე სოფელში ამ დროს მხოლოდ ერთი კერძო, კ. ამირეჯიბის სკოლა ყოფილა. გორის სამაზრო ერობას მიზნად დაუსახავს ამ საქმის გამოსწორება ახალი სკოლების დაარსებით, მაგრამ საამისოდ საჭირო კადრების ნაკლებობის გამო, 1919 წლის 10 თებერვლიდან გაუხსნია მასწავლებელთა დახელოვნების კურსები.

კურსებზე ოთხკლასდამთავრებულებს ლებულობდნენ. პუბლიცისტის მართებული შენიშვნით, უმჯობესი იყო ადგილობრივი კადრები მოემზადებინათ, რომლებიც ადვილად ნავიდოდნენ სამუშაოდ აქაურ სოფლებში. მომხდარა ისე, რომ მსმენელებად ჩარიცხულან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები. ამის მი-

ზეზი კი ის გამხდარა, რომ განცხადება კურსების შესახებ გამოქვეყნებულა თბილისისა და ქუთაისის პრესაში, რადგან გორში გაზეთი არ გამოდიოდა. მასწავლებლების დახელოვნების კურსების გახსნას გორში პუბლიკაციის ავტორი მაინც დადებით მოვლენად აფასებდა. ის ითხოვდა მასწავლებელთა უფლებების დაცვას, მოჰყავდა მოხელეთა თვითნებობისა და სოფლის პედაგოგთა გაუსაძლისი ყოფის მაგალითები. პუბლიცისტი აკრიტიკებდა სასულიერო ცხოვრებაში არსებულ მდგომარეობას და ქვეყნის სასულიერო ხელისუფალთაგან რეგიონების მიმართ მეტ ყურადღებას ითხოვდა. სასულიერო პირთა დაკნინებას იგი აბრალებდა მთავრობას, რომელმაც დახურა სასულიერო სასწავლებლები და სემინარიები, სამღვდელოებას მოუხსო ის მცირე შემოსავალიც, რაც პედაგოგიური საქმიანობიდან ჰქონდა. ის არასამართლიანად მიიჩნევდა გორის სასულიერო სემინარიის გადაკეთებას გიმნაზიად, მიიჩნევდა, რომ გორი ორ გიმნაზიას ვერ შეინახავდა, ამიტომ მოითხოვდა სემინარიის სასოფლო-სამეურნეო სკოლად გადაკეთებას. ამ სკოლისთვის ორმოცი დესეტინა მიწის გამოყოფა იყო შესაძლებელი სკრის ხეხილის ბალის სახით, რომელიც ჩამოერთვათ მემამულეებს – ავსარქისოვსა და ფრიდონოვს. პუბლიცისტის აზრით, გორის მაზრა ასეთი ტიპის სასწავლებელს ნამდვილად საჭიროებდა [5].

მდგომარეობა არც კახეთში იყო უკეთესი. „მგზავრი-მოკეთის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში გაზეთი „საქართველო“ კახეთის ამბებს ასე გადმოგვცემდა: „კახეთში სკოლები ყველგან უკან და უკან მიდიან, სამკითხველოებს ზედაც აღარავინ უყურებს, არის რამე კი შიგ? ამბობენ, ეულ-დაცარიელებულიაო“ [7].

გაზეთის აზრით, განათლების სფეროს პოლიტიკა არ უნდა შეჭებოდა. პუბლიცისტ პავლე მოსულიშვილის თქმით, „პოლიტიკა ამ ძვირფას იარაღს, როგორც მიწა ჟანგს, ისე სჭამდა.“ ქართული სკოლებისა და საგანმანათლებლო სფეროს კრიტიკის მიუხედავად, „საქართველო“ ამ დარგში სომხეთის მაგალითს მიმართავდა და ამბობდა, რომ ამ მეზობელი ქვეყნის შოვინისტური წრეები ნამლავენ ერის აზროვნებას, აკნინებენ მას ზნეობრივად, საქართველოში კი ამგვარი რამ არ ხდებოდა, ჩვენში მცხოვრები სომხები, მოსულიშვილის აზრით, „კუჭის პოლიტიკას“ ამჯობინებდნენ, ქართველი პატრიოტები კი უკანასკნელ გროშებს იღებდნენ ერის გასანათლებლად გამოცემული სამეცნიერო და საკითხავი ლიტერატურისათვის. მას მოჰყავდა თბილისში გამოცემული წიგნების სტატისტიკა. 1918 წლისათვის პოლიტიკური წიგნი გამოსულა სომხურ ენაზე – 28, ქარ-

თულ ენაზე – 6, სამეცნიერო ხასიათის – სომხურად – 26, ქართულად – 35, საკითხავი ნიგნები – სომხურად 12, ქართულ ენაზე – 50. ეს ფაქტი პუბლიცისტს სომეხი პოლიტიკოსების ღალატად მიაჩნდა საკუთარი ხალხისადმი, ქართულ სინამდვილეს, ჩვენში განათლების მიმართ ზრუნვას კი მაღალ შეფასებას აძლევდა. მითუმეტეს, ეკონომიკური საშუალებები სომხური დიასპორის წარმომადგენლებს მეტი ჰქონდათ, ვიდრე ქართველ მამულიშვილებს [8].

ოპოზიციური პრესა არც ქართულ სინამდვილეს ინდობდა. ის აკრიტიკებდა საზოგადოებას, რომელსაც ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხებისადმი მეტი ინტერესი გააჩნდა, ვიდრე ერისათვის სასიცოცხლო – ქართული კულტურისადმი. პუბლიცისტი გიორგი ნადირაშვილი რადიკალურ მოსაზრებას გამოთქვამდა განათლების იმდროინდელი სისტემისადმი და სრულიად უვარგისად მიიჩნევდა მას. „ჩვენ შევქმენით ახალი სახელმწიფო წყობილება, – წერდა იგი, – გავძლიერეთ შინაური და გარეშე პოლიტიკური ძალები, მოვახდინეთ ყველა ძალის ფილტრაცია ნაციონალური მიზნების მიხედვით, მაგრამ თამამად შემოიძლია ვთქვა, რომ ამ მხრივ ჩვენ სკოლას და პედაგოგიკას არაფერი ახალი არ შემატეზია“.

სკოლა უნდა გამხდარიყო ახალი კადრების სამჭედლო, რისთვისაც მისი სრული გარდაქმნა იყო საჭირო. ძველი სკოლა ქართული ენის ემიგრაციას ახდენდა, – წერდა პუბლიცისტი, – ახლა კი უნდა დაბრუნდეს ეს ენა სკოლაში, უნდა დაიშალოს სწავლების ანტიქართული სისტემა, რუსიციზმი, დაბრუნდეს ეროვნული სჯული. „ის ქართული ნაციონალიზმი, – ამტკიცებდა იგი, – რაც ძველმა სამინისტრომ ამოწურა, დღეს ლასხიშვილის სამინისტრომ უკანვე უნდა ჩასწუროს. ის ქართული სული, რომელიც ნიკოლოზის მთავრობამ ამოგვხადა, ჩვენმა მთავრობამ უნდა დაგვიბრუნოს“. ასეთი კრიტიკა შეიძლება უსაფუძვლოდ მოგვეჩვენოს, თუ მაშინდელ სასკოლო პროგრამებს გადავხედავთ, თუ განათლების რეფორმის პროექტს წავიკითხავთ, მაგრამ, როგორც ნადირაშვილი წერდა, ეს ყველაფერი თეორიულად ხდებოდა და არა პრაქტიკულად. მას მოჰყავდა ერთ-ერთი ვაჟთა გიმნაზიის მაგალითი, სადაც უფროს კლასებში სწავლა ძირითადად, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ამის მიზეზად დასახელებული იყო მოსწავლეთა შერეული კონტინგენტი, სხვადასხვა ეროვნების ბავშვებისათვის კი სკოლის ხელმძღვანელობა უმჯობესად რუსულ ენაზე სწავლებას მიიჩნევდა. ეს ყველაფერი, პუბლიცისტის თქმით, ეროვნულ ნიადაგს აცლიდა ქართულ სკოლას, გადაგვარებით ემუქრებოდა მას [9].

გაზეთი „საქართველო“ სწავლობდა და აქვეყნებდა მასალებს საქართველოს ყველა კუთხეში მიმდინარე მოვლენების, სკოლების მდგომარეობის შესახებ. განსაკუთრებით შუქდებოდა იმ რეგიონების სასწავლო დაწესებულებების მუშაობა, სადაც ხშირი იყო გარეშე ძალების მიერ მოწყობილი დივერსიები, ანდა ოკუპირებული იყო ტერიტორია. ასეთი იყო აფხაზეთის, აჭარის, მესხეთ-ჯავახეთის მხარეები. მთავრობა ცდილობდა სასწავლო პროცესის აღდგენას ამ რეგიონებში, ბიუჯეტიდან გამოყოფდა თანხებს ახალი სკოლების აშენებისა თუ ძველი შენობების შეკეთებისათვის. 1929 წლის აგვისტოში ერთი მილიონი მანეთის კრედიტი მიუღია მესხეთ-ჯავახეთის სკოლებს. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს ახალციხის ერობა ხელმძღვანელობდა, რომელიც ცდილობდა ეროვნული პოლიტიკის გატარებას ამ მხარეში, რომელიც ცოტა ხნის წინათ თურქებს ჰქონდათ დაპყრობილი.

გაზეთ „საქართველოს“ ცნობით, ამ მხარეში შესაკეთებელი ყოფილა 27 სკოლა. რედაქცია მწუხარებით აუწყებდა მკითხველს, რომ თურქებზე მეტად სკოლები ადგილობრივ მცხოვრებლებს დაურბევიათ, ჭერი და იატაკი საწვავად გამოუყენებიათ. განსაკუთრებით განადგურებულა არაკვას, არასტანის და დილისკის სასკოლო შენობები. შედარებით კარგად ყოფილა დაცული ქართული სკოლები ბარალეთში, ქალდასა და ჩენჩხში. ყველაზე კარგად დუხობორების რუსული სკოლები შენახულა.

ახალციხის მაზრაში, 1919 წელს, გაზეთ „საქართველოს“ ცნობით, 14 მოქმედი სკოლა ყოფილა, აქედან ხუთი თვითონ ახალციხეში, ცხრა – მაზრის სოფლებში. ახალციხეში ერთი სკოლა უმაღლეს-დანყებითი სასწავლებელი იყო, ქართულ-სომხური კლასებით, ოთხი – დანყებითი, ქართველი, სომეხი და მუსულმანი მოსახლეობისათვის. 1920 წელს აქ ათი დანყებითი სკოლა გახსნილა, რაც მიუთითებდა რესპუბლიკის ხელისუფლების განსაკუთრებულ ყურადღებას მაზრის მიმართ.

ჯავახეთში (ახალციხის მაზრა) ყოფილა მხოლოდ ოთხი სკოლა, ორი ახალციხეში: უმაღლეს-დანყებითი და დანყებითი, ორი კი მაზრაში: ქართული და რუსული – დუხობორებისათვის. 1920 წელს ახალქალაქის მაზრაში ოცამდე დანყებითი სკოლა გახსნილა. ეს რიცხვი უთუოდ სოლიდური იყო და მოწმობდა იმას, თუ რა წვლილი შეჰქონდა განათლების რეფორმას მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის [10].

პრესა აკრიტიკებდა სკოლების მდგომარეობას თერჯოლაში.

„საქართველო“ აღწერდა სკოლებს, რომლებიც შედარებით მშვიდობიან პირობებში მუშაობდნენ, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანოების დაუდევრობით, არანაკლებ მძიმე მდგომარეობა ჰქონდათ განაპირა რაიონების, კერძოდ – მესხეთ-ჯავახეთის სკოლებთან შედარებით. ჩამტვრეული ფანჯრები, ფარღალალა კედლები, სადაც „ქარი კი არა, დათვიც კი გაეტეოდა“, უბინაო მასწავლებლები და ინვენტარის გარეშე მდგარი სასკოლო შენობები, – ასე აღწერდა გაზეთი სკოლების სურათს. პუბლიცისტი შეუძლებლად მიიჩნევდა ამ პირობებში მუშაობას. მისი აზრით, სათემო ერობას სამაზროც უნდა დახმარებოდა და ეს მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა აღმოეფხვრათ. „ბატონებო, მიაქციეთ ყურადღება სკოლებს და მასწავლებლებს. აკმარეთ შიმშილი მასწავლებლობას და სიცივიტ ნუ მოჰკლავთ მათ!“ – ასეთი მიმართვით მთავრდებოდა პუბლიკაცია [11, 36].

გაზეთი ეხებოდა რესპუბლიკის გარეთ არსებული ქართული სკოლების მუშაობასაც. ასეთი იყო ბაქოს ქართული სკოლა. ამ დროს აზერბაიჯანში ბევრი ქართველი ცხოვრობდა, ესენი იყვნენ ნავთობსარეწებში მომუშავე მუშები, ინტელიგენცია, სამხედროები, რომლებიც რუსეთიდან დაბრუნდნენ და ქართულ ჯარში ვერ იშოვეს სამსახური. სამაგიეროდ, ისინი აზერბაიჯანის არმიის მშენებლობაში ასრულებდნენ დიდ როლს. აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების შეკრების ცენტრი იყო ბაქოს ქართული სკოლა. აქვე მოქმედებდა ქართული ეროვნული საბჭოც.

როდესაც 1918 წლის ზაფხულში თურქები, აჭარისა და სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, აზერბაიჯანში შევიდნენ, იქ მცხოვრები ოთხასი ქართველი ბაქოს ქართულ სკოლაში შეიკრიბა. მათ 82 სომეხიც შეუერთდა. ისინი თურქული ჯარისაგან ანგარიშსწორებას ელოდნენ, მითუმეტეს, აზერბაიჯანულ ნაწილებს ბაქოს დაცვისას ძირითადად ქართველები ეხმარებოდნენ. მართალია, ამ რაზმის ერთი ნაწილი ტყვედ ჩაუვარდა თურქებს, მაგრამ ისინი გაათავისუფლეს. მშვიდობიანი მოსახლეობაც ელოდა რეპრესიებს, მაგრამ თურქმა გენერალმა ნური-ფაშამ დაამშვიდა სკოლაში თავშეფარებული ადამიანები. მან დაარწმუნა ისინი, რომ საქართველოსთან მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მისმა ქვეყანამ და დახმარებაც კი მისცა ბაქოელ ქართველებს, ორმოცდაათი ათასი მანეთი გამოუყო სესხად და დაჰპირდა სურსათით უზრუნველყოფას. ოსმალები ტყვე ქართველ ჯარისკაცებს და იმ სამიათას კაცს, რომლებსაც საქართველოში დაბრუნება სურდათ, დაჰ-

პირდნენ გამომგზავრებასა და საქართველოს მთავრობის განკარგულებაში გადმოცემას. ქართველებთან ერთად, წამოსვლა ისურვეს სომხებმა და რუსებმა, რომლებმაც საქართველო უფრო მშვიდობიან ადგილად მიიჩნიეს. მათ მიმართეს ბაქოს ქართულ სკოლაში მოქმედ ქართველთა ეროვნულ საბჭოს და თანხმობა მიიღეს. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა სპეციალური ვაგონები გამოჰყო ამ ხალხის გამოსაგზავნად, მაგრამ დაჰპირდა, რომ მატარებელს ყველა სადგურში გაჩხრეკდნენ, რათა დამნაშავე ელემენტებს არ ესარგებლათ შემთხვევით და არ გაჰყოლოდნენ მათ [12, 84].

გაზეთი „საქართველო“ აკრიტიკებდა სახელმძღვანელოებს, სასკოლო პროგრამებს, ცალკეული საგნების სწავლებას ქართულ სკოლებში და სახავდა ამ ნაკლოვანებების გამოსწორების გზებს.

გარდა ძირითადი საგნებისა: ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, წამოიჭრა ფიზიკური კულტურის სწავლების გაუმჯობესების საკითხი, ახალგაზრდა ჯანსაღი თაობის აღზრდის საქმეში მისი უმნიშვნელოვანესი როლის გათვალისწინებით.

ამ საკითხის ეხებოდა „საქართველოს“ პუბლიკაციების სერია, რომლის ავტორი იყო ალექსანდრე მანსვეტაშვილი. ავტორი ფიზიკურ აღზრდას ერის მომავლისათვის მნიშვნელოვან მოვლენად თვლიდა, აკრიტიკებდა ქართულ სკოლას ფიზიკური აღზრდის ძველი, რუსული მეთოდების გამოყენების გამო. პუბლიცისტი მართალი იყო, როდესაც აყენებდა ამ საგნის სწავლებაში ძველი ქართული, სპორტული ტრადიციების აღდგენის, ასევე, ევროპული გამოცდილების გადმოტანის საკითხს. ის ახასიათებდა შვედურ გიმნასტიკას, – მუშაითს, მისი წარმოშობის ისტორიას, მეცნიერული გიმნასტიკის ფუძემდებლის – ჰენრიკ ლონგის თეორიას და გაზეთის მკითხველს უხსნიდა, თუ რით იყო ქართველი მკითხველისათვის ეს თეორია საინტერესო. ვინაიდან საგანი ეყრდნობოდა ანატომიისა და ფიზიოლოგიის მონაცემებთან სპორტული ვარჯიშის სინთეზს, მანსვეტაშვილი მოითხოვდა საგნის მასწავლებლებად ფართო განათლების მქონე პირების მომზადებას. მისი აზრით, ფიზიკური აღზრდის სწავლება სავალდებულო უნდა ყოფილიყო 7-14 წლის ასაკის ბავშვებისათვის. მანსვეტაშვილის ვრცელი წერილი განიხილავდა ათწლეულების მანძილზე სკანდინავიის ქვეყნებში დაგროვილ გამოცდილებას ფიზიკური აღზრდის სწავლებაში, შეჯიბრებების, ქალთა და მამაკაცთა პროგრამების მრავალფეროვნებას.

პუბლიცისტი ითხოვდა სპეციალისტების მივლინებას შვეციაში,



იქაური გამოცდილების გადმოტანას ქართულ სკოლებში და მასთან ძველი ქართული სპორტული ტრადიციების შერწყმას [13]. ამავე თემაზე საინტერესო სტატიები გამოაქვეყნა ნიკო ნიკოლაძის ვაჟმა გიორგი ნიკოლაძემ 1918 წლის აგვისტოში, გაზეთ „საქართველოში“.

1918-1920 წლებში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მოსწავლე-ახალგაზრდობა ტოვებდა სკოლას და ჯარში მიდიოდა. ბევრი მათგანი ეწირებოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. უცხოეთიდან ახლად დაბრუნებული პეტრე სურგულაძე აღრთოვანებით წერდა ასეთ შემთხვევებზე, აღნიშნავდა, რომ ნატანებში საკუთარი თვალთ ნახა საქვეყნო ინტერესებისათვის თავგადადებული ყმანვილები. ისინი იმ ჯარში იყვნენ, რომელსაც „ბევრი კეთილი სურვილი ჰქონდა, მაგრამ ნაჩქარევად იყო მოწყობილი“. ამიტომ იყო შიმშილი, უბინაობა, უსუფთაობა ამ ჯარისკაცებისთვის ჩვეულებრივი და მოსწავლეებიც იზიარებდნენ ამგვარ მძიმე ტვირთს. ბევრი მათგანი ეწირებოდა სამშობლოს. სურგულაძე არ გამოირიცხავდა, რომ საფრთხე კვლავაც ბევრი შეექმნებოდა დამოუკიდებელ ქვეყანას და ამ გულწრფელად პატრიოტი მოსწავლე-ახალგაზრდობის ჯარში ყოფნას სასიკეთოდ მიიჩნევდა. სწავლა და ცოდნა ისეც არ გვაკლია ქართველებს, საჭიროა ზნეობა და სიმტკიცე შევიძინოთ, – დასძენდა ის და ახალგაზრდების სულიერი, ზნეობრივი და პატრიოტული სულისკვეთების აღზრდისათვის ჯარში სამსახურს აუცილებლად თვლიდა [12].

ამ საკითხს სხვაგვარად უყურებდა საზოგადოების მეორე ნაწილი. ის თვლიდა, რომ სტუდენტობა თუ მოსწავლე ახალგაზრდობა არ უნდა მოცდენოდა თავის ძირითად საქმეს, ჯერ განათლება უნდა მიეღო, სამშობლოს დაცვაში თავისი წვლილი პროფესიული საქმიანობით შეეტანა. ჯარში განვეულ სტუდენტთა კრებებზე იმართებოდა კამათი, ზოგიერთი სტუდენტი თვლიდა, რომ განათლებული სტუდენტები საჭირონი იყვნენ ჯარში დისციპლინის განსამტკიცებლად, ზოგიერთი სწავლასა და ჯარში სამსახურის შეთავსებას ითხოვდა, ზოგი კი დასცინოდა ამას: ერთ ხელში ორი საზამთროს დაჭერას ჰგავსო. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, სტუდენტები მაინც ეწერებოდნენ არმიაში, იბრძოდნენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად [13].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას აქ მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლები ხშირად საყვედურობდნენ მათი ინტერესების უგულვებელყოფის, ზედმეტად ნაციონალური პოლიტიკის გამო. ოპოზიციური გაზეთი „საქართველო“

მხარს არ უჭერდა ამგვარ კრიტიკას, პირიქით, მთავრობისაგან უფრო მეტად აქტიურ ეროვნულ პოლიტიკას ითხოვდა. როდესაც ხელისუფლება დათმობაზედ მიდიოდა სხვა ერების მიმართ, ოპოზიციური პრესა მკაცრად იხილავდა და გამობდა ასეთ შემთხვევებს. ასეთი იყო ამიერკავკასიის რუსული უნივერსიტეტის დაფინანსების საკითხი. ეს უნივერსიტეტი 1917 წელს დააარსა რუსეთმა, თითქოსდა, სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ერებისათვის. სინამდვილეში, იგი ატარებდა რუსულ პოლიტიკას, ემსახურებოდა პრორუსული ორიენტაციის კადრების მომზადებას, ხელს უშლიდა ქართული უნივერსიტეტის მუშაობას, იზიდავდა სტუდენტთა და ლექტორთა კონტიგენტს. როდესაც საქართველოს მთავრობამ ორმოცდაათი ათასი მანეთი გამოჰყო ამ უნივერსიტეტის სასარგებლოდ, გაზეთმა „საქართველომ“ მკაცრად გააკრიტიკა ხელისუფლება. პუბლიცისტი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლელი ჯაფარიძე აღნიშნავდა, რომ ეს იყო კაპიტულანტური, რუსეთის წინაშე პოლიტიკური ქედმოხრის გამომხატველი ქმედება. ჯაფარიძის აზრით, დემოკრატიულ და ძლიერ ქვეყანაში შესაძლოა დაარსდეს უცხოური უნივერსიტეტი, მაგრამ მას სახელმწიფო კი არ უნდა აფინანსებდეს, არამედ კერძო პირები. პუბლიცისტის აზრით, სწორედ რუსულმა უნივერსიტეტებმა მოახვიეს თავს ახალგაზრდობას მარქსიზმი, სოციალური უტოპიური თეორია და თუკი ასეთი სასწავლებლის პოზიციებს განვამტკიცებდით საქართველოში, მომავლისათვის მის დამოუკიდებლობას აქ აღზრდილი კადრები აუცილებლად შეუქმნიდნენ საფრთხეს. კულტურაც ისევე უნდა ჩამოსცილდეს რუსეთს, როგორც პოლიტიკა, – ამტკიცებდა პუბლიცისტი, „ჩვენში კი პროტექციას უკეთებენ ყველაფერს რუსულს და კიდევ ამკვიდრებენ მის გავლენას“. „რუსული უნივერსიტეტის დამტკიცება და მისთვის საგანგებო დახმარების აღმოჩენა აპოგეა იმ რუსოფილური პოლიტიკისა, რომლის დატოვება ასე უძნელდება ჩვენს მმართველ პარტიას“, – დასძინდა ავტორი.

მთავრობას ქართული უნივერსიტეტისათვის უნდა გაეღო ფული და არა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი მტრულად განწყობილი ადამიანებისათვის, – ასეთი იყო მისი დასკვნა.

ლელი ჯაფარიძე აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატიკ პარლამენტარს – კირილე ნინიძეს ქართული უნივერსიტეტის მუშაობის არასწორად შეფასებისათვის, ასევე რუსულ ენაზე სწავლების აუცილებლობის დასაბუთებისათვის, აზერბაიჯანელი და სომეხი მცხოვრებლებისათვის. მიაჩნდა, რომ საქართველოში მცხოვრებ ერებს განათ-

ლება ქართულ ენაზე უნდა მიეღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მისაღებად რუსეთში ან საკუთარ ქვეყნებში გამგზავრებულიყვნენ [14].

1920 წელს მთავრობამ გააუქმა რუსული უნივერსიტეტი, რამაც პრორუსულად განწყობილი ადამიანების პროტესტი გამოიწვია, ოპოზიციური გაზეთი „საქართველო“ კი ამ ფაქტს მიესალმა.

განათლების საკითხს ქართველი მოღვაწეები სამართლიანად მიიჩნევდნენ პოლიტიკურ საკითხად. ამიტომ იხილავდნენ განათლების რეფორმის მიმდინარეობას, აკრიტიკებდნენ იმას, რაც მასში მიუღებლად მიაჩნდათ. ს. დარიანის ვრცელი წერილი – „საშუალო სკოლის მართვა-გამგეობისათვის“ ანალიზებდა სკოლებში შექმნილ მდგომარეობას ძველი სკოლის ძირითად ნაკლად დარიანს მართვა-გამგეობის უფარგისი წესი მიაჩნდა. ძირითადად, ეს იყო დირექტორის როლის გაზვიადება, მისი ერთპიროვნული უფლებები სკოლაში. მასწავლებელს ერთმეოდა პირადი ინიციატივა, რაც აკნინებდა სასწავლო პროცესში მის შემოქმედებით როლს. ამგვარი დამოკიდებულება იდეოლოგიით განისაზღვრებოდა, დირექტორს პოლიტიკური ზეგავლენა უნდა ჰქონოდა პედაგოგიურ და მოსწავლეთა კოლექტივზე, სკოლა მას მთავრობისათვის უნდა დაემორჩილებინა.

დარიანის აზრით, სკოლის პოლიტიზაცია დამოუკიდებლობის წლებშიც გრძელდებოდა. ეს იქნებოდა მანამ, სანამ სკოლა სრულიად დამოუკიდებელი არ გახდებოდა, სახელმწიფოს მატერიალურ დახმარებაზე თუ არ იქნებოდა მიჯაჭვული, თუ მას თვალყურს მიაღვენებდა განვითარებული და ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი [15].

სამწუხაროდ, როგორც „საქართველოს“ პუბლიკაციები ცხადყოფს, სკოლა აღმოჩნდა პოლიტიზებული. მაღალი კულტურის მქონე ქვეყნებში ასეთი რამ არ ხდება, ჩვენც უნდა ვეცადოთ მისი თავიდან აცილებათ, – მოუწოდებდა გაზეთი საზოგადოებას [16].

ოპოზიციური პრესა განათლების საკითხების სწორად გადაჭრას უკავშირებდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კომპლექსურ მოქმედებას, ცენტრალიზმის პრინციპს.

დარგში დაშვებული შეცდომები გაზეთ „საქართველოში“ ასე იყო დაჯგუფებული:

1. სკოლა გახდა უსისტემო. ახალი სასწავლებლების გახსნა ხდებოდა სტიქიურად. ისინი იქმნებოდნენ იქ, სადაც უკვე იყო ძველი სკოლები, რამაც სკოლათა რიცხვის არნახული ზრდა გამოიწვია, რაც არ შეესაბამებოდა ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, აზია-

ნებდა სწავლების ხარისხს. პრესას მოჰქონდა პრუსიის მაგალითი, სადაც სკოლების რაოდენობა, საქართველოსთან შედარებით შვიდჯერ ნაკლები იყო. აგილობრივი ორგანიზაციები სასწავლებლებს ხსნიდნენ მთავრობის იმედით, რომელიც, თავის მხრივ, ვერ უზრუნველყოფდა მათ შენახვას, რასაც მოჰყვებოდა პრეტენზიები ხელი-სუფლების მიმართ.

2. საერო და საქალაქო ორგანიზაციები ვერ უძღვებოდნენ განათლების სისტემას, დროულად ვერ არიგებდნენ ჯამაგირებს, რადგან ხაზინიდან მიღებულ ფულს ხშირად პირადი ინტერესებისათვის ხარჯავდნენ. უხელფასო მასწავლებლები ან საერთოდ ანებებდნენ თავს სამსახურს, ანდა ნაკლები მონდომებით მუშაობდნენ. სკოლებს აკლდა მომზადებული ინსტრუქტორები, სასკოლო ინვენტარი, სასკოლო შენობები უვარგისი იყო, ბიბლიოთეკები – ღარიბი [17].

სკოლების დაბალ დონეს გაზეთი „საქართველო“ სწორედ ადგილობრივ თვითმმართველობებს აბრალებდა, მიუღებლად თვლიდა ინგლისის, ამერიკის და სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების მაგალითზე მის მონყობას, დეცენტრალიზაციის მიბაძვას, რადგან საქართველოს პირობები არ შეესაბამებოდა ამ ქვეყნების დონეს [18].

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო განათლების რეფორმა, რაც ითვალისწინებდა უფასო, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებას, საგანმანათლებლო კერების ფართო ქსელის შექმნას და სხვ.

რეფორმა თეორიულად მაღალ დონეზე იყო მოფიქრებული, მაგრამ მის განხორციელებაში დაშვებული იქნა მღელი რიგი შეცდომები. ოპოზიციური პრესა, უწინარესად კი ყველაზე რადიკალური ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო, გაზეთი „საქართველო“ მწვავედ აკრიტიკებდა ამ შეცდომებს, არ მალავდა ცალკეულ პიროვნებათა თუ მთავრობის დანაშაულს ამ სფეროში, ცდილობდა განათლებას შეესრულებინა ის დიდი სახელმწიფოებრივ-კულტურული და სულიერ-ზნეობრივი მისია ერის ცხოვრებაში, რაც მას ისტორიულ წარსულში გააჩნდა.

განათლების რეფორმის საკითხი დღევანდელ საქართველოშიც აქტუალურია. ქართველი ერის საუკეთესო ნაწილის მიერ წარსულში გამოთქმული სურვილები სწავლა-აღზრდის უკეთ ორგანიზებისათვის, განათლების რეფორმის მაღალ დონეზე განხორციელებისათვის, ქართული ეროვნული სკოლის უკეთ მონყობისათვის, ამ დარ-

გის თანამედროვე მესვეურებისთვისაც საინტერესო უნდა იყოს. ისტორიული გამოცდილების გახსენება-გაანალიზება, მისი გათვალისწინება ზედმეტი არასოდეს არაა.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, № 183.
2. დოდო ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლებში, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2000.
3. მასალები XIX საუკუნის 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან (კირილე ლორთქიფანიძის მიმონერა)“, ტექსტი შესავალი წერილით, კომენტარებითა და საძიებლით გამოსაცემად მოამზადა ელისო აბრამიშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1981.
4. იპოლიტე ვართაგავა, „სკოლის რეორგანიზაციისათვის“, გაზეთი „საქართველო“, № 75, 1918.
5. ზ. ედელი, „სკოლების მდგომარეობა ქართლში“, გაზეთი „საქართველო“, № 68, 1918.
6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1935, აღწერა 1, საქმე 59.
7. მგზავრი-მოკეთე, წერილი კახეთიდან, გაზეთი „საქართველო“, № 69, 1919.
8. პავლე მოსულიშვილი, განათლება ჩვენში, გაზეთი „საქართველო“, № 40, 1918.
9. გიორგი ნადირაშვილი, ქართული ენა განახლებულ სკოლებში, გაზეთი „საქართველო“, № 50, 1919.
10. მესხეთ-ჯავახეთის სკოლების შეკრება, გაზეთი „საქართველო“, № 88, 1920.
11. სკოლების მდგომარეობა თერჯოლის თემში, გაზეთი „საქართველო“, № 136, 1920.
12. ბაქო, გაზეთი „საქართველო“, № 184, 1918.
13. ა. მანსვეტაშვილი, ფიზიკურ აღზრდაზე, გაზეთი „საქართველო“, № 185-186, 1918.
14. ნიკოლოზ შუბლაძე, ჯარში განვლული სტუდენტობის კრება, გაზეთი „საქართველო“, № 187, 1918.
15. ლ. ჯაფარიძე, რუსული უნივერსიტეტის საკითხი საქართველოს პარლამენტში, გაზეთი „საქართველო“, № 196, 1918.

16. ს. დარიანი, საშუალო სკოლის მართვა-გამგეობისათვის, გაზეთი „საქართველო“, № 138, 1920.
17. ნუთუ ბავშვებს მაინც არ შეიცოდებენ?, გაზეთი „საქართველო“, № 135, 1920.
18. პარტიკულარიზმი სასკოლო საქმეში, გაზეთი „საქართველო“, № 146, 1920.

**Maia Phartladze**

*Doctoral Student of the Akaki Tsereteli  
Kutaisi State University*

## **Public Opinion about Education Reform in the Democratic Republic of Georgia (1918-1921 years)**

### **Summary**

Carrying out of the reform of education started in 1918-1921. It should have been finished in 1924, but because Russia invaded Georgia it was stopped. But the main part of the reform was carried on. Different kinds of schools, centers of the professional and technical educations, high schools, scientific organizations, libraries, pedagogical and art courses were formed, text-books were written and translated into Georgian, new subjects and programs were introduces in schools. The priority among the subjects was given to the Georgian language and literature, history and geography of Georgia. Russian was taught together with the other foreign languages and was optional. Together with the society the government was donating finances to schools and high schools and thus was strengthening them, was founding the courses of qualification for teachers, was taking care after developing the outskirt regions, which were mostly suffering of the external enemies' aggression. The result of the reform was that all subjects were studied in Georgia. The same was for the national minorities in Georgia. Under the Tsar's rule they had not possibility to study on their native language. All planed directions of the education reform that were carried out despite the short time are mentioned in the article.

## ავთანდილ სონლულაშვილი

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტო-  
რიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და  
უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე*

### **ეროვნულ უმცირესობათა განსახლების რაიონები საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში**

*აღნიშნული სტატია დაინერა შოთა რუსთავე-  
ლის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებუ-  
ლი გრანტის (№ FR/148/2-101/14) ფარგლებში*

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ჩვენ სამშობლოში განსაკუთრებით ინტენსიურად ჩამოდიან და სახლდებიან უცხო ეროვნების წარმომადგენლები; ეს პასუხობდა რუსეთის პოლიტიკას – რაც შეიძლება მეტი უცხო ელემენტი დაემკვიდრებინათ საქართველოში, რომ ქართველ ხალხს თავისი ეროვნული პოტენციალი დამოუკიდებლობის მისაღწევად კი არ გამოეყენებინა, არამედ ამ ეთნიკური ჯგუფების პრობლემების მოსაგვარებლად [1, 28].

ბუნებრივი მატების მხრივ ყველაზე კარგ პირობებში აღმოჩნდნენ რუსები, გერმანელები, ბერძნები და ოსები. რუსეთმა საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა მექანიკური და ძალადობრივი გზით ქართველთა საზიანოდ შეცვალა. ამ გზას ადგა, როგორც თეთრი, ისე წითელი რუსეთი [2, 107].

უმცირესობის სტატუსს საბჭოთა პერიოდში თავისი დადებითი მხარე ჰქონდა. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს გარკვეული შეღავათი ეძლეოდათ, რაც ერთის მხრივ, დომინირებულ ერში თავისთავად იწვევდა ფარულ გულისწყრომას, მეორეს მხრივ კი ეროვნულ უმცირესობებს აძლევდა უსამართლო პრეტენზიების წამოყენების საშუალებას. უმცირესობის წარმომადგენლები ნებისმიერ „საბჭოურ დისკრიმინაციას“, იგივეს რასაც განიცდიდა დომინირებული ერის ნევრი ეროვნულ ჩაგვრად აღიქვამდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ საქმის მოგვარებას „კუთვნილი სტატუსის“ გამოყენებით ახერხებდა, მაგრამ შეღავათების არსებობის აფიშირებას გაურბოდა, რადგანაც არ სურდა, ეროვნული უმცირე-

სობის სტატუსის აღიარება. უფრო სწორად, საბჭოთა პერიოდში „ეროვნული უმცირესობის“ წარმომადგენლად ყოფნა არ ითვლებოდა პრესტიჟულად [3, 36].

დროთა განმავლობაში ლიმიტოვებულ ზონაში მაცხოვრებელმა ეროვნულმა უმცირესობებმა გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწიეს (იქ, სადაც ქართველები უმცირესობას შეადგენდნენ, ასეთი კი 20 რაიონია) და დაიწყეს თავის მიკროტერიტორიაზე მოსახლე ქართველების (ამ შემთხვევაში უმცირესობის შევიწროება, გასაქანი მიეცა ასიმილაციის პროცესს. დაირღვა ადამიანის უფლებები [3, 44].

საბჭოთა რეჟიმის დამყარებასთან ერთად მრავალი უცხო ეროვნების წარმომადგენელი მოაწყდა საქართველოს საზღვრებს, რამაც ტერიტორიის აჭრელება გამოიწვია. 1921 წლის გაზაფხულზე რკინიგზაზე შეიმჩნეოდა დიდი რაოდენობის სომეხი და თურქი ლტოლვილების შემოსვლა. ისინი მოძრაობდნენ სტიქიურად, ყოველგვარი გეგმის გარეშე [4, 94]. ოსმალეთიდან ლტოლვილი სომხები გაიფანტნენ ბორჩალოში, ახალ ქალაქში, გორში, თბილისში და ა. შ. სომხობა იმდენად დაიქსაქსა, რომ დიდმა ნაწილმა ენაც კი დაივიწყა [5].

მეტად მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა სასაზღვრო ზოლში კომპაქტურად ცხოვრობდნენ არაქართველები. ისინი ხშირ შემთხვევაში მტრულად იყვნენ განწყობილი ქართველებისადმი. მეხადირიდან დაწყებული რესპუბლიკა რკალივით იყო გარშემორტყმული ან უცხო ტომის ხალხით, ან კიდევ ისეთებით, რომელთაც არ გააჩნდათ ქართული თვითშეგნება [6, 312].

საბჭოთა რეჟიმის დამყარების პირველ წლებში ბოლშევიკები ადამიანის ეროვნულ კუთვნილებას ყურადღებას არ აქცევდნენ, თითქოს არც აინტერესებდათ. გრაფა ეროვნების აღსანიშნავად, როგორც ცნობილია, მხოლოდ 1924 წლიდან ჩნდება. თუმცა არც ამის შემდეგ გაუმახვილებიათ ყურადღება ამ საკითხზე. აი, ერთ-ერთი დამახასიათებელი შემთხვევა: ქ. გორის 1924 წ. საქორწინო აქტში 24 წლის თოროზ გრიგოლის ძე თოროზოვს, ეროვნების გრაფაში ეწერა, რომ ის არის „ინტერნაციონალისტი“ [7, 68].

მნიშვნელოვანია, რომ თუ 1800 წელს არაქართული მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 11% შეადგენდა, 1897 წელს არაქართველთა ხვედრითი წილი 32%-მდე გაიზარდა. XIX საუკუნის დამლევისათვის საქართველო კიდევ უფრო მრავალეროვანი ქვეყანა იყო, ვიდრე წინა საუკუნეებში. ამ პერიოდში საქართველოს



ტერიტორიაზე შექმნილი იყო მრავალი სოფელი, რომელთა მოსახლეობა მთლიანად არაქართველთაგან (სომხები, ბერძნები, რუსები) შედგებოდა და ყოფა-ცხოვრებით დიდად არ განსხვავდებოდა აბორიგენი მოსახლეობისაგან. კიდევ ურფო მრავალეროვანი გახდა ქალაქები, სადაც ალბ-მიცემობას უმთავრესად არაქართველები მისდევდნენ [8, 766-767].

XX საუკუნის 20-იან წლებში არაქართველები 851 557 სულს, ანუ მოსახლეობის 32, 3% – შეადგენდნენ. ამ დროისათვის საქართველოში ცხოვრობდა 19 კომპაქტურად და 33 გაფანტულად დასახლებული ეროვნება [9, 33]. მოსახლეობის დინამიკა გვიჩვენებს, რომ 20-30-იან წლებში შეიმჩნეოდა ქართველი მოსახლეობის ზრდის შემცირება. მაგალითად, 1922 წელს ქართველები საქართველოს მოსახლეობის 74, 7%-ს შეადგენდნენ, 1926 წელს 70, 9%-ს, ხოლო 1939 წლის მონაცემებით 64, 6%-ს [10, 51].

არაქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილი განსაკუთრებით გაიზარდა თბილისის გარშემო სოფლებში. მაგალითად, მანგლისის მოსახლეობა ძირითადად რუსებისაგან შედგებოდა [11, 293]. საბურთალოში ნახევარზე მეტს თურქები შეადგენდნენ [12]. 1923 წელს მუხრანთან, ჭალისთავში, დასახლდა რამდენიმე კომლი მოახალშენე თურქი [13, 5]. თურქების ხვედრითი წილი ასევე დიდი იყო თელოვანში, თხინვალის აგარაკში, მსხალდიდში, შლამიანთ ხევში, ძალაანთ ხევში, ნოდორეთში [14, 58], ბაგებში [15], წყნეთში [16], დიდ თონეთში [17], კუმისში [18], დილომში, მუხათგვერდში [14, 58], თბილისთან ახლოს მდებარე მამუკიანთ სოფელში [19] მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სომხები და ქართველი გრიგორიანელები იყვნენ.

სომხებმა ორგანიზებულად დაიწყეს საქართველოს ტერიტორიაზე კომპაქტურად დასახლება. სწორედ ასეთი შორსგამიზნული პოლიტიკის შედეგი იყო, რომ 1925 წლისათვის ახალქალაქის მაზრაში ცხოვრობდა 71, 8% სომეხი [20, 22]. საერთოდ, 1926 წლის აღწერით საქართველოში მცხოვრებ სომეხთა რაოდენობა მთელი მოსახლეობის 11, 6 პროცენტს შეადგენდა (307 ათასი) [21, 43]. ფაქტია, რომ 1929-1934 წლებში საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა შორის სომხებს ეკავათ პირველი ადგილი. მეორე ადგილზე იყვნენ თურქები – 5, 9%, სულადობრივად 137 921 [22, 1].

1923 წლის გაზაფხულზე აზერბაიჯანიდან კახეთში გადმოსახლდა უდინების 207 ოჯახი, რომელთაც საცხოვრებელი ადგილი მიე-

ცათ თელავის მაზრაში, მდინარე ალაზნის გაღმა, ახალ სოფლის თემში. უდინებმა (უდიები) აზერბაიჯანში დატოვეს საუცხოოდ გაშენებული სოფელი: ბალებით, ვენახებით, ბოსტნებითა და ქვიტკირის შენობებით [23]. უდიები – ძველი ალბანელების შთამომავალი ერთ-ერთი ტომი გადარჩა ასიმილაციას თურქ-მაჰმადიანებისაგან. მათ ქრისტიანობაც შეინარჩუნეს და ენაც. ისინი აზერბაიჯანის სამ სოფელში ცხოვრობენ: ვართაშენში (ახლანდელი ოღუზი), ნიჯში და მირზაბულუში. საქართველოში ვართაშენიდან გადმოსახლდნენ და ყვარლის რაიონში დაარსეს სოფელი ზინობიანი. მათი გადმოსახლების მიზეზი აზერბაიჯანელებისა და სომხების ურთიერთდაპირისპირება გამხდარა. ამ კონფლიქტის დროს სომხები ქრისტიან მოსახლეობას – უდიებს, აზერბაიჯანელებისაგან ვერ არჩევდნენ და უდანაშაულო ხალხი ხდებოდა სისხლიანი შეტაკების მსხვერპლი.

ზინობი სილიკაშვილი უდების სოფლის თავკაცი იყო. იგი განათლებული და შორსმჭვრეტელი კაცი ყოფილა. სწორედ მან ითავა უდების გადმოყვანა საქართველოში. მათ თავდაპირველად აჭარაში უნდოდათ ჩასახლება, შემდეგ მუკუზანში, მაგრამ არც ერთი ადგილი არ მოსწონებიათ და არჩევანი ყვარლის რაიონზე შეუჩერებიათ, იქ სადაც დღესაც ცხოვრობენ. აქაური ბუნებრივი პირობები ხელსაყრელი აღმოჩნდა მათთვის. უდიების ჩამოსახლებისას ეს ადგილი დაუსახლებელი და ტყით დაფარული ყოფილა, განსაკუთრებით მუხნარით. თავდაპირველად სოფლისთვის მუხიანის დარქმევაც კი უფიქრიათ, მაგრამ საბოლოოდ ზინობიანი დაურქმევიათ ზინობის პატივსაცემად [24, 183].

1937 წელს ზინობი ხალხის მტრად გამოაცხადეს და სიკვდილით დასაჯეს. შემდეგ კომუნისტებს სოფლისთვის სახელი შეუცვლიათ და ოქტომბერი დაურქმევიათ. დღეს კი მას ძველი სახელი დაუბრუნდა [24, 184].

20-იან წლებში თეთრი წყაროს რაიონი წარმოადგენდა „მიკროკოსმოსს“, სადაც თავმოყრილი იყო მრავალი ეროვნების წარმომადგენელი. ქართველებთან ერთად აქ ცხოვრობდნენ სომხები, რუსები, ბერძნები, ოსები და აზერბაიჯანელები. ანალოგიური თანაცხოვრების სურათი იყო დმანისის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში, საერთოდ მთლიანად ქვემო ქართლში [25, 3].

ქვემო ქართლის ბარის სოფლებში თუ ნაწილობრივ მაინც შემორჩა ძირძველი მოსახლეობა, მთის სოფლებში უფრო მეტად ახალ-მოსულები დამკვიდრებულან [25, 8].

აზერბაიჯანელები საქართველოში ძირითადად ცხოვრობენ

მარნეულის, ახალციხის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, ადიგენის, აგრეთვე ქვეყნის ზოგიერთ სხვა რაიონსა და ქალაქ თბილისში.

სარვანისის რაიონი 1923 წელს დიდ ტერიტორიას ფლობდა. აქ იყო 6 თემი 30 სოფლით. რაიონში ცხოვრობდნენ მხოლოდ აზერბაიჯანელები [26]. ამავე პერიოდში ახალციხის მაზრაში ითვლებოდა 67 165 კაცი. აქედან 80% იყო ქართველი მაჰმადიანი [27, 19], რომელთაც სამწუხაროდ აზერბაიჯანელებად ან თურქებად სთვლიდნენ.

წალკის განაპირა მხარეს მდებარეობდა თურქებით დასახლებული 5 სოფელი. მოსახლეობა 3 500 კაცს შეადგენდა [28, 36]. ახალციხის, ახალქალაქის, ადიგენის, ასპინძისა და ბოგდანოვკის რაიონების მოახლეობის რიცხვი 1939 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 208 156 – სულს. მათგან ქართველი იყო 19 734 სული, თურქი 87 168, სომეხი 88 097 [29, 23].

ლაზები ანუ ჭანები 20-იან წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირში შეადგენდნენ 4 000 კაცს. აქედან ნახევარი ცხოვრობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე. 1000-მდე ლაზის საცხოვრებელ ადგილს კი აჭარა წარმოადგენდა [30, 24].

დუშეთის მაზრის მოსახლეობა 1927 წელს 61 526 სულისაგან შედგებოდა. 80% ქართველები ცხოვრობდნენ, 20% სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. კერძოდ, 7 586 ოსი, 2700 სომეხი, 88 რუსი, 165 გერმანელი, 95 ებრაელი, 122 თათარი, 459 აისორი, 330 სხვა ეროვნების წარმომადგენლები [31, 132].

ამავე პერიოდში საქართველოში ცხოვრობდა 6000-ზე მეტი ქურთი. მხოლოდ თბილისში 3 200 [32, 36]. 1930 წლის მონაცემებით, უკვე იხსენიებიან ცალკე ქურთები და ცალკე იეზიდები [33, 139]. 1926 წლის აღწერით თბილისში იყო 2044 სული იეზიდი, აქედან 1157 მამაკაცი და 887 ქალი [34, 91].

20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში, როდესაც შესამჩნევი გახდა ურბანიზაციის პროცესი, ქალაქად ჩასული სოფლის მოსახლეობა განიცდიდა თავისებურ იზოლაციას; რამდენადაც სოფლიდან ჩამოსულებს ნაკლებად, ან საერთოდ არ ქონდათ ნათესაური, მეგობრული, რელიგიური, პროფესიული და სხვა კავშირები. იმისათვის, რომ სოფლიდან ქალაქში ახლად ჩასული ადამიანები მალე და ადვილად ჩართულიყვნენ ქალაქის ნორმალურ ცხოვრებაში, აუცილებელი იყო მათი სწრაფი ინტელექტუალური ევოლუცია [35, 43].

ასეთ მდგომარეობაში მეტწილად ქართველი მოახლეობა ვარ-

დებოდა. ეროვნულ უმცირესობებს: რუსებს, სომხებს, ქურთებს, აზერბაიჯანელებს, გერმანელებს და სხვა, თბილისში თუ საქართველოს სხვა ქალაქებში მცხოვრები თვისტომნი გარკვეულ დახმარებას უწევდნენ ცხოვრების პირობების შეგუებასა და გაუმჯობესებაში. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქში მოხვედრილი გლეხი არ „ითქვიფებოდა“ ქალაქის მოსახლეობაში. ის კვლავ დაკავშირებული რჩებოდა თავის არტელთან და თანამემამულეებთან [26, 81].

სამხრეთ თუ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ნაწილი ისტორიული ძნელბედობის დროს გამაჰმადიანდა, რის გამოც თვისტომთაგან „თათრებად“ იწოდებოდნენ. მეფის რუსეთის ხელისუფლება მათ თურქებად მოიხსენიებდა. ამიტომ XX საუკუნის 20-იან წლებში და მოგვიანებითაც ბევრს სწორად არ ესმოდა რას ნიშნავს საისტორიო წყაროებში მოხსენიებული „ქუთაისელი თათარი“, „ახალციხელი თათრები“, „ქობულეთელი თათარი“ და სხვა. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ამ გარემოებას წარსულში მრავალი სამწუხარო გაუგებრობა მოჰყვა, რამაც ქართველობას მძიმე დანაკლისი მიაყენა [37, 11].

საბჭოური სტატისტიკა ნაკლებად ანსხვავებდა ქართველ მაჰმადიანს და ნამდვილ თურქს, რის გამოც საქართველოს ზოგიერთ რაიონში არაქართველი მოსახლეობა აღწერის მასალებით საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა.

1916 წელს საქართველოში სახლდებიან ვანის ვილაიეთიდან (თურქეთი) ლტოლვილი ასურელები [38, 155]. სოფელ ქანდაში ასირიელების (აისორები) დასახლება დაიწყო ჯერ კიდევ 1867 წლიდან, როდესაც ეს სოფელი მუხრანბატონის კუთვნილებას წარმოადგენდა. 1922 წლის ზაფხულში ბათუმსა და ახალქალაქის მაზრაში შემოვიდნენ ასირიელი და სომეხი ლტოლვილები. სომხების რაოდენობა 7 ათასს აღწევდა. ასირიელები 360 სულს ითვლიდნენ. ამიერკავკასიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ლტოლვილები დაესახლებინათ ახალქალაქის მაზრის სომხურ სოფლებში [39, 93].

1927-1928 წლებში სოფელ ვასილიევკაში ცხოვრობდა 203 სული-საგან შემდგარი 55 კომლი ასირიელის ოჯახი. ყარათაფაში – 16 კომლი 55 სულით. ყარათაფა ნახევარი ვერსით იყო დაცილებული ვასილიევკას და ამიტომ ისინი ყოველდღიური ცხოვრებით იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან [40, 71]. ამ დროისათვის ასირიელთა რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის 1% უდრიდა. სულ მათი რიცხვი 2904 სულს აღწევდა [40, 68]. სხვა საარქივო დოკუმენტების მიხედვით 1926 წელს ასირიელები საქართველოში 6 ათასი სული იყო [40, 20].

1897 წლის აღწერით თბილისში ცხოვრობდა 1017 სული აისორი [34, 42]. 20-იანი წლების პირველ ნახევარში აისორების რაოდენობა 1861-ით განისაზღვრა [34, 91]. 1930 წელს 2303 სულს მიაღწია [34, 105]. 1939 წლის მონაცემებით კი 2986 აისორი ცხოვრობდა თბილისში [34, 109].

საქართველოში ბერძნების რაოდენობა 100 ათასამდე აღწევს და მათ აქ მოსახლე ეროვნებათა შორის რაოდენობრივად მეხუთე ადგილი უჭირავთ.

საქართველოს დღევანდელი ბერძნული მოსახლეობის აბსოლუტურ უმეტესობას ვერ მივიჩნევთ ვერც საქართველოში მოსულ უძველეს ბერძენ კოლონისტთა უშუალო შთამომავლებად, ვერც ბიზანტიელი მისიონერების და ოსტატთა მემკვიდრეებად. ისინი ჩვენში ძირითადად XIX-XX საუკუნეების განმავლობაში გადმოსახლდნენ [41, 5].

1925 წლისათვის საქართველოში ბერძნულმა მოსახლეობამ 80 ათასს მიაღწია. ხოლოდ წალკის რაიონში 45 სოფლიდან 24 ბერძნული იყო, სადაც 25 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა. ალბულაღის მაზრაში 8 ათასამდე, ბორჩალოს მაზრაში 5 ათასამდე და 10 ათასამდე ბერძენი სხვა მაზრებში იყო გაფანტული [28, 35, 77].

აფხაზეთის ბერძნულ მოსახლეობაში აღმოცენდა მოძრაობა საბერძნეთში გადასახლებასთან დაკავშირებით. 1926 წელს დაახლოებით 23 ათასი ბერძენი მოითხოვდა საბერძნეთში გადასახლებას [42, 26]. მიუხედავად ხელისუფლების უარყოფითი დამოკიდებულებისა იმავე წელს გაემგზავრა 30 ოჯახი, 1927 წელს – 58, 1928 წელს – 205, 1929 წელს – 444 ოჯახი. იყო შემთხვევები, როცა მთელ სოფელს მოუთხოვია გადასახლების უფლება (მაგალითად, სოფელ ანდრეევსკის 295 კომლმა, 1200-1400 კაცმა გამოთქვა სამშობლოში დაბრუნების სურვილი [43, 143].

ჯერ კიდევ 1921 წელს ცხინვალის გარშემო 26 სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ [44, 73]. საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან ოსები ინტენსიურად სახლდებიან ქართლისა და კახეთის ტერიტორიაზე. 1922 წელს თბილისში ცხოვრობდა 1446 ოსი [45]. 1925 წლისათვის ყოფილ ოლქში აღრიცხულია 82 ათასი კაცი. მათგან ოსები იყვნენ 54 ათასი, დანარჩენ 28 ათასს შეადგენდნენ ქართველები, სომხები და ებრაელები [20, 28]. 1926 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 113 ათასს უდრიდა და აქედან 60 ათასი ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ხოლო 53 ათასი მის ფარგლებს

გარეთ. გამოდის, რომ ერთ წელიწადში „ოლქში“ მცხოვრები ოსები 6 ათასი სულით გაზრდილან? ბუნებრივია ეს იყო „ჯაყოების“ ჩრდილოეთიდან ახალი ტალღის გადმოსროლა, რაც ბოლშევიკების დემოგრაფიული პოლიტიკით იყო განპირობებული.

აღნიშნულ პერიოდში ოსთა კომპაქტური დასახლებები ყველაზე მეტად შესამჩნევი იყო გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრებში. გორის მაზრაში ოსური დასახლებით გამოირჩეოდა მდინარე ფრონეს სათავეები, ყორნისისა და წუნარის რაიონები, სადაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მონაცემებით, ოსი მოსახლეობა 88%-ს უდრიდა. დიდი ლიახვის ხეობაში ოსები ცხოვრობდნენ სოფელ კეხვამდე. ამ სოფლის სამხრეთით მხოლოდ ქართველებით დასახლებული სოფლები იყო, სადაც ოსთა რიცხვი მცხოვრებთა 15 პროცენტს არ აღემატებოდა. ასევე იყო პატარა ლიახვის ხეობაშიც, სადაც ოსები სოფელ ვანთამდე ცხოვრობდნენ. ვანთის ჩრდილოეთით განლაგებული იყო ქართული სოფლები: ბელოთი, ორი ხონურა, საცხენე, ანრისხევი და სხვ. დუშეთის მაზრაში ოსები ცხოვრობდნენ არაგვისა და ქსნის სათავეებთან, რაჭის მაზრაში – ჯეჯორას სათავესთან, ჩასავალის რაიონში [46, 70].

1933 წელს შეიმჩნეოდა ჩრდილო ოსეთიდან ოსი მოსახლეობის მასობრივი გადმოსვლა ე. წ. „სამხრეთ-ოსეთში“. ოსების ეს ნაწილი აქედან წასულები იყვნენ ჯერ კიდევ 1920 წელს ცნობილი მოვლენების დროს. ჩამოსულები მოითხოვდნენ საკოლმეურნეო მიწებს, რომლებიც თავისად მიაჩნდათ [47, 43]. 1934 წელს სოფელი ყორნისი 16-18 კილომეტრით იყო დაცილებული ცხინვალიდან. ამ დროისათვის სოფელში ძირითადად ოსები ცხოვრობდნენ. ისინი აქ დამკვიდრებიდან მესამე თაობას წარმოადგენდნენ [48, 228].

სოფელ წუნარის მოსახლეობა კვლავ ხელოვნურად იზრდებოდა. როკის „გადაღმიდან“ 35 ოსური ოჯახი ჩამოსახლეს. 1937 წელს ჩრდილოეთ ოსეთის სოფელ გნულოდან აქ დამკვიდრდნენ ხუბაევები, თარაევები, ხაჩროვები, მალდიგოვები და სხვ. იქ თუ უსახლკაროდ იყვნენ, მაღლიან ქართულ მიწაზე ორ-ორ ოთახიანი ქვითკირის სახლები აიშენეს და მშვენივრად მოაწყვეს ოჯახები [49].

XX საუკუნის დასაწყისში შიდა ქართლიდან პანკისის ხეობაში დაიწყო ოსების ჩამოსახლება. მათი სოფლები გაჩნდა ალაზნის მარცხენა ნაპირზე. ეს სოფლებია დუმასტური, ქვემო ხალანანი, წინუბანი, ქორეთი. კუნახტაში ცხოვრობდნენ ქართველები და ოსები. ქისტებით დასახლებულ სოფელ ომალოს ესაზღვრება ოსების სოფელი დუმასტური, რომლის მოსახლეობა ჯავის რაიონის სოფლებიდან

გადმოსახლდა 1905 წელს (თავდაპირველად 26 კომლი). ძირითადი გვარებია ბითოევი, ჯიოევი, მაკოევი, თედეევი, კოჩიევი, ცხოვრებოვი, ქოზაევი, ძუგაევი, გერგაული, შავლოხოვი, კაბისოვი [50, 158-159].

შეიძლება თამამად ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ისეთივე მეთოდებით ანადგურებდა ებრაელებს, როგორც ფაშიზმის ბატონობის დროს ანადგურებდნენ მათ გერმანიაში. მხოლოდ 1918-1920 წლებში საბჭოთა რუსეთში 100 ათასი ებრაელი ამოხოცეს. დოკუმენტებში ნაჩვენებია ებრაელთა გენოციდის ამსახველი საშინელი ფაქტები. მაგალითად, 1919 წელს კიევიდან ახლო დასახლებაში, ბოლშევიკების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, ჯარისკაცთა ჯგუფები „არბევდნენ ებრაელთა სახლებს და რაც უნდოდათ იმას უკეთებდნენ“.

ებრაელებს ქუჩაში აჩერებდნენ, ზოგჯერ უბრალოდ ეკითხებოდნენ: „შენ ჟიდი ხარ? და ესროდნენ შუბლში ტყვიას, უფრო ხშირად დამამცირებლად ჩხრეკდნენ, მთლიანად აშიშვლებდნენ და ასეთ მდგომარეობაში პირდაპირ ქუჩაში ხვრეტდნენ“ [51, 93].

ამიტომ მოისწრაფოდნენ ებრაელები საქართველოში, სადაც ანტისემიტიზმი არ არსებობდა. მათ აქ მეორე სამშობლო ჰპოვეს. ეს პროცესი, როგორც ფეოდალიზმის დროს, ასევე შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იან წლებში ქუთაისში მცხოვრები 800 ებრაელი აქაური მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენდა. ისინი ცალკე უბანში ცხოვრობდნენ და ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობდნენ [52]. საერთოდ, ქუთაისს განსახლების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტრადიცია ჰქონდა. სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობას ქალაქში თავისი კომპაქტური დასახლების უბნები გააჩნდა, რომელთაც თავისი გარეგანი არე და სიმჭიდროვე ახასიათებდათ. XX საუკუნის 20-იან წლებშიც ერთ-ერთ ასეთ უბანს წარმოადგენდა ებრაელთა უბანი, რომლის ნაწილი შთანთქა 1928 წლის 10-11 მაისს გაჩენილმა დიდმა ხანძარმა, მაგრამ აქ დასახლება არ მოშლილა, ხის ნაგებობების ნაცვლად კაპიტალური შენობები აშენდა და მოსახლეობით შეივსო [53, 15].

XX საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისში 294 044 ადამიანი ცხოვრობდა. აქედან ებრაელი იყო 8962 [34, 91]. 1926 წელს, მხოლოდ ქართველი ებრაელი 3160 სულით განისაზღვრა, 1930 წელს – 1268, ხოლო 1939 წელს დაახლოებით 1300-მდე.

1926 წლის აღწერით ებრაელთა რაოდენობა საქართველოში 20 987 აღწევდა. აქედან 72, 9% ქალაქებში ცხოვრობდა. 1931 წელს

22 562 ქართველი ებრაელია დაფიქსირებული, ხოლო 1936 წელს ებრაელთა რიცხვმა 30 000 მიაღწია [54, 8].

როგორც ცნობილია 1921 წელს შიმშილობამ მთელი რუსეთი მოიცვა. უბედურება განსაკუთრებით მძვინვარებდა გერმანელებით დასახლებულ ვოლგისპირეთში. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი გერმანელები დახმარებას საქართველოში მცხოვრებ გერმანელებს სთხოვდნენ. ხშირი იყო მათი ჩამოსვლაც. მაგალითად, 1921 წლის ბოლოს თბილისში ცხოვრობდა 2 457 გერმანელი [34, 69]. 1926 წელს მათმა რიცხვმა 3 156 სული შეადგინა [34, 91].

საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა საკუთრივ გერმანელებით დასახლებული სოფლებისა, მათი ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობასთან შერეულად ცხოვრობდა თბილისთან ახლოს სოფელ სართიჭალაში [55, 48].

1927 წელს საქართველოში არსებობდა 13 გერმანული კოლონია 9253 მოსახლით: 1. ელიზავეტალი, 2. ლუქსემბურგი, 3. როზენფელდი, 4. ლიბკნესდორფი, 5. როზენბერგი, 6. ვალდჰეიმი, 7. გეორგესტალი, 8. მარკსგეიმი, 9. ანენფელდი, 10. ვიზენდორფი, 11. შტეინფელდი, 12. გოფნუგსტალი, 13. გრიუნტალი. თბილისში ცხოვრობდა 4200 გერმანელი [56, 162].

30-იანი წლების დასაწყისში მხოლოდ აღბულაღ-მანგლისის, ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთისა და ბორჩალოს რაიონებში 5 924 გერმანელი ცხოვრობდა [57, 37].

მეორე მსოფლიო ომის დროს კერძოდ, ომის დაწყებისთანავე, განხორციელდა გერმანელი მოსახლეობის პირნმინდად გასახლება საბჭოთა კავშირის ცენტრალური და სამხრეთ რაიონებიდან, მათ შორის საქართველოდან, აღმოსავლეთ რაიონებში [29, 15-16]. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე გერმანული წარმოშობის ბრიტანელი მოქალაქეები ინგლისის მთავრობამ სანაპირო ზოლიდან ქვეყნის სიღრმეში გადაასახლა.

იგივე მოიმოქმედა შეერთებული შტატების მთავრობამაც იაპონური წარმოშობის ამერიკელი მოქალაქეების მიმართ. დაახლოებით 12 ათასი იაპონური წარმოშობის საკუთარი მოქალაქე კი საკონცენტრაციო ბანაკებში გამოკეტა [58, 43].

საქართველოში დემოგრაფიულ სიტუაციაზე შემდეგი გარემოებაც ახდენდა გავლენას: იმ დროს, როდესაც ქართველ სპეციალისტებს რუსეთსა და სხვა რესპუბლიკებში გზავნიდნენ სამუშაოდ და იქვე სტოვებდნენ, საქართველოში შემოჰყავდათ დიდი რაოდენო-



ბით მუშახელი და კვალიფიციური სპეციალისტები აქ დასამკვიდრებლად. ბუნებრივია ეს შორს გამიზნული პოლიტიკა იყო.

მრავალი ქართველი სპეციალისტი შეიძლება დაეასახელოთ, რომლებმაც თავისი ცხოვრება სხვა რესპუბლიკებში განვლეს. მაგალითად, „მძიმე მრენველობის სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით ფოთის ინდუსტრიულ ტექნიკუმს უნდა გაეგზავნა 32 კურსდამთავრებული, რომლებიც სანარმოო პრაქტიკის გავლის შემდეგ იქვე უნდა დარჩენილიყვნენ სამუშაოდ“ [59, 25].

უკვე 1921 წლიდან რკინიგზის გაერთიანების შემდეგ დაიწყო ქართველი მონინავე მუშების, კვალიფიციური სპეციალისტების მასიური დევნა, რადგან რკინიგზის მთელი ხელმძღვანელობა რუსეთის ცენტრს დაუმორჩილეს. მოსკოვს კი თავისი პროგრამა ჰქონდა საქართველოსადმი. მთელი რიგი მუშათა ჯგუფები თანდათანობით გადაასახლეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და როსტოვის რკინიგზებზე. მხოლოდ 1921 წლის 10 ოქტომბრამდე მივლინების სახით საქართველოს გზას მოაშორეს 1400-ზე მეტი მუშა-სპეციალისტი. მრავალი ოჯახი უპატრონოდ დარჩა. შტატების შემცირების საბაბით ითხოვდნენ ასობით ძველ და გამოცდილ მუშებს. სამაგიეროდ ქართველების ადგილს იკავებდნენ რუსეთიდან ჩამოსული პირები. ქართველების დევნამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ცენტრის ბრძანებით რკინიგზაზე სამუშაოდ რუსეთიდან მოჰყავდათ ათასობით მუშა და მოხელე. შემოღებული იქნა მთელი რიგი წესები ქართველების საზღვარგარეთ განსადევნად [60].

20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ეროვნულმა შემადგენლობამ. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით ქართველების ხვედრითი წილი საქართველოს ქალაქების მოსახლეობაში 1939 წელს შეადგენდა 46, 5%-ს, 1922 წელთან შედარებით იგი გაიზარდა 2, 7%-ით, რუსი მოსახლეობისა – 6, 6%-ით, ხოლო სომეხი მოსახლეობის ხვედრითი წილი იმავე წლებში შემცირდა 27, 2%-დან 18, 4%-მდე [61, 76]. ადგილი ჰქონდა სხვა ეროვნების მოსახლეობის შედარებით შემცირებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველების ხვედრითი წილის ზრდა უფრო მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა თბილისში, ვიდრე რესპუბლიკის ქალაქებში მთლიანად.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ა. შონია, ერის დიდი სატიკივარი, ჟურნალი „პოლიტიკა“, 1995, №28.
2. გ. მაისურაძე, ისტორიული სიმართლის დამახინჯების ახალი ცდები, „ანალები“, №1, 2000.
3. კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბილისი, 1998.
4. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში სუიცსა), ფ. 600, ანან. 2, საქ. 3.
5. გაზეთი „ტრიბუნა“, 1922, 21 იანვარი.
6. შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბილისი, 2001.
7. ნ. აბესაძე, ეთნიკური პროცესები ქალაქ გორში, კრებულში „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, II, თბილისი, 2001.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბილისი, 1970.
9. ვ. პიტოევი, საბჭოთა არჩევნები და ეროვნული უმცირესობანი, ჟურნალი „საბჭოთა აღმშენებლობა“, 1929, №3.
10. საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება კომუნისტების მიერ, თბილისი, 1991.
11. Тифлис и его окрестности, Тифлис., 1925.
12. გაზეთი „ახალი სოფელი“, 1925, 3 დეკემბერი.
13. სუიცსა, ფ. 288, ანან. 1, საქ. 2109.
14. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი, 1930.
15. გაზეთი „კომუნისტი“, 1922, 8 ოქტომბერი.
16. გაზეთი „მუშა“, 1923, 12 ოქტომბერი.
17. გაზეთი „კომუნისტი“, 1925, 24 ივნისი.
18. გაზეთი „მინის მუშა“, 1924, 2 ნოემბერი.
19. სუიცსა, ფ. 284, ანან. 1, საქ. 1147.
20. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (შემდეგში სშსსა), ფ. 14, ანან. 2, საქ. 485.
21. შ. ნოზაძე, საქართველოს კპ მოღვაწეობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამკვიდრებისათვის, თბილისი, 1987.
22. სუიცსა, ფ. 607, ანან. 1, საქ. 2040.
23. გაზეთი „კომუნისტი“, 1923, 31 მაისი.
24. ლ. მღებრიშვილი, რა ელის უდების სოფელ ზინობიანს? კრებული „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, თბილისი, 2005.
25. გ. ჯალაბაძე, ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნიკური სურათი, კრებული „ქვემო ქართლი“, თბილისი, 1990.
26. გაზეთი „კომუნისტი“, 1923, 3 ივნისი.

27. სმსსა, ფ. 14, ანან. 1, საქ. 534.
28. სმსსა, ფ. 14, ანან. 2, საქ. 313.
29. მ. ნათმელაძე, დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში, თბილისი, 1993.
30. სუიცსა, ფ. 284, ანან. 1, საქ. 640.
31. სმსსა, ფ. 14, ანან. 3, საქ. 520.
32. სუიცსა, ფ. 284, ანან. 1, საქ. 538.
33. ზ. შენგელია, თბილისის მოსახლეობის ეთნოკონფესიონალური სტრუქტურა XIX საუკუნეში, ჟურნალი „მაცნე“, ისტორიის სერია, 1997, № 1-4.
34. შ. კაკურიძე, ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ. თბილისი, 1979.
35. პ. გუგუშვილი, სოციოლოგიური ეტიუდები, II, თბილისი, 1977.
36. Б. Н. Миронов, Историк и Социология, Москва, 1988.
37. ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბილისი, 1985.
38. კ. წერეთელი, არამეული ენა საქართველოში, ჟურნალი „მნათობი“, 1976, №6.
39. სუიცსა, ფ. 600, ანან. 4, საქ. 8.
40. სმსსა, ფ. 14, ანან. 3, საქ. 263.
41. ბერძნები საქართველოში, თბილისი, 1990.
42. ა. სონლულაშვილი, ბერძნები საქართველოში, თბილისი, 2004
43. გ. სურგულაძე, ეროვნული საკითხი საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში (რეგიონალური ასპექტები), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 2001.
44. ა. სონლულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, თბილისი, 2009.
45. ა. თოთაძე, ოსები ქართულ მიწაზე, გაზეთი „ცხოვრება“, 1991, 9 თებერვალი.
46. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1991.
47. სუიცსა, ფ. 600, ანან. 2, საქ. 344.
48. გ. ჩიტაია, შრომები ხუთ ტომად, ტ. I, თბილისი, 1997
49. გაზ. „კომუნისტი“, 1939, 11 მარტი.
50. ლ. ხუციშვილი, სულიერი ღირებულებების რეორიენტაციის პროცესი პანკისელი ოსების მაგალითზე, „კლიო“, 2002, №14.
51. Норман Кон, Благословение на геноцид, Миф о всемирном заговоре евреев в „Протоколах сионских Мудрецов“, Пер. с английского, Москва, 1990.
52. ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა,

- თბილისი, 1987.
53. მ. ბადრიძე, ქუთაისის ისტორია, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 1997.
  54. ქ. აბულაძე, ქართველ ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა 1921-1940 წწ., საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2000.
  55. ა. სონღულაშვილი, ქალაქისა და სოფლის ურთიერთობა XX საუკუნის 20-30-იან წლებში, თბილისი, 1992.
  56. ა. სონღულაშვილი, ისტორიული ნარკვევები, თბილისი, 2010.
  57. ა. სონღულაშვილი, გერმანელები საქართველოში, თბილისი, 1995.
  58. უ. ბლუაშვილი, ისტორიას არ ირჩევენ (პოლიტიკური რეპრესიების ანატომია), თბილისი, 2011.
  59. კრებული „მეგობრობა“, თბილისი, 1979.
  60. გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, პარიზი, 1921, №13.
  61. მ. ნათელაძე, საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორია (1933-1945), II, თბილისი, 1975.

**Avtandil Songulashvili**

*Doctor of History, Professor, Ivane Javakishvili Tbilisi State University, Ivane Javakishvili Institut of History and Ethnology, The Head of the Department of the Modern and Contemporary History*

**Accommodation Areas of Ethnic Minorities in Georgia  
In the 20s and 30s of the XX century**

**Summary**

In the 20s of the XX century a number of ethnic minorities living in Georgia amounted to 851 557. By this time there were 19 densely populated and 33 scarcely populated ethnical groups in Georgia. A number of non-Georgians proportionally grown up especially in the rural areas around Tbilisi. The main ethnic groups in Georgia were: Russians, Armenians, Azerbaijanis, Greeks, Jews, Germans, Kurds, Assyrians and others.

Demographic situation was influenced by other circumstances as well: on the one hand Georgian specialists were sent to Russia and other republics to work and live there, while, on the other hand, a large number of workers and qualified specialists of other nationalities were welcomed to Georgia. Naturally it was a far-reaching policy.

## შოთა ვადაჭკორია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

*აღნიშნული სტატია დაიწერა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის (№ FR/148/2-101/14) ფარგლებში*

### **პოლიტიკურ ძალთა გაერთიანების საკითხი და ქართული პოლიტიკური აზრი (1921 წლის აპრილი-1922 წლის მარტი)**

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის მსვლელობის პროცესში გამოცემული დეკრეტი №1 (1921 წ. 25 თებერვალი) ვლენინისეულ სატყუარ ანკესს წარმოადგენდა და საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიურად ნებაყოფლობით განიარაღებაზე იყო გათვლილი. ეს დოკუმენტი ზედაპირული თვალსაზრისით, კომპრომისულ და ჰუმანურ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს. მაგრამ, თუკი სიღრმისეულად გავიაზრებთ მასში ჩადებულ ყოველ დებულებას, აღმოჩნდება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი სახელმწიფოს დასაცავად მებრძოლი პოლიტიკური ძალების საქმიანობას, რომლისთვისაც საქართველოს გასაბჭოება და კომპარტიის მიზნები მიუღებელი იყო, **ბოროტ მოღვაწეობად** აცხადებდა. „გამოცხადებული იქნას ამნისტია – ვკითხულობთ დოკუმენტში – ყველა იმ პოლიტიკური პარტიებისა, რომელნიც აქტიურად გამოდიოდნენ საქართველოს საბჭოთა ძალაუფლების და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ამ ამნისტიის ძალით არცერთი წევრი ამგვარი პოლიტიკური პარტიებისა და, საერთოდ არავინ, არ უნდა იქნეს დატუსაღებული, მიცემული სასამართლოში, ან ადმინისტრაციულად დევნილი იმ **ბოროტი მოღვაწეობისათვის**, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ძალაუფლების და საქართველოს კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ“ [1, 19].

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ ამ დოკუმენტმა თავისი დანიშნულება გარკვეულწილად შეასრულა. მხედველობაში მაქვს ზოგიერთი პოლიტიკური პარტიების და ჯგუფების

მხრიდან საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის კურსის აღება. რაც შეეხება დევნილობაში მყოფი საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური ძალის ლიდერებს, მათი მოქმედების კურსი, დამპყრობლისადმი ქართველი ერის შეურიგებლობაზე იყო დაფუძნებული. ისინი კარგად აცნობიერებდნენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც იმ ძნელბედობის ჟამს ისტორიამ რომ დააკისრა. აქედან გამომდინარე, ოკუპანტებისადმი წინააღმდეგობის განწევის ხელმძღვანელობის აუცილებლობას პირველხარისხოვან ამოცანად მიიჩნევდნენ. ამ მიმართულებით მათი მხრიდან გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი, იმ პერიოდის საერთაშორისო სამართლის ჩარჩოში ჯდება. ეს ფაქტორი ედო საფუძვლად ვ. ლენინის მიერ ხელქვეითებისადმი მიცემულ წინადადებას, რომელიც საქართველოს კანონიერი ხელისუფლების თავმჯდომარესთან – ნ. ჟორდანიასთან კომპრომისზე წასვლის აუცილებლობაზე რომ მიუთითებდა.

მართალია, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობის წინაშე გამოკვეთილი ფორმით დაისვა საკითხი – ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობის შესახებ, მაგრამ, პოლიტიკურ ძალებთან შესათანხმებელი იყო, თუ რა ფორმით მომხდარიყო მისი განხორციელება. მითუმეტეს, საბჭოთა რუსეთის საპროპაგანდო საშუალებები მაღალ დონეზე მუშაობდა და 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენებს გამრუდებული ფორმით აწვდიდა დასავლეთ ევროპას. იდეოლოგიურ ფრონტზე შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის დაძლევის მიზნით, დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური წრეებისადმი სწორი ინფორმაციის მიწოდების საწყის ეტაპად, საქართველოს მთავრობის სახელით 1921 წლის აპრილში გაკეთებული განცხადება უნდა იქნას მიჩნეული. იგი ევროპის სხვადასხვა ენაზე ითარგმნა და პრესის ფურცლებზედაც დაიბეჭდა. ამ დოკუმენტის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, საფეხურებრივად იყო ასახული ის აგრესიული და საბრძოლო მოქმედებების პროცესები, რომელსაც 1921 წლის 11 თებერვლიდან XI არმია საქართველოს პირველი რესპუბლიკის წინააღმდეგ აწარმოებდა. იმავე დოკუმენტში შემაჯამებელი დასკვნის სახით გამოთქმული პროტესტის პარალელურად, სრულად იყო წარმოჩენილი ოკუპანტებისადმი ქართველი ერის შეურიგებელი დამოკიდებულება. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით დოკუმენტში ვკითხულობთ: „1) არა შინაურმა მოძრაობამ, გამომდინარე თუნდაც ხალხის უმცირესობისგან, არამედ უხეშმა გარემომ დაარღვია ხალხის

მიერ თავისუფლად მიღებული დემოკრატიული კონსტიტუციური წესწყობილება და მის ნაცვლად შემოიღო საბჭოთა რუსეთიდან გადმოღებული ინსტიტუტი; 2) ქართველმა ხალხმა გმირული წინააღმდეგობა გაუწია მტერს და მან, თავისი მთავრობის ირგვლივ და-რაზმულმა, თავისი მიწა-წყალი დათმო მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ამოწურა წინააღმდეგობის ყველა შესაძლებლობა; 3) საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა არის უცხო ჯარის მიერ ქვეყნის სამხედრო ოკუპაცია. იგი იძულებული გახდა ბოლშევიკური ოკუპაციის გამო, დაეტოვა ეროვნული მიწა-წყალი. საქართველოს მთავრობა აგრძელებს დამფუძნებელი კრებიდან მიღებულ მანდატს და იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც მან ხალხის წინაშე იკისრა. იცავს რა ხალხის ინტერესებს, იმ სახელმწიფოების წინაშე, რომელმაც სცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა“ [2, 493].

ჩემს მიერ მოტანილ სამივე მუხლში ჩამოყალიბებული დებულებები, საერთაშორისო საზოგადოებას მტრისადმი შეურიგებლობაზე, დამფუძნებელი კრებისგან მინიჭებული უფლებების განუხრელად დაცვაზე და ქვეყნის სრულად განთავისუფლებისათვის ბრძოლის გაგრძელებაზე მიანიშნებდა. მართალია, სურვილი და განცხადება ჩაფიქრებული გეგმის თეორიულ ნაწილს წარმოადგენდა, მაგრამ არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა პრაგმატული სახის ნაბიჯის გადადგმას ენიჭებოდა. ამ მიმართულებით კონკრეტული ღონისძიებების გატარება იმითაც იყო აუცილებელი, რომ საქართველოში მიმდინარე ანტისაბჭოურ მოძრაობას, გონივრულად მაღალ დონეზე შედგენილი გეგმის მიხედვით სჭირდებოდა ხელმძღვანელობის განევა. მეორე მხრივ, საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობის ჩანაფიქრის შესასრულებლად უდიდეს სირთულეებს ქმნიდა. ამ ფონზე, მოკავშირე და ქართული საქმისადმი „გულშემატკივარი“ სახელმწიფოს პოვნა აუცილებლობას წარმოადგენდა. საქართველოს მთავრობის მესვეურებს კარგად ქონდათ გაცნობიერებული, რომ ევროპის ქვეყნებიდან მათდამი მხარდაჭერა და გვერდში დგომა, ოკუპანტი ქვეყნისადმი (საბჭოთა რუსეთისადმი) დაპირისპირებას ნიშნავდა. ასეთ რისკზე წასვლა ევროპის ქვეყნების პოლიტიკურად გამეძავებული ლიდერების მხრიდან ნაკლებად მოსალოდნელი იყო. მითუმეტეს, დევნილობაში მყოფი საქართველოს მთავრობა და პოლიტიკური სპექტრი, დაქსაქსულად და ურთიერთდაპირისპირებული ფორმით მოქმედებდა. ეს პროცესი, საქარ-

თველოსადმი გულშემატკივარი ქვეყნის პოვნას კიდევ უფრო არ-  
თულებდა. აუცილებლობა, ევროპელთა დასანახად, პოლიტიკურ  
ძალთა კონსოლიდაციისკენ ნაბიჯის გადადგმას და ერთიანი სა-  
მოქმედო გეგმის შემუშავებას მოითხოვდა. მეორე მხრივ, იმავე  
ევროპის პოლიტიკური სპექტრისთვის უნდა ეჩვენებინათ, რომ  
საქართველოს მოსახლეობას, დამპყრობელთან მტრული დამო-  
კიდებულება ქონდა, რომ ქართველი ერი რუსეთის საოკუპაციო  
მმართველობას ებრძოდა და მის ღირსეულ მედროშეს დევნილი  
ხელისუფლება წარმოადგენდა. ამის გაკეთება მხოლოდ მაშინ  
გახდებოდა შესაძლებელი, თუკი ერთ საერთო მიზანთან – საქარ-  
თველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან მიმართებაში შეთან-  
ხმდებოდნენ. მართალია, საკითხი გამოკვეთილი ფორმით იყო  
დასმული, მაგრამ იმავე პოლიტიკური სპექტრის წინაშე ისმებო-  
და კითხვა – რომელ პოლიტიკურ ძალებთან შეიძლება შეთან-  
ხმება, ნდობის გამოცხადება და ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძო-  
ლის ერთობლივი გეგმის ამოქმედება? ამასთან დაკავშირებით  
ჩვენი ყურადღება ბათუმის ინტერპარტიული კომისიის წერილმა მი-  
იქცია. იგი განსაკუთრებული ფორმით საქართველოში და ემიგრაციაში  
მყოფი პოლიტიკური პარტიებისადმი მიმართვასაც წარმოად-  
გენდა. ამ დოკუმენტის მიხედვით: 1) ქვეყანაში არსებული ეროვნუ-  
ლი კრიზისის ფონზე, ხალხის მეთაურებად მოაზრებული პოლიტი-  
კური პარტიების ლიდერების ურთიერთდაპირისპირება და მოწინა-  
აღმდეგე ბანაკებად დაყოფა მიუღებლად იყო მიჩნეული; 2) იგივე  
კომიტეტი, საზღვარგარეთის პოლიტიკური პარტიების ხელმძღვა-  
ნელობისგან კატეგორიულად მოითხოვდა, რომ საქართველოში  
მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს, ხელქვეითებისადმი შესაბამისი წე-  
რილობითი მითითება მიეცა, რათა პარტიათა შორის არსებული სა-  
დაო საკითხები დროებით გადაედოთ, საქართველოს დამოუკიდებ-  
ლობის ნიადაგზე დამდგარიყვნენ და პოლიტიკურ ძალთა კონსოლი-  
დაციის მიზნით კონსენსუსის საფუძველზე მოეხდინათ შეთანხმება;

3) იმავე წერილის ავტორთა მტკიცებით, ამ მიმართულებით ნაბიჯის  
გადადგმა, მთლიანი ეროვნული ფრონტის შექმნას დააჩქარებდა და  
ოკუპანტი ქვეყნის ზემოქმედებისგან საქართველოში არსებული  
პოლიტიკური პარტიების განთავისუფლებას შეუწყობდა ხელს.

რამდენადაც საკითხი უაღრესად აქტუალური იყო, მისი დროუ-  
ლად მოგვარება საქართველოს ხვალისდელი დღის დადებიად გა-  
დაწყვეტის შესაძლებლობებს უკავშირდებოდა. აღნიშნულის გათვა-  
ლისწინებიდან გამომდინარე, სტამბოლის პოლიტიკური კომისიის



1921 წლის 12 სექტემბრის სხდომამ ეს წერილი საგანგებო მსჯელობის საგნად აქცია. ამ საკითხთან დაკავშირებით საინფორმაციო ხასიათის მოხსენება ნ.ხომერიკმა გააკეთა და პოლიტიკურ ძალთა შეთანხმების დაუყოვნებლივ მოგვარება აუცილებლობად გამოაცხადა. გარკვეული დებატების შემდეგ, იმავე სხდომამ 6 პუნქტიანი დადგენილება მიიღო: „1) შესდგეს საქართველოში ინტერპარტიული ორგანო – თითო პარტიიდან თითო კაცი – პარტიათა შორის კონტაქტის დასამყარებლად და ანტიბოლშევიკური ფრონტის განსამტკიცებლად. ბოლშევიკების ლიკვიდაციამდე პარტიები ერთი მეორეს წინააღმდეგ საჯარო გამოსვლებს არ ანარმოებენ; 2) ყოველი პარტია, რომელიც დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგას და დამპყრობელთა ძალაუფლებას არ სცნობს, ვალდებულია თავისი დამოკიდებულება ამ საგანთან ამა თუ იმ ფორმით გამოამჟღავნოს ისე, რომ ის აშკარა იქნეს როგორც ქართველი ხალხის ისე ევროპის საზოგადოებისათვის; 3) დამპყრობთა განდევნის შემდეგ დამფუძნებელი კრება იკრიბება მხოლოდ იმისთვის, რომ დანიშნოს პარლამენტის არჩევნები, მოისმინოს მთავრობის ანგარიში, შექმნას კაბინეტი და მისცეს მას დროებითი კრედიტები; 4) პარლამენტი მოწვეული უნდა იქნეს არა უგვიანეს ორი თვისა დამფუძნებელი კრების შეკრებიდან.

**შენიშვნა – 3 – და – 4 მუხ.** არჩევნების ვადის გაგრძელება და დამფუძნებელი კრების მიერ სხვა საკითხების განხილვა, გარეშე აღნიშნულისა შეიძლება მხოლოდ კოალიციაში მყოფ პარტიათა შორის შეთანხმებით; 5) ერთადერთ კანონიერ მთავრობათ, ახლის შედგენამდე დამფუძნებელი კრების მიერ, ითვლება ახლანდელი მთავრობა, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფება; 6) დამფუძნებელი კრება ადგენს კოალიციურ მთავრობას“.

რამდენადაც ამ დოკუმენტს მისი შემდგენლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, იმავე კომისიის 13 სექტემბრის სხდომამ პარიზში მყოფი საქართველოს ხელისუფლებისადმი საგანგებო მიმართვა მიიღო. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით მასში ვკითხულობთ: „ჩვენი სურვილია, რომ ეს (დადგენილება – შ. ვ.) რაც შეიძლება მაქ ჩქარა განიხილოთ და დაგვიდასტუროთ, რომ შემდეგ გადავსცეთ საქართველოში, როგორც საერთო აზრი საზღვარგარეთისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს გავლენას მოახდენს და შეთანხმებას შესაძლებელს გახდის. ეს მოხდება რასაკვირველია მაშინ, თუ მაქაური ყველა წევრები ამას გაიზიარებენ. ამიტომ, ეცადეთ და დაარწმუნეთ ამის აუცილებლობაში. თუ ვინმე აღმოჩნდება მისი მოწინააღმდეგე, აქ არავისთვის მიუღებელი არა-

ფერია. მით უფრო, რომ შეთანხმება ეხება ორი თვის ვადას“ (3, 8).

ჩემს ხელთ არსებული საარქივო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ეს დოკუმენტი, საქართველოს მთავრობის 1921 წლის 22 სექტემბრის სხდომამ განიხილა და ტექსტი უცვლელად დამტკიცა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას დამატების სახით მეშვიდე პუნქტი დაურთო, სადაც აღნიშნული იქნა; „7) 1 და მე-2 მუხლის აუსრულებლობა აბათილებს დანარჩენ მუხლებს.“ დოკუმენტი ნ. ყორღანიას, ს. მდივანის, აკ. ჩხენკელის, კ. კანდელაკის, ე. გეგეჭკორის და გრ. ვეშაპელის ხელმოწერით იქნა დადასტურებული [4, 6]. იმ მიზნით, რომ ამ დადგენილებაში დასმული საკითხები საქართველოში არ ამოქმედებულიყო და პოლიტიკარტიათა შეთანხმება შეუძლებელი გამხდარიყო, ბოლშევიკები ყოველგვარი სახის საშუალებებს იყენებდა. მათ ამოცანას ოპოზიციური პარტიების ზედა ემელონების გადაბირება, პარტიათა შიგნით განხეთქილების შეტანა და ემიგრაციაში მყოფი კანონიერი მთავრობისადმი დაპირისპირება წარმოადგენდა. სწორედ ეს გარემოება ქონდა მხედველობაში ნ. ხომერიკს, როცა სტამბოლის პოლიტიკური კომისიის 1921 წლის 5 ოქტომბრის სხდომაზე იმ პოლიტიკური პარტიების შესახებ („სხიველები“, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატიების გარკვეული ნაწილი) მიუთითებდა, რომლებმაც საქართველოს ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის კურსი აირჩია. „თუ ეს ასე გაგრძელდა – ამბობდა ნ. ხომერიკი – თუ ყოველივე იმას რაც ასუსტებს ქართველი ხალხის ბრძოლის ენერგიას ბოლო არ მოელო, ჩვენ იძულებული ვიქნებით... თავი დავანებოთ შეთანხმებაზე ლაპარაკს“ [3, 12].

ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ ნ. ხომერიკი ოკუპანტ ხელისუფლებასთან ყოველგვარი სახის კომპრომისის წინააღმდეგი იყო და მოქმედების ერთადერთ საშუალებად – რადიკალიზმს მიიჩნევდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში დოკუმენტური მასალითაა დადასტურებული, რომ 1921 წლის დასაწყისში, საქართველოს გასაბჭოების პირველ ეტაპზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამი მიმართულება იყო გამოკვეთილი: 1) ეროვნული ცნობიერებით დატვირთული და პატრიოტული სულისკვეთებით შემართული ინტელიგენციის ლიბერალურ-კომპრომისული მიმდინარეობა, რომლებსაც ერის სამსახურში ყოფნა, პირადი პროფესიული მეთოდების გამოყენებაში ესახებოდა; 2) არალეგარულად მოქმედი ანტიგაბჭოური მიმდინარეობა, რომელთა მცირე ნაწილი ექსტრემისტული მე-

თოდების გამოყენებით ცდილობდა რუსის ჯარის საქართველოდან განდევნას და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას; 3) ზომიერი რადიკალების მიმდინარეობა, რომელთა სამოქმედო გეგმა, ლოდინის ტაქტიკაზე იყო დამყარებული. მხედველობაში მაქვს საქართველოს განთავისუფლების ხელსაყრელი ობიექტური საერთაშორისო და საშინაო ვითარების შექმნა. ნაკლები მსხვერპლის ფასად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიღწევა [3, 164-165].

ასეთ ურთულეს პირობებში, საერთო ნიადაგზე დაფუძნებული მოქმედების გეგმის შემუშავება და საბჭოური ოკუპაციისადმი დაპირისპირება, ერთი შეხედვით თითქმის შეუძლებელი იყო. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ საქართველოდან დევნილ კანონიერ ხელისუფლებას, თავიანთი შეხედულებების საქართველოში პოპულარიზაციის მინიმალური შანსი არ ეძლეოდა. დაპყრობილ ქვეყანაში, დამპყრობლის წინააღმდეგ იდეოლოგიურ-პოლიტიკური საქმიანობის განწევა გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შექმნილი სიტუაცია, საზღვარგარეთ მომქმედი პოლიტიკური ძალებისგან პრაგმატული ნაბიჯის გადადგმას მოითხოვდა. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს სტამბოლის პოლიტიკური კომისიის 1921 წლის 5 ოქტომბრის სხდომის საოქმო ჩანაწერები იქცევს. ამ დოკუმენტის შესწავლის შედეგად, განსაკუთრებული ყურადღება მ. არსენიძის გამოსვლამ მიიქცია იმ თვალსაზრისით, რომ მისი ყოველი წინადადება საქართველოს რეალურ სინამდვილეს უკეთ შეესაბამებოდა, ვინემ სხვა გამომსვლელთა მხრიდან დასმული საკითხები. მისი სამართლიანი მტკიცებით, პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციას, საქართველოს დეოკუპაცია უნდა დადებოდა საფუძვლად. ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა, საერთო ფრონტის და ერთიანი სამოქმედო გეგმის შექმნაზე უნდა ყოფილიყო აგებული. მეორე მხრივ, იგი ქართველ ხალხს ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის გარკვეულ აღმაფრენას შთაბერავდა და ევროპასაც დააინტერესებდა იმ თვალსაზრისით, რომ დასახული მიზნის მისაღწევად, პოლიტიკური პარტიები არა ცალ-ცალკე, არამედ ქვეყნის გასანთავისუფლებლად ერთიანი გეგმით მოქმედებდნენ. „ამიტომ მე ვამბობ – განაცხადა მ. არსენიძემ – დღეს შეთანხმება და საერთო მიმართულება ჩვენი მუშაობის არის (საქართველოს – შ. ვ.) განთავისუფლებისაკენ სწრაფვა, ხოლო გამარჯვების შემდეგ კოალიცია და ხალხის შეკითხვა. სხვა ყველა გზა მხოლოდ მავნებელია.“ იმავე სტენოგრაფიული ანგარიშიდან ირკვევა, რომ მ. არსენიძის ზემოაღნიშნულ პრინციპულ დებულებას, ს. გოგოლაშვილიც მიემხრო.

ამ მიმართულებით მან კიდევ უფრო მეტი რადიკალიზმი გამოავლინა და კატეგორიული ფორმით განაცხადა: „შეიძლება ბევრი საკითხების შესახებ ჩვენ ერთმანეთში ვერ შევთანხმდეთ, მაგრამ ერთი კი აშკარაა ჩვენთვის-ევროპაში მყოფი ამხანაგებისთვის – ვინც დღეს საერთო ანტიბოლშევიკურ ფრონტს დაარღვევს, ის ხალხის მტერია და ჩვენ ეს უნდა გავაგებინოთ ჩვენს ამხანაგებს.“

**ქართული პოლიტიკური სპექტრი შესანიშნავად აცნობიერებდა იმ უდიდეს სირთულეებს, რომლებიც საოკუპაციო რეჟიმის მოცილებასთან იყო დაკავშირებული. მათ კარგად ესმოდათ, რომ საქართველოს პოლიტიკურ ძალთა გაერთიანების პარალელურად, თუკი მონობის უღლის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველ ხალხს ამიერკავკასიის ერებიც შეუერთდებოდა და ერთიანი სამოქმედო გეგმა შემუშავდებოდა, წარმატების შანსი გარკვეული საფეხურით გაიზრდებოდა. ამ კუთხით თუკი განვიხილავთ საკითხს, ყურადღების ცენტრში სტამბოლის პოლიტიკური კომისიის 1921 წლის 10 ოქტომბრის კრების საოქმო ჩანაწერები მოექცევა. დოკუმენტის მიხედვით, კრებას საგანგებოდ განუხილავს კ. გვარჯალაძის მოხსენება – სტამბოლში მყოფი სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან და დაშნაკცუთიუნის ცენტრალური კომიტეტის წევრებთან მოლაპარაკების შესახებ. იმავე მომხსენებლის ინფორმაციით, ისინი თანახმანი ყოფილან ერთობლივი მუშაობის ჩატარებაზე და საბოლოო მოლაპარაკების მიზნით ორი წარმომადგენლის გაგზავნა მოუთხოვიათ. რამდენადაც ქართული მხარისთვის ეს წინადადება მისაღები აღმოჩნდა, მიღებული დადგენილებით, სომხებთან მოსალაპარაკებლად დ. შარაშიძე და ვ. ჯუღელი გაიგზავნა (3, 20).**

ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი კარგად აენყო, მაგრამ პარტიათაშორის კონსესუსის მიღწევა 1922 წლის მარტამდე შეუძლებელი გახდა. ამის დადასტურებას პარტიათა შეთანხმების კონფერენციის (1922 წლის 21 თებერვალი) პირველი სხდომის საოქმო ჩანაწერები წარმოადგენს. განსაკუთრებულ ინტერესს ნ. რამიშვილის გამოსვლა იქცევს. „მიზანი შეთანხმებისა – განაცხადა მან ასეთია: ოკუპაციის მოსპობა, ევროპაში რეალური დახმარების მოპოვება, საქართველოს ამოძრავება და შემდეგ, მთავრობასა და განმათავისუფლებელ კომიტეტში ყველა ძალების დარაზმვა და კოალიციის მიღწევა. ჩვენ უნდა გავფანტოთ ის ხმები, რომელიც მეტად გვიფუჭებენ საქმეს აქაც და იქაც საქართველოში. ეს იქნება შეთანხმება არა დამატებითი, არამედ ბუნებრივი და თავისუფალი და სარჩუ-

ლად უნდა დაედოს გაერთიანება მუშაობისა, და საქართველოში გამოსვლების მოწყობა. ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველო დაეცა საერთაშორისო კონბინაციებით და მანვე უნდა გაგვიწოდოს მისი ფეხზე წამოყენება. ოკუპაციის მოსპობის შემდეგ შეთანხმება უნდა მოხდეს ყველასათვის დამაკმაყოფილებელ საფუძველზე და თუ ოკუპანტები დღეს ცდილობენ გაგვყონ და ისე იბატონონ, ამას ჩვენ უნდა ვუპასუხოთ საერთო ფრონტის შექმნით და მით მოვაახლოვოთ ერის უფლებათა მოპოვება და დამოუკიდებლობის აღდგენა“ [6, 24-25]. ამ ამონაწერის მიხედვით, პოლიტიკურ ძალთა შეთანხმების და ერთიანი სამოქმედო გეგმის ძირითად მიზანს წარმოადგენდა: ა) აოკუპაციო რეჟიმის მოცილება, ბ) ევროპისგან რეალური დახმარების მიღება, გ) განმათავისუფლებელ კომიტეტში ყველა ძალების გაერთიანებაზე დაყრდნობით კოალიციის შექმნა და განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება. ამ მიმართულებით პრაგმატული ნაბიჯის გადადგმით, ძალმომრეობითი საბჭოური პოლიტიკური კურსისა და მისი იდეოლოგიისადმი დაპირისპირების ერთიანი ფრონტის საფეხური მომზადდებოდა. კონფერენციის მონაწილეებისადმი ნ.რამიშვილის მიერ შეთავაზებულ ზემოაღნიშნულ წინადადებებს თუკი ამ ქრილში განვიხილავთ, საკითხი სწორად იყო დასმული. პოლიტიკურ კომისიაში გაერთიანებული პარტიების წარმომადგენლების დიდი ნაწილი, არსებულ სინამდვილეს არ ითვალისწინებდა, პარტიული ამბიციების ტყვეობიდან გამომდინარე, კამათი სულ სხვა მიმართულებით გადაჰქონდა, რის გამოც, მათი მსჯელობის საგანი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის საჭირო პრაგმატული ღონისძიებებისათვის დამახასიათებელ ჩარჩოს სცილდებოდა. მხედველობაში მაქვს ემიგრაციაში განდევნილი კანონიერი მთავრობის არსებული ფორმით შენარჩუნების კანონზომიერების კითხვითი ნიშნის ქვეშ დაყენება. საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ფონზე, მათი მხრიდან საკითხის ასეთი ფორმით დასმა, პოლიტიკურ შეცდომას წარმოადგენდა. მითუმეტეს, ევროპის სახელმწიფოთა შესაბამისი უწყებები, ქართული პოლიტიკური სპექტრის ყოველ მოქმედებასა და გადაწყვეტილებას „გამადიდებელი შუშით“ ადევნებდა თვალყურს და შეკრებილი ფაქტების ანალიზის საფუძველზე ახდენდა ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობისადმი დამოკიდებულების განსაზღვრას.

საქართველოს დევნილი კანონიერი მთავრობისადმი პოლიტი-

კური სპექტრის დამოკიდებულების სრულყოფილ სურათს სტამბოლის პოლიტიკური კომისიის 1921 წლის 12 სექტემბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში იძლევა. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ლ. ჯაფარიძემ, სხდომის მონაწილეთა წინაშე პრინციპულად დააყენა საკითხი – მთავრობის შემადგენლობის შეცვლისა და ქვოტების გადანაწილების შესახებ. ამ მოთხოვნის ძირითად საფუძვლად, ოპოზიციური პარტიების მიერ საქართველოს მთავრობისადმი ბათუმში გამოცხადებული უნდობლობის ფაქტი დაასახელა. „მთავრობა იმ სახით, რა სახითაც დღეს არის, მიუღებელია ჩვენთვის, ვინაიდან ოპოზიციამ ამ მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა ბათუმში... ამას უნდა გაეწიოს ანგარიში. ამისთვის საჭირო იქნება, რომ ჟორდანიას მთავრობა შესდგეს ხელახლა იმ პირობით, რომელსაც ჩვენები მოითხოვენ, ე. ი. პარიტეტული პრინციპით“ [3, 3-4].

აღნიშნული ამონაწერის გაცნობისას მკითხველის წინაშე პრინციპულად დაისმება კითხვა; რა ძირითად არგუმენტებს ემყარებოდა საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის 16 მარტის სხდომაზე, საქართველოს მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ მიღებული დადგენილება. ამის სრულად წარმოჩენის მიზნით, იმავე დოკუმენტიდან 3 პუნქტისგან შემდგარ შესაბამის ამონაწერს შევთავაზებ მკითხველ საზოგადოებას: „1) მთავრობა სრულად მოუმზადებელი აღმოჩნდა ქვეყნის თავდაცვისათვის, თუმცა იცოდა, რომ მტერი საქართველოზე თავდასხმას ამზადებდა და თვითონაც არაერთხელ განუცხადებია, რომ რესპუბლიკის დასაცავად ყველა სათანადო ზომა მიღებული აქვს; 2) მთავრობამ ვერ შექმნა რესპუბლიკის დასაცავად სამხედრო ძალები, რომელიც მის განკარგულებაში იყო; 3) ომის წარმოების დროსაც მთავრობამ ვერ გამოიჩინა საჭირო სიმტკიცე და შეიქმნა პანიკისა და არეუდარევის წყაროდ.

დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ თუმცა ქართველმა ხალხმა ყოველივე მიიტანა სამშობლოს დაცვის სამსხვერპლოზე, დღევანდელმა მთავრობამ, მაინც ვერ შეძლო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობა და უცხადებს უნდობლობას“. ამ დოკუმენტს ხელს აწერდნენ: სოციალისტ-ფედერალისტების, სოციალისტ-რევოლუციონერების, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატების („სხიველები“), ეროვნულ-დემოკრატების ლიდერები. ქართული ჯარისთვის იარაღის შესყიდვასთან და რუსეთის მოსალოდნელი თავდასხმისადმი და-

სახვედრად 1919-1921 წლის თებერვლამდე განეული დაძაბული მუშაობის შესახებ, რამდენადაც ისინი სრულყოფილ ინფორმაციას ვერ ფლობდნენ, მათ მიერ შემუშავებული ზემოაღნიშნული სამივე დებულების ძირითადი ნაწილი არასწორ ფორმულირებებს შეიცავს. ეს ფაქტი, ჩემს მიერ ჰარვარდისა და ლევილის სარქივო ფონდების დამუშავების შედეგად და იქ დაცული დოკუმენტური მასალის გამომზეურებით იქნა დადასტურებული [8, 404-412, 264-297]. აქედან გამომდინარე, საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამარცხების განმაპირობებელი მიზეზების ბრალდებით, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების საკითხის იმ ეტაპზე დასმა, თუნდაც პოლიტიკური თვალსაზრისით – გაუმართლებელი იყო. ეს ხარვეზი კარგად შენიშნა მ. არსენიძემ, რომელმაც იმავე სხდომაზე ლ. ჯაფარიძისა და მისი მხარდამჭერების მისამართით განაცხადა: „არავინ არ უნდა ითხოვდეს კონსტიტუციის დარღვევას. მთავრობა არჩეულია დამფუძნებელი კრების მიერ და მხოლოდ მას აქვს უფლება მისი შეცვლის ან გადაყენების... დღევანდელი მთავრობა... ჩადის აღდგენილ საქართველოში და აბარებს ანგარიშს დამფუძნებელ კრებას. თუ რა გვარი კოალიციით იქნება შედგენილი მომავალი მთავრობა, მე მგონია ამაზე ლაპარაკს ეხლა ადგილი არ უნდა ქონდეს, საჭიროა მხოლოდ დადგენილი იქნას, რომ მთავრობა იქნება კოალიციური.“

საკითხის ამ ფორმით დასმა სრულად შეესაბამებოდა საქართველოს პოლიტიკური სპექტრის ხვალინდელ დღეს და მისადმი ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულების განსაზღვრას. ეს აუცილებლობა კარგად იქნა შემჩნეული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენლის პ.სურგულაძის მიერ. მ.არსენიძისადმი მხარდაჭერის ფონზე, მან სხდომის მონაწილეებს შეახსენა: „უმაღლესი სახელმწიფოებრივი მოსაზრებანი გვაიძულებს ყველა იმათ, ვინც ვიბრძვით საქართველოს განთავისუფლებისათვის და მისი დამოუკიდებლობისათვის, არამც თუ არ ვებრძოლოთ დღევანდელ მთავრობას, პირიქით, მას მხარი დავუჭიროთ და განვამტკიცოთ ის. სხვა საკითხია როცა შეგვეძლება მტერი გავრეკოთ. მაშინ ჩემის აზრით აუცილებელია მთავრობა შესდგეს კოალიციური ნიადაგზე, მისი დეტალური გარკვევა მომავლის საქმეა“ [3, 4].

ამ შემთხვევაში, პ. სურგულაძე სავსებით მართალი იყო, რადგან: 1) საქართველო იმ ეტაპზე რამდენადაც ოკუპირებულ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნებოდა, პრობლემის განხილვა, სა-

ხელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მომხდარიყო. ქართველ ემიგრანტთა პოლიტიკური აზროვნება, არსებული რეალობის გათვალისწინებას დაქვემდებარებოდა და საქართველოს დევნილი ხელისუფლების მხარდასაჭერად ყოფილიყო მიმართული; 2) თუკი ქართული ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი მათ წინაშე მდგომი სინამდვილის საწინააღმდეგოდ იმოქმედებდა და ბოლშევიკების მსგავსად დევნილი „მენშევიკური ხელისუფლებისადმი“ უმძაფრესი კრიტიკით შემოიფარგლებოდა, ეს ფაქტი, ევროპელთა თვალში საქართველოს მთავრობის ავტორიტეტს მაქსიმალურად დასცემდა და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად ვერალქმის მქონე ოპოზიციური პარტიების ლიდერები აღმოჩნდებოდა; 3) საქართველოს დეოკუპაციაზე მოფიქრალ პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებს, საფუძვლიანად უნდა გაეცნობიერებინათ, რომ ევროპის ქვეყნების დაუხმარებლად, დასახული ამოცანის შესრულება შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, საქართველოს დევნილი კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის ნაცვლად, მისადმი ერთსულოვანი მხარდაჭერის ფონის შექმნას და მისი რეიტინგის მაქსიმალურად გაზრდას უნდა ცდილიყვნენ; 4) საქართველოს ხვალისდელი დღის პერსპექტივით და დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველებისადმი თანადგომის აუცილებლობით ევროპელთა დარწმუნების მიძიმე ტვირთი, ემიგრაციაში მყოფ საქართველოს ხელისუფლებას, როგორც ლეგიტიმურ მმართველ მთავრობას თავის თავზე უნდა აეღო. ქართველთა პოლიტიკური სპექტრისგან ავტორიტეტშერყეული მთავრობა, ევროპის ნებისმიერი სახელმწიფოს ლიდერის ან მისი ხელქვეითი მაღალჩინოსანისთვის მიუღებელი აღმოჩნდებოდა. მითუმეტეს, ქართული საქმის და მთავრობის საწინააღმდეგოდ ევროპაში, საბჭოთა პროპაგანდისტულ საშუალებებთან ერთად, „რუსული ეროვნული საბჭოს“ და დაშნაკცუთიუნის პარტიის ლიდერები თავგამოდებით იბრძოდნენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართული ოპოზიციური და არაოპოზიციური ემიგრანტული პოლიტიკური აზროვნების ნომერ პირველ ამოცანას, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ავტორიტეტის გაზრდილი ფორმით მაქსიმალურად შენარჩუნება წარმოადგენდა. სწორედ ეს გარემოება ქონდა მხედველობაში მ.არსენიძეს და პოლიტიკურად საღად მოაზროვნე სხვა პარტიულ მოღვაწეებს, რომლებიც იმ ურთულეს პოლიტიკურ სიტუაციაში სა-



ქართველოს მთავრობის გადაყენების დასმას დანაშაულებრივ ქმედებად რომ აღიქვამდნენ. მიუხედავად ამისა, საქართველოს მომავალი მთავრობის შემადგენლობისა და პორტფელების გადანაწილების საკითხი, საქართველოში დარჩენილი პოლიტიკური სპექტრის (ეროვნულ-დემოკრატიები, სოციალისტ-ფედერალისტები, „სხიველები“) ლიდერების დაჟინებული მოთხოვნით კოალიციურ პრინციპს და პარტიტულ საფუძვლებს უნდა დაქვემდებარებოდა. მათი პოზიცია, როგორც ზემოთაც მქონდა აღნიშნული, ლ.ჯაფარიძემ სტამბოლის პოლიტიკური კომისიის 1921 წლის 12 სექტემბრის სხდომაზე გაახმოვანა. მისი მტკიცებით, ზემოაღნიშნული პოლიტიკური პარტიების სურვილს, ერთობლივი მუშაობა და საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე დადგომა წარმოადგენდა, მაგრამ, დასახული ამოცანის განხორციელება მას შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი, თუკი სოციალ-დემოკრატებთან ორ ძირითად საკითხზე შეთანხმდებოდნენ: ა) მომავალი მთავრობის შემადგენლობა ნახევრად არასოციალისტური იქნებოდა და ბ) მთავრობის დაკომპლექტება, კოალიციაში შემავალი პოლიტიკური პარტიების თანასწორი წარმომადგენლობითი პრინციპით განხორციელდებოდა. ულტიმატუმის ფორმით გაკეთებული ეს განცხადება, ლ. ჯაფარიძის მიერ სტამბოლის პოლიტიკური კომისიის 1921 წლის 5 ოქტომბრის სხდომაზედაც იქნა განმეორებით დასმული. ლ. ჯაფარიძის თქმით, აუცილებლობას წარმოადგენდა კოალიციის შესახებ არა მარტო დადგენილება, არამედ, კოალიციის სახის წინასწარი გარკვევა. „ჩვენ ვთხოულობთ – ამბობდა იგი – პარლამენტის არჩევნებამდე მიღებული იქნას პრინციპი სწორი კოალიციის, ე.ი. პარტიების თანასწორი მონაწილეობისა მთავრობაში. უნდა შემუშავებული იქნას ამასთანავე პროგრამა მომავალი მთავრობისა და ყველაფერი გარკვეული იქნეს აღნიშნული შეთანხმების პირობებში“... ამ ამონაწერის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, იგი საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კონსტიტუციის (1921 წლის 21 თებერვალი) № 46, 53, 54 მუხლების დარღვევას წარმოადგენდა. აღნიშნული საკითხი არა პოლიტიკური კომისიის, არამედ შესაბამისი კანონის მიღების საფუძველზე პარლამენტის გადასაწყვეტი იყო. მეორე მხრივ, კოალიციური მთავრობის წევრთა განსაზღვრის საკითხი, ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის მიერ პარლამენტში გაყვანილი დეპუტატების პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო და არა პარლამენტის მიღმა მდგომი რომელიმე კომისიის წინასწარი დადგენილებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართვე-

ლოს ხელისუფლება პარლამენტის მიერ მიღებული საარჩევნო კანონების დარღვევის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა. ჯაფარიძის მიერ გახმოვანებული ეროვნულ-დემოკრატია მოთხოვნის კონსტიტუციასთან შეუსაბამობა, სოციალისტ-ფედერალისტმა ს. გოგოლაშვილმა კარგად შენიშნა და სტამბოლის პოლიტიკური კომისიის 12 სექტემბრის სხდომაზე, ოპოზიციური პარტიების ზემოაღნიშნული მოთხოვნა მავნებლობად გამოაცხადა. მისი სამართლიანი მტკიცებით, იგი იმ ეტაპზე არ შეეფერებოდა „მომენტის დიადა მოთხოვნილებას“. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, იგი სხდომის მონაწილეებს შეახსენებდა: „ძლიერ საჭირო და აუცილებელია საქართველოს განმათავისუფლებელი მუშაობისთვის არსებული მთავრობა სარგებლობდეს განუზომელი ნდობით და აგრეთვე აუცილებელია მონვეული იქნას დამფუძნებელი კრება. ჩვენ ყოველგვარი ზომა უნდა მივიღოთ, რომ ამ ნიადაგზე შეთანხმება მოხდეს“.

**თუკი საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტებისა და კონსტიტუციის გათვალისწინების მიხედვით ვიხელმძღვანელებთ, ს. გოგოლაშვილის პოზიცია სრულად შეესაბამებოდა სამართლებრივ მოთხოვნებს და რაც მთავარია, საქართველოს და მისი დევნილი კანონიერი ხელისუფლების რეალურ მდგომარეობას. მხედველობაში მაქვს მთავრობის განუსაზღვრელი ნდობით აღჭურვის საკითხის დასმა. იმ შემთხვევაში, თუკი ქართული პოლიტიკური სპექტრი ნდობასა და პატივისცემას არ გამოიჩენდა საქართველოს დევნილი მთავრობისადმი, ეს ფაქტი, ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურად გამეძავებული ლიდერებისადმი ერთ-ერთი მყარი არგუმენტი გახდებოდა საქართველოს საკითხთან მიმართებაში მათი მხრიდან ინდიფერენტული ხაზის გასაგრძელებლად. შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურა, ქართული პოლიტიკური სპექტრისგან საქართველოს დევნილი მთავრობის გარშემო გაერთიანებას და შეთანხმებული გეგმის მიხედვით მოქმედების აუცილებლობას მოითხოვდა.**

რაც შეეხება ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ საქართველოში ქვეყნის ახალი მთავრობის შემადგენლობის შექმნის საკითხს, იმავე ს. გოგოლაშვილის აზრით, მთავრობის პატივისცემა სოციალისტ-ფედერალისტებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მისაღები, თუკი მათაც ეროვნულ-დემოკრატიებისთვის გათვალისწინებული თანაბარი წარმომადგენლობა ეყოლებოდა მთავრობაში.

იმავე სხდომაზე, ლ.ჯაფარიძემ მთავრობაში პარტიათა წარმომადგენლობის რიცხვის წინასწარი განსაზღვრის საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა დააყენა. ქართული ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის ნააზრვეიდან გამომდინარე ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი წინასწარ უკეთებდნენ იგნორირებას დემოკრატიული არჩევნების შედეგებს და რაც მთავარია, პარლამენტის დადგენილების გარეშე მისი გვერდის ავლით ცდილობდნენ მთავრობაში პოლიტიკურ ძალთა ქვოტების გარანტირებული წესით მიღებას. იმ შემთხვევაში თუკი ეს პრინციპი განხორციელდებოდა, საქმე გვექნებოდა დემოკრატიული აღმშენებლობისა და პარლამენტის უფლებების მიზანმიმართულად იგნორირებასთან. ამ სამართლებრივი ნორმების დარღვევის გამო პოლიტიკური კომისიის 1921 წლის 5 ოქტომბრის სხდომაზე ვ. ჯუღელმა ოპონენტების მისამართით განაცხადა: „კონკრეტული საკითხი ბევრათ დამოკიდებულია იმ მდგომარეობაზე, რომელიც ბოლშევიკების განდევნის შემდეგ შეიქმნება... ჩვენ შევთანხმდით პრინციპში – მომავალი მთავრობა იქნეს კოალიციურათ შემდგარი, მაგრამ იმის შესახებ თუ რომელ პარტიას რამდენი წარმომადგენელი ყავს მთავრობაში, სავსებით დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომელი პარტია რა მონაწილეობას მიიღებს ბოლშევიკების დამხობაში. თავის თავად ცხადია, იმ პარტიას, რომელიც გულზე ხელდაკრეფილი შეაცქერდება ხალხის ბრძოლას ბოლშევიკებთან, მთავრობაში წარმომადგენელი არ ეყოლება“. ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ განთავისუფლებულ საქართველოში, მომავალი მთავრობის შემადგენლობის განსაზღვრა დამოკიდებული იქნებოდა არა რომელიმე პარტიის სურვილზე, არამედ საბჭოური ოკუპაციის წინააღმდეგ ჩატარებულ ბრძოლაში მონაწილეობის ხარისხზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ვ.ჯუღელმა, ოპონენტებს პირდაპირ უთხრა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ამა თუ იმ პოლიტიკური სპექტრის მიერ განეული დამსახურების გამამწყვეტი მნიშვნელობის როლზე. მეორე მხრივ, ეს საკითხი არა კულუარული გარიგების, არამედ დემოკრატიული არჩევნების შედეგების მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო. ჩემი აზრით, ვ.ჯუღელი სწორად მოიქცა, როცა ეროვნულ-დემოკრატიების უსაფუძვლო პრეტენზიებიდან გამომდინარე, იმავე სხდომაზე რომ განაცხადა: „მე საერთოდ მაკვირვებს ნაც. დემ. პრეტენზიები, მათი ის მოთხოვნებიც კი, ... მომავალ სამინისტროში მინისტრების ნახევარი რიცხვი ყოლოდათ. რაშია საქმე ვერ გამიგია. მათი გავლენა ხალხში არ შეადგენს ჩვენი გავლენის ერთ მეათედს. ამას

თვით აქ ჩამოსული ნაც. დემ. ადასტურებენ. ანდა შეიძლება დიდია მათი გავლენა ევროპის მუშათა მასაში ან ოფიციალურ წრეებში? თქვენც იცით, რომ არც ერთია და არც მეორე! მაშ რაზე შენდება მათი პრეტენზიები? უნდა გამოვცადე რომ არ ვიცი.“ ამით ვ. ჯულელმა ეროვნულ-დემოკრატიებს პირდაპირ უთხრა, რომ საზოგადოებაში და საერთაშორისო არენაზე დაბალი რეიტინგის მქონე პოლიტიკური პარტიის უსაფუძვლო პრეტენზიები, სოციალ-დემოკრატიებისათვის მიუღებელი იყო. მითუმეტეს, მათი მხრიდან დასმული მოთხოვნების გადამწყვეტი, დემოკრატიული არჩევნების შედეგები იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ოკუპირებული საქართველოს შემყურე პოლიტიკურ ძალას, მომავალ მთავრობაში პორტფელების განაწილების საკითხი არც კი უნდა დაესვა. „ეხლა ჩვენ არ უნდა დავინყოთ დავა – ამბობდა ნ. ხომერიკი, – თუ რომელ პარტიას რამდენი ადგილი მიეცეს მომავალ მთავრობაში. ისე თუ მაინცა და მაინც საქმე პორტფელებზე მიდგება, მაშინ ჩვენ შეგვიძლია არსებულ შემოკლებულ მთავრობას დაემატოს ორი ნაციონალ-დემოკრატი და ერთი ფედერალისტი, თუმცა ზოგს ჩვენს ამხანაგს ესეც ზედმეტად მიაჩნია, რადგანაც სახეში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ბევრი არ შეურიგდება ისეთ მთავრობას, რომელიც ძალზე დაშორებული იქნება არსებულ ძალთა განწყობილებას.“

ასეთი სახის განცხადების პარალელურად, იმავე ნ. ხომერიკმა ოპონენტების მისამართით გარკვევით განაცხადა: 1) განთავისუფლებულ საქართველოში დამფუძნებელი კრების შეკრება მხოლოდ პარლამენტის ასარჩევად განხორციელდებოდა; 2) საქართველოში ჩასვლისთანავე მთავრობა კოალიციური გახდებოდა; 3) საქართველოს დეოკუპაციამდე პარტიათა შორის ურთიერთსაწინააღმდეგო გამოსვლების შეწყვეტა აუცილებელი იყო, თუნდაც ევროპელთა დასანახად, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრის საზრუნავს ურთიერთ კინკლაობა და პორტფელების განაწილება კი არა, საქართველოს ხვალისდელი დღე წარმოადგენდა. მითუმეტეს, ქართული პოლიტიკური სპექტრის ჩანაფიქრი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, ევროპის სახელმწიფოთა თანადგომაზე დიდად იყო დამოკიდებული. ამ რეალობის გაცნობიერებას თუ რამდენად შეძლებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები-ძნელი სათქმელია. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით მათი მხრიდან პრაგმატული ნაბიჯის გადადგმის იმედი არც სოციალ-დემოკრატიებს ქონდა. ამ ფაქ-

ტორის გათვალისწინებით უნდა ყოფილიყო საარჩევნო შედეგების იგნორირებაზე დაფუძნებული ის კომპრომისი, რომელიც ნ. ხომერიკმა შესთავაზა ეროვნულ-დემოკრატიებს. „ჩვენ მხარს დავუჭერთ იმ საკითხს, რათა თქვენს პარტიას ორი წარმომადგენელი ყავდეს მთავრობაში, ფედერალისტებს ერთი ან ორი და სხვა.“ ამ შემთხვევაში, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერები, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე კონიუნქტურით მოქმედებდნენ, პარტიულზე მაღლა, ქვეყნის ხვალისდელი დღისთვის საჭირო მოთხოვნებს აყენებდნენ და ნებისმიერ კომპრომისულ ნაბიჯს მას უქვემდებარებდნენ. ამის დადასტურებას, ოპოზიციის მოთხოვნებთან მიმართებაში კომპრომისზე წასვლის განმაპირობებელი მიზეზების ვ. ჯუღელისეული დაზუსტება წარმოადგენს. „აქ წარმოდგენილი კომბინაცია მომავალი მთავრობის კონსტრუქციისა – ამბობდა იგი – ... ჩვენში გამოიწვევს უკმაყოფილებას უფრო მემარცხენეთ განწყობილი ჯგუფებისაგან, მაგრამ ვინაიდან დღეს ჩვენ წინ ვაყენებთ საკითხს ერის განთავისუფლებისას ვინემ პარტიულს, ჩვენ მივდივართ ამ დათმობაზე, თუმცა ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს ეს ნამეტან დიდ დათმობათ მიაჩნია.“

**თუკი საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით და პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმების აუცილებლობის პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, ნ. ხომერიკის და ვ. ჯუღელის პოზიცია გარეგნულად მისაღები ჩანდა. მითუმეტეს, იმავე თვალსაზრისს მხარს კ. ჩხეიძე უჭერდა. მხედველობაში მაქვს პარტიათა შეთანხმების 1922 წლის 1 მარტის კონფერენციის VI სხდომაზე მის მიერ გაკეთებული განცხადება, რომლის მიხედვითაც კოალიციური მთავრობის ნახევარი სოციალ-დემოკრატებით უნდა დაკომპლექტებულიყო, ხოლო მეორე ნახევარი (არჩევნების შედეგების მიუხედავად), დანარჩენი შეთანხმების პარტიების წარმომადგენლებით, იმ პირობით, რომ ეროვნულ-დემოკრატიებს ერთი პორტფელით მეტი ექნებოდა ვინემ სოციალისტ-ფედერალისტებს.**

სოციალ-დემოკრატთა ერთი ჯგუფის მიერ კანონდარღვევაზე დაფუძნებით გაკეთებულმა ასეთმა კომპრომისულმა განცხადებამ, ეროვნულ-დემოკრატების მადა კიდევ უფრო გაზარდა და მათი მხრიდან იმავე კონფერენციაზე, სამხედრო და მინათმოქმედების სამინისტროების პორტფელების გადაცემის წინასწარი გარანტია მოითხოვეს. მხედველობაში მაქვს გრ.ვეშაპელის გამოსვლა. ეს იმას ნიშნავდა, რომ შეთანხმების ზღვრამდე თითქმის მისული მოლაპარაკება ჩაშლილიყო. მითუმეტეს, დემოკრა-

ტიულ არჩევნებში გამარჯვების იმედის არმქონე პოლიტიკური ძალა, იმ სამინისტროების პორტფელების დაპატრონებას ითხოვდა, რომელზედაც სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ხვალინდელი დღე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ნებისმიერ ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული არცერთი პოლიტიკური ძალა ამ დათმობაზე არ წავიდოდა. ასეთი ნაბიჯის გადადგმა მათი მხრიდან პოლიტიკური პარტიის თვითმკვლელობის ტოლფასი ქმედება და რაც მთავარია, ამომრჩეველთა მიმართ მიცემული დანაპირების შეუსრულებლობა იქნებოდა. ის დათმობები, რომელიც სოციალ-დემოკრატების ერთმა ჯგუფმა შესთავაზა ეროვნულ-დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს, საჭიროების შემთხვევაში, არცერთი მათგანი სოციალ-დემოკრატებთან დათმობის 1%-იან ნიშნულზედაც არ წავიდოდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ ა)საქართველო საბჭოთა რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული, ხოლო მისი მოსახლეობა უცხო ძალისგან ძარცვასა და წამებას განიცდიდა, ამ ფონზე, ნებისმიერი პოლიტიკური ძალისგან მინისტრის პორტფელებზე ვაჭრობა, სახელმწიფოებრივად დაბალი დონის პოლიტიკურ აზროვნებაზე მეტყველებდა; ბ)მეორე მხრივ, მათი ეს ქმედება პოლიტიკური პარტიის ინტერესებთან გამომდინარე ეგოისტური მისწრაფებების დემონსტრირებას წარმოადგენდა; გ) ამ აქტით, ნებსით თუ უნებლიეთ შეურაცყოფას აყენებდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც ხმალამონვდილი ებრძოდნენ დამპყრობლებს და ქვეყნის განთავისუფლები-სათვის სისხლს ღვრიდნენ. ზემოაღნიშნული ეს შეუსაბამობა, რომელიც დახლიდარის დონეზე დასული სავაჭრო გარიგების და წინასწარი გარანტიის მოთხოვნის აბსურდული ფორმას შეიცავდა, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსისათვის მიუღებელი იყო. აქედან გამომდინარე, გაკვირვებას არ უნდა ინვევდეს, როცა ეროვნულ-დემოკრატების „პოლიტიკური კაპრიზები“ ნ. რამიშვილმა მკაცრად რომ გააკრიტიკა. „სოციალ-დემოკრატიული პარტიის დელეგაციის სახელით ვაცხადებ – ამბობდა იგი, – რომ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია თანახმად მიღებული პროპორციის მიხედვით მოხდეს პორტფელთა განაწილება, მაგრამ გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოთხოვნილება სრულიად უსაფუძვლოა და ჩვენთვის მიუღებელია“. ასეთივე მკაცრი პოზიცია დაიჭირა სოციალისტ-ფედერალისტმა კ. კობახიძემაც. ეროვნულ-დემოკ-

რატოა მოთხოვნა – მთავარი სამინისტროების პორტფელების მიღებასთან დაკავშირებით, მიზანშეუნონლად გამოაცხადა.

თუკი ჩემს მიერ ზემოთ მოტანილ მასალებს სიღრმისეული პოზიციიდან გაავანალიზებთ და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში იმ ეტაპზე საბჭოთა რუსეთი იყო გაბატონებული, ხოლო მის დიქტატს კბილებამდე შეიარაღებული სამხედრო შენაერთები იცავდა, ამ ფონზე, „ოცნებით განთავისუფლებული“ საქართველოს მთავრობის პორტფელების განაწილებაზე მსჯელობა, სასაცილო ფორმას იღებდა. სავსებით სწორი პოზიცია ეჭირა მ. არსენიძეს, როცა მან მთავრობის პორტფელებზე „მონადირე“ პოლიტიკურ ძალებს პირდაპირ მიუთითა მათი მოვალეობის შესახებ და იქვე დასძინა: „რაც შეეხება პორტფელების განაწილებას, მე ეს მიზანშეუნონლად არ მიმაჩნია. ეს იქნებოდა განაწილება იმ დათვის ტყავის, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალია. დღეს კი ყველას ერთი მიზანი, ერთი აზრი უნდა გვასულდგმულებდეს, აი ამ დათვის მოკვლა.“ სამწუხაროდ, ეროვნულ-დემოკრატიები „ჩრდილოეთის დათვის“ მოკვლამდე, საქართველოდან მის „გასვენებამდე“ ცდილობდნენ სოციალ-დემოკრატებს ჯიბრში ჩადგომოდნენ და პარტიული ამბიციების დაკმაყოფილებისთვის წინასწარი გარანტიები მიეღოთ. თუ როგორ გამოიყენებდა ისინი ამ მონაპოვარს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებისთვის ცნობილი იყო. აქედან გამომდინარე, სოციალ-დემოკრატები საკანონმდებლო პროცესების დაცვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდნენ. ამის უდაო დადასტურებას, მ. არსენიძის მიერ გაკეთებული განცხადება წარმოადგენს. „არასოდეს არ დავთანხმდებით ჩვენ, ძველი დამფუძნებელი კრება, ძველი მთავრობა არ ვცნოთ და მექანიკურად გამოვაცხადოთ ისინი დაშლილად. ჩვენ დემოკრატები ვართ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. ჩვენ კონსტიტუციას ვწერდით არა იმიტომ, რომ ის ქალღმერთზე დარჩენილიყო, არამედ მას ცხოვრებაში გავატარებთ. მთავრობისა და დამფუძნებელი კრების მუშაობა შეწყვიტა მტრის შემოსევამ, როგორც კი ჩვენ შევძლებთ მის განდევნას, ეს გადანყვეტილებები უნდა ამუშავდეს. მაგრამ ამასთანავე ჩვენ თანახმა ვართ ანგარიში გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა. ამიტომ, ამ დანესებულების მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ მემკვიდრეობითობა დაიცვან, ე. ი. დღე დანიშნონ და კოალიციონური მთავრობა შეადგინონ. ეს არის ნამდვილი დემოკრატიული

**გზა და ჩვენ აქედან ვერ გადავუხვევთ. საქართველოს წარსულთან კავშირის განწყვეტა ჩვენ არ შეგვიძლია“ [3, 19].**

ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ მ.არსენიძე და ქართველი სოციალ-დემოკრატები დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კონსტიტუციის ფარგლებში აპირებდნენ მოქმედებას და რაც მთავარია, ამ კურსის გატარებას მემკვიდრეობის პრინციპის დაცვით ცდილობდნენ. ეროვნულ-დემოკრატების არაკონსტიტუციური მოთხოვნებიდან გამომდინარე, რამდენადაც პოლიტიკურმა პარტიებმა კონსესუსის მიღწევა ვერ შეძლო, ეს ფაქტი დამპყრობელი ქვეყნის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის ვერშექმნის ძირითად მიზეზად გადაიქცა. არადა, საქართველოში იმ ეტაპზე მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას და ხელმძღვანელი ორგანოების შექმნას აუცილებლად საჭიროებდა. აღნიშნული გარემოება ქონდა მხედველობაში სტამბოლის პოლიტიკური კომისიის ხელმძღვანელობას, როცა პარიზის პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარისადმი 1921 წლის 13 სექტემბერს გაგზავნილ ანგარიშში შეთანხმების აუცილებლობაზე რომ მიუთითებდა. იმავდროულად, იმის შესახებაც მიაწინებდა, რომ „შეთანხმება ეხება მხოლოდ ორი თვის ვადას, რომლის შემდეგ პარლამენტი უნდა შეიკრიბოს და მთავრობაც შედგება იმისდაგვარად, როგორი ძალთა განწყობილებაც იქ იქნება. ამის განხილვა არ დაავიანოთ და პასუხი რაც შეიძლება მალე გამოგზავნეთ... პარტიათა შორის განხეთქილება ხალხის ფართო წრეებამდე არ მიდის. ხალხი მთლიანად ბოლშევიკების წინააღმდეგია“. ასეთი კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, ჯერ-ჯერობით შეუძლებელი გახდა იმის დადგენა, პარიზის პოლიტიკურმა კომისიამ უახლოეს მონაკვეთში განიხილა თუ არა აღნიშნული დოკუმენტი. ყოველ შემთხვევაში, ამის დამადასტურებელ საარქივო მასალას ვერ მივაკვლიეთ. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში თავშეკავება შეიძლება იმითაც იყო განპირობებული, რომ ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლები დამფუძნებელი კრების მოწვევის შესაძლებლობას კითხვითი ნიშნის ქვეშ აყენებდა. უკიდურეს შემთხვევაში, მისი მოქმედების შეზღუდულ ფორმებში საქმიანობას უჭერდა მხარს. მათი მხრიდან შიშის ძირითადი საფუძველი, აღნიშნული საკანონმდებლო ორგანოსა და მთავრობის არსებობის გახანგრძლივებაზე იყო აგებული. ეს ნიუანსი კარგად შენიშნა ნ. ხომერიკმა და ეროვნულ-დემოკრატების მისამართით განაცხადა, რომ განთავისუფლებულ საქართველოში დაბრუნებისთანავე „დამფუძნებელი კრება შეიკრიბება მხოლოდ პარლა-



მენტის ასარჩევად და მთავრობისთვის მიმდინარე კრედიტის მისაცემად. პარლამენტი უნდა არჩეული იქნას რაც შეიძლება ჩქარა, ვთქვათ არა უგვიანეს ორი თვისა. მთავრობა ჩამოსვლისთანავე შეივსება პარტიათა წარმომადგენლობით და გახდება კოალიციონური“. ეს პოზიცია ნ. ხომერიკმა პოლიტიკური კომისიის 1921 წლის 5 ოქტომბრის სხდომაზედაც გაიმეორა და ოპონენტების მისამართით განაცხადა: „ყველა ნამდვილი დემოკრატისათვის ეს პირობები სრულად საკმარისია... ამის შემდეგ ვაჭრობა მომავალ მთავრობაში პორტფელების განაწილებაზე წვრილმანობაა და თუ გნებავთ სრულიად შეუფერებელი, როდესაც მთელი ხალხი გლოვობს თავის ყოფას და მთელ თავის გულისყურს მტრებთან ბრძოლას აპყრობს“.

ამ ფაქტით, დევნილი მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ სპექტრს, ნ. ხომერიკმა ერთხელ კიდევ შეახსენა, რომ ქართველი ხალხის მტერთან ბრძოლისა და ოკუპანტი ქვეყნის სამხედრო ძალების განდევნის ჩანაფიქრის ფონზე, საქართველოსადმი ჭეშმარიტი გულშემატკივარისა და მის ხვალისდელ დღეზე მოფიქრალი პოლიტიკოსისათვის, პორტფელებზე ვაჭრობა შეუფერებელ ქმედებას წარმოადგენდა. ასეთი ზნეობრივი შეგონების პოზიციის ოფიციალურად დაფიქსირების მიუხედავად, პრობლემის გარშემო მიმდინარე პოლემიკას არა თუ წერტილი დაესვა, არამედ მან გაღრმავებული სახე მიიღო და ოპოზიციური სპექტრის მხრიდან, მომავალი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის შემადგენლობის თანაბარი ქვოტებით შევსების საკითხი წამოსწია წინა პლანზე. ამასთან დაკავშირებით, პარტიათა შეთანხმების 1922 წლის 1 მარტის VI სხდომაზე სოციალისტ-ფედერალისტმა კ. კობახიძემ ოფიციალურად განაცხადა, რომ სამი პოლიტიკური პარტიისგან შემდგარ საკანონმდებლო ორგანოში, არცერთ მათგანს ხმათა უმრავლესობა არ უნდა ქონოდა. ამ პრინციპის გატარებაში ხედავდა იგი „სოლიდარობის და თანამშრომლობის სიგულწრფელს“. იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს პარლამენტში ქვოტების გადანაწილების კ. კობახიძისეულ ზემოაღნიშნულ ფორმას დაამკვიდრებდნენ, მომხდარი ფაქტით; 1) ამომრჩეველთა უფლებების ხელყოფას და მბრძანებლური მეთოდების დამკვიდრების დემონსტრირებას ექნებოდა ადგილი და რაც მთავარია, 2) საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის მიზანმიმართული ხელყოფა განხორციელდებოდა.

პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნულ-დემოკ-

რტები და სოციალისტ-ფედერალისტები ამ დარღვევაზე თვალს ხუჭავდნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ დემოკრატიული არჩევნების გზით, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატთა იმ რაოდენობას ვერ გაიყვანდნენ, რომელიც კოალიციური მთავრობის შემადგენლობის ნახევრის გამართლებას დაედებოდა საფუძვლად. იმ საარქივო დოკუმენტების მიხედვით, რომელიც პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმების საკითხებთან არის დაკავშირებული, ირკვევა, რომ დისკუსიის ერთ-ერთ საგანს განთავისუფლებულ საქართველოში, ქართული ჯარის შექმნის პრინციპის და ეკონომიკური პოლიტიკის გატარების მიმართულების წინასწარი გარკვევის აუცილებლობის მოთხოვნა წარმოადგენდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას პარიზის ინტერპარტიული შეთანხმების თათბირის 1921 წლის 18 დეკემბრის სხდომა იქცევს. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით ს.ქარუმიძემ პრინციპულად დააყენა საკითხი: „ჩვენ არ შეგვიძლია ისეთი სამხედრო სისტემა მივიღოთ, რომელიც ჩვენს სამხედრო ძალებს ორ მონინაღმდეგე ბანაკად გაჰყოფს. მომავალ აღდგენილ საქართველოს უნდა ჰყავდეს ერთი მთლიანი მხედრული ძალა. აქედანვე უნდა იქნას გამოცხადებული, რომ მომავალ აღდგენილ საქართველოში გვარდია არ იარსებებს“. ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. ჟორდანიამ იმავე სხდომაზე ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი ორსაფეხურიანი ჯარის მომხრე არ იყო და განთავისუფლებულ საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში გვარდიის აღდგენა არ მოხდებოდა. იმავდროულად მან ის ძირითადი მიზეზები დაასახელა, რომელმაც თავის დროზე გვარდიის შექმნის აუცილებლობა განაპირობა. „რაც შეეხება მომავალი ჯარის ორგანიზაციის საკითხს – ამბობდა ნ. ჟორდანია – ჩვენ თანახმა ვართ ერთიანი მთლიანი ჯარის სისტემის შექმნისა. უნდა ითქვას, რომ ასეთი პროექტი თავის დროზე წამოყენებული იყო გვარდიის წევრებისგან, მაგრამ მაშინ ჩვენ არ მივიღეთ ასეთი პროექტი (გაიხსენოთ დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიაში ამის შესახებ დებატები). წინათ ჩვენ ვარსებობდით მარტო ჩვენით და ჩვენთვის. ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა არანორმალური იყო და ამით იყო გამოწვეული გვარდიის არსებობაც, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაში. მთავარი ჩვენი მიზანობა საქართველოში, მისი დამოუკიდებლობის ხანაში, იქით იყო მიმართული, რომ... შიგნიდან არ დავნგრეულიყავით, რომ ყოველი მხრიდან მოზღვავებულ ბოლშევიკებს არ გაერღვია ერის ფრონტი და შიგნით არ ავეფეთქებინეთ. ეს რომ მომხდა-

რიყო, ახლა აქ არ ვიქნებოდით და ევროპაში საქართველოს საკითხი არ იქნებოდა დასმული. და თუ დღეს საქართველოს საქმეს აქ ევროპაში დამსახურებული აქვს სიმპაგია, ეს მხოლოდ იმიტომ რომ ის გარეშე ძალამ ვერ ააფეთქა და აი ამ შინაგანი ერთობის შენახვაში, მთელი ხალხის ბოლომდის ანტიბოლშევიკურ მმართველობის ერთგულებაში გადამჭრელი როლი ითამაშა გვარდიამ. უგვარდიოთ ჩვენ დიდი ხანია დაცემული ვიქნებოდით. ეხლანდელი ჩასვლა საქართველოში სულ სხვაა. ეს არის სამუდამო ჩასვლა. ამიტომ დროებითი ორგანიზაცია – გვარდია, რომელმაც ღირსეულად შეასრულა თავისი როლი, უნდა მოიხსნას.“ ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ ნ. ჟორდანიას მხარს უჭერდა ერთსაფეხურიანი ქართული ჯარის შექმნის აუცილებლობას. იმავდროულად, იმაზედაც მიანიშნებდა თუ რა სპეციფიკური გარემოებებით იყო განპირობებული გვარდიის შექმნა და რა დამსახურება მიუძღოდა მას შიდასახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებაში, მომხდური მტრისადმი გამკვლავებაში და საერთოდ, ქართული სახელმწიფოს ღირსების დაცვის საქმეში. პოლიტიკური სიტუაციის ცვალებადობიდან და დროის ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე, იგი ოპონენტებს პირობას აძლევდა, რომ თავდაცვის სისტემაში გვარდიის შექმნის საკითხი მოიხსნებოდა.

ნ. ჟორდანიას ეს პოზიცია, ინტერპარტიული თათბირის მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერისათვის მისაღები აღმოჩნდა. **ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელი ინტერპარტიული თათბირის პროცესში ხშირად სადისკუსიოთ ისეთ საკითხებს აყენებდა, რომელიც არა თათბირის, არამედ ორი დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობისა და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კონიუნქტურაზე იყო დამყარებული. მხედველობაში მაქვს ინტერპარტიული თათბირის 1921 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე შ.ქარუმიძის მიერ საქართველოს მომავალი ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ გაკეთებული განცხადება. მისი მტკიცებით, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ეკონომიკური კურსის მიხედვით უნდა წარმართულიყო. ერთი შეხედვით, საკითხი სწორად იყო დასმული, მაგრამ მის გამოსვლაში არ ჩანდა ის განმარტობებელი ფაქტორები, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიზნის მიღწევის ხელშემწყობ ან უკიდურეს შემთხვევაში ხელშემშლელ დაბრკოლებად აღიმართებოდა. მეორე მხრივ, იგი მომავალი კოალიციური მთავრობის პო-**

ზიციასაც არ ითვალისწინებდა. არადა, ეს საკითხი კოალიციური მთავრობის წევრთა უმრავლესობის გადასაწყვეტი იყო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინების ფონზე, ნ. ჟორდანიას პასუხი შ. ქარუმიძისადმი დამაჯერებელ ფორმას იღებდა. „უნდა მოგახსენოთ – ამბობდა იგი, – რომ ჩვენ სხვანაირად ვუყურებთ საქმეს. ჩვენ არ შეგვიძლია ამჟამად მომავალი კოალიციონური მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკაზე ლაპარაკი, რადგან ეს დამოკიდებული იქნება თვით მომავალ კოალიციონურ მთავრობაზე. ჩვენ ამჟამად მხოლოდ პირადი აზრის გამოთქმა შეგვიძლია და ამ მხრივ უნდა ითქვას შემდეგი: საქართველოს აღდგენა შეუძლებელია უევეროპოთ. ამიტომ, ჩვენ იძულებული ვიქნებით მათთან სხვადასხვა ეკონომიური ხასიათის ხელშეკრულებების დადების დროს, ზოგიერთი ეკონომიური პოლიტიკაც... ამ ხელშეკრულებებთან იყოს დაკავშირებული. ამდენად, ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის გავეროპელება თავისთავად მოხდება. აგრარულ პოლიტიკაშიაც მინის ყიდვა-გაყიდვის პრინციპი იქნება დაცული“.

ამ ამონაწერის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, საქართველოს მომავალი მთავრობის ეკონომიკური კურსი ნ. ჟორდანიამ ფაქტობრივად განსაზღვრა. მაგრამ, იმავდროულად იმის შესახებაც მიუთითა, რომ წინასწარი ვარაუდების მიხედვით ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელი იყო. მითუმეტეს, საქართველო უცხო ძალისგან ოკუპირებულ ქვეყანას წარმოადგენდა და მისი კანონიერი მთავრობა დევნილობაში იმყოფებოდა. ამ უაღრესად ანგარიშგასაწევ ფაქტორებზე დაყრდნობით, იმავე სხდომაზე შ. ქარუმიძის მისამართით ე. გეგეჭკორმა უაღრესად საყურადღებო განცხადება გააკეთა. „ეკონომიური პოლიტიკის შესახებ განცხადება – ამბობდა იგი – ამჟამად არც მიზანშეწონილია და არც საჭიროა. მიზანშეწონილი არ არის იმიტომ, რომ როგორც ნ. ჟორდანიამ მოგახსენათ, ეს არის მომავალი კოალიციური მთავრობის საქმე, ხოლო საჭირო არ არის იმიტომ, რომ იმის შემდეგ რაც მოხდა შეუძლებელიც არის ფაქტიურად სხვანაირი ეკონომიური პოლიტიკის წარმოება. მომავალ ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკას განსაზღვრავს ის შეთანხმებები, რომელიც მოხდება ჩვენსა და ევროპას შორის“.

ამ შემთხვევაში ე. გეგეჭკორი სავსებით მართალი იყო, რადგან საქართველოდან გაქვევებული კანონიერი მთავრობის მხრიდან, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის წინასწარ განსაზღვრაზე მსჯელობა ქვიჯაში ჩასხმული წყლის ნაყვის ტოლფას ქმედებას

შეიცავდა და ამ სამუშაოს შემსრულებლის მხრიდან იუმორის ფორმას ლეზულობდა. ასეთი რამ საშუალო დონის პოლიტიკოსისთვისაც მიუღებელი უნდა ყოფილიყო. მითუმეტეს, ქვეყანა დამპყრობთა უღლის ქვეშ გმინავდა და ეკონომიკურადაც გაჩანაგების ზღვარზე იდგა. ამ ფონზე, ქვეყნისთვის გულშემატკივარი და ჭეშმარიტი პოლიტიკოსისათვის მხოლოდ ერთადერთი საკითხი უნდა ყოფილიყო დღის წესრიგში გადასაწყვეტად დასმული – საქართველოს დეოკუპაციის მისაღწევად პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაცია და ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ამ მიმართულებით პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა, სწორი პრაგმატული გადაწყვეტილების ჩარჩოში თავსდება და საქართველოს იმჟამინდელ ყოფით სინამდვილეს სრულად შეესაბამებოდა. აღნიშნული გარემოება ქონდა მხედველობაში ნ.რამიშვილს, როცა პარტიათა შეთანხმების პარიზის კონფერენციის 1922 წლის 21 თებერვლის სხდომაზე, უცხო ქვეყნის საოკუპაციო რეჟიმის მოცილების ეფექტურ საშუალებად, საქართველოს მოსახლეობის დარაზმვა, მისი ერთ მუშტად შეკვრა და ამ საქმეში განსაკუთრებული როლის შემსრულებლად პოლიტიკური ძალების გაერთიანება რომ დაასახელა. იგი კონფერენციის მონაწილეებს შეახსენებდა, რომ მარტო დიპლომატიური გზით საქმის გაკეთება შეუძლებელი იყო, არსებული სინამდვილე, პოლიტიკურად სწორად გააზრებული და გათვლილი გადაწყვეტილებების მიღებას საჭიროებდა. ნ. რამიშვილის ეს პოზიცია სხდომის უმრავლესობის მიერ იქნა გაზიარებული. მიღებული დადგენილება დაედო საფუძვლად კონფერენციის მონაწილეების მხრიდან პარტიათა შეთანხმების შესახებ დამატებითი ხელშეკრულების განხილვის დაწყებას. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში არსებული დოკუმენტებიდან ჩემი ყურადღება შეთანხმების კონფერენციის №1-მა დამატებამ მიიპყრო, სადაც გარკვევითაა მითითებული პოლიტიკური ძალების შეთანხმების აუცილებლობაზე. „ცხადია – ვკითხულობთ დოკუმენტში – შეთანხმება უნდა მოხდეს, მაგრამ ნუ დაგვაკინცდება რომ შეთანხმების შემსრულებელი მთავარი ძალა ისევ ქართველი ხალხია, ხოლო შეთანხმებული მუშაობის მთავარი ასპზრები – საქართველო. ამ ფაქტს თუ გაუწევთ ანგარიშს, აუცილებელია მივალწიოთ ისეთ შეთანხმებას რაც ადგილობრივ მისაღები იქნება შეთანხმებაში შემავალი პარტიებისათვის“. მართალია, შეთანხმების აუცილებლობისა და საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინების შესახებ მიმართულება სწორად იყო დასმული, მაგრამ, პარტიის ლი-

დერთა განსაკუთრებული პოლიტიკური ამბიციურობის და მიზანმიმართული ჭირვეულობის შესაკვეცად არაფერი იყო ნათქვამი. მეორე მხრივ, შეთანხმების ფონზე, დაწყებული საქმე ჩიხში შეყავდათ იმ თვალსაზრისით, რომ წარსულის გახსენების და შეცდომათა ურთიერთ გადაბრალების ნიშნის მოგებით კონსესუსის საფეხურამდე მისვლას შეგნებულად ართულებდნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, რადიკალ-დემოკრატიული და უპარტიოთა ჯგუფის სახელით, ინტერპარტიულ კონფერენციაზე გრ.ვეშაპელის მიერ წაკითხული დეკლარაცია გამოიჩვენა. ამ დოკუმენტით, საქართველოს დენილი მთავრობა ერთნაირი უმოქმედობით იყო დადანაშაულებული და მის განმაპირობებელ მიზეზად, პოლიტიკური პარტიების ლიდერთა ბაზაზე კოალიციის ვერშექმნა იყო დასახელებული. „ეს იმ ბედის ბრალია – ვკითხულობთ დოკუმენტში, – რომელიც მთავრობის პარტიამ კოალიციის პრინციპს არგუნა დამოუკიდებელი საქართველოს 3 წლის არსებობის განმავლობაში“. აქედან გამომდინარე, გრ.ვეშაპელი კატეგორიული ფორმით სვამდა საკითხს თუ რატომ იქნა წარსულში დარღვეული კოალიციის პრინციპი და რა უნდა გაკეთებულიყო იმისთვის, რომ აღნიშნული ფაქტი მომავალშია არ განმეორებულიყო და მას საქართველოს ინტერესები არ შენირვოდა. გე.ვეშაპელის მიერ წაკითხულ დეკლარაციაში ჩადებული აღნიშნული პრეტენზია, ერთი შეხედვით სრულ ჭეშმარიტებად მოეჩვენება საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ობიექტური ისტორიის უცოდინარ ადამიანს. მხედველობაში მაქვს წარსულის გახსენება და პოლიტიკურ პარტიებთან კოალიციური თანამშრომლობის დარღვევის – სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებისადმი უსაფუძვლო გადაბრალება. როცა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის გახსენებაზე საუბარი, გრ. ვეშაპელი შეგნებულად „ივიწყებდა“: 1) საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე საფეხურზე, ქვეყნის კოალიციურ მთავრობაში 2 ადგილის დაკავებაზე ეროვნულ-დემოკრატების მხრიდან უარის თქმას; 2) იმ ურთულეს პერიოდში, ქვეყნის ხვალისდელი დღის შედეგებისა და მისი წილი პასუხისმგებლობისადმი მიზანმიმართულად თავის არიდებას [9, 159-160]. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, კოალიციის გრ. ვეშაპელისეული ფორმით დასმა, არაკორექტული იყო იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნის საწყის საფეხურზე, როგორც აღნიშნული მქონდა,

ქვეყნის ყველაზე კრიტიკულ – ბოლშევიკებისგან ხელისუფლების გამოტაცების მომენტში, ეროვნულ-დემოკრატიებმა კოალიციურ მთავრობაში შესვლაზე უარი განაცხადა. ეს იყო ქვეყნის მართვის კოალიციური პრინციპისადმი ეროვნულ-დემოკრატიების მხრიდან ბოიკოტის გამოცხადებისა და ზურგშექცევის საჯარო დემონსტრირება. აქედან გამომდინარე, მათი მხრიდან წარსულში კოალიციური თანამშრომლობისადმი უარის თქმის სხვისადმი გადაბრალება სინამდვილის ფალსიფიკაციას წარმოადგენდა და არაკორექტულ სახეს იღებდა. რაც შეეხება ოკუპირებული საქართველოს განთავისუფლების საკითხთან მიმართებაში პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციისა და კოალიციურ პრინციპზე დაფუძნებული ერთობლივი სამოქმედო გეგმის შემუშავებას, სწორ და მისაღებ დებულებას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, დასახული მიზნის პრაქტიკულად განხორციელება კითხვითი ნიშნის ქვეშ იდგა. საკითხის მკვდარი წერტილიდან დაძვრას ითვალისწინებდა გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის მიერ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობისადმი 1921 წლის 30 დეკემბერს გაგზავნილი წერილი. ეს დოკუმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას იმითაც იქცევს, რომ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაღალ დონეზე ასაყვანად და ხელმძღვანელობის უკეთ გასაწევად, 7 ძირითადი ღონისძიების გატარება აუცილებლობად იყო მიჩნეული. მასში მოტანილი უმნიშვნელოვანესი დებულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1) პოლიტიკური პარტიების მხრიდან დაუყოვნებლივ მომხდარიყო ეროვნული ბრძოლისთვის საჭირო ტაქტიკური ხაზის შემუშავება და ყველა პოლიტიკური პარტია მის ძირითად პრინციპებს დამორჩილებოდა; 2) ყველა ის პოლიტიკური პარტია, რომელიც საოკუპაციო რეჟიმის ებრძოდა და მისი მოქმედება საერთო ტაქტიკურ ხაზს არ ეწინააღმდეგებოდა, მისადმი მფარველობისა და ხელმძღვანელობის განევა აუცილებლობას წარმოადგენდა; 3) დაუყოვნებლივ უნდა მომხდარიყო ევროპაში მყოფი პოლიტიკური პარტიების კონსოლიდაცია და შეთანხმებული მუშაობის წარმოება. მისი საქმიანობა შეთანხმების ორგანოს დაქვემდებარებოდა. ხოლო საქართველოს მთავრობა და ელჩები აღნიშნული ორგანოს მიმართულების გამტარებლები ყოფილიყვნენ; 4) დაუყოვნებლივ განეხორციელებინათ შტატების გადასინჯვა და მინიმუმამდე დაეყვანათ. მოეხდინათ ყველა იმ ქონების მობილიზაცია, რომელსაც მთავრობა

და დამფუძნებელი კრება აკონტროლებდა. მისი ძირითადი ნაწილი დამკომის განკარგულებაში უნდა გადასულიყო მხოლოდ იმ მიზნით, რომ იგი ეროვნულ მოძრაობას მოხმარებოდა; 5) ხაზინისა და საზოგადო დაწესებულებათა თანხის გამოსარკვევად შეექმნათ შერეული კომისია.

იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული მოთხოვნები სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებისთვის მიუღებელი აღმოჩნდებოდა, უნდა ეღიარებინათ, რომ ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნა ფუჭ ოცნებას წარმოადგენდა და რეალობას იყო მოკლებული. ამ დოკუმენტს ხელს აწერდნენ: საქართველოს გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ალ.ასათიანი, მთავარი კომიტეტის წევრები: შ.ქარუმიძე, ევროპის კომიტეტის თავმჯდომარე ი.დადიანი, დედანთან დოკუმენტის სისწორეს ს.ასათიანი ადასტურებდა ხელმოწერითა და შესაბამისი ბეჭდით.

მართალია, აქ წარმოდგენილი ძირითადი დებულებები განსაკუთრებული მოთხოვნებით არ გამოირჩეოდა და ვფიქრობ, იგი დევნილობაში მყოფი საქართველოს მთავრობის წევრებისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო. მითუმეტეს, დოკუმენტი საკითხის ერთ კონკრეტულ მხარეს ეხებოდა. მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, განცალკევებულად მოქმედი პოლიტიკური ძალების შეთანხმებას საჭიროებდა. ამის აუცილებლობა იმითაც იყო განპირობებული, რომ ევროპის ქვეყნების ლიდერებისთვის უნდა დაემტკიცებინათ, რომ მათ ძირითად საზრუნავს ქვეყნის გამთლიანება წარმოადგენდა და არა ვინრო პარტიული ინტერესების წინა პლანზე წამოწევა. ამ მიმართულებით პირველი ქმედითი ნაბიჯი სტამბოლის პოლიტიკური კომისიის მხრიდან იქნა გადადგმული. საარქივო მასალებით ირკვევა, რომ მათ მიერ შემუშავებული პროექტი – პოლიტიკური პარტიების შეთანხმების შესახებ, პარიზში მყოფი საქართველოს მთავრობის 1921 წლის 22 სექტემბრის სხდომაზე იქნა განხილული. შესაბამისი შესწორებების შედეგად დოკუმენტმა შემდეგი სახე მიიღო: „1. შესდგეს საქართველოს ინტერპარტიული ორგანო – თითო პარტიიდან თითო კაცი – პარტიათა შორის კონტაქტის დასამყარებლად და ანტიბოლშევიკური ფრონტის განსამტკიცებლად. ბოლშევიკების ლიკვიდაციამდე პარტიები ერთი მეორის წინააღმდეგ საჯარო გამოსვლებს არ აწარმოებენ; 2. ყველა პარტია, რომელიც დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგას და დამპყრობთა ძალაუფლებას არ ცნობს, ვალდებულია თავის დამოკიდებულება ამ საგანთან ამა თუ



იმ ფორმით გამოამჟღავნოს ისე, რომ ის აშკარა იქნეს როგორც ქართველი ხალხის ისე ევროპის საზოგადოებისათვის; 3. დამპყრობელთა განდევნის შემდეგ დამფუძნებელი კრება იკრიბება მხოლოდ იმისთვის, რომ დანიშნოს პარლამენტის არჩევნები და მისცეს მას დროებითი კრედიტები; 4. პარლამენტი მოწვეული უნდა იქნეს არა უგვიანეს ორი თვისა დამფუძნებელი კრების შეკრებიდან.

**შენიშვნა: 3-4** მუხლში არჩევნების ვადის გაგრძელება და დამფუძნებელი კრების მიერ სხვა საკითხების განხილვა, გარეშე აღნიშნულისა, შეიძლება მხოლოდ კოალიციაში მყოფ პარტიათა შორის შეთანხმებით.

5. ერთადერთ კანონიერ მთავრობად, ახლის შედგენამდე დამფუძნებელი კრების მიერ, ითვლება ახლანდელი მთავრობა, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფება; 6. დამფუძნებელი კრება ადგენს კოალიციურ მთავრობას; 7. 1 და მე-2 მუხლის აუსრულებლობა აბათილებს დანარჩენ მუხლებს“.

დოკუმენტს ხელს აწერდნენ: ნ. ჟორდანი, ს. მდივანი, აკ. ჩხენკელი, კ. კანდელაკი, ე. გეგეჭკორი, გრ. ვეშაპელი.

მართალია, ეს შეთანხმება მთავრობის იმავე სხდომაზე იქნა დამტკიცებული, მაგრამ, პოლიტიკური პარტიების ზოგიერთი წარმომადგენელი მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში დისკუსიის გამართვას მოითხოვდა და საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების შეხედულებების მაქსიმალურად გათვალისწინების აუცილებლობას მიზანშეწონილად მიიჩნევდა. ამ მხრივ სტამბოლის პოლიტიკური კომისიის სხდომის მონაწილე **ეროვნულ-დემოკრატილ. ჯაფარიძე** გამოიჩინა. მისადმი საპასუხო სიტყვაში ვ.ჯუღელმა ხაზგასმით მიუთითა, რომ, რამდენადაც „კონკრეტული საკითხების შესახებ შეუძლებელი შეიქმნა რაიმე საერთო დადგენილების გამოტანა, ამიტომ ჩვენ მაშინ შევთანხმდით წამოგვეყენებინა სწორედ ის პრინციპები, რომელიც პარიზში დაგვიდასტურა. და უნდა მოგახსენოთ, არსებითად ეს ასეც უნდა იყოს. მთავარი და მნიშვნელოვანი პრინციპებზე შეთანხმებაა, კონკრეტული საკითხი კი ბევრად დამოკიდებულია იმ მდგომარეობაზე, რომელიც ბოლშევიკების განდევნის შემდეგ შეიქმნება“.

**ვფიქრობ, საკითხი სწორად იყო დასმული იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს სინამდვილე შიდასახელმწიფოებრივი პრობლემების გარშემო მსჯელობას ალოგიკურს ხდიდა. მითუმეტეს, ქვეყანა უცხო ძალის მიერ იყო ოკუპირებული და პირველი რიგის ამოცანას იმ საფეხურის მომზადება წარმოადგენდა,**

რომელიც დეოკუპაციისკენ იქნებოდა მიმართული. ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, თუკი განვიხილავთ პოლიტიკურ პარტიათა ნააზრევს, პრავგმატული ხასიათის წინადადებებით სოციალ-დემოკრატიულ ლიდერები გამოირჩეოდნენ. ამის ერთ-ერთ დადასტურებას, პარტიათა შორის შეთანხმების შესახებ, ნ. ხომერიკის მიერ სტამბოლის კომისიისადმი პარიზში დამტკიცებული ზემოაღნიშნული დოკუმენტის გაცნობის ფაქტი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ იგი სტამბოლის კომისიამ მიიღო და დასამტკიცებლად პარიზს გადაუგზავნა, მასში ცვლილებების შეტანა ეროვნულ-დემოკრატიულმა აუცილებლობად ჩათვალა. ამ მხრივ განსაკუთრებით ლ. ჯაფარიძე აქტიურობდა. სტამბოლის პოლიტიკური კომისიის სხდომაზე აღნიშნული დოკუმენტისადმი მხარდაჭერის მიუხედავად, ლ. ჯაფარიძემ წინანდელი პოზიცია შეცვალა და კომისიის წევრებს პროექტთან მიმართებაში შეფასებების ახალი ვარიანტი შესთავაზა. მისი მტკიცებით, სტამბოლის კომისიის მიერ დამტკიცებული პროექტი იმდენად ზოგადი ხასიათის იყო, რომ „არავითარ ახალ გარემოებას არ ქმნიდა... ეს დადგენილება – ამბობდა ლ. ჯაფარიძე – საქართველოში არავის დააკმაყოფილებს, რადგანაც არაფერს გარკვეულს არ ლაპარაკობს. საჭიროა ზოგი კითხვები აქ დაისვას და მათ შესახებ გადაჭრილი გადაწყვეტილება იქნას გამოტანილი. ეს უნდა ვქნათ ჩვენ, თუ მართლა მონადინებული ვართ ჩვენში პარტიათა შორის შეთანხმება მოხდეს. ამგვარი ზოგადი დებულებები საქართველოშიაც იყო წამოყენებული ინტერპარტიულ კრებაზე, მაგრამ მათით არავინ დაკმაყოფილდა“. ამ შემთხვევაში ლ. ჯაფარიძის – პრეტენზიები და მისი ქმედება ლოგიკის კატეგორიებს აშკარად ცილდებოდა. მითუმეტეს, პარიზიდან მოსული დადგენილება, სტამბოლის კომისიის მიერ მიღებული პროექტის დუბლიკატს წარმოადგენდა და თუ იგი პოლიტიკურ ძალთა შეთანხმების თვალსაზრისით გამოუსადეგარი იყო, სტამბოლის კომისიის სხდომაზე ამ დოკუმენტის მიღებისა და პარიზში გადაგზავნისთვის მხარი არ უნდა დაეჭირა. ლ. ჯაფარიძის ეს ნაჯექ-უკუჯექის კურსი, ნ. ხომერიკის კარგად შენიშნა და სტამბოლის კომისიის იმავე სხდომაზე (1921 წლის 5 ოქტომბერი), ყოველგვარი მორიდების გარეშე ადრესატს შესაბამისი პასუხი გასცა. „რაც შეეხება ლელი ჯაფარიძეს – ამბობდა ნ. ხომერიკი, – მე მისი მოქმედება მაკვირვებს. აქ ჩვენ ამ საკითხების შესახებ დიდი სჯა-ბაასი გვქონდა. გამოვიმუშავეთ შეთანხმების პრინციპი. ყველამ ხელი მოვანერეთ, მოანერა ხელი თვით ლელიმაც. პარიზმა ჩვენი მდგომარეობა დაადასტურა. არ ვიცი რა მოხ-

და დღეს, რომ ლელიმ ხელმეორედ წამოაყენა იგივე საკითხები. ჩვენ გულთ მოწადინებული ვიყავით პარტიათა შორის შეთანხმება მომხდარიყო. ამიტომ ჩვენ შევიმუშავეთ ოპოზიციისთვის მისაღები პლატფორმა“. ლ. ჯაფარიძის მხრიდან თავისი პირვანდელი პოზიციის შენარჩუნების მიუხედავად, სტამბოლის პოლიტიკური კომისიის 1921 წლის 5 ოქტომბრის კრებამ, პარიზის პოლიტიკური კომისიის მიერ შემუშავებული დებულებები და ახსნა-განმარტებები, უმრავლესობით უმრავლესობით მიიღო. ხოლო საქართველოში მოქმედი ანტიბოლშევიკური პარტიებისადმი მისი გაგზავნა მიზანშეწონილად მიიჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიათა შორის კონსესუსზე დაფუძნებული შეთანხმების პროექტი 1921 წლის ოქტომბერში დაამტკიცეს, ეს საკითხი ეროვნულ-დემოკრატიებმა პარიზის ინტერპარტიული შეთანხმების 1921 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე განახლებული ფორმით ისევ დააყენა და მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა მოითხოვა. აღნიშნული დოკუმენტების გაცნობა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ამ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, ნაჯექ-უკუჯექის კურსს მიზანმიმართულად ახორციელებდა და შეთანხმების მისაღწევად პრაგმატული ნაბიჯის გადადგმას შეგნებულად აჭიანურებდა. მხედველობაში მაქვს სხდომის მონაწილეებისადმი მათი მხრიდან შეთავაზებული შეთანხმების პროექტის ახალი ვარიანტი. ეს გარემოება ქონდა მხედველობაში ირ. წერეთელს, როცა იმავე სხდომაზე ხაზგასმით მიუთითებდა: „ამ შეთანხმების ტექსტს პირველად ვხედავ და ის მე არ მაკმაყოფილებს. მთელი შეთანხმების შინაარსი პორტფელის განაწილებაა პარტიათა შორის. ორში ერთი, ან ხდება შეთანხმება პარტიათა შორის არა მარტო ბოლშევიკებთან ბრძოლის ნიადაგზე, არამედ იმ მომავალ დადებით პოლიტიკაზე, რომელსაც ისინი საქართველოს განთავისუფლების შემდეგ აწარმოებენ. მაშინ ეს პროგრამა ნაჩვენები უნდა იყოს. ან თუ ასეთი პროგრამის შემუშავება ამჟამად შეუძლებელია, მაშინ პორტფელის განაწილების საკითხიც ამჟამად უნდა მოიხსნას და შეთანხმება უნდა ეხებოდეს მხოლოდ ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო ბრძოლას“. საკითხი სწორადაა დასმული, რადგან, როგორც ზემოთაც მქონდა აღნიშნული, უცხო სახელმწიფოს მიერ ოკუპირებულ ქვეყანაში პორტფელის განაწილებაზე მსჯელობდეს დევნილი პოლიტიკური პარტიები და მთავრობა, ანეგტოტურ ფორმას ატარებდა. ქვეყნისთვის ასეთ უმძიმეს სიტუა-

ციაში, პირველი რიგის ამოცანას, როგორც ირ. წერეთელი ამბობდა, საქართველოს უცხო ძალის ბატონობისგან განთავისუფლება და კანონიერების აღდგენა წარმოადგენდა. იმ ეტაპზე სხვა დანარჩენი, რომელსაც ეროვნულ-დემოკრატიები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, მეორეხარისხოვანს წარმოადგენდა. მითუმეტეს, მათი იდეიის ხორცშესხმა დაბრუნება-არდაბრუნების გამართლებაზე იყო დამოკიდებული.

ცხარე დისკუსიის მიუხედავად, იმავე სხდომაზე კონსენსუსს დაფუძნებული ერთობლივი დეკლარაციის შედგენის და ამ დოკუმენტის საქართველოში პარტიების ხელმოსაწერად გადაზავნის საკითხი დაისვა დღის წესრიგში. იმავე სხდომის მასალებიდან ირკვევა, რომ დეკლარაციის შედგენა ნ. ჟორდანიას, ს. მდივანს და გრ. ვეშაპელს დაევალა. ერთი შეხედვით საკითხი გადაწყვეტილად უნდა ჩათვლილიყო, მაგრამ მომხდარი ფაქტიდან 6 დღის შემდეგ, ეროვნულ-დემოკრატიებმა თავიანთი პოზიცია ისევ შეცვალა და სტამბოლის პოლიტიკური კომისიის 1921 წლის 24 დეკემბრის სხდომას პროექტის შესწორებული ვარიანტი წარუდგინა. ამის შესახებ იმავე სხდომაზე ლ. ჯაფარიძემ საგანგებო განცხადება გააკეთა. „მე მივიღე ჩვენი მთავარი კომიტეტისგან – ამბობდა იგი – პასუხი იმ წერილზე, რომელიც გავუგზავნეთ პარტიათა შეთანხმების საკითხზე. ჩვენს მიერ მიღებულ შეთანხმების პროექტში მათ შეუტანიათ შესწორება და შეუმუშავებით ახალი პროექტი, რომელსაც აგრეთვე იზიარებენ ესერები და „სხიველები“. აღნიშნული განცხადების გაკეთების შემდეგ, მან საქართველოდან გამოგზავნილი პროექტის ტექსტი წარუდგინა სხდომის მონაწილეებს.

ეროვნულ-დემოკრატიების ეს ნაბიჯი, რამდენადაც პარტიათა შორის ადრე განეული შეთანხმების დარღვევას და პრობლემის დროში განელვას წარმოადგენდა, ვფიქრობ ურიგო არ იქნება თუკი მათ მიერ შემუშავებული ახალი პროექტის ტექსტს შეეთავაზებ მკითხველ საზოგადოებას.

„პროექტი შეთანხმებისა: 1. საქართველოში არსდება ეროვნული ცენტრი, რომელიც მეთაურობს საქართველოს განთავისუფლების საქმეს. ამ მიზნით იგი მუშაობს შინ და გარეთ. რაზმავს ერს შეიარაღებული აჯანყებისთვის, უცხოეთში სძებნის პოლიტიკურ სიმპათიებს და რეალურ დახმარებას; 2. ცენტრიდან არ შეიძლება გაყვანილ იქნას არცერთი ქართული პარტია, რომელიც საქ.დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგას. ცენტრში პარტიები წარმოდგენილია

თანაბარის რაოდენობით, პარტიას შეუძლიან თავისი წარმომადგენელი შეცვალოს, მაგრამ ახალი წარმომადგენელიც შეთანხმების პრინციპს ექვემდებარება; 3. ცენტრი სცნობს წინანდელ მთავრობას ისე, როგორც დღეს არის. ესე იგი, საგარეო მუშაობის ასპარეზზე დღიდან ცენტრის დაპირებისა, მთავრობა დამოუკიდებელ პოლიტიკას არ აწარმოებს. როგორც მთავრობის მთლიანი სამოქმედო პროგრამა, ისე ყოველი მისი კონკრეტული ნაბიჯი მუშავდება ცენტრში მთავრობის წარმომადგენელის მონაწილეობით; 4. არსებული ხელისუფლების ლიკვიდაციის შემდეგ, მექანიკურათ გადამდგარათ ჩაითვლება ძველი მთავრობა. ცენტრი იქცევა დროებით მთავრობათ, იგი ინვევს დამფუძნებელ კრებას, რომელიც მას ნამდვილ მთავრობად აცხადებს და უხსნის კრედიტებს. ამასთან ერთად იგი ადასტურებს იმ კანონებს და რეზოლუციებს, რომლებიც წინ და წინ შემუშავებული იქნებიან ცენტრის მიერ“.

თუკი ამ პროექტსა და პარიზის შეთანხმების (1921 წლის 22 სექტემბერი) პროექტს, რომელიც საქართველოს მთავრობის სხდომაზე იქნა დამტკიცებული, ერთმანეთს შევუდარებთ, მათ შორის მთელ რიგ პრინციპულ საკითხებთან მიმართებაში განსხვავება აშკარად შეიმჩნევა. მხედველობაში მაქვს: ა) ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესაჭეობისა და მისთვის ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციის ხელოვნურად შექმნის ტენდენცია; ბ) საქართველოში შექმნილი ცენტრის მიერ საქართველოს მთავრობისადმი კონსტიტუციური უფლებების ჩამორთმევის მცდელობა და მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრის დონეზე დაყვანა. ამის დადასტურებას პროექტის №3-ე მუხლი წარმოადგენს, სადაც აღნიშნულია, რომ „ცენტრი სცნობს წინანდელ მთავრობას ისე, როგორც დღეს არის, ესე იგი საგარეო მუშაობის ასპარეზზე.“ არადა, სწორედ დევნილი მთავრობის ძალისხმევით და მისი ლიდერების ავტორიტეტიდან გამომდინარე უნდა მომხდარიყო ყველა იმ უმძიმესი სამუშაოს შესრულება, რომელიც ევროპის ქვეყნებიდან საქართველოს დეოკუპაციისათვის დახმარებასა და თანადგომას რომ ითვალისწინებდა. **თუკი სიღრმისეულად გავაცნობიერებთ იმ სირთულეებს, რომელიც დასახული მიზნის მიღწევისათვის ევროპის ქვეყნების დასაინტერესებლად, საერთაშორისო არენაზე ბოლშევიკური პროპაგანდის მოსაგერიებლად და შეტევაზე გადასასვლელად არსებობდა, ამ ტიტანური შრომის ფონზე, ზემოაღნიშნული პროექტი განსაკუთრებული ამბიციურობით იყო დატვირთული. იმ შემთხვევაში, თუკი ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერები**

პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის მახვილს ქარქაშში ჩააგებდა, ყოველგვარი ცენტრის მუშაობა საქართველოში წინასწარ იქნებოდა განწირული. მითუმეტეს, როგორც დოკუმენტური მასალითაა დადასტურებული, ის რაც 1921-1924 წლებში სოციალ-დემოკრატებმა გააკეთა, ეროვნულ-დემოკრატები იმ სამუშაოს 1%-საც ვერ განვდებოდა. ყველაფერი დავინწყებას რომ მიეცეს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების (ნ. ჟორდანიას, ირ. წერეთელი, კ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, აკ. ჩხენკელი, ე. გეგეჭკორი...) ბიოლოგიურად მოძულე ადამიანებმა, ის მაინც უნდა აღიარონ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერებთან სახელმწიფოებრივ დონეზე შეხვედრას, ოპოზიციურად მოაზრებული პოლიტიკური პარტიების (ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები...) წარმომადგენლები ნამდვილად ვერ შეძლებდა. ეს არის სინამდვილე და მისი გათვალისწინება, პოლიტიკურ პარტიათა შორის შეთანხმების ნებისმიერ პროექტში უნდა ყოფილიყო ჩადებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, რადიკალური განცხადების გაკეთებისგან სოციალ-დემოკრატებმა თავი შეიკავეს და გარკვეული ფორმით კომპრომისული გზის ტაქტიკა აირჩიეს. ამის ერთ-ერთ დადასტურებას იმავე სხდომაზე ნ.ხომერიკის განცხადება წარმოადგენს. „შეთანხმების ამ ტექსტს – ამბობდა იგი – ჩვენ გავეცნობით და შემდეგ ვილაპარაკებთ. მხოლოდ მე გამოვსთქვამ სურვილს, რომ დაიდოს ერთნაირი ვადა ამ შეთანხმების დასაბოლოებლად, რათა ერთხელ და სამუდამოდ გამოირკვეს. ამაზე დამოკიდებულია ჩვენი მუშაობის ხასიათი, როგორც ახლა ისე მომავალში.“

ჩემს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალიდან ირკვევა, რომ 1921 წლის 12 სექტემბრიდან-იმავე წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, პოლიტიკურ ძალთა შეთანხმებისთვის და ერთიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად გაწეული ყოველი მცდელობა, უშედეგო აღმოჩნდა. გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატების (ა. ასათიან-შ. ქარუმიძის ჯგუფი), ამ მარცხის ძირითად მიზეზს სოციალ-დემოკრატებს აბრალებდა. ამის დადასტურებას, საქართველოს მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისადმი მათ მიერ 1921 წლის 30 დეკემბერს წარდგენილი წერილის პირველი ნაწილი წარმოადგენს. არადა, დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ შეუთანხმებლობის თავი და თავი, გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატები – ასათიან-ქარუმიძის ჯგუფი იყო. მათ მიერ წარმოდ-

გენილი შესათანხმებელი ახალი პროექტი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების (№ 46, № 67) მოთხოვნების არგათვალისწინებაზე იყო გათვლილი. მხედველობაში მაქვს დეოკუპირებული საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში ქვოტების რაოდენობის წინასწარი გარანტიების მიღების მცდელობა. არადა, როგორც ზემოთაც მქონდა აღნიშნული, იმავე კონსტიტუციის № 46, 67, 68 მუხლების მიხედვით, საკითხი უნდა გადაეწყვიტა საქართველოს მოსახლეობის მიერ (საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესით) გაკეთებულ იმ არჩევანს, რომელიც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს პროცენტულ შემადგენლობას დაედებოდა საფუძვლად. პარლამენტის წევრთა პროცენტული შემადგენლობის მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო კოალიციური მთავრობის წევრთა რაოდენობაც. ეროვნულ-დემოკრატიები კონსტიტუციის ამ მოთხოვნების იგნორირებას ცდილობდა, რასაც სოციალ-დემოკრატიები მიუღებლად თვლიდნენ. მიუხედავად ამისა, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები კოალიციის პრინციპზე თანხმობას აცხადებდნენ მხოლოდ არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე პროცენტული მაჩვენებლების გათვალისწინებით. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების მხრიდან საქართველოს მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ ბათუმში მიღებულ დადგენილებას, ამასთან დაკავშირებით, ა. ასათიან-შ.ქარუმიძის ზემოაღნიშნულ წერილში ხაზგასმითაა მითითებული. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ამ წერილის ავტორებს დამაჯერებელი პასუხი პოლიტიკურ პარტიათა პარიზის 1922 წლის 23 თებერვლის სხდომაზე ნ.ჟორდანიამ გასცა. სხდომის მონაწილეებს მან ერთხელ კიდევ შეახსენა რომ „თუ ეხლა ვართ კოალიციის მომხრე იმიტომ, რომ უცხოეთში ვიმყოფებით, ჩვენი სამშობლო ოკუპაციის ქვეშაა და მისი აღდგენა და მართვა პარლამენტის შეკრებამდე განსაკუთრებულ პირობებში იქნება. რაც შეეხება ბათუმში ოპოზიციის დამოკიდებულებას მთავრობისადმი, ეს მართლაც წარმოუდგენელი და გაუგებარია ჩვენთვის. იმათი ცდა, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ რომ განხორციელებულიყო, ჩვენი საქმე მართლაც დაიღუპებოდა. ჩვენ დღეს არც მთავრობა გვეყოლებოდა და არც სახელმწიფოს ეკონომიკური წარმომადგენლები. ჩვენი ქვეყნის ოკუპაციით დამთავრდებოდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის უფლებრივი არსებობაც. დამარცხებული

მთავრობა ყოველთვის არ უნდა გადადგეს, როგორც არ გადამდგარა ბელგიის ან სერბეთის მთავრობა მათი ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ. სულ სხვა იქნებოდა ჩვენ რომ დავემარცხებინეთ ჩვენსავით პატარა სახელმწიფოს, როგორიც სომხეთი და აზერბაიჯანია. მაგრამ რა გასაკვირველია რუსეთს ჩვენ რომ დავემარცხებინეთ, განსაკუთრებით როცა ოსმალეთიც იმ დროს ჩვენს წინააღმდეგ ილაშქრებდა. სულ სხვა იქნებოდა კავკასია ერთად რომ ყოფილიყო და შეერთებული ამიერკავკასიის შეიარაღებულ ძალებს რომ ქონოდა ომი და იგიც მარტო რუსეთთან. მაგრამ, სომხეთის და აზერბაიჯანის დაცემის და იქ რუსეთის გაბატონების შემდეგ, ჩვენი მდგომარეობა რასაკვირველია უშედეგო იყო“.

საარქივო დოკუმენტების სიღრმისეულად მცოდნე მკვლევარი აშკარად დარწმუნდება, რომ ნ. ყორდანიას სიმართლეს ამბობდა. დასავლეთ ევროპაში საქართველოს დევნილი მთავრობის მიერ განუღმეო უდიდესმა შრომამ, საქართველოს საკითხის საერთაშორისო კონფერენციაზე გატანამ და ევროპის ქვეყნების ამ მიმართულებით დაინტერესებამ, აშკარად დაადასტურა, რომ 1921 წლის მარტში, პოლიტიკური პარტიების მიერ საქართველოს მთავრობის შეფასების შესახებ ბათუმში მიღებული ზემოაღნიშნული დადგენილება შეცდომა იყო. მისი შესრულება საბჭოთა რუსეთის ინტერესებში იჯდა. იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თვითლიკვიდაცია განხორციელდებოდა, მომხდარი ფაქტით, საბჭოთა რუსეთის მესვეურებს, საქართველოს მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამართლების რეალური შესაძლებლობები საერთაშორისო ასპარეზზე მიეცემოდა. მითუმეტეს, საერთაშორისო ფორუმებზე მოდავე და დამპირისპირებელი სამართლებრივად არავინ ეყოლებოდა.

ამ ფონზე, გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიების პრეტენზიები, ზღვარგადაცილებულ მოთხოვნებს წარმოადგენდა და საკონსტიტუციო სამართლებრივ ჩარჩოს სცილდებოდა. მითუმეტეს, სოციალ-დემოკრატებმა მაქსიმალური დათმობის ნაბიჯი გადადგეს. ამის შესახებ, პარტიათა შეთანხმების პარიზის კონფერენციის 1922 წლის 1 მარტის სხდომაზე კ. ჩხეიძე ამბობდა: „სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა მაქსიმუმი დათმეს რაც კი შეიძლებოდა იმ აზრით და მისწრაფებით, რომ როგორმე შეთანხმება მომხდარიყო. ამით აიხსნებოდა ჩვენ რომ დაგეთანხმეთ



ნახევარზე“. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მომავალი მთავრობა კოალიციურ პრინციპებზე აიგებოდა და ოპოზიციური სპექტრი მმართველი პოლიტიკური ძალის თანაბარი პროცენტით იქნებოდა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ეროვნულ-დემოკრატიები ჭირვეულობდნენ და სოციალ-დემოკრატებისგან კიდევ მეტ დათმობას მოითხოვდნენ. ამის მიზეზი შეთანხმების ოპოზიციურ პარტიათა შორის შეუთანხმებლობა იყო. აღნიშნული გარემოება ქონდა მხედველობაში კ. ჩხეიძეს, იმავე სხდომაზე პრინციპული ფორმით რომ განაცხადა: „ჩვენი გადანყვეტილება პროპორციის შესახებ უკანასკნელია, პასუხისმგებლობას შეუთანხმებლობაში ჩვენი დელეგაცია არ კისრულობს, რადგან ჩვენსა და თქვენს შორის კოალიციის პროპორციაზე გუშინწინ ჩვენ უკვე შევთანხმდით – ნახევარი მათ შორის თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. მეორე ნახევარი ყველა სხვა შეთანხმების პარტიებს. ამ მეორე ნახევრის განაწილებაზე თქვენ ვერ შეთანხმდით და ამაში პასუხისმგებლობის ჩვენზე გადმოტანა რამდენად სამართლიანია, ამაზე თქვენ თვითონ განსაჯეთ. რის დათმობაც შეიძლებოდა, იმის მაქსიმუმი ჩვენ უკვე დავთმეთ და ჩვენ ასევე გვესმის კოალიცია და თანამშრომლობის განხორციელება. ეხლა როგორც გნებავთ ისე მოიქეცით“.

**საზგასმით მიიღო ალენიშნო, რომ სტენოგრაფიული ანგარიშიდან ჩემს მიერ მოტანილ ამონაწერებში არსად არ ფიგურირებს დეოკუპირებულ საქართველოში დემოკრატიული პრინციპით ჩატარებული არჩევნების შედეგები და მიღებული პროცენტული მონაცემების გათვალისწინებით, ქვეყნის მმართველობითი ორგანოს დაკომპლექტების საკითხი. „ვაჭრობა“ მხოლოდ ისევ წინასწარი გარანტიების მიღებაზე მიმდინარეობდა. ასეთი ქმედებით, პოლიტიკური პარტიების ლიდერები, არჩევნებში ხალხის მიერ მიღებული გადანყვეტილებების წინასწარ იგნორირებას ახდენდა. მათი მხრიდან ამ საკითხის წინ წამოწევა არცერთ სხდომაზე არ მომხდარა. ისინი მხოლოდ დათმობა-არდათმობის ფორმატით იფარგლებოდნენ. რამდენადაც საკითხი ჩიხში შევიდა, სოციალისტ-ფედერალისტმა სიმონ მდივანმა, პარიტეტის პრობლემის გადანყვეტის საქართველოში გადატანა მიზანშეწონილად მიიჩნია. მისი მტკიცებით, აღნიშნული საკითხის მოგვარების აუცილებლობა საქართველოში მომქმედი პოლიტიკური პარტიების მთავარი ორგანოებისთვის უნდა მიენდოთ. მითუმეტეს, მათთვის ყველაზე მეტად იყო ცნობილი საქართველოში პოლიტიკური ძალების შესაძლებლობები და თითოეული მათგანისადმი საქართველოს**

მოსახლეობის დამოკიდებულება. ს. მდივანის ასეთი პოზიციის მიუხედავად, იმავე სხდომაზე სოციალ-დემოკრატებმა შიში გამოთქვეს, რომ ეს საკითხი საქართველოში დროულად ვერ გადაწყდებოდა და უსასრულობაში გადაზრდილ გაჭიანურებულ სახეს მიიღებდა. მათი ასეთი პოზიციის გამო, სოციალისტ-ფედერალისტებმა თავიანთ განცხადებაში სოციალ-დემოკრატებს პრობლემასთან მიმართებაში ფსიქოლოგიის შეცვლა და დათმობის პოლიტიკური კურსისკენ ნაბიჯის გადადგმა მოსთხოვა [6, 88].

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიმართ განხორციელებულმა შეტევითმა პროცესებმა, აღნიშნული პარტიის ლიდერები იძულებული გახადა, პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმების პარიზის კონფერენციის 1922 წლის 3 მარტის სხდომაზე საგანგებო განცხადება გაეკეთებინა. მხედველობაში მაქვს დამატება №3-ით წარმოდგენილი დოკუმენტი. მასში დასაბუთებული ფორმითაა გაცემული პასუხი ყველა იმ პრეტენზიაზე, რომელიც ეროვნულ-დემოკრატების მხრიდან, სოციალ-დემოკრატების მისამართით მომდინარეობდა. იმავდროულად, ღონისძიების მონაწილეებს ეს დიკუმენტი ერთხელ კიდევ შეახსენებდა: „კონფერენციის მიზანი და კომპენტენცია თავიდანვე სრულიად ცხადი და განსაზღვრული იყო. ერთი წლის მუშაობამ საქართველოში და საზღვარგარეთ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის საკმაოდ ჩამოაყალიბა პირობები შეთანხმებული მუშაობისა აღნიშნული მიზნისათვის იმ პარტიათა შორის, რომელსაც ასეთი მუშაობა სავალდებულოდ მიაჩნდათ. ამ პირობების შესახებ კარგა ხანია მოლაპარაკება სწარმოებს. პროექტი შეთანხმებისა ჩვენ უკვე ყველას ხელთა გვაქვს. განხილვა და საბოლოოდ მიღება ამ პროექტისა – აი მიზანი კონფერენციისა“. საკითხის ასეთი ფორმით დასმის მიუხედავად, იგივე სოციალ-დემოკრატები, საბჭოთა ხელისუფლებასთან მიმართებაში პოლიტიკური პარტიების კლასიფიკაციას ახდენდა და დაუშვებლად თვლიდა ბოლშევიკებთან ლოიალური დამოკიდებულების მქონე მიმდინარეობებთან შეთანხმებას. ამ მხრივ განსაკუთრებული სიმკაცრით ნ. ხომერიკი გამოირჩეოდა. მისი სამართლიანი მტკიცებით, „შეუძლებელია შეთანხმებაზე ლაპარაკი თუ ზოგიერთნი მხოლოდ მუდამ დღე იმაზე ფიქრობენ თუ როგორ აიციდნონ თავიდან ბოლშევიკების რისხვა, რადგან თავისთვის განზე სეირს უყურებენ, თუ როგორ ანადგურებენ ბოლშევიკები სოციალ-დემოკრატისა და გლეხებს“.

**დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ნ. ხომერიკის ეს განცხადება სიმართლეს შეესაბამებოდა. მეტიც, ზოგიერთი პო-**

ლიტიკური პარტია საქართველოს უკანონო და მარიონეტულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა, მისგანვე შესაბამის დაფინანსებასაც ღებულობდა და ძალისმიერი გზით ემიგრაციაში განდევნილი, საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეული და დამფუძნებელი კრებისგან დამტკიცებული კანონიერი მთავრობის ლანძღვა-გინებით იყო გართული. ამ ფონზე, განსაკუთრებული იერიში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე მიქონდათ და ბოლშევიკებთან ერთად, მის მიმართ ყოველგვარი სახის სიბინძურის სროლასაც არ თაკილობდნენ. ამის დამადასტურებლად, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის (ნ. ჟორდანიას) და წევრების სახელზე ვანო ქარცივაძის მიერ წარდგენილი მოხსენება (1921 წლის 19 ნოემბერი) გამოდგება. ამ ვრცელ დოკუმენტში დაწვრილებითაა საუბარი „ახალი სხივის,“ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების, ესერების, დაშნაკუთიუნის, ეროვნულ-დემოკრატების, დიდი ნაწილის ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესახებ. გასაბჭოებული საქართველოს მთავრობისადმი ერთგულება რომ დაემტკიცებინათ, „ყველა პარტიებმა – როგორც ვ. ქარცივაძე წერს, – იერიში სოციალ-დემოკრატიაზე მიიტანა. მათ თავისი ვიწრო პარტიული ინტერესები, ერის და სამშობლოს ინტერესებზე მალლა დააყენეს. ან ახლა, ან არასოდეს, ფიქრობდნენ ისინი და არაფერს არ ერიდებოდნენ მიზნის მისაღწევად. ასეთ პირობებში შეთანხმებაზე, საერთო ენის გამოძებნაზე ლაპარაკი ძნელი იყო, მაგრამ... ამ მოლაპარაკების დროს სხიველები და ნაციონალ-დემოკრატები შეხმატკბილებული გამოდიოდნენ. მათ უაზრო ყოყორობას და ბაქი-ბუქობას საზღვარი არ ქონდა. დაშნაკელები და ფედერალისტებიც მხარს უჭერდნენ. თუმცა ამ უკანასკნელებს (ფედერალისტებს) უფრო ემჩნეოდათ სურვილი შეთანხმებისა. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. მოწინააღმდეგეების ულტიმატუმში, რომ 1) მთავრობა გამოცხადდეს დაშლილად; 2) გაუქმდეს დამფუძნებელი კრება; 3) შედგეს კოალიციური მთავრობა, რომელშიაც უმრავლესობას ისინი უნდა წარმოადგენდნენ; 4) გაუქმებული იქნას საქართველოს კონსტიტუცია (ეს მოთხოვნილება ნაციონალ-დემოკრატების იყო) და სხვა, ჩვენებმა რა თქმა უნდა უარყვეს და ჩემს იქ ყოფნის დროს არავითარი ახალ მოლაპარაკებაზე ფიქრიც არ ყოფილა“.

ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების ლიდერთა ამბიციური პოზი-

ცია და რაც მთავარია, კანონდარღვევისკენ ნაბიჯის გადადგმის მოთხოვნა. მთავრობის, დამფუძნებელი კრების და კონსტიტუციის გაუქმება, დევნილობაში მყოფი საქართველოს კანონიერი მთავრობის ლეგიტიმაციის დასასრულს ნიშნავდა. თუკი ეს განხორციელდებოდა, გასაბჭოებული საქართველოს მარიონეტულ ხელისუფლებას მოქმედების ფართო ასპარეზი მიეცემოდა. მხედველობაში მაქვს საერთაშორისო კონფერენციებზე გასაბჭოებული საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის, საბჭოთა რუსეთის მხრიდან წარდგენის შესაძლებლობის ფაქტი. დევნილობაში მყოფი საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა თუკი ნებაყოფლობით მოახდენდა თვითლიკვიდაციას, ეს დანაშაულებრივი ქმედება, ოკუპანტი ქვეყნისთვის საერთაშორისო არენაზე თავისუფლად მოქმედების და საქართველოს გასაბჭოების სამართლებრივად გამართლების მყარ საფუძვრს შეამზადებდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინება ედო საფუძვლად ქართველი სოციალ-დემოკრატების უმკაცრეს პოზიციას პოლიტიკურად უმნიშვარი პარტიის წარმომადგენლები-სადმი დამახასიათებელ მოთხოვნებთან მიმართებაში. მითუმეტეს, მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური პროცესები, დევნილობაში მყოფი მთავრობის წევრთა მხრიდან აქტიურ მოქმედებას მოითხოვდა. მხედველობაში მაქვს საერთაშორისო კონფერენციებზე წარმომადგენლის დაშვების მიღწევა და ამ ფორუმის საბჭოთა რუსეთის, როგორც დამპყრობლის სამხილებლად გამოყენება. ამის მისაღწევად ბრძოლის სამართლებრივი შესაძლებლობები მხოლოდ იმ მთავრობას გააჩნდა, რომლის თავმჯდომარედ ნ. ჟორდანია ითვლებოდა. სხვა გზით „დამტკიცებული“ მთავრობები, ევროპის ქვეყნების ლიდერების მხრიდან სამართლებრივი სივრციდან გასულად იქნებოდა მიჩნეული და მის წარმომადგენლობას სიახლოვესაც არ გაიკარებდნენ. მითუმეტეს, ამ ფაქტს საბჭოთა რუსეთი ხელს ჩასჭიდებდა და წარმატებულად გამოიყენებდა. ეს გარემოება სოციალისტ-ფედერალისტებმა დროულად გაცნობიერეს და პრინციპულად დასვეს საკითხი პოლიტიკური შეთანხმების აუცილებლობის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას პარტიათა შეთანხმების პარიზის კონფერენციის 1922 წლის 1 მარტის სხდომაზე ს. მდივნის გამოსვლა იქცევს. მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის ფონზე, საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად, პარტიათა შეთანხმებას აუცილებლობად მიიჩნევდა და ამ პროცესს გენუის კონფერენციას უკავში-

რება. მისი სამართლიანი მტკიცებით, გენუის კონფერენციის გახსნამდე პარტიათა შეთანხმებას, ერთიანი პლატფორმის შემუშავებას და ევროპის სახელმწიფოების ლიდერების დასანახად საქართველოსთან მიმართებაში ერთობლივი განცხადების გაკეთებას, პოლიტიკური კონიუნქტურა მოითხოვდა. ამ შემთხვევაში, როგორც ს.მდივანი აღნიშნავდა, პარტიულ ინტერესებზე მაღლა ეროვნული უნდა დაეყენებინათ და მოქმედების ძირითადი სადავეები იმავე ევროპის ქვეყნების მიერ აღიარებული საქართველოს ლეგიტიმური მთავრობისადმი მმართველი პოლიტიკური პარტიის სოციალ-დემოკრატიებისადმი უნდა დაეთმოთ. თუკი ამ მიმართულებით პრაგმატული ნაბიჯი გადაიდგებოდა და ეროვნულ-დემოკრატიები ქვეყნის ხვალინდელი დღის ინტერესებს პორტფელის გადანაწილებას არ გადააყოლებდნენ, გენუის კონფერენციას ქართული მხარე პოლიტიკურად კონსოლიდირებული ფორმითა და გამორჩეული ბრძოლისუნარიანობით შეხვდებოდა.

**რამდენადაც, გენუის კონფერენცია უდიდეს საერთაშორისო დონის ფორუმად იყო მოაზრებული, ქართული პოლიტიკური სპექტრის საღად მოაზროვნე ნაწილი ამ მომენტის მაქსიმალურად გამოყენებას და კონფერენციაზე საქართველოს საკითხის გატანის აუცილებლობას ნომერ პირველ ამოცანად მიიჩნევდა. დასახული მიზნისთვის წარმატებული ბრძოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი თუკი საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დევნილი კანონიერი მთავრობის მიმართ პოლიტიკურ ძალთა მაქსიმალურ მხარდაჭერას დაინახავდა ევროპის ქვეყნები. ამას ექნებოდა არა მარტო იდეოლოგიური, არამედ პოლიტიკური დატვირთვაც იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს მთავრობის მესვეურთ, გაბედული მოქმედებისა და გადანყვეტილებების მიღების შესაძლებლობები მიეცემოდათ.**

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავარი პოლიტიკური პარტიებიდან – სოციალ-დემოკრატიული, გაერთიანებული პარტიის (ეროვნულ-დემოკრატიები, ეროვნული მინის მესაკუთრეთა და რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიები და უპარტიოთა კავშირი) და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიების ლიდერებმა ერთობლივად შემუშავებულ და ხელმოწერით დადასტურებულ (1922 წლის 6 მარტი) დეკლარაციაში თავიანთი პოზიცია შემდეგი ფორმით ჩამოაყალიბეს: „1) დამოუკიდებელი საქართველოს სახელით უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკება, ხელშეკრულებათა დადება და კონცესიათა გაცემა შეუძლია

მხოლოდ დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ ჟორდანიას მთავრობას; 2) ყოველგვარი კონცესია და ხელშეკრულება, დადებული ზემოთ ნაჩვენები წესის დარღვევით რუსეთის საოკუპაციო მთავრობის მიერ, ქართველი ხალხისათვის სავალდებულო არ არის და ყოველივე მნიშვნელობას მოკლებულია; 3) საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და იქ თავისი საოკუპაციო რეჟიმი დაანესა, რომელიც დღემდის გრძელდება. ასეთი აქტი რუსეთისა, სრულიად ეწინააღმდეგება იმ დებულებას, რომელიც კანის რეზოლუციის მეექვსე მუხლში არის აღნიშნული და რომელიც დიდ სახელმწიფოთა დადგენილებით სავალდებულოა მეზობელი სახელმწიფოთა ურთიერთობაში. მთელი ქართველი ხალხის სახელით ჩვენ მოვითხოვთ საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანას და ოკუპაციის გაუქმებას, რასაც ბუნებრივად მოყვება რესპუბლიკის კონსტიტუციის მიერ დაწესებული კანონიერი რეჟიმის აღდგენა; 4) თუ ეს სამართლიანი მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული მშვიდობიანი გზით, არსებული საერთაშორისო უფლებრივ ნორმათა თანახმად, ქართველი ხალხი იძულებული გახდება მიმართოს ბრძოლის ყოველგვარ საშუალებებს კანონიერი სახელმწიფოებრივ უფლებათა აღსადგენად, რუსეთის საოკუპაციო მმართველობისა და უკანასკნელის მოსალოდნელ კონტრაგენტთა მიერ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა გაფლანგვის თავიდან ასაცილებლად“. ამ დოკუმენტის სამართლებრივი ძალა და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში გამოკვეთილი ფორმითაა დადასტურებული საქართველოს პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთის კოლონიური პოლიტიკისადმი. მეორე მხრივ, ამ აქტით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს მიანიშნეს, რომ საქართველოს პოლიტიკური სპექტრი მხარში უდგას ოკუპანტების მიერ ქვეყნიდან გაძევებულ კანონიერ ხელისუფლებას და მისი ხელმძღვანელობით საქართველოს დეოკუპაციამდე იბრძოლებენ დამპყრობთა წინააღმდეგ. სამართლებრივი თვალსაზრისით, კიდევ უფრო დიდ დატვირთვას ატარებდა პოლიტიკურ პარტიათა 1922 წლის 6 მარტის პარიზის კონფერენციაზე მიღებული ერთობლივი „მიმართვა ქართველი ხალხისადმი“. ამ დოკუმენტში ხაზგასმით იყო მინიშნებული, რომ „ჩვენ სამი მთავარი პარტიის წარმომადგენელნი გავერთიანდით საქართველოს განთავისუფლების დროშის ქვეშ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს არის დროშა მთელი საქართველოსი და რომ მთელი ქართველი ხალხი დაირაზმება ამ დროშის ირგვლივ, რათა შექმნას მთლიანი საქართველოს განმათავისუფლებელი ძლევამოსილი ლაშქარი“.

აღნიშნულ ფაქტს ე.გეგეჭკორმა მაღალი შეფასება მისცა და იქვე დასძინა: „დღევანდელ კონფერენციას მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევ, რადგან აქედან იწყება ჩვენი გაერთიანებული ფრონტის ამოქმედება“. ე. გეგეჭკორის ეს განცხადება იმ რეალობიდან გამომდინარეობდა, რომელსაც რუსეთის საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკური სპექტრის მხრიდან, ერთობლივი მოქმედების საფეხურის შესამზადებლად სურვილის გამოთქმა ედო საფუძვლად. **მითუმეტეს, საქართველოს წამყვანი პოლიტიკური ძალები, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის მისაღწევად, ინტერპარტიული კოალიციის შექმნაზე აცხადებდნენ თანხმობას. მათი ეს პოზიცია, პარიზის ინტერპარტიული კონფერენციის 1922 წლის 9 მარტის სხდომაზე მიღებული დადგენილებით იქნა დადასტურებული. მომხდარი ფაქტი, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა იმ თვალსაზრისით, რომ ევროპაში მიმდინარე ურთულესი პოლიტიკური პროცესების ფონზე, ქართული პოლიტიკური სპექტრის ერთ რგოლად შეკვრა და ერთობლივი ძალებით საბჭოური იმპერიული პოლიტიკისადმი დაპირისპირება, ევროპის ქვეყნების ლიდერების მხრიდან საქართველოსთვის მხარდაჭერის მიზნით, ხელჩასაჭიდ არგუმენტად შეიძლება გადაქცეულიყო. ამას იმ ეტაპზე განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთვა ეძლეოდა, მითუმეტეს, როგორც ზემოთაც მქონდა აღნიშნული, გენუის კონფერენცია ახლოვდებოდა და მასში მონაწილე ქვეყნების მხრიდან საქართველოსთან მიმართებაში პოზიციების წინასწარ შემუშავება აუცილებლობას წარმოადგენდა.** თუკი ეს განხორციელდებოდა, საქართველოს დევნილი ხელისუფლება პოლიტიკურად მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდებოდა. სწორედ აღნიშნული ფაქტორი ქონდა მხედველობაში სტამბოლის პოლიტიკური კომისიის 1922 წლის 10 აპრილის სხდომას, რომელმაც პარტიათა შორის შეთანხმების დადგენილების გამოქვეყნების შესახებ საგანგებოდ რომ იმსჯელა. იმავე სხდომაზე მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „გამოქვეყნდეს „თავისუფალ საქართველოში“ პარტიათა მონოღება ქართველი ხალხისადმი, აგრეთვე ეცნობოს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს **პარტიათა შორის შეთანხმების შესახებ**, რაც შეეხება ფრანგულ გაზეთებში გამოქვეყნებას, ეს ეცნობოს პარიზს.“

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმების შესახებ ზემოაღნიშნულ ერთობლივ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებები, შესაბამისი ხელშეკრულების ტექ-

სტით იქნა დადასტურებული. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის – ნ. ჟორდანიასადმი 1922 წლის 5 მაისს გაგზავნილ წერილში გ. ფალავა ხაზგასმით მიუთითებდა: „ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ – ვკითხულობთ დოკუმენტში – საქართველოს ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა მიაღწიეს მიმდინარე წლის აპრილში საერთო შეთანხმებას. შეთანხმება დამყარებულია ერთის მხრით საყოველთაოდ ცნობილ აუცილებლობაზე იმის შესახებ, რომ დამოუკიდებლობის აღსადგენად საჭიროა ქართველი ხალხის პოლიტიკური აქტივობის გაერთიანება, ხოლო მეორე მხრივ შეიცავს იმ საურთიერთო პოლიტიკურ დათმობათა აღნუსხვას, რომელიც შესაძლოთ ხდიან პოლიტიკურ პარტიათა მოქმედების კოორდინაციას... ამ შეთანხმების საფუძველზე უკვე შესდგა **საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი**, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს მთელ მუშაობას, მიმართულს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ... **დამოუკიდებლობის კომიტეტს** განზრახული აქვს დაიჭიროს თქვენთან მჭიდრო და უშუალო კავშირი, რათა შეთანხმებული მოქმედებით გაძლიერებული იქნეს საერთო მიზნისკენ მიმართული მეცადინეობის ეფექტი, რათა კონტაქტი საქართველოს მთავრობას და დამოუკიდებლობის კომიტეტს შორის მტკიცე ნიადაგზე იქნას დამყარებული. დამოუკიდებლობის კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს დაანესოს საგანგებო საკონტაქტო წარმომადგენლობა, რომელსაც პირდაპირ ურთიერთობა ექნება თქვენთანაც და დამოუკიდებლობის კომიტეტთანაც. პერსონალური შემადგენლობა ამ კომიტეტისა გეცნობებათ დამატებით. გიგზავნით ამასთან ერთად ამ პარტიათა შორის დადებული ხელშეკრულების პირს ცნობისთვის და სახელმძღვანელოთ“.

ჩემს მიერ გ. ფალავას წერილიდან მოტანილი ამ ამონაწერის განსაკუთრებული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტს ადასტურებს: 1) პარტიათა შორის შეთანხმების გაფორმებას და 2) „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ 1922 წლის აპრილის თვეში შექმნას. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ შექმნის კონკრეტული დროის – 1922 წლის აპრილიდან იმავე წლის აგვისტოში გადატანის ლ. ჯიქიასეული მცდელობა სინამდვილეს არ შეესაბამება [10, 89]. მითუმეტეს, ზემოაღნიშნული წერილი, 1922 წლის 5 მაისითაა დათარიღებული და მას, დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის სახელით გ. ფალავა, ხოლო იმავე კომიტეტის მდივნის სახელით ი. ჯანელიძე აწერს ხელს.



რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიათა შორის შეთანხმების შედეგად ხელმოწერილ ხელშეკრულებას, ამჯერად მის სრულ ტექსტს შევთავაზებ მკითხველ საზოგადოებას.

**„ხელშეკრულება.** საქართველოს განთავისუფლებისა და მისი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, საქართველოს პოლიტიკური პარტიები: სოციალ-დემოკრატიული, გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიული, – ვსდებთ შემდეგ ხელშეკრულებას: 1. დაარსდეს: „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ აღნიშნულ პარტიათა თითო წარმომადგენლისგან. კომიტეტს დაევალოს გაერთიანება და საერთო ხელმძღვანელობა საქარველოს გასანთავისუფლებლად მიმართული მთელი მუშაობისა. **შენიშვნა:** კომიტეტში ყველა საკითხი ნყდება შეთანხმებით. 2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უცხოეთში მყოფი კანონიერი მთავრობა განაგრძობს თავის მუშაობას მიმართულს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ. 3. დამოუკიდებლობის კომიტეტი მხარს უჭერს მთავრობის ამ მუშაობას, მთავრობა კი თავის მხრივ არ სდგამს მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ახალი ურთიერთობის შემქმნელ ნაბიჯს დამოუკიდებლობის კომიტეტის დაუდასტურებლად. 4. მთავრობა ვალდებულია მიანოდოს ნივთიერი საშუალებანი მხოლოდ დამოუკიდებლობის კომიტეტს ეროვნული მუშაობის სანარმოებლად იმ ქონებიდან და თანხებიდან, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის, ან რომლის გამო რესპუბლიკა პასუხისმგებელია. **შენიშვნა:** მთავრობასა და დამოუკიდებლობის კომიტეტს შორის არსებობს ურთიერთ ფინანსური ანგარიშ-ვალდებულება და კონტროლი. 5. გარდამავალ ხანაში, მთავრობის ფუნქციების ასრულება მიენდოს დროებით მმართველობას, რომელსაც შეადგენს დამოუკიდებლობის კომიტეტი კოალიციის საფუძველზე, ყველა შეთანხმებულ პარტიათა წარმომადგენელთაგან იმ აუცილებელის პირობით, რომ არცერთ პარტიას მმართველობაში ერთ მესამედზე მეტი ადგილი არ ქონდეს. 6. დროებითი მმართველობა დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის კონსტიტუციას აღდგენილად აცხადებს. 7. ადგილობრივი ხელისუფლების (თვითმმართველობის) ორგანოები ეწყობიან დროებით მმართველობის პრინციპით და პროპორციით. განაპირა კუთხეებში (აფხაზეთში, ბათუმსა და მის ოლქში, ბორჩალოს და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში) ხელისუფლების შექმნის საკითხი რჩება ღიათ და გადაწყდება დროებითი მმართველობის მიერ. **შენიშვნა:** დროებით მმართველობას უფლება

აქვს გამოსცეს განსაკუთრებული დადგენილება საერთოდ ადგილობრივი ხელისუფლების შედგენის შესახებ. 8. დამფუძნებელი კრება იკრიბება პირველი შემთხვევისთანავე და ადასტურებს დროებით მმართველობას. 9. მთავრობა ჩამოსვლისთანავე წარუდგება დამფუძნებელ კრებას მოხსენებით და გადადგება. ასევე მოიქცევა და ამავე დროს გადადგება დროებითი მმართველობა. ამის შემდეგ დამფუძნებელი კრება ადგენს კოალიციურ მთავრობას იმავე პრინციპით, როგორც დროებითი მმართველობა. 10. დამფუძნებელი კრება უხსნის კრედიტს მთავრობას, იმუშავებს კანონს ერთიანი სამხედრო სისტემის შესახებ, ირჩევს საგანგებო საგამომძიებლო პარიტეტულ კომისიას საქართველოს დამარცხების მიზეზების გამოსარკვევად, ირჩევს საარჩევნო პარიტეტულ კომიტეტს და იშლება. **შენიშვნა:** დამფუძნებელი კრება გაარჩევს სხვა საკითხებსაც, თუ ამის შესახებ სპეციალური შეთანხმება იქნება პარტიათა შორის. 11. არა უადრეს ორი თვისა, დამფუძნებელი კრების დაშლის შემდეგ, ან არაუგვიანეს ოთხი თვისა ხდება საქართველოს პარლამენტის არჩევა“.

ამ დოკუმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პოლიტიკურმა პარტიებმა, თითქმის ყველა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხზე მიაღწიეს შეთანხმებას და მომხდარი ფაქტით, საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი გეგმის შემუშავების მყარი საფუძვრი მოამზადეს.

**ამრიგად, 1) საქართველოს რევკომის 1921 წლის 25 თებერვლის დეკრეტი №1-ით, ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად მებრძოლი პოლიტიკური ძალების საქმიანობის „ბოროტ მოღვაწეობად“ გამოცხადება, პოლიტიკური პარტიების ლიდერთა იდეოლოგიურად განიარაღებაზე და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისთვის იძულებითი კურსის აღებაზე იყო გათვლილი. ემიგრაციაში მყოფი საქართველოს კანონიერი მთავრობის სამომავლოდ მოქმედების გეგმის (ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ხელმძღვანელობა და საქართველოს ოკუპაციასთან დაკავშირებით საბჭოური პროპაგანდისადმი დაპირისპირება) გასაჯაროებას, საქართველოს მთავრობის 1921 წლის აპრილში გაკეთებული განცხადებით დაედო საფუძველი. ამ ფაქტით, საქართველოს დევნილმა ხელისუფლებამ, დამპყრობლებისადმი ქართველი ერის შეურიგებლობის პოლიტიკური მესიჯი გაუგზავნა საერთაშორისო საზოგადოებას.**

**ბათუმის ინტერპარტიული კომისიის მიერ დასმული საკით-**

ბი – პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციისა და ერთიანი სამოქმედო გეგმის მიღების აუცილებლობის შესახებ, იმ ეტაპზე ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და საქართველოში არსებული სინამდვილის სიღრმისეულ ანალიზს ეფუძნებოდა; 2) ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა მოთხოვნა – ქვეყნის დეოკუპაცია დადებოდა საფუძვლად პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებას, სწორი დებულება იყო და არსებულ სიტუაციას იმ ეტაპზე სრულად შეესაბამებოდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მხრიდან საქართველოს დევნილი კანონიერი მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადება, მისი შემადგენლობის შეცვლისა და კოალიციური მთავრობის შექმნის მოთხოვნა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის № 46, 47, 67, 68 მუხლების დარღვევასთან ერთად, პოლიტიკურ შეცდომას წარმოადგენდა. მითუმეტეს, ევროპის სახელმწიფოთა შესაბამისი უწყებები, ემიგრაციაში მყოფი ქართული პოლიტიკური სპექტრის გადაწყვეტილებებით განსაზღვრავდა საქართველოს დევნილ მთავრობასთან თანამშრომლობის შესაძლებლობას. რამდენადაც საქართველოს კანონიერი მთავრობა, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერისა და დესპანის ფუნქციის შემსრულებელს წარმოადგენდა ევროპაში, ნებისმიერი პოლიტიკური მოღვაწე მისი რეიტინგის მაქსიმალურად გაზრდას უნდა ცდილიყო. ამის აუცილებლობას, იმ ეტაპზე უცხო ძალისგან ოკუპირებული საქართველოს პოლიტიკური ინტერესები მოითხოვდა; 3) გენუის საერთაშორისო კონფერენციის მუშაობის დაწყებამდე, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს პოლიტიკური პარტიების (სოციალ-დემოკრატიები, ეროვნულ-დემოკრატიები, სოციალისტ-ფედერალისტები) გაერთიანების ფაქტის ერთობლივი დეკლარაციით (1922 წლის 6 მარტი) და ინტერპარტიული კონფერენციის სხდომაზე (1922 წლის 9 მარტი) მიღებული დადგენილებით დადასტურება, პოლიტიკურად წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ამ გადაწყვეტილებით, ქართულმა ემიგრაციულმა პოლიტიკურმა სპექტრმა, საქართველოს დევნილ კანონიერ ხელისუფლებას, გენუის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების ლიდერებთან თავისუფალი ურთიერთობისათვის სამართლებრივ ბაზისზე დაფუძნებული მოქმედების შესაძლებლობა შეუნარჩუნა.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის აქტების კრებული (1921 – 1978), თბილისი, 1983.
2. კ. ინასარიძე, პატარა ოქროს ხანა, მიუნხენი, 1984.
3. სცსსა, ფ. 1861, აღნ. 3, საქ. 65.
4. სცსსა, ფ. 1861, აღნ. 3, საქ. 64.
5. გ. ციციშვილი, სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, წიგნი I, თბილისი, 2003.
6. სცსსა, ფ. 1961, აღნ. 3, საქ. 44.
7. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 12 აპრილი, 1921 წ.
8. შ. ვადაჭკორია, ევროპული დაპირებები და საბრძოლო ვაზნების გარეშე დარჩენილი საქართველო, კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 2014, №1. მისივე; საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჯარის შეიარაღების საკითხისათვის, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 2014. №2.
9. შ. ვადაჭკორია, ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, ნაკვეთი I, (1917-1918 წწ.), თბილისი, 2008.
19. ლ. ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011.

### **Shota Vadachkoria**

*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhi-shvili Tbilisi State University, Ivane Javakhi-shvili Institute of History and Ethnology, Main Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History*

## **Issue of Uniting Political Forces and the Georgian Political Thinking (April, 1921 – March, 1922)**

### **Summary**

On the basis of the documentary material in the article it is shown that: 1) the decree of the revolutionary comity of February, 25, 1921<sup>1</sup> 1 announced that the activity of the political forces fighting for preserving independence was „cruel activity“. This announcement was for ideological disarmament of

the leaders of the political parties and for forcing them to take a course towards the collaboration with Soviet government. The government of Georgia in April, 1921 made an announcement of the future plans of the legal government of Georgia in emigration (to lead the national-liberation movement and as for occupation of Georgia, oppose Soviet propagation). With this announcement the government of Georgia in an exile sent a political message to the international society, that the Georgian nation is irreconcilable to the occupation.

The issue put forward by the inter party meeting in Batumi about inevitability of consolidation and receiving joint plan of action was based on the thorough analyses of the political processes taking place in Europe and the reality of those days Georgia.

2) The demand of the Social-Democrat Party leaders that deoccupation of the country should have become a foundation for uniting the political forces, was right statement and was completely in adequacy of those days situation.

Mistrust of The National-Democratic Party towards the legitimate government in an exile, demand of its rotation and forming the coalition government was not only abrogation of the <sup>1</sup> 46, 47, 67, 68 paragraphs of constitution of the first republic of Georgia, but was a political mistake as well. Especially, it was a mistake because the relevant departments of the European countries decided the possibility of cooperation with the Georgian government in exile in accordance with the decisions of the Georgian political spectrum in exile. The legitimate government of Georgia had a function of the national-liberation movement leader and envoy of the Georgian people in Europe. Each political figure should try to increase its ranking as possible. Inevitability of this at that stage was required by the political interests of the occupied Georgia. 3) Before the international conference started in Genoa political parties of Georgia (Social – Democrats, National – Democrats, Socialist – Federalists) in emigration declared their union (March, 6, 1922). It was confirmed by the resolution received at the interparty meeting (March, 9, 1922). Politically it was a step forward. With this decision Georgian political spectrum in emigration managed to preserve possibility to communicate freely with the leaders of participant countries of the Genoa conference based on legal foundation.

## **ნატო სონლულაშვილი**

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი*

*აღნიშნული სტატია დაინერა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის (№ FR/148/2-101/14) ფარგლებში*

### **ქართული ეროვნული იდეის აღქმა (XX საუკუნის 20-იანი წლები)**

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას ქართველი ხალხი არ შეგუებია და დღიდან გასაბჭოებისა იწყებს ბრძოლას თავისუფლებისათვის. მთელი 1921-1991 წლების განმავლობაში საქართველოში მყოფი თუ საზღვარგარეთ არსებული ძალები, ბუნებრივია, ქართველების სახით იბრძვიან სხვადასხვა სახით: ეს იქნება შეიარაღებული ფორმით თუ იდეოლოგიურად. შეიარაღებული გამოსვლებით, როგორც ცნობილია გამოირჩევა XX საუკუნის 20-იანი წლები. 30-იანი წლებიდან მოყოლებული კი უფრო თვალსაჩინოა ბრძოლა კულტურული, ეროვნული იდეოლოგიის ფორმით. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს ქართული ემიგრაცია. მთელი აღნიშნული წლების მანძილზე ქართველთა ბრძოლის ფორმები იცვლებოდა, თუმცა მიზანი უცვლელი იყო – თავისუფლების მოპოვება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში XX საუკუნის 20-იან წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცალკეული საკითხების შესახებ არსებობს გარკვეული გამოკვლევები. სხვადასხვა პრობლემებთან ერთად გაშუქებულია 1924 წლის აჯანყების მოვლენები.

ამჯერად ჩემი მიზანია ყურადღება გავამახვილო როგორ აღიქმებოდა ეროვნული საკითხი ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ და რა იდეებს სთავაზობდა ქართულ საზოგადოებას ეროვნული ცნობიერების ამაღლებისთვის საბჭოთა ხელის-უფლების იდეოლოგიის ფონზე ბეჭდური მედიის მეშვეობით.

მართალია, ქართველი ხალხი ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლას აგრძელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, თუმცა იმ იდეოლოგიური ვითარების ფონზე, რასაც აწარმოებ-

დნენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები, რთული იყო კონკურენციის განწევა, როგორც შეიარაღებულ, ისე იდეურ ბრძოლაში. აღნიშნულის დასაძლევად და მიზნის მისაღწევად ეროვნულად მოაზროვნე ძალები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მაქსიმალურად ცდილობდნენ ეროვნული ცნობიერების ამაღლებას. ამასთან, ნათლად აცნობიერებდნენ იმ სირთულეებს, რომლის გადალახვასაც ესწრაფოდნენ.

„დღევანდელი რუსი ბოლშევიკები უფრო საშიში არიან ჩვენთვის, ვიდრე ძველი იმპერატორების მოხელეები. ბოლშევიკები თავის მიზნის განსახორციელებლად არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, არავითარ სიბოროტეს და ბრძოლა მათ წინააღმდეგ საჭიროა უფრო მედგარი, მომზადებული, განუწყვეტელი. მათი სიტყვები ეროვნული საკითხის პატივისცემისათვის არის სიცრუე და თვალთმაქცობა, რომ უფრო ადვილად მოატყუილონ გულუბრყვილონი და მალე მიაღწიონ სანადელს – ეროვნების მოსპობას. საფრთხეშია ქართველი ერის მინა-წყალი, სიმდიდრე, ენა, კულტურა, შემოქმედება!

ამ ბრძოლაში მთავარი სიმძიმე, რასაკვირველია, აწევა თვითონ ქართველ ერს, თავის არსებაში უნდა ჰპოვოს მან ყოვლის უწინარეს უნარი თავდაცვისა და წინააღმდეგობისა. არ შეეთვისოს მოძალადეთა პოლიტიკას და არ დათმოს უბრძოლველად არც ერთი თავისი ინტერესი და უფლება. მისი შეგნება უნდა ინვრთნებოდეს ყოველდღიურის ცხოვრებით და მისი ნებისყოფა მტკიცდებოდეს მიყუჩებულის მოქმედებით იმ დღისთვის, როცა დაჰკრავს ჟამი საქართველოს სრული განთავისუფლებისათვის“ [9, 2].

XX საუკუნის 20-იანი წლები, როგორც უკვე აღვნიშნე უფრო აქტუალურია ეროვნული მოძრაობის მნიშვნელობით. ამასთან ეროვნულად მოაზროვნე ქართული კულტურული და პოლიტიკური სპექტრი ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების განმტკიცების პარალელურად საერთაშორისო საზოგადოების დახმარების მოპოვებას ესწრაფვის. ქართველთა აღნიშნული ნაწილი ნათლად აცნობიერებდა იმ სირთულეებს, რომლის წინაშეც იდგა საქართველო, ამიტომ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მარტო ბრძოლა უშედეგო იქნებოდა. ეს ფაქტი მათ ნათლად ჰქონდათ გააზრებული.

ქართული ემიგრაცია მაქსიმალურად ცდილობდა ევროპასთან კავშირის დამყარებას და ამ მიზნით ხშირი იყო ვიზიტები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მათ მთავარ მიზანსწრაფვას წარმოადგენდა საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნება საბჭოთა რუსეთის მი-

ერ საქართველოს დაპყრობის უსამართლობაში. მაგალითად, 1921 წელს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია აღნიშნავდა: „საქართველოს თავისუფლება არის ჩვენი თავისუფლება“ [8, 1]. 1926 წელს სიმონ ლეონიძე სტატიაში „ჩვენი საკითხი და საერთაშორისო პირობები“ აღნიშნავდა: „სრულებით გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით: იშვიათად ყოფილა სხვა რომელისამე ერის საკითხი ისე პოპულარული ევროპასა და ამერიკაში, როგორც არის საქართველოს დამოუკიდებლობის საქმე, ქართველი ერის სუვერენობის აღდგენა. ყველამ – უკიდურეს მემარჯვენეებიდან დაწყებული უკიდურეს მემარცხენეებამდე (გარდა კომუნისტებისა და მოსკოვის ოქროთი მოსყიდულებისა) – ყველამ კარგად იცის, საქართველო უსამართლოდ, ვერაგულად, ძალით დაიპყრეს რუსის ბოლშევიკებმა და ქართველ ხალხს სრული უფლება და სიმართლე აქვს დაიბრუნოს დამოუკიდებლობა; იციან, რომ საქართველო ძველი ისტორიული და კულტურული ქვეყანაა, რომ ქართველობა ნიჭიერი და ღირსეული ერია, ყოველთვის თავდადებული იყო თავის თვითარსებობისათვის და დღესაც გმირულად იბრძვის და გაუტეხელია, მიუხედავად იმ საშინელი მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფება. მოწინავე პრესა სარგებლობს ყოველ შესაფერ შემთხვევით, რომ დაგმოს რუსეთის ძალმომრეობა და გამოექომაგოს დაჩაგრულ ქართველ ხალხს. კრებებზე და მიტინგებზე ხშირად გაიგონებთ ჩვენი ქვეყნის სახელს და მისი ბედი ერთი საუკეთესო საბუთთაგანია კომინისტების წყობილებისა და პოლიტიკის სანინაალმდეგოდ“ [9, 13].

ჟურნალი „ბრძოლა“ 1927 წელს აღნიშნავდა: „იმისთვის, რომ ერი სავსებით განთავისუფლდეს სხვისი ჩაგვრისაგან, მოიპოვოს დამოუკიდებლობა, მარტო შინაური ძალები არ კმარა. იმპერიალიზმის ხანაში, როდესაც საერთაშორისო ინტერესები მეტად გადახლართულია, როდესაც ყოველი ადგილობრივი საკითხი მხოლოდ ერთი რგოლია საერთაშორისო პოლიტიკისა, კითხვას წყვეტს არა მხოლოდ შინაური ძალთა განწყობილება, არამედ საერთაშორისო. როგორი მომზადებულიც არ უნდა იყოს ერი თავისი საკუთარი ძალების მხრით, როგორი თავგანწირვითაც არ უნდა იბრძოდეს იგი დამოუკიდებლობისათვის, ის მიზანს ვერ მიაღწევს, თუ საერთაშორისო ძალთა განწყობილება მის მხარეზე არ არის, თუ გარეშე ძალა მას არ თანაუგრძნობს და არ ეხმარება“ [3, 9].

რას აკეთებს ამ დროს საბჭოთა ხელისუფლება? მათი მთავარი მიზანი სოციალიზმის განხორციელება და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შექმნაა. ამისთვის ის ძალ-ღონეს არ იშურებდა. საბჭოთა



ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი ხდება სკოლა, რომლის საშუალებითაც მოხდებოდა კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება საზოგადოებაში. მაგალითად, რა მდგომარეობაა გორის მაზრაში. „წარსულ წელს არსებულ 102 სკოლას დაემატა 11 ახალი სკოლა. სულ მამასადამე იყო 113 ოთხნობიანი შრომის სკოლა. პროფესიონალური სკოლები – 3, შვიდნობიანი შრომის სკოლა 3, ჰუმანიტარული ტექნიკური – 2, პედაგოგიური ტექნიკური – 1, საბავშვო ბაღი – 2. ორი სკოლა იყო გახსნილი ამ 11 სკოლის რიცხვში კოოპერატივის მიერ, ამ რიგად სულ შრომის სკოლები იყო მთელ მაზრაში 134, პროფ-ტექნიკური სკოლები – 3, სულ 138 სკოლა.

მოსწავლეთა რიცხვი უდრიდა 9 753. ენის მიხედვით ჩვენ გვქონდა შემდეგი ეროვნების სკოლები: ქართველების შრომის სკოლები იყო – 107, სამი ტექნიკური, სამი პროფ. სკოლა; რუსული – 3 სკოლა, ბერძნული – 4, ოსური – 10, შეერთებული – 2, სომხური – 5, მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა: სომხები – 437 მონაფე, რუსები – 150, ოსები – 305, ბერძნები – 105, დანარჩენი ქართველები რიცხვით – 8. 756 მონაფე. მასწავლებელთა რიცხვი შრომის სკოლებში უდრის – 274 კაცს, ტექნიკუმებში – 27, პროფსკოლები – 6, საბავშვო ბაღი – 14. ცენზის მიხედვით დაბალი განათლების მუშაკნი არიან რიცხვით 119 კაცი, საშუალო განათლებით – 178, უმაღლესით – 16, დაუმთავრებელი – 8“ [10, 20].

საბჭოთა ხელისუფლებას განსაზღვრული ჰქონდა სასწავლო ლიტერატურაც. მაგალითისთვის საინტერესოა ოზურგეთის მაზრის მონაცემები აღნიშნულთან დაკავშირებით: „მსმენელთა სახელმძღვანელოს წარმოადგენდა: ტაიშინის „პოლიტ-ცოდნა“, მეორე გამოცემა. ლექტორი კი სარგებლობდა: 1. იმავე წიგნიდან, 2. ტაიშის პირველი გამოცემა „პოლიტ-ცოდნა“, 3. ერდნიკოვის და სვეტლოვის „პოლიტ-ცოდნის“ კურსი. 4. გრიშინის „პოლიტ-ცოდნა“ და ლენინის მე-XVIII, მე-XIV და XIX ტომებიდან“ [11, 112]. სკოლებს, გარდა საგანმანათლებლო დატვირთვისა მუშათა და გლეხთა პოლიტიკური ცნობიერების ამაღლება ჰქონდა დაკისრებული. საბჭოთა ხელისუფლება ყველგან: სკოლაში, უნივერსიტეტში, ჯარში, კულტურულ თუ პოლიტიკურ დაწესებულებებში საკუთარი მიზნების რეალიზებას და დანერგვას ცდილობდა. ამისთვის არსებობდა სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც პოლიტიკურ აღზრდას ხელმძღვანელობდნენ. „წერა-კითხვის უცოდინარეობის და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლები, ქოხ-სამკითხველოები, მოზრდილთა მაღალი ტიპის სკოლები, საბჭოთა პარტსკოლები, ბიბლიოთეკები, პოლიტ-

ცოდნის სკოლები, მოძრავი კინოები და რადიოსადგურები. 1922 წლის საქალაქო და 1923 წლის სასოფლო აღწერის შედეგად მიღებული ცნობებით, საქართველოში /გარდა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქისა/ 15-40 წლის ასაკამდე იყო სულ 369. 248 წერა-კითხვის უცოდინარი, ამათგან 1921 წლიდან 1927 წლის 1 იანვრამდე შეისწავლა წერა-კითხვა 139. 224, ე. ი. 35, 5% და დარჩა წერა-კითხვის უცოდინარი 15-40 ასაკამდე 230.024, ე. ი. 62, 5%“ [12, 18]. საბჭოთა ხელისუფლების მიერ სკოლებში დადგენილი სასწავლო საგნები მთლიანად იყო მიმართული საზოგადოების ეროვნული ცნობიერების შეცვლისაკენ. ასე მაგალითად, პარტიულ სკოლებში I კურსზე ისწავლებოდა შემდეგი საგნები: 1. ქართული ენა, 2. რუსული ენა, 3. მათემატიკა, 4. ბუნება, 5. ეკონომიკური გეოგრაფია, 6. კლასთა ბრძოლის ისტორია, 7. პოლიტიკური ეკონომია, 8. ს. კ. ჰ./ბ./ ისტორია, 9. პოლიტიკური განათლება, 10. პარტიული აღმშენებლობა, 11. სახელმწიფო აღმშენებლობა, 12. სამეურნეო აღმშენებლობა“ [13, 6].

ამგვარად, ერთმანეთს უპირისპირდება ორი მიმართულება: ეროვნული იდეებით გამსჭვალული და სოციალიზმის იდეოლოგიით წარმოდგენილი ნაწილები. ასეთ ფონზე, ბუნებრივია, რთული იყო ეროვნული პრობლემის წინა პლანზე წამოწევა, თუმცა საწყის ეტაპზე განსაკუთრებით, ეს მეტნაკლებად ხერხდებოდა. სწორედ აღნიშნულ საკითხზე მსურს ყურადღება გავამახვილო.

ქართული საზოგადოების ეროვნული ცნობიერების შესანარჩუნებლად ქართული პოლიტიკური სპექტრი მუდმივად ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლების უარყოფითი შედეგების წარმოჩენას.

„გაყინულ ქვეყნიდან შემოჭრილი წითელი დესპოტები დაეპატრონენ ჩვენი შრომით შექმნილ და ჩვენი სისხლით დაცულ ჩვენს სიმდიდრეს, ქონებას!..

მოსპეს ჩვენი უფლება – ქართული, გაამეფეს უცხო, – კომუნისტური.

რა მოგვიტანეს?

განადგურება ქონებრივი, გონებრივი! დახშობა ეროვნული განვითარების!

ქართველი ერის დამოუკიდებელი კულტურა დაამახინჯეს, ან სრულიად მოსპეს!

შეიჭრნენ სკოლებში!

აღზრდა ეროვნული კი არა, კომუნისტური!

ლაპარაკი ქართული, ფიქრი რუსული – კომუნისტური!

ქართველი ბავშვები – რუსული კომუნიზმის თუთიყუშები!

ქართული სკოლა – მათი გალიები!

ქართული წიგნი – მხოლოდ ქართული ანბანები, შინაარსი, აზრი, მასალა უმთავრესად კომუნისტური!

სურათი: ქართული სახის, სკოლის და სხეულის დამახინჯება!“ [6, 5-6].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ წარმოებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის XIX საუკუნის I ნახევარში დამარცხების შედეგად, ქართველი ხალხი XIX საუკუნის II ნახევრიდან იწყებს ეროვნული მოძრაობის ახალ ეტაპს, რაც გამოიხატებოდა იდეოლოგიური ბრძოლით. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ბრძოლის მეორე ეტაპზე ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის გარკვეული ნაწილი საქართველოს ავტონომიას მოითხოვდა რუსეთის დაქვემდებარებაში, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლისას კი სრული თავისუფლებას ესწრაფოდნენ. აღსანიშნავია, აგრეთვე ქართული სოციალ-დემოკრატია, რომელიც მართალია რუსული სოციალ-დემოკრატიის ნიადაგზე იდგა, თუმცა განსხვავებული მიზანი ამოძრავებდა. თუ მოღვაწეობის საწყის ეტაპზე მათ პროგრამაში სოციალური და ეკონომიკური საკითხი ჭარბობდა, XX საუკუნის 10-იანი წლებიდან ეროვნული თემა მნიშვნელოვანი ხდება. საგულისხმოა ისიც, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართული სოციალ-დემოკრატია საქართველოს ეროვნული თავისუფლების მოპოვებისთვის იბრძვის.

ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საქართველოს გარკვეული ღირებულებების ერთიანობა გააჩნდა. რაც ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერების მთავარი ნიშანი იყო. ესენია: სამშობლო, ენა, რელიგია, ტრადიციები, ისტორიული მემკვიდრეობა და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ერთ-ერთი ნიშანი ხდება 26 მაისის აღნიშვნა და მისი იდეური მნიშვნელობა. რაფიელ ინგილო 1930 წელს სტატიაში „დისციპლინისა და ერთობის დღე“ წერდა: „ყოველი გადახდილი 26 მაისი იმას უნდა შეგვასმენდეს, რომ სამშობლოს თვითმყოფლობის აღდგენა მხოლოდ ქართველობის უდრეკი ერთობით შესაძლებელი იქნება. მტერმა ეს უკეთ გაიგო. ამიტომ არის, რომ მან ყველაზე ანჩხლად ჩვენი ერთობის დაფუძვას მიჰყო ხელი. დრომ მოაღწია დავანახოთ მტერს, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ერთობა გაუტყეხელია. ქართველობის ერთობა დაენწევა მას და კისერიც სწორედ ამ ერთობით წაეგრიხება [5, 6].

საუკუნეების მანძილზე ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელი ნიშნები გარკვეულ განზოგადებას იძენდა ხოლმე. ისტორიული განვითარების ცალკეულ ეტაპზე რომელიმე მახასიათებელი აქტუალური ხდებოდა, თუმცა სხვა დანარჩენი მნიშვნელობას არ კარგავდა. ასეთივე მდგომარეობა იყო XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში. ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს 26 მაისის აღნიშვნა დაემატა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. ქართული ენა – მართალია, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართულ ენას აშკარა საფრთხე არ დამუქრებია, თუმცა ეტაპობრივად რუსული ენის დამკვიდრებამ სხვადასხვა საქმის წარმოების პროცესში ქართულ ენას გარკვეულწილად მნიშვნელობა დაუკარგა. გაზეთ „ტრიბუნაში“ ამასთან დაკავშირებით გრიგოლ შავგულიძე აღნიშნავდა: „მშობლიური ენა – ეს მთელი სამშობლოს ისტორიაა, მასში ნათლად გამოსჩანს მთელი განვლილი გზა და მისი ინდივიდუალური თვისებები და სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ყოველი კულტურული ერი თავგამოდებით იცავს თავის ენას. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ერს თუ როგორმე მოუსპე თავისი ენა, ასეთი ერის სიცოცხლის დღეები დათვლილია“ [15, 2]. გაზეთ „შრომაში“ კი ლეო შენგელაია წერდა: „სახელმწიფოებრიობის განმტკიცების და ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენას. ერს უპირველესად ყოვლისა უნდა ჰქონდეს თავისუფალი ენა. უამისოდ ერის კულტურა, მისი – ფილოსოფია, ხელოვნება, პოეზია, მეცნიერება – ვერ გაეფურჩქნება, ერი ვერ გაშლის თავის ინდივიდუალობას და ცხოვრების კვალს ვერ დააჩენს. ამიტომ ენის საკითხს განსაკუთრებით პატარა სახელმწიფოში არ შეიძლება არ მიექცეს უდიდესი ყურადღება“ [17, 4].

2. სარწმუნოება – რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას სამღვდლოებასთან. ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების მთავარ მიზანს რელიგიის უარყოფა და მისი საზოგადოების ცნობიერებიდან ამოშლა წარმოადგენდა. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლიდან საბჭოთა იდეოლოგებმა სწორედ სამღვდლოების და რელიგიის დასუსტება-განადგურება დაისახეს მიზნად. გარდა იმისა, რომ მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა სასულიერო წოდებისათვის ეკონომიკური ბერკეტების გაუქმება, ზოგადად, რელიგიური გავლენის შესუსტება საზოგადოებაზე. „მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ანტირელიგიურ აგიტაციას და პროპაგანდას, რაც სისტემატიურად უნდა სწარმოებდეს მოსახლეობაში.... ჩვენი

ვალთა გავაძლიეროთ ყოველდღიური მუშაობა რელიგიის წინააღმდეგ, მასების ანტირელიგიურ აღზრდისათვის... მთავარი მიზანია განუმარტოთ მშრომელ მასებს რელიგიისა და ყოველგვარი რელიგიური დღესასწაულების და კერძოდ, აღდგომის სიყალბე“ [13, 138]. ამას ემატებოდა მეორე ფაქტორიც – სკოლის გამიჯვნა სამღვდლოებისაგან. საბჭოთა ხელისუფლების მთავარ ამოსავალ პრინციპს წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე საქართველოში დამკვიდრებული სისტემის შეცვლა. სკოლა უნდა ყოფილიყო, არა ეროვნული იდეების მატარებელი, რასაც ეკლესია ხელს უწყობდა, არამედ საბჭოთა იდეოლოგიის მთავარი დასაყრდენი.

საერთოდ, განათლების ფაქტორს ერის არსებობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თანამედროვე ნაციისთვის სკოლის და ზოგადად, განათლების როლი ორმაგად მნიშვნელოვანია. ეს არის ადგილი, სადაც ახალგაზრდობა ეცნობა საკუთარ ეროვნულ ისტორიას, ტრადიციებს და ამასთან ეუფლება სხვადასხვა საგნებს, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მათი ეროვნული ცნობიერების ამაღლებას. თუმცა, როგორც განხილული მასალიდან ჩანს საბჭოთა ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ სკოლა საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინა.

მიუხედავად, საბჭოთა რუსეთის ამგვარი დამოკიდებულების სამღვდლოებისადმი ქართველი ერი და კერძოდ, ეროვნულად მოაზროვნე ქართული კულტურულ-პოლიტიკური სპექტრი ნათლად აცნობიერებდა ქრისტიანული რელიგიის და ქართველი სასულიერო წოდების დიდ როლს საქართველოს ისტორიაში. „ვინ დათვლის? ვინ აწონავს ჩვენი წმინდა მამების ღვანლსა და ამაგს? როგორი მუყაითობით, მძიმე შრომით და დაუშრეტელი ენერგიით შექმნეს ქართული, ეროვნული კულტურა და ის ქრისტიანული ცივილიზაციის უძველეს ერთა შორის პატივითა და დიდებით შეიყვანეს... ჩვენი ისტორიის ყველა ეპოქაში, როცა კი ერი განსაცდელის პირისპირ იდგა; გამოჩნდებოდნენ ხოლმე იოანე საბანისძენი, იაკობ ხუცესები და ქართველ ხალხს სწორედ მაშინ მისცემდნენ სულიერ საზრდოს და ზნეობრივი ძალის საჭედ გრდემლზე ჩაქუჩს მაგრად დაარტყამდნენ. ჩვენი ერის რჩეული შვილები მაღალი შთაგონებით თავიდანვე მიხვდნენ, რომ ერის სულიერ-ზნეობრივი ძალის საფუძველი ქრისტიანული მორალია: სათნოება, სიკეთე, სიყვარული და კეთილშობილი მაპატიებელი ბუნება: ადამიანის ღირსების დაცვა და დაფასება... ერის დიდება არ იქმნება მისი მრავალრიცხოვანობით, არც იარაღის ჩხარუნით, არამედ და მხოლოდ, მისი ზნეობრივ სულიერი მორალით, სათნოებით,

შემწყნარებლობით, კეთილშობილებით და მაღალი იდეებისადმი მიძღვნილობით. ეს დაანათლა საქართველოს ქრისტიანიზმმა და ჩვენმა წმინდა მამებმა ჩვენი სამშობლო უძლეველ და უკვდავ ქვეყნად აქციეს ქრისტიანულ სათნოებასთან ზიარებით“ [16, 1]

3. ისტორიული მეხსიერება – „ქართველი ერი ამრთელებს განყვეტილ ძაფს წარსულთან, ჩასწვდება მას და ცხოველად წარმოადგენს საკუთარ თავგადასავალს განვლილ საუკუნეთა გასწვრივ. ის იგონებს, რომ ბრძოლა ქვეყნის დახსნისთვის მარტო დღევანდელი ქართველის ხვედრი როდია, არამედ ამ წმინდა საქმეს ემსახურებოდნენ მისი წინაპრებიც. მრავალია მათი საგმირო საქმენი, კიდევ უფრო მრავალია თავდადებულნი, ხალხის მიერ წმინდანებად აღიარებულნი. და არა მარტო იგონებს – ქართველი ერი სისხლით აღბეჭდავს თავის კავშირს გმირულ წარსულთან, რომლის საამაყო სახელები მეტ ძალასა და აღფრთოვანებას ჰგვრის მის მებრძოლ შვილებს. ცხადია, დღევანდელი ვითარება სხვაა, წარსულში იგი სხვა იყო. ამისდა მიხედვით ბრძოლის მეთოდი და ხასიათი დღეს სხვაა, ვიდრე მაშინ. მაგრამ მისწრაფება, თავდადება, ცეცხლი, ის ცეცხლი, რომელიც სწავს და ღადრავს ქართველის გულს, იგივეა დღესაც: ის არ გამქრალა და ვერც გაჰქრება, სანამ ერი არსებობს. სანამ ეს არსებობა მძლავრად, სტიქიასებურად ცხადდება თვითოეულ ქართველში“ [4, 1]. ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“ 1930 წელს წერდა: „წინათაც ყოფილა საქართველოში ტანჯვის დღეები, რომელიც ქართველ ხალხს მუდამ ბრძოლით შეუტყვლია, დღევანდელ თაობას ქართველებისას არ გამოუგონია საქართველოს ინტერესების დაცვა, მისთვის ბრძოლა, ამ წმინდა საქმეს სახელოვნად ემსახურებოდნენ ჩვენი წინაპრები. ამის მოწმეა სისხლით მორწყული საქართველოს მთა და ბარი, ია-ვარდით მოქარგული მინდორველი. ამას ადასტურებს ოქროს ასოებით დანერილი საქართველოს სასიქადულო ისტორია. ქართველი ხალხი არა თუ იგონებს თავის წარსულს, არამედ ბრძოლით აღბეჭდავს თავის კავშირს გმირულ წარსულთან, რომლის მოგონებანი გვინათებენ მომავალს და აკაჟებენ ჩვენი ქვეყნის მებრძოლ შვილებს. მართალია დღევანდელი მდგომარეობა საქართველოსი უფრო სხვაა, ვიდრე წინათ იყო, მაგრამ მისწრაფება, თავდადება, სიყვარული თავის ქვეყნის თავისუფლების იგივეა დღესაც“ [7, 9].

4. სამშობლო – 1926 წელს ჟურნალი „სახალხო საქმე“ წერდა: „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლება – ეს ხომ ჩვენი არსებაა, გარდაუვალი

მიზანი. იქნება ქართველი ერი თავისუფალი – იქნება ძლიერი და განვითარებული, აყვავდება მისი მიწა, დამყარდება ქონებრივი კეთილდღეობა, გაიზრდება ყოველგვარი შემოქმედება; იქნება ქართველი ერი დამონებული – კიდევ უფრო გალატაკდება საქართველო, დაბეჩავდება ხალხი, დაჰკარგავს ადამიანობას და ბოლოს მოისპობა. შეუძლებელია ცხოვრება გარეშე ეროვნულ განთავისუფლებისა! განვაგრძოთ მისთვის მხნე მუშაობა და მედგარი ბრძოლა, ხან ჩუმი, ხან ფარული, ხან აშკარა და მაღლა. შევიტანოთ ყოველ წრეში მეტი შეგნება, დავრავლოთ ხალხი განთავისუფლების აზრის გარშემო. მთელი კაცობრიობა, საერთო განვითარება ხელს უწყობს ამ ჩვენს ბრძოლას და ჩვენ გავიმარჯვებთ – ქართველი ერი აღსდგება, საქართველოს კვლავ დაამშვენებს თავისუფლების დროშა“ [9, 4].

იგივე „სახალხო საქმე“ წერს: „ქართველი ერის ყოველმხრივი განვითარებისათვის, მისი შემოქმედების გაშლისათვის, მისი ქონებრივი და კულტურული წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ ქართველი ხალხი თავის თავს ეკუთვნოდეს, იყოს თავის ბატონ-პატრონი, იყოს თავისუფალი. ეს გარდაუვალია, უამისოდ ამათა სხვა ყოველივე მუშაობა ხალხის საკეთილდღეოდ. მაგრამ ამასთანავე ერთად ისიც ნათელი იყო ჩვენთვის, რომ ეროვნულ თავისუფლებას უნდა ამკვიდრებდეს ისეთი სოციალური წყობილება, რომელიც ხალხს უკეთესად უზრუნველყოფს ქონებრივად, ვიდრე დღეს არის. ჩვენ სოციალიზმსაც ეროვნული თვალსაზრისით ვაფასებთ – იგი მიგვაჩნია უძლიერეს იარაღად ქართველი ხალხის, ქართველი ერის გასამაგრებლად და განსავითარებლად“ [9, 6].

უურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“ 1926 წელს აღნიშნავდა: შეუძლებელია განყენებულად სამშობლოს მიღება. ბევრიც რომ ვიძახოთ, სამშობლო მიყვარსო, ეს არ იქნება მართლა სიყვარული. მუდამ პირზე რომ გვეკრას ქართველი ვარო, ეს მაინც ვერ დაამტკიცებს, რომ ქართველი ვართ. სამშობლოს სიყვარულისათვის საჭიროა მისი სრული შეცნობა: მისი მდინარის ხუვილი უნდა გამოისმოედეს თქვენი გულის ძვერაში, მისი მთის მწვერვალი მაღლით უნდა იზიდავდეს თქვენს ხედვას, მისი ტყის მყუდროება უნდა ისახებოდეს თქვენი ფიქრის იდუმალებაში. და მისი მთვარე სინაზეს უნდა გადაკრავდეს თქვენი სახის კანს. ყოველ თქვენს სიტყვაში, უხმო ხმათა ბგერაშიც უნდა გამოკრთოდეს ნიუანსები, რომლებიც ჩვენ არც გვსმენია, მაგრამ რომლებიც გაუგონიათ და უხილავთ წინაპრებს, და უცნობის გზით გადმოსულა ჩვენზე. საქართველოს შვილი მაშინ შეგიძლიათ უნოდოთ თქვენს თავს, როცა თქვენთვის ამეტ-

ყველზეულა ყოველი კუნჭული მისი, ველი თუ გორაკი, ქვა თუ ხე, ქალაქი თუ სოფელი, ადგილი სადაც იბრძოდნენ ჩვენი ძველები, სად რომელმა გმირმა გაითქვა სახელი, სად რა კეთდებოდა არა მარტო ფიზიკური თავდაცვისათვის, არამედ კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების გასაუმჯობესებლადაც“ [4, 4].

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ქართული ენის, სამშობლოს აქტუალიზებასთან ერთად ეროვნული საკითხი თავისებური ფორმით ვითარდება. თუ XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში პოლიტიკური ელიტის გარკვეული ნაწილის, კერძოდ, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატიების მთავარი მიზანი საქართველოს ავტონომიის ფორმით რუსეთის იმპერიაში შესვლა იყო, ხოლო სოციალ-დემოკრატების კი სოციალიზმის დამყარება, 1921 წლიდან მოყოლებული ეროვნული იდეისადმი დამოკიდებულება გარკვეულწილად იცვლება. აქვე აღვნიშნავ, რომ ქართული სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობამ ჩამოყალიბების შემდეგ გარკვეული ცვლილებები განიცადა. თუ მაგალითად, XX საუკუნის 900-იან წლებში მათ სამოქმედო გეგმაში სოციალურ-ეკონომიკურ საკითხს ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი, XX საუკუნის 10-იანი წლებიდან ეროვნული იდეის თემატიკამ გარკვეული ადგილი დაიკავა მათ პოლიტიკურ იდეოლოგიაში. რაც შესაძლოა ქართველი ერის განვითარების სპეციფიკით აიხსნება. ეს განსაკუთრებით აქტუალური გახდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის და სოციალ-დემოკრატების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.

რა განსხვავება იყო ქართული, ეროვნული ძალების და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ბრძოლაში? როგორც უკვე აღვნიშნე, საბჭოთა ხელისუფლების მთავარ მიზანს სოციალიზმის დამკვიდრება წარმოადგენდა. განსხვავებით ქართული, ეროვნული მოღვაწეებისგან, რომლებიც მშვიდობიანი ფორმით ცდილობდნენ საკუთარი იდეების რეალიზებას, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების პოლიტიკა ძალადობაზე იყო დაფუძნებული. ქართული კულტურული და პოლიტიკური სპექტრი ბუნებრივია აცნობიერებდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის სირთულეს და ამიტომ იყო მათ პროგრამაში მთავარი ეროვნული ფასეულობების წინა პლანზე წამოწევა და მათი საზოგადოებაში დამკვიდრება. აღნიშნულს საფუძვლად სხვადასხვა გარემოებები ედო. დავიწყეთ იქიდან, რომ ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული მიზანმიმართული ბრძოლა გამოუცხადა ქართულ, ეროვნულ ღირებულებებს. მათ მთავარ ამოსავალ



პრინციპად დაისახა საუკუნეების მანძილზე ქართული საზოგადოების ეროვნული ცნობიერების განმტკიცების საშუალებების, ენის, რელიგიის, ისტორიული მემკვიდრეების, სამშობლოს ფენომენტა გაუქმება-დასუსტება. 117 წელი რუსეთის ხელისუფლება ამ პოლიტიკას მიზანმიმართულად ახორციელებდა. მართალია, XIX საუკუნის II ნახევრიდან დაწყებულმა პროცესმა, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას უკავშირდება, რომელიც იდეოლოგიური ფორმით გამოიხატებოდა შეცვალა გარკვეულწილად რუსეთის პოლიტიკა. თუმცა, კვლავ ძნელი იყო ეროვნული საკითხის აქტუალიზება. რამ განაპირობა რუსეთის დათმობაზე წასვლა? როგორც ცნობილია, XIX საუკუნის II ნახევრიდან ევროპაში იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, რასაც შედეგად მოჰყვა სხვადასხვა სახელმწიფოების გაერთიანება და ნაცია-სახელმწიფოების ჩამოყალიბება. ამას ემატება ის ფაქტი, რომ რუსეთში გაუქმდა ბატონყმობა. რუსეთი იძულებულია საერთაშორისო გამოწვევებს დაემორჩილოს და გარკვეული რეფორმები განახორციელოს არა მარტო რუსეთში, არამედ მის მიერ დაპყრობილ სახელმწიფოებში. აღნიშნული რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულება იყო განათლების სფეროში დათმობაზე წასვლა. რაში გამოიხატებოდა ეს დათმობა? ბატონყმობის გაუქმებამ და კაპიტალიზმის დამკვიდრებამ თავისთავად მოითხოვა საზოგადოების ახალ სისტემაზე გადასვლა, რაც გულისხმობდა ეკონომიკური და სოციალური ვითარების შეცვლას, კერძოდ, ახალი სოციალური ფენების ჩამოყალიბებას. ახალი ცხოვრების სტილმა მოითხოვა განათლების საჭიროება, რომელიც აუცილებელი იყო როგორც რუსეთში, ისე მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში. ამას ემატება შემდეგი გარემოება: ერთი მხრივ, რუსეთის ხელისუფლება ცდილობს საგანმანათლებლო სისტემის გამოყენებას საკუთარი იდეების დამკვიდრებისათვის და მეორე მხრივ, ქართული ეროვნული ძალები – ეროვნული ცნობიერების აღორძინებისთვის იბრძვიან. ახალ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში აღმოჩენილი ქართული საზოგადოებისთვის არც ისე მარტივი გადასალახი აღმოჩნდა ეს ვითარება. ამას მოყვა სამი წელი საქართველოს დამოუკიდებლობა და 1921 წლიდან მოყოლებული ახლა უკვე საბჭოთა ხელისუფლება კვლავ აგრძელებს ქართველთა ეროვნული ცნობიერების შეცვლას საგანმანათლებლო დაწესებულებების საშუალებით და არა მხოლოდ.

მართალია, 1921 წლიდან მოყოლებული საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები სკოლების რაოდენობის გაზრდას დიდ ყუ-

რადლებას აქცევენ, თუმცა მათ იყენებენ საკუთარი მიზნების მისაღწევად. საზოგადოების პოლიტიკური „აღზრდა“ მათი მთავარი ამოსავალი პრინციპი ხდება. საზოგადოება მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდა. ქართული პოლიტიკური ელიტა ემიგრაციაშია და იქიდან იბრძვის, საქართველოში საბჭოთა იდეები მკვიდრდება.

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი და განსაკუთრებით ემიგრანტების წარმომადგენლები მუდმივად ამახვილებდნენ ყურადღებას ეროვნული ფასეულობების მნიშვნელობაზე. საერთოდ, პოლიტიკური და კულტურული ელიტის მნიშვნელობა და როლი ქართული სინამდვილისთვის აქტუალური იყო. ისინი ქმნიდნენ იდეოლოგიას და მის დამკვიდრებას ცდილობდნენ. 1921 წლიდან მოყოლებული აღნიშნული ჯგუფის მოღვაწეობის არეალი საგრძნობლად შესუსტდა და შევიწროვდა. საბჭოთა ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა ეროვნული იდეების უგულვებელყოფას და განსაკუთრებულ აქცენტს სოციალიზმის მნიშვნელობაზე აკეთებდა. უფლებაშეკვეცილი, ეროვნულად მოაზროვნე ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ახალ უკიდურესობაში აღმოჩნდა. რუსეთის იმპერიის პოლიტიკა საბჭოთა რეჟიმმა ჩაანაცვლა. აიკრძალა ეროვნული იდეების მატარებელი ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებები საბჭოთა იდეოლოგიის მატარებელი გახდა, განსხვავებით წინა პერიოდისაგან, როდესაც ეროვნული თემატიკის ბეჭდური მედია საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, საბჭოთა სისტემაში მთლიანად აკრძალული აღმოჩნდა.

ამ ფონზე, ბუნებრივია რთული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა, თუმცა როგორც განხილული მასალა აჩვენებს ქართული კულტურული და პოლიტიკური სპექტრი ეროვნული იდეების აქტუალიზებას მაქსიმალურად ცდილობდა. ეს პროცესი არცთუისე მარტივი იყო, რადგან სხვადასხვა სოციალურ ფენებს განსხვავებული ცნობიერება და მოთხოვნილებები გააჩნდა. საჭირო იყო თითოეული მათგანის ცნობიერების შესწავლა, მათთვის გასაგებ ენაზე საუბარი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სხვა საშუალებებთან ერთად მნიშვნელოვანი იყო შემდეგი ფაქტორები: 1. კულტურა. „კულტურული სიძლიერე უძლიერესი იარაღია დაჩაგრული ერის ხელში დამჩაგრელთა წინააღმდეგ. ჩაგრულ-მჩაგვრელთა შორის საბოლოოდ იმარჯვებს არა ის, ვინც დიდტანინი და ძლიერია ფიზიკურად, არამედ ვის მხარეზეც არის კულტურული და ზნეობრივი პირველობა“ [2, 3]. 2. თეატრი. „წარსულში თეატრი აძლევდა ტონს ლიტერატურასთან ერთად ქართულ საზოგადოებრივ ცხოვ-

რებას და ეროვნულ გულისცემას. თეატრში იდგმებოდა ბარიკადები სულის და შეგნების ეროვნული ფრონტის დაცვისათვის. ხდებოდა გმირულ გადმოცემათა ხორცშესხმა. თეატრი გალესილი იყო თავდადების რომანტიკით და ეს ბუნებრივი რეაქცია იყო ეროვნული სახეობის შენარჩუნებისათვის“ [1, 1]. 3. წიგნი. „წიგნის საკითხი ყოველი კულტურული და ცოტად თუ ბევრად წინ წასული ერისთვის მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოდ და კერძოდ, ჩვენისთანა პატარა ერისათვის. ჩვენ თითქმის განვლეთ ის დრო, როდესაც თავდაცვის ერთადერთი საშუალება ფიზიკური სიძლიერე იყო და ეხლა, მეოცე საუკუნეში, თუ ჯერ კიდევ არ გამოსცლია ფიზიკურ სიძლიერეს თავისი მნიშვნელობა, ყოველ შემთხვევაში მან არსებობისათვის ბრძოლაში პირველხარისხოვნება დაკარგა... ეხლა ბრძოლა სხვა ფრონტზეა, სულ სხვა საშუალებათა და მასში, შეიძლება ითქვას პირველი ადგილი წიგნს უჭირავს... დღეს ფიზიკური ბრძოლის მაგივრად უსათუოდ გონებრივი ბრძოლა სწარმოებს და წიგნი, როგორც ნაყოფი ადამიანის აზროვნებისა, გონებისა, ერთადერთი იარაღია ყუმბარაზედ არანაკლებ საშიში... თუ ცეცხლისმფრქვეველი იარაღების მოქმედება სწრაფია, წიგნის მოქმედება ნელა, თანდათანობით ხდება და საბოლოოდ პირველს თუ განადგურება მოსდევს, მეორეს სულიერი სიმახინჯე, გადაგვარება“ [14, 1].

ამგვარად, XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში შეიარაღებულ გამოსვლებთან ერთად მნიშვნელოვანია იდეოლოგიური ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს კი ხელმძღვანელობდა ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ეროვნულად მოაზროვნე ნაწილი.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. გაზეთი „ბახტრიონი“, 1922, №7.
2. გაზეთი „ბახტრიონი“, 1922, №23.
3. ჟურნალი „ბრძოლა“, 1927, №21.
4. ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, 1926, №2.
5. ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, 1930.
6. ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, 1928, №26.
7. ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, 1930, №53.
8. ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, 1921, №6.
9. ჟურნალი „სახალხო საქმე“, 1926, რვეული პირველი.

10. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, (შემდეგში სუიცსა), ფ. 285, აღნ. 1, საქ. №915.
11. სუიცსა, ფ. 300, აღნ. 6, საქ. №4.
12. სუიცსა, ფ. 300, აღნ. 7, საქ. №6.
13. სუიცსა, ფ. 300, აღნ. 6, საქ. №8.
14. გაზეთი „ტრიბუნა“, 1922, №287.
15. გაზეთი „ტრიბუნა“, 1922, №291.
16. გაზეთი „ქართული აზრი“, 1956, №74.
17. ჟურნალი „მრომა“, 1922, №1.

**Nato Songulashvili**

*Doctor of History, Ivane Javakishvili Tbilisi State University, Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology, Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History*

### **Perception of the Georgian National Idea (The 20s of the XX Century)**

#### **Summary**

Georgian people never accepted Soviet Russia's invasion of Georgia and started struggling for freedom almost from the first day of sovietization. Throughout the years of 1921-1991 Georgians residing in Georgia or abroad were struggling in different ways: with arms in their hands or ideologically. In this regard, the 20s of the XX century are distinguished for armed protests, unlike the 30s, when the struggle bears more cultural and national-ideological character. Emigrants are extremely active in this context. Throughout all these years, the forms of struggle kept changing, but the aim was always the same – to gain freedom.

Certain representatives of the Georgian society, especially the immigrants, paid great attention to the importance of national values. Generally, importance and role of the political and cultural elite was very actual for the Georgian reality. They shaped ideology and tried to establish it. Georgian political and cultural spectrum was obviously aware of all obstacles in the fight against the Soviet regime. Therefore, according to their program, great attention was paid to promotion of the national values in order to establish them in the society.

## ლელა სარალიძე

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

### საქართველოს ემიგრაციული მთავრობის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (1921-1924 წწ.)

რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის და ძალდატანებითი ანექსიის შემდეგ, 1921 წლის 17 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა ევროპაში გახიზნულიყო, საიდანაც აქტიურად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. 1921 წლის ბოლოს და 1922 წლის დასაწყისში, საქართველოს დევნილი მთავრობის ძირითადი ბირთვი კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთში გაემგზავრა, ხოლო ემიგრანტთა ნაწილი ოსმალეთში დარჩა. 2 აპრილს, პარიზში ჩავიდნენ: მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, მისი მოადგილე კონსტანტინე საბახტარაშვილი, 4 აპრილს, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე, 11 აპრილს, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი [11, 2]. მთავრობის გადაწყვეტილებით, პარიზში, საპროპაგანდო-სააგიტაციო ცენტრალური პოლიტიკური კომისია შეიქმნა, რომლის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი იყო, ხოლო წევრები: ს. მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე), ი. წერეთელი, კ. საბახტარაშვილი და ვ. ვოიტინსკი [11, 4]. აღნიშნული კომისიის დანიშნულება და მიზანი იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, ევროპის ყველა ქვეყანაში აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება. ამ მიზნით, ის მიმართავდა ყველა პოლიტიკურ პარტიებს და ჯგუფებს, მოქმედებდა, როგორც სიტყვიერი გამოსვლით, ასევე, პრესის და გამოცემების საშუალებით. კონსტანტინოპოლში შეიქმნა პოლიტიკური კომისია, ნოე ხომერვიკის ხელმძღვანელობით, რომლის მიზანი იყო დაკავშირებოდა საქართველოში მყოფ ყველა პოლიტიკურ პარტიას და ჯგუფს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას იცავდა და საქართველოში რუსეთის გავლენის განმტკიცებას ებრძოდა. მოლაპარაკებებს უცხოეთის სახელმწიფოთა მთავრობებთან, ევროპის ქვეყნებში, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი – აკაკი ჩხენკელი

ანარმოებდა. მას უშუალო კავშირი ჰქონდა, ევროპაში მყოფ ყველა ლეგაციასთან (ლონდონი, ბერლინი, რომი, ასევე, კონსტანტინოპოლი). აღნიშნული ლეგაციის მეთაურები, თითოეულ ნაბიჯს ა. ჩხენკელთან ათანხმებდნენ.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ძალით დამხობის შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა ქართველი ბოლშევიკების აქტიური მხარდაჭერით, ქვეყანაში ქართველი ხალხისთვის მიუღებელი პოლიტიკური რეჟიმი დაამყარა. 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველო დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა, ფორმალურად ქართული მთავრობით სათავეში. საბჭოთა საქართველო, როგორც იურიდიული სტატუსის მქონე ქვეყანა, საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ცენტრალური კომიტეტის კონტროლის მეშვეობით გადიოდა. 1921 წლის 20 მაისს, საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის განკარგულებით გამოიცა დეკრეტი №36, რომლის ძალით გაუქმებულად გამოცხადდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამფეროვანი ეროვნული დროშა და მის ნაცვლად კომუნისტური წითელი დროშა შემოიღეს. საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის პირველ წელს საქართველოში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) წარმოადგენდა, რომელიც კავკასიის ბიუროს მიერ იყო შექმნილი და არა ქართველი ხალხის მიერ არჩეულ.

რუსული ოკუპაციით დაიწყო საქართველოს დაშლა-დანაწილება. 1921 წლის 16 მარტს, მაშინ, როცა საქართველოს ეროვნული მთავრობა ჯერ კიდევ, ბათუმში იმყოფებოდა, მოსკოვში, საბჭოთა და ოსმალეთის ხელისუფლების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რუსმა ბოლშევიკებმა ოსმალეთს არტაანი, ყარსი, ართვინი და ბათუმის ოლქის ნაწილი გადასცეს, ხოლო, 1921 წლის 13 ოქტომბერს, ყარსში ოსმალეთთან დადებული ახალი ხელშეკრულებით, მოსკოვის ხელშეკრულების მუხლები დაამტკიცეს. ბოლშევიკების უკანონო ქმედებას გამოეხმაურა ქართული ემიგრაციული პრესა. გაზეთი „თავისუფალი საქართველო“ წერდა: „13 ოქტომბერი ერთი იმ სამარცხვინო დღეთაგანია, რომლითაც ასე მდიდარია კომუნისტთა მოღვაწეობა საქართველოში. ამ დღეს, კავკასიის რესპუბლიკათა კომუნისტებმა ხელი მოაწერეს თავის სრულ კაპიტულაციას ოსმალეთის ფაშების წინაშე. ამ დღეს მათ უფრო საზიზღარი ფორმით გაიმეორეს ის მოღალატური პოლიტიკა, რომლითაც დაიწყო რუსეთის კომუნიზმმა ბრესტ-ლიტოვსკის ცნობილი ზავი ამ სამი წლის წინ, მათ ხელახლა დასჭრეს ამიერკავკასიის ერთა სხეული და იგი

საჯიჯგნად მიუგდეს თავის „მოკეთე“ ოსმალთა ფაშებს. ყარსის, არ-დაგანის მთლად, ხოლო ბათუმის უდიდესი ნაწილი ოსმალეთს მის-ცეს. ასევე ჩააბარეს ბათუმის მთავარი სიმაღლეები, ხოლო სამაგიეროდ თვით ბათუმი მათგან წყალობით მიიღეს... რით ხელმძღვანელობდა მოსკოვი, როცა ასე სჭრიდა საქართველოს საზღვრებს? ცხადია, თავისი იმპერიალისტური ზრახვებით, რომ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებელი გაეხადა და იგი თავის სა-მუდამო სამკვიდროდ დაეტოვებინა. მართლაც, დღევანდელ საზღვრებს შიგნით, როცა სომხეთი მდინარე ხრამზეა მოსული, ხოლო ოსმალეთი ბათუმს თავს დასცქერის, საქართველო ყოველ მხრივ ღია კარებს წარმოადგენს, სადაც მტერს ადვილად შეუძლია შემო-იჭრას და იქაურობა გაანადგუროს!“ [3, 2].

საქართველოს ტერიტორიულ დანაკარგებზე, ემიგრანტი ქარ-თველი ისტორიკოსი ალექსანდრე მანველიშვილი შენიშნავს: „ის მხარე, რომელიც ბოლშევიკებმა ოსმალეთს გადასცეს, შეიცავს: არ-თვინის ოლქს – 3,339 კვ. კმ-ს, მოსახლეობა – 61 000; ფოცხოვის თემს – 558 კვ. კმ, მოსახლეობა – 15.000; არტაანის ოლქს – 5.137 კვ. კმ, მოსახლეობა – 56.000; ოლთისის ოლქს – 3.051, მოსახლეობა – 32.000; გარდა აღნიშნული მხარეებისა ბოლშევიკებმა გაასაჩუქრეს საქართველოს ადგილები აღმოსავლეთითაც და სამხრეთ აღმოსავ-ლეთითაც. სახელდობრ, ბორჩალოს მაზრის ნაწილი 3812 კვ. კმ და ზაქათალის ოლქი 3. 564 კვ. კმ. ამგვარად, ბოლშევიკებმა თურქეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს დაუთმეს საქართველოს ტერიტორიის 19.491 კვ. კილომეტრის სივრცე“ [1, 18].

სწორედ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩადე-ნილ არა ერთ დანაშაულს, ქვეყანაში გამეფებულ სასტიკ ტერორს და ძალადობას, ამხელდა ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დე-მოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და ცდილობდა, საოკუპაციო ხელისუფლების შესახებ, საერთაშორისო საზოგადოებისთვის ობი-ექტური ინფორმაცია მიეწოდებინა. ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები, უცხოეთიდან, ადევნებდნენ თვალს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. ამ მხრივ, ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა კონსტანტინოპოლის მისია, რომელიც პარიზში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, უშუალოდ აწვდიდა ცნობებს საქართველოში არსებულ სიტუაციაზე. საზღვარგარეთ, საქართველოს ემიგრაციულ მთავრობას მუშაობა რთულ პირობებში უხდებოდა. კონსტანტინე გვარჯალაძე (1883-1954 წწ.) (საქართვე-ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური

ნარმომადგენელი კონსტანტინოპოლში 1921-1925 წ.წ.) იგონებს: „მეტად ცუდ პირობებში დაიწყო მუშაობა სტამბოლის ნარმომადგენლობამ 1921 წელს. ბოლშევიკების შემოსევის შემდეგ, საქართველოს მთავრობა იძულებული შეიქნა დაეტოვებინა თავისი ტერიტორია და წამოსულიყო ევროპაში. ევროპაში ჩამოსვლისას ჩვენ დავინახეთ, რომ ბოლშევიკებს მიეღოთ ყოველნაირი ზომა, ევროპა დაერწმუნებია იმაში, რომ საქართველოში მოხდა შინაური გადატრიალება, ქართველ ხალხს უნდოდა ბოლშევიზმი და ახლანდელი ბოლშევიკური მთავრობა ხალხის სურვილებს და სიმპათიებს ეყრდნობაო. სტამბოლში 22 სხვადასხვა სახელმწიფოს ნარმომადგენელია. პირველი ორი თვის განმავლობაში (აპრილი-მაისი 1921 წ.) საწინააღმდეგო ყველა ამ ნარმომადგენელს ვეცნობოდი, დავრწმუნდი, რომ ბოლშევიკებს ერთნაირად თავისი მიზნისათვის მიეღწიათ: ხშირად ვხვდებოდი აზრს, რომ საქართველოში ვითომ ბოლშევიკური გადატრიალება მომხდარიყოს. როგორც მოგეხსენებათ, სტამბოლი (ოფიციალურად სტამბოლი ქალაქს 1930 წლის 28 მარტს დაერქვა – ლ. ს.) ევროპისათვის აღმოსავლეთის საკითხებში დიდად თვალყურსადევნებელი პუნქტია. აქედან მიდის უმთავრესად ყოველგვარი ინფორმაცია აღმოსავლეთის შესახებ, ცენტრალურ მთავრობებთან. ამიტომ აუცილებელი იყო მკვიდრი კავშირი სტამბოლის ყველა ნარმომადგენელთან და მათი დაჯერება იმაში, რომ საქართველოში არ მომხდარა არავითარი შინაურული ბოლშევიკური გადატრიალება, არამედ საქართველო დაპყრობილ იქნა გარედან, უცხო ჯარებით, რომ დღეს იქ უცხო ჯარების ოკუპაცია არსებობს“ [9, 5].

კ. გვარჯალაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ოსმალებთან მუშაობას, რადგან ბოლშევიკებთან ბრძოლის დროს, დიდი როლი ჰქონდა ოსმალების მხრიდან ნეიტრალიტეტის გარანტიას, რათა სამხრეთის საზღვრები დაცული ყოფილიყო. თავის ანგარიშში პარიზში მყოფი მთავრობისადმი იგი წერს: **„როგორც ვიცით, ბოლშევიკები საქართველოში, ანგორის დასტურით და შემწეობით შემოვიდნენ. ასანონ დასანონი იყო ყველა ის პირობები, რომელშიც დაც ოსმალები აწარმოებდნენ თავის პოლიტიკას რუსეთის და კავკასიის მიმართ.** ჩვენი ნარმომადგენლობა, როგორც ოსმალებთან მყოფი, პირველი დღეებიდან შეუდგა კონსტანტინოპოლის ოფიციალურ და კერძო გავლენიან პირებთან კავშირის დაკავებას. მართალია, კონსტანტინოპოლი ანგორას მონყვეტილი იყო და ანატოლიაში მას არავითარი გავლენა არ ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც საჭირო იყო აქ ნაცნობობის ქონა იმ პირებთან, რომლებიც



შემდეგში დიდ როლს ითამაშებდნენ. ანგორის გამარჯვების შემდეგ კი აქ ახლა თანდათან მოდიან ქემალისტები. არის აქ, აგრეთვე, ანგორის ოფიციალური წარმომადგენელი. თურქები ჯერ კიდევ არიან მკვიდრ კავშირში რუსებთან და დიდ სიფრთხილესაც იჩენენ მათ მიმართ. ყველას ერთხმად იმას ეუბნებიან, რომ ჯერ მდგომარეობა უნდა გამოირკვეს, უნდა ვიცოდეთ ვინ იქნება ჩვენი მეგობარი, ან ჩვენი მტერი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ასე თუ ისე გარკვეული სამოქმედო ხაზი ვიქონიოთ. ერთი წლის განმავლობაში, პოლონელებმა დიდი ენერგია დახარჯეს, რომ გამოერკვიათ ოსმალეთ-რუსეთის დამოკიდებულება ერთმანეთთან ამ ახლო მომავალში და იმაზე მეტი, რაც კი საზოგადოთ ყველამ ვიცით, მათ დღემდეც კი ვერაფერი გაიგეს. ოსმალებმა ძლიერ ემშაკურად, ფრთხილად, ნელა და ჩუმად იცინან მუშაობა. მათ კვალდაკვალ უნდა მისდიო და მათივე მეთოდებით საჭიროა მუშაობა. იმედია, როცა ომი გათავდება და ზავი ჩამოვარდება აქ მუშაობა უფრო გაადვილდება და ოსმალები უფრო თამამი იქნებიან; თუ ზავის ჩამოვარდნის შემდეგ, ანგორიდან მთავრობა სტამბოლში არ გადმოვა რამოდენიმე ხანს კიდევ, საჭირო იქნება (ახლა ალბათ უფრო ადვილი იქნება, ვიდრე წინათ) ანგორაში კაცის გაგზავნა“ [10, 3]. 1921 წლის დასაწყისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავის სრულუფლებიან წარმომადგენლად, ოსმალეთის ხელისუფლებაში მოსული, მუსტაფა ქემალ ფაშას მიერ შექმნილ ანგორის მთავრობასთან, სოციალ-ფედერალისტი – სიმონ მდივანი (1876-1937 წწ.) დანიშნა.

ემიგრაციაში მყოფმა, საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ აუცილებელ პირობად მიიჩნია მეზობელი კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელ ემიგრანტ პოლიტიკოსებთან ურთიერთობის დამყარება. 1921 წლის 8 მაისს, პარიზში, კავკასიელი ემიგრანტების თათბირი შედგა [14, 1-2]. მათ ბოლშევიკური რეჟიმის დამხობის და საერთო კავკასიური ბლოკის შექმნის გზები დასახეს. როგორც სხდომის ოქმიდან ჩანს, კრებას თავმჯდომარეობდა აზერბაიჯანის წარმომადგენელი ალი მარდან თოფჩიბაშევი [2, 36-37]. სხდომას ესწრებოდნენ, აზერბაიჯანის მხრიდან: ა. ისლამოვი, დ. გაჯიბეკოვი, მ. მაგერამოვი; სომხეთის მხრიდან: ა. აგარონიანი, ა. ხატისოვი, ნ. ბეკზადიანი; საქართველოს წარმომადგენდნენ ემიგრაციაში მყოფი: ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, კ. საბახტარაშვილი, მ. სუმბათაშვილი, ჩრდილოეთ კავკასიას – ა. ჩერმოევი. კრების მდივანი ა. ათამალიბეკოვი იყო. ემიგრანტმა პოლიტიკოსებმა დაადასტურეს, რომ შეკრების მთავარი აზრს, კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებ-

ლობისა და კეთილდღეობისთვის ერთობლივი მუშაობის წარმართვა შეადგენდა. 1921 წლის 10 ივნისს, კავკასიელმა ემიგრანტებმა, ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, საკავშირო დეკლარაციას მოაწერეს ხელი. დაარსდა მუდმივი ორგანო კავშირის საბჭო, რომელშიც კავკასიის ქვეყნების დელეგაციის მათაურები შევიდნენ, საქართველოს წარმომადგენდა ევროპის ქვეყნებში მისი ელჩი აკაკი ჩხენკელი. მსგავსი ორგანიზაციები დაარსდა ლონდონში და სტამბოლში [5, 9].

თავის მხრივ, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აქტიურად მუშაობდა ევროპის მმართველ წრებთან, რათა რუსი ოკუპანტებისგან კავკასიის გათავისუფლება დაეჩქარებინა. საფრანგეთის ხელისუფლება ცდილობდა ოსმალეთი ჩამოეცილებინა რუსეთისათვის და იგი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა. ამ მიზნით, 1921 წლის 20 ოქტომბერს, საფრანგეთის ხელისუფლებამ ქემალისტებთან ხელშეკრულება გააფორმა. საფრანგეთის მხრიდან მას ხელი მოაწერა ჰენრი ფრანკლინ-ბუიონმა, ხოლო ოსმალეთის მხრიდან ანკარის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა – იუსეფ ქემალ ბეიმ. შეთანხმების მიხედვით, საფრანგეთი ცნობდა ოსმალეთის უფლებას კლივიზაზე, ხოლო ალექსანდრიტის სანჯაყი საფრანგეთის მფარველობაში რჩებოდა. ა. ჩხენკელი და ჩერმოევი იმედოვნებდნენ, რომ ეს ხელშეკრულება ანკარას მოსკოვისგან ჩამოაშორებდა და შეეცადნენ საფრანგეთის პრემიერ მინისტრი არისტიდ ბრიანი კავკასიის საკითხით დაეინტერესებიათ. ამ მიზნით, 1921 წლის 28 ოქტომბერს, კავკასიის 4 რესპუბლიკის წარმომადგენელი: ჩხენკელი, აგარონიანი, ჩერმოევი და თოფჩიბაშევი, საფრანგეთის მთავრობის მეთაურს და საგარეო საქმეთა მინისტრ არისტიდ ბრიანს შეხვდნენ [3, 54]. ა. ჩხენკელმა მადლობა გადაუხადა ა. ბრიანს კავკასიის რესპუბლიკების მხარდაჭერისთვის და სთხოვა მას კავკასიელთა ინტერესების დაცვა ვაშინგტონის მთავრობის წინაშე. ა. ბრიანმა განმარტა, რომ რუსეთთან დაკავშირებით, ამერიკის მთავრობას საკუთარი ხედვები ჰქონდა. ისინი ვერ ივინყებდნენ მეფის რუსეთთან კავშირს პირველ მსოფლიო ომამდე. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და დადგა დრო, რათა სახელმწიფოებმა შეცვალონ თავიანთი პოლიტიკა და რუსეთს ჩამოცილდნენ. თავის მხრივ, მან მზადყოფნა გამოთქვა, რომ საერთაშორისო კონფერენციებზე, კავკასიის სახელმწიფოების ინტერესებს დაიცავდა. ჩერმოევმა ბრიანს კავკასიის ქვეყნების მნიშვნელობა განუმარტა და შეახსენა, რომ რუსეთის ნავთობპროდუქტების

წილის 85%, სწორედ, კავკასიაზე – ბაქოზე და გროზნოზე მოდიოდა. მან იმედი გამოთქვა, რომ საფრანგეთი თავის ხელში აიღებდა ნავთობპროდუქტების კონტროლს და კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის აუცილებლობაში, ამერიკის ხელისუფლებასაც დაარწმუნებდა. ა. ბრიანმა კავკასიელ ემიგრანტებს დახმარება აღუთქვა.

ვაშინგტონში აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა საქართველოს წარმომადგენელი ზურაბ ავალიშვილი. ამერიკის მაშინდელი მთავრობა ერთიანი რუსეთის მომხრე იყო, გარდა ამისა, სხვა სახელმწიფოებისგან განსხვავებით, აშშ-მ არ აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, ამდენად ძნელი იყო ამერიკის ხელისუფლების დარწმუნება იმაში, რომ დამოუკიდებელ კავკასიის სახელმწიფოებთან უშუალო ურთიერთობა, მათთვის ბევრად უფრო სასიკეთო იქნებოდა. 1921 წლის 10 დეკემბერს ზ. ავალიშვილი შეხვდა ამერიკაში რუსეთის საქმეების გამგეს – პოუვლს (Povle), რომელსაც კავკასიის საქმეები ფორმალურად ეკუთვნოდა. მან ზ. ავალიშვილს განუცხადა: „მართალია, ამერიკა რუსეთის აღდგენის დიდი მომხრეა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს რუსეთის რესტავრაციას ძველ საზღვრებში. არც იმის თქმაც შეიძლება, ვითომ ამერიკა იყოს პრინციპული წინააღმდეგი კავკასიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა, მაგრამ თქვენც დამეთანხმებით, რომ ამ დროს საქართველოს ჩვენ მიერ ცნობა პრაქტიკულ საკითხად ან საგნად არ ჩაითვლება (ე. ი. რადგან ბოლშევიკების ხელშია – ზ. ავალიშვილი). პირადად მე (ამას რასაკვირველია, არაოფიციალურად მოგახსენებთ) დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს აწინდელ სახელმწიფო მდგომარეობაში ცვლილება რომ მოხდეს, თქვენი ძველი მთავრობის სასარგებლოდ, მაშინ უსათუოდ არც ამერიკის მიერ ცნობა დაგვიანდება, მაგრამ ამისთვის საჭიროა ფაქტიური საფუძველი...“ [12, 12]. ზ. ავალიშვილს შეხვედრები ჰქონდა, ასევე, ნიუ-იორკში „Standard Oil“-ის წარმომადგენლებთან. მათ განაცხადეს, რომ ისინი წმინდა სავაჭრო საზოგადოებას წარმოადგენდნენ და ამერიკის მთავრობაზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლოთ, პირიქით, როგორც აღნიშნეს ბევრი დავა და უსიამოვნებაც ჰქონდათ მათთან. ბოლოს, ზ. ავალიშვილი შეეცადა, მიეღწია იმისთვის, რომ ამერიკის დამხმარე კომიტეტის მხრიდან, რუსეთისთვის განკუთვნილი დახმარება საქართველოშიც მოხვედრილიყო.

ემიგრაციაში მოღვაწე საქარველოს მთავრობა, წინ აღუდგა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების გადაწყვეტილებას 1922 წელს, გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე, კავკასიის სიმდიდ-

რის მეპატრონედ ბოლშევიკების მიერ წარგზავნილი ჩიჩერინი, კრასინი და ლიტივინოვი გამოსულიყვნენ [7, 2]: მაშინდელი ევროპული პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა სტატიები, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ ვიდრე ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლებას გენუაში მიიწვევდნენ, ჯარი უნდა გაეყვანათ საქართველოდან, რომელიც მას ძალით ჰქონდა დაპყრობილი [14]. 1922 წლის 20 სექტემბერს, ერთა ლიგის ყრილობამ სპეციალური რეზოლუცია მიიღო, რომელშიც ნათქვამია: „ერთა ლიგის ყრილობა ყურად იღებს რა საქართველოს მდგომარეობას, მოუწოდებს საბჭოს, ყურადღებით ადევნოს თვალი ამბებს ამ ნაწილში, რათა ხელსაყრელი შემთხვევის დროს დაეხმაროს მას საერთაშორისო უფლების წესებთან შეთანხმებულ პირობებში, რათა ამ ქვეყანას ნორმალური მდგომარეობა დაუბრუნდეს“ [13, 3].

1924 წლის ნოემბერში, სტამბოლში, „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი“ დაარსდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობის მიზნით, პარიზში, აზერბაიჯანის, საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და კავკასიური კომიტეტი შექმნეს, რომელსაც უნდა მოეხდინა რუსეთის საბჭოთა საოკუპაციო ჯარებისგან, კავკასიის განთავისუფლებისთვის ბრძოლის ორგანიზება. კომიტეტის შექმნის შესახებ, დოკუმენტს საქართველოს სახელით ხელი მოაწერეს: აკაკი ჩხენკელმა (ევროპის ქვეყნებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი), ნოე რამიშვილმა (შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი), სპირიდონ კედიამ (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი); აზერბაიჯანის მხრიდან: ალი მარდან ბეკ თოფჩიბაშევი (პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაური), ჯეინუნ გაჯიბეილმა (იმავე დელეგაციის წევრი), ჩრდილო კავკასიის სახელით: აბდულ მეჯიდ ჩერმოევმა, იბრაგიმ გაიდარმა, გაიდარ ბამატმა (ჩრდ. კავკასიის მთიელთა და დაღესტნის კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი): 1925 წელს, სომხებმა უარი განაცხადეს კავკასიურ კომიტეტში მონაწილეობაზე, რაც განპირობებული იყო თვით სომხებს შორის უთანხმოებით. ამასთან დაკავშირებით კ. გვარჯალაძე წერს: „ოსმალს და რუსების სომხებს შუა არის დიდი წინააღმდეგობა და უთანხმოება იმ დეკლარაციის შესახებ, რომელზედაც თქვენ ხელი მოაწერეთ პარიზში 1921 წლის 10 ივნისს. ეს დეკლარაცია, ამბობენ ოსმალს სომხები, ლაპარაკობს მხოლოდ რუსეთის სომხებზეო, თქვენ მთელი სიმძიმე გადაგაქეთ ერევანშიო. ჩვენი აზრით, კი უმთავრესი

სიმძიმე ოსმალეთის სომხეთშიაო, აქ იყო და არის აუარებელი მსხვერპლიო. აგარონიანი ერევნის იქით არაფერს ხედავსო, ასეთ ნაბიჯებს ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთო. მათ არა აქვთ ერთი მთლიანი ორგანიზაცია და აზრი: ნუბარ ფაშას აქ ერთ ჯგუფთან აქვს მიმონერა, ხატისოვ-აგარონიანს კი მეორესთან, ყველანი კი ამ დროს ერთი დელეგაციის წევრები არიან. მე მაინც არ ვეშვები. მინდა ახლა ოსმალთა სომხები ჩამოვიარო“ [10, 2]. კ. გვარჯალაძე კონსტანტინოპოლში 22 ქვეყნის წარმომადგენელს შეხვდა. ინგლისის და საფრანგეთის შემდეგ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ბერძნებთან, ასევე, პოლონელებთან და რუმინელებთან მუშაობას ენიჭებოდა. ვინაიდან პოლონეთთან და რუმინეთთან კარგ დამოკიდებულებაში იყო საფრანგეთი. ორივე ქვეყანა, როგორც ბოლშევიკების, ასევე, მომავალ რუსეთთან ურთიერთობის წინააღმდეგი იყო. კ. გვარჯალაძე არაერთხელ შეხვდა კონსტანტინოპოლში პოლონეთის ელჩს იოდკოს, ხოლო მისი წასვლის შემდეგ ახალ ელჩს რანოვსკის. პოლონელები, ასევე, კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ ოსმალეთთან.

თავის მხრივ, საბჭოთა ხელისუფლება, ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსების თავის მხარეზე გადაბირებას ცდილობდა. ე. გეგეჭკორის ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, რომ საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარეს – ნოე ჟორდანიას, საუბარი ჰქონდა ნიკო ნიკოლაძესთან, რომელიც ბოლშევიკებთან ეროვნული ხელისუფლების მორიგების საქმეს თავის თავზე იღებდა. ნ. ჟორდანიამ ეს ამბავი მთავრობის წევრებს აუწყა. 1922 წლის 13 დეკემბერს, ა. ჩხენკელისადმი გაგზავნილ წერილში, ე. გეგეჭკორი წერს: „მინდა ორიოდ სიტყვით გაცნობო, თუ როგორი მიმდინარეობა მიიღო ნიკოლაძის მიერ წამოწყებულმა ისტორიამ. შაბათს არაჩვეულებრივ სხდომაზე, მთავრობის თავმჯდომარემ გაგვაცნო საქმის ვითარება. მისი გადმოცემით, მისთვის მიუმართავს ნიკოლაძეს წინადადებით, რომ იგი ჩამოაგდებდა მორიგებას, ჩვენ და ბოლშევიკებს შორის, თუ ასეთი რამ მოხერხდებოდა, ეს ჩვენთვის არასოდეს არ ყოფილა სადავო, მეც დავთანხმდი, რომ მას (ნიკოლაძეს) გადაეცა შესაფერისი ნაბიჯები. მე პირობებზე საერთოდ არ მილაპარაკნია, მხოლოდ ჯარის გაყვანა აუცილებელი პირობა იყო ჩვენი შეთანხმების, ეს კი მას თავიდანვე ვამცნეო. შეუძლებელია ნიკოლაძეს ამისთვის ყურადღება არ მიექცია, ან ვერ გაეგო, რადგანაც ის დაჟინებით მიმტკიცებდა, რომ ამაზე ბოლშევიკები წამოვლენ, რადგანაც იქით დაეხოცებათ ჯარი შიმშილითო. რა სახით გადასცა ჩემთან საუბარი ნიკოლაძემ სხვებს მე ეს არ ვიცი და არც არის ჩვენთვის საინტერე-

სოო. ჩვენ ახლა გვაქვს საქმე ბოლშევიკების თანხმობასთან, რომ ისინი მზად არიან გველაპარაკონ და ჩვენც შეგვიძლია ახლა წარმოვადგინოთ ჩვენი ბაზაო...“ [8, 6]. ბუნებრივია, რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება საქართველოდან ჯარის გაყვანას არ დაეთანხმებოდა, რადგან ჯარი მისი საოკუპაციო ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი ძალა იყო.

1923 წლის 8 იანვარს, ე. გეგეჭკორი, ა. ჩხენკელისადმი გაგზავნილ პირად წერილში აღნიშნავს: „მდგომარეობა, რასაკვირველია, მეტად რთულია. ჩემი აზრით, გართულება უფრო მწვავედ მოსალოდნელია. ჩვენ ძველ ნაცნობ ფრანგებს შევხვდით, მათთან მუსაიფმა დამარწმუნა, რომ რუსების ეშინიათ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქვს სასწრაფო ზომები (რა სახის ჯერ ვერ გამოვარკვიე) მიღებული რუსებზე გავლენა მოახდინონ, რათა შესაძლოა ისინი გერმანიასთან გარიგებაში არ შევიდნენ, თუ ფრანგები ენერგიულ ნაბიჯებს არ გადადგამენ. ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთს იმდენად არ აქვს საქმე მოგვარებული, რომ ამ მხრივ, გულდამშვიდებული იყოს. ჩემ შეკითხვაზე, ნუთუ ახლაც არ არის დრო, რომ ჩვენ უფრო მეტი ყურადღება მოგვაქციონ, მე თუმცა გადაჭრილი პასუხი ვერ მივიღე, მაგრამ ერთში კი დავრწმუნდი, რომ ისინი ამაზე ფიქრობენ, მხოლოდ უცდიან რალაცას...“ [8, 11].

ქართველი პოლიტიკოსების მუშაობას მნიშვნელოვნად აფერხებდა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო პირობები. მიუხედავად ამისა, ემიგრაციული მთავრობის ძალისხმევით, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით, არაერთი რეზოლუცია იქნა მიღებული.

**ქვემოთ გთავაზობთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის, 1921-1925 წლებში, კონსტანტინოპოლში, ხოლო 1925-1930 წლებში კი ლონდონში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის – კონსტანტინე გვარჯალაძის ნაშრომს: „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მუშაობა საზღვარგარეთ 1918-1924 წლებში“, რომელშიც თანმიმდევრულად არის გადმოცემული, ემიგრაციაში მყოფი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოღვაწეობის ისტორია.**

„ამიერკავკასიის ქვეყნების იძულებით დაპყრობის შემდეგ, საბჭოთა მთავრობა ცრუ ხმებს ავრცელებდა, თითქოს ამიერკავკა-

სიაში მეზობელი ერები ერთმანეთს დაერივნენ და მოსკოვის მთავრობა არაფერ მუაშაოა. 1921 წლის 10 მარტს, პარიზიდან, ირაკლი წერეთელმა და 29 მარტს კი სტამბოლიდან ნოე ჟორდანიამ, კარლო ჩხეიძემ, ნოე რამიშვილმა და ევგენი გეგეჭკორმა, ევროპის ყველა სოციალისტურ და პროფესიულ ორგანიზაციებს, მონოდეტებით მიმართეს, სადაც ბოლშევიკების ამ ტყუილებს ფარდას ხდიდნენ, საქართველოში მომხდარი ამბების ნამდვილ სურათს ხატავდნენ და სთხოვდნენ აღნიშნულ ორგანიზაციებს საბჭოთა ხელისუფლების ყაჩაღური ქმედების წინააღმდეგ ხმა აემალლებინათ, რათა რუსეთს წითელი ჯარები უკან გაეყვანა და ქართველი ხალხისთვის საკუთარი ცხოვრების თავის სურვილისამებრ მოწყობის საშუალება მიეცა („თავისუფალი საქართველო“, №1, 1921).

საქართველოს სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელთა მონოდეტას ევროპის მუშათა კლასი ერთსულოვნად გამოეხმაურა და მოსკოვის მთავრობის იმპერიალისტური აქტის სანინააღმდეგო რეზოლუციები მიიღეს: ინგლისის ტრედ-უნინების და მუშათა პარტიის გაერთიანებულმა კომიტეტმა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთამ, როგორც დამოუკიდებელი, ისე, უმრავლესობის სოციალისტებმა, საფრანგეთის, ბელგიის, ესპანეთის, შვეიცარიის, შვეციის, დანიის, ბალტიის ქვეყნების, სამხრეთ სლავიანთა, იტალიის, ავსტრიის და პოლონეთის სოციალისტებმა, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ბორდოს სექციამ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის დელეგაციამ, მეორე ინტერნაციონალის კრებამ და სხვა (*L'Internationale Socialiste et la Géorgie*, Paris, 1921). მათ მიერ მიღებულ რეზოლუციებში დაგმოიბოლია საბჭოთა ჯარების საქართველოზე თავდასხმა, ისინი თანაგრძნობას უცხადებენ ქართველ ხალხს და მოითხოვენ მის სრულ უფლებებში აღდგენას.

1921 წლის 3 მაისს ნოე ჟორდანიამ მოხსენება გააკეთა სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ნ. ჟორდანიამ დააყენა საკითხი: რა მოხდა საქართველოში? რევოლუცია, აჯანყება-გადატრიალება? თუ ომით დაპყრობა? თუ ომი იყო, ვინ ომობდა? ამ დოკუმენტებით ხელში, გააშუქა ეს საკითხი და დაამტკიცა, რომ ეს იყო ომი, საბჭოთა რუსეთის მიერ დაწყებული საქართველოს დაპყრობის მიზნით. ნოე ჟორდანიას მოხსენების შემდეგ, ფრანგ სოციალისტთა ცენტრალურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ იგი გამოიტანდა შესაფერის რეზოლუციას, საქართველოს დაპყრობის გამო და შეეცდებოდა ეს საკითხი გაერჩია ვენის „სოციალისტური პარტიების კავ-

შირსაც“. ფრანგი სოციალისტების აღმასრულებელმა ორგანომ საფრანგეთის მუშათა კლასს მიმართა მანიფესტი („თავისუფალი საქართველო“, №2, 1921), რომლითაც ის მოსახლეობას მოუწოდებდა, პროტესტი განეცხადებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის წინააღმდეგ. უდავოდ აღიარებდა საქართველოს საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ დაპყრობას, ხაზს უსვამდა იმას, რომ **რუსეთის მთავრობა შეეცადა მოეტყუებია ევროპის პროლეტარიატი, როცა ამბობდა, თითქოს რუსეთი, საქართველოსთან საზღვრის გამორკვევის დროს, საბჭოთა სომხეთისთვის მხარის დასაჭერად ჩაერთო ომში.** ნ. ჟორდანიას და ი. წერეთლის მოხსენებების საფუძველზე ცენტრალური კომიტეტი, ქართველი ხალხის უფლებების დაცვას და რუსეთის ჯარისგან საქართველოს დაცლას მოითხოვდა. ამას გარდა, ცენტრალური კომიტეტი იზიარებდა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის 3.000 წარმომადგენლის, 1921 წლის 10 აპრილს, თბილისში მიღებულ წინადადებას – შემდგარიყო შერეული კომისია ევროპის მუშათა მოძრაობის ორი მიმდინარეობისგან – სოციალისტურისა და კომუნისტურისაგან, რომლის კონტროლის ქვეშ მოხდებოდა საქართველოში თავისუფალი არჩევნები მშრომელი ხალხის ნების გამოსახატავად.

1921 წლის 13 ივნისს ნ. ჟორდანიას ჩავიდა ბრიუსელში, სადაც მას უცხო სოციალისტისთვის, უმაგალითო თანაგრძნობით და ენთუზიაზმით შეხვდა მუშათა სოციალისტური და პროფესიული წრეები. ბელგიის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, ვანდერველდე მიესალმა ნ. ჟორდანიას და პარტიის და პროფ. კავშირების 600.000 წევრის სახელით უსურვა „კეთილშობილ, თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოტრფიალ“ ქართველ ერს მალე განთავისუფლება და გამარჯვება. მეორე დღეს, პარტიამ და პროფ. კავშირებმა, მუშათა სახლში, ნ. ჟორდანიას სპეციალური საღამო მოუწყვეს, სადაც ვანდერველდემ, თავის სიტყვაში განაცხადა: „ბელგია ვერ მოკლა მტრის დაპყრობამ, იგი დღეს მკვდრეთით აღმდგარია, არც საქართველო მომკვდარა, იგი ხვალ აღსდგება“.

მსურვალე და გულითადი მიღებისთვის მაღლობის გადახდის შემდეგ, ნ. ჟორდანიამ კრებას მოახსენა საქართველოს ისტორია, მისი დამოუკიდებლობის დღიდან და გადაუშალა სურათი საქართველოში რუსეთის ჯარების შემოსევის. მან მიმართა ბელგიის მუშათა კლასს, რომ მორალური დახმარება გაუწიოს ქართველ ხალხს თავის წმინდა ბრძოლაში კომუნისტური დამპყრობლების წინააღ-



მდეგ, მოითხოვოს, რომ მოსკოვმა გაიყვანოს თავისი ჯარები და ამით ქართველ ხალხს საშუალება მისცეს თავისი ბედი, თავის სურვილისამებრ გადანიჭოს. საპასუხო სიტყვაში დებრიუკერმა, ბელგიის მუშათა სახელით, განაცხადა, რომ ბელგიის მუშები საქართველოს საკითხს, თავის საკუთარ საქმედ გაიხდიან და მთელი თავისი ძალ-ღონით მათ დასახმარებლად იმოქმედებენ. „ქართველი სოციალ-დემოკრატების რეზოლუცია, თბილისში 10 აპრილს მიღებული, გვიჩვენებს ჩვენ სწორ გზას, სამივე მუშათა ინტერნაციონალიდან უნდა შედგეს საარბიტრაჟო კომისია, რომელსაც გადაეცემა საქართველოს საკითხი გადასაჭრელად“ – განაცხადა დებრიუკერმა. მისი წინადადება კრებამ ერთხმად მიიღო.

ბრიუსელიდან ნ. ჟორდანიამ მიიწვია ანტვერპენის სოციალისტურმა ორგანიზაციამ, რომელმაც გამართა დიდი მიტინგი, საქართველოს საკითხის შესახებ. კრებაზე, ნ. ჟორდანიას მიერ საქართველოზე გაკეთებული მოხსენების შემდეგ, დებრიუკერთან და ჰიუსმანსთან ერთად, სხვა ცნობილმა პოლიტიკოსებმაც ისაუბრეს. ყველა ორატორმა თანაგრძნობა გამოუცხადა ქართველ ხალხს და დახმარება აღუთქვეს.

ბელგიაში ყოფნის დროს, ნ. ჟორდანიამ ინახულა, როგორც ოფიციალური წრეები, ისე ბევრი სხვა საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც დროებით დამონებულ საქართველოს თავიანთ სალამს უგზავნიდნენ. როგორც სოციალისტურ, ასევე, არასოციალისტურ გაზეთებში, საქართველოს შესახებ თანაგრძნობით აღსავსე მრავალი წერილი დაიბეჭდა.

ბელგიიდან ნ. ჟორდანიამ გაემგზავრა ინგლისში. იქ მან ინახულა მუშათა პარტიის და ტრედ-უნიონების ხელმძღვანელი პირები და მათ საქართველოს საკითხისადმი მორალური დახმარება სთხოვა. 1921 წლის 22 ივნისს, ქალაქ ბრაიტონში, ინგლისის მუშათა პარტიის ყოველწლიური კონგრესი გაიმართა, რომელსაც ნ. ჟორდანიამ დაესწრო. კონგრესზე, საქართველოს შესახებ მოხსენებით გამოვიდა ქალბატონი სნოუდენი. მან კონგრესს საქართველოს მდგომარეობა გააცნო, ისაუბრა უცხო ძალების მიერ ქვეყნის ოკუპაციაზე და კრებას მოუწოდა, რათა ქარველებისთვის მხარი დაეჭირათ. კონგრესმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „კონფერენცია უცხადებს რა ქართველ ხალხს თავის თანაგრძნობას, გამოთქვამს რწმენას, რომ მას უნდა მიეცეს საშუალება სამხედრო ძალდატანების გარეშე, თავისუფლად აირჩიოს ფორმა მმართველობისა, რომელიც მას სასურველად მიაჩნია. ამიტომ იგი მხარს უჭერს ქართველი

**სოციალ-დემოკრატების წინადადებას, შეიქმნას საერთაშორისო შერეული კომისია, რომელშიც შევლენ სოციალისტები და კომუნისტები და ამ კომისიის ზედამხედველობის ქვეშ, ქართველმა ხალხმა რეფერენდუმის საშუალებით გამოთქვას თავისი ნებისყოფა“.**

1921 წლის ივნისში, კ. ჩხეიძე და ნ. რამიშვილი ვარშავაში ჩავიდნენ, სადაც მათ მოინახულეს და მოხსენება გაუკეთეს სოციალისტურ პარტიას და მის საპარლამენტო ფრაქციას, გააცნეს მათ საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა და ბოლშევიკების შემოსევის შედეგები. მათ ინახულეს, აგრეთვე, მაშინდელი მმართველი პარტიის (ვიტოსის) საპარლამენტო ფრაქციის მეთაური, პარლამენტის თავმჯდომარე და ბევრი სხვა პოლიტიკური მოღვაწე. მათ ყველგან დიდი ინტერესით და ყურადღებით შეხვდნენ. 19 ივნისს, პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ მოაწყო მრავალრიცხოვანი საჯარო კრება, სადაც ისაუბრეს კ. ჩხეიძემ და ნ. რამიშვილმა. დამსწრენი დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს და ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადეს ქართველ ხალხს.

ივნისის ბოლოს, კ. ჩხეიძე და ნ. რამიშვილი გერმანიაში გაემგზავრნენ. ბერლინში მათ ინახულეს კ. კაუცკი, ედ. ბერშტეინი, შტრებელი, დამოუკიდებელი პარტიის ფრაქციის პრეზიდიუმი, უმრავლესობის სოციალ-დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა, პრეზიდენტი ებერტი, რაიხსტაგის პრეზიდენტი – ლეზუ და სხვები. 1 ივლისს, ბერლინში, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერლინის და მისი მიდამოების პასუხისმგებელ მოღვაწეთა და დეპუტატთა კონფერენცია გაიმართა, რომელსაც 250 დელეგატი დაესწრო. 5 ივლისს, მეუმრავლესე სოციალ-დემოკრატების მიერ მრავალრიცხოვანი კრება მოეწყო. ყველა ამ კრებაზე კ. ჩხეიძის და ნ. რამიშვილის გამოსვლები დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ერთხმად მიღებულ რეზოლუციებში, გერმანელი მუშები, რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვებას და იქ თავისუფლების და დამოუკიდებლობის აღდგენას მოითხოვდნენ.

ვენის ინტერნაციონალის ბიუროს დავალებული ჰქონდა წინა კონფერენციისაგან, საქართველოზე თავდასხმის საკითხის შესწავლა და სათანადო რეზოლუციის შემუშავება. ამ მიზნით, კრება დაინიშნა 1921 წლის 8 ივლისს, ფრანკფურტში. აღნიშნული საკითხის

გასარკვევად, ბიუროს სხდომას დაესწრნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები კ. ჩხეიძე და ნ. რამიშვილი. ბიურომ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „სოციალისტურ პარტიათა ინტერნაციონალური ბიუროს კრება ფრანკფურტში, 9 ივლისს, ადასტურებს, რომ იმ მასალების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებული იქნა, როგორც ქართველების, აგრეთვე, ბოლშევიკების მიერ და საქართველოს წარმომადგენელთა – კ. ჩხეიძის და ნ. რამიშვილის სიტყვიერი განმარტების შემდეგ, შეუძლებელია არსებობდეს რაიმე ეჭვი, რომ მართლა ადგილი ჰქონდა ბოლშევიკების ჯარების თავდასხმას, რომელიც გამოწვეული იყო წმინდა მილიტარისტულ-სტრატეგიული მიზეზებით. ბიურო მოითხოვს საქართველოდან ბოლშევიკური ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას და ქართველი ხალხისადმი თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას“.

ივლისის ბოლოს, კოპენჰაგენში, ინტერნაციონალური სოციალისტური კონფერენცია შედგა, რომლის დღის წესრიგში საქართველოს საკითხიც შევიდა. კონფერენციაზე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით, მოხსენებით გამოვიდა, კ. ჩხეიძე. კონფერენციის მიერ გაზიარებული იქნა მისი წინადადება: დაუყოვნებლივ შედგომოდნენ, სოციალისტების და კომუნისტებისგან შემდგარი საერთაშორისო კომისიის შექმნას. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდო კომიტეტს, რომელშიც არჩეული იყვნენ: მაკდონალდი, დებრუკერი, სტაუნინგი და ჰანსენი. კომიტეტი მალევე შეუდგა ვენის და მესამე ინტერნაციონალთან სათანადო მოლაპარაკებას, რათა მოკლე დროში შექმნილიყო შერეული კომისია, რომელსაც უფლება ექნებოდა საქართველოში გამგზავრებულიყო და ქართველი ხალხის ნამდვილი ნება-სურვილი მმართველობის ფორმის შესახებ თავისუფალი რეფერენდუმის საშუალებით გამოერკვია. იმავე პერიოდში, ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიამ თავისი არსებობის 50 წლის იუბილე აღნიშნა. ბევრ სხვა უცხოელ სოციალისტთა შორის, ჰოლანდიის პარტიას, დღესასწაული მიულოცა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა კ. ჩხეიძემ. იუბილის შემდეგ, დიდი დემონსტრაცია გაიმართა, რომელშიც 200.000 კაცი მონაწილეობდა. კ. ჩხეიძემ, თავის გამოსვლაში, ისაუბრა საქართველოს ჭირ-ვარამზე და ბოლშევიკების თავდასხმის ისტორიაზე. მთელი ზღვა ხალხი მხურვალე საღმით და თანაგრძნობით შეხვდა ქართველი ხალხის ცნობილ წარმომადგენელს.

1921 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში, სტამბოლში, საქარ-

თველოდან მოვიდა ცნობა, რომ იქ დიდი შიმშილი მძვინვარებდა და ევროპის საზოგადოებისგან დახმარების აღმოჩენას ითხოვდნენ. აღნიშნული ცნობის მიღებისთანავე, სტამბოლში მყოფი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის და დამფუძნებელი კრების 15 წევრმა მოწოდებით მიმართა ევროპის სოციალისტურ და პროფესიულ ორგანიზაციებს, სადაც აღწერილი იყო საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, განსაკუთრებით ხაზგასმული იყო მტრის მიერ დაპყრობილი ქართველი ხალხის შიმშილობასა და გასაჭირზე და მოითხოვდნენ მათთვის პურის და მედიკამენტების მიწოდებას. დახმარება კი უნდა მომხდარიყო დამპყრობელთა და მოძალადეთა გარეშე, რათა ჩეკისტებს და ნითელარმიელებს თვითონ არ ესარგებლათ ხალხისთვის დანიშნული დახმარებით. 13 და 14 აგვისტოს, ბერლინის მუშათა პროფესიული კავშირის ინტერნაციონალის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. კონფერენციამ მოისმინა კ. ჩხეიძის მოხსენება – საქართველოს დამშევის შესახებ. კონფერენციაზე არჩეული იყვნენ წარმომადგენლები, რომელთაც პროფესიული ინტერნაციონალის მოქმედება, ნითელი ჯვრის მოღვაწეობასთან უნდა დაეკავშირებინა, დახმარების მიღების მიზნით. მათი ინიციატივით, ნითელი ჯვრის კონგრესმა, ჟენევაში, დაადგინა: საქართველოს რუსეთისგან დამოუკიდებლად გასწეოდა დახმარება. ასეთი დახმარება მედიკამენტებით, მართლა აღმოუჩინეს ქართველ ხალხს, 1922 წლის მარტის ბოლოს.

ინგლისის დამოუკიდებელ სოციალისტთა ყოველკვირეულ ჟურნალში: „ფორვერდ“-ის 1921 წლის, 20 აგვისტოს და 3 სექტემბრის ნომრებში დაიბეჭდა ა. პ. ლ.-ს წერილები, რომელშიც გამართლებული იყო საქართველოში ბოლშევიკების შემოსევა და ნ. ჟორდანიას და ქართველ სოციალ-დემოკრატებს, ავტორი კონტრრევოლუციონერობას და დენიკინთან კავშირს სწამებდა. იმავე გაზეთის ფურცლებზე, ნ. ჟორდანიამ დასაბუთებული პასუხი გასცა ბოლშევიკების ვეჭილის თავზედურ მტკიცებას, გააკრიტიკა მისი დებულებები და ინგლისელ მკითხველებს გააცნო მთელი ის მუშაობა და რეფორმები, რაც ქართულმა დემოკრატებმა სამი წლის დამოუკიდებლობის დროს ჩაატარა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შემდეგ, ბერშტეინის, ლოებეს და შტრეზელის წინადადებით, 1921 წლის 20 სექტემბერს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხდომაზე კიდევ ერთხელ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლუცია: **„კრება მთელი თავისი სიმკაცრით ჰკიც-**

ხავს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ვერაგულად თავდასხმას და მის დაპყრობას. ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიასთან შეთანხმებით, სხდომა მოითხოვს, რომ ბოლშევიკური ჯარები დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნენ საქართველოდან. ამასთანავე ის მოითხოვს ყველა, საქართველოში, დატყვევებული სოციალისტის გათავისუფლებას და ბოლშევიკური მთავრობის ჯალათთა მიერ რუსეთში გადასახლებული ქართველების უკანვე, საშობლოში დაბრუნებას“.

30 ოქტომბერს, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესზე, პარიზში, ი. ნერეთელმა კონგრესისადმი მისალმების შემდეგ, კრებას დაწვრილებით განუმარტა, თუ როგორ გათელეს ბოლშევიკებმა ფეხქვეშ პრინციპი თვითგამორკვევისა და მოსკოვის ჯარების ხიშტების და საშინელი ტერორის საშუალებით, როგორ ბატონობდა საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლება, მთელი ქართველი ხალხის და კერძოდ, მუშათა კლასის ერთსულოვანი ნების წინააღმდეგ.

ივლისის ბოლოს, კოპენჰაგენში, ინტერნაციონალური სოციალისტური კონფერენციის დადგენილების თანახმად, მაკდონალდმა, მესამე ინტერნაციონალთან გამართა მოლაპარაკება, რათა მოკლე დროში, სოციალისტებისა და კომუნისტებისგან კომისია შეედგინათ, რომელიც საქართველოში გაემგზავრებოდა და რომლის კონტროლის ქვეშ მოხდებოდა რეფერენდუმი ქართველი ხალხის ნამდვილი ნება-სურვილის გამოსარკვევად. მაკდონალდმა, ინტერნაციონალის მაშინდელმა მდივანმა, შესაფერისი წერილით მიმართა რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობას, მისცემდა თუ არა ის კომისიას მუშაობის საშუალებას. მაკდონალდის წერილს პასუხი 13 სექტემბერს გასცეს და ეს პასუხი ადრესატამდე მივიდა არა მოსკოვიდან, არამედ თბილისის ე. წ. ბოლშევიკური მთავრობიდან. ქართველი ბოლშევიკები სარეფერენდუმო კომისიის მონყობაზე, რასაკვირველია, უარს ამბობდნენ და უფრო ევროპელი სოციალისტების ლანძღვა-გინებით კმაყოფილდებოდნენ. თან უმატებდნენ, რომ ბოლშევიკებს აზრად ჰქონდათ მოენვიათ საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელი არმიის ჯარისკაცთა დელეგატების ყრილობა, რომლის დადგენილებები, გაცილებით უკეთ გააცნობდა მათ ქართველი ხალხის გრძნობებს, ვიდრე ამ ხალხის უშუალო დაკითხვა. ეს ინფორმაცია მოახსენეს, 22 ნოემბერს, ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას, ბრიუსელში, რომელსაც ემიგრაციული მთავრობის მხრიდან დაესწრო კ. ჩხეიძე და ვ. ვოიტინსკი. კრებამ ერთხმად მიიღო ჰიუს-

მანსის რეზოლუცია, რომელიც ამბობდა: „1. საქართველოს ტერიტორია დაპყრობილი იქნა მოსკოვის ჯარების მიერ და რომ მოსკოვის მთავრობას დანიშნული ჰყავს საქართველოში ხალხისთვის უცხო ხელისუფლება, რომლისადმი მცხოვრებლები მტრულად არიან განწყობილნი; რომ მსოფლიო პროლეტარიატის თვალში მოსკოვის მთავრობა ერთად ერთი პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკის დანგრევასა და იქ გამეფებული ტერორის რეჟიმისთვის. 2. იმ დროს, როცა მოსკოვის მთავრობა მოითხოვს, რომ ის ცნობილი იქნას სხვა სახელმწიფოთა მიერ, ის პატივისცემით უნდა მოეპყრას სხვა ხალხების უფლებას, თუ უნდა, რომ მის უფლებებს სცენ პატივი და არ უნდა გათელოს ის ელემენტარული პრინციპები, რომელნიც საფუძვლად უნდა დაედოს კულტურული ერების ურთიერთობას. ამიტომ აღმასრულებელი კომიტეტი კვლავ დაჟინებით მოითხოვს: ა) რომ რუსეთის მთავრობამ გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოდან და მით შეიძლება მისცეს ქართველ ხალხს უფლება თვით გახდეს თავისი ბედის პატრონი. ბ) წინადადებას აძლევს მეორე ინტერნაციონალის მომხრე ყველა პარტიებს: როცა მათ წინაშე დადგება საკითხი მოსკოვის მთავრობის ცნობის შესახებ, ანგარიში გაუწიონ იმ მჭიდრო კავშირს, რომელიც არსებობს ამ საკითხსა და საქართველოს დემოკრატიის განთავისუფლებას შორის“.

იმავე ხანებში, დაახლოებით მსგავსი შინაარსის, რეზოლუცია იქნა მიღებული საფრანგეთის სოციალისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, რომელიც საპარლამენტო ფრაქციას ავალეებდა აღნიშნული რეზოლუციით ესარგებლა გადანყვეტილების მიღების დროს.

საქართველოს ტერიტორიის რუსეთის ჯარების მიერ დაპყრობამ, მისი თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოსპობამ და იქ ტერორისტული ხელისუფლების ძალით გაბატონებამ, მთელი ევროპის მუშათა კლასის საზოგადოებრივი აზრი მეტად ააღელვა და ალაშფოთა. ის კატეგორიულად გმობდა რუსეთის იმპერიალისტურ მოქმედებას და ერთსულოვნად მოითხოვდა საქართველოდან უცხო ჯარის გაყვანას და საქართველოს თავისუფლების აღდგენას. რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება, ევროპის პროლეტარიატის პროტესტს ყურადღებას არ აქცევდა. საქართველოში კი ბოლშევიკური ხელისუფლება რეპრესიებს აძლიერებდა და ქართველი ხალხი ეროვნულად, სოციალურად, ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად კიდევ უფრო იზარებოდა. მან გამოიწვია საქართველოს დემოკ-

რატიის მოწინავე რაზმის – თბილისის მუშების აშკარა გულისწყრომა. მათ გადაწყვიტეს საქართველოს რევკომთან წარმომადგენლების გაგზავნა და წერილობითი განცხადების გადაცემა. განცხადებას ხელი მოაწერა 5.132 მუშამ, აირჩიეს 9 კაცისგან შემდგარი დელეგაცია და მას დაავალეს საბჭოთა ხელისუფლებისადმი მემორანდუმის წარდგენა. ამ მემორანდუმში მუშები მოითხოვდნენ: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და იქედან რუსის ჯარის გაყვანას; მუშათა ორგანიზაციების, კავშირების, არჩევნების, კრების, პრესის, სიტყვის თავისუფლებას და პიროვნების ხელშეუხებლობის აღდგენას; ქართველი მუშების ადგილებიდან დათხოვნის შეჩერებას და მათი უცხოეთში გადასახლების შეჩერებას; მუშათა ოჯახების ნივთიერ გაუმჯობესებას; პოლიტიკური დევნილების და ტუსალების გათავისუფლებას და სხვა. საქართველოს რევკომმა 5.000 მუშის წარმომადგენელს არ მოუსმინა. ისინი, 24 ოქტომბერს, დაატუსადა და ფარულად ციხეში გაგზავნა. ბოლშევიკების ასეთმა საქციელმა თბილისის მუშათა კლასის საერთო აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია. მათ 1 ნოემბერს, საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს, რომელიც ყველგან ერთსულოვნად ჩატარდა. თბილისის მუშების პროტესტს, ყველა ანტიბოლშევიკური პოლიტიკური პარტია და სტუდენტები შეუერთდა. ბოლშევიკური ხელისუფლება მათ, კიდევ ერთხელ გაასამართლეს და დაგმეს. ეს ამბავი თბილისის მუშებმა, მეორე ინტერნაციონალის, ევროპის ყველა სოციალისტურ და პროფესიულ ორგანიზაციებს ამცნეს. მის შესახებ, საქართველოდან მიღებული ყველა წერილი და მიმართვა სპეციალურ ბროშურად გამოიცა, სათაურით: „Le proletariat géorgien contre l'impérialisme bolsheviste“, novembre, 1921 და ასე გავრცელდა ის ევროპელთა შორის.

ბოლშევიკები საგონებელში ჩავარდნენ. გენუის კონფერენციის მოწვევის დრო ახლოვდებოდა, სადაც საბჭოთა რუსეთთან ერთად, საბჭოთა საქართველოს სახელით უნდოდათ ელაპარაკათ. თვით საქართველოში კი, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, ასეთი ამბები ხდებოდა. საჭირო იყო მათ ევროპის საზოგადოებრივი აზრი დაერწმუნებიათ, რომ ქართველი ხალხი მათთან იყო.

საქართველოში რუსის ჯარის შემოსევის 10 თვის შემდეგ, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა საქართველოს საბჭოთა ყრილობა მოენვია. არჩევნების სამზადისისთვის, მათ დიდი წინასწარი მუშაობა გასწიეს. ათასობით ქართველი მუშა და გლეხი ციხეებში გამოამწყვდიეს, ან საქართველოს გარეთ, უცხო ადგილებში გაგზავნეს. მთელი საქართველო უცხო ჯარით, ასევე, მოხელეებით

გაავსეს, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის სრული უფლება მიენიჭათ. არ არსებობდა პრესის, სიტყვის და კრების თავისუფლება. ფარული ხმის მიცემის უფლება მოსპეს. ბოლშევიკების გარდა, არავის შეეძლო სხვა სია წამოეყენებია. ყველგან ტერორი და ძალადობა იყო გამეფებული. ასეთ პირობებში, ქართველმა ხალხმა, მისმა ყველა ანტიბოლშევიკურმა პარტიამ, არჩევნებისთვის სრული ბოიკოტის გამოცხადება გადაწყვიტა. რუს ჯარისკაცთა და ჩინოვნიკების მიერ არჩეული საბჭოები ქართველი ხალხის უფლებების შეურაცხყოფად იქნა გამოცხადებული. მთელი ეს მდგომარეობა დეტალურად აღწერილი და გაშუქებულია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული სათანადო ორგანოს მიერ ფრანგულ ენაზე გამოცემულ ბროშურაში: „Nouveau crime bolchéviste en Géorgie“, 1921 და „Le travailleurs géorgien et les élections Soviétistes de Géorgie“. ეს ბროშურები, მრავლად იქნა გავრცელებული უცხოელთა შორის და მათ ევროპის პრესაც თანაგრძნობით გამოეხმაურა. საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, გერმანიის, ინგლისის, ესპანეთის, ჩეხოსლოვაკიის და პოლონეთის სოციალისტურმა გაზეთებმა დაბეჭდეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მონოღება, რომელიც საბჭოთა არჩევნებს ეხებოდა; მას წერილებს უძღვნიდნენ და აღნიშნავდნენ, თუ რას წარმოადგენდა საერთოდ ბოლშევიკური საბჭოთა არჩევნები, სადაც ელემენტარული წესი არ იყო დაცული. ფრანგულმა გაზეთმა: „სოციალისტური ცხოვრება“, სტატია: „ბოლშევიკების ახალი დანაშაული საქართველოში“, მთლიანად გადაბეჭდა. ბოლშევიკების აგენტები, ევროპში, შეეცადნენ ყველა ნამდვილი ცნობა საქართველოს შესახებ, გაეზიარებინათ და საბჭოთა ხელისუფლებას გამოექომაგნენ.

ინგლისის სოციალისტური გაზეთი „ფორვერდ“ 21 და 28 იანვრის და 4 თებერვლის (1922 წ.) ნომრებში მოთავსებული იყო წერილები ა. პ. ლ.-ის და კოუტსის. ორივე ავტორი მოსკოვის მთავრობის დამცველთა როლში გამოდიოდნენ. ბ-ნი ა. პ. ლ. ამტკიცებდა, თითქოს 1921 წლის თებერვალში, საქართველოში მუშათა უმცირესობამ მოახდინა აჯანყება, გლეხთა უმრავლესობის წინააღმდეგ და ამან განაპირობა რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლა. ის, აგრეთვე, საყვედურობდა ქართველ სოციალისტებს, ნეიტრალიტეტის დაცვას რუსეთის სამოქალაქო ომში. ბ-ნი ნიკოუტსი კი ამბობდა, რომ საქართველო დღესაც დამოუკიდებელ რესპუბლიკას წარმოადგენს და მასზე მოსკოვის ხელისუფლება არ ვრცელდება. ის ირწმუნებოდა, აგრეთვე, რომ პირველი საბჭოთა არჩევნების დროს, ბოლშევი-



კებს საქართველოს მუშათა და გლეხთა 80% მისცა ხმა. მათ საპასუხოდ, ნოე ჟორდანიამ, იგივე გაზეთის ფურცლებზე, ვრცელი და დასაბუთებული წერილი დაბეჭდა („თავისუფალი საქართველო“, №18), სადაც მან ბოლშევიკების ყალბი მტკიცებულებები სავსებით გააბათილა.

საქართველოს დაპყრობით აღშფოთებული ევროპის მუშათა წრეების და საზოგადოებრივი აზრის დასაშოშმინებლად და ყველას თვალის ასახვევად, თითქოს საქართველოს კიდეც შერჩენოდა რაიმე თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ბოლშევიკებმა გენუის კონფერენციაზე წარსაგზავნ, საბჭოთა კავშირის დელეგაციაში, ერთი ქართველი წევრი – ბუდე მდივანი შეიყვანეს, რომელსაც შესაფერი თვალთმაქცობის როლი უნდა ეთამაშა. ნამდვილი მათი მიზანი კი იყო გენუის კონფერენციაზე ეროვნული მთავრობის წარმომადგენელი არ ყოფილიყო დაშვებული და საქართველოს სახელით რუსეთს ელაპარაკა.

საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან ერთად და მის დასახმარებლად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების მიერ, მიღებული იყო ზომები, რომ ბოლშევიკებს ფალსიფიკაცია არ მოეხდინათ და გენუის კონფერენციაზე რუსეთის ხელისუფლებას საქართველოს სახელით არ ელაპარაკა.

ინგლისის მუშათა წრეებში ირაკლი წერეთლის წინასწარი მუშაობის განევის შემდეგ, 1922 წლის იანვარში, შეერთებულმა ნაციონალურმა საბჭომ, რომელიც მუშათა პარტიის, ტრედუნიონების და თემთა პალატის მუშათა ფრაქციის წარმომადგენელი იყო, მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ადასტურებდა დიდი ბრიტანეთის მუშათა კონფერენციის მიერ მრავალჯერ გამოტანილ დადგენილებას, რომ ტერიტორიული საკითხების მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ სახალხო დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების საშუალებით.

საბჭო აღიარებდა, რომ ეს პრინციპი უნდა გამოყენებული ყოფილიყო იმ საკითხშიდაც, რომელიც ეხებოდა საქართველოს ეროვნულ მდგომარეობას და დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ ინგლისის მთავრობას, რომელმაც იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, მიეღო საჭირო ზომები, რათა გენუის კონფერენციას გამოეტანა ისეთი დადგენილება, საქართველოს საკითხის გამო, რომელიც შეეფერებოდა ამ დემოკრატიულ პრინციპებს.

მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა, დაახლოებით, იმავე ხასიათის დადგენილება მიიღო, მასში ხაზგასმით

იყო აღნიშნული: „რომ არ არსებობდა სხვა კანონიერი მთავრობა საქართველოში, გარდა იმისა, რომელიც წარმოშობილია მთელი ხალხის საყოველთაო არჩევნებიდან. ამიტომ მოსკოვის მთავრობიდან დანიშნულ წარმომადგენელს, უფლება არა აქვს საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში საერთოდ და კერძოდ, გენუის კონფერენციაზე საქართველოს სახელით ილაპარაკოს“.

1922 წლის 19 მარტს, კარლო ჩხეიძემ, საქართველოს მდგომარეობის შესახებ, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესზე მოხსენება გააკეთა. მან კატეგორიულად განაცხადა, რომ ქართველი ხალხი არასოდეს შეურიგდებოდა ბოლშევიკურ რეჟიმს, რომელსაც ის განიცდის, როგორც გარეშე მტრის ბატონობას და სთხოვდა კონგრესს დახმარებას, რათა საქართველო ძალადობით შემოსული მტრისგან, დაუყოვნებლივ გათავისუფლებულიყო. კონგრესმა კ. ჩხეიძის სიტყვა დიდი თანაგრძნობით მოისმინა და ერთხმად დაადგინა, რომ პარტიას ამ საქმეში ქართველებისთვის ყოველმხრივ მხარი დაეჭირა. ფრანგმა სოციალისტებმა შესაფერისი ნაბიჯები გადადგეს და გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით მოლაპარაკება გამართეს საფრანგეთის ოფიციალურ წრეებთან, რათა საფრანგეთის მთავრობას ეცადა, ამ კონფერენციაზე მოსკოვს საქართველოს სახელით ვერ ელაპარაკა და იქ ქართველი ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი ყოფილიყო დაშვებული.

ქართველი სოციალ-დემოკრატების მუშაობა საზღვარგარეთ, რასაკვირველია, არ რჩებოდა უცნობი ქართველი ბოლშევიკებისთვის და მოსკოვის კარნახით, ისინიც სანინაალმდეგო ზომებს იღებდნენ და თავის დაცვას ტყუილებით ლამობდნენ.

აპრილის რიცხვებში, კომუნისტურ გაზეთებში განათავსეს, „საქართველოს საბჭოთა ყრილობის პრეზიდიუმის“ დეკლარაცია, რომელიც მიმართული იყო ეროვნული მთავრობის და დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ და მათ ქართველი ხალხის წარმომადგენლად არ ცნობდა. აღნიშნულ დეკლარაციას პასუხი გასცეს კ. ჩხეიძემ და ნ. ჟორდანიამ. მათ ფარდა ახადეს ბოლშევიკების თაღლითობას და კიდევ ერთხელ განუმარტეს ევროპის საზოგადოებრივ აზრს, რომ ე. წ. „საქართველოს საბჭოები“, ქართველი ხალხის ნებისყოფის ფალსიფიკაცია იყო და რომ აღნიშნული საბჭოები შექმნილი იყო საოკუპაციო ხელისუფლების მიერ. მის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო არა ქართველმა ხალხმა, არამედ მხოლოდ რუსეთის წითელმა არმიამ, მოსამსახურეებმა და უცხო ელემენტებმა.

დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ, ფრანგულ გაზეთ:

„ლ'უმანიტე“-ში ბუდუ მდივნის ინტერვიუც დაიბეჭდა, ჩიჩერინის მიერ ხელოვნურად შექმნილი დელეგაციისა, რომელიც ცდილობდა გენუის კონფერენციაზე, ქართველი ერის შესახებ ცრუ ხმები გაეცრცელებია და ამით საქართველოში რუსეთის ბატონობა გაემართლებია. ბ. მდივანი, თავის ინტერვიუში აცხადებდა, რომ საქართველოში საბჭოთა რეჟიმი, ქართველმა მშრომელმა ხალხმა თავისი ნება-სურვილით დაამყარა და ამის შემდეგ იქ, არც გაფიცვას და არც სხვა რამე უკმაყოფილებას ადგილი არ ჰქონია. ამის გამო, „ლ'უმანიტე“-ს რედაქტორს, მოქალაქე კაშენს, ნოე ჟორდანიამ ღია წერილით მიმართა, რომელიც მრავალ სოციალისტურ გაზეთში დაიბეჭდა. ნ. ჟორდანია კაშენს მიუთითებდა იმაზე, რომ მთელი წლის განმავლობაში მას ბოლშევიკები ყალბ ცნობებს აძლევდნენ და ატყუებდნენ. ამასვე ჩადიოდა ბუდუ მდივანიც. მდგომარეობის ადგილზე შესასწავლად და ქართველი ხალხის ნება-სურვილის გასაგებად, ნ. ჟორდანია მათ ურჩევდა, საქართველოში, სოციალისტური და კომუნისტური პარტიების შერეული კომისია გაეგზავნათ და თუ კაშენს სწამდა ის, რასაც მას მისი ინფორმატორები აწერიებდნენ საქართველოს შესახებ, მაშინ გაზეთის რედაქტორი ამ წინადადებას უნდა მიმხრობოდა.

საქართველოში ინტერნაციონალური, შერეული კომისიის გაგზავნის საკითხი, მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე, 1922 წლის 2 აპრილს, ბერლინში. ევროპის სოციალისტურმა პარტიებმა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის და მისი წარმომადგენლებისადმი, მათი არა ერთხელ დაპირება, რომ ისინი საქართველოს საკითხს გამოექომაგებოდნენ და მხარს დაუჭერდნენ, პირნათლად შეასრულეს. ბერლინის კონფერენციაზე, მეორე ინტერნაციონალის სახელით, ვანდერველდემ და მაკდონალდმა განაცხადეს, რომ მათთვის ბოლშევიკებთან ერთად, საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის მოწვევა და მათან საერთო ფრონტი შესაძლებელი და მისაღები იქნებოდა, მხოლოდ მაშინ, თუ ბოლშევიკები ზოგ სხვა პირობათა შორის, საქართველოში ოკუპაციის მოხსნაზე დათანხმდებოდნენ და ქართველ ხალხს საშუალება მიეცემოდა, თუ რა მთავრობა და რაგვარი წესწყობილება სურდა მას. ყველა ამის გამოსარკვევად კი ისინი მოითხოვდნენ, სამივე ინტერნაციონალის წარმომადგენელთაგან, საანკეტო კომისიის, საქართველოში, გაგზავნას. ვანდერველდეს და მაკდონალდის განცხადებას, საქართველოს შესახებ, შეუერთდა მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელი – ბაუერი. კომინტერნის დე-

ლეგატმა, რადეკმა, ბოლშევიკებს შორის, პირველმა საჯაროდ აღიარა, რომ მათ დაარღვიეს საჯარო ხელშეკრულება საქართველოსთან და ამ ქვეყანას ომის საშუალებით დაეპატრონენ, რადგანაც საბჭოთა რუსეთს ნავთი სჭირდებოდა. რადეკის ეს განცხადება, ხაზგასმით აღინიშნა წერილობით და ოქმში შეტანილ იქნა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიების წარმომადგენლის – ი. წერეთლის მიერ.

კომინტერნის ემისარი – რადეკი, ჯერ ჯიუტობდა და მეორე ინტერნაციონალის პირობებზე უარს ამბობდა, შემდეგ დათანხმდა და ხმა მისცა საერთო რეზოლუციას, რომელშიც საქართველოს შესახებ აღნიშნულია: „კონფერენცია ადასტურებს სამივე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის განცხადებას, რომ ისინი მზად არიან მიიღონ და განიხილონ სხვადასხვა მიმდინარეობათაგან წარმოდგენილი მასალები საქართველოს საკითხების შესახებ. კონფერენცია ავალებს საორგანიზაციო კომიტეტს, დააგროვოს ამ მასალის დასკვნები და მოახსენოს იგი სამივე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მომავალ კონფერენციას“. მ დადგენილების თანახმად, შეადგინეს 9 წევრისგან კომისია, რომელსაც უნდა გადასცემოდა განსახილველად ყველა საბუთი საქართველოს შესახებ და რომელსაც უნდა მოემზადებინა ნიადაგი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოსაწვევად, მაგრამ ბოლშევიკებს არსებითად სხვა რამე უფრო აინტერესებდა, ვიდრე ამ კომისიაში მუშაობა.

გენუის კონფერენცია უნდა გახსნილიყო 10 აპრილს. ამ კონფერენციაზე, ლოიდ ჯორჯის წინადადებით, საბჭოთა რუსეთი იყო მინვეული და ბოლშევიკები ყოველ ზომებს იღებდნენ, რომ ევროპის მუშათა კლასის საზოგადოებრივი აზრი მიემხრო საბჭოთა რუსეთის მხარის დასაჭერად და გასამაგრებლად კონფერენციაზე. საერთო ფრონტი სოციალისტურ პარტიებთან კომუნისტებს უმთავრესად ამისთვის უნდოდათ. ბერლინის კონფერენციაზე, ბოლშევიკები სოციალისტებთან საერთო ფრონტის დამყარებაზე საუბრობდნენ, მაგრამ როგორც კი კონფერენცია დასრულდა, მაშინვე საქართველოს ერთ ნაწილში, სვანეთში, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, აჯანყებულთა წინააღმდეგ იერიში მიიტანა და მათი ძალით დამორჩილება განიზრახა. ბოლშევიკების სურვილი იყო, აჯანყების ჩაქრობა და გენუის კონფერენციის ასეთი ფაქტის წინაშე დაყენება: ეშინოდათ კონფერენციას საქართველოს სასარგებლოდ ხმა არ აღემალებინა და მისი კანონიერი წარმომადგენლობა არ მიეღო. სვანე-

თი მტერმა არა თუ ვერ დაიმორჩილა, აჯანყებულებს, აგრეთვე, მეზობელი რაიონები – რაჭა და ლეჩხუმი შეუერთდა და აჯანყება კიდევ უფრო გაფართოვდა. სვანეთ-რაჭა-ლეჩხუმში მომხდარი ამბები, ნ. ჟორდანიამ დეპეშით ამცნო მეორე და ვენის აღმასრულებელი კომიტეტების მდივნებს – მაკდონალდს და ადლერს და სთხოვა მათ დაუყოვნებლივ გადაედგათ ნაბიჯები მოსკოვთან, რათა ამ უკანასკნელს სამხედრო მოქმედება შეეჩერებია, ჩამოეგდო დროებითი ზავი და მიეღო სამივე ინტერნაციონალის შუამავლობა კონფლიქტის სალიკვიდაციოდ. ნ. ჟორდანია მოითხოვდა, აგრეთვე, აღნიშნული საკითხი დაეყენებიათ „ცხრათა კომისიაში“. საპასუხოდ, მეორე ინტერნაციონალის კომიტეტმა დაუყოვნებლივ დეპეშით გადასცა მოსკოვს, კატეგორიული მოთხოვნა სამხედრო მოქმედების შეჩერების შესახებ, სანამ სადავო საკითხს სამივე ინტერნაციონალის „ცხრათა კომისია“, რომელსაც ყველა მასალა უნდა შეენახვლა, ამ საკითხზე თავის გადამწყვეტ აზრს არ გამოიტანდა. მაკდონალდმა, აგრეთვე, აცნობა ეს გენუაში ზოგი მთავრობის ოფიციალურ დელეგატებს – სოციალისტებს და სთხოვა მათ საქართველოში დატრიალებული ამბებისთვის ყურადღება მიექციათ. გ. ჩიჩერინი, გენუაში, ცინიკურად აცხადებდა, რომ სვანეთში არავითარ აჯანყებას ადგილი არ ჰქონია და არც არავითარი სამხედრო ოპერაცია, იქ, არ წარმოებსო. მიუხედავად ამისა, გენუის კონფერენციის სამანდატო კომისიამ, ერთხმად უარყო მოსკოვის უფლება, კონფერენციაზე საქართველოს სახელით ელაპარაკა.

23 მაისს, ბერლინში, „ცხრათა კომისიის“ კრება შედგა, სადაც მაკდონალდმა მეორე ინტერნაციონალის სახელით, ვრცელი მოხსენება გააკეთა იმ მავნებლური მუშაობის შესახებ, რომელსაც ბოლშევიკები აწარმოებდნენ, აპრილის კონფერენციის შემდეგ, ევროპის ქვეყნების მუშათა წრეებში. მაკდონალდი ვრცლად შეეხო, აგრეთვე, ბოლშევიკების მოქმედებას საქართველოში – სოციალისტების დევნას, სოფლებში დამსჯელი რაზმების გაგზავნას, მუშათა მანიფესტაციების აკრძალვას და სხვა. დასასრულს, ბოლშევიკებისგან, ევროპაში დეზორგანიზაციული მუშაობის შეწყვეტა და საქართველოში შერეული კომისიის გაგზავნა მოითხოვეს, იქაური მდგომარეობის შესასწავლად და გამოსარკვევად. საერთო ფრონტი ბოლშევიკებს, უმთავრესად გენუის კონფერენციის მსვლელობის პერიოდში მასზე გავლენის მოსახდენად სჭირდებოდათ. გენუის კონფერენციამ მუშაობა 20 მაისს შეწყვიტა და დაიხურა. ბოლშევიკებისთვის მეორე ინტერნაციონალის პირობები მიუღებელი იყო, ისინი „ცხრათა კო-

მისიიდან“ გავიდნენ და კომისია დაშლილად გამოცხადდა.

1922 წლის 18-20 ივნისს, ლონდონში, მეორე ინტერნაციონალის კონფერენცია შედგა, რომელსაც წარედგინა წერილობითი მოხსენება, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. მოხსენებას კრებაზე ი. წერეთელი იცავდა. მისი მოხსენება დაწვრილებით ეხებოდა, საქართველოში ბოლშევიკების შემოსევის შემდეგ, თოთხმეტი თვის განმავლობაში მომხდარ ამბებს, ბოლშევიკური ხელისუფლების ტერორს და თავგასულობას და ამის საწინააღმდეგოდ ქართველი ხალხის და მისი მეთაურის – საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მიერ წარმოებულ ბრძოლას.

1922 წლის სექტემბერში, დებრუკერმა, ქართველ სოციალ-დემოკრატებთან თათბირის და მოლაპარაკების შემდეგ, ერთა ლიგის კრებაზე საქართველოს საკითხი წამოაყენა. მან წინადადება შეიტანა, საქართველოსთვის ყურადღება მიექციათ და მის გასათავისუფლებლად ზომები მიეღოთ. დებრუკერის რეზოლუცია გადაეცა კომისიას, რომელმაც საკითხი შეისწავლა და ლიგის საზოგადოების კრებაზე მოხსენება გააკეთა, სადაც საქართველოსადმი თანაგრძნობის დადგენილება ერთხმად მიიღეს. მასში აღნიშნულია: „ერთა ლიგის ყრილობა აღელვებულა იმ საშინელი მდგომარეობით, რომელშიც იმყოფება დღეს საქართველო, თავდასხმის საშუალებით დაპყრობილი უცხო ძალისაგან, მის მცხოვრებთა ნების წინააღმდეგ, – მოუწოდებს ერთა ლიგის საბჭოს ყურადღებით ადევნოს თვალ-ყური ამ კუთხის საქმეთა მიმდინარეობას და პირველსავე შემთხვევაში, როცა ხელსაყრელი პირობები დადგება სათანადო ღონისძიება მიიღოს, რომ თანახმად საერთაშორისო ნორმებისა, ხელი შეუწყოს ამ ქვეყანაში ნორმალური მდგომარეობის აღდგენას“.

საბჭოთა მთავრობა, ცდილობდა ევროპისთვის მოეჩვენებინა, რომ საქართველოს დაპყრობის საქმეში მას წილი არ მიუძღოდა და ის არაფერ შუაში იყო, რომ იქ ადგილი ჰქონდა „მუშათა და გლეხთა რევოლუციას“ და საქართველოს თავისი ნებით გასაბჭოება მოხდა. შეუძლებელი იყო ისეთი ფაქტის დამალვა, როგორც ომია. ევროპის მუშათა კლასის საზოგადოებრივმა აზრმა, ბოლშევიკების მოქმედება საჯაროდ დაგმო, როგორც იმპერიალისტური აქტი. შემდეგში ბოლშევიკებმა პოზიცია შეიცვალეს, ვერ უარყოფდნენ, რომ საქართველო ბოლშევიკების წითელმა არმიამ დაიპყრო, მაგრამ ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ეს დაპყრობა რევოლუციური ნაბიჯი იყო და არა იმპერიალისტური. პირველად, საქართველოს დაპყრობა რადეკმა ბერლინის სამი ინტერნაციონალის ყრილობაზე აღიარა.

ამის შემდეგ, ბოლშევიკების დაკვეთით, ტროცკიმ დაწერა წიგნი: „იმპერიალიზმსა და რევოლუციას შუა“, რომელიც უმთავრესად საქართველოს წინააღმდეგ არის მიმართული. ამ წიგნის რამოდენიმე თავი, წერილების სახით, დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთ „ლ'უმანიტე“-ში და ასევე, სხვა კომუნისტურ გაზეთებში. ტროცკი გაკვირვებას გამოთქვამს, რომ სოციალისტური ინტერნაციონალი, ასე დაინტერესებულია საქართველოს საკითხით და ერთსულოვნად მოითხოვს იქიდან რუსების ჯარის გაყვანას. ის საუბრობს იმაზე, რომ ვითომც საქართველ ხალხს დამოუკიდებლობა არ უნდოდა და მისი გამოცხადება, მხოლოდ, რამდენიმე პირის საქმე იყო. საქართველოს ნეიტრალიობას ის ლეგენდად თვლის და ბევრ რამეში ბრალს სდებს მენშევიკურ მთავრობას. ტროცკის წიგნზე ნ. ჟორდანიამ ვრცელი, დასაბუთებული პასუხი დაწერა, რომელიც დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთში: „სოციალისტური ცხოვრება“. ის ევროპის მრავალ გაზეთში გადაიბეჭდა. ნ. ჟორდანიამ დაარღვია ტროცკის ყველა დებულება, სიამოვნებით მიიღო ტროცკის გამოწვევა – გამოქვეყნებულიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ყველა დოკუმენტი. თავის მხრივ, მან წინადადება მისცა: საქართველოს შესახებ ყველა დოკუმენტი, ინტერნაციონალური პროლეტარიატის მიუდგომელ ტრიბუნალს გადასცემოდა და ის გამოიტანდა განაჩენს, რომლის წინაშეც ორივე მოდავე მხარე ქედს მოიხრიდა. ბოლშევიკებმა, როგორც სჩვეოდათ წაუყრუეს და ნ. ჟორდანიას ამ წინადადებას არ უპასუხეს.

მეორე ინტერნაციონალის გამაერთიანებელი კონგრესი უნდა შეკრებილიყო 1922 წლის შემოდგომაზე, მაგრამ სხვადასხვა ტექნიკური მოსაზრების გამო, ის გადაიდო და 1923 წლის ივნისში, ჰამბურგში, ჩატარდა. კონგრესს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის წარმომადგენლობამ, ჯერ კიდევ 1922 წლის სექტემბერში, გადასცა მემორანდუმი, ხოლო მოხსენება, 1923 წლის იანვარში გადასცეს. მოხსენებაში განმარტებული იყო ის როლი, რომელიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პროცესში შეასრულა. აღნიშნული იყო ყველა ის პოლიტიკური და სოციალური რეფორმები, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში გატარდა. მოხსენებაში გადმოცემული იყო რუსეთის წითელი არმიის შემოსევა საქართველოში, უცხო ხელისუფლების რეპრესიები და ტერორი, მტრის წინააღმდეგ ქართველი ხალხის სასტიკი დაპირისპირება და შეურიგებელი ბრძოლა. საუბარი იყო პარტიის პოლიტი-

კურ საქმიანობაზე 1921-1922 წლებში, პროფესიულ კავშირებზე, კო-ოპერატივებზე, სოციალისტურ ახალგაზრდობაზე და პარტიულ პრესაზე. მემორანდუმი მიუთითებდა ქართველი ხალხსა და საოკუპაციო ხელისუფლებას შორის ჩატეხილ ხიდზე, მიმართავდა ინტერნაციონალს და იმედს გამოთქვამდა, რომ ის ქართველი ერის მხარეზე დადგებოდა და გავლენას იქონიებდა მათ დასახმარებლად. ჰამბურგის კონგრესს, 1923 წელს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მრავალრიცხოვანი დელეგაცია დაესწრო. კონგრესმა, საქართველოს საკითხზე ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „კონგრესი ადასტურებს მეორე ინტერნაციონალის და სოციალისტური პარტიების ვენის გაერთიანების რეზოლუციებს საქართველოს შესახებ; ის მოითხოვს საქართველოდან საბჭოთა ჯარების გაყვანას და ქართველი ხალხის სუვერენული უფლებების აღდგენას“. ჰამბურგში გაერთიანებული სოციალისტური ინტერნაციონალის კრებამ, საქართველოს შესახებ, ლუქსემბურგში, 1924 წლის თებერვალში, ასეთი რეზოლუცია მიიღო: „იღებს რა მხედველობაში, რომ საბჭოთა მთავრობის იურიდიული ცნობა ევროპის მთავრობების დღის წესრიგში დგას, აღმასრულებელი კომიტეტი, მოაგონებს ინტერნაციონალში შემავალ პარტიებს, რომ, თანახმად ჰამბურგის კონგრესის დადგენილებისა, სოციალისტური პარტიები, როცა მოითხოვენ თავიანთი მთავრობებისგან საბჭოთა მთავრობის ცნობას, ვალდებული არიან იზრუნონ ამ აქტმა ხელი არ შეუშალოს, საქართველოში, სამხედრო შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებას. კრება მოუწოდებს ყველა სოციალისტურ პარტიას შესაფერისი პროპაგანდა გასწიონ საბჭოთა საოკუპაციო ჯარების მიერ საქართველოს ტერიტორიის დაცლის სასარგებლოდ“. ინტერნაციონალის კრებამ, ლუქსემბურგში, დაავალა სპეციალურ კომისიას, რომელშიც შედიოდნენ რუსი სოციალისტები და ქართველი სოციალ-დემოკრატი ი. წერეთელი, გამოეცათ ბროშურა, საბჭოთა რუსეთის და საქართველოს მდგომარეობის შესახებ.

1924 წლის აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში, საქართველოში მასიურ სახალხო და ეროვნულ აჯანყებას ჰქონდა ადგილი. 31 აგვისტოს, მოსკოვის ტელეგრაფის სააგენტომ, ევროპის პრესას ამცნო, რომ საქართველოში აჯანყება, კონტრრევოლუციური მიზნით, მოახდინა მცირერიცხოვანმა ბანდამ, რომელიც შედგებოდა მხოლოდ ძველი ოფიცრების, თავადების და მსხვილი ვაჭრებისგან. ყველა მეთაური დაიჭირეს და ეს აჯანყება თვით ადგილობ-



რივ მცხოვრებთა მიერ საჩქაროდ ჩაახშეს. მართალია, აჯანყების დღეებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციები მნიშვნელოვნად დაზიანდა და ქართველი მებრძოლების დიდი ნაწილი ან დახვრიტეს, ან დაიჭირეს, მიუხედავად ბოლშევიკების მხეცური რეპრესიებისა და ტერორისა, ერთი დაშლილი და დანგრეული ორგანიზაციის ადგილზე, მეორე ჩნდებოდა, რომელიც საზღვარგარეთ მყოფ ქართველ პატრიოტებთან კავშირს ამყარებდა და მათ რეალურ ცნობებს აწვდიდა საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ. ევროპაში ბოლშევიკების მიერ გავრცელებულ ყალბ და გამოგონილ ინფორმაციებს, ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ რეალური ცნობები დაუპირისპირა. აჯანყების დროს, სტამბოლიდან თითქმის ყოველდღე იგზავნებოდა ცნობები პარიზში და ევროპის სხვა კუთხეებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჟენევას, სადაც იმ დროს ერთა ლიგის კრებები იმართებოდა და მათთვის საქართველოში მომხდარი აჯანყების შესახებ, სწორი ცნობების მიწოდებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

1924 წლის 25 სექტემბერს, ერთა ლიგამ საქართველოსადმი თანაგრძნობის რეზოლუცია მიიღო, რითაც მისი 1922 წლის დადგენილება დაადასტურა.

1924 წლის 28 სექტემბერს, ლონდონში შეიკრიბა სოციალისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრო ი. წერეთელი. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც აღშფოთებას გამოთქვამდა ბოლშევიკების მიერ საქართველოში აჯანყების დროს წარმოებული მხეცური რეპრესიების გამო. რეზოლუციაში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ „ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, არ მიაქცია ყურადღება არც ქართველი ამხანაგების და არც ინტერნაციონალის მოთხოვნას, რომ ქართველ ხალხს მისცემოდა თვითგამორკვევის შესაძლებლობა. დესპოტურმა რეჟიმმა შეუძლებელი გახადა ქართული საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარება და ასეთი მეთოდები იყო იმის მიზეზი, რომ ქართველი მუშები და გლეხები სასოწარკვეთილებამდე იქნენ მიყვანილნი. მთელი ქვეყნის მუშების წინაშე, ინტერნაციონალი პროტესტს გამოთქვამდა ბოლშევიკების მოქმედების გამო და აცხადებდა, რომ საქართველოს თვითგამორკვევის უფლება მთელი ინტერნაციონალისთვის დღეს პატიოსნების ისეთივე ვალდებულებაა, როგორც წინათ პირველი ინტერნაციონალისთვის პოლონელი ერის დაცვა იყო. კრება მოუწოდებდა ყველა სოციალისტურ პარტიას, რათა მათ ენერგიულად დაეჭირათ

**მხარი ქართველი ხალხის მოთხოვნებისთვის: რუსის ჯარის საქართველოდან გაყვანა, ქართველი ხალხის თავისუფალი რეფერენდუმი“.**

ბოლშევიკების ბარბაროსულმა ქმედებამ საქართველოში აჯანყების დროს, ევროპის მუშათა წრეების საყოველთაო აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია. აჯანყების შესახებ, ყალბი ცნობების გასაღება, ევროპაში ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს“.

**(კონსტანტინე გვარჯალაძის შრომა: „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მუშაობა საზღვარგარეთ 1918-1924 წლებში“, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2114, საქმე 48).**

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ალექსანდრე მანველიშვილი, საქართველოს საზღვრები, პარიზი, 1938.
2. А. М. Топчибашев. Меморандум, предъявленный находящимся в Константинополе почетным представителям держав Антанты, членом правительства Азербайджанской Республики, Чрезвычайным Министром-посланником при правительствах Блистательной Порты, Армении и Грузии Али Мардан беком Топчибашевым (ноябрь 1918 г.), Баку, 1993.
3. გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, №12, პარიზი, 1921.
4. Georges Mamoulia, Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentales, Le cas de la Géorgie, 1921-1945, éd. L’Harmattan, Paris, 2009.
5. Г. Г. Мамулия, Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной переписке и секретных документах, движения „Прометей“, Сборник документов, издательство Социально-политическая мысль, Москва, 2012.
6. Entrevue des representants des 4 Republiques Caucasiennes avec monsieur A. Briand, Le 28 Octobre, 1921, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №1864, ანაწერი №2, საქმე 550, ფურც. 74.
7. ევროპაში საქართველოს საგანგებო ელჩის აკაკი ჩხენკელის მოხსენება მთავრობისადმი „საქართველოს საკითხი გენუის კონფერენციაზე“, საქართველოს ეროვნული არქივის საისტო-

- რიო ცენტრალური არქივი, ფონდი №1864, ანაწერი №2, საქმე 64.
8. ე. გეგეჭკორის წერილი ა. ჩხენკელს, 8 იანვარი, 1923 წ., საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 68, ფურც 10.
  9. კონსტანტინოპოლში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის მოხსენება 1921-1922 წლებში ჩატარებული მუშაობის შესახებ, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე №27.
  10. კ. გვარჯალაძის წერილი ევროპაში საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის აკაკი ჩხენკელისადმი, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე №17.
  11. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე №610.
  12. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე №494.
  13. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე №915.
  14. Протокол общего совещания представителей Кавказских Республик, 8 мая 1921 г., Париж, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №1864, ანაწერი №2, საქმე 551.
  15. „Journal De Débat“, 13 Avriile, Paris, 1922.

**Lela Saralidze**

*Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History*

## **From the History of Foreign policy of the Government in Exile (1921-1924)**

### **Summary**

The work bases on the scholarly analysis of archive documents and the emigrational mass media outlining the activity of the first Democratic Government of Georgia in exile in 1921-1924. The work is displayed the

struggle of emigration government of the Democratic Republic of Georgia for the restoration of Georgia's territorial integrity.

After the Georgia's forced occupation by Russian bolshevik troops, In March 1921, The national government of Georgia, has gone to Europe and continued to fight abroad for the restoration of the lost independence. In February, 1921, after the attack on Georgia, the Ottoman Empire promised to give a hand to the government of Georgia and under this pretext came with its army in the southern part of the Georgia Democratic Republic. In parallel of these developments, during the negotiations in Moscow, Russia and Ottoman Empire were looking for the agreement on the future divide of Georgia's territory.

The international situation in which Georgian government had to work was intense and they had to work hard in order to annul the false accusations on the part of Russian authority claiming that the Russian Red Army's presence in Georgia was just the result of the curfew in Georgia. The head of Georgian national government Noe Zhordania made several appeals to the national organizations in which he used to emphasize the fact that after the occupation of Georgia, the government of the „Soviet Georgia“ was a military entity imposed upon the country and it had nothing in common with the Georgian people's will.

The work also deals with the factual situation in Russia during the worldwide economic crisis as well as their attempt to gain the support of European diplomats in the recognition of Russian legitimacy on the territory of occupied Georgia. Set out on the reports of the Constantine Gvarjaladze – the diplomatic representative of the Democratic Republic of Georgia in Constantinople, showing the Ottoman Government's evil plans, which led to the loss of independence of the Transcaucasian Republics. It is emphasized that the national government of Georgia has paid special attention to the cooperation with in the Ottoman Empire. Constantine Gvarjaladze were negotiations with the 22 representatives of various countries in Constantinople. Of the time, the Constantinople's government watching to the Angora Government, which had the active relations with bolshevik Russia yet. They deliberately avoided the conversation with the representatives of emigration government of the Democratic Republic of Georgia.

The work studies the activity of the unofficial delegation of Georgian emigrant government at Genoa and Lozano conferences and role of the French parliament considering the issue of admitting the Georgian representative to the conference in Genoa.

The unofficial delegation of the Georgian national government at the International conference in Lozana in November 1922, achieved the goal of

being mentioned in the statements of the conference. Besides, the twelfth paragraph on the convention of straits that is known as „Georgian paragraph“ said that the Black Sea countries – Ukraine and Georgia – were granted the right to send their representatives to the international committee studying the issue of straits. The strive for independence of the Georgian emigrant government is still acute as it seems that the present-day government of Russia has inherited the same approach from their predecessors and still pursues the breaching of sovereignty of the neighbouring independent countries. Georgian politicians in exile continued actively to fight and were hoping to watch the restoration of independence of Georgia.

The work is attached to the document, in particular, the report of Constantine Gvarjaladze – the representative of the Government of the Democratic Republic of Georgia in Constantinople. It is consistently conveyed the activities to emigration government of Georgia's Democratic Republic in abroad. Which is aimed at the restoration of Georgia's independence and territorial integrity.

## ოთარ გოგოლიშვილი

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტი, სრული პროფესორი*

### **ბრძოლა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის ბათუმში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში**

20-ე საუკუნის დასაწყისისთვის ბათუმი უკვე მოზრდილი ქალაქი იყო. მოკირწყლული და ქვაფენილიანი ქუჩებით, ელსადგურით, წყალსადენებით, ვაჟთა და ქალათა გიმნაზიებით, სკოლებით, თითქმის ყველა ეროვნებისთვის სამოქალაქო სასწავლებლით, 120–საწლიანი საავადმყოფოთი, ნურიის მოედანზე აგებული დახურული ბაზრით. მოასფალტებული ტროტუარებით, ფოსტით, ქალაქის გამგეობის ახალი შენობით, რომელიც დღეს ამშვენებს ბათუმს. გაიხსნა ბანკები და მათი ფილიალები, დაწესდა ლომბარდი, და ა. შ. გახშირდა კულტურული ღონისძიებებიც. მთელი დატვირთვით მოქმედებდა ე. ნ. რკინის თეატრი. უკვე აღარავის აოცებდა დედაქალაქიდან ჩამოსული თეატრალური დასების მიერ დადგმული წარმოდგენები. გამოჩნდნენ ადგილობრივი თეატრალური ჯგუფებიც. ყველაფერი ეს ქალაქის თვითმმართველობის დაუღალავი უნარიანი საქმიანობის შედეგი იყო. გამოჩნდა ბევრი ნიჭიერი, საერო და საქვეყნო საქმისთვის თავდადებული მოღვაწე, რომლებმაც საბოლოოდ დამტკიცეს, რომ ქართველობას სხვაზე უკეთესადაც კი შეუძლია ხელმძღვანელობა და საზოგადო საქმეთა კეთება. თვითმმართველობაში მომუშავე მამულიშვილთა თანამოაზრენი და თანამოსაქმენიც იყვნენ ქალაქის სამხედრო ნაწილებში მომსახურე ქართველი ოფიცრობა და ჯარისკაცები. ზოგიერთი თვითმმართველობის ხმოსნადაც იყო არჩეული და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადო საქმიანობაში. მაგალითად, ციხის სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი იოსებ მდივანი, პოდპოლკოვნიკი ნიკო დუმბაძე და, რა თქმა უნდა, პოდპოლკოვნიკი დავით კლდიაშვილი, დიდი ქართველი მწერალი და მამულიშვილი. იყვნენ სხვებიც, რომელთა წარმოჩენა და სათანადო პატივის მიგება მომავლის საქმეა. მათი ეროვნული მოღვაწეობაც არანაკლები გმირობაა, რადგან იმპერიის რუ-

სიფიკატორული პოლიტიკა სამხედრო ნაწილებში უფრო ძლიერი იყო: „შენი სამშობლო რუსეთია და შენც რუსი ხარ, რუსი“, – ასე უტყვნიდნენ თავს ქართველ ახალგაზრდებსაც სამხედრო ნაწილებში და ცდილობდნენ ექციათ ისინი მორჩილ, ბრძანების უსიტყვოდ შემსრულებელ მანქანებად. ჩვენი ეროვნული მოღვაწეები შეერთებული ძალით ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ ამგვარ ანტიადამიანურ და ანტიეროვნულ პოლიტიკას და ეშველათ, ცხოვრების სამზეოზე გამოეყვანათ ეს ახალგაზრდები.

„ჯერ ადამიანი ვარ და მოქალაქე, შემდეგ კი სამხედრო მოსამსახურე“, – ასეთი სულისკვეთებით მუშაობდნენ დავით კლდიაშვილი და მისი თანამოაზრე სამხედროები ჯარისკაცებთან. ზრუნავდნენ მათი განათლებისა და კულტურული დონის ამაღლებაზე, ასწავლიდნენ შეეცნოთ ცხოვრება, დაეცვათ ეროვნული და პიროვნული ინტერესები, ადამიანური ღირსება. ცხადია, ეს ხდებოდა შესაბამისი ღონისძიებების და საუბრების მეშვეობით და განაპირობებდა ოფიცერთა და ჯარისკაცთა დაახლოვებას, რაც მიუღებელი იყო მაშინდელი მკაცრად იერარქიული სამხედრო წესრიგისთვის. ჯარისკაცისადმი ადამიანური მოპყრობა დანაშაულადაც კი ითვებოდა. სწორედ, ასეთი სულისკვეთებით მუშაობის გამო აითვალწუნეს და პოლიტიკურად არასაიმედოდ ცნეს წარჩინებული ოფიცერი დავით კლდიაშვილი და ოცდაექვს წლიანი სამსახურის შემდეგ, აიძულეს თავი დაენებებია სამხედრო სამსახურისთვის, მაგრამ საქმე კეთებოდა. სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებულ ახალგაზრდებს, თავიანთ სოფლებში თან მიჰქონდათ შექენილი ცოდნა და კულტურული ღირებულებები, ეროვნული და სოციალური თავისუფლების იდეები.

ანალოგიური შეიძლება ითქვას მუშათა შემთხვევაშიც. ამ დროისთვის, ბათუმის მოსახლეობის ნახევარზე მეტს გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან და აჭარის მთის სოფლებიდან გამოსული მუშა-ახალგაზრდები შეადგენდნენ. მათი ეროვნული გამოფხიზლებისა და ახალი ცხოვრების ასპარეზზე გამოსაყვანად, ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, დიდი საგანმანათლებლო და კულტურული მუშაობა იყო საჭირო. უკვე ვთქვით, რომ ჩვენმა ეროვნულმა მოღვაწეებმა ამ ამოცანასაც წარმატებით გაართვეს თავი. კიდევ ვიმეორებ, რომ ესაა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ერთიანი ჯაჭვი, რომელიც გაბმულია წერა-კით-

ხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი სკოლის გახსნიდან ბათუმში, აჭარის მთიანეთში ჩვენი საზოგადო მოღვაწეების მისიონერულ მოღვაწეობამდე.

ერთობ კოლორიტულად იხსენებს დავით კლდიაშვილი, ბათუმში, თბილისიდან თეატრალური დასის, ერთ-ერთი ჩამოსვლის ამბავს.

„...დასის ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს გავეცანი ქართველ არტისტებს: მარიამ საფაროვა-აბაშიძისას, ქეთო ანდრონიკაშვილისას, ვასო აბაშიძეს, სანდრო ყაზბეგს, ლადო მესხიშვილს, ნატო გაბუნიას, ესენი თამაშის გარდა საზოგადოებას ხიბლავდნენ თავიანთი სიმღერებით, საუბრებით. ძლიერ იზიდავდა საზოგადოებას ქეთო ანდრონიკაშვილის ლეკური. ხანჯლებით ლეკურის პირდაპირ გიჟური მოთამაშე იყო სანდრო ყაზბეგი... ვის არ გამოაღვიძებდა ლამაზი, ცქრიალა, საუცხოო კილოზე მოლაპარაკე საფაროვა-აბაშიძისა ან ნატოს თამაში-სიმღერა, ვასოს უნიჭიერესი თამაში და კუპლებები, მესხიშვილის დანახვა და მოსმენა“ ... [1, 32].

ამგვარ თეატრალურ დასებს დედაქალაქიდან ბათუმში ჩამოქონდათ ეროვნული სული და ახალი ცხოვრების წყურვილი, გამოცოცხლების განცდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლის მატერიალური გაღონიერებისათვის ყოველწლიურად, 12 იანვარს, გ. ვოლსკისა და ი. მესხის თაოსნობით, ქალაქის საკრებულო დარბაზში ნინოების დღესასწაული იმართებოდა, რომელშიც მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, თეატრალური დასები მონაწილეობდნენ.

კულტურულ-საგანმანათლებლო და საერთოდ, საზოგადო მუშაობა არ შენელებულა ლუკა ასათიანის გარდაცვალებისა და ივანე ანდრონიკაშვილის ქალაქისთავად არჩევის შემდეგაც. იგი ასათიანის ღირსეული მემკვიდრე გამოდგა. 14 წელი უმეთაურა ქალაქს და მისი აღმშენებლობის, ეკონომიკური და კულტურული წინსვლის ნამდვილი ორგანიზატორი იყო. მას კიდევ უფრო ხშირად უწევდა ბენჯის ხიდზე გავლა, რომ ეროვნული ცნობიერების გაძლიერებისთვის ბრძოლა შეეთავსებინა სოციალური და პიროვნული თავისუფლებისა და თანასწორობისთვის ბრძოლასთან. ამ იდეებით სულ რომ ხშირად გამოდიოდა უკვე მომძლავრებული მუშათა კლასი. ეს იყო ქართველი ერის მნიშვნელოვანი ნაწილი და მისი ინტერესების დაცვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილი იყო.

„მუშებმა ნელ-ნელა ერთგვარი ორგანიზაციის შემოღება იწყეს. ხელმძღვანელებიც ამისთვის ბათუმში ბლომად მოიპოვებოდნენ.



ამასთან, მესამე დასელები დღითიდღე აძლიერებდნენ მუშაობას მათ შორის. აქ მათ ჰყავდათ უფროსი ხელმძღვანელები... ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, საშა წულუკიძე... ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძე.

ამათ იმდენი მოახერხეს, რომ ქალაქში გახსნეს საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელსაც მოუგროვეს მრავალი წიგნი და უწერდნენ ჟურნალ-გაზეთებს. სამკითხველო ნურიასი იყო და მუდამ სავსე იყო მკითხველით. დიდი მეცადინეობის შემდეგ, გაიხსნა საკვირაო სკოლა ბარცხანაში... როტმილდის ქარხანაში. სკოლის პასუხისმგებელ გამგედ იყო მღვდელი სიმონ თოთიბაძე... თოთიბაძე ახალგაზრდა მღვდელი იყო, გულწფელი, განვითარებული, მოწინავე აზროვნების მქონე პიროვნება.

... სკოლაში აუარება ხალხი დადიოდა. სწავლის გათავების შემდეგ, იმართებოდა ერთგვარი საუბრები“ [1, 39].

ასეთივე სკოლა, ოლონდ იატაკქვეშ, ნობელის ქარხანაშიც მუშაობდა. როტმილდის ქარხნის მუშებმა კი სკოლა არ იკმარეს და დრამატული დასიც შეადგინეს. გადანყვიტეს მუშებისთვის ერვენე-ბინათ ცხოვრებისეული პიესები. დანიშნული ხელმძღვანელი ვერ გაუძლვა ამ საქმეს და მის ნაცვლად მოიწვიეს დავით კლდიაშვილი, შედეგიც წარმატებული იყო. მუშა არტისტებმაც და მათმა ხელმძღვანელმაც გამოიჩინეს თავი, ოლონდ ქარხნის ადმინისტრაციას და სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობას არ მოსწონდა ყველაფერი ეს, რასაც კონფლიქტები მოსდევდა ხოლმე [2, 11].

ჩვენმა საზოგადო მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, რომ დედა სამშობლოს, თანამოძმეს რამდენიმე საუკუნით ჩამოშორებული და თითქმის გაუცხოებული აჭარელი კაცის ეროვნული გათვითცნობიერება ვერ მოხდებოდა აქ ქართული სკოლების, სხვა სასწავლებლებისა და კულტურული დაწესებულებების უქონლობის პირობებში. თუ აქაური ქართველი თავის მშობლიურ ენაზე არ შეისწავლიდა შოთას, ილიას, აკაკის, და საერთოდ, ქართულ მწერლობას, მათში ვერ გაიღვიძებდა ქართული სული... და დაიწყო კიდეც კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნა, ქართული წიგნის გავრცელება. თუ ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ამ საქმეს ბათუმში ივანე მესხი და მიხეილ შარაშიძე უძღვებოდნენ, აჭარის მთიანეთში ამ მისიას ჩვენი მოგზაური საზოგადო მოღვაწეები ასრულებდნენ.

სხვა ეროვნულ საქმიანობასთან ერთად, ისინი მოსახლეობაში ქართულ ნიგნებს, უპირველესად დედაენას ავრცელებდნენ. ესაუბრებოდნენ სამშობლოს ისტორიაზე, ასწავლიდნენ ახალი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას.

მაშინ ბათუმის ქუჩებში, თურმე ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით გატაცებით მოსაუბრე ადამიანებს, ქართული ჟურნალ-გაზეთებით ხელში. მუდამ ხალხმრავლობა იყო ნურიის ბაზარზე სპირიდონ ქელიძის ბუკინისტური ნიგნების მაღაზიაში. მაღაზიის პატრონი იაფად ჰყიდდა სიმწრით მოგროვილ ნიგნებს ლარიბ, მაგრამ ცოდნას მოწყურებულ ხალხზე, უფრო ხშირად ჩუქნიდა მათ. მისი ასეთი მოღვაწეობის ფართო ასპარეზი აჭარის მთის მოსახლეობა იყო, სადაც ზაქარია ჭიჭინაძისთვის ხშირად სტუმრობდა ნიგნებით დატვირთული [2, 45].

ესეც ბრძოლა იყო, საკმაოდ მკაცრი და დაუნდობელი, რადგან რუსული ადმინისტრაციის წინააღმდეგობა ეროვნულობის მიმართ, აჭარის მკვიდრი მოსახლეობის ინტრესების უგულვებლყოფაშიც ცხადდებოდა. განსაკუთრებით მთიანი სოფლების დაბეჩავებული და ეკონომიკურად უაღესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მცხოვრებნი იყვნენ შეჭირვებულნი; მაგრამ ქართველ მოღვაწეთა დახმარებით, ახალგაზრდობა მაინც იკვლევდა გზას ბათუმის სასწავლებლისაკენ და საზოგადო საქმიანობაში აქტიურად ერთვებოდა.

ამ მხრივ, მეტად საგულისხმოა ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა მოგზაურობების ჩანაწერები აჭარის მთიანეთში.

„შარვაშიძეთა გარდა, (იგულისხმება თუფალ-ბეგ შარვაშიძე – ო. გ.) ქედის მიდამოებში სახლობენ ბეგები ბეჟანიძეები... მათი ოჯახი განთქმულია შეძლებით, დარბაისლობით და განსაკუთრებით, ქართული ენის ცოდნით. როგორც სხვაგან, აქაც ჩვენი ენის ბურჯებად მანდილოსნები ითვლებიან. მათ შორის არის დაცული ძველებული ქართული წერა“... 24 მარიამობისთვის მშვენიერ დილას, სოფელ ქედასაც თავი დაუვუკარი. თანამგზავრებად მომყვებოდა ოთხი მოზარდი ყმანვილი: ორი თოფალ-ბეგ შარვაშიძის შვილი და ორიც მისი ნათესავი. ოთხივე ბათუმში, ახლად გახსნილ გიმნაზიაში უნდა მიებარებინათ. ორ მათგანს ბათუმის სამოქალაქო სასწავლებელში უსწავლია და ცდილობდნენ ჩემთან რუსული ენის ცოდნით თავი გამოეჩინათ, თუმცა მეტად უჭირდათ ამ ენაზე ლაპარაკი. სამაგიეროდ მათ ქართული ლაპარაკის სმენას არა სჯობდა რა. მეტად

საამო საყურებელნი იყვნენ ეს თავისუფალი შვილნი აჭარის მშვენიერი ბუნებისა, აჭარულად კოხტად გამონყობილნი, თავზე სირმიანი ყაბალახით... ოთხსავეს ცხენებზე ისე მაგრად ეჭირათ თავი, თითქოს ზედ დაბადებულანო. ქედის ბოლოში შემოგვიერთდა ბათუმელი ახალგაზრდა ბეგი აბაშიძე, მეტად კოხტა აჭარულადვე სირმიან ტანისამოსით გამონყობილი. ქართულს ნმინდად ლაპარაკობდა... აღმოჩნდა, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლაში უსწავლია ბათუმში, განსვენებულ მოსე ნათაძის ხელში, სასოებითაც იხსენებდა თავის დაუფინყარ მასწავლებლის სახელს, მის გულკეთილობას და შეგირდების სიყვარულს. რაც ვიცი სულ „ჩვენმა მოსემ“ მასწავლაო, მაჰმადიანი ქართველები განსაკუთრებით ვუყვარდითო და მამასავით ზრუნავდა ჩვენზედაო. რომ უფრო ვესიამოვნებინეთ, მოგვიყვა აკაკის, ჭალა დიდელის, გურიელის ლექსები. იმღერა „სამშობლო ხევსურისა“, რომლისაც როგორც კილო, ისე სიტყვები მეტად მოსწონდა. ბოლოს ნაღვლიანად დასძინა: უფრო მეტი მეცოდინებოდა, მაგრამ ორ წელიწადს დავრჩი ამ სკოლაშიო.

შევეყვით ლაპარაკს. საგნად ჩვენი ლაპარაკისა თავისთავად, ბუნებრივად შეიქმნა ის კითხვა, რომელიც აქეთ სტუმრად გადმოსულ ქართულ კაცს ყოველთ უწინარეს ებადება .... – კითხვა ეროვნული. თანამოსაუბრემ, 16-20 წლის ყმანვილმა ქართველის გულს დაკოდილს უაღერსა და უსალბუნა“ [3, 28].

ამ რწმენით, ამ გრძნობითა და სულისკვეთებით მოგზაურობდნენ ჩვენი საზოგადო მოღვაწეები აჭარაში, აღწერდნენ მის ყოფას, მძიმე მემკვიდრეობას და სახავდნენ უკეთესი მომავლისკენ წინსვლის გზებს, დედასამშობლო საქართველოსთან ერთად. ეროვნული ცნობიერების გაძლიერება, სწავლა-განთლება, კულტურის დონის ამაღლება, ახალი ცხოვრების ასპარეზზე თამამად გამოსვლა, – ნივთიერი ცხოვრების გაუმჯობესებასთან ერთად, იყო ქართული საზოგადოებრიობის ზრუნვის საგანი ამ მხარეში, და არა მხოლოდ ამ მხარეში. მსგავს ზრუნვას მოითხოვდა აფხაზეთი, სამხრეთ საქართველოში ახლად განთავისუფლებული მაჰმადიანი ქართველობა და სხვა მხარეებიც, რომლებისთვისაც მეტად მტკივნეული იყო რუსული იმპერიული მმართველობა. ამ მმართველობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლაში გაერთიანდა ეროვნული თავისუფლებისა და თვითგამორკვევისთვის და სოციალური თავისუფლების-

თვის ბრძოლა. ეს განსაკუთრებით მძაფრად აისახა მუშათა მოძრაობასა და არმიაში, ამ შემთხვევაში ბათუმის სამხედრო ნაწილებში, სადაც ჯარისკაცთა უმრავლესობა ქართველები იყვნენ.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. დავით კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1980.
2. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 76, საქ. 143, ფურცელი 11.
3. თედო სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1978.

**Otar Gogolishvili**

*Doctor of Historical Sciences,  
Batumi Shota Rustaveli University,  
Full Professor*

### **Fighting for Eorming National Consciousness in Batumi at the End of XIX Century and in First Part of XX Century**

#### **Summary**

At the begining of 20th century Batumi was bigger than earlier. With carriage-ways, stations, water-pipes, secondary schools for girls and boys, colleges almost for every nationalities, hospitals for 120 bed, and the market, which was built on Nuria's square. With Asphalted pavements, post and new building of town's goverment, which beautifies town today. Also banks and it's branches were opened, established pawnshop and etc. Cultural measures became more frequent. Set in motion the so called iron theatre. Noone was wondered about theatre groups, who were arriving from the capital and were staging performances. Also appeared local theatre groups. Everything these was the result of untiring work of self-goverment. Appeared many talants and devoted people for their country, who asserted that Georgians can be leaders and can do general works.

## ალექსანდრე მოსიაშვილი

*იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი*

### 1989 წელს საქართველოში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ

საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დასასრულის მოახლოება არაერთი ნეგატიური მოვლენით აღინიშნა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა 1989 წელი. 1989 წელი ალბათ, პირველ რიგში, 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს გაგვახსენებს. მართლაც, აპრილის დასაწყისში მთავრობის სასახლის წინ შეკრებილ მომიტინგეთაგან გაჟღერებულმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნამ დამპყრობელი ძალის ხელისუფალთა შორის გარკვეული შიშები აღძრა. როგორც ცნობილია, მაშინდელ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ისეთი ძლიერი ლიდერები ედგნენ სათავეში, როგორებიც იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. ათეული წლების მანძილზე არსებული რეჟიმის მიერ მათ წინააღმდეგ ბრძოლამ ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო და აქედან გამომდინარე შეგრძნება იმისა, რომ საქართველო დამოუკიდებლობისთვის ბოლომდე იბრძოლებდა აბსოლუტურად რეალური იყო. უნდა ითქვას, რომ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იწყება მაშინვე, რაც 1801 წელს რუსეთის საიმპერატორო კარმა ქართლ-კახეთის სამეფო უშუალოდ დაიქვემდებარა. მას შემდეგ, არაერთი აჯანყება მოხდა საქართველოს სხვასხვა რეგიონებში, იყო 1832 წლის შეთქმულება, ინტელექტუალური ფორმებით ბრძოლა, პოლიტიკური პარტიების გამოსვლა ასპარეზზე, აგრეთვე 1918-1921 წლების დამოუკიდებლობა, შემდეგ ისევ აჯანყებები და მათ შორის, პარტიზანული ფორმით ბრძოლები. ასევე, მნიშვნელოვანია მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას ქართული ლეგიონების აქტიურობა გერმანელთა მხარეს, შემდეგ დისიდენტური მოძრაობა და ბოლოს ისევ მრავალპარტიულობა. სხვადასხვა დროს, სახვადასხვა ფორმით წარმოებულ ბრძოლა ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის და თავისუფლებისთვის თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ თაობათა ბრძოლა შედეგზე იყო ორიენტირებული და აუცილებლად გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო.

იმ დროისათვის კრემლში მოკალათებული ჩინოვნიკებისათვის

აბსოლუტურად მიუღებელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის განხილვა და, აქედან გამომდინარე, მათ მიძიმე განაჩენი გადაუწყვიტეს თავისუფლებისმოყვარე ქართველ ხალხს. 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ მსოფლიოს ყურადღება მიიქცია. სპეციალურად მოვლენილმა სადამსჯელო ექსპედიციამ, შეიძლება ითქვას, გაუგონარი სისასტიკით დაარბია მშვიდობიანი მიტინგი, ფიზიკურად გაუსწორდა მოშიმშილეებს, რის შედეგადაც მივიღეთ მსხვერპლი გარდაცვლილი ადამიანების სახით, ასევე დაჭრილ-დასახიჩრებულები და გაურკვეველი ქიმიური გაზის საშუალებით მონამლულების სახით [1]. რა უნდა ყოფილიყო ასეთი საშინელების ჩადენის მიზეზი? რა თქმა უნდა, პასუხი მისახვედრია – რუსეთს არ სურდა იმპერიის დაშლა.

ამის შემდეგ მოხდა ქართველი ერის კონსოლიდაცია. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იქცა სანუკვარ ოცნებად. მაგრამ, არც კრემლი აპირებდა თავისი პოზიციების ადვილად დათმობას. იმავე წლის ერთგვარ თავსატეხად იქცა ე. წ. „თურქი-მესხების“ საქართველოში დაბრუნების საკითხი: „ფერგანის ტრაგედიამ, რომელიც ჩვენ მორიგ ანტიქართულ პროვოკაციად მიგვაჩნია, თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგვყენა. საქართველოში, ეთნიკურად ამ ისედაც აჭრელებულ „რესპუბლიკაში“, ასეულ ათასობით მუსულმანის მიღება ქართველ ერს დიდ საფრთხეს უქადის; ხოლო უარის თქმა ამ ადამიანებზე ნიშნავს ხელის აღებას ჩვენს სისხლსა და ხორცზე, რაც არაქრისტიანულიცაა და ეროვნული პოლიტიკიდან გამომდინარე გაუმართლებელიც“ [2] – წერდა ქართული პრესა. ხსენებული საკითხი ხელოვნურად იყო გაზვიადებული და გამძაფრებული იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ. როგორც ჩანს ისინი ხალხის ყურადღების გადატანას ამ საკითხზე ცდილობდნენ.

1989 წლის ვნებათაღელვანი ამით არ დასრულებულა. ივნისის ბოლო კვირაში მარნეულის, ბოლნისის და დმანისის რაიონებში უაღრესად დაიძაბა ურთიერთობა ეროვნებით ქართველ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას შორის. ზოგიერთ შემთხვევაში შეიარაღებულ შეტაკებებსაც კი ჰქონდა ადგილი. რის შედეგადაც დაიჭრა ათობით ადამიანი, იყო მსხვერპლიც [3]. როგორც გაირკვა ოფიციალურად დასახელებული მიზეზი კონფლიქტისა ძალიან არარეალურად გამოიყურებოდა – „მთვრალმა მგზავრებმა ტაქსში თანხა არ გადაიხადეს, ამას მოყვა ჩხუბი“... და კონფლიქტის გაღვივებით დაინტერესებული ძალა ხელს უწყობდა პროვოკატორებს აზერბაიჯანელთა სასარგებლოდ ავტონომიის მოცხადებაში.

აღნიშნული მოვლენებიდან დიდი ხანი არ გასულა და 15-16 ივლისს უკვე სოხუმში ენყოფა სისხლისღვრა აფხაზებსა და ქართველებს შორის. მანამდე უკვე შეინიშნებოდა აფხაზი სეპარატისტების გააქტიურება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე [4]. აქაც არანაირი ქმედითი ღონისძიებანი არ გაუტარებია მთავრობას დაძაბულობის განსამუხტავად და შესაბამისად თვითონ იქცა კონფლიქტის ხელისშემწყობად.

ამის შემდეგ, ცხინვალის ჯერიც დადგა. ოსი სეპარატისტები უკვე მიტინგებზე იწყებენ გარკვეული მოთხოვნების დაყენებას. მაგალითად, 1. კონსტიტუციურ უფლებათა შესახებ (გადაისინჯოს 34-ე მუხლი).

2. სამხ. ოსეთის ტერიტორიაზე ოსური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება.

3. ოსური ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტის განხილვა და დამტკიცება.

4. ქართული ენის სახ. პროგრამაში ზოგიერთი პუნქტის შეცვლა ან საერთოდ ამოღება [5].

აღსანიშნავია ისიც რომ, არ იყო მთლიანობაში სტაბილური მდგომარეობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. გარკვეული ძალები ღიად თუ შეფარვით მოქმედებდნენ საქართველოს საზიანოდ. მაგალითად, შეიძლება მოვიტანოთ სამხრეთ საქართველო თავისი სომეხი ეროვნების მოსახლეობით, ანდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. გარკვეული ძალები მაქსიმალურად ცდილობდნენ სხვადასხვა სახის პროვოკაციების მოწყობით თუ სხვადასხვა დეზინფორმაციების გავრცელებით ვითარების ესკალაციას ეროვნულ თუ რელიგიურ ფონზე.

1989 წლის 13 ოქტომბერი აღმოჩნდა ასევე ტრაგიკული ქართულ სინამდვილეში, როდესაც ავტო-საგზაო შემთხვევის შედეგად საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი – შემდგომში საქართველოს ეროვნულ გმირად აღიარებული – მერაბ კოსტავა [6].

ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილი არასრული ჩამონათვალიც კი საკმარისია ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ერთი კონკრეტული წლის მაგალითზე, ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, თუ რა პერიპეტეიები ახლდა თან საქართველოს სწრაფვას დამოუკიდებლობისათვის მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს. არადა, ეს ხომ მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის განმავლობაში ხდებოდა. ასეთ

შემთხვევაში უკვე აღარ არის ძნელი წარმოსადგენი ის თუ რა მდგომარეობაში იყო საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იძულებით მოქცევის შემდეგ. ე. წ. „საბჭოთა კავშირის“ არსებობისას უხეშად ითვლებოდა ფეხქვეშ ადამიანის უფლებები, იდეენობა და ყველა ვინც კი მართალი სიტყვის თქმას შეეცდებოდა, არაფრად აგდებდნენ რესპუბლიკის სუვერენიტეტს და სხვა [7].

ამრიგად, კრემლის პოზიცია ასეთი იყო საქართველოს საკითხთან მიმართებით, რომ ის გამოიყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას რათა არ მომხდარიყო იმპერიის რღვევა. სწორედ ამაზე მეტყველებს 9 აპრილს მომხდარი ტრაგედია, იქ ჩადენილი სისასტიკე მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ [8]. მასვე მოწმობს ე. წ. „ეთნოკონფლიქტების“ გაღვივება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, რომელთა წარმოშობის მიზეზების დეტალურ განხილვას აქ არ შევუდგებით. თუმცა, მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ამდენი და ასეთი მოვლენების განვითარება აუცილებლად იმსახურებს სათანადო ყურადღების მიპყრობას. მითუმეტეს, ჩვენ თავს ვიკავებთ ამჯერად საქართველოს ფარგლებს გარეთ განვითარებული მოვლენების განხილვა-შეფასებისაგან. როგორც ცნობილია, ამავე პერიოდში სხვადასხვა ე. წ. „საბჭოთა რესპუბლიკებში“, სადაც ასევე მიმდინარეობდა მშვიდობიანი ბრძოლა იმპერიისგან თავის დასაღწევად – ხდებოდა ანალოგიური ფაქტები: სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერების საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებანი, სხვადასხვა სახის თავს მოხვეული კონფლიქტები, პროვოკაციები და ა. შ.

მიუხედავად საბჭოთა სისტემის სისასტიკისა 1989 წელმა გაიარა და დადგა 1990 წელი. 1990 წლის 28 ოქტომბერს უდრეკმა ქართველმა ერმა პოლიტიკური ბლოკით „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და შემდგომში ნანატრი დამოუკიდებლობაც მოუტანა ქვეყანას.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. გაზეთი „კომუნისტი“ 17. XII. № 289.
2. გაზეთი „ქართული ქრონიკა“, № 41, 1989.
3. გაზეთი „ივერია“, № 10, 1989.
4. გაზეთი „ივერია“, № 11, 1989.
5. საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები, ტ. 1, თბილისი 2011.



6. შავლეგო, თბილისი, 1990.
7. ჩემი სიმართლე ჩემი მტერია (წიგნი ნაზი შამანაურის შესახებ), თბილისი, 1991.
8. ი. გოცირიძე, სიმართლის კვალდაკვალ, თბილისი 1990.

**Aleksandre Mosiashvili**

*Associate Proffesor at the Faculty of Humanities of Iakob Gogebashvili Telavi State University*

## **About the Event Happened in Georgia in 1989**

### **Summary**

Draw to a close of the communist regime in Georgia was celebrated with several negative events. Especially impressive was the year 1989. In the beginning of the April in front of the palace of government was a demonstration for the requirement political independence of Georgia and this ended with a big tragedy of 9 April.

Despite of this, current regime did not avoid bloodshed and that was not enough. Therefore communist regime step by step advanced „surprises“ for Georgian people. Item of returning in Georgia of so called „Turkish Meskhs“ should have been a big problem for the country tried to become independent. It soon followed by provocations and bloodshed in the region of Kvemo Kartli with confrontation of Azers and Georgians. 15-16 July of the same year bloodshed was happened in Sokhumi between Georgians and Abkhazians.

After this, on the territory of so called south Osetia, Osetian separatists become more active, they also were making provocations. Several provocations and disinformation were spread through the regions of Georgia, where was tense situation. On 13 october 1989 in the suspicious situation of the car accident wes killed The leader of the national liberation movement Merab Kostava.

The Kremlin was tried to hamper Georgian nations desire to become independent by this way and tried to save the Soviet empire.

# ს ა ქ ა რ თ ე კ ლ ი და მ ს თ ფ ლ ი თ

## **ნიკო ჯავახიშვილი**

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*

## **იაპონიის ასახვა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში (XVIII საუკუნის დასაწყისიდან – XX საუკუნის პირველი მესამედის ჩათვლით)**

ქართულ-იაპონური ურთიერთობის ისტორია ხანგრძლივი არ არის, თუმცა „ამომავალი მზის სამეფო“ სულიერად ყოველთვის ახლობელი იყო ქართველი ერისათვის.

იაპონელებისა და მათი მშობლიური ქვეყნის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება მრავალგზის დაფიქსირდა ქართულ საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურაში.

წინამდებარე სტატიაში მოკლედ მიმოვიხილავთ თუ როგორ აისახა იაპონია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ორი საუკუნის განმავლობაში, კერძოდ, XVIII საუკუნის დასაწყისიდან – XX საუკუნის პირველი მესამედის ჩათვლით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართულ-იაპონური ურთიერთობის ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლას ორი სტატია მივუძღვე-  
ნით [1, 166-181; 2, 12-19].

\* \* \*

იაპონია ქართულ წყაროებში პირველად XVIII საუკუნის დასაწყისში მოიხსენიეს.

ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენლის, სჯულმდებელი მეფის ვახტანგ VI-ის (1675-1737) ნაშრომში იაპონია – „**ჯაფანის**“ ფორმით მოიხსენიება.

თხზულებაში „ნიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“, რომლის შექმნაც მეფე-მეცნიერმა სპარსეთში ყოფნისას, კერძოდ, 1712-1719 წლებში დაიწყო, ვკითხულობთ: „ოქროს მომატებისათვის.

მოიტანე 2 ფლური და ფლურის 1/2 კაი სპილენძი (თუ ჯაფანის სპილენძია, ისი სჯობს), ამ სპილენძის წონა კაი ვერცხლი...“ [3, 145; 4, 135].

ვახტანგ VI-ის ზემოხსენებული ნაშრომის პირველმა გამომცემლებმა – თინა ენუქიძემ და ვიქტორ კოკოჩაშვილმა ტერმინი „ჯაფანის სპილენძი“ განმარტეს, როგორც „იაპონური სპილენძი“ [3, 237].

როგორც ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, მეფე ვახტანგი ხაზგასმით მიუთითებდა იაპონური სპილენძის უმაღლეს ხარისხზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყნის ნაწარმი სპილენძი პოპულარული იყო იმდროინდელ ევროპაში.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი რაულ ჩაგუნავა შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ამ რეცეპტს სპარსეთში შვიდ წელიწადს მყოფი ქართველი ხელმწიფე იქ მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა მეშვეობით გაეცნო [4, 135-136].

მწერლის, მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) „ქართულ ლექსიკონს“ („იგივე „სიტყვის კონას“) დართულ სიაში „ქვეყნის ზომათა რიცხვი“ მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის იხსენიება „იაპონიაც“ [5, 638], ასეთი ფორმით.

ხსენებული ქვეყნის შესახებ გარკვეულ ცნობებს ვხვდებით ვახტანგ VI-ის ვაჟის, სახელოვანი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1756) მიერ 1752 წელს თარგმნილ თხზულებაში „მსოფლიოს პოლიტიკური გეოგრაფია“, რომელსაც უფლისწულმა თავისი კომენტარები და თავისივე ხელით შედგენილი რუკები დაურთო. ეს ხელნაწერი ნაშრომი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში [6]. ამ ცოტა ხნის წინათ იგი წიგნად გამოიცა [7].

ინფორმაცია იაპონიის შესახებ თავმოყრილია უფლისწულ ვახუშტის ზემოხსენებული თხზულების XVIII თავში – „მდებარებთა გარემოს ასიისა ჭალაკებთათვის“.

აღნიშნულ თავში ვკითხულობთ: „იაპონურნი ჭალაკნი ანაგე-ბობენ სამთა, უფროსთა შინა და 24 უმცროსთა ჭალაკებთა შინა, იგინი იწოდებიან ყოველნი ზოგადად სახელთა იაპონურის სახელმწიფოსი (ლათინებრ – „იმპერიუმ იაპონიკუმ“) და იმზღვრების ჩდილოს მიმართ ჭალაკთა ედზოსაგან, აღმოსავლის მიმართ და საშუადადლოს მიმართ აღმოსავლეთის ოკიანისაგან და დასავლეთის მიმართ კიტაიისაგან, რომლისა სახელმწიფოსაგან ზღვით განყოფილ არიან. იაპონელნი შემწვევლობენ დიად ზომიერითა და სასიმთელოთა ჰაერითა, და აქუსთ ყოველთა შინა რაი ცხორებისა მიმართ რაც სახმარ არს, დიდს საკმარობად; რომელ მუნებური ქუეყანა გამოიღებს საკმაროთ პურსა და ყოველსავე ხილთა, ლითონსათხართა

ამას სახელმწიფოსა შინა საგანგოთა მოიპოვებინ: ოქრო, ვერცხლი და უუმჯობესესი სპილენძი, მის მიმართვე იაპონურიცა ფარფური დიდს პატივისცემასა შინა, და ნითელი მარგალიტი, რომელსა აქა მოინადირებენ, არა უკუნეცქევის სპეტაკსა სიკეთითა არა რაითსა შინა. მოსახლენი ამის ქვეყნისა პატივს სცემენ ცოდნასა და ცალკერძად მრიცხელობასა, რიტორიკასა, მატთანესა, ასტრონომიასა და პოეზიასა“ [7, 180-181].

როგორც ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, ვახუშტი ბატონიშვილმა, მსგავსად თავისი გვირგვინოსანი მამისა, ყურადღება გამახვილა იაპონური სპილენძის უმაღლეს ხარისხზე და მას „უუმჯობესესი“ უწოდა.

უფლისწულ იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის (1768-1830) თხზულებაში „კალმასობა“ წარმოდგენილია ქვეთავი „იაპონიისა, ანუ ხეთაისა, ანუ მაჩინისათვის“ [8, 156-160]. მასში აღწერილია ამ ქვეყნის მდებარეობა, კლიმატი, მოსახლეობა და დახასიათებული იმხანად იქ არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება.

იოანე ბატონიშვილი მოგვითხრობს, რომ იაპონელები არიან „მოშაონი, წვრილთვალნი, წვერგრძელნი, ცხვირმოკლენი და თმაშავნი. ტანთსაცმელი აქუთ გრძელნი და განიერნი მკსგავსად ხალათისა. დიდებულთ გუამთა აცვიათ აბრეშუმთაგან ნაქსოვნი, ხოლო მდაბალთა – ბანბისაგან ნაქსოვნი. აგრეთვე არიან მორჩილნი თვისთა მშობელთა და უფროსებთა და ერთი მეორის მოთავაზენი, სარწმუნონი და მარჯვენი. ჰყუარობენ სწავლასა და ხელოვნებასა... ჩვეულებად აქუთ და წესად, რომელ შავი ფერი მათ შორის ნიშნავს სიხარულსა და თეთრი ფერის საცმელი – მწუხარებასა“ [8, 156-157].

1889 წელს გაზეთში „ივერია“ დიდი ილია ჭავჭავაძე წინასწარმეტყველურად წერდა: „დღეს, იაპონიას ბევრი ევროპულად განათლებული, ევროპაშივე სწავლამიღებული ახალგაზრდობა ჰყავს. შინაც დიდად მონადინენი არიან სწავლისა და განათლებისათვის. მწერლობა, ცოტად თუ ბევრად, ფრთაასხმულია და გავრცელებული და ვინ იცის, – იქნებ იაპონიამ პირველი მესვეურობა გაუწიოს აზიას, ევროპის ცივილიზაციის ზემოქმედების ქვეშ წარსამატებლად და განთიადმა განათლებისამ თავისი სხივოსანი შუქი პირველ იქილამ მოჰფინოს მთელს აზიასაცა“ [9].

1898 წელს ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გაგრძელებებით მიმოიხილა აზიის ქვეყნებისა და მათ შორის, იაპონიის იმჟამინდელი მდგომარეობა [10-14].

„ამომავალი მზის სამეფოს“ შესახებ ვრცელი პუბლიცისტიური

ნარკვევი გამოაქვეყნა ნიკო ნიკოლაძემ. 1894 წელს, ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებულმის სტატიაში „იაპონიის ბრძოლა ჩინეთთან“ გაანალიზებულია მაშინდელი იაპონიის საგარეო და საშინაო ვითარება, ასევე განვითარების პერსპექტივები [15].

ნიკო ნიკოლაძის სამართლიანი დასკვნით, XIX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულიდან მოყოლებული, იაპონია თანდათანობით იმდენად დანინაურდა, რომ გადაიქცა მძლავრ სახელმწიფოდ, რომელსაც „ადვილად ვერც ერთი ევროპის სახელმწიფო ველარ შეეცაკება და ძალით ველარაფერს წაართმევს. ეს სახელმწიფო ერთობ დიდ და ნათელ მაგალითს წარმოგვიდგენს იმისას, თუ რა ადვილი ყოფილა თითქმის სრულიად ველური და უკან ჩამორჩენილი ხალხისათვის სწავლითა და რიგიანი წესით წელში გამართვა და ძალის შექმნა, როცა მას გონიერი მთავრობა ჰყავს და ბეჯითი სურვილი აქვს რიგიანი ადგილი დაიკავოს სხვა ერთა და სამეფოებს შუა“ [16, 262].

იაპონელებს ფრიად მაღალი შეფასება მისცა ნ. ნიკოლაძემ, რომელმაც ისინი „მეტად მეცადინე, მარჯვე, გამბედავ და თავმოყვარე“ ერად გამოაცხადა. მან ქრონოლოგიურად აღწუსა და ვრცლად მიმოიხილა იაპონელთა თითოეული გამარჯვება საშინაო თუ საგარეო ასპარეზზე. მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ იაპონიის სახელმწიფოს დანინაურება და მომძლავრება „დიდი მაგალითია მთელი კაცობრიობისათვის, ყველა სახელმწიფოსათვის. ამას შემდეგ ნურავინ ამაყოფს ნურც სივრცით, ნურც რიცხვით. ამას შემდეგ ყველასათვის, ვინც კი ერთიანად არ დაბრმავებულა, ცხადია, რომ ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა, ცოდნას და ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესს, დისციპლინას“ [16, 262].

თავისი ნარკვევის დასასრულს, ნ. ნიკოლაძე წერდა: „იაპონიას ჩინურად – ჯი-პენ ჰქვია, ესე იგი „ამომავალი მზის სამეფო“. უნინ რა იყო, ვინ იცის და ეხლა კი მართლა ამომავალი მზესავით ჰყენს იაპონია ცოდნის და წესის სინათლეს, როგორც განდევგილის სენაკში, ისე გარშემოც, მეზობლებში. თვალყურის გდების ღირსია, სწორედ, მისი აწინდელი ბედი და თავგადასავალი. მართლაც, ამ შედარებით მცირე და განათლებაში ახლად შემოსულის, ჯერ დაუმთავრებელი ხალხის, თითქო მოუფიქრებელი დუელი მასზე ათჯერ უფრო ძლიერ ჩინეთთან და მასთან, იქნება ბევრად უფრო დანინაურებელ და შემძლე რუსეთთან, სხვა რომ არა იყოს რა, დრამატული, თითქმის ტრაგიკული ინტერესით არის სავსე. თუ ომი გაგრძელდა და გაზვიადდა, ჩვენ არაერთხელ გვექნება შემთხვევა ამ მხარეს კიდევ დაუბრუნდეთ, მის უფრო დანვრილებულად გამოსახვისათვის“ [16, 271].

რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებრიობაში. ქართველ მამულიშვილთა საუკეთესო ნაწილი უყოყმანოდ მიემხრო იაპონიას, რომელიც გმირულად შეერკინა რუსეთს – საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის დამასამარებელ იმპერიას. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სახელოვანი ქართველი პოეტები, რომელთაც იაპონიასთან ომში რუსეთის დამარცხებისა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღორძინების იმედი ჩაესახათ.

სწორედ იმ პერიოდში შეიქმნა აკაკი წერეთლის მშვენიერი ლექსი „გურული ნანინა“, რომელიც 1905 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა. საგულისხმოა, რომ დიდი ქართველი პოეტი ამ ლექსის თითოეული სტროფის მეოთხე სტრიქონში იმეორებდა ფრაზას – „ოი, ამას ვენაცვალე“, რომელიც სახელგანთქმული იაპონელი მარშლის ივანე ოიამას (1842-1916) შეფარულ ხოტბას წარმოადგენდა. აქვე დავსძენთ, რომ სხვადასხვა დროს იოამა მსახურობდა: იაპონიის არმიების სარდლად, სამხედრო მინისტრად და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად. რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდში იგი სათავეში ედგა მანჯურიაში მებრძოლ სახმელეთო ჯარს, რომელმაც გაანადგურა რუსეთის საიმპერიო არმია.

ზემოხსენებულ ლექსში ვკითხულობთ:

„ჯერ აკვანში ჩაკრული ხარ,  
გასალტული... და ინვალე!  
გაიზრდები, სხვა იქნები, –  
ოი, ამას ვენაცვალე!...“

მე, მონობის დროს ნაშობი,  
მონობაში დავიღალე;  
შენ კი სულ სხვა ბედისა ხარ,  
ოი, ამას ვენაცვალე!...“

ის, რაც იყო, აღარ არის,  
შეიცვლება დღეს თუ ხვალე;  
გზატკეცილი დაგიხვდება, –  
ოი, ამას ვენაცვალე!...“

„ნანას“ გეტყვი სხვანაირსა,  
მარცვალ-მარცვალ დაისწავლე;  
მხსნელს დახსნილი მიეგებე!...  
ოი, ამას ვენაცვალე!...“

რაც მე მტანჯავს, ნულარ მკითხავ,  
ის ოდესმე შენ დასთვალე,  
და პასუხიც აგებინე!...  
ოი, ამას ვენაცვალე!...  
მაგრამ ჯერ კი აკვანში ხარ,  
გაიზარდე მალე, მალე!  
რომ შენს შვილებს შენც მოუთხრა:  
ოი, ამას ვენაცვალე!“ [16, 117].

ზემოხსენებულ პერიოდში აკაკიმ შექმნა ლექსი „ჩინეთი და იაპონია“, სადაც პოეტი ჩინეთში გულისხმობდა რუსეთს. როდესაც ამ ლექსის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნება გადაწყდა, ცარისტულმა ცენზურამ უკვე აწყობილი ნომრის დასტამბვა აკრძალა. ლექსში პოეტი რუსეთს წარმოაჩენდა „ხალხმრავალ ბრიყვ ქვეყნად“. იგი თვლიდა, რომ „სულ სხვა გზით მიდის იაპონია“. ის არის „შევარდნის მართვე“, რომელიც შეერკინა „არწივს“, ანუ რუსეთს. იაპონელთა სამხედრო წარმატებებით ფრთაშესხმული პოეტი სიხარულით აღნიშნავდა, რომ რუსეთის იმპერიას „გარშემო ზღუდე აღარ ავლიაო“.

იმავე პერიოდს განეკუთვნება აკაკის შემდეგი ლექს-გამოცანაც:

„საქართველო მოგწყენია,  
გენატრება მანჯურია,  
დროა ძვლები მოასვენო,  
რა დროს შენი ჯმაჯურია?“

ეს ლექს-გამოცანა აკაკიმ მიუძღვნა იაპონელებთან საბრძოლველად წასვლის მსურველ ერთ მოხუცებულ ქართველ თავადს. იმ მხცოვანი არისტოკრატის სახით მგოსანმა მთელ საქართველოს მიმართა [17].

„ამომავალი მზის სამეფოს“ შერკინებას ცარისტულ რუსეთთან აქტიურად გამოეხმაურა ასევე დიდი ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა. მის მდიდარ და მრავალფეროვან ლიტერატურულ მემკვიდრეობაში არის ლექსი „არჩილური“, რომლის ავტოგრაფიც დაცულია ავტორის არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში [18]. ლექსი დათარიღებული არ არის. ის პირველად გამოქვეყნდა პოეტის თხზულებათა ხუთტომეულში [19, 383], ხოლო შემდეგ შეიტანეს მისივე თხზულებების ანტომეულში [20, 316].

არქივში დაცული ქალაღდის პატარა ნაჭრის ერთ მხარეს ვკითხულობთ ლექსის შემდეგ სტრიქონებს:

„იმდენი ოფლი, იმდენი სისხლი,  
არცერთსა ერსა არ დაუღვრია,  
პატარას, დიდსა სამშობლოსათვის  
ომშია თავი არ დაუდვია.  
ნათლის გონებით, მგზნებარე გულით  
ერს სხვას მამული არ ჰყვარებია,  
ლამაზის ერის ლამაზმა ქცევამ  
ერებს ჩვენფერებს მაღლი მოჰფინა,  
ბინა-დაკარგულთ, დანოკებულთ  
იმათგან ლამის იპოვნონ ბინა“ [18].

ფურცლის მეორე გვერდზე ვკითხულობთ:

„ადინეს სისხლი თვისი და სხვისი,  
რუად. შელებეს ნითლად მთა-ველი.  
იმას ჰყვირიან: „სამშობლო მიწის  
არ მივცეთ მტერსა ერთი მტკაველი!“  
ნუ მოხვალ გულზე მათი მნახველი?!“ [18].

ზემოთ მოყვანილი ლექსის ბოლო ნაწილი ვაჟა-ფშაველას თხზულებათა მრავალტომეულის გამომცემელმა რედაქტორებმა მიიჩნიეს „ნაწყვეტად რალაც ლექსისა“ [20, 493], ხოლო შემდეგ ის შეიტანეს შენიშვნებსა და ვარიანტებში, რაც, როგორც შემდეგ გამორკვა, არასწორი იყო.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი ჯავახიშვილმა (1941-2015) დაადგინა, რომ ზემოხსენებული ფურცლის ორივე მხარეს დანერილი ლექსი წარმოადგენს ტექსტს ერთი მთლიანი აკროსტიქული ლექსისა, რომლის წაკითხვა გვაძლევს ფრაზას „იაპონელები არიან“ [21].

ამდენად, ამ ლექსის შინაარსი ეხება იაპონელებს, მათ თავდადებულ ბრძოლას ცარისტულ რუსეთთან. პოეტი სამართლიანად არის აღფრთოვანებული „ნათელი გონებითა“ და „მგზნებარე გულით“ საკუთარ მამულზე შეყვარებული „ლამაზი ერთი“ – იაპონელებით, რომელთა „ლამაზმა ქცევამ“ სხვადასხვა იმპერიების მიერ დაპყრობილ და დაჩაგრულ ერებს და მათ შორის ქართველებსაც „მაღლი მოჰფინა“.



იაპონელთა მიმართ დაუფარავი სიმპათია გამოსჭვივის ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილებიდანაც.

სტატიიში „ვინ არის მართალი?“ ვაჟა-ფშაველა შეედავა მათ, ვინც მოითხოვდა რუსეთ-იაპონიის ომის გაგრძელებას იაპონიის სრულ განადგურებამდე. პოეტმა ხევსური თოთიას აზრიც დაიმონმა.

ვაჟა-ფშაველა ასე გადმოგვცემს თოთიას გაოცებას მოულოდნელად გამოჩენილი იაპონიით: „ძალიან საკვირველია, დიდის ღმერთის მადლმა, სად რას გამაჩნდა ერთიან ეგ რაღაც იაპონიაია. სად იყავ აქამდინ, რომ მაგის არც ავ გაიგონებოდა, არც კაი?! აბაბაბაი, საკვირველ საქმეს შვრების ვოჟებო! მე რუსის მამრევ, ნიად, არავინ მეგონ“ [22].

განსაკუთრებით საინტერესოა ვაჟასა და თოთიას შორის გამართული დიალოგი, რომელშიც ვკითხულობთ:

„ – პორტარტურიც აიღესავ იქავ?

– აიღეს და ჩადგნენ კიდეც შიგ.

– აუღევ!... ცოტან სამ კი არიან ესენი?! ნასწაულობით, მახერხებით თუ კვლავ სჭარბობს!

– ღრუბლით ომობს, თოთიავ, ღრუბლით, – ვუპასუხე მე, რადგანაც ვიცი, რომ ეს ხმა გავრცელებულია ხალხში და არ მინდა შეურაცხყო მისი წარმოდგენა, მისი რწმენა“.

ამის შემდეგ, თოთია თავის მოსაზრებას გამოთქვამდა იმის თაობაზე, თუ როგორ იყენებდნენ იაპონელები ბრძოლის დროს ღრუბელს: „მოალის შავი ღრუბელი, კუპრივით შავი; გაიძაბების, გაიძაბების, გაიძაბების, ხალხ არ ჩანს; ჩამაინყებს, ჩამაინყებს ტყვია მადენას ხორხომასავითავ“ [22].

თოთია ცდილობს გადაამონმოს ინფორმაცია, რომელიც მას შეუტყვია: „ნეტარ ის მართალ იქნებისა, გამაგონებენ: იაპონიავ გუდან-ხახმატს, ლაშარ-ღელეს, ხარ-ცხვრით აპირობს მოსვლასა სალოცავადო“ [22].

ზემოთ მოყვანილ დიალოგში აშკარად ჩანს ვაჟა-ფშაველას სიმპათია იაპონიისადმი, ხოლო პოეტის წერილის კითხვა-სათაურის „ვინ არის მართალი?“ პასუხად შეგვიძლია მივიჩნიოთ „არჩილური“, სადაც აკროსტიქადაა გაცხადებული: „**იაპონელები არიან**“.

იაპონიის თაობაზე ვაჟა-ფშაველა საყურადღებო ცნობას გვანვდის სტატიიში – „სადღეისო წერილი მეგობართან“, რომელშიც ვკითხულობთ: „ყველა დააფიქრა იაპონიის გაძლიერებამ. ყველა ჰგრძნობდა, რომ თუ ხარბინთანაც გაიმარჯვებდა იაპონია, რაიც

მოსალოდნელი იყო, მაშინ ყველას, თვით ამერიკასაც, თითი უნდა მოეკაკვა იაპონიის წინაშე“ [23, 117].

იმავე წერილში პოეტი ასე მიმართავდა „ამომავალი მზის“ ძლე-ვამოსილ სამეფოს: „შენც, პატარა იაპონიავე, ძლიერ წინ ნუ გაიწევი, ნუ გაჰლონიერდები, რათა ჩვენც არ მოგვახვედრო ლახტი“ [23, 117].

იაპონელთა საბრძოლო მიღწევებით ფრთაშესხმული ვაჟა-ფშა-ველა სიხარულით წერდა: „სწორედ ის დრო დადგა, დილიდან საღამომდე „მახლას“ რომ ვიძახო, მეტი როდი მოვა... თქვენი არ ვიცი და მე კი წამდაუნუმ ეს სიტყვა მეკერა ენაზე“.

აღსანიშნავია, რომ რუსეთზე გამარჯვების შემდეგ, იაპონელთა ავტორიტეტი საქართველოში არნახულად გაიზარდა. კერძოდ, სიტყვა „იაპონელი“ ქართულ ენაში – კარგის, ლამაზის სინონიმად იქცა. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ვაჟა-ფშაველას მიერ თავისი ძმის – სანდრო რაზიკაშვილისადმი მიწერილი წერილი, სადაც პოეტმა ახლადმოყვანილი მეუღლე – თამარ დიდებაშვილი ასე დაახასიათა: „უნდა ჰნახო, რა დედაკაცია! ნამდვილი ანტიკაა! რძალი გყავ იმისთანა, ნამდვილი იაპონცკი ვინმეა“ [24].

რუსეთ-იაპონიის ომს გამოეხმაურა ვაჟა-ფშაველას ძმა თედო რაზიკაშვილიც. მის ლექსში, რომელიც 1905 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში და რომელშიც მისი ავტორის განცდები შეფარვით არის გადმოცემული, ვკითხულობთ:

„ზოგჯერ წვიმს, მზე კი ღრუბლიდან  
მაინც ანათებს არესა:  
ხან კიდევ შავი ღრუბელი,  
როგორც სამარის კარებსა,  
თავს დასწოლია ქვეყანას,  
არც წვიმს, არც გაიდარებსა.  
აბა, რომელი სჯობია:  
თავსხმა და ნიაღვარია,  
რომლის შემდგომად მოიწმენდს ცა,  
უკეთესი დარია;  
თუ ცა სულ ნისლით მოცული  
და გული სევდით მკვდარია?“

ლექსიდან ჩანს, რომ პოეტი იმედოვნებდა იაპონიის მიერ „შავი ღრუბლის“ ანუ რუსეთის დამარცხების შემდეგ გამოდარებას, ანუ საქართველოს განთავისუფლებას, რომლის ანმყოთი „გული სევდით მკვდარი“ იყო [21].

რუსეთ-იაპონიის ომი აისახა როგორც იმდროინდელ ქართულ პრესაში, სადაც ხშირად ქვეყნებოდა შესაბამისი მასალები (მათ შორის ამ ომში დაჭრილთა და დაღუპულ ქართველ სამხედრო პირთა ფოტოები), ასევე ფოლკლორშიც, რაც მეტყველებს ამ ისტორიული მოვლენის მნიშვნელობის მასშტაბურობაზე.

აღნიშნულ თემაზე შექმნილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშთა შორის არის ლექსები: „ათას ცხაას ოთხი წელი“, „სალდათი იაპონიის ომში“, „პორტ-არტურში“ და „სალდათის დანაბარევი“, რომლებიც შეტანილია „ქართული ხალხური პოეზიის“ მრავალტომეულში [25, 131-134].

ხალხურ ლექსში „სალდათი იაპონიის ომში“ ვკითხულობთ:

„იაპონიის ჯარები  
ფარას შაჰგვანდა ცხვრისასა,  
პირდაპირ ჩამაგვიყენეს,  
ბედს ახსენებენ ხვთისასა,  
მათ ზარბაზანის ტყვიანი  
ცოცხალ კაცს აყრის მიწასა,  
გამაშლის ცისფერს პალტოსა  
ლამაზის აფიცრისასა.  
დაიძახებენ რუსები:  
სული ღმერთს, ლეში – მიწასა!“ [25, 132].

ლექსში „პორტ-არტურში“ ვკითხულობთ:

„პორტ-არტურში ვართაო,  
ცხენის ხორცსა ვჭამთაო,  
ნულარც მოგველითა და,  
ველარც მოვდივართაო“ [25, 132].

1906 წელს ნიკო ფიროსმანაშვილმა შექმნა ნახატი „რუსეთ-იაპონიის ომი“, რომელზეც წარმოდგენილია საზღვაო ბრძოლის ერთი ეპიზოდი.

რუსეთ-იაპონიის ომთან არის დაკავშირებული ქართულ-იაპონური ურთიერთობის ისტორიის ერთი, ამაღელვებელი ფაქტი, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იაპონელთა ღირსებას, მათ საოცარ სულიერ სიმადლეს.

იაპონიასთან ომში ჩაბმული რუსეთის საიმპერიო არმიის შემადგენლობაში მრავალი ქართველი მხედარი იმყოფებოდა. მათ შორის იყო სტეფანე გიორგის ძე ახმეტელიც (1877-1922), რომელიც შემდეგ გენერლად მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში.

რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ იაპონელებთან მამაცურად მებრძოლი შტაბს-კაპიტანი სტეფანე ახმეტელი – წმ. ვლადიმირის IV ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. ბრძოლაში შეუპოვარი ქართველი ოფიცერი იმავდროულად დიდ შემწყნარებლობას იჩენდა იაპონელი სამხედრო ტყვეების, განსაკუთრებით კი ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა მიმართ. ყოველივე ეს შეიტყო და სათანადოდ შეაფასა იაპონური არმიის სარდლობამ.

სახელგანთქმულმა იაპონელმა ადმირალმა, პორტ-არტურსა და ცუშიმასთან მომხდარი სისხლისმღვრელი ბრძოლების გმირმა ჰეიჰაჩირო ტოგომ (1847-1934) რუსეთის არმიის ოფიცერს ს. ახმეტელს, როგორც ღირსეულ მონინააღმდეგეს, თავისი რჩეული სამურაის ხელით, ჯილდოდ იაპონური მახვილი გაუგზავნა! ეს საპატიო ჯილდო დაცულია მისი ქართველი კავალრის ძმისწულის, საქართველოს დამსახურებული ექიმის მზია სვიმონის ასული ახმეტელი-ლალიძისას (1921-2000) ვაჟის ოჯახში, თბილისში [1, 173-174].

XX საუკუნის ოცდაათიანი წლების შუა ხანებში, როდესაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში პირველობისათვის მიმდინარე მეტოქეობაში თანდათან გამოიკვეთა იაპონიის უპირატესობა, რასაც იმდროინდელი ქართველი პოეტებიდან გალაკტიონ ტაბიძე გამოეხმაურა. 1935 წლის ივნისში, პარიზში მყოფი გალაკტიონის მიერ დაწერილ ლექსში ვკითხულობთ:

„ატმოსფეროა მღელვარე,  
იაპონელს კი ჰგონია:  
თუ ხმალს მოიქნევს მღელვარეს  
– ისევე იაპონია.  
აგრესრობა ღონეა,  
და თუ ვინმეა მპოვნელი –  
ისევე იაპონია,  
ისევე იაპონელი.  
ისევე ჩვენს საზღვრებს ედება,  
სიმშვიდე ვერ უპოვია...  
მ უდამ ქვას წამოედება

იმ ადგილს იაპონია.  
გაჰქრა ის ხანა ლამაზი,  
წინათ რომ გაუგონიათ,  
ეპოქა ოიამასი,  
– იმ ხანის იაპონია“ [27, 54-55].

ლექსის შინაარსიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ XX საუკუნის დასაწყისის ქართველ მოღვაწეთაგან განსხვავებით, რომლებიც რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომში ამ უკანასკნელს თანაუგრძნობდნენ, გალაკტიონ ტაბიძემ დაგმო ოცდაათიანი წლების იაპონიის ექსპანსიონისტური პოლიტიკა.

თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდის სსრ კავშირში შექმნილ ოფიციალურ, ანტიიაპონურ განწყობას, ჩვენთვის გასაგები გახდება მდგომარეობა გალაკტიონისა, რომელიც იძულებული იყო ანგარიში გაენია არსებული ვითარებისათვის და იქნებ თავისი სურვილის საწინააღმდეგოდაც, თავის ლექსში დაეგმო იაპონიის სწრაფვა აზიაში პირველობის მოსაპოვებლად. მიუხედავად ამისა, საგულისხმოა, რომ იმავე ლექსში, ავტორმა მაინც დადებით კონტექსტში მოიხსენია XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიასთან მეზობლი იაპონია, ხოლო იმ ეპოქას უწოდა – „ხანა ლამაზი“ და „ეპოქა ოიამასი“.

ამრიგად, XVIII საუკუნის პირველი მესამედიდან მოყოლებული, „ამომავალი მზის სამეფო“ და მასთან დაკავშირებული მოვლენები განსაკუთრებით აინტერესებდა ქართული საზოგადოებრიობის პროგრესულ ნაწილს, რომელიც ამ ქვეყანას მუდამ თანაუგრძნობდა. ყოველივე ეს სათანადოდ აისახა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ნიკო ჯავახიშვილი, საქართველო-იაპონიის ურთიერთობის ისტორიიდან, პროფესორ ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომების კრებული, თბილისი, 2002.
2. ნიკო ჯავახიშვილი, ამომავალი მზის ქვეყანა ქართველთა თვალთ, ჟურნალი „ისტორიანი“, თბილისი, 2014, № 6 (41).
3. ვახტანგ VI, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის, გამოსცა თინა ენუქიძემ და ვიქტორ კოკოჩაშვილმა, თბილისი, 1981.

4. რაულ ჩაგუნავა, ვახტანგ VI-ის წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის, თბილისი, 2013.
5. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტება-თა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. II, თბილისი, 1993.
6. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი A-717.
7. ვახუშტი ბაგრატიონი (მთარგმნელ-შემავსებელი), პოლიტიკური გეოგრაფია (XVIII საუკუნე), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და ანოტირებული საძიებლები დაურთო კობა ხარაძემ, თბილისი, 2011.
8. იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა კალმასობა, ოთხ წიგნად, II, სარგის ცაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1991.
9. გაზეთი „ივერია“, ტფილისი, 1889, № 269.
10. გაზეთი „ივერია“, ტფილისი, 1898, № 218.
11. გაზეთი „ივერია“, ტფილისი, 1898, № 224.
12. გაზეთი „ივერია“, ტფილისი, 1898, № 245.
13. გაზეთი „ივერია“, ტფილისი, 1898, № 246.
14. გაზეთი „ივერია“, ტფილისი, 1898, № 247.
15. ჟურნალი „მომბე“, ტფილისი, 1894, № 9.
16. ნიკო ნიკოლაძე, იაპონიის ბრძოლა ჩინეთთან, „ქართული მწერლობა“, ოცდაათ ტომად, ტ. XIV, თბილისი, 1998.
17. აკაკი წერეთელი, გურული ნანინა, „ქართული მწერლობა“, ოცდაათ ტომად, ტ. XII, თბილისი, 1996.
18. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვაჟა-ფშაველას ფონდი, ხელნაწერი № 43.
19. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბილისი, 1961.
20. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ. II, თბილისი, 1964.
21. გიორგი ჯავახიშვილი, იაპონია ქართველ მწერალთა თვალსაწიერში, გაზეთი „ქართველი ერი“, თბილისი, 18. V. 1995.
22. ვაჟა-ფშაველა, ვინ არის მართალი? გაზეთი „ივერია“, ტფილისი, 1905, № 15.
23. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ. X, თბილისი, 1964.
24. ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახლ-მუზეუმის არქივი.
25. ქართული ხალხური პოეზია, ტ. XI, ისტორიული ლექსები, თბილისი, 1984.
26. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი, ტ. IV, თბილისი, 1966.

**Niko Javakhishvili**

*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, chief scientist-researcher of the Department Modern and Contemporary History, Professor*

**The Reflection of Japan in Georgian Public Thinking  
(from the beginning of XVIII century till the first third of  
the XX century)**

**Summary**

The Georgian-Japanese relationship does not have a longtime history, but the “Kingdom of the rising sun” has always been animatedly close to the Georgian nation.

The progressive part of the Georgian society was always exceptionally interested in the developments and events connected to Japan and always sympathized this country. The above said is repeatedly stated in the Georgian historical sources and literature.

The presented article reviews the reflection of Japan in Georgian public thinking from the beginning of XVIII century till the first third of the XX century.

## ლელა მიქიაშვილი

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

### **ალექსანდრე ბატონიშვილის ოჯახის პატარავრგობი გასახლება და რუსეთის ხალისუფლების „ოფიციალური ვერსიები“**

ერეკლე II-ის მრავალრიცხოვან მემკვიდრეებს შორის მხოლოდ ალექსანდრე ბატონიშვილი (1770-1844 წწ; ერეკლესა და დარეჯან დედოფლის მეოთხე ვაჟი) დარჩა სიცოცხლის ბოლომდე რუსული ხელისუფლების მიმართ შეურიგებელ პოზიციებზე; მან მთელი ცხოვრება შეაღია ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენისათვის ბრძოლას და ამ მიზნის მისაღწევად ირანის, თურქეთისა თუ ჩრდილო კავკასიის სხვა ქვეყნების სამხედრო ძალების გამოყენებასაც არ მორიდებია, რადგან რუსეთთან მიმართებაში დიპლომატიის პოლიტიკა მუდამ ბატონიშვილმა იმთავითვე წამგებიანად მიიჩნია და სიცოცხლის ბოლომდე პერმანენტული ბრძოლებით ცდილობდა დამპყრობლურ რეჟიმთან გამკლავებას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი ნაშრომი მიექვს ალექსანდრე ბატონიშვილს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის გარშემო არსებული მასალა ბოლომდე ამომწურავად შესწავლილი არ არის. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი პიროვნულად არცთუ უმნიშვნელო მოწინააღმდეგე უნდა ყოფილიყო რუსული ხელისუფლებისათვის, რასაც მოწმობს მის შესახებ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში დაცული უამრავი დოკუმენტი თუ ცალკეულ რუს ავტორთა ნაშრომებში არსებული მასალა [1]. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსული მმართველობის ძალისმიერი მეთოდების წყალობით საქართველოდან სამეფო ოჯახის წევრთა რუსეთში გადასახლების გეგმა წარმატებით განხორციელდა. იქ, სადაც ძალით ვერაფერს ხდებოდნენ, რუსი მოხელეები მთავრობის მითითებით „კეთილმსურველთა“ მანტიას ირგებდნენ და ტკბილი დაპირებებითა და მოტყუებით აღწევდნენ მიზანს: ამის თვალსაჩინო მაგალითია ალექ-



სანდრე ბატონიშვილთან ერთად ირანში გადახვეწილი თეიმურაზ ბატონიშვილის ჩამოსაყვანად მისივე აღმზრდელის – პეტრე ლარაძის გამოყენება [12, 35, 37-38; 13, 31-32]; თუმცა, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ალექსანდრე ბატონიშვილის ხელში ჩასაგდებად რუსების ყოველგვარი მცდელობა მარცხით მთავრდებოდა: მოკავშირეთა ფართო სპექტრი (ირანი, ოსმალეთი, ახალციხის საფაშო, დაღესტანი, განჯისა და ერევნის სახანოები და ა. შ.) ბატონიშვილს საშუალებას აძლევდა, რუსეთთან ერთ-ერთი მათგანის მარცხის შემთხვევაში, მეორისაგან მიეღო საჭირო დახმარება.

ჩვენამდე მოღწეული უხვი დოკუმენტური მასალის წყალობით ცხადად იკვეთება ალექსანდრე ბატონიშვილის მიმართ რუსული ხელისუფლების მაღალი ინტერესი (ციციანოვიდან დაწყებული ერმოლოვისა და ნესელროდეს ჩათვლით); ეს, უდავოდ, განპირობებული იყო მისი გონივრული ქმედებით, კარგად გათვლილი დიპლომატიური სვლებითა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – მის მიმართ კავკასიის მთიელთა გასაოცარი ერთგულებით [11, 22; 2, 5-24]. ხოლო იმის სადემონსტრაციოდ, თუ რა მეთოდებს არ თაკილობდა რუსული ხელისუფლება ალექსანდრეს წინააღმდეგ ბრძოლისას, მოვიყვანთ ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე განხილულ ორიოდ ნიმუშს: რუს მოხელეებთან ბატონიშვილის ჩვენამდე მოღწეული მიმოწერიდან აშკარაა, რომ ალექსანდრე ტრაქტატის პირობების აღდგენისა და დაცვის შემთხვევაში რუსეთთან კავშირ-ურთიერთობაზე თანახმა იყო, მაგრამ ეს პირობა ყოვლად მიუღებელი იყო საკუთრივ რუსეთისათვის [3, 473-478]; შესაბამისად, რუსეთი ნებისმიერ საშუალებას მიმართავდა მეამბოხე ბატონიშვილის ხელში ჩასაგდებად.

1813 წლის გულისტანის ზავის თანახმად ირანმა იძულებით ცნო რუსეთის უფლება საქართველოზე, თუმცა სინამდვილეში სულაც არ აპირებდა ამ ვითარებასთან შეგუებას და ამ მიზნით ალექსანდრე ბატონიშვილის პოზიციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რისთვისაც დაღესტანში თავშეფარებულ ბატონიშვილთან ფარულ ურთიერთობას აგრძელებდა; ამ მხრივ ასევე აქტიურობდა თურქეთიც: რუსებისათვის ცნობილი გახდა, რომ ერზერუმის სერასკირი ბაბა-ფაშა ალექსანდრეს სულთნის სახელით პირდებოდა იმერეთში გამეფებას [1, V, 827]. ამრიგად, ლტოლვილი ბატონიშვილი სამი სახელმწიფოს ცილობის ობიექტად იქცა და ცდილობდა, შექმნილი სიტუაცია საკუთარი მიზნების მისაღწევად – „საოცნებო საქართველოს“ დასაბრუნებლად გამოეყენებინა [5, 44]. რუსეთის ხელისუფლება, ცხადია, ამას ვერ შეურიგდებოდა და ამჯერად რტიშჩევს დაე-

ვალა, ნებისმიერი გზით ხელთ ეგდო ბატონიშვილი. რტიშჩევისა და ალექსანდრეს მიმონერა ცალსახად ადასტურებს, რომ ამ მიზნის მისაღწევად რუსეთისათვის ნებისმიერი საშუალება მისაღები და დასაშვები იყო; კერძოდ, ერთ-ერთ წერილში რტიშჩევი მკაცრად ადანაშაულებს ბატონიშვილს, რომ „ოდესმე პასუხს აგებთ თქვენი ამპარტავნული, ღვთის სანინააღმდეგო ზრახვების შესასრულებლად ტყუილუბრალოდ დაღვრილ ყოველ წვეთ სისხლზე“ და ამავდროულად, რადგანაც დაღესტანს თავშეფარებული ბატონიშვილი ბრძოლის გზითაც ვერ ჩაიგდო ხელში, ისედაც შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ ალექსანდრეს სპარსეთიდან მისთვის გამოგზავნილ ფულის მხოლოდ მცირე ნაწილი – 300 მანეთი გაუგზავნა (1500-დან); მაგრამ მრავლისმნახველი ბატონიშვილის წყობიდან გამოყვანა მაინც ვერ შეძლო, პირიქით, ალექსანდრესაგან ღირსეული პასუხი მიიღო: „თქვენმა მაღალკეთილ გონებამ კარგად იცის, მინამ კაცი ცოცხალი არის, თავის მშობლის და სამკვიდრო მამულისათვის უნდა გაისარჯოს ვიდრე სისხლისა წვეთამდე და არავისაგან საზრახავი არ არის და არც ავით ჩამოსართმევი. და მეც ასე ვგონებ თქვენმა კეთილმა სინდისმაც არ ინებოს ავით ჩამორთმევა. და რომელიც კაცი არ ეცდება თავისის მშობლის მამულისათვის და ანუ თავისის სარჩოსათვის, ის არ იქმნება სრულის კაცის ანგარიშში და განითულება იგი გვამი სულელთა გვამთა შინა... მაგრამ ის დიდად მიკვირს თქვენი მაღალი გონებისაგან: ოც ოქროს მიგზავნიან, იმ ოც ოქროს იჭერთ და არ მიგზავნით, რა საკადრისია თქვენგან. თუ ამას ბძანებთ შენუხდეს, დიახ დიდი ხანი არის ჩემის მშობლის მამულისათვის მნუხარება კისერზე აღებული მაქვს. მაგ ფულისათვის როგორ შევწუხდები, თუნდ ასი ათასი თუმანი იყოს, თქვენ არ გეკადრებათ მაგვარი საქმე და ნება თქვენია“ [5, 45-46].

წლების მანძილზე ალექსანდრეს მოსახელთებლად გაგრძელებული ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა ერმოლოვის მმართველობისას; ეს უკანასკნელი თავიდანვე უარყოფითად ეკიდებოდა მის წინამორბედთა „ზედმეტად ლოიალურ პოლიტიკას“ მეამბოხე ბატონიშვილთან მიმართებაში და თვითონ ყველანაირ რადიკალურ ზომებს მიმართა, ბატონიშვილის ფიზიკური ლიკვიდაციის ბრძანების ჩათვლით, თუმცა კვლავ უშედეგოდ [5, 48-50]. მას შემდეგ, რაც ალექსანდრემ გაამჟღავნა ერმოლოვის გეგმა მისი ფიზიკური განადგურების თაობაზე, ამ უკანასკნელმა შეცვალა პოლიტიკა და ამჯერად განაცხადა, რომ ალექსანდრე მას იმდენად უმნიშვნელო პიროვნებად მიაჩნდა, რომ არაფრად არ აგდებდა და მის არსებობაში

ვერაფერს სახიფათოს ვერ ხედავდა, თან ამ ყველაფერს ახლდა შეურაცხმყოფელი გამონათქვამებიც, მაგ.: „გთხოვთ ირწმუნოთ, ... რომ თქვენს სიცოცხლეს ჩემთვის არავითარი ფასი არა აქვს და მას არანაირი საფრთხე არ მოელის, როგორც სიცოცხლეს ისეთი კაცისა, რომლის ყოფა-ქცევა ახალგაზრდობაში გარყვნილებით ხასიათდებოდა, მონიფულობაში კი უპატიოსნობით და ამიტომაც აბუჩად აგდების მეტს არაფერს იმსახურებს“ [4; 5, 51]. (ან კიდევ: „Прежде всего Ермолов, еще проездом через Кавказскую линию в Тифлис, приказал Дельпоццо прекратить с царевичем сношения. Царевич всего менее ожидал подобной невзгоды. „Иссякли вдруг новые источники его доходов,— говорит Ермолов, — и он во гневе своем прислал ко мне письмо, упрекая за происки лишить его жизни. Я ответил ему, что человек, знаменитый, как он (царевич), развратной жизнью, подлостью и трусостью, опасен быть не может и что я ни гроша не дам ни за жизнь, ни за смерть подобного подлеца. Письмо это было одно, которым он, конечно, не похвастался персидскому правительству“) [7, XIII, 196].

საკუთარი წარუმატებლობით უზომოდ შეურაცხყოფილ გენერალს სხვა გზა არ დარჩენოდა და ასეთ უღირს საქციელსაც აღარ უკადრისობდა, თუმცაღა საარქივო მასალები ნათლად ადასტურებენ, რომ მას ხელი არ აუღია ალექსანდრეს ლიკვიდაციის გეგმაზე, რაც, მისდა სამწუხაროდ, თავად ადრესატისათვისაც (ალექსანდრესათვის) კარგად იყო ცნობილი: განრისხებული ერმოლოვი ახლა უკვე ღიად დაემუქრა ანწუხელებს, რომლებმაც ალექსანდრეს გადაცემაზე უარით უპასუხეს [1, VI (2), 31]. ამგვარად გამჟღავნდა ერმოლოვის ცბიერება: მოულოდნელად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მის მიერვე „ქარაფშუტად და არარაობად“ გამოცხადებულ ბატონიშვილს; მაგრამ პატარა ანწუხის თემის მკვიდრთაგან მრისხანე გენერალმა საკადრისი პასუხი მიიღო: „... ჩვენის მხრით არასოდეს არ მოხდება ღალატი და გაცემა ემირ ალექსანდრე-ხანისა. შენ შენს წერილში ითხოვ, რომ ალექსანდრე წარმოგიგზავნოთ. უფალს ვფიცავთ, ჩვენ მას ვერ ვუღალატებთ და ვერ ჩავიდენთ მისდამი მუხანათობას, თუნდ სულ დახოცო ჩვენი ხალხი და ჩვენი ცოლ-შვილიც... ასეთ საქმეს ჩვენგან ნუ მოელი, ალექსანდრე ჩვენი სტუმარიო“ [6, 88].

დაბოლოს, საგულისხმოა ერთი გარემოებაც: ერთ-ერთი მორიგი გეგმის მიხედვით, ერმოლოვი დაქირავებულ თავდამსხმელებს ნებას რთავდა, დიდად არ შეენუხებინათ თავი ბატონიშვილის ცოცხლად ხელში ჩასაგდებად, მაგრამ მისი ცხედარი კი აუცილებლად

უნდა გამოეგზავნათ თბილისში, სადაც რუსული ხელისუფლება დიდი პატივით მოაწყობდა მის გასვენებას, რათა „თავქარიან“ ქართველებს ერთხელ და სამუდამოდ ერწმუნათ, რომ მეთამბოხე ბატონიშვილი აღარ არის ცოცხალი და საბოლოოდ დაწყნარებულიყვნენ [5, 57-58]. რუსეთის ხელისუფალთა ცინიზმი უფრო შორსაც მიდიოდა, კერძოდ, ბატონიშვილის შეპყრობისა და მკვლელობის გეგმის დაზუსტებისას შემუშავებულ იქნა მითითება: „თურქეთისა და ირანის სამფლობელოთა ფარგლებში ბატონიშვილის ფარული მკვლელობის ნებას ვერაფრით დაგრთავთ, რადგან, რაც არ უნდა ფარულად მოხდეს ეს ამბავი, მაინც დააეჭვებს ხალხს, ყოველივე გამჟღავნდება და მთელი ევროპის თვალში რუსეთის იმპერიის ღირსება შელახება. ამავდროს, ასეთი ზომები სავსებით ეწინააღმდეგება მის იმპერატორობითი დიდებულების ნებას და კანონებს; მაგრამ აი, ერევნის მისადგომებთან ბატონიშვილის გზის გადაღობვისას მის მკვლელობაზე კი თანახმა ვარ“ [8; 5, 55-56]. (საგულისხმოა, რომ ზემოთ ნახსენები „იმპერიული ღირსების“ დაცვის საბაზით თავის დროზე დავით ბატონიშვილსაც, როგორც არასაიმედო პირს, უარი ეთქვა ევროპაში მოგზაურობის ნებართვაზე) [14, 58].

სწორედ ევროპის წინაშე თავის ღირსეულად წარმოჩენის მცდელობა იყო ისიც, რომ მეტ-ნაკლებად ავტორიტეტული უცხოელებისთვის რუსული ხელისუფლების მიერ ალექსანდრესა და მის ოჯახის მიმართ გატარებული პოლიტიკა იმპერიისათვის სასურველი ვერსიის სახით წარმოედგინათ. ასეთ უცხოელთა რიცხვში აღმოჩნდა ფრანგი მეცნიერი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეც, რომლის ნაშრომში მცირე ადგილი ეთმობა ბარონ როზენის რეზიდენციაში გამართულ 1834 წლის საშობაო ზეიმს, სადაც მრვალ სტუმართა შორის მოგზაურის ყურადღება მიიქცია ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლემ – მარიამმა.

ორიოდე სიტყვით შევეხებით იმასაც, თუ რა როლს ანიჭებდა რუსეთის ხელისუფლება ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლისა და ვაჟის საქრთველოდან რუსეთში გასახლებას. როგორც ცნობილია, ალექსანდრეს დაქორწინების საკითხზე პირადად ზრუნავდა ირანის შაჰი და მისი მემკვიდრე აბას-მირზა. ამის შესახებ მართებულად შენიშნავს თ. პაპავა: „... ეს მარტო ალექსანდრეს პატივისცემა-სიყვარულით კი არ ხდებოდა, არამედ ბაგრატიონთა დინასტიის გაგრძელების მიზნითაც. ამიტომ აბას-მირზა არაფერს მორიდებია და არც რუსეთ-სპარსეთის შორის დიპლომატიური ურთიერთობის გამწვავებამ ჩააფიქრა ამ დროს სპარსეთი. აბას-მირზას დავალებით რამ-

დენჯერმე წარიგზავნენ დესპანები რტიშჩევთან და შემდეგ ერმოლოვთან ბატონიშვილის სპარსეთში გადმოყვანის მიზნით. მრავალჯერ გზავნიდა ერევნის სარდალიც აბას-მირზას ბრძანებით ფულს და საჩუქრებს დალესტანში, რათა ბატონიშვილი უვნებლად შეენახათ იქ და შემდეგ კი როგორმე გამოეპარებინათ. რუსეთი ამის გამო ნოტას ნოტაზე უგზავნიდა სპარსეთს, მაგრამ ვერ იქმნა, ვერავითარმა მუქარამ ვერ ააღებინა შაჰის მემკვიდრეს ხელი ალექსანდრე ბატონიშვილის ზრუნვა-მფარველობაზე“ [6, 94]. სპარსეთის კარს ასევე აღელვებდა ბატონიშვილის დაქორწინებისა და მისი მემკვიდრით უზრუნველყოფის საკითხი, ამიტომაც აბას-მირზას ინიციატივით თავრიზსა და ერევანში რამდენიმე ვარიანტი განიხილებოდა. ეს ალექსანდრესთვისაც ცნობილი იყო და როგორც ჩანს, მისთვის დიდად სასურველი არ იყო სპარსეთის შაჰის მიერ შერჩეული საცოლე, ამიტომ გადანყვიტა ეს საკითხი თავად მოეგვარებინა, რადგან სამეფო დინასტიის გაგრძელებაზე ზრუნვა მისთვისაც გასაგები და მისაღები იყო: ალექსანდრე ჯერ კიდევ სიყრმის ასაკში დაინიშნა დიდი ყაზარდოს თავადის მისოსტოვის ასულზე, რომელიც თვით ერეკლეს აერჩია მისთვის, მაგრამ საპატარძლო მოულოდნელად გარდაიცვალა [6, 90-91]. ბატონიშვილმა დელიკატურად მიანიშნა შაჰს, რომ უკვე ჰყავდა თავისი რჩეული – დიმიტრი აბაშიძის ასული და ცდილობდა ეს გადანყვიტებოდა სისრულეში მოეყვანა; თუმცა, როგორც ცნობილია მისი მცდელობა რუსეთის აქტიური და უხეში ჩარევის წყალობით, წარუმატებელი გამოდგა [6, 98-100, 106-107]. ამის შემდეგ ალექსანდრემ არჩევანი შეაჩერა ერევნის სარდალის – მელიქ სააკის (ალამალის) ქალიშვილ მარიამზე და ჯვარიც დაინერა ერმიაძინში 1820 წლის მაისში (ქორწილის ხარჯები მთლიანად აბას-მირზამ აიღო საკუთარ თავზე). მალევე მათ შეეძინათ ვაჟი – ერეკლე (ირაკლი).

როგორც უკვე ცნობილია, შემდგომში მოვლენათა მსვლელობა ალექსანდრე ბატონიშვილისათვის არასახარბიელოდ წარიმართა: 1826-1828 წწ. რუსეთ-ირანის ომის მიმდინარეობისას, 1827 წ. 1 ოქტომბერს ექვსდღიანი ალყის შემდეგ რუსებმა (პასკევიჩმა) აიღეს ერევანი (ამ ბრძოლაში 600-მდე ქართველი მეომარი მონაწილეობდა), ხოლო 13 ოქტომბერს – თავრიზი, ეს საომარი კამპანია ირანისთვის სავალალო თურქმენჩაის ზავით დასრულდა [9, 881]. ჩვენთვის საგულისხმოა, რომ ამ დროს ალექსანდრეს ცოლ-შვილი თავრიზში ჰყავდა, თვითონ კი აბას-მირზას გვერდით იბრძოდა. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, თავრიზის აღება მთავარსარდალ პასკევიჩთან შე-

უთანხმებლად, საკუთარი ინიციატივით და მცირე რაზმით მოახერხა კარგად ცნობილმა გიორგი იესეს ძე ერისთავმა (ამისათვის იგი დააჯილდოვეს ანდრია პირველწოდებულის ორდენით და სენატორობაც უბოძეს).

ეს გახლდათ ცნობილი ქართველი, მაგრამ რუსეთისათვის თავდადებული ერისთავთაგანი, „რომელთაც ერეკლეს ჟინით საქართველო და მისი თავისუფლება დაივიწყეს და უმაგალითო ერთგულებით შეეწირნენ რუსის ხელმწიფეთ“ [6, 113]. ეს გენერალი ცნობილი იყო მეტსახელებით „დიდი კნიაზი“, „ტავრიჩესკი“, „ჰერი-ჰა“, აგრეთვე ჯარისკაცები მას ეძახდნენ „ბატ'უშკას“, ხოლო მისი დროის სხვა გიორგი ერისთავებისაგან გამოსარჩევად სწორედ ამ შემთხვევის წყალობით მას „სენატორაც“ შეარქვეს [10, I, 226-227]. თავის დროზე გენ. ციციანოვი მინისტრ კოჩუბეის წერდა: „ერისთავნი იმდენად ერთგულნი არიან რუსეთისა, რამდენადაც მე შემიძლია თავი მოვიწონო ჩემი ერთგულებით... ერისთავნი ერთადერთი გვარია, რომელსაც ისე ვენდობი, როგორც რუსებს“ [6, 114]. სწორედ ამ „ბატ'უშკამ“ მეტისმეტი ერთგულების ნიშნად, ალექსანდრე ბატონიშვილის ცოლ-შვილი ფეშქაშად მიართვა პასკევიჩს (მარიამი ამ დროს 23 წლის ყოფილა და თანამედროვეთა გადმოცემით, იშვიათი სილამაზით იყო ცნობილი). სავარაუდოდ, პასკევიჩი, ევროპის თვალში სწორედ ზემოთ აღნიშნული „გართულებების“ თავიდან ასაცილებლად, იძულებული გახდა მარიამი და მცირეწლოვანი ერეკლე მელიქ სააკთან – ერევანში გაესტუმრებინა. სწორედ აქედან დაიწყო მათ მიმართ რუსეთის ხელმწიფის „მზრუნველობა“, ყველა დანარჩენი ბატონიშვილების მსგავსად, რუსეთში მათი გადასახლების თაობაზე. უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მარიამს თითქოს უხეშადაც არ აიძულებდნენ გადანყვეტილების მიღებას და ჩვეული მანერით სთავაზობდნენ შვილის „ბრწყინვალე მომავლით უზრუნველყოფას“, თუმცა ამის პასუხად ბატონიშვილის მეუღლემ განაცხადა, რომ ამჯობინებს თავისი ხელით „ხანჯლით განგმიროს შვილი, ვიდრე დათანხმდეს რუსეთში მის გაგზავნაზე“. რუსებმა ეს ლიტონ სიტყვებად ვერ მიიჩნიეს, რადგანაც უკვე ჰქონდათ ლაზარევის მაგალითი. ალბათ ამიტომაც იყო, რომ მათთვის ჩვეული თვალთმაქცური პოლიტიკით იმოქმედეს: მარიამის დაუყოვნებლივ და იძულებით გამგზავრებაზე დროებით ხელი აიღეს, იგი დაყვავებით თბილისამდე ჩამოიყვანეს, სადაც სათანადო პატივით ეპყრობოდნენ, თუმცა დიდი ძალისხმევისა და გონიერების წყალობით, მარიამმა მხოლოდ ერთი წლით შეძლო თავი

ვისი გადასახლების გადავადება. ამ ფონზე რუსული ბიუროკრატიული მანქანა ყოველნაირად ცდილობდა „საგარეო მოხმარების“ ინფორმაციის ფართოდ გავრცელებას, რისი მაგალითიც არის დიუბუა დე მონპერესათვის შესაფერისი მათთვის ხელსაყრელი ვერსიის მიწოდება: ფრანგი მეცნიერი და მოგზაური მართლაც სწავლული ევროპელისათვის დამახასიათებელი გულუბრყვილო რწმენით გამოგვცემს რუსეთის ხელისუფლების „მზრუნველობას“ ქართველი ბატონიშვილის ოჯახზე:

„[1834 წელი] ... თბილისში იმ დროს ვიმყოფებოდი, როცა დიდ ქალაქებში შობისა და ახალი წლის წინასაღძელსაწაულო ფაციფუცია ხოლმე. მომეჩვენა, რომ განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა, ყველაფერი ისე იყო, როგორც ეს ცივილიზებული ევროპის სხვადასხვა ქალაქებშია ხოლმე.

შობა დღეს მთავარმართველთან – ბარონ დე როზენთან (გრიგოლ ვლადიმერის ძე როზენი (1782-1841) – რუსი სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი, კავკასიის მთავარმართველი 1831-1837 წწ. – ლ. მ.) გამოვცხადდი ჩემი პატივისცემის დასადასტურებლად და გაკვირვებული დავრჩი, როცა დიდ დარბაზში დღესასწაულის მოსალოცად მოსული უამრავი ხალხი დამხვდა. თავდაპირველად ბარონმა ერთ-ერთ დარბაზში ოციოდე გენერლისაგან მიიღო მილოცვა, მეც აქვე ვიყავი მიწვეული ჩემი პატივისცემის გამოსახატავად. შემდეგ იყო საერთო პრეზენტაცია უამრავი ხალხით გაჭედულ დარბაზში, სადაც ბარონმა, ხალხის სიმრავლის მიუხედავად, მშვენივრად გამორჩია ის პირები, ვისთვისაც საჭიროდ ჩათვალა, ორიოდე სიტყვით მიემართა, ამის შემდეგ კი მიღება ბარონის მეუღლემ გააგრძელა. ამავე დღეს ასზე მეტი სტუმრისათვის გაიმართა დიდი წვეულება, სადაც მრავალფეროვან სანახაობას ქმნიდნენ სამოქალაქო თუ სამხედრო, ნაციონალური თუ ევროპული კოსტიუმები.

ასევე იყო ახალ წელსაც. 2 იანვარს კი დიდი ბალი გაიმართა. 6/18 იანვარს, ამ ზამთრის ყველაზე ცივ დღეს, როცა თერმომეტრი 7<sup>0</sup>-მდე (რეომიურით) დაეცა (ფრანგი ფიზიკოსი რენე ანტუან რეომიური (1683-1757) ცნობილია მის მიერ შემოღებული თერმომეტრით – ე. წ. რეომიურის შკალა, რომელიც დღეს აღარ გამოიყენება – ლ. მ.), იორდანეში ნათლისღების მსგავსი დღესასწაული გამართეს კირუსის ნაპირზე, სააღლუმოდ ჩამწკრივებული ჯარის დიდი კარეს ცენტრში და არტილერიის ზალპების გრიალში.

მთავარმართებლის სახლი საქმიანობის და, ამავე დროს, დასვენების ცენტრიც გახლდათ: იგი იყო ყველასთვის ტონის მიმცემი. მთელი ზამთრის განმავლობაში აქ ყოველ კვირას იმართებოდა მიღებები, თამაშობანი, საუბრები, ვახშამი. აქ ყოველთვის შეხვდებოდით იმ პირებს, ვისთანაც საუბარი გსურდათ. ამ დღესასწაულების დროს ბ-ნი დე როზენის სახლში ყველაფერი ისე იყო, როგორც ეს პარიზული სალონებისათვის არის დამახასიათებელი.

ხუთშაბათი კონცერტის დღე იყო. დროდადრო იმართებოდა ბალი. რამდენი ევროპელი მანდილოსანი მოისურვებდა ჩემს ადგილზე ყოფნას, რათა ამ მშვენიერ, ლამაზად მორთულ დარბაზებში დამტკბარიყო ჩემ თვალწინ წარმოდგენილი სხვადასხვა სახეებით, უცხო სანახაობებითა და ჩაცმულობით, განსაკუთრებით კი – ბალის დროს.

რაოდენი სხვაობა იყო სახელოვანი მეფე ერეკლეს ასულს – დედოფალსა (იგულისხმება თეკლა ბატონიშვილი (1778-1846), ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის უმცროსი ქალიშვილი, ვახტანგ ორბელიანის მეუღლე – ლ. მ.) [15], რომელიც გამონყოფილი იყო ქართულ ეროვნულ სამოსელში (მთელი თავისი აქსესუარებით და, მიუხედავად თავისი ასაკისა, არასოდეს აკლდებოდა ამგვარ დღესასწაულებს) და ფრანგულ სამოსელში გამონყოფილ ქალბატონ ბარონის მეუღლეს შორის, რომელიც ყველანაირი პატივით იღებდა დედოფალს.

აგერ, ხედავთ, როგორ გიახლოვდებათ მოკრძალებული და მორიდებული მანდილოსანი ვუალში. იგი ოდნავ ინევს ვუალს, მისი ხილვის მოსურნე მთელ ამ ჯგუფს რომ დაენახოს; ეს გახლავთ ბატონიშვილისა და ტახტის პრეტენდენტის – ალექსანდრეს მეუღლე, რომელიც ძალზე დაბნეულად გამოიყურება ამ ბრწყინვალე თავყრილობაზე: იგი ხომ აქამდე განმარტოებულ ცხოვრებას ეწეოდა.

ბატონიშვილ ალექსანდრეს, რომელიც საქართველოს უკანასკნელი მეფის – გიორგის ვაჟი და ერეკლეს შვილიშვილი იყო, არასოდეს უცვნია რუსეთის კანონიერი უფლება საქართველოზე, მიუხედავად მისი წინაპრის ანდერძისა. იგი ხან სპარსეთს აფარებდა თავს, ხან – თურქეთს, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მათგანი ომობდა რუსეთის წინააღმდეგ და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა რუსეთის მტრები დაეყოლიებინა, დახმარებოდნენ მას სამეფოს დაბრუნებაში. რუსეთის სამეფო კარი მას ჰპირდებოდა პენსიას და მფარველობას, თუკი დამშვიდდებოდა, მაგრამ ბატონიშვილს არაფრის გაგონება არ სურდა.



ერევანში ყოფნისას მან ცოლად შეირთო მელიქ საადის – ერევანის სარდლის (sardariat), სომხეთის გამგებლის ქალიშვილი. სომხეთის დაპყრობის შემდეგ და 1829-1830 წლების თურქეთის ომის დროს, რომელშიც ალექსანდრე თავადაც იყო ჩართული, მისი მეუღლე ვაჟიშვილთან ერთად ერევანში დარჩა მშობლებთან. ომის შემდეგ ბატონიშვილმა მოსთხოვა მთავრობას ცოლ-შვილის მასთან გაგზავნა. ფელდმარშალმა თავადმა პასკევიჩმა ჩათვალა, რომ ბატონიშვილსა და მის მეუღლეს რუსეთისათვის არანაირი სარგებლობის მოტანა აღარ შეეძლოთ და ბრძანა, რომ მისი თხოვნა შეესრულებინათ. მაგრამ ალექსანდრეს მეუღლე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქალბატონი, ხელისუფლებისადმი უნდობლობისა თუ მგზავრობის შიშის გამო, ან იქნებ სულაც ალექსანდრეს არასტაბილური მდგომარეობის გამო, არ ჩქარობდა მეუღლესთან შეხვედრას და ფელდმარშალმა ისე დატოვა გუბერნია, რომ ახალგაზრდა ქალმა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერაც ვერ მიიღო. ამასთანავე, სავესებიტით შესაძლებელია, რომ მის დედ-მამასაც დიდად შეეწყო ხელი ამ დაგვიანებაში: მათ ძალიან უჭირდათ ქალიშვილთან განშორება.

ამასობაში კავკასიის მთავარმართებლად დაინიშნა ბარონი როზენი. ერთი წლის შემდეგ ალექსანდრემ კვლავ დაბეჯითებით მოითხოვა, გაეგზავნათ მასთან მისი მეუღლე, *რუსეთის მთავრობას კი ეგონა, რომ ეს უკანასკნელი უკვე დიდი ხნის წინ გაემგზავრა. ბარონმა გამოიკითხა საქმის ვითარება და შეიტყო, რომ ქალბატონი ჯერ კიდევ ერევანში იყო. ბარონი არ იყო იმდენად უფლებამოსილი, როგორც ფელდმარშალი და მას არ შეეძლო ეთქვა: წადით აქედან, ჩვენ თქვენი არ გვეშინიაო! ამის გამო იგი დიდ გასაჭირში ჩავარდა და სასწრაფოდ გაგზავნა წერილი სან-პეტერბურგში, რათა გაეგო, როგორ უნდა ემოქმედა. მას უპასუხეს: თქვენ ხელთ ჩავივარდათ დედოფალი და საქართველოს ტახტის მემკვიდრედ დადგენილი პრეტენდენტი, თქვენ კი გინდათ ისინი კვლავ თურქებს გაუგზავნოთ? სასწრაფოდ გამოუშვით ისინი სან-პეტერბურგშიო* (ხაზგასმა ჩვენია – ლ. მ.).

მართლაც, ალექსანდრეს ვაჟი საქართველოს სამეფო ტახტის ნამდვილი და პირდაპირი მემკვიდრე იყო. გაიცა სასწრაფო ბრძანება გენერალ თავად ბებუთოვისადმი, რომელიც სომხეთის გუბერნატორი იყო, რათა ეთხოვა ქალბატონი დედოფლისათვის, რომ სან-პეტერბურგში გასამგზავრებლად გამზადებულიყო.

ეს ახალგაზრდა და მშვენიერი ქალი მიჩვეული იყო განმარტოებულ ცხოვრებას, ოჯახურ სიმყუდროვეს, მუდმივად დედის კალთას

იყო ამოფარებული, ძალზე მოკრძალებულად ჩაცმული, ნაკლებად მორთულ-მოკაზმული. იგი საოცრად შეშინდა, როცა წარმოიდგინა, რომ დიდი იმპერატორის კარზე უნდა წარმდგარიყო და იქ რალაც გარკვეული როლიც კი უნდა შეესრულებინა. რამდენი ცრემლი დაიღვარა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან! დედას არაფრით არ სურდა დათანხმება ამ მგზავრობაზე: რამდენჯერ მოუხდა გენერალს მასთან მისვლა, რათა მას ეიძულებინა თავისი ქალიშვილი, მიეღო ეს გადამწყვეტილება. იგი იძულებულიც კი გახდა, ეთქვა, რომ თუკი დედა ამას ნებით არ გააკეთებდა, მაშინ მის ქალიშვილს, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ძალით დაითანხმებდნენ და მაინც წაიყვანდნენ. ბოლოს, დიდი ოხვრა-კვნესის შემდეგ, მოხუცმა მელიქ-საადმა, რომელიც მეტად საღად მოაზროვნე პიროვნება გახლდათ, დაიყოლია დედა, უფრო კი – ქალიშვილი, რომელსაც გაგონებაც კი არ სურდა ამის შესახებ, და აცრემლებულებმა ჩაულაგეს დედოფალს მზითვები.

მშვენიერი დედოფალი ძალზე დაბნეულად გამოიყურებოდა თბილისში, სადაც, ბუნებრივია, იგი დიდი პატივით მიიღეს. ბარონის მეუღლისათვის ძნელი იყო მასთან ურთიერთობა: ერთ სიტყვასაც კი ვერ აგებინებდა, რადგან მისმა ბრწყინვალეობამ იცოდა მხოლოდ ქართული, სომხური და, ალბათ, სპარსული. ამ მცირეოდენი უხერხულობის მიუხედავად, დედოფალი მალევე შეეგუა თავის ახალ მდგომარეობას და ჩათვალა, რომ რალაც სასიამოვნოც კი იყო დედოფლის როლში ყოფნა, განსაკუთრებით მაშინ, როცა სილამაზე ნამდვილად არ გაკლია. ერევნიდან გამომგზავრებამდე მას არასოდეს უნახავს პირისპირ მამაკაცი გარდა მამამისისა და თავისი მეუღლისა, მაგრამ აქ იგი მალე შეეჩვია ჩადრის გარეშე ყოფნას და სახის ნაკვთების გამოჩენას. მოგვიანებით იგი სან-პეტერბურგში გამგზავრა და როგორც ამბობენ, იქ დიდი მოწონებით სარგებლობს. მთავრობამ მას მისი ღირსების შესაფერისი შემოსავალი დაუნიშნა და მისი ვაჟის აღზრდის ხარჯებსაც სახელმწიფო გაიღებს“.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ხაზგასმული მონაკვეთი სრულიად ნათლად წარმოაჩენს რუსული ბიუროკრატიის მიერ „საგარეო მოხმარებისათვის“ განკუთვნილი ინფორმაციების ცინიკურ ხასიათს; საგულისხმოა ისიც, რომ ერთი შეხედვით ესოდენ პრიმიტიულად შეთხზული ვერსიებით რუსული დიპლომატია მეტ-ნაკლებად მაინც აღწევდა დასახულ მიზანს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ იმპერიის ხელისუფლების გათვლებმა ირაკლი ბაგრატიონის მიმართ ვერ გაამართლეს: ის

მართლაც სწავლობდა პაჟთა კორპუსში, თუმცა პეტერბურგის „ბრწყინვალე“ არისტოკრატთა მისი მოხიბვლა მაინც ვერ მოახერხა; ვერც ის ამშვიდებდა, რომ პეტერბურგში მრავლად იყვნენ ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლები და მჭიდრო ურთიერთობებიც იყო მათ შორის: საპატიო ტყვეობა მისთვის მაინც ტყვეობა იყო. ამიტომაც მიანება თავი პაჟთა კორპუსს და დაიწყო ზრუნვა საქართველოში დაბრუნებაზე. ვორონცოვის მმართველობისას, 1840-იან წლებში მან საბოლოოდ აისრულა ოცნება და დაბრუნდა საქართველოში, თუმცა მას აქ სულ სხვა თბილისი დახვდა. იგი 1882 წ. გარდაიცვალა და დიდი პატივით დაკრძალეს სვეტიცხოველში. მისი პიროვნება ნამდვილად იმსახურებს საგანგებო ყურადღებას, თუმცა ეს უკვე ცალკე კვლევის საგანია.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Акты, собранные кавказской археографической комиссией, под ред. А. Берже, т. I-XII, 1866-1904.
2. დ. ჭუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები, თბილისი, 2012.
3. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1965.
4. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი (ცსია), ფ. 2, ან. 1, საქ. 472.
5. ე. ორჯონიკიძე, ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ (ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები), თბილისი, 1999.
6. თ. პაპავა, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბილისი, 1990.
7. Потто, Кавказская война, т. 2, глава XIII, СПб, 1885-1888.
8. ველიამინოვის წერილი ლადინსკისადმი, ცსია, ფ. 2, ან. 1, საქ. 472<sup>ა</sup>.
9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973.
10. მ. ბერძენიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი, 1980.
11. შ. ხანთაძე, მასალები ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1961, XXII-B.
12. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლ. მიქიაშვილმა, თბილისი, 1983.

13. შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მსკი, ნაკვ. I, თბილისი, 1939.
14. ლ. მიქიაშვილი, პლატონ იოსელიანი დავით ბატონიშვილის შესახებ, კრებ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, №2, თბილისი, 2011.
15. ი. უთურაშვილი, თეკლა ბაგრატიონი, თბილისი, 1991.

**Lela Mikiashvili**

*Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History*

### **Deportation of the Family of Prince Alekhandre of Georgia to St. Petersburg and 'Official Versions' of the Russian Authorities**

#### **Summary**

Among the numerous heirs of King Heraclius II only Prince Alexander of Georgia (1770-1844; the fourth son of King Heraclius and Queen Darejan) remained intransigent to the Russian authorities until the end of his life; He devoted his life to the struggle for the restoration of the Bagrationi dynasty, and even accepted the military support of Iran, Turkey and different countries of the North Caucasus to this end. From the beginning the rebel prince considered Georgia's foreign policy towards Russia disadvantageous and was permanently struggling to cope with an aggressive regime to the end of his life.

From the abundant documentary material preserved to the present day, great interest of the Russian government to Prince Alexander has become obvious. This was undoubtedly due to his prudent action, well-considered diplomatic moves and, what is more important, the astonishing fidelity of the peoples of the North Caucasus to him. The materials presented in the article demonstrate the methods the Russian authorities used against Alexander and their endeavor to disseminate the information of „foreign consumption" in European Countries.

**არჩილ ჩაჩხიანი**

*ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი, და-  
ვით აღმაშენებლის სახელობის საქართვე-  
ლოს ეროვნული თავდაცვის აკადემია*

**„მესამე რომის“ იდეოლოგია**

მხოლოდ სახელმწიფო, სახელმწიფოებრივი ყოფა არ არის ზო-  
გადად ერის ყოფიერების განმსაზღვრელი ნიშანი, მაგრამ ყოველი  
ერისათვის ბუნებრივია სწრაფვა საკუთარი სახელმწიფოს შექმნის,  
განმტკიცებისა და გაძლიერებისაკენ. ეს ნებისმიერი ერის სალი ინ-  
სტიტუტია და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი ყოფა ერის  
ნორმალურ ყოფად უნდა ჩაითვალოს. სახელმწიფოებრიობის და-  
კარგვა კი ერისათვის უდიდესი ტკივილი და ტრაგედიაა. მცირე და  
სუსტი ერებისათვის ეროვნული საკითხი არის საკითხი განთავი-  
სუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისა, საკითხი ეროვნუ-  
ლი სახელმწიფოს შექმნის, შენარჩუნებისა და გაძლიერებისა [1, 7].

დიდი ერები, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ თავიანთი მი-  
სია, ცდილობენ, შექმნან დიდი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები,  
იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ეროვნული ყოფიერ-  
ების საზღვრებიდან გადიან. დიდი და ძლიერი ერებისათვის ეროვნ-  
ული საკითხი არის საკითხი მსოფლიო მისიისა, ანუ იმპერიალის-  
ტური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და გაფართოების საკითხი. ამ  
პროცესის ლოგიკური გზა და შედეგი კი ომია, რომელიც ზესახელ-  
მწიფოების იმპერიული ამბიციების დაკანონებას ემსახურება. ამავე  
დროს მიმდინარეობს ბრძოლა დიდი იმპერიალისტური გაერთიანე-  
ბებისაკენ, დიდი ისტორიული წარმონაქმნების შექმნისაკენ. მაშასა-  
დამე, ერის ძლევამოსილების გარკვეულ საფეხურზე დიდი ერების  
ეროვნული ცნობიერება იმპერიალისტურ ცნობიერებაში გადაიზ-  
რდება. მაგრამ ეროვნული ცნობიერების უმაღლეს მწვერვალს მესი-  
ანური ცნობიერება წარმოადგენს. ამავე დროს „მესიანიზმი ხალხის  
შემლილი ცნობიერება“ [2, 82] – აღნიშნავდა თავის დროზე დიდი  
რუსი მოაზროვნე და ფილოსოფოსი, ნიკოლაი ბერდიაევი. მესიანიზ-  
მიდან ზვარაკად შეწირვამდე კი ერთი ნაბიჯია, ნაბიჯი, რომლის გა-  
დადგმითაც წყდება ამა თუ იმ დიდი თუ მცირე იმპერიის არსებობა-

არარსებობის საკითხი. ბერდიაევი აქვე იძლევა განსხვავებას რუსულ და „კლასიკურ“, ებრაულ მესიანიზმებს შორის: „მესიანიზმის რელიგიური ფესვები ებრაელი ხალხის მესიანისტურ შეგნებაშია, რომლის მიხედვითაც იგია ღვთის რჩეული ერი, სადაც უნდა იშვას მესია, ყოველი ბოროტების დამორგუნველი, ისრაელის ნეტარი სამეფოს შემქმნელი. ძველებრაული მესიანიზმი განსაკუთრებულია... მაგრამ რუსულ ცნობიერებაში მოხდა ქრისტიანული მესიანიზმისა და ებრაული მესიანიზმის შერევა, რომელმაც ნაციონალიზმის საფეხურს გადააბიჯა... ვფიქრობ, რომ რუსეთში, რუს ხალხში არის ზღვარგადასული ნაციონალიზმი და ებრაული მესიანიზმი, მაგრამ ამავე დროს არის ჭეშმარიტად ქრისტიანული, მსხვერპლის გამღები მესიანიზმი...“ რუსულ მესიანიზმსა და კაცობრიობისათვის მსხვერპლად შეწირვას შორის ბერდიაევი ტოლობის ნიშანსაც სვამს: „მესიანიზმი, რომელიც ყოველგვარი ნაციონალიზმის უარყოფაში გადადის, მოითხოვს, რომ რუსი ხალხი მსხვერპლად შეეწიროს სხვა ხალხების სამსახურს, რომ რუსმა ხალხმა თან მოიტანოს ყოველადამიანის (Всеchеловека – ა. ჩ.) სახება... და ეს მოვლენა რუსულია, ნაციონალურია, მის უკან კი ყოველადამიანის სახება დგას, რომელიც უნდა განვასხვავოთ კოსმოპოლიტის სახებისაგან“ [3].

მესიანიზმს ღრმა ფესვები აქვს გადგმული რუსეთის ისტორიაში. ყოველი იმპერია ძალმომრეობის უშუალო პროდუქტია და იგი გარემომცველ ხალხებთან შეტაკებებში, მეზობელ თუ შორეულ სახელმწიფოებთან ჭიდილსა და გამარჯვებებში იბადება. ასე შეიქმნა რუსეთის იმპერიაც [4, 112]. სტორიული დოკუმენტების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ არსებობდა ისეთი წარმოდგენა, თითქოს XI-XVI საუკუნეების რუსეთი სიმართლეზე (Правда) დაფუძნებულ სამეფოს წარმოადგენდა. „ძველ დროში რუსმა ხალხმა თავისი სიმართლე იპოვა. ეს იყო რუსეთი. და ეს სიმართლე იმდროინდელმა მთელმა რუსმა ხალხმა შეითვისა განურჩევლად იმისა, მაღალ ფენას წარმოადგენდა იგი თუ უბრალო ხალხს... რუსი ხალხის სული ერთიანი იყო... მათი მსოფლმხედველობა რუსეთი იყო... ნმინდა რუსეთი არც ლეგენდაა და არც მეტაფორა...“ [5, 402-403]. სიმართლის (Правда) გაგება რუსი ხალხისათვის მინიერ ცხოვრებაში ქრისტიანული ეთიკის ნორმებისა და ღირებულებების გატარება იყო, ხოლო ქრისტიანულ სიმართლესა (სოციალური მონყოობის იდეალური მოდელი) და სოციალურ ემპირიკას შორის შემადგენლობა ერთობელ რგოლს – მეფე (Царь) წარმოადგენდა.

იმპერია რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენია. როგორც წესი, ისინი არ იქმნებიან ერთბაშად და ერთი ხელის დაკვრით. რუსეთის იმპერიულობასაც საფუძველი გაცილებით ადრე ჩაეყარა. იმპერიული იდეოლოგემა – იდეა მართლმადიდებლური სამეფოს შექმნისა, მოსკოვის დიდმა მთავარმა ივანე III-მ (1456-1505 წწ.) დაცემული ბიზანტიისაგან იმემკვიდრა. რუსეთმა ბიზანტიის გერბის, ორთავიანი არწივის – ეკლესიისა და სახელმწიფოს სიმფონიის სიმბოლოს რუსეთში გადმოტანით თავი კონსტანტინოპოლის მემკვიდრედ გამოაცხადა და მესამე რომის ფუნქცია იტვირთა. იდეა – „მოსკოვი მესამე რომია“ არა მხოლოდ იდეოლოგიურ საფუძველად, არამედ თვით რუსული სახელმწიფოებრიობის არსებობის აზრადაც იქცა [4, 108].

ეს ისტორია არ დასრულებულა, მან დღევანდელ რუსეთში გადმონაცვლა. „მესამე რომისა“ და რუსული მესიანიზმის ეს იდეოლოგემა ისევ ცოცხალია. დღესაც ხომ რუსული და პანსლავისტური იმპერიული მესიანიზმის სული ბობოქრობს იქ და ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეს მზირალი იგივე ფრთაგაშლილი ორთავიანი მონსტრი გამოხატავს რუსული ყოვლადმპყრობელობის იგივე დიად იდეას [1, 486]. მაგრამ ამჯერად არ ვაპირებთ რუსული ექსპანსიონიზმის პრობლემების სიღრმისეულ კვლევას. ეს საკითხები კარგად აქვს განხილული პროფესორ ვახტანგ გურულს თავისი აკადემიური დონის ნაშრომებსა და სახელმძღვანელოებში, პროფესორ ოთარ ჯანელიძეს სტატიაში „ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან“, ასევე სხვა ქართველ ავტორებს. რაც შეეხება „მესამე რომის“ იდეოლოგიის განხილვას, მას გავაგრძელებთ. სწორედ ვლადიმირისა და მოსკოვის დიდი მთავრის, ივანე III-ის ძისა და ივანე IV მრისხანის მამის, ვასილი III-ის მმართველობის პერიოდს უკავშირდება ერთი მნიშვნელოვანი და ისტორიკოსებისათვის კარგად ცნობილი რუსული მანუსკრიპტი. ესაა 1515-1521 წლებში ფსკოვის სპასო-ელეაზარის მონასტრის ბერის, უხუცეს ფილოფეის წერილი დიდ მთავარ ვასილი III-თან, რომელშიც „მესამე რომზეა“ მსჯელობა. ამ წერილის მთავარი არსი ისაა, რომ რომაულ სამეფოს ამიერიდან წარმოადგენს რუსი ხელმწიფის სამეფო და ეს სამეფო მთელი მსოფლიოა. „ორი რომი დაეცა, მესამე დგას და მეოთხე რომი აღარ იქნება“, ანუ – „პირველი რომი იყო რომი, მეორე რომი – კონსტანტინოპოლი, მესამე რომი მოსკოვია, და მეოთხე რომი აღარ იქნება“. პავლე მოციქულის მიხედვით კი „რომი – მთელი მსოფლიოა“: – Да вси, Христолюбче и Боголюбче, яко вся християнская царства приидо-

ша в конец и снидошася во едино царство нашего государя, по пророческим книгам, то есть Ромеиское царство: два убо Рима падоша, а третий стоит, а четвертому не быти. Многожды и апостол Павел поминает Рима в посланиих, в толкованиих глаголет: „Рим – весь мир“ [6, 441].

რუსი მეცნიერების, რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლების, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორების, ლიდია ნოვიკოვასა და ირინა სიზემსკაიას შეფასებით, ამ მიმართვაში ფილოფიის მიერ ორი ფუნდამენტალური იდეა იყო გამოხატული, რომელიც ზუსტად ესადაგებოდა იმდროინდელ პოლიტიკურ რეალებს:

1. რუსი ერის ღვთისრჩეულობა, რომელზეც გადმოვიდა ღვთის მადლი; და

2. ბიზანტიისა და რუსეთის სამეფოების მემკვიდრეობითობა [7, 70].

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ რომის საღვთო იმპერიის იმპერატორთან, მაქსიმილიან I-თან 1514 წელს დადებულ ხელშეკრულებაში მოსკოვიტი მთავარი, ვასილი III პირველად იწოდება „Царь“-ად. თუმცა ფორმალურად ეს ტიტული უკვე ვასილი III-ის ძის, ივანე IV მრისხანის მეფობიდან დამკვიდრდა რუსულ ისტორიოგრაფიაში. უფრო საინტერესოა კი ისაა, რომ მოსკოვის რუსეთმა ბიზანტიისაგან მართლმადიდებლური სამყაროს წინამძღოლის როლი 1589 წლამდე, ე.ი. რუსული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მიღებამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე იტვირთა, მას შემდეგ რაც მოსკოვის მიტროპოლიტი პატრიარქის რანგში იქნა აყვანილი და მას მოსკოვის ეკლესიის წინამძღოლის როლი დაეკისრა [8]. ნიშანდობლივია, რომ, მიუხედავად ავტოკეფალიის ფორმალური მოპოვებისა, მოსკოვის ეკლესიას ამ დროისათვის საეპისკოპოსო მმართველობის მთავარი ორგანო – სინოდი არ გააჩნდა. რუსული ეკლესიის სინამდვილეში იგი მხოლოდ 120 წლის შემდეგ, 1701 წლიდან ჩნდება.

თუმცა მესიანიზმს მტკიცება და დასაბუთება არ სჭირდება. ამისათვის მესიანური იდეის აღქმა, დაჯერება და მისი განსაკუთრებულობის უპირობო რწმენაა საჭირო, რაც რუსულ სახელმწიფოებრიობას საკმარისზე მეტი ჰქონდა წარსულშიც და საკმარისზე მეტი აქვს ახლაც. რუსული ყოვლადმპყრობელური სული და განწყობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის პირველი მეფის ივანე IV მრისხანის დროიდან გაცხადდა, როცა რეგალიებში ის იწოდებოდა აგრეთვე, როგორც „Царь Иверийский“ (sic!) [9, 47]. რუსეთის სამე-



ფოს უმაღლესი თვითმპყრობლის აღმნიშვნელი სიტყვის „Царь“ ეტიმოლოგია კი, რომის იმპერიის უმაღლესი მმართველის, კეისრის (Caesar) რუსიფიცირებული ვარიანტია. ამ ტიტულს ატარებდნენ რუსეთის სამეფოს მმართველი „სამოდერჟავეცები“ ივანე IV მრისხანეს დროიდან...

„მოსკოვი მესამე რომიას“ იდეოლოგიემას თავის პირვანდელ ვარიანტში სრულიად განსაზღვრული თეოლოგიური აზრი ჰქონდა... მაგრამ ძალიან მალე მოსკოველმა მეფეებმა ფილოფეის სიტყვებში რაღაც უფრო დიდიც დაინახეს: მოსკოვის ახალი რელიგიური სტატუსი მას მთელი ქრისტიანული სამყაროს პოლიტიკურ ცენტრად აქცევდა [7, 70]. თუ ამ კონტექსტში განვიხილავთ მოვლენების შემდგომ განვითარებას, რუსეთმა ერთი დიდი ნაბიჯი მაშინ გადადგა, როცა კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ თავი „მესამე რომად“ და მართლმადიდებლობის ბურჯად გამოაცხადა [4, 113].

XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან დაწყებული კი, ველიკოროსებს უკვე ღვთის რჩეული ერისა და მართლმადიდებლურ სამყაროში ბატონობის ამბიციები გაუჩნდათ. აქ წინა პლანზე უკვე ღვთისმეტყველების ხილიასტური<sup>1</sup> მსოფლმხედველობა გამოდის. რუსული მესიანიზმის კონცეფციით, რუსეთს მსოფლიოში განსაკუთრებული ამოცანა აკისრია. იგი უნდა იქცეს ქრისტიან ხალხთა სამყაროეული ძმობის „მიწიერ სამეფოდ“. რუსეთის მეფე წარმოგვესახება ღვთის რჩეულ მმართველად, რომელიც თავს ყოველთა ქრისტიანთა ხელმწიფედ მიიჩნევს და მიზნად ისახავს მსოფლიოს ქრისტიანი ხალხების გაერთიანებას, სამყაროს სხვა ბინადართა მონათვლას, – აღნიშნავს ინგლისელი მკვლევარი პ. დანკინი წიგნში „რუსული მესიანობა: მესამე რომი, რევოლუცია, კომუნიზმი და სხვა“ [4, 108].

თანამედროვე რუსი ისტორიკოსი და პოლიტიკური ექსპერტი (ასეთია მისი ოფიციალური რეგალიები) იაროსლავ ბუტაკოვი კი თავის ნაშრომში „Священная миссия России“, ასე წარმოგვიდგენს ველიკოროსების „ზეციური დანიშნულების“ იდეას: „უკანასკნელი სა-

---

<sup>1</sup> ხილიაზმი (იგივე მილენარიზმი) – საღვთისმეტყველო თეორიაა, რომელიც დედამიწაზე ათასწლოვანი მეფობის მოლოდინს ქადაგებს, როდესაც იესო ქრისტე და ქრისტიანები მსოფლიოს მმართველები იქნებიან. იგი ნეტარების საუფლოა, რომელიც ზოგჯერ მომდევნო ეტაპზე გადასასვლელ გარდამავალ მდგომარეობად, ხანდახან კი აბსოლუტურ ნეტარებად მიიჩნევა. როგორც ხილიაზმის მიმდევრები თვლიან, ათასწლოვანი მეფობის შემდეგ დადგება დიდი განკითხვის დღე, ისტორიის დასასრული და ახალი მუდმივი მდგომარეობა ახალ მიწაზე, ახალი ზეცის ქვეშ.

მი ასეული წლის განმავლობაში, იდეის ძიების გზაზე ხან დასავლეთისაკენ, ხან აღმოსავლეთისაკენ თავიანთი ჩლუნგი თავების ტრიპალიში, რუსულმა ინტელიგენციამ დავიწყებას მისცა რუსული ნაციონალური სულის უდიდესი აღმადგენის ხანა... პეტრეს შემდგომი პერიოდის საზოგადოების მხოლოდ ზოგიერთმა წარმომადგენელმა, ისეთები, როგორც იყვნენ სლავოფილები, შეძლეს დაენახათ მოსკოვის რუსეთსა და „მესამე რომის“ ცნებაში ჩვენი ერის იდეური შემოქმედების მწვერვალი... ჩვენ, ველიკოროსები უნდა ვამაყობდეთ ჩვენი შუა საუკუნეების ისტორიით. მოსკოვის სახელმწიფომ, რომელიც XIV საუკუნის შუახანებში პატარა სამთავროს წარმომადგენდა, სამი საუკუნის შემდეგ ხმელეთის 1/6 დაიკავა. გლობალური მასშტაბებით ამ მცირე ხანში მოსკოვის რუსეთმა საბოლოოდ დაამარცხა სტეპის ბარბაროსები, რომლებიც ათასწლეულების განმავლობაში აოხრებდნენ სლავებს, რითაც თავისდა სასარგებლოდ გადანყვიტა მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი გეოპოლიტიკური დავა. მაგრამ არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ ძლიერებაში გამოიხატებოდა ძველი მოსკოვის დიდება. მოსკოვის რუსეთმა მკაფიოდ და მყარად გაიაზრა თავისი ზეციური დანიშნულება – ყოფილიყო ჭეშმარიტი სარწმუნოების დამცველი დედამიწაზე. რუსეთს წმინდად სჯეროდა, რომ იგი ღვთისგან რჩეული ერი იყო... ბიზანტიის დაცემამ და მოსკოვის სამეფოს აღზევებამ დაარწმუნა რუსი ხალხი თავისი ზეციური მისიის არსში. ჩვენი ეროვნული თვითგამოხატვის მწვერვალი „მოსკოვი მესამე რომია“-ს კონცეფცია გახდა... მსოფლიოში ჭეშმარიტად მართლმადიდებელ სახელმწიფოს მოსკოვის სამეფო წარმომადგენდა. რუსეთი ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც სუფთად და ხელუხლებლად იყო შენარჩუნებული ჭეშმარიტი სარწმუნოება. არსებითად ეს იყო რელიგიური და ნაციონალური გამორჩეულობის გააზრება. ნებისმიერი უცხოელი, ურჯულო თუ ლათინურენოვანი, მოსკოველთა მიერ დაბალი რანგის არსებად განიხილებოდა ველიკოროსებთან შედარებით... მოსკოვის სამეფოს არსებობის პერიოდში ყველაზე უფრო მკაფიოდ იყო გამოხატული რუსული ეროვნული თვითშეგნების მესიანური ხასიათი...“ [10]. კომენტარების გაკეთება ზედმეტად მიგვაჩნია, იმდენად ცხადადაა წარმოდგენილი ამ „ჭეშმარიტად მართლმადიდებელი“ ველიკოროსის იმპერიული და მესიანური ფილოსოფია.

რუსი ერის ღვთისრჩეულობის კონცეფცია უცებ არ გაჩენილა. მან, ძველი დროიდან მოყოლებული, თანდათანობით დაიმკვიდრა ადგილი რუსულ ცნობიერებაში. უფრო მეტიც, მალე თავად მაც-

ხოვარი, იესო ქრისტეც კი რუსი ერის ცნებასთან გაიგივდა. 1912 წლისათვის ცნობილი რუსი ფილოსოფოსი და სამართალმცოდნე, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ევგენი ტრუბეტკოვი წერდა: „ცნობილ ხალხურ გადმოცემაში ქრისტეს საუბარი სამართლებელ ქალთან ასე არის გადმოცემული: „სამართლებელი ქალი ეუბნება მას: როგორ მოგანვდი წყალს, როცა შენ ებრაელი ხარ; ქრისტე კი ასე პასუხობს: ცრუობ, მე სუფთა რუსი ვარ“. ეს თქმულება ყოველთვის შემწყნარებლურ ღიმილს იწვევს ბნელი, გაუნათლებელი უბრალო ხალხის მისამართით. ამავე დროს იგი იმ ნაციონალურ-მესიანისტური ფსიქოლოგიის მთელ არსს გამოხატავს, რაც შეიძლება უფრო მეტადაც კი იტაცებდა განათლებულ და კულტურულ ადამიანებს“ [11].

პირველი ნაბიჯი რუსეთის იმპერიის ჩამოყალიბების გზაზე მოსკოვის სამთავროს მიერ ყაზანის სახანოს დაპყრობა იყო 1552 წელს. მას მოჰყვა ჯერ ვოლგისპირეთისა და შემდეგ ციმბირის კოლონიზაცია, რამაც მოსკოვის დიდი სამთავრო პოლიეთნიკურ რუსეთის სახელმწიფოდ ჩამოაყალიბა. XVII საუკუნის შუა ხანებში რუსეთის კონტროლსა და გავლენას დაექვემდებარა უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილი კიევიტურთ. აღმოსავლეთის მიმართულებით რუსმა პირველმკვლევარებმა წყნარ ოკეანემდე მიაღწიეს და ალიასკის ათვისებასაც შეუდგნენ... XVIII პირველ მეოთხედში, ჩრდილოეთის ხანგრძლივ ომში წარმატებამ რუსეთს შესაძლებლობა მისცა, დაუფლებოდა ბალტიისპირეთს, მომდევნო პერიოდში კი ყირიმსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს. იმპერიის შემადგენლობაში მოექცა ევროპის ვრცელი ტერიტორიები, რომლებიც ადრე რეჩ პოსპოლიტასა და ოსმალეთის სულთანს ექვემდებარებოდა. ლომის წილი მიიღო რუსეთმა პოლონეთის სამეფოს დანაწილებითაც [4, 113].

რუსეთის სახელმწიფოს იმპერიული წელთაღრიცხვა ოფიციალურად 1721 წლიდან იწყება. ამ წელს ჩრდილოეთის ომში გამარჯვების შემდეგ, პეტრე I-მა რუსული „Царь“-ის ტიტული უარყო და დასავლური იმპერატორის სტატუსი მიიღო. იგი რომანოვების დინასტიის უკანასკნელი მეფე და რუსეთის პირველი იმპერატორი გახდა. რუსეთიც იმპერიად იწოდება. მართლმადიდებლური იმპერიული იდეის განმსაზღვრელ ღერძად ამიერიდან ქრისტიანთა ძმობის, მართლმადიდებლური აღმსარებლობის ხალხთა ხსნისა და დაცვის იდეოლოგია გახდა. სწორედ ეს იდეოლოგია ეწინააღმდეგება რუსეთს, რომლის თანახმადაც ახალი მიწების საკუთარ სახელმწიფოში მოქცევა მართლმადიდებელი სამყაროს საზღვრების გაფართოებასა და

მართლმადიდებელი ხალხის რაოდენობრივ ზრდას ნიშნავდა. პეტრე I არ იყო ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი. მას კონსტანტინოპოლის დაცემის (1453 წ.) შემდეგ მოსკოვის რუსეთის მიერ გაცხადებული დოქტრინის – „მოსკოვი – მესამე რომი, მეოთხე აღარ იქნება“ – მხოლოდ პოლიტიკური (უფრო ზუსტად, სამხედრო-პოლიტიკური) ასპექტი აინტერესებდა [12, 23]. ამ მომენტიდან დაწყებული იმპერიის ესქატოლოგიურ<sup>1</sup> მართლმადიდებლურ იდეას ეტატიზმი<sup>2</sup> ჩაენაცვლა, ხოლო რელიგიური და სახელმწიფოებრივი პარადიგმები ერთმანეთს შეერწყა. იმპერიულობის სახელმწიფოებრივი გაგება სულ სხვა პრინციპებს, პირველ რიგში, გეოსტრატეგიულ მიზნებსა და ინტერესებს დაეფუძნა. სარწმუნოებრივმა მოტივმა კი უკანა პლანზე გადაინაცვლა და მართლმადიდებლობა იმპერიულობის ერთადერთი საფუძვლიდან მის ერთ-ერთ ნაწილად იქცა. თუ თავიდან რუსეთის სახელმწიფოებრივი ძლიერება მართლმადიდებლურ გავლენას უკავშირდებოდა, შემდგომ პერიოდში მართლმადიდებლობა სახელმწიფოს ძლიერებაში ჰპოვებდა გამოხატულებას. სახელმწიფო თანდათან საკრალიზებული, ხოლო რუსობა, ეთნიკურის ნაცვლად, სახელმწიფოებრივი მახასიათებელი ხდებოდა [4, 109].

---

<sup>1</sup> ესქატოლოგია – მსოფლმხედველობისა და ღვთისმეტყველების ნაწილია. ესაა მოძღვრება კაცობრიობის უკანასკნელ მოვლენაზე, ცივილიზაციის დასასრულზე. მისტიკურ მოძღვრებებში ესქატოლოგია აღნიშნავს ორდინარული რეალობის დასასრულსა და ღმერთთან შეერთებას. ტრადიციულ რელიგიურ სისტემათა ესქატოლოგიაში განხილულია უკანასკნელი მოვლენები, რომლებიც ნაწინასწარმეტყველება ნმინდა წერილებში და საკრალურ ტექსტებში: მესიის მოსვლა, დიდი სამსჯავრო, ჯოჯოხეთი და სამოთხე. ესქატოლოგია მსოფლიოს ყველა ცივილიზაციის რელიგიურ სისტემათა განუყოფელი ნაწილია, სადაც ოდითგანვე არსებობდა ერთმანეთის მსგავსი მოძღვრება უკანასკნელ, დამამთავრებელ მოვლენაზე, რაც ამკარად მიუთითებს ერთ პრეისტორიულ წყაროზე.

<sup>2</sup> ეტატიზმი – მსოფლმხედველობა და იდეოლოგიაა, რომელიც აწესებს სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და ხედვის პრიმატს. ესაა სახელმწიფოს აბსოლუტუზირების იდეა საზოგადოებაში, სახელმწიფოს ჩარევა საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, სამეცნიერო და სხვა საქმიანობაში. ეტატიზმი საზოგადოების პოლიტიზირების ერთ-ერთი გამოვლინებაა, როდესაც პოლიტიკა რაციონალური ურთიერთქმედების ზღვარს სცდება და ცდილობს განსაზღვროს საზოგადოებრივი ცხოვრების თითოეული სფეროს ფუნქციონირება, რის შედეგადაც ზღუდავს და აფერხებს მას. ეტატიზმი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც უმაღლეს ინსტიტუტს, რომელიც ყველა სხვა ინსტიტუტზე უფრო მაღლა დგას.

ზუსტად აღნიშნავს პროფესორი ვახტანგ გურული: „პეტრე I-მა რუსული სახელმწიფოებრიობა დაამკვიდრა, ამ სიტყვის ფართო გაგებით. განხორციელდა სახელმწიფო ხელისუფლების რეორგანიზაცია, მოწესრიგდა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, მკაცრად განისაზღვრა ყველა სახელმწიფო უწყების კომპეტენცია, დაკანონდა სახელმწიფო მოხელეთა შერჩევის კრიტერიუმები, მოწესრიგდა საგადასახადო სისტემა და სახელმწიფო ხაზინა უმკაცრეს კონტროლს დაექვემდებარა, შეიქმნა ძლიერი არმია და სამხედრო ფლოტი, დიდი ყურადღება მიექცა განათლებისა და მეცნიერების განვითარებას. რუსეთი აზიური სამყაროდან ევროპული სამყაროსკენ დაიძრა, მაგრამ რუსეთის ევროპეიზაცია ვერ შედგა. პეტრე I უმკაცრესი მეთოდებით ცდილობდა რუსული სამყაროს ევროპულ სამყაროდ გადაქცევას. გაირკვა სავალალო ჭეშმარიტება: რუსული სამყაროს ევროპეიზაცია არ სურდა არც საერო და არც საეკლესიო ელიტას. პეტრე I-ს დაუპირისპირდნენ ძირძველი ფეოდალური საგვარეულოები და საეკლესიო იერარქები. რაც მთავარია, რუსული სამყარო არ ეთმობოდა მოსახლეობის უმრავლესობას – გლეხობას“ [12, 13]. პროფესორ ოთარ ჯანელიძის მიხედვით კი: „პეტრე I-დან მოყოლებული, რუსეთი მუდმივად ცდილობდა ქცეულიყო ევროპულ ქვეყნად, ან არადა მიმსგავსებოდა მაინც დანიშნურებულ დასავლელ მეზობლებს. ამ გონიერი მმართველის არაერთი ღონისძიება მიზნად ისახავდა, დაეძლია რუსეთის ჩამორჩენა და იგი გვერდით ამოეყენებინა თავისი დროის ძლიერი და მონინავე სახელმწიფოებისათვის. მიუხედავად ამისა, რუსეთი ვერ გახდა „დასავლეთი“. პეტრე I-ის რეფორმების შედეგად მხოლოდ ის გახდა შესაძლებელი, რომ „რუსეთი ტრანსფორმირებულ, მოდერნიზებულ აღმოსავლეთად გადაქცეულიყო“. პეტრე I-მა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა, რათა თავისი ქვეყნის გავლენა ჩინეთსა და ინდოეთამდე განეგრძო, შთამომავლობას კი ანდერძად დაუტოვა: „მე რუსეთი ნაკადულად ვიხილე, მაგრამ მდინარედ დავტოვე; ჩემი მემკვიდრეები მას ზღვად გადააქცევენ, რომელიც გაანაყოფიერებს გალატაკებულ ევროპას“ [13, 113].

თუ რუსეთის ისტორიას დეტალურად გავაანალიზებთ, ნათლად გამოიკვეთება სახელმწიფოებრივი სტრატეგიების სამი ძირითადი პერიოდი: სამივე სახელმწიფოებრივ სტრატეგიას მკაფიოდ შემოსაზღვრული მისია აქვს და ბრძოლებისა და არეულობების ხანგრძლივი პერიოდით ხასიათდება. პირველი ეძღვნება „რუსული მინებისათვის თავის მოყრას“, რაც მოსკოვის მთავრებმა ოქროს ურ-

დოს მეთოდებით და ამავე ოქროს ურდოს მფარველობით შეასრულეს კიდეც. ეს პერიოდი ივანე მრისხანის ტახტზე ასვლით დასრულდა, რასაც სისხლისმღვრელი რეჟიმის დამყარება და რუსი ერის უბედურება მოჰყვა. მეორე პერიოდი, რომელიც ცარისტულ რეჟიმს მოიცავს, ლოკალურ დაპყრობით ომებს ეძღვნება. მესამე პერიოდში, დაპყრობითი ომების შემდეგ, დაიწყო ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის. შესაბამისად, ადგილობრივი სამხედრო კამპანიები მსოფლიო მასშტაბის კონფლიქტებში გადაიზარდა [14, 140].

რუსული სამყაროს გაფართოებისათვის რუსი ერის მიერ წარმოებულ ომებს კი ზემოხსენებული ფილოფეის პოლიტიკური ფორმულა წარმართავდა... აგრესიული პოლიტიკის დაწყებიდან მთელი ცარისტული პერიოდის განმავლობაში რუსული საზოგადოების ყველა ელემენტი ეთანხმებოდა ამ იდეას და თუ ლიდერი მის განსახორციელებლად ერთ ნაბიჯს მაინც გადადგამდა წინ, მას ყველა სისუსტე, შეცდომა თუ ცოდვა მიეტევებოდა. და, მიუხედავად ამისა, პეტრე I-ის მიერ ჩატარებული სახელმწიფოს სეკულარიზაცია ხალხის შეგნებაში დამკვიდრდა, როგორც სიმართლისაგან უკუსვლა, როგორც უსამართლობის – Кривда-ს გამეფება. ამ მომენტიდან დაწყებული, რუსეთის ისტორიაში შეიძლება აღმოვაჩინოთ რუსული ხილიასტური ინტუიციის დაბადება, რომელიც დედამიწაზე ღვთიური სიმართლის (Божья Правда) რეაბილიტაციისაკენ იყო მიმართული“ – აღნიშნავს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიურ კვლევათა სექტორის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი იგორ ჩინდინი [15, 28]. დავამატებდით, რომ რუსული ხილიასტური ინტუიციის დაბადება არა მხოლოდ დედამიწაზე ღვთიური სიმართლის (Божья Правда) რეაბილიტაციისაკენ იყო მიმართული, არამედ, პირველ რიგში, თვით ამ Божья Правда-ს დიდი მოლოდინით იყო განპირობებული. ყოველივე ამან კი ძალიან მალე შვა რუსულ მართლმადიდებლურ სივრცეში ათასი ჯუზისა და მიმდინარეობის ხილიასტური სექტების გაჩენა.

მალე „მოსკოვი – მესამე რომიას“-ს იდეამ იატაკქვეშეთში გადაინაცვლა და რუსმა ხალხმა იგი დაივიწყა. უხუცესი ფილოფეის მონოდება კი მხოლოდ ზოგიერთი რუსული სექტის, კერძოდ, „ხლისტებისა“<sup>1</sup> და „სტაროობრიადცების“<sup>1</sup> ლიტერატურაში დარჩა. საერ-

---

<sup>1</sup> ხლისტები ან ხრისტოვოვერები (Хлысты, или христововеры) – ერთ-ერთი უძველესი რუსული არაეკლესიური რელიგიური მიმდინარეობა, სექტა, სულიერი ქრისტიანების ექსტატიკური სახესხვაობა, რომელიც XVII საუ-

თო ჯამში, ოფიციალური რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ „წმინდა რუსეთზე“ ოცნებები ანათემას გადაეცა, ხოლო „სტარობრიადცები“ აკრძალულ სექტად გამოცხადდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში XVI საუკუნის ეს მითოლოგემა დაკონსერვდა და რუსული საზოგადოებრივი აზრი მას მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიუბრუნდა [16].

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

კუნეში წარმოიშვა მართლმადიდებელ გლეხთა შორის. მათი თვითდასახელებაა „ღვთის ხალხი“ ან „ქრისტეს სარწმუნოება“. დასახელება „ხლისტები“ წარმოიშვა მათში გავრცელებული თვითგვემის რიტუალისაგან ან სახეშეცვლილი სიტყვისაგან – „ქრისტე“, იმდენად, რამდენადაც ოფიციალური სასულიერო პირები მიუღებლად თვლიდნენ სექტის დასახელებაში იესო ქრისტეს სახელის ხმარებას. „ხლისტა“ სექტის წარმოშობის საკითხში არსებობს რამდენიმე მოსაზრება. პირველი – ესაა დასავლეთეუროპული პროტესტანტული მისტიკური სექტების ზეგავლენა. მეორე – ბულგარელი ბოგომილოვების ზეგავლენა, მათი გავლით კი უფრო ძველი – მანიქეველების ზეგავლენა. მესამე – ხლისტობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც წმინდა რუსული მოვლენა, რომელიც გენეტიკურადაა დაკავშირებული სლავურ კერპთაყვანისმცემლობასა და ეზოთერიზმთან. და მეოთხე – ეს თვალთახედვაც იზიარებს ხლისტა წარმოშობის თვითმყოფადობას, მაგრამ აკავშირებს მას XVII საუკუნის რუსული ქრისტიანული რელიგიური ცხოვრების ზოგიერთ მოვლენასთან. დღეისათვის რუსეთში ხლისტა მცირერიცხოვანი საზოგადოებები არსებობს ტამბოვის, სამარისა და ორენბურგის ოლქებში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში.

<sup>1</sup> სტარობრიადობა (Старобрядчество) – რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაში სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობისა და ორგანიზაციის ერთობლიობა, რომელმაც უარყო 1650-1660 წლებში პატრიარქ ნიკონისა და მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის საეკლესიო რეფორმა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა რუსული ეკლესიის ღვთისმსახურებისა და ბერძნული ეკლესიის, პირველ რიგში კი კონსტანტინოპოლის ეკლესიის ღვთისმსახურების უნიფიკაცია. ღვთისმსახურების ამ რეფორმამ რუსული ეკლესიის განხეთქილება გამოიწვია. „ედინოვერცების“ გარდა, 1905 წლამდე „სტარობრიადცები“ რუსეთის იმპერიაში ოფიციალურად „რასკოლნიკებად“ იწოდებოდნენ. XX საუკუნეში მოსკოვის საპატრიარქოს დამოკიდებულება სტარობრიადცების საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვნად შერბილდა. რუსეთის გარდა, დღეისათვის სტარობრიადცების საზოგადოებები არსებობენ ლატვიაში, ლიტვაში, ესტონეთში, მოლდოვაში, ყაზახეთში, პოლონეთში, ბელარუსში, რუმინეთში, ბულგარეთში, უკრაინაში, აშშ-ში, კანადასა და ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში, ასევე ავსტრალიაში.

1. არჩილ ჩაჩხიანი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, ISBN 999928-72-48-9, თბილისი, 2007.
2. ნ. ბერდიაევი, ერი და კაცობრიობა, თბილისი, „ლომისი“, 1993.
3. Николай Бердяев. Судьба России. Проблема национальности. Национализм и мессианизм. 1918. <http://krotov.info/library/02-b/berdyayev/1918-15-11.html>.
4. ოთარ ჯანელიძე, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში, თბილისი, 2013.
5. Муравьев В. Н., Рев племени/ В. Н. Муравьев// Из глубины, Москва, Правда, 1991.
6. Резников Кирилл Юрьевич Филофей, старец. Послание старца Филофея великому князю Василию. Памятники литературы Древней Руси: Конец XV – первая половина XVI века, т. 6, Москва, 1984.
7. Лидия Новикова, Ирина Сиземская, Идеи мессианизма в русской философии и истории, Российская цивилизация, 1995, <http://ecsocman.hse.ru/data/310/863/1216/006-Novikova.pdf>.
8. Протоиерей Владислав Цыпин, Церковное право, Высшее управление Русской Церкви до конца XVII века, Русская Церковь как часть Константинопольского Патриархата, <http://www.sedmitza.ru/lib/text/432410/>.
9. აკ. ბაქრაძე, რწმენა, თბილისი, 1990.
10. Ярослав Бутаков, Священная миссия России, <http://www.nationalism.org/rnsp/Nacia/Butakov1.htm>.
11. Е. Н. Трубецкой, Старый и новый национальный мессианизм, 1912, <http://folklorus.narod.ru/library/articles/trubetskoy1.html>.
12. ვახტანგ გურული, საქართველო და რუსეთი (მფარველობიდან ანექსიამდე), თბილისი, 2009.
13. ოთარ ჯანელიძე, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში, თბილისი, 2013. Андреас Каппелер, Россия – многонациональная империя. Возникновение. История. Распад, Пер. с нем. С. Червонной, Москва, 2000.
14. ივანე ნანუაშვილი. რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ, თბილისი, 2012.



15. И. В. Чиндин, Революция от социализма или эволюция мессианизма? Институт философии РАН, Вестник ВГУ, Серия: Философия, 2010, <http://www.vestnik.vsu.ru/pdf/phylosophy/2010/01/2010-01-09.pdf>.
16. Сиземская Ирина Николаевна, Идеи национального мессианизма: ловушки и позитивные основания историософской рефлексии // Философская мысль, 2013, № 6, <http://e-notabene.ru/ft/article-642.html>.

**Archil Chachkhiani**

*Doctor of History Colonel, David Agmashenebeli Georgian National Defense Academy*

### **„The Third Rome“ Ideologue**

#### **Summary**

This article reveals the religious, ideological and national (state) aspects of the Third Rome ideologue, which first occurred in the XVI century within Russian political sphere. This ideologue had originated from the writings of Philophey, the elder monk of the monastery in Pskov; in the period of time 1515-1521, this monk wrote a letter to the Great Prince Vassili III, concerning the idea of the „Third Rome.“ The essence of the ideologue is that from those times and then, the Rome would be replaced by the Russian Kingdom and this kingdom undoubtedly would cover the whole world.

Conceptually, this article discusses three periods of those strategies, based on the Third Rome ideologue, which the Moscow Principdom and Russian Kingdom used in the relations with the neighbouring countries. Those three periods are: staged disturbances, local annexionist wars, and world-wide conflicts. The wars conducted by the Russian nation in order to extend the borders of the Russian world were ideologically based on the political phormula of the monk Philophey.

**„მესამე რომი“ და რუსული „რევოლუციური  
მესიანიზმის“ იდეოლოგია**

პეტერბურგის პერიოდმა (XVIII საუკუნე) განამტკიცა რუსული სახელმწიფოებრიობის კულტურულ-ისტორიული, ცივილიზებული და არა ნაციონალურ-ეთნიკური ხასიათი, რასაც თან ახლდა რუსი ხალხის, როგორც ერთა „სულიერი წინამძღოლის“ გამაერთიანებელი როლი. ამ პერიოდის რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკა ისტორიულად თავის თავში მოიცავდა მესიანისტურ და იმპერიულ სანყისებს. XIX საუკუნისათვის კონკრეტულ-ისტორიულ და იდეურ-რელიგიურ გარემოებებს სლავური ერთიანობის პოლიტიკური ასპექტიც მიემატა [1, 142]. „ისტორია მოუწოდებს რუსეთს, რომ მსოფლიოს იგი განმანათლებლის როლში მოევლინოს. ისტორია რუსეთს ამის სრულ და ამომწურავ უფლებას აძლევს“ – უკვე XIX საუკუნის დასაწყისში ირწმუნებოდა ცნობილი რუსი ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, პოეტი და პუბლიცისტი, სლავიანოფილობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ალექსეი ხომიაკოვი [2, 174]. ხომიაკოვის პუბლიცისტიკასა და ფილოსოფიურ-ისტორიულ კვლევებში („Записки о всемирной истории“) რუსეთის ისტორიული განსაკუთრებულობის იდეას ცენტრალური ადგილი უკავია, ამასთან რელიგიური პროვიდენციალიზმი მასთან მნიშვნელოვნადაა შერბილებული და ხაზგასმულია ხალხთა ბედის ეთნოგრაფიული სანყისების მნიშვნელობა. ისტორიის ხომიაკოვისეულ ხედვაში, ისევე როგორც მთლიანად სლავიანოფილურ ფილოსოფიაში, მესიანიზმის იდეოლოგიის გარკვეული ძვრები შეინიშნება მისიონერობისაკენ. სლავიანოფილები დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ როგორც ქრისტიანებმა შეიტანეს ახალი მუხტი დაფხავებული ანტიკური სამყაროს ისტორიაში, ასევე ახლაც, თანამედროვე ევროპის გადარჩენა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ ისტორიულ ავანსცენაზე ახალი ძალებით აღსავსე ერი გამოვიდოდა. ასეთ ერად კი, სლავიანოფილები, რა თქმა უნდა, რუს ერს მიიჩნევდნენ. ევროპაში გამარჯვებულ რაციონალიზმსა და რუსი ერის მიერ დაცულ ჭეშმარიტ ქრისტიანობას შორის არ-

სებულ პრინციპულ განსხვავებებს კი, ისინი განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს [3, 392].

რუსული მესიანიზმის პრობლემების კვლევასა და ისტორიული განვითარების კანონზომიერებებს ეძღვნება ცნობილი ისტორიკოსისა და სოციოლოგის, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორის, მანუელ სარქისიანცის ნაშრომი. მისი მონოგრაფია „Россия и мессианизм“ ამ თემით დაინტერესებული მკითხველისათვის ნამდვილ გზამკვლევს წარმოადგენს. სარქისიანცი წერს: „სლავიანოფილების ყველაზე დიდ მოწინააღმდეგეს ალბათ ჩაადაევი წარმოადგენდა. მისი აზრით, ისტორიული პროცესების განვითარება ღვთის საუფლოს მოახლოებას ნიშნავდა. ამ პროცესის განხორციელებას იგი კათოლიკურ, შუასაუკუნეების დასავლეთევროპულ სინამდვილეში ხედავდა და შესაბამისად უარყოფდა რუსულ ისტორიულ და რელიგიურ ტრადიციებს. ყოველივე ამან კი იგი რუსული ვესტენიზმის ფუძემდებლად აქცია. უარყოფდა რა რუსულ სინამდვილეს, ჩაადაევმა რუსულ რევოლუციურ რადიკალიზმს ჩაუყარა საფუძველი. თუმცა, უარყოფდა რა რუსეთის წარსულსა და რუსულ ტრადიციებს, იგი მაინც რუსეთის მესიანური მომავლის გამარჯვების მოლოდინში რჩებოდა. მისი აზრით, რუსები იმ ერებს მიეკუთვნებოდნენ, რომლებიც როგორღაც არ შედიოდნენ კაცობრიობის შემადგენლობაში და მხოლოდ იმისათვის ცხოვრობდნენ, რომ ქვეყნიერებისათვის დიადი სიახლე ეხარებინათ – „Мы призваны решить большую часть проблем социального порядка... возникших в старых обществах... мы предназначены быть... совестным судом по многим тяжбам... перед великими трибуналами человеческого духа“. 1835 წელს ტურგენევისადმი გაგზავნილ წერილში იგი რუსეთზე, როგორც დასავლეთის მასწავლებელზე, ისე საუბრობდა. რუსეთი არა ეროვნულ პოლიტიკას, არამედ კაცობრიობის პოლიტიკას გაატარებს, უფრო მეტიც, იგი კაცობრიობის საიდუმლოებას ამოხსნის, – ამბობდა იგი. „რუსეთი სხვანაირად განვითარდება, ვიდრე ევროპა, ჩვენ განსაკუთრებული მსოფლიო-ისტორიული მისია გვაკისრია – ვასწავლოთ სხვებს“ [4]. „საქმე იმაშია, რომ ჩვენ არასდროს არ მივაბიჯებდით სხვა ხალხებთან ერთად, – წერდა ჩაადაევი, – ჩვენ არ ვეკუთვნით ადამიანთა მოდგმის აქამდე ცნობილ არც ერთ შტოს, არც აღმოსავლეთს, არც დასავლეთს. ჩვენ არც მათი ტრადიციები გავგაჩნია. ჩვენ გარკვეულწილად დროის გარეთ ვდგავართ, ადამიანთა მოდგმის მსოფლიო აღზრდა ჩვენზე არ ვრცელდება“ [5, 18].

რუსულმა შოვინისტურმა და იმპერიალისტურმა აზროვნებამ პიკს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიაღწია, რაც სრულყოფილადაა გადმოცემული ცნობილი რუსი პოეტის, პუბლიცისტისა და დიპლომატის, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ფიოდორ ტიუტჩევის მიერ 1848 წელს დაწერილ ლექსში „რუსული გეოგრაფია“. სტრიქონები ამ ლექსიდან:

Москва и град Петров и Константинов град –  
Вот царство русского... заветные столицы...  
Но где предел ему? И где его границы –  
На север, на восток, на юг и на закат?  
Грядущим временем морей и сем великих рек...  
От Нила до Невы, от Эльбы до Китая,  
От Волги до Евфрата, от Ганга до Дуная...  
Вот царство русское... и не придёт во век,  
Как то провидел Дух и Даниил предрек [6, 118].

კომენტატორების განმარტებით, „Град Петров“-ში არა პეტროგრადი, პეტრე I-ის ქალაქი, არამედ რომია ნაგულისხმევი – წმინდა პეტრე მოციქულის ქალაქი“ [7, 47]. რუსულ ოფიციალურ კი XX საუკუნის დასაწყისიდან კონსტანტინოპოლი „Царьград“-ად იწოდება. აი ასე – არც მეტი, არც ნაკლები. ცხადია, დანიელ წინასწარმეტყველთან არავითარ რუსეთზე ლაპარაკიც არ არის. არავითარი საფუძველი არა გვაქვს იმისათვის, რომ დავუშვათ, თითქოს ტიუტჩევი იცნობდა ზემოხსენებული ფილოფეის „მოდღვრებას“. და, მიუხედავად ამისა, მათ ნააზრევებში მსგავსება გამოგნებელია. ამასთან ერთად, „რუსულ გეოგრაფიაში“, რასაც ფილოფეისთან არა აქვს ადგილი, უკვე შეიმჩნევა „ველიკოდერჟავული მესიანიზმის“ გეოპოლიტიკური და იმპერიალისტური შტრიხები.

ტიუტჩევის პარალელურად ვითარდებოდა გერცენის ფილოსოფიაც. გერცენი შეცდომით მიიჩნევდა ჩაადაევს რევოლუციონერად, ხოლო თავად მისი რადიკალური რევოლუციური ვესტერნიზმისა და სლავიანოფილური მესიანიზმის სინთეზი მემარცხენე ნაროდნიკობას დაედო საფუძვლად. ამან კი ირიბი გავლენა იქონია ყველა მიმართულების რუსეთის რევოლუციურ აზრზე. 1854 წელს იგი წერდა: „...Если социализм не в состоянии будет доконать вырождающийся общественный строй [Европы], его доконает Россия... Вопрос социальный, вопрос русский... сводится к одному“. გერცენისათვის რუსული მესიანიზმი რუსი გლეხისათვის დამახასიათებელ იდეას წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით იგი თავის ახლო მეგობარს, მი-

ხაილ ბაკუნინს ეხმიანება. ბაკუნინისათვის დამახასიათებელი სლავების რევოლუციური მისიის რწმენა, ბევრის აზრით, სლავიანოფილობის რევოლუციურ სახეცვლილებას წარმოადგენდა. ამავე დროს, საბჭოთა მკვლევარები ბაკუნინს ბოლშევიზმის წინამორბედადაც განიხილავდნენ, რომელიც უხვად იყო გაჯერებული ხილიასტური მოლოდინებით. ბაკუნინს „მსოფლიო რევოლუციის“ ხილიასტური იმედები ასულდგმულედა, რომელიც აღმოსავლეთიდან მოვიდოდა და არა დასავლეთიდან. ბაკუნინი თვლიდა, რომ რუსი ხალხი დაბადებით რევოლუციონერი იყო – სოციალისტი „ინსტინქტით“ და რევოლუციონერი „ბუნებით“ [4].

მაგრამ რუსული მესიანიზმის ყველაზე ცნობილი და ამავე დროს ყველაზე გენიალური აპოლოგეტი უდავოდ ფიოდორ დოსტოევსკი გახლდათ, პოლონური წარმომავლობის დიდი რუსი მოაზროვნე და ფილოსოფოსი, მწერალი და პუბლიცისტი. სწორედ დოსტოევსკისთან იღებს რუსული ნაციონალიზმი, ანუ მესიანიზმი, უნივერსალურ, თანამედროვე გაგებით, „ინტერნაციონალისტურ“ ყღერადას. იგი ამბობდა: „ევროპაზე უარის თქმა არაფრით არ შეიძლება... ევროპა ჩვენთვის ისევე ძვირფასია, როგორც რუსეთი. მასშია იაფეტის მთელი მოდგმა, ჩვენი იდეა კი არა მხოლოდ ამ ერების გაერთიანებაში მდგომარეობს, არამედ უფრო შორსაც მიდის – სემამდე და ქამამდე... თუ ზოგადკაცობრიული იდეა რუსული ნაციონალური იდეაა... მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ყველა რუსად უნდა იქცეს...“ [4]. აი, ასე, არც მეტი, არც ნაკლები. XIX საუკუნის ბოლოდან რუსული მესიანიზმის იდეოლოგები და, პირველ რიგში, გენიალური დოსტოევსკი არა მარტო იაფეტის ნაშიერთა გაერთიანების, არამედ სემისა და ქამის მთელი მოდგმის, ანუ მთელი კაცობრიობის „გადარჩენისა“ და ასიმილაციის აუცილებლობაზე ლაღადებდა. დოსტოევსკის აზრით, რუსეთის ევროპეიზაცია, რომელსაც პეტრე I ახორციელებდა, ძველი მოსკოვის სახელმწიფო იდეა და მართლმადიდებლური ტრადიცია, ყველაფერი, რაც მესამე რომის მისიას შეადგენდა – უნივერსალურ, ზოგადკაცობრიულ იდეას წარმოადგენდა: „Один лишь русский, даже в наше время, то есть гораздо еще раньше, чем будет подведен всеобщий итог, получил уже способность становиться наиболее русским именно лишь тогда, когда он наиболее европеец. Это и есть самое существенное национальное различие наше от всех, и у нас на этот счет – как нигде. Я во Франции – француз, с немцем – немец, с древним греком – грек и тем самым наиболее русский. Тем самым я – настоящий русский и наиболее служу для России, ибо выставляю ее

главную мысль“ [4]; და იქვე: „Православие и славянство. Константинополь как столица России немислим, а Константинополь как столица православия – должен. Православие и Россия как старший элемент его“ [8, 216]. ამ იდეებს დოსტოევსკი ჯერ კიდევ 1876 წელს ქადაგებდა.

სლავიანოფილობისა და ეკუმენიზმის გაერთიანებაზე საუბრობს „მესამე რომის“ კონცეფციის განხილვისას XIX საუკუნის მიწურულის ცნობილი რუსი ფილოსოფოსი და მისტიკოსი, პოეტი და პუბლიცისტი, რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, სოლოვიოვიც. იგი XX საუკუნის დასაწყისის რუსული „სულიერი აღორძინების“ თეორიის ფუძემდებლად და ნ. ბერდიაევის, ს. ბულგაკოვის, ე. ტრუბეცკოის, ს. ფრანკის, ა. ბელის, ა. ბლოკისა და სხვათა რელიგიური ფილოსოფიის ორიენტირად ითვლება:

Судьбою павшей Византии  
Мы научиться не хотим,  
И всё твердят льстецы России:  
Ты – третий Рим, ты – третий Рим ...  
Смирится в трепете и страхе,  
Кто мог завет любви забыть...  
И третий Рим лежит во прахе,  
А уж четвертому не быть [9, 43].

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის დასასრულის რუსული საზოგადოების მოაზროვნე ფენა და მონინავე ინტელიგენცია სრულად იზიარებდა „მესამე რომის“ კონცეპტუალურ ღირებულებებს.

ასეთივე წარმატებით მიმდინარეობდა ამ ღირებულებების გენერირება XX საუკუნის დასაწყისშიც. სოლოვიოვის მეგობარი, თავადი ნიკოლაი ტრუბეცკოი ცდებოდა, როცა XX საუკუნის პირველ დეკადაში ამბობდა, რომ რუსეთის ნაციონალურმა მესიანიზმმა 1912 წლისათვის თავისი დრო მოჰჭამა. 1905 წლის „სისხლიანმა კვირამ“ ყველაფერი შეცვალა. მღვდელ გიორგი გაპონის წინამძღოლობით მოწყობილი დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ ხალხის წარმოდგენაში მეფე (Правда), როგორც სიმართლის სახება, დაიმსხვრა. მეფის (Правда) პოზიციები შეიერყა. რუსი ხალხის ხილიასტურმა მოლოდინებმა ძველი ფორმა დაკარგა და მათთვის აქტუალური ახალი ფორმების ძიება გახდა... და აი, „ცარისტული კენოთიკური ქარიზმა პროლეტარიატის მესიანურ მითში ტრანსფორმირდა“ [10, 50]. რუსი ხალხის ცნობიერებაში მეფე (Правда), როგორც სიმართლის სახება,

მართალია, შეირყა, მაგრამ უსამართლობის (Кривда) ზეობაც ჯერ არ დაწყებულიყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარი რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური „მოდერნიზაციის“ რთული პროცესების დასაწყისად იქცა, რაც საერთო ჯამში თვითმპყრობელობის ლიკვიდაციით დასრულდა 1917 წელს. იმ წინააღმდეგობებმა, რაც არსებობდა იმპერიაში და ვერ გადაიჭრა ევოლუციურად (მინის საკითხი, პოლიტიკური უფლებები, სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობის გარდაქმნის მეთოდები), საზოგადოება კრიზისამდე მიიყვანა, რისი გადაწყვეტაც საბოლოოდ რევოლუციის გზით მოხერხდა. „ბევრ ისტორიულ მოვლენას არ მოუხდენია მსოფლიოზე ისეთი დიდი ზეგავლენა, როგორიც ბოლშევიკურმა რევოლუციამ მოახდინა, – წერდა ამერიკელი ისტორიკოსი სამუელ ბეირონი (S. Baron) თავის ნაშრომში „Plekhanov: The Father of Russian Marxism“, – რომ გავიგოთ ამ უდიდესი მოვლენის არსი, ყურადღება უნდა მივაქციოთ მის წინმსწრებ პროცესებს, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მთელ საუკუნეს, იმ იდეას, რომლითაც სულდგმულობდა იგი და ინტელიგენციას, რომელიც ამ იდეებს ქმნიდა, ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდა [11, 7]. რუსულ ცნობიერებაში მეფე-Царь-ისა (Правда) და სამართლიანობის რწმენა კვდება და უსამართლობის (Кривда) ეპოქა იწყება. უსამართლობას კი უნდა ებრძოლო და ისევ სამართლიანობის აღდგენას უნდა შეეცადო. ასე აღზევდა რუსეთში ახალი მოძღვრება, რომლის მიხედვითაც რუსული სამართლიანობის დამყარების მიძიმე ამოცანა პროლეტარ მისიონერებს უნდა ეტვირთათ თავს. ყოველივე ეს კი ძალიან კარგად მოერგო რუსულ მესიანისტურ იდეას. ამ ფენომენტთან დაკავშირებით პროფესორმა იგორ ჩინდინმა ზუსტად აღნიშნა, რომ „რუსული კულტურის ყველა მესიანური და ხილიასტური მოლოდინებიდან გამომდინარე, რომლის სულიერ მემკვიდრეობასაც მარქსიზმი წარმოადგენდა, შეიძლება ითქვას, რომ წითელმა ოქტომბერმა ბოლოს და ბოლოს ძალიან ბუნებრივად მოახდინა აღელვებული რუსი სიმართლისმაძიებლების სულიერი ანაორთქლის კრისტალიზაცია და გაფორმება“ [12]. რუსი ხალხის ისტორიაში ახალი მეფის (Царь), ე.ი. სიმართლის (Правда) ძიების ხანა იწყებოდა. ერთიც და მეორეც იმხანად ევროპაში მოღვაწეობდნენ. ერთი სხეულს მოცილებული პროლეტარული რევოლუციის გონი იყო, მეორე კი ამ გონის სიტყვიერი განსხეულება. ჯერჯერობით კი, შვეიცარიაში თავშეფარებული

ახალი „მეფე“ და მისი „სიმართლე“ ძალებს იკრებდნენ და ეპოქალური გარდაქმნებისათვის ემზადებოდნენ. მკითხველი, ალბათ ხვდება, რომ აქ ლენინსა და მის რევოლუციურ ფილოსოფიაზეა საუბარი, „სულიერ სილატაკეში ამოზრდილ ბოლშევიზმზე“. ლენინმა საზოგადოებას ბოლშევიკთა მოქმედების იდეოლოგიად მარქსიზმი და ლენინიზმი, ხოლო იდეის ხორცშესხმის ინსტრუმენტად კლასთა ბრძოლისა და სოციალისტური რევოლუციის კონცეფციები შესთავაზა.

მართალი იყო ბერდიაევი, როდესაც 1916 წელს აცხადებდა, რომ ომი აუცილებლად წამოსწევდა წინა პლანზე რუსული მესიანიზმის პრობლემას. იგი ამბობდა, რომ ევროპის დასასრულის დადგომასთან ერთად გადამწყვეტ სულიერ ძალად ისტორიულ ავანსცენაზე რუსეთი გამოვიდოდა, რომელიც კაცობრიობის გასაერთიანებლად გადამწყვეტ როლს ითამაშებდა. და მართლაც, ის, რომ მესიანური გრძნობა რუსული თვითშეგნების ღრმა არქეტიპს წარმოადგენს, კიდევ ერთხელ დაადასტურა XX საუკუნემ. მაშინ ბოლშევიკები, საკუთარი პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ შეეცადნენ, მიეცათ კომუნისტური რევოლუციისათვის მესიანური ხასიათი... ეჭვგარეშეა, რომ რუსი ხალხის მიერ სოციალიზმი აღქმულ იქნა, როგორც სიმართლისა და სამართლიანობის ნათელი სამეფო, რომლისკენ მიმავალ გზაზეც გმირული წვა იყო საჭირო, რაც საბოლოოდ თავის ნაყოფს უკვე ამქვეყნიურ ცხოვრებაში გამოიღებდა. და უკანასკნელ დრომდე რუს ხალხს სჯეროდა, რომ სოციალისტური რევოლუციის გამოისობით, იგი კაცობრიობის პროგრესის ავანგარდში იმყოფებოდა [13].

თუმცა, ბერდიაევისეულ „კომუნისტური რევოლუციის მესიანურ ხასიათს“ ეწინააღმდეგებოდა მისივე თანამედროვე, ცნობილი რუსი ფილოსოფოსი, მწერალი და პუბლიცისტი, ივან ილინი, როცა წერდა, რომ „ხალხი ფიცისგან გათავისუფლდა და იგი ბედის ანაბარად დარჩა მიტოვებული. ღია კარში ისტორიაში ყველაზე უფრო წყეული ცდუნება შემოვარდა... ისინი მზად იყვნენ, წაეგოთ დიადი ომი, დაეწყოთ ტერორი, ეძარცვათ ყველა და გაენწყვიტათ მმართველი დინასტია არა რაიმე „ბრალის“ გამო, არამედ იმისათვის, რომ მოესპოთ ქვეყანაში არსებული ყოველგვარი მონარქიული სამართლის გაგება“ [14]. ისევ ბერდიაევი: „როგორ გასაკვირადაც არ უნდა ჟღერდეს, ბოლშევიზმი რუსული ველიკოდერჟავოვის, რუსული იმპერიალიზმის მესამე გამოვლინებაა. პირველი გამოვლინება მოსკოვის სამეფო იყო, მეორისა – პეტრეს იმპერია. ბოლშევიზმი – ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს მომხრედ გამოდის. მოხ-



და ნებისა და სოციალური სიმართლის შეერთება ნებასა და სახელმწიფოებრივ ძლიერებასთან. მეორე ნება უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ბოლშევიზმი რუსეთის ცხოვრებაში როგორც უმაღლესი ხარისხის მილიტარიზებული ძალა, ისე შევიდა. მაგრამ ძველი რუსული სახელმწიფოც ყოველთვის მილიტარიზებული იყო... მათ პოლიციური სახელმწიფო შექმნეს, რომელიც თავისი მართვის საშუალებებით ძალიან ჰგავდა ძველ რუსულ სახელმწიფოს... მოსკოვის სამეფოში და იმპერიაში ხალხს რელიგიური რწმენა აერთიანებდა. ხალხთა მასებისათვის ახალი საერთო რწმენა კი ელემენტარულ სიმბოლოებში უნდა ყოფილიყო გამოხატული. რუსულად ტრანსფორმირებული მარქსიზმი ამისათვის სრულიად მისაღები აღმოჩნდა“ [15].

ალსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ პარადოქსს რუსეთისა და რუსული რევოლუციის ბედის შესახებ ბერდიაევისათვის წარმოადგენდა ის, რომ ლიბერალური იდეები და სამართლის საკითხები, ისევე როგორც სოციალური რეფორმიზმის იდეა, რუსეთის სინამდვილეში უტოპიური აღმოჩნდა. თავად „რუსულ მესიანიზმს“ კი ბერდიაევი გაუაზრებელ, ბნელ სტიქიად ნათლავდა: „რუსული სტიქია ბნელი რჩება, რომელიც გმირული შეგნებით არაა გაფორმებული. რუსული სული არც თუ ისე იშვიათად განიცდის გაუაზრებელ, ბნელ მესიანიზმს. ასე იყო ბაკუნინთან, რომელიც თავისებურად ხსნიდა სლავურ მესიანიზმს. ასე იყო ზოგიერთ რუს ანარქისტთან და რევოლუციონერთანაც, რომლებსაც სჯეროდათ მსოფლიო ხანძრისა, საიდანაც სასწაულებრივად უნდა დაბადებულიყო ახალი ცხოვრება და რუსი ხალხისაც, რომელიც ხედავდა იმ მესიას, რომელიც ამ ხანძარს ააგიზგიზებდა და მსოფლიოს ამ ახალ ცხოვრებას მოუტანდა... ყველაზე საოცარ და მრავალფეროვან ფორმებში რუსული სული გამოხატავს თავის სანუკვარ იდეას მთელი კაცობრიობის ახალი ცხოვრებისათვის. ამ იდეით, ჭეშმარიტად მესიანური იდეითაა შთაგონებული ბაკუნინი და რუსი სოციალისტი ნ. ფ. ფიოდოროვი, რუსი სექტანტი დოსტოევსკი, და ვლ. სოლოვიოვი. მაგრამ ეს რუსული მესიანიზმი არაა გამსჭვალული შეგნების სინათლით, არაა გაფორმებული მამაცური ნებით. უნდა ვაღიაროთ, რომ რუსული მესიანიზმი არ შეიძლება იყოს პრეტენზია თვითდამკვიდრებისათვის, იგი შეიძლება სულის წვა იყოს, დიდი სულიერი აღმადგენა მთელი მსოფლიოს ახალი ცხოვრებისათვის“ [16].

ბერდიაევის მსგავსი პოზიციები ეკავა მეორე რუს ემიგრანტ ისტორიკოსსა და პუბლიცისტს, მარკ სლონიმსაც. თავის აკადემიურ კვლევაში „Русские предтечи большевизма“, რომელიც 1922 წელს ბერ-

ლინშია გამოცემული, იგი წერს: „ჩვენთვის ნათელია, რომ რუსულ საზოგადოებაში ფართოდ იყო გავრცელებული სოციალური და ლოგიკური მაქსიმალიზმის ელემენტები, რუსული რევოლუციის სოციალური ხასიათისა და რუსული მესიანიზმის რწმენა. ეს უკანასკნელი სულ სხვადასხვა ფორმას იღებდა. ხანდახან იგი იღებდა რეაქციული მესიანიზმის ფორმას – მაგალითად, სლავიანოფილესა და ნაციონალისტებში, დანყებული ტიუტჩევიდან და დოსტოევსკიდან, და დამთავრებული მერეჟკოვსკით. ხანდახან იგი, გერცენითა და ალ. ბლოკით შთაგონებული, ანდრეი ბელის რევოლუციურ მესიანიზმად გარდაიქმნებოდა. მეტად ნიშანდობლივია ისიც, რომ მოცემულ მომენტში ბოლშევიზმისადმი სიმპათიით არიან განწყობილნი ზოგიერთი რუსული, სუფთად ნაციონალისტურად განწყობილი დაჯგუფებები და არც სლავიანოფილური ბოლშევიზმის გამოვლინებებია იშვიათი: ყოველივე ეს რევოლუციური და ნაციონალური მესიანიზმის, ამ ორი მონათესავე იდეის დაახლოების შედეგია... დიდი ძალისხმევა არ არის იმისათვის საჭირო, რომ ბოლშევიკური იდეოლოგიის ფესვებს რუსული აზროვნების ისტორიაში მივაკვლიოთ“ [17, 94].

ბოლშევიკური იდეოლოგია კი რუსული აზროვნების დარად ვითარდებოდა – ტერიტორიული განფენილობით ბოლშევიკურ სამოთხეს ცარისტული იმპერიის „დაკარგული“ მიწები უნდა „აეკრიფა“ და შემდგომი ექსპანსია გაეგრძელებინა. ამ ამბებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ „მინიერი საუფლო“, ანუ მოდერნიზებული, ბოლშევიკური რუსული იმპერიის გეოგრაფიული არეალი იზრდება და იგი უკვე „ოკეანიდან ოკეანემდე“ უნდა გავრცელებულიყო. ბოლშევიკური იმპერიის ერთგული შვილები კი მზადყოფნას აცხადებდნენ, რომ იმ „სამშობლოსათვის“ ბრძოლებში დაეღლიათ სული, რომელიც იაპონიიდან ინგლისამდე იქნებოდა გადაჭიმული. უსაზღვრო „დერჟავას“ ასე უმღეროდა საბჭოთა პოეზია:

Есть в наших днях такая точность,  
 Что мальчики иных веков,  
 Наверно, будут плакать ночью  
 О времени большевиков...  
 Но мы еще дойдем до Ганга,  
 Но мы еще умрем в боях,  
 Чтоб от Японии до Англии  
 Сияла Родина моя [18, 154].

საერთო ჯამში, მოსკოვის, როგორც მესამე რომის დოქტრინა, მოსკოვის სამეფოს იდეოლოგიურ ბაზისად იქცა. ეს სამეფო იკრი-

ბებოდა და ფორმირდებოდა მესიანური იდეის სიმბოლიკის ქვეშ. ჭეშმარიტი სამეფოს ძიება დამახასიათებელ შტრიხად იქცა რუსი ხალხის მთელი ისტორიისათვის და რუსული სამეფოსადმი კუთვნილება ისაზღვრებოდა ჭეშმარიტი მართლმადიდებლური რწმენის ქადაგებით. ზუსტად ასევე, საბჭოთა რუსეთთან მიმართებაშიც, რუსულ კომუნისტურ სამეფოსთან კუთვნილების საკითხი განისაზღვრებოდა ორთოდოქსალურ-კომუნისტური რწმენის ქადაგებით“ [15]. ბერდიაევი აღნიშნავდა, რომ თავისი წარმომავლობით არარუსულმა მარქსიზმმა რუსეთში რუსული და უფრო მეტიც, აღმოსავლური შტრიხები შეიძინა. იგი საბჭოთა იმპერიას „გაუკუღმართებულ თეოკრატias“ (Извращенная теократия) უწოდებდა. თუმცა იგივე იდეასთან დაკავშირებით გერონტი ქიქოძე წერდა: „რუსული ნაციონალიზმისა და მესიანიზმის საფუძველი უფრო პოლიტიკური იყო, ვიდრე ისტორიულ-ფილოსოფიური. მისტიკური ბუნების მიუხედავად, მას საგრძნობლად უდიოდა ყაზახური (აქ „კაზაკური“ უნდა ნავიკითხოთ – ა. ჩ.) ჩექმების სუნი“ [19, 173].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხილიაზმი რუსული არაკანონიკური რელიგიური აზროვნების განუყოფელ ნაწილს შეადგენდა („რუსული კომუნიზმი“), რითაც ხელსაყრელ ატმოსფეროს ქმნიდა რუსეთში მარქსისტული იდეების გაძლიერებისა და შემდგომი განვითარებისათვის. „რუსეთის სიღრმეებში მილიონობით ადამიანია, რომლებიც სხვა სახის, კომუნისტური ცხოვრებისათვის არიან მზად. ამ ხალხს, რაოდენ გასაკვირი სახელითაც არ უნდა მოიხსენიებდნენ მათ, საშუალება უნდა მიეცეთ, რომ იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ. მაშინ ისინი თავის საკუთარ, დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებულ რუსულ კომუნიზმს ააშენებენ“ – ბ. ბონჩ-ბრუევიჩის თეზისზე მითითებით წერს ა. ეტკინდი თავის ნაშრომში „Хлыст: секты, литература и революция“, რომელიც რუსული სექტანტური მოძრაობისადმი არის მიძღვნილი [20, 649]. 1925 წელს ჰანს მიულენშტიინი აღნიშნავდა, რომ დასავლური სოციალური თეორიები და, პირველ რიგში, მარქსიზმი, რუსული აზროვნების მიერ ხილიასტურ კონტექსტში იქნა შეთვისებული. ბოლშევიზმის იდეოლოგიური საფუძვლები რუსული სულიერი ისტორიის გაგრძელებად იქცა. ნიკოლაი ფონ ბუზნოვი კი იმის შესახებ წერდა, რომ ლენინმა შეძლო და შესაბამის კალაპოტში მიმართა ხალხის ესქატოლოგიური მოლოდინები [21, 55]. სწორედ ასეთი და ამის მსგავსი იდეების რეზიუმირების საფუძველზე ასკვნის ბერდიაევი: „კომუნიზმი რუსული მოვლენაა, მიუხედავად მისი მარქსისტული იდეოლოგიისა... პროლეტარიატის მისიასთან და-

კავშირებული მარქსიზმის მესიანისტური იდეა რუსულ მესიანისტურ იდეასთან შეერთდა და გაიგივდა“ [22, 215-216]. ფაქტი ისაა, რომ რუსული მესიანისტური სულის განდიდების გზაზე ოქტომბრის რუსეთმა დამატებით კიდევ ერთი ნაბიჯი მაშინ გადადგა წინ, როცა ბოლშევიკური იდეოლოგიით, ლენინიზმით აღჭურვილმა, სრულიად ახალი რამ – „რევოლუციური მესიანისმი“ იტვირთა თავს. ამ მოძღვრების – „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ მთავარ აპოლოგეტებად ბოლშევიკი ლიდერები, ვლადიმირ ულიანოვ-ლენინი და ლევ ბრონშტეინ-ტროცკი მოგვევლინნენ. ისინი ღრმად იყვნენ იმაში დარწმუნებულნი, რომ მალე დადგებოდა დრო, როცა პროლეტარი მისიონერები თავის საქმეს გააკეთებდნენ და პროლეტარული რევოლუცია მთელს პლანეტაზე გაიმარჯვებდა.

ისტორია გვასწავლის, რომ ბოლშევიკებმა მინაზე დაგდებული ხელისუფლება „აიტაცეს“. ცნობილი რუსი ფილოსოფოსი და ღვთისმსახური, სერგეი ბულგაკოვი თავის „დილოგებში“, რომელიც 1918 წლის აპრილ-მაისით თარიღდება, წერდა: „საქმე იმაშია, რომ რევოლუცია ჩვენში არც არავის მოუხდენია და არც არავინ მოელოდა მის ასე სწრაფად დადგომას. იგი თავისთავად, სტიქიურად მოხდა. უკვე დიდი ხნის წინ მომპალი ტახტი მოიჩუა და დაიშალა, მის ადგილას კი არაფერი, დიახ, სრულიად არაფერი აღარ დარჩა. ამაში მდგომარეობდა, ჩემის აზრით, თვითმპყრობელობის ფანატისკოსთა მთავარი ტრაგედია. რევოლუცია ომმა მოიტანა, მისით კი ისარგებლეს როგორც ღირსეულმა, ასევე უღირსმა ხელისუფლებებმა, მოვლენები კი გაუთვალისწინებელი ლოგიკით განვითარდა“ [23, 148]. ივან ილინი კი წერდა: „რუსეთში სწრაფად, რამდენიმე დღეში და ისიც ძალიან ტრაგიკულად და ძალიან უმწეოდ ჩამოიშალა მონარქიული წყობა. ათასწლოვანი კოლოსი დაიშალა. გაქრა სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც ნაციონალურ რუსეთს აშენებდა... დინასტიამ კი არ დაიწყო ბრძოლა თავისი ტახტისათვის, ტახტი დაეცა და არავინ არ აიღო იგი ხელში, არ გაშალა გათელილი დროშა. არავინ არ ამოიღო ხმა, არავინ არ დადგა საჯაროდ მის დასაცავად... მონარქიის ნგრევა თავად რუსეთის ნგრევა იყო. ათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის ფორმა გადავარდა და „რუსული რესპუბლიკის“ მაგივრად, როგორც ამაზე ოცნებობდა მემარცხენე პარტიების რევოლუციური ნახევრადინტელიგენცია, სრულიად რუსული უღირსობა და სულიერი სიღატაკე გამეფდა, როგორც ამას დოსტოევსკი წინასწარმეტყველებდა... ამ სულიერ სიღატაკეში კი ბოლშევიზმი ამოიზარდა...“ [14]. იმავე 1918 წელს ბერდიაევმა რევოლუცი-

ის აპოკალიპტიური მომავალი იწინასწარმეტყველა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ქრისტიანული რუსეთი თავის ძალას წარმოაჩენდა: „ძველი რუსეთი, რომელსაც მრავალ ბოროტებასა და სიმახინჯესთან ერთად, ბევრი სიკეთე და სილამაზე ჰქონდა, კვდება. ახალი რუსეთი, რომელიც სასიკვდილო ტანჯვაში იზადება, ჯერ კიდევ გამოცანად რჩება. იგი არ იქნება ისეთი, როგორც იგი რევოლუციურ მოღვაწეებსა და იდეოლოგებს მიაჩნიათ. იგი არ იქნება მთლიანი თავისი სულიერებით. მასში ძალიან ძლიერად გაიყოფა და ერთმანეთს დაუპირისპირდება ქრისტიანული და ანტიქრისტიანული სანყისები. რევოლუციის ანტიქრისტიანული სულელები თავის ბნელ სამეფოს შობენ. მაგრამ ქრისტიანულმა რუსეთმაც უნდა წარმოაჩინოს თავისი ძალა“ [24]. წინასწარმეტყველური აღმოჩნდა დიდი მოაზროვნის დასკვნები. რუსული რევოლუციის ანტიქრისტიანულმა სულელებმა მართლაც შეეს თავიანთი ბნელი სამეფო და ეს ბნელეთი დღესაც არ გაფანტულა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო... რუსეთის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ბოლშევიკებმა გლობალური პოლიტიკური ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა იგრძნეს. ბევრ მათგანს სჯეროდა, რომ მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება უახლოესი მომავლის საკითხი იყო. ბოლშევიკური გადატრიალების მეორე დღესვე, 1917 წლის 26 ოქტომბერს გამართულ სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობაზე, რევოლუციის „ბოროტი გენია“, ლევ ტროცკი დიდი შთაგონებით აცხადებდა, რომ „ევროპული რევოლუციის გაღვივების საქმეში ჩვენი რევოლუციის იმედები გვაქვს. თუ ევროპის აჯანყებული ხალხები არ გასრესენ იმპერიალიზმს, მაშინ ჩვენ თვითონ გაგვსრესენ – ეს უდავოა. ან რუსული რევოლუცია ააგორებს ბრძოლის ქარიშხალს დასავლეთში, ან თავად ჩვენ დაგვახრჩობენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები“ [25, 272]. 1918 წლის 1 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში კი ლენინი სვერდლოვსა და ტროცკის სწერდა: „...საერთაშორისო რევოლუცია ისე მოგვიახლოვდა... რომ იგი უახლოესი დღეების საკითხია“ [26, 185].

ხელისუფლებაში მოსვლიდან სულ მცირე ხანში, კარგად გათამაშებული მოკლევადიანი დემოკრატიული პრელუდიის შემდეგ, ბოლშევიკები აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ. უკვე 1918 წლის 7 მარტს რკპ(ბ) VII საგანგებო ყრილობაზე გამოსვლისას ვლადიმერ ლენინი ცეკას მიერ ჩატარებული სამუშაოებისა და სამომავლო გეგმების შესახებ პოლიტიკური ანგარიშით წარსდგა: „რადგან ჩვენი რევოლუცია მოხდა ამ ბედნიერ მომენტში, როდესაც მტაცებელთა

ვერც ერთმა გიგანტურმა ჯგუფმა ვერ შეძლო ვერც დაუყოვნებლივ დასხმოდა ერთმანეთს თავს და ვერც ჩვენს წინააღმდეგ მოახერხეს გაერთიანება – მხოლოდ ამ საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური მომენტით შეეძლო ესარგებლა და ისარგებლა კიდეც ჩვენმა რევოლუციამ, რათა განეხორციელებინა თავისი ბრწყინვალე ტრიუმფალური სვლა ევროპულ რუსეთში, გავრცელებულიყო ფინეთში, დაიწყოს კავკასიის, რუმინეთის დაპყრობა“ [27, 9]. დიახ, ზუსტად ეს სიტყვაა ნახმარი ტექსტში – „დაპყრობა“! (Завоевывать – ა. ჩ.). რუს ბოლშევიკებსა და მათ თანამოაზრეებს ალაფრთოვანებდათ ის აზრი, რომ ომის დასრულებისთანავე იმპერიალიზმის კრახს თან მიჰყვებოდნენ ევროპის ზომიერი სოციალისტური პარტიების ლიდერებიც, რადგანაც ბოლშევიკები მათ მუშათა კლასში ბურჟუაზიის იდეების გამტარებელ ინსტრუმენტებად განიხილავდნენ. მაგრამ ბოლშევიკთა მოლოდინი არ გამართლდა. მათ მალე აღმოაჩინეს, რომ „II ინტერნაციონალის აყროლებულმა ლეშმა“ (Смердящий труп – ვ. ი. ლენინის ტერმინოლოგია – ა. ჩ.) ძალების მოკრება დაიწყო. ციტატაში გამოყენებული და ლენინისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებულად მძაფრი და დახუნძლული ბილწი ლექსიკონი კი ალბათ საყოველთაოდაა ცნობილი. ხოლო მათ, ვისთვისაც ნაკლებადაა ცნობილი ლენინის პიროვნების ეს შტრიხი და მისი ბილწსიტყვაობა, კიდეც რამდენიმე „მარგალიტს“ შევთავაზებთ მისი მდიდარი ლექსიკიდან, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს „პროლეტარიატის დიდი ბელადის“ შინაგან „კულტურას“ – „говно“, „гад“, „горлопан“, „гнилое яйцо“, „грязный натурашка“, „зад“, „лошадиный барышник“, „мерзавец“, „мещанская сволочь“, „шарлатан“, „моськи“, „навозные кучи“, „олух“, „пакостник“, „паскуда“, „помойная яма“, „поганое стойло“, „проститутки“, „самодур“, „свинья“, „сволочь“, „тупоум“, „ученые дураки“, „шало-пай“, „шуты гороховые“, „юдушка“, „навозные мухи“ და ა.შ. და ა.შ. და ა.შ. [28, 367].

ბოლშევიკებმაც არ მოადუნეს „რევოლუციური სიფხიზლე“ და შესაბამისი კონტრზომების გატარება დაიწყეს. II ინტერნაციონალის რეანიმაციის პროცესებთან დასაპირისპირებლად და მემარცხენე ალტერნატივის ჩამოსაყალიბებლად 1918 წლის დეკემბრიდან მოსკოვში ახალი ინტერნაციონალური გაერთიანების – „III ინტერნაციონალის“, „კომუნისტური ინტერნაციონალის“, ანუ „კომინტერნის“ შექმნისაკენ მოწოდებები გაისმა, რომლის შესახებაც ჯერ კიდეც 1917 წლის დასაწყისში საუბრობდა ლენინი თავის ცნობილ „აპრილის თე-

ზისებში“: „ზუსტადაც ჩვენ, ზუსტადაც ახლა და დაყოვნებლივ უნდა ჩამოვყალიბოთ ახალი, რევოლუციური, პროლეტარული ინტერნაციონალი“ [29, 177]. ზუსტად იმავე დროს ისევ ჩნდება რუსულ სინამდვილეში მესიანური იდეის მოდერნიზებული ვარიანტი და წინა პლანზე ისევ „მესამე რომის“ კონცეფცია გამოდის, ოღონდ უკვე სახემეცვლილი და ეპოქას მისადაგებული. ცნობილმა რუსმა ფილოსოფოსმა და პუბლიცისტმა ივანოვ-რაზუმნიკმა ძალიან ნათლად და მკაფიოდ გამოსახა რუსული რევოლუციური აზრის კავშირი მესამე რომის კონცეფციასთან. ყველაზე ორიგინალური იდეა კი მის მსჯელობაში ის იყო, რომ მან მესამე რომსა და III ინტერნაციონალს შორის ტოლობის ნიშანი დასვა – „მესამე რომის“ რუსული კონცეფცია III ინტერნაციონალში განსხეულდა. შესაბამისად, რუსულმა რევოლუციურმა მესიანზიმმა ახალი მასშტაბები შეიძინა: „პეტერბურგის პერიოდში მესამე რომი დავიწყებას მიეცა, მაგრამ თავად იდეა მართალი იყო, იგი არ მომკვდარა, იგი არსებობს. მესამე რომი, – ამტკიცებდა იგი, – ახალ ნიადაგზე აღმოცენდება. დიახ, ორი რომი დაეცა, მესამე რომი დგას და მეოთხე რომი აღარ იქნება. მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება შემდგომ გზას გაუხსნის კაცობრიობის გაერთიანებას ახალ სამყაროში – მესამე რომში. ეს ახალი მესამე რომი უკვე არსებობს და იგი III ინტერნაციონალში ისხამს ხორცს“ [30].

ესეც ასე. 1917 წლისათვის რუსულ მესიანისტურ იდეოლოგიაში ახალი ფორმულა იბადება – „მესამე რომი III ინტერნაციონალია“... რუსი ხალხის ხილიასტურმა მოლოდინებმა მიზანმიმართული ხასიათი მიიღო და გამართლდა – მეფე (Царь) და სიმართლე (Правда) აღსდგა და ისიც ცხადი გახდა, რომ მალე დადგებოდა დრო, როცა ლენინის თეზისებში გაჟღერებული იდეები „ახალი, რევოლუციური პროლეტარული ინტერნაციონალის“ ჩამოყალიბების შესახებ რეალობად უნდა ქცეულიყო. რუსეთი და რუსი ხალხი კი ისევ ხილიასტურ მოლოდინებს მიეცა...

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. В. А. Яицкий, Проблема выбора пути развития России и русская идея: современные аспекты проблемы, Вестник Нижегородского государственного университета им. Н. И. Лобачевского, Серия Социальные науки, 2008, №4 (12).
2. Хомяков А. С., Сочинения, По поводу Гумбольдта, Москва, т. 1, 1900.

3. Сиземская Ирина Николаевна, Идеи национального мессианизма: ловушки и позитивные основания историософской рефлексии // Философская мысль, 2013, № 6, <http://e-notabene.ru/fr/article-642.html>.
4. Саркисянц, Мануэль, Россия и мессианизм, глава 15, Универсалистские притязания русского мессианизма, 2009. <http://russidea.rchgi.spb.ru/libruss/index.php?ELEMENT-ИД=1728>.
5. Чаадаев П. Я., Сочинения, Философические письма, Письмо первое, Москва, 1989.
6. Тютчев Ф. И., Лирика, т. 2, Москва, 1966.
7. აკ. ბაქრაძე, რწმენა, თბილისი, 1990.
8. Достоевский Ф.М. Полное собрание сочинений в тридцати томах, том XXIV, Ленинград, 1982.
9. Соловьев В. С., Панмонголизм / Поэзия Серебряного Века, Москва, Художественная Литература, 1991.
10. Саркисянц М., Россия и мессианизм: к «русской идее» Н. А. Бердяева, СПб., 2005.
11. Baron S. H., Plekhanov, The Father of Russian Marxism, Stanford University Press, 1963.
12. И. В. Чиндин, Революция от социализма или эволюция мессианизма? Институт философии РАН, Вестник ВГУ.
13. Ярослав Бутаков, Священная миссия России, „НАЦИЯ“, Журнал новых правых, № 1, 1995. <http://www.nationalism.org/rnsp/Nacia/Butakov1.htm>.
14. Юрий Лисица, Ольга Лисица, Учение Ильина о грядущей России, 2005, <http://www.pravoslavie.ru/jurnal/372.htm>.
15. Виктор Аксюциц, Бердяев о «русском коммунизме», Ошибки гения, <http://www.apn.ru/publications/article22426.htm>.
16. Николай Бердяев, Судьба России, Проблема национальности. Национализм и мессианизм, 1918, <http://krotov.info/library/02-b/berdyaev/1918-15-11.html>.
17. Слоним М., Русские предтечи большевизма, Москва, 2000.
18. Коган П. Д., Лирическое отступление, Советские поэты, павшие на Великой Отечественной Войне, Москва, Советский Писатель, 1965.
19. ოთარ ჯანელიძე, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, რუსული კოლონიალიზმის თავისებურება-ნი საქართველოში, თბილისი, 2013; გ. ქიქოძე, დასავლეთის კა-



რები, გაზეთი „საქართველო“, 1916, №279, ნიგნში – ევროპა თუ აზია? თბილისი.

20. Эткинд А., Хлыст: секты, литература и революция, – Москва.
21. Bubnoff N., Von der Geist der volkstümlichen russischen Sozialismus. Archiv für Sozoalwissenschaft, 1926.
22. Бердяев Н., Русская идея: судьба России, Москва, 2000.
23. Булгаков С. Н., На пиру богов, Из глубины, – Москва, Правда, 1991.
24. Н. А. Бердяев, Духи русской революции, 1918.  
<http://www1.lib.ru/HRISTIAN/BERDQEW/duhi.txt-with-big-pictures.html>.
25. Соловьев О. Ф., Русские масоны, От Романовых до Березовского, Москва, 2004, (со ссылкой на: Второй Всероссийский съезд Советов Р. И С. Д. М.; Ленинград, 1928).
26. Ленин В. И., ПСС, т. 50, Москва, 1970.
27. Аким Александрович Арутюнов, Досье Ленина без ретуши. Документы, Факты, Свидетельства, Москва, 1999; Ленин. В.И., ПСС, т. 36.
28. არჩილ ჩაჩხიანი, პოლიტიკური პორტრეტები რეგუმირების გარეშე, ვლადიმერ ლენინი და მუსტაფა ქემალი (ათათურქი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 2013, 1(12).
29. Ленин В. И., Полное собрание сочинений, т. 31.
30. Саркисянц Мануэль, Россия и мессианизм, 2009.  
<http://russidea.rchgi.spb.ru/libruss/index.php?ELEMENT-ID=1728>.

**Archil Chachkhiani**

*Doctor of History, Colonel, David Agmashenebeli Georgian National Defense Academy*

**The „Third Rome“ and the Ideology  
of the Russian „Revolutionary Messianism“**

**Summary**

This article discusses the messianic nature and missionary aspirations of slavophil philosophy, based on the Third Rome ideologeme. Philosophical credos of some Russian thinkers of the XIX century and of the beginning of the XX century are represented here. Among the Russian thinkers of the XIX century Dostoevsky should particularly be mentioned as in his writings Russian nationalism or messianism takes an „internationalist“ shading in its universal, modern sense. He speaks about needs to integrate not only the ancestors of Japheth but those of Shem and Ham as well, under the Russian ideology, thus pointing out that all the mankind needs to be „saved“ and assimilated by Russia. In the beginning of the XX century, summing up the mentioned and similar ideas, another Russian thinker and philosopher Berdyaev concluded that communism was a Russian phenomenon despite its basis being the marxist ideology.

After the October takeover Russia made a step forward to praise Russian messianistic spirit, when equipped with Bolshevik and Leninistic ideology, it assumed a new burden of revolutionary messianism. Beginning from 1917, modern type of messianic idea revived in Russian reality and the concept of the Third Rome advanced again, though altered and tailored to the modern reality. New formula was born in the Russian messianic ideology – „The III International is the Third Rome“.

მარიამ გაბუნია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტე-  
ტის დოქტორანტი

## ნიკიფორე ირბახის ვიზიტი რუმის პაპ ურბან VIII-თან და პატიკანის ინტერესები საქართველოში

წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ ნიკიფორე ირბახის ვი-  
ზიტს რომში პაპ ურბან VIII-თან, **შევეცდებით** დავადგინოთ რისი  
მიღწევა სურდა პაპისაგან ქართველ ელჩს, **გავარკვიოთ** როგორ და  
რის ფასად მოხერხდა პაპთან აუდიენციის მიღწევა, **შევისწავლოთ**  
ირბახის მიერ წარდგენილი ოთხ-პუნქტიანი სურვილები, **გავარკვი-  
ოთ**, რატომ აღიკვეცა ბერად ირბახი წმინდა ბასილის ორდენში, **და-  
ვადგინოთ**, რა იყო ნეაპოლის ვიცე-მეფესთან ირბახის დიპლომატი-  
ური მოლაპარაკების მიზანი, **შევისწავლოთ** ირბახის უნიატობის  
მიღების საკითხი, **შევაფასოთ** პაპთან მისი აუდიენციის შედეგები  
ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი წერილობითი და ეპისტო-  
ლარული მასალის საფუძველზე, **მოვახდინოთ** ყოველივე ზემოაღ-  
ნიშნული საკითხების შეფასება-გაანალიზება.

სტატიაში განვიხილავთ ქართველი ელჩის ვიზიტს პაპ ურბან  
VIII-ის კარზე და მის შეხვედრას ნეაპოლის ვიცე-მეფე ჰერცოგ ალ-  
ბასთან. დასადგენია, ირბახი მადრიდიდან პირდაპირ რომს გაემ-  
გზავრა, თუ ჯერ ნეაპოლში ჩავიდა ნეაპოლიტანიის ჰერცოგ ალბას-  
თან მოსალაპარაკებლად. ვფიქრობთ, მართებულად აღნიშნავს მ.  
თამარაშვილი, რომ ირბახი ესპანელ ხელისუფალთა მიერ „დიდი პა-  
ტივით იქნა გამგზავრებული რომს“ [2, 93]. რაც შეეხება საკითხს,  
თუ როდის ჩავიდა იგი რომში, მკვლევარ ი. ტაბალუას მოჰყავს ორი  
თარიღი: 1628 წლის გაზაფხულზე და 1628 წლის იანვრის ბოლოს [3,  
142, 179, 194]. მიგვაჩნია, რომ ამ საკითხის დასაზუსტებლად უნდა  
მოვიშველიოთ ანტიოქიის პატრიარქ ჯულიანოს მადრიდიდან რომ-  
ში გაგზავნილი სარეკომენდაციო წერილი წმინდა კონგრეგაცია „დე  
პროპაგანდა ფიდე“-ს წევრ კარდინალ ბანდინისადმი, რომელიც  
1628 წლის 11 მარტითაა დათარიღებული და პატრიარქი ეხება ნიკი-

ფორე ირბახის რომში ვიზიტის საკითხს. მკვლევარი ჯ. ვათეიშვილი ვარაუდობს, რომ ირბახი რომში ჩავიდა 1628 წლის მარტში. პაპის კარზე გაგზავნილი წერილის მიხედვით, ჯულიანო ქართველი ელჩის მფარველად და რეკომენდატორად გვევლინება [4, 4].

ჩვენ ვერ დავეთანხმებით პროფესორების გ. ჟორდანიასა და ზ. გამეზარდაშვილის ვერსიას იმის შესახებ, რომ ანტიოქიის პატრიარქ ჯულიანოს მიერ გაგზავნილი წერილის ადრესატია არა კარდინალი ბანდინი, არამედ „მისი უწმინდესობა“ რომის პაპი ურბან VIII [6, 107]. ჩვენ ვიზიარებთ პროფ. მურმან პაპაშვილის მოსაზრებას, რომ პატრიარქ ჯულიანოს წერილის ადრესატი იყო კარდინალი ბანდინი [8, 12-13]. კარდინალმა ბანდინიმ აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველი ელჩის მოლაპარაკებებში: წმინდა კონგრეგაციის სხდომა, რომელზედაც უნდა განეხილათ ირბახის ელჩობასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გამართულიყო რომის კვირინალის ბორცვზე მდებარე კარდინალ ბანდინის სასახლეში.

რომში ყოფნის პერიოდში ირბახი იმყოფებოდა თეატინელთა ორდენის მეთაურის ე. ი. გენერლის რეზიდენცია – სან-სილვესტროში [6, 108], ნიკიფორეს თხოვნის საფუძველზე ანტიოქიის რომაულკათოლიკური ეკლესიის მეთაურმაც მხარი დაუჭირა ირბახის კანდიდატურას და მას გადასცა სარეკომენდაციო წერილი. ნიკიფორეს მხარდამჭერად მოევილინა ცნობილი იტალიელი მოგზაური და ქართველთა მეგობარი პიეტრო დელა ვალე (1586-1652) [6, დოკ. 12], რომლის თანადგომამაც განაპირობა ქართველი ელჩის სათანადო პატივით მიღება რომში [6, 11-12], თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პაპის კურია როდი ჩქარობდა ირბახთან შეხვედრას. წმინდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდე“, რომელსაც დაევალა ელჩთან შეხვედრის მომზადება, საქმისწარმოებას შეუდგა 1628 წლის ივნისში, ე. ი. ირბახის რომში ჩამოსვლიდან სამი თვის შემდეგ, რაზეც მიგვანიშნებს ერთი დოკუმენტი, რომელიც აღმოაჩინა ჯ. ვათეიშვილმა წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ არქივში და რომელიც თარიღდება 1628 წლის 20 ივნისით. ირბახს რომში მიჰქონდა პაპისადმი გადასაცემად თეიმურაზ მეფის წერილი, რომელიც ვატიკანის არქივში პირველად მკვლევარმა მ. თარხნიშვილმა აღმოაჩინა და მთლიანად გამოაქვეყნა კიდევ [7, 259]. მოგვიანებით, იგივე წერილი გამოაქვეყნა პროფ. ი. ტაბალუამაც, ვატიკანის არქივში არსებულ

ლათინურ და იტალიურ თარგმანებთან ერთად. ორიგინალსა და თარგმანებს შორის არის ზოგიერთი განსხვავება.

თეიმურაზ მეფის სიგელში სრულიად გასაგებად არის ჩამოყალიბებული პაპთან მისი სათხოვარი: თეიმურაზ I ქართველთ მეფეა და იგი ასეთად უნდა სცნონ პაპმა და იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც პაპის ავტორიტეტს აღიარებენ; თორმეტი წელიწადია ვიბრძვით, მაგრამ მათს ნებას არ ვემორჩილებით. ჩვენ უკვე მივწერეთ ესპანეთის ხელმწიფეს და პაპმაც მისწეროს, რომ პაპმა და ესპანეთის მეფემ შეუტონ საქართველოს მტერს. თეიმურაზი პაპს სთხოვს კათოლიკურმა სახელმწიფოებმა აღიარონ იგი მეფედ და დაეხმარონ მტრისაგან თავდაცვაში. მის მიერ პაპისათვის გაგზავნილ ქართულად დაწერილ სიგელში არ ჩანს, რომელი მტრის წინააღმდეგ იბრძოდა იგი თორმეტი წლის განმავლობაში, ქართლ-კახეთის მეფე ვისთან ბრძოლაში ითხოვდა დახმარებას. სამაგიეროდ, ქართველებისათვის და ქართველთა საქმით დაინტერესებული პოლიტიკოსებისათვის სრულიად გარკვეული იქნებოდა, რომ 12 წლის განმავლობაში, 1614-1625 წლამდე, ე.ი. სიგელის დაწერის დრომდე, თეიმურაზ მეფე მხოლოდ შაჰ-აბასს ებრძოდა. ნიკიფორე ირბახმა სიგელი ვატიკანში მიიტანა; იმისათვის, რომ თეიმურაზის სიგელი მღვდელმთავრებისათვის გასაგები ყოფილიყო, საჭირო გახდა მისი თარგმნა ლათინურ და იტალიურ ენებზე. როგორც მადრიდში წარდგენილ თეიმურაზის სიგელში, ამჯერადაც, თარგმანში, ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ცვლილებანი შეიტანეს. ორიგინალში წერია, რომ ნიკიფორე თეიმურაზის მხოლოდ წარმომადგენელია. თარგმანებში კი ვკითხულობთ: (ლათინურში) „ამ წერილს სუფთად გადაწერილს, გადმოგცემს შენ მღვდელი ნიკიფორე“ (იტალიურში) „ჩვენი ქვეყნიდან თქვენს ნეტარებასთან მოვა მღვდელი ნიკიფორე. ის მოგიტანთ ამ წერილს, ალალ-მართლითა და წოფელი გულით დაწერილს“ [3, 232-233, 286-287]. მთარგმნელები, სიგელის თარგმანებში, თეიმურაზ მეფეს ათქმევენებენ: (ლათინურში) „ჩვენ საქმე გვაქვს თურქებთან და სპარსელებთან, ხშირად გვიხდება მათთან შეჯახება, მაგრამ ღმერთის დახმარებით არც ერთ მათგანს არ დავემორჩილებით. შენი მორჩილი კი ვიქნებით და შევასრულებთ ყოველივე იმას, რასაც გვიბრძანებ“; (იტალიურში) „ჩვენ ვიმყოფებით თურქებსა და სპარსელებს შორის. განუნ-

ყვეტლივ უნდა ვიომოთ მათთან... არ დავემორჩილებით მათ და არც სხვას ვინმეს. ყველაფერი ის, რასაც თქვენი ნეტარება ისურვებს გვიბრძანოს, შევასრულებთ“. როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფოს მტრებად გამოცხადებულნი არიან თურქები და სპარსელები და მათ მიმართ ტონიც შერბილებულია. ამოგდებულია თეიმურაზის თხოვნა ერთობლივად ებრძოლონ ქართველების მტერს. განცხადებულია, რომ ქართველები მხოლოდ პაპს დაემორჩილებიან. დაეუბრუნდეთ თეიმურაზ მეფის პაპთან გაგზავნილი სიგელის იმ ადგილს, სადაც აღნიშნულია, რომ „ჩვენ ვიბრძვით წელ ათორმეტ არს ჩვენ მადლთა თქვენთა და მეოხებითა არა ვყოფთ ნებასა მ[ათსა...] შენთა მცნებისა მდებელთა ვიდებთ და მით სრულ ვყოფთ მოქალაქობასა ჩვენ[ი]სა ღირსების[ა]სა“. მასში რომ მხოლოდ სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაზეა მინიშნება, ამის ახსნაში დაგვეხმარება თეიმურაზის მიერ ესპანეთის მეფესთან გაგზავნილი სიგელის შემდეგი ადგილი: „უსჯულო იგი პერსი შაჰაბას ვირკინებით ბრძოლითა სასიკუდინოთა... ეგენი (ესპანელების და პაპის ჯარი) მოეტივნენ სპარსთა (ირანის ყურიდან) და აქათ ჩვენ (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან) უყოთ დევნა ძლიერი და აღვხოცოთ იგი პირისაგან ქუეყნისა ყოვლად უღმრთო იგი საძაგელი“. იგივე თხოვნა გაისმის იერუსალიმის პატრიარქის თეოფანისის წერილში ფელიპ IV-ისადმი: „გთხოვს რა (თეიმურაზ – მ.გ.) დახმარებას, რადგან იგი სპარსელისაგან მრავალმხრივ შევიწროებულია“ [1, დოკ. N 58, 419]. ამგვარად, თეიმურაზ I ესპანეთის მეფეს და რომის პაპს ირანის წინააღმდეგ დახმარებას სთხოვდა. ჯ. ვათეიშვილის ვარაუდით, წმინდა კონგრეგაციის მდივანმა ფრანჩესკო ინგოლამ მოხსენებით ჩანანერს დაურთო დასკვნა იმის შესახებ, რომ სასურველი იქნებოდა ირბახს მიეღო რომაულ-კათოლიკური სარწმუნოება [5, 134-135]. ერთი თვის შემდეგ (1628 წლის 21 ივლისი) კონგრეგაციამ კვლავ განიხილა ირბახის საკითხი და დაადგინა, რომ ქართველმა ელჩმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს კათოლიკური სარწმუნოება [3, 13]. ნიკიფორეს საქმესთან დაკავშირებით შედგენილ მოხსენებაში გამოითქვა მოკრძალებული სურვილი, რომ ნიკიფორეს „არ უნდა გაკვირვებოდა თუ სამოციქულო ტახტი მოისურვებს, მან წარმოსთქვას თავისი რწმენის ფორმულა, მანამდე ვიდრე ვატიკანში მისი წინადადებების განხილავს შეუდგებოდნენ. ქართველების შესახებ ჩანანერებში,

რომლებიც ინახება წმ. კონგრეგაციის არქივში, არაფერია ნათქვამი ქართველების ცდომილებაზე, პირიქით, ისინი გამოყვანილნი არიან, როგორც სამოციქულო ტახტისა და პაპის ძალიან ერთგულნი“ [5, 385]. როგორც სავარაუდოა, მოხსენებაში აღნიშნული საეჭვოდ ჩათვალეს და 1628 წ. 21 ივლისის დოკუმენტში უკვე პირდაპირ არის მითითებული ნიკიფორე ირბახის კათოლიკობაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ. ქართველ ელჩს ისეთი რწმენის ფორმულა უნდა წარმოეთქვა, რომელშიც იგი პირდაპირ იტყოდა ქართველთა სარწმუნოებრივი დაბნეულობის შესახებ [5, 385-386].

ნიკიფორე რომში მიიღეს, როგორც მართლმადიდებელი ქართველი და მის მიმართ წაყენებულ პრეტენზიას, რომ მას ჯერ კათოლიკობა უნდა ელიარებინა და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდებოდა მისი პაპთან აუდიენციაზე დაშვება და მოლაპარაკების დაწყება, შესაბამისი ახსნაც მოუძებნეს: „ქართველებმა, რომლებიც შორს იყვნენ სამოციქულო წმ. ტახტიდან, ბერძნების თითქმის ყველა დაბნეულობა და ზოგიერთი ცრუმორწმუნეობა შეითვისეს. ანტიოქიის პატრიარქმა კი მათ სქიზმა დაუნერგა... ამრიგად, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ახლანდელი მეფის – თეოფილეს (თეიმურაზ I-ის) ელჩს – ბატონ ნიკიფორეს, სამოციქულო ტახტმა მოთხოვა სარწმუნოების (კათოლიკობის) აღიარება, ვიდრე შეთავაზებული მოლაპარაკება დაიწყებოდა“ [3, 238]. წერილის ტონი ისეთია, რომ მისი ავტორი ვილაცის წინაშე ცდილობდა გაემართლებინა პაპის კურიის მიერ ნიკიფორესადმი წაყენებული პრეტენზიის საფუძვლიანობა. ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ამ ნაბიჯს პროფ. გ. აკოფაშვილი შემდეგნაირად ხსნის და აფასებს: „შემოთავაზებულ წინადადებას, კათოლიკური სარწმუნოების მიღებას, ნიკოლოზი, როგორც ჩანს, შედარებით ადვილად დაყაბულდა. შინაგანად ის უკვე მომზადებული იყო ამისათვის, რომში გატარებული სიყმანვილისა და ჭაბუკობის წლებს, მთელ 13 წელს სწავლა-განათლებისა, უკვალოდ არ ჩაუვლია. რომში ცხოვრებას, ევროპული პროგრესული კულტურისადმი, ზნე-ჩვეულებებისა და განათლებისადმი ღრმა სიმპათიები ჩაუნერგავს მის გულში. ხოლო იმდროინდელი ევროპული კულტურის გამოხატულება, კათოლიკური სარწმუნოება ხომ იგივე ქრისტიანული სარწმუნოება იყო და ამდენად ნიკოლოზს მართლმადიდებლობის დატოვება და კათოლიკობის მიღება არსებითად სარწმუნოებრივ ღალატად არ ჩაეთვლებოდა. და, რაც მთავარია, ნიკოლოზი უპირველეს ყოვლისა,

პოლიტიკოსი იყო, პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც თავის ქვეყნის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის დაუღალავად იღვწოდა და რაკი მისი პოლიტიკური მისიის წარმატებების ინტერესები მოითხოვდნენ ამ ნაბიჯს, ნიკოლოზიც მზად აღმოჩნდა გადაედგა ის. ქართველი ელჩი დათმობაზე წავიდა და დიპლომატიური მოსაზრებით მიიღო პაპის მიერ შემოთავაზებული კათოლიკობა“ [9, 41].

ზუსტად არ ვიცით ნიკიფორემ როდის აღიარა კათოლიკობა, მაგრამ ის კი ცნობილია, როგორი სიფრთხილით მოეკიდნენ კარდინალები მის „აღიარებას“. ვინმე პაოლოს, ფეხშიშველა კარმელიტს, დაევალა შეემონებინა, თუ რამდენად სიმართლეს შეეფერებოდა ის, რაც ნიკიფორემ ქართველთა რელიგიის შესახებ განაცხადა. ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მიერ რომში სარწმუნოების შეცვლას, თითქმის ისევე აფასებს პროფ. გ. ჟორდანიას, როგორც პროფ. გ. აკოფაშვილი, და ფიქრობს, რომ „ნიკიფორეს ამ ნაბიჯს უადვილებდა ის გარემოება, რომ იგი პირველ რიგში პოლიტიკოსი და დიპლომატი იყო. მაღალი საეკლესიო წოდების მიუხედავად, მისთვის კონფესიურ საკითხებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა და ის მზად იყო ისინი პატრიოტული ინტერესებისათვის შეენირა, მით უმეტეს, თუ ამას მოითხოვდა მისი დიპლომატიური მისია, რომელიც უნდა გამოსდგომოდა მის მხურვალედ საყვარელ სამშობლოს“ [6, 286].

ნიკიფორეს მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა, ვფიქრობთ, საწინააღმდეგოს გვიჩვენებს. ის უპირველეს ყოვლისა სასულიერო მოღვაწე იყო და როდესაც მისთვის ნათელი გახდა, რომ მისგან ასეთი მსხვერპლის გაღებას აზრი არ ჰქონდა, მაშინვე დაუბრუნდა თავის ადრინდელ მდგომარეობას. ვერ დავეთანხმებით მკვლევარ გ. აკოფაშვილს, თითქოს ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ნიკიფორე სარწმუნოების შეცვლას იოლად დაყაბულდა. ცნობილი წყაროები სრულიად საწინააღმდეგოს აღნიშნავენ. საყურადღებოა ისიც, რომ ნიკიფორე მთელი სიცოცხლის მანძილზე საიდუმლოდ ინახავდა რომში ქართველთა ცდომილების აღიარებას და, როგორც სავარაუდოა, საქართველოში დაბრუნებულმა თეიმურაზ მეფესაც კი არ გაუმხილა ამის შესახებ. ნიკიფორეს ეს საიდუმლო იცოდნენ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებმა, მაგრამ ისინი არ ამხელდნენ. საქართველოში მისიონერების გამომგზავნი და მათი საქმიანობის ორგანიზატორი პიეტრო დელა ვალე, გორის მისიის



ხელმძღვანელს, დონ პიეტრო ავიტაბილეს აფრთხილებდა: „შესაძლებელია თვითონ ნიკიფორესაც არ სურს, რომ ეს (კათოლიკობის აღიარება) ცნობილი გახდეს მისი თანამემამულეებისათვის“ [3, 130]. მისიონერებმა კარგად იცოდნენ ქართველი მართლმადიდებლების დამოკიდებულება რწმენის შეცვლისადმი. საქართველოს ეკლესიის მესვეურნი, პოლიტიკური წრეები ინფორმირებულნი იქნებოდნენ იერუსალიმში ქართველებსა და კათოლიკეებს შორის არსებულ საუკუნოვან დაპირისპირებაზეც, რაც მისიონერებისადმი არასასურველი განწყობილების ფორმირებას გამოიწვევდა [10, 57].

მკვლევრები უმთავრესად ყურადღებას ამახვილებენ პაპისა და ნიკიფორეს შეხვედრის პოლიტიკურ და რელიგიურ ასპექტებზე. მაგრამ, ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნიკიფორეს ვატიკანში შეაყოვნებდნენ მანამდე, ვიდრე, შეძლებისდაგვარად, არ მოიპოვებდნენ ინფორმაციას საქართველოს შიდაპოლიტიკურ მდგომარეობაზე, თეიმურაზ I-ის შესაძლებლობებსა და გავლენაზე და, რაც მთავარია, დაადგენდნენ იყო თუ არა ნიკიფორე ნამდვილად ქართველი მეფის წარგზავნილი და რას წარმოადგენდა იგი. ყოველივე ამის დადგენის შემდეგ, როგორც მკვლევარი მ. თარხნიშვილი აღნიშნავდა, „პაპმა კრება მოახდინა 27 ივლისს 1628 წ. ყველა ამ საკითხის გადასაწყვეტად“ [11, 215].

ნიკიფორეს მიერ კათოლიკობის აღიარებისა და ამის გამო მისადმი პაპის განწყობილების შეცვლის შემდეგ, რომში ქართველი ელჩის მიმართ ინტერესი გაიზარდა. იგი თბილად მიიღო თეატინელთა ორდენის ხელმძღვანელმა ფილო მარია გუადანიომ. თეატინელთა ხელმძღვანელობა ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ დესპანის ღირსეული მიღება ხელსაყრელი იქნებოდა საქართველოში ამ ორდენის ნევრების მოღვაწეობისათვის. „მან გასცა განკარგულება, რომ ყველა იმ სახლში, რომელიც ჩვენს ორდენს ეკუთვნოდა, ელჩისათვის აღმოეჩინათ გულითადი მიღება და მოპყრობოდნენ მას, როგორც საპატიო სტუმარს“ – წერდა ბ. ფერო [3, 186]. სავარაუდოდ, 1628 წლის ივლისის დამლევს, ან 20 აგვისტოს შემდეგ ნიკიფორემ მიიღო რომაულ-კათოლიკური რწმენა... ახალგაზრდობისას რომში სწავლის დროს, ნიკიფორე არ იყო ვალდებული მიეღო რომაულ-კათოლიკური სარწმუნოება. იგი სწავლობდა ბერძნულ კოლეჯში და იყო მართლმადიდებელი რწმენის მიმდევარი. XVI -ის 10-იანი წლებიდან მოყოლებული XVII ს-ის დასაწყისისათვის კათოლიციზმი არ

იყო „ევროპული კულტურის“ ერთადერთი რელიგიური გამოხატულება. სავარაუდოდ, ნიკიფორესათვის უცხო როდი იყო პროტესტანტული სარწმუნოება. დიდი ისტორიული წარსულის მქონე ქრისტიანი ქვეყნის წარმომადგენელი ნიკიფორე ირბახი მადრიდსა და რომში ჩავიდა პოლიტიკური კავშირის დამყარების წინადადებით, მაგრამ მისმა ვიზიტმა გარკვეული უნდობლობა და ეჭვი აღძრა. ნიკიფორემ სარწმუნოების შეცვლამდე ვერ შეძლო რომის პაპისა და კარდინალების ნდობის მოპოვება. ისინი მართლმორწმუნე „ეკლესიად“, ბუნებრივია, მხოლოდ რომაულ-კათოლიკური ეკლესიას მიიჩნევდნენ და არ სურდათ ქართველები და მათი მეფე ელიარებინათ „მართლმორწმუნე ქრისტიანებად“ იმ დრომდე, სანამ მათი მეფე არ მიიღებდა რომაულ კათოლიკობას, ხოლო მათი ხალხი არ აღიარებდა რომაულ-კათოლიკური ღვთისმსახურების უპირატესობას, თუნდაც ფლორენციის საეკლესიო კრების მიერ გამოცხადებული საეკლესიო უნიის საფუძველზე. ნიკიფორე ირბახი დარწმუნებული იყო, რომ არც თეიმურაზ მეფე და არც ქართველი ხალხი არ შეიცვლიდნენ თავიანთ რწმენას, რომელიც მათთვის დამოუკიდებლობის, თვითმყობადობის და მათი ეროვნული კულტურის გამოხატულებას წარმოადგენდა. რომში თეიმურაზ მეფის „მართლმორწმუნე კათოლიკურ ხელისუფლად“ არცნობამ შეუძლებელი გახადა ესპანეთთან პოლიტიკური კავშირის დამყარება. 1628 წლის 20 ივნისის სხდომის შემდეგ შედგენილ ჩანაწერში აღნიშნულია: „არ უნდა გაუკვირდეს სენიორ ნიჩეფოროს... თუ სამოციქულო ტახტი მოლაპარაკების დაწყებამდე მისგან მოითხოვს [კათოლიკური] რწმენის აღიარებას“. 20 ივლისის კონგრეგაციამ ქართველი ელჩისაგან უკვე კატეგორიული ფორმით მოითხოვა რომაულ-კათოლიკური რწმენის აღიარება.

განვიხილოთ როგორ შეფასებას აძლევს ამ საკითხს პროფ. ილია ტაბალუა. იგი მიიჩნევს, რომ რომის პაპსა და პაპის კარზე ესპანეთის ელჩ გრაფ დე ონიატს შორის „პირადი მოტივების“ საფუძველზე არ იყო კარგი ურთიერთობა, რის გამოც ელჩმა უარი განაცხადა დასწრებოდა პაპისა და ქართველი ელჩის აუდიენციას. ი. ტაბალუას მიერ მოყვანილი წყაროს თანახმად „პაპისა და ნიკიფორეს შეხვედრა იყო ცივი, პაპმა არ მიიჩნია საჭიროდ მიეგო მისთვის კუთვნილი პატივი, ეს ვიზიტი რომ წინასწარ სხვა სახით შეთანხმებული ყოფილიყო ესპანეთის ელჩთან, იგი იზრუნებდა მფარველობა გაენია ნიკიფორესათვის“ [3, 286-287].

პროფესორების გივი ჟორდანიასა და ზურაბ გამეზარდაშვილის აზრით, „ესპანეთის ელჩს გრაფ დე ონიატს და რომის პაპ ურბან VIII-ს შორის დაძაბულ ურთიერთობას უფრო ღრმა ფესვები გააჩნდა, ვიდრე პირადი მოტივებია“. იმხანად პაპი ურბან VIII აწარმოებდა ესპანეთის ხელისუფლებისათვის არასასურველ პოლიტიკას. პაპს შეგნებულად აშინებდა ესპანელ და ავსტრიელ ჰაბსბურგთა „უნივერსალური მონარქიული“ მისწრაფებანი, რაც საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ ევროპის როგორც პროტესტანტულ, ასევე კათოლიკურ სახელმწიფოებს. ასევე, გარკვეულწილად საფრთხის ქვეშ დგებოდა პაპის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საკითხიც. სწორედ ამიტომ, რომის პაპი მხარს უჭერდა საფრანგეთის პირველი მინისტრის კარდინალ რიშელიეს პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო ესპანელ და ავსტრიელ ჰაბსბურგთა წინააღმდეგ [3, 185; 6, 234-235].

მოგვიანებით, პაპი ურბან VIII სრულიად მშვიდად შეხვდა ოცდაათწლიან ომში პროტესტანტული შვედეთის ჩაბმას, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა პროტესტანტული ბანაკი და მისი მხარდამჭერი ესპანეთის მთავარი მეტოქის – საფრანგეთის პოზიციები. ბუნებრივია, პაპის ამგვარი პოლიტიკა მიუღებელი იქნებოდა ფელიპ IV-სა და მისი ელჩის გრაფ დე ონიატისათვის. პროფ. ი. ტაბალუა აღნიშნავს, რომ პაპმა ურბან VIII-მ არ ისურვა ნიკიფორე ირბახის მიღება მის მიერ კათოლიკური სარწმუნოების აღიარებამდე. მაშინ გაუგებარია, იმავე მკვლევრის ზემოაღნიშნული მოსაზრება – პაპის მიერ ქართველი ელჩის არასათანადო პატივით მიღების თაობაზე. იბადება კითხვა – შედგა თუ არა შეხვედრა რომის პაპთან ირბახის მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღებამდე და თუ შედგა სარწმუნოების მიღების შემდეგ, რით უნდა აიხსნას პაპის მხრიდან ელჩის ცუდად მიღების ფაქტი? ჩვენი ვარაუდით, პაპთან ირბახის აუდიენცია შედგა მხოლოდ ქართველი ელჩის მიერ უნიატობის მიღების, ვფიქრობთ, 1628 წლის 21 ივნისის შემდეგ. აუდიენციის დროს ნიკიფორემ მას გადასცა თეიმურაზ მეფის წერილი, სადაც ქართველი მეფე რომის პაპს აცნობდა, რომ იგი ოც წელზე მეტი ხნის მანძილზე აწარმოებდა ბრძოლას „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ და სთხოვდა ეცნობებინა ესპანეთის მონარქისათვის, რომ შეეკრა კავშირი ქართველ მეფესთან... ჩვენ ძმები ვართ და საერთოა ჩვენი ღმერთი... „გაერთიანებული ძალებით შევებრძოლოთ ურწმუნოებს“, „იესო

ქრისტეს სახელით“ და აღვგავოთ ისინი პირისაგან მიწისა“ [6, დოკ. 19] თეიმურაზ მეფის წერილის შინაარსი წმინდა კონგრეგაციის კარდინალთათვის წინასწარ იყო ცნობილი. წერილი განხილულ იქნა 1628 წლის 20 ივნისის სხდომაზე. ნიკიფორეს სურდა მოლაპარაკებები ეწარმოებინა თავისი ოთხი პუნქტისაგან შემდგარი „სურვილების“ საფუძველზე. ეს „წინადადებები“ წმინდა კონგრეგაციას გადასცა ქართველი ელჩის თარჯიმანმა, ცნობილმა საეკლესიო მოღვაწე ბერძენმა უნიატმა იოანე-მათე კარიოფილემ. აღნიშნული სურვილები გამოაქვეყნეს მ. თამარაშვილმა, ი. ტაბალუამ, გ. აკოფაშვილმა და სხვ.

ნიკიფორე ირბახის „სურვილები“-ს ოთხი პუნქტიდან პირველი სამი ეხებოდა მეფე თეიმურაზს, მეოთხე კი – ქართველ ელჩს. თეიმურაზი ელჩის მეშვეობით პაპს სთხოვდა ორი სურვილის შესრულებას: ეცნო იგი კანონიერ და მართლმორწმუნე კათოლიკურ ხელისუფლად და მეორე – რეკომენდაცია გაენია მისთვის, როგორც „პაპის შვილისათვის“ ესპანეთის მონარქთან. პაპის მხრიდან ამ ორი წინადადების შესრულება ნიშნავდა თეიმურაზის მიერ ჩაფიქრებული უმთავრესი მიზნის – ქართლ-კახეთის სამეფოს კავშირის დამყარებას დასავლეთის რომაულ-კათოლიკურ სამყაროსთან. პაპის მხრიდან ამ წინადადების უარყოფით ირბახის მისიას კრახი ემუქრებოდა. თეიმურაზის და მისი ელჩის სურვილის თანახმად, კოალიცია უნდა ყოფილიყო დასავლეთ ევროპის კათოლიკური სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო დასავლეთის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაურს რომის პაპს; რაც შეეხება ქართლ-კახეთის მეფეს, ამ კავშირის წევრად იგი ჩაითვლებოდა მხოლოდ პაპის მიერ „მართლმორწმუნე კათოლიკედ“ მისი ცნობისა და აღიარების შემთხვევაში. ცნობილია, რომ ნიკიფორე ირბახისა და ესპანეთის სამეფო მრჩევლების მოლაპარაკების დროს, მათ ესპანეთ-საქართველოს კავშირის დამყარების აუცილებელ პირობად მიიჩნიეს თეიმურაზის მხრიდან კათოლიკური სარწმუნეობის მიღება. ქართველმა ელჩმა დიპლომატიურად მოახერხა ამ „მწვავე საკითხის“ გვერდის ავლა და მრჩეველთა დარწმუნება, თეიმურაზ მეფის მართლმორწმუნეობაში „კათოლიკური სამყაროს მსოფლიო ეკლესიად მოხსენიების მეშვეობით“.

გადაწყდა – თეიმურაზის სამეფოში გაეგზავნათ ესპანეთის ელჩი მოლაპარაკების დასრულების მისაღწევად. ყველაფერი უკვე

რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაურის „უკანასკნელ სიტყვაზე“ იყო დამოკიდებული. თუ იგი თეიმურაზს მიიჩნევდა „მართლმორწმუნე კათოლიკე ხელისუფლად“ და თავის „შვილად“, ესპანეთთან ნანატრი პოლიტიკური ხელშეკრულების გაფორმება იქნებოდა გარანტირებული, პაპის თანხმობა ანტიოსმალურ კოალიციაში მის მონაწილეობაზე კი, თავის მხრივ, დამოკიდებული იყო ამ კოალიციის შექმნაზე. სამომავლოდ კოალიცია, რომელიც კათოლიკე სახელმწიფოების კავშირის სახით უნდა შექმნილიყო, ანტიოსმალური ლაშქრობის დროს შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო, როგორც „მართლმორწმუნე, ასევე „უცხო რჯულის“ და თვით „ურწმუნოთა“ (მაგ., აბაზ-ფაშა, ირანის შაჰი...) მიმართ. პარალელურად მუშავდებოდა თეიმურაზთან შემდგომი მოლაპარაკების წარმოების გეგმა. ესპანეთის ხელისუფლებაში უკვე მზადდებოდა ირანის შაჰთან კათოლიკე მონარქის წერილი, რომელშიც ნახსენები იქნებოდა ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზთან ფელიპ IV-ის მეგობრობის შესახებ, მაგრამ ეს ყვლაფერი განხორციელდებოდა ესპანეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარების შემდგომ; ამ კავშირის შეკვრა და ირბახის მხრიდან მადრიდის მოლაპარაკების წარმატებით დასრულება კი რომის პაპზე იყო დამოკიდებული. ასეთი იყო არსი ირბახის „წინადადებებისა“, რომლითაც მან მიმართა პაპს. თავისთვის კი ქართველი ელჩი ითხოვდა ე. წ. „საყოველთაო პასპორტს“, რომელიც გამოადგებოდა ყველა რომაულ-კათოლიკურ ქვეყანაში, ასევე, მას სურდა სარეკომენდაციო წერილები „სადვთო რომის იმპერატორთან“, ე. ი. ავსტრიის მონარქ ფერდინანდ II ჰაბსბურგთან, აგრეთვე პოლონეთის მეფე – სიგიზმუნდ III-თან და ნეაპოლიტანიის ჰერცოგ ალბასთან, რომელთა სამფლობელოების გავლით იგი აპირებდა სამშობლოში დაბრუნებას. მათგან, ნეაპოლიტანიის ვიცე-მეფეს უკვე ჰქონდა თავისი ხელისუფალის – ესპანეთის მონარქისაგან მითითება, ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა ქართველი ელჩისათვის და არ შეეფერხებინა სამშობლოსაკენ მიმავალ გზაზე.

პროფესორები გივი ჟორდანიას და ზურაბ გამეზარდაშვილი არ ეთანხმებიან მკვლევარ გულჩინა აკოფაშვილის მოსაზრებას და აღნიშნავენ, რომ თეიმურაზ I-ის 1625 წლის 20 ნოემბრით დათარიღებულ პაპისადმი მიწერილ ბარათში მეფე გაკვრითაც კი არ ახსენებს, რომ მას აქვს რომაულ-კათოლიკური საწმუნოების მიღების სურ-

ვილი. მკვლევართა აზრით, მართალია ის პაპს მოიხსენიებს, როგორც „უდიდეს მზეს, რომელიც ამოვიდა რომში, გაანათა მთელი სამყარო“, და რომ ის არის „შუქურა, რომელიც ნათელს გვფენს ყველას“ და ა. შ. [6, დოკ. 2], მაგრამ პაპისადმი მიმართული ეს ეპითეტები, მათი აზრით, სრულიადაც არ ნიშნავს თეიმურაზის მხრიდან რწმენის შეცვლის გადანყვეტილებას. თეიმურაზ I-ის მიერ პაპისა და ესპანეთის მონარქისადმი გაგზავნილ ბარათებში საუბარია მხოლოდ „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ პოლიტიკური კავშირის დამყარების თაობაზე. რაც შეხება ქართველი ელჩის წინადადებას, მიეღოთ თეიმურაზ მეფე „წმინდა რომის ეკლესიის წიაღში“, როგორც „კათოლიკე ხელისუფალი“, მკვლევართა მოსაზრებით, არ ნიშნავს, რომ თეიმურაზი მზად იყო მიეღო კათოლიკური სარწმუნოება. მათი აზრით, „კათოლიკობა“ ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, მთელი „სამყაროს ქრისტიანულ ეკლესიას“ ნიშნავდა, რომელშიც მოიაზრებოდა როგორც აღმოსავლეთის-ბერძნულ-კათოლიკური, მართლმადიდებლური, ასევე, დასავლეთის – რომაულ-კათოლიკური ეკლესიები. თეიმურაზ მეფე ვერ წარმოიდგენდა, რომ საერთო მტრის წინააღმდეგ კავშირის შეკვრისათვის პაპი მისგან, როგორც მომავალი მოკავშირისგან მოითხოვდა სარწმუნოების შეცვლას. მით უფრო, რომ თეიმურაზისათვის კარგად იყო ცნობილი, როგორ ცდილობდნენ დასავლეთის რომაულ-კათოლიკური სახელმწიფოების ხელისუფალნი თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად პოლიტიკური კავშირები შეკრათ თვით „ურწმუნოებთან“ და „ერეტიკოსებთან“. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ „საფრანგეთის „ქრისტიან მეფეს“ დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა ოსმალთა სულთანთან, გერმანელ და ნიდერლანდელ პროტესტანტებთან, ესპანეთის „კათოლიკე მეფე“ ცდილობდა კავშირი დაემყარებინა ირანის შაჰთან, თან ფიქრობდა ფრანგი ჰუგენოტების თავისი ინტერესების მიზნით გამოყენებას...

თეიმურაზი არ ელოდა, რომ მისგან წინაპართა რწმენის შეცვლას მოითხოვდნენ. მაგრამ რომში სხვაგვარად ფიქრობდნენ. პაპის კურია დაინტერესებული იყო რომაულ-კათოლიკური ხელისუფალთა რიცხვის ზრდით, რამეთუ დასავლეთში სხვადასხვა პროტესტანტული მოძღვრების გავრცელებამ ერთგვარად მათი მომხრეთა რიცხვის შემცირება გამოიწვია. რომში პაპთან და სხვა მაღალ იე-

რარქებთან მოლაპარაკების დროს ნიკიფორეს თეიმურაზის სახელით მოუთხოვია: 1. პაპს თეიმურაზისათვის ეპასუხა წერილზე და მას დაედასტურებინა, რომ თეიმურაზს სცნობდა კანონიერ მეფედ; 2. პაპმა ქართლ-კახეთის მეფეს გაუგზავნოს შენდობა და მიიღოს იგი რომაული ეკლესიის წიაღში, როგორც კათოლიკე მეფე; 3. პაპმა რეკომენდაცია გაუწიოს ქართველ მეფეს ესპანეთის მეფის წინაშე, როგორც თავის შვილს; 4. პაპმა სარეკომენდაციო წერილები გაუგზავნოს ნეაპოლის მეფის ნაცვალს, იმპერატორსა და რეჩ პოსპოლიტის მეფეს ნიკიფორეს შესახებ და ამ უკანასკნელს მისცეს საერთო პასპორტი.

იმის გამო, რომ თეიმურაზ I-ს კათოლიკობა, ჯერ კიდევ, არ ჰქონდა აღიარებული, პაპს არ შეეძლო ნიკიფორეს ყველა მოთხოვნაზე ზუსტი პასუხი გაეცა. როცა თეიმურაზ მეფე პაპის მოთხოვნას დააკმაყოფილებდა, ისიც, თავის მხრივ, მას, როგორც კათოლიკე მეფეს, მის სამეფოს დაუმტკიცებდა [3, 189-190]. იმისათვის, რომ რომში დაეკმაყოფილებინათ თეიმურაზ I-ის მოთხოვნები, იქაურ პოლიტიკოსებს საკმარისად არ მიაჩნდათ მხოლოდ ნიკიფორე ირბახის გაკათოლიკება, ისინი თვით მეფის გაკათოლიკებას მოითხოვდნენ. კონგრეგაციის სხდომაზე განიხილეს სპეციალურად შედგენილი „მდივან ინგოლის მოსაზრებები ქართველი ელჩის მოთხოვნებზე“, რომელთა არსი, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობდა თეიმურაზ მეფის, მისთვის გაგზავნილი სპეციალური კათოლიკური ლიტერატურით „განათლებაში“. ე.ი. თეიმურაზ მეფე რომ ფლორენციის მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებათა საფუძველზე რომის წინდა ტახტს შეერთებოდა, ელჩისათვის უნდა გაეტანებინათ წმინდა სამოციქულო ტახტის მიერ აღიარებული საეკლესიო კრებების დაბეჭდილი „აქტები“, რომლებსაც მეფე და მისი იერარქები გაეცნობოდნენ. ნიკიფორე ირბახისათვის შედგენილი იქნა სპეციალური ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც მას, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, კათოლიციზმის სასარგებლოდ უნდა ემოქმედა [5, 397-398].

როგორც ჩანს, ნიკიფორესთვის რომში, ისევე, როგორც მადრიდში, აქტუალური იყო თეიმურაზის ელჩის რანგში მისი აღიარება და შესაფერისად მოპყრობა. 1628 წლის 22 აგვისტოს წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს სხდომაზე მიიღეს „ზოგიერთი გადაწყვეტილება იბერიის ელჩის ნიკიფორე ირბახის (იტალიაში) მოგზაუ-

რობის შესახებ“. სხდომის ოქმის 26-ე პარაგრაფში ნათქვამია: „ბოლოს და ბოლოს იბერიის მეფის ელჩის ნიკიფორეს თხოვნით, წმ. კონგრეგაციამ დაადგინა: პირველი – შესაძლებლად ჩათვალა გაეგზავნოს წერილი ნეაპოლის ვიცე-მეფეს, ნეაპოლის სამეფოში პაპის ნუნციოს საშუალებით, ნიკიფორეს საქმეების შედარებით იოლად მოგვარების შესახებ; მეორე, ეს წერილი გაეგზავნოს ხსენებულ ნუნციოს ინსტრუქციასთან ერთად, რომელშიც მიეთითოს, რომ ხსენებული ელჩის პიროვნების დადასტურებისათვის მოხსენდეს ვიცე-მეფეს, რომ ბატონი ნიკიფორე მიღებულ იქნა ესპანეთის კათოლიკე მეფის მიერ, როგორც იბერიის მეფის ელჩი, რომელიც ესპანეთში იმყოფებოდა მისი უდიდებულესობის ხარჯზე“ [5, 192].

- საქართველო-რომის მომავალი ურთიერთობის განვითარებისათვის ირბახის მოლაპარაკებები ვატიკანში საინტერესოდ მიგვაჩნია შემდეგი თვალსაზრისით:

წმინდა ტახტმა ქართველ ელჩს პირდაპირ მიანიშნა, რომ საქართველოს დასავლეთთან კერძოდ, ესპანეთთან, სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებაში პაპობა მანამ ვერ შეასრულებდა შუამავლის როლს, სანამ ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I ხელს არ მოაწერდა ფლორენციის უნიის დეკრეტს; კურიაში ეკლესიათა უნიის საკითხებზე ნიკიფორე ირბახთან ხანგრძლივი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა იმის გათვალისწინებით, რომ თეიმურაზი პაპს აღიარებდა მსოფლიო ეკლესიების მეთაურად და თავის თავს – მის შვილად; აქედან გამომდინარეობდა ის მტკიცებულებები, რომ ქართველები ცოტათი განსხვავდებოდნენ კათოლიკური სარწმუნოებისაგან; ირბახის დიპლომატიურმა მისიამ გზა გაუხსნა საქართველოსა და ვატიკანს შორის რელიგიურ-კულტურული ურთიერთობის შემდგომ პერსპექტივებს. მისი რეალიზაციის პირველ ნარმატებად შეიძლება ჩავთვალოთ ნიკიფორე ირბახის მიერ უნიატური კათოლიკობის მიღება და მისი უშუალო მონაწილეობით 1629 წელს რომში მისიონერების საჭიროებისათვის პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნის გამოსვლა.

- დასავლეთში პოლიტიკური მიზნით წამოწყებულმა ქართულმა ელჩობამ რომში კურიის რელიგიურ ინტერესებში ჰპოვა განვითარება. ეს სრულიად ლოგიკური იყო მაშინ, როდესაც ირბახის ელჩობას დაემთხვა საქართველოში თეატინელთა მუდმივი მისიონის დაარსება. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, პაპობა შეეცადა ირ-



ბახის, როგორც მაღალავტორიტეტული სასულიერო პირის, თავისი ინტერესებისათვის გამოყენებას;

- ნიკიფორე ირბახი უნიატი კათოლიკობის მიღებით იმდენად იყო დაინტერესებული, რამდენადაც უნიატობა უკავშიდებოდა საქართველოს დასავლეთთან (ამ შემთხვევაში ესპანეთთან) მომავალ სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებას. ირბახის მიერ უნიატობის მიღება ქართულ-მართლმადიდებლური და რომალუ-კათოლიკური ეკლესიების გაერთიანების რთულ გზაზე მხოლოდ საქმის დასაწყისი იყო. უნიის მომხრე ნიკიფორე ირბახს საქართველოში უნდა ეღვაწა ეკლესიათა ერთიანობის იდეის დანერგვისათვის;

- ვფიქრობთ, ნიკიფორე ირბახის ელჩობით ქართველმა პოლიტიკოსებმა მიაღწიეს თავიანთ ძირითად მიზანს, გაეტანათ ქვეყნის სატიკვარი საერთაშორისო სარბიელზე. ნაწილობრივ, ვატიკანმაც მიაღწია დასახულ მიზანს: თავისი მისიონერების მეშვეობით, შეეცადა გასცნობოდა ჩვენს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და გაერკვია საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების შესაძლებლობა;

- რომის კურია იმასაც კარგად ხედავდა, რომ ქართველი საერო და სასულიერო მესვეურები ეკლესიათა უნიაზე არ მიდიოდნენ, მაგრამ არსებულ ვითარებაში ვატიკანისათვის მთავარი მაინც ის იყო, რომ მეფე თეიმურაზ I, კათალიკოსი, ნიკიფორე ირბახი და ზოგადად, ქართველი ხალხი მზრუნველობასა და მფარველობას უწევდნენ კათოლიკე მისიონერებს, რაც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ვატიკან-საქართველოს კავშირის გამტკიცებაში;

- თეიმურაზ I შეეცადა რომთან უშუალოდ სამხედრო-პოლიტიკური კავშირების შემდეგ მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური კავშირების დამყარებას, რომელთა წარმატებით განხორციელებაც ორივე მხარისათვის ურთიერთხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. ერთი მხრივ, იგი გზას უხსნიდა მისიონერთა ნაყოფიერ საქმიანობას საქართველოში, მეორე მხრივ, ქართველებს საშუალებას აძლევდა მისიონერების მეშვეობით ზიარებოდნენ მსოფლიო კულტურას. ვატიკანთან ურთიერთობის ამ მიმართულებით ჩამოყალიბებაში უდიდესი სამსახური გასწია ჩვენი ქვეყნის დესპანმა ევროპაში ნიკიფორე ირბახმა, რამეთუ, ქართველები ხსნას სწორედ დასავლეთიდან მოელოდნენ.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Luis Gil Fernandez, Iliá M. Tabagua, Fuetes para La Istoria de Georgia, En Bibliotecas y archives espanoles (iglos XV-XVII) Madrid, ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბალუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მადრიდი, 1993.
2. მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902.
3. ილია ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. II (1600-1628), თბილისი, 1986.
4. ჯუანშერ ვათეიშვილი, ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე, იხ.: გაზ. „კომუნისტი“ №175 (18.717), 177(18.719), 178(18.720) 31 ივლისი-4 აგვისტო, 1983 წ.
5. ჯუანშერ ვათეიშვილი, საქართველო და დასავლეთ ევროპა, XIII-XVII სს., თბილისი, 2001 (რუსულ ენაზე).
6. Г. Жордания, З. Гамезардашвили, Римско-католическая миссия и Грузия, Тбилиси, 1994.
7. ელდარ მამისთვალისვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბილისი, 2011.
8. მურმან პაპაშვილი, უნიის საკითხი ნიკიფორე ირბახის დიპლომატიური მოგზაურობის დროს, იხილეთ: საერთაშორისო კონფერენცია ქართულ-პოლონურ რელიგიურ ურთიერთობათა შესახებ, ორი ეკლესიის პირისპირ“, თბილისი, 2002.
9. გულჩინა აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – ნიკიფორე ირბახი, თბილისი, 1977.
10. ელდარ მამისთვალისვილი, საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 2008.
11. მიხეილ თარხნიშვილი, წერილები, თბილისი, 1994.

**Mariam Gabunia**  
*Doctoral Student of the Georgian  
Technical University*

## **Nikiphor Irbakh's Embassy in Rome**

### **Summary**

Though Nikiphor Irbakh's political embassy got the whole fiasco in Madrid and Roma. This diplomatical Mission opened the new prospects in religious and cultural relations between Georgian and Vatican.

The ambassadors sent by Teimuraz I and led by Nikipore Irbakhi are being in the centre of researchers' attention for a long time. Nearly every researcher declares that the aim of these ambassadors was the creation of anti Osmalian coalition. To our mind, this fact contradicts historical sources and even there is no logical reality. The king Teimuraz aimed to find anti Iranian and anti Osmalian force in Europe (this interest drove him to Spain royalty. Teimuraz and his partners supposed that Spain had anti Iranian course but later they found out that the opposition was not strong enough to create anti Iranian coalition. That's why Nikipore Irbakhi and Spanish guards instead of creating anti Iranian coalition worked out the plan of anti Osmalian coalition). Diplomatic relation between Kartl-Kakheti and Spain did not continue any more.

არჩილ ჩაჩხიანი

ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

**„ცივი ომის“ სტრატეგია – რუსული  
ქაქაყანის მონღოლური პოლიტიკის ქვაკუთხედი**

მოსკოვის რუსეთის ჩამოყალიბების პერიოდი (XIV-XV სს.) რუსეთში მონღოლთა ბატონობის პერიოდს ემთხვევა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მოსკოვის რუსეთი მონღოლთა ბატონობის პირობებში ყალიბდებოდა. მონღოლებმა რუსეთის ეს რეგიონები დაიპყრეს და საფუძვლიანად გადაარცხვეს XIII საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში (1237 წელს მონღოლებმა ქ. რიაზანი აიღეს, ხოლო 1238 წელს – ქ. ვლადიმირი). კიევის რუსეთი ის სახელმწიფო იყო, სადაც ნორმანულ-ვიკინგური სული ბატონობდა. მოსკოვის რუსეთი კი იმ სახელმწიფოს წარმოადგენდა, სადაც უკვე მონღოლური სული გაბატონდა. მონღოლებთან ხანგრძლივი ურთიერთობის პერიოდში ადგილი ჰქონდა სისხლის აღრევას რუსთა და მონღოლთა შორის. მოსკოვის რუსეთის დიდი მთავრები (შემდგომში მეფეები) ტიპიური აზიელი ტირანები იყვნენ და არაფრით გამოირჩეოდნენ მონღოლი ყაენებისგან. მონღოლურმა წეს-ჩვეულებებმა დამკვიდრება იწყო რუსეთში, განსაკუთრებით, ფეოდალურ არისტოკრატიაში. მოსკოვის გარშემო რუსული მიწების გაერთიანების პროცესში აქტიურად ერეოდნენ მონღოლი ყაენები. პრაქტიკულად, მათზე იყო დამოკიდებული მოსკოვის მთავრის მიერ სხვა რუსული სამთავროების შემოერთება. „მოსკოვის რუსეთის ხასიათი არ შეცვლილა მონღოლთა ბატონობიდან განთავისუფლების (1480 წ.) შემდეგაც“, – ზუსტად აღნიშნავს პროფესორი ვახტანგ გურული [1, 11-12]. რუსი ავტორები კი ასე ეხმიანებიან აღნიშნულ თემას – ეროვნული თვითშეგნების ჩასახვა და ჩამოყალიბება ერების ერთმანეთზე ზეგავლენით ხდება. არა აქვს მნიშვნელობა იმას, ეს ხდება ომებით თუ სავაჭრო, კულტურული და პოლიტიკური კონტაქტების დამყარებით. რუსი ერისათვის პირველი ასეთი მნიშვნელოვანი კონტაქტი ბიზანტიასთან შეხვედრა იყო IV-V საუკუნეებში. რა თქმა უნდა, სხვა მეზობლების ზეგავლენაც იყო, როგორცაა, მაგალითად, სტეპის ხალხები, მონ-

ლოლები, ურალელ-ალტაელები. ეს კონტაქტები ზოგჯერ იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ისტორიკოსები და კულტუროლოგები წახალისა, ელიარებინათ დებულება, რომ „თათრობის გარეშე არ იარსებებდა რუსეთი“. თათრობამ იმდენად ღრმად შეაღწია რუსული კულტურის ქსოვილში, რომ უკვე ძნელია, გაარკვიო, სად არის სუფთა თათრული და სუფთა რუსული. თათრობა – „ნეიტრალური“ კულტურული გარემო, რომელიც „ყველანაირ ღმერთებსა“ და „ყველა კულტურას“ იტანდა, რუსეთს ღვთის რისხვად დაატყდა. რუსეთი რომ „ირანული ფანატიზმითა და ეგზალტაციით“ დაავადებულ თურქებს რგებოდათ, მისი ბედი გაცილებით მწარე იქნებოდა. რუსეთი დასავლეთს რომ რგებოდა, იგი მას სულს ამოაცლიდა... [2, 60] ევგენი ტრუბეცკოი კი, თავის ნაშრომში „О тyранском элементе в русской культуре“, პირდაპირ აცხადებდა, რომ რუსი „Царь“-ი მონღოლი ყაენის მემკვიდრეს წარმოადგენდა: „თურანულმა ელემენტმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა რუსი ხალხის ფსიქოლოგიურ წყობასა და მისი ცხოვრების წესზე. ევგენი ტრუბეცკოი ამბობდა: „მართალია, მართლმადიდებლობა რუსებმა არა თურანელებისგან, არამედ ბიზანტიისაგან მიიღეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს რწმენა გარკვეულწილად თურანულ ფსიქოლოგიაზე იყო დაფუძნებული“. და არა მხოლოდ სარწმუნოებასთან დამოკიდებულება, არამედ რუსული სახელმწიფოებრიობა ხელისუფლების თათრული ორგანიზაციის წესისაგან წარმოიშვა. ამ თვალსაზრისით კი, რუსი „Царь“-ი მონღოლი ყაენის მემკვიდრეს წარმოადგენდა“ [3, 72].

რუსეთის პოლიტიკურ ტრადიციებსა და მეთოდებზე სრული და ზუსტი წარმოდგენის შესაქმნელად საჭიროა მის მიერ გასულ საუკუნეებში წარმოებული ომები და ამ ომების ხასიათი განვიხილოთ. ამ საკითხების კვლევისას კი, განსაკუთრებული ყურადღება ერთ მთავარ მომენტს უნდა მივაქციოთ. ისტორია გვასწავლის, რომ რუსეთის დაპყრობითი ომების დიდ სტრატეგიას ყოველთვის პოლიტიკური სახე ჰქონდა. ისტორია გვასწავლის, რომ რუსეთის მიერ ომების მომზადება საფუძვლიანად და მეთოდურად მიმდინარეობდა, რაშიც მთავარი როლი ე. წ. „ცივი ომს“ ჰქონდა მიკუთვნებული. რუსული „ცივი ომის“ ცნებასა და ფილოსოფიაში მთავარი თეზა ყოველთვის პოლიტიკური მომენტი იყო, რადგან, როცა კი რუსეთს სასწორზე შეუგდია გამარჯვების ბედი და მხოლოდ საკუთარ შეიარაღებულ ძალებს დაყრდნობა, ყოველთვის წაუგია.

პირველად ტერმინი „ცივი ომი“ ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა, ჟურნალისტმა და კრიტიკოსმა, ჯორჯ ორვილმა (George

Orwell) (ნამდვილი გვარ-სახელი ერიკ არტურ ბლერი – Eric Arthur Blair) იხმარა გაზეთ „Tribune“-ის 1945 წლის 19 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „You and the Atom Bomb“ („თქვენ და ატომური ბომბი“) [4]. რაც შეეხება „ცივი ომის“ ცნებას, ერთ-ერთი განმარტებით, „ცივი ომი არის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და იდეოლოგიური კონკურენცია ერებს შორის, რომელიც არ მიდის სამხედრო კონფლიქტამდე. ესაა დაპირისპირებულ სახელმწიფოთა შორის დაძაბულობის შექმნა და მტრული პოლიტიკის წარმოება“ [5]. ბრიტანული კოლინზის ლექსიკონის მიხედვით კი, „ცივი ომი“ არის „ორ სახელმწიფოს ან ბლოკს შორის არსებული პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც მიმდინარეობს პოლიტიკური დაპირისპირებისა და სამხედრო დაძაბულობის ზრდით, სადაც ჩართულია პროპაგანდა, ძირგამომთხრელი საქმიანობა, მუქარა, ეკონომიკური სანქციები და სხვა ზომები, რომელიც არ მიდის ღია საომარ მოქმედებამდე“ [6]. თითქოს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ არსებული საკითხის გნოსეოლოგია არსებითი თვალსაზრისით, გაცილებით რთულია. მართალია, მსოფლიო პოლიტიკის სფეროში ტერმინი „ცივი ომი“, როგორც ასეთი, XX საუკუნის შუა წლებში, II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გაჩნდა, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში მას გაცილებით უფრო ღრმა ფესვები აქვს გადგმული და იგი სათავეს რომანული პერიოდიდან, ჰანიზალისა და რომის დაპირისპირების ეპოქიდან იღებს. „ცივი ომის“ დღეისათვის მიღებულ „კლასიკურ“ განმარტებას შემდეგი სახე აქვს – „ცივი ომი“ სახელმწიფოთა შორის არსებული კონფლიქტია, რომელიც არ მიმდინარეობს პირდაპირი სამხედრო მოქმედებების გზით, არამედ მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიკური დაპირისპირებით, პროპაგანდის გაჩაღებით, ჯაშუშურ-სადაზვერვო მუშაობის გაძლიერებით, გამალებული შეიარაღებითა და არაპირდაპირი ომების წარმოებით სატელიტი ქვეყნების მეშვეობით“ [7]. ასეა განმარტებული „ცივი ომი“ ენციკლოპედიაში „ბრიტანიკა“. აქ ყველაფერი გასაგებია. მართალია, პირველად ეს ტერმინი მხოლოდ 1945 წელს გამოიყენა ჯორჯ ორვილმა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამ სამხედრო-პოლიტიკურ ფენომენს გაცილებით ღრმა ფესვები და ისტორია აქვს და განსაკუთრებით სრულად მან სწორედ რუსულ პოლიტიკურ სივრცეში ჰპოვა გამოხატულება.

საზოგადოდ რუსული საგარეო პოლიტიკის დამახასიათებელ ფენომენს, „ცივი ომი“ ორი შემადგენელი ასპექტი აქვს – პოლიტიკური და სამხედრო. აქ უპირატესობა დაპირისპირების პოლიტიკურ ასპექტს ენიჭება და იგი შეიძლება ათეულობით ან ასეულობით

ნლებიც კი გაგრძელდეს. ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის წინააღმდეგ სათანადო პოლიტიკური და იდეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ცივი ომი შესაძლებელია ჩვეულებრივი „ცხელი ომითაც“ დასრულდეს, თუმცა მოვლენების ამდაგვარი განვითარება სულაც არ წარმოადგენს აუცილებლობას. გარკვეულ შემთხვევებში ცივი ომის მსვლელობისას ნამდვილ სამხედრო დაპირისპირებებსაც აქვს ადგილი, თუმცა აქ ძირითადი აქცენტები მოწინააღმდეგე მხარის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დასუსტებისა და მოშლისაკენაა მიმართული. სამხედრო კონფრონტაციის შემთხვევაში კი, დაპირისპირებული მხარის დასასუსტებლად ე. წ. „დაუძლურების“ ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ფაბიუსის სტრატეგია“ გამოიყენება, რომელიც ძირითადად მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებისაკენ არის მიმართული. „ცივი ომის“ კლასიკურ მაგალითებად საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე რომისა და კართაგენის, რომისა და პართიის, ან თუნდაც, ჩრდილოეთ ამერიკაზე კონტროლის მოსაპოვებლად XVII-XVIII საუკუნეების ბრიტანულ-ფრანგული დაპირისპირებები შეგვიძლია განვიხილოთ [8].

არ ჩავუღრმავდებით ამ დაპირისპირებათა ქრონოლოგიებისა და მახასიათებლების ზუსტ განხილვას, მაგრამ ვიტყვით, რომ „ცივი ომის“ ათასწლოვან ისტორიაში გამორჩეული ადგილი სწორედ რუსეთს უკავია. წინ გავუსწრებთ მოვლენებს და იმასაც დავამატებთ, რომ რუსეთის სამეფოს მდიდარი გამოცდილება შემდგომში კიდევ უფრო დახვეწა რუსეთის ბოლშევიკურმა იმპერიამ. XX საუკუნის ბოლოდან კი, უკვე თანამედროვე რუსეთის ფედერაციამ. საკითხის არსში საფუძვლიანად გარკვევისათვის კი ისევ მის აღმატებულება ისტორიას უნდა მივმართოთ და უფრო დეტალურად განვიხილოთ რუსული „ცივი ომის“ გენეზისი, მისი მახასიათებლები, შემდგომი განვითარება და შედეგები. ამ საკითხის განხილვისას ძირითადად ცნობილი ქართველი ემიგრანტის, ყოფილი იუნკრის, ივანე ნანუაშვილის ანალიტიკური ხასიათის ნაშრომს – „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ – დავეყრდნობით.

რუსეთის ისტორიაში „ცივი ომს“ ფაქტობრივად 400-წლიანი ტრადიცია აქვს. საერთაშორისო პოლიტიკის ავანსცენაზე მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკური ხედვით რუსეთი პირველად ივანე IV მრისხანეს სტაბილურად მყარი თვითმმართველობის პერიოდში გამოვიდა. ივანე მრისხანე პირველი რუსი მმართველი იყო, რომელმაც ოფიციალურად იკურთხა თავი თვითმპყრობელ მეფედ. მან სრუ-

ლად ჩამოაყალიბა შიდასახელმწიფოებრივი მმართველობის ოფიციალური პრინციპები და იგი პირველი მმართველი იყო, რომელიც რუსეთის ეთნოგრაფიულ საზღვრებს გასცდა. მუდმივი წარმატებების მისაღწევად ივანე მრისხანემ ექსპანსიის ძირითადი მიმართულებებისა და დასახულ მიზნებამდე მისვლის საკუთარი მეთოდები შეიმუშავა. ცხადია, ყველაფერი, რაც მისი მეფობის დროს ჩამოყალიბდა, გამოიკვეთა და ოფიციალური ფორმა მიიღო, მხოლოდ და მხოლოდ მისი პიროვნული ნიჭის დამსახურება არ იყო. ისინი რუსულ-მონღოლური ერთიანი სახელმწიფოებრივი ყოფის საუკუნეობრივმა ტრადიციებმა ჩამოაყალიბა. განუვითარებელი სახელმწიფოებრიობის პირობებში მონღოლთა შემოსავლის ერთადერთ წყაროს ლაშქრობებით მოპოვებული ნადავლი და დაპყრობილი ხალხებისა და სახელმწიფოებისაგან აკრეფილი ხარკი შეადგენდა. სახელმწიფოს არსებობის ასეთი წესი ძლიერი არმიის ორგანიზებასა და გამუდმებულ ომებს მოითხოვდა. სახელმწიფოს არსებობის მონღოლური წესი ზედმინევენით ზუსტად გადმოიღეს მოსკოვის რუსეთის დიდმა მთავრებმა (მეფეებმა). ისინი სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარებაზე დიდად არ ზრუნავდნენ, სამაგიეროდ, გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდნენ არმიის გაძლიერებასა და მეზობელი ხალხებისა და სახელმწიფოების დაპყრობას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ნათლად გამოიყვანდა ივანე IV მრისხანის (1533-1584) მმართველობის წლებში. ივანე მრისხანე ცდილობდა, თავისი სახელმწიფოს საზღვრებში მოექცია ვოლგისპირეთი (ყაზანისა და ასტრახანის მონღოლური სახანოები), ბალტიისპირეთი (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი), დასავლეთ ციმბირი (ციმბირის მონღოლური სახანო) და ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილი (ყაბარდო, ჩერქეზეთი) [1, 12]. და მაინც, ოფიციალური სახელმწიფო აპარატი, რომელსაც უკვე გავლილი ჰქონდა ჩამოყალიბების პერიოდი და საერთაშორისო არენაზე გამოვიდა, როგორც ძალა, რომლის ხელშიც იყო მოქმედებისა და განვითარების მყარი პრინციპები, პირველად ივანე მრისხანემ წარუდგინა სამყაროს. მისი პირველი მსხვერპლი ყაზანის სამთავრო გახდა, სახელმწიფო, რომელიც იმდროინდელი რუსეთისათვის საარსებოდ მნიშვნელოვანი ცენტრების სიახლოვეს მდებარეობდა. ყაზანის სახანო რუსეთს საფრთხეს უქმნიდა და აღმოსავლეთისა და სამხრეთისაკენ მიმავალ გზებზე ელობებოდა. ამას გარდა, მორალური ფაქტორიც არსებობდა. სახანო ხომ ოქროს ურდოს მემკვიდრე და მუდმივი საფრთხე იყო რუსეთისათვის, რომელიც მისი უღლის ქვეშ 240 წელი იტანჯებოდა. ყაზანზე ლაშქრობას წინ ხანგრძლივი



და მძიმე პოლიტიკური მოღვაწეობა უძლოდა, რომელიც რამდენიმე ათეულ წელს გრძელდებოდა იმ დღემდე, სანამ მოსკოვიტების არმიამ ყაზანის კედლები საბოლოოდ სიმბოლურად არ ააფეთქა. 1521 წელს რუსეთმა თავისი აგენტი, შაჰ ალი დასვა ტახტზე, რომელიც თათრებმა თავიდან მოიშორეს, მაგრამ 1551 წელს რუსეთის ამ აგენტმა კვლავ დაიბრუნა ტახტი მოსკოვიტების არმიის დახმარებით. მოსკოვის მიერ პროვოცირებულმა და ხელოვნურად გაჭიანურებულმა ხანგრძლივმა შიდა არეულობამ იმდენად დაასუსტა სახანო, რომ მას საკუთარი დედაქალაქის დაცვა აღარ შეეძლო. მოსკოვის დესტრუქციულმა საქმიანობამ ისე დააუძლურა ქვეყანა, რომ მას თავდაცვის ყოველგვარი რაციონალური შესაძლებლობა წაართვა. საბოლოოდ, რუსეთმა 1552 წელს გაილაშქრა ყაზანზე და ხანგრძლივი ალყის შემდეგ ქალაქი რუსულმა არმიამ გაანადგურა. ასეთი შედეგებით დასრულდა მოსკოვიტების პირველი „ცივი ომი“.

მოსკოვის მეორე სამიზნე ასტრახანის სახანო იყო. ეს სახანო გზას კეტავდა ვოლგის შესართავისაკენ და ხელს უშლიდა რუსეთს, სრულად გამოეყენებინა ყაზანზე გამარჯვებით მოპოვებული საკუთარი შესაძლებლობები. ასტრახანი, ჩინგიზ ყაენის მემკვიდრეების მიერ რუსეთის ჰორიზონტზე შექმნილი ეს ბარიერი, ბოლო და ყველაზე სუსტ სახანოს წარმოადგენდა. მიუხედავად უსაზღვრო უპირატესობისა, მოსკოვს მაინც არ უცდია ღია სამხედრო ოპერაციების წარმოება ასტრახანის დასაპყრობად. „ცივი ომის“ სცენარის მიხედვით 1554 წელს მოსკოვმა თავისი კანდიდატი, დერბიშ ალი დასვა ტახტზე, რომელმაც სათანადო მეთოდებით დახვეწილად მიიყვანა სახელმწიფო განადგურებამდე. სამხედრო ძალები კი მხოლოდ 1556 წელს შევიდნენ სახანოში და იგი საბოლოოდ მიუერთეს მოსკოვს. ეს იყო რუსეთის ეთნოგრაფიული საზღვრების პირველი ოფიციალური დარღვევა, რომელიც დაპყრობილი ტერიტორიის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. ამ მოვლენას ეპოქალური მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის. რუსეთმა გზა გაითავისუფლა აღმოსავლეთისა და სამხრეთისაკენ. ამ ოპერაციის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ასპექტი ის გახლავთ, რომ იგი პოლიტიკური გზებით განხორციელდა. შეიძლება ითქვას, რომ ამით ჩაეყარა საფუძველი რუსეთის პოლიტიკურ ტრადიციას, რასაც რუსეთი დღესაც მისდევს და პატივს მიაგებს [9, 111-112].

ასტრახანსა და ყაზანში მოსკოვმა თავისი ნდობით აღჭურვილი პირები დასვა. ოფიციალურ ისტორიაში მათ „სტავლენიკებად“ (Ставленник), ხელდასმულებად მოიხსენიებენ, დღევანდელი ტერმი-

ნოლოგიით კი – მარიონეტებად. რუსული ტერმინი „Ставленник“, რომელიც თარგმანში უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მარიონეტი, უკეთ აღწერს ამ ტიპაჟის როლსა და ფუნქციას. ესაა საზოგადოების წარმომადგენელი, რომელიც მოსკოვის ხელისუფლების გამოჩენამდე ელოლიავენ და აქტიურად ემსახურება რუსულ საქმეს. მას თავი მოსკოვის წარმომადგენლად მიაჩნია იმ ქვეყანაში, რომელშიც რუსეთი საბოლოოდ გაბატონდება. ამისათვის „სტავლენიკი“ დასაპყრობი ქვეყნის წარჩინებულ და ცნობილ ოჯახს უნდა წარმოადგენდეს, სასურველია, ქვეყნის მმართველ დინასტიასაც კი. აი ასე.

„სტავლენიკსა“ და მარიონეტს შორის ის განსხვავებაა, რომ მარიონეტი, როგორც ნესი, არენაზე რუსული ჯარების მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ გამოდის, ხოლო „სტავლენიკი“ საკუთარ სამშობლოში მოქმედებას მტრის შემოსვლამდე იწყებს. იგი ცდილობს, ისეთი ანარქია შექმნას ქვეყანაში, რომ რუსული ჯარები თოფის გასროლის გარეშე და მინიმალური დანაკარგებით შევიდნენ იქ და უფრო მეტიც – ქვეყნის მთავრობამ თავად მოითხოვოს ჯარების შეყვანა. როცა ეს ადამიანები ხელისუფლებაში მოჰყავს, მოსკოვს შეუძლია სახელმწიფოს საზღვრებთან ან სულაც შიდა ტერიტორიაზე განლაგოს არმია და იარაღი გვერდზე გადადოს. თავად ფაქტი, რომ ჯარი იქვეა, უკვე მაპროვოცირებელი ფაქტორია შიდა კონფლიქტისათვის და კანონიერი ხელისუფლების პარალიზებას იწვევს, რეალურ ძალაუფლებას კი მოსკოვის დესპანი იგდებს ხელში. „სტავლენიკი“ კი, რომელსაც დამოუკიდებელ პერსონად მოაქვს თავი, იმასაც კი ვერ გრძნობს, რომ, ფაქტობრივად, რუსი დესპანის ხელმძღვანელობით მოქმედებს. ჯარიც მხოლოდ იქ და მაშინ ჩნდება, სადაც საჭიროა და როცა საჭიროა.

გვესმის, თუ რამდენად ნაცნობი სურათია აქ წარმოდგენილი უკვე XXI საუკუნის ამიერკავკასიის, და განსაკუთრებით, საქართველოს რეალობიდან. ივანე მრისხანეს მეფობიდან 450 წელზე მეტია გასული, მაგრამ მოსკოვის გეგმები და მოქმედებების სტრატეგია, მის მიერ წარმოებული „ცივი ომი“ და ამ მარჯვე ბიჭების, „სტავლენიკების“ ინსტიტუტი ჩვენთვის ერთობ ნაცნობი და შეიძლება ითქვას „მშობლიური“ ცნებებიც კია. ფაქტია, რომ დღეისათვის საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა და მის ტერიტორიაზე რუსული საოკუპაციო ჯარების ყოფნა ძალიან ნააგავს ზემოაღწერილ სურათს. თუმცა არა, ვცდებით... არა თუ ძალიან ნააგავს, არამედ წყლის ორი წვეთივით ჰგავს. ფაქტი ისაა, რომ ისტორია ხშირად მეორდება, და მეორდება საზარელი გარდუვალობით... ისიც

ფაქტია, რომ XVI საუკუნის დასაწყისისათვის კაცობრიობამ არაფერი იცოდა ამგვარი დახვეწილი პოლიტიკური მანევრების შესახებ. ტერმინ „ცივი ომთან“ ერთად არც ისეთი ტერმინები არსებობდა მსოფლიო პოლიტიკის სფეროში, როგორცაა „მეხუთე კოლონა“, „ფსიქოლოგიური ომი“, „არც ომი, არც მშვიდობა“. მიუხედავად იმისა, რომ ასტრახანის სახანო ყაზანის სახანოსთან შედარებით განუზომლად სუსტი იყო, კრემლი მაინც ისე მოიქცა, როგორც ეს ყაზანის შემთხვევაში მოხდა. თუმცა აქ 33-წლიანი მომქანცველი სამუშაოების ჩატარება არ გახდა საჭირო. ასტრახანისათვის სამწლიანი შხამის დოზაც საკმარისი აღმოჩნდა და 1556 წლისთვის ის მოსკოვის მფლობელობაში გადავიდა. ყაზანისა და ასტრახანის სახანოების დაპყრობის შედეგები მალევე გამოჩნდა. მოსკოვმა ივანე მრისხანეს სიცოცხლეშივე დაიკავა დასავლეთ ციმბირი, საუკუნენახევრის შემდეგ კი კამჩატკაზეც გაბატონდა და მყარად მოიკიდა ფეხი წყნარი ოკეანის ნაპირებზეც. სამხრეთისაკენ წამოსული რუსული ურდოები კავკასიის საზღვრებთან მცხოვრებ ტომებსაც გადააწყდნენ. რუსეთის შემდგომი ტერიტორიული ექსპანსიის მიმართულებები წყნარი და ინდოეთის ოკეანეების სანაპიროებისაკენ უკვე ნათლად იყო განსაზღვრული. მონღოლ-თათართა გამოცდილების გამოყენებამ სამხედრო საქმის, ადმინისტრაციული მოწყობის, საგადასახადო სისტემის, კომუნიკაციის, საერთაშორისო ვაჭრობისა და სხვა სფეროში რუსეთს შესაძლებლობა მისცა, შეექმნა ძლიერი არმია და მისი მეშვეობით საზღვრების მთელ პერიმეტრზე დაპყრობითი პოლიტიკა წარემართა [10, 109]. და, მიუხედავად ამისა, სამხედრო კომპონენტი მეორეხარისხოვანი იყო. წარმატებული რუსული აგრესიული პოლიტიკის ქვაკუთხედს „ცივი ომის“ სტრატეგიის გატარება წარმოადგენდა მთელი მისი ამოუწურავი არსენალით. ივანე კალიტა ქვეყნის ცენტრალიზაციას ფულის ქისით აძლიერებდა, ივანე III – პოლიტიკის ხელოვნებით, ივანე მრისხანე – ჯალათის ნაჯახით. XVII საუკუნის ბოლოდან იმპერიის ხელისუფალნი ფართოდ მიმართავდნენ სახელმწიფოს დიპლომატიურ არსენალში დამკვიდრებულ ისეთ ხერხებსა და მეთოდებს, როგორც იყო შანტაჟი, გადაბირება, დაშინება, მოსყიდვა, მოტყუება და სხვ. [11, 50].

ივანე მრისხანეს ექსპანსიური პოლიტიკის მესამე მიმართულება დასავლეთი იყო. აქ დღის წესრიგში ბალტიის ზღვის ნაპირებზე პოზიციების განმტკიცება და დასავლეთისაკენ გზის გახსნა იდგა. ამ მიზნით პოლონეთთან დაწყებული ომი რუსეთისათვის წარუმატებელი აღმოჩნდა. წმინდა სამხედრო ხასიათის დაპირისპირება

მოსკოვისათვის მარცხით დასრულდა. რუსული ჯარები პოლონელებმა გაანადგურეს. მიუხედავად ამისა, ივანე მრისხანეს გადაწყვეტილება არ შეუცვლია და არც რუსეთს შეუნწყვეტია სვლა დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთისაკენ. ივანე მრისხანეს მეფობის ხანა დღეს იმიტომაა ჩვენთვის საინტერესო, რომ თითქმის ყველა თვისება, რითაც თანამედროვე რუსეთი დანარჩენ მსოფლიოს აკვირვებს პოლიტიკურ არენაზე პრინციპებისა და ტრადიციების კონკრეტული ფორმებით, სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა. დროსთან ერთად მხოლოდ შესრულების ტექნიკა და გარეგანი ფორმა შეიცვალა, კონკრეტული მოვლენების განვითარების შესაბამისად, თუმცა პრინციპები და რუსეთის პოლიტიკური ტრადიციების შინაარსი არ შეცვლილა. ივანე მრისხანეს მარცხმა პოლონეთის დაპყრობა გააჭიანურა. სხვა მხრივ მოსკოვს არასდროს არ უთქვამს ამ ქვეყანაზე უარი. მან გააანალიზა, რომ მას პოლონეთის ოკუპაციისათვის ხანგრძლივი პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობა, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „ცივი ომის“ სტრატეგიის გატარება დასჭირდებოდა. და რუსეთიც მოთმინებით ელოდა მისთვის ხელსაყრელი მომენტის დადგომას. ამასობაში მან ბრწყინვალედ გამოიყენა სხვადასხვა შესაძლებლობა – უბრძოლველად შევიდა უკრაინაში, დაიპყრო „მალოროსები“ და თავისი ძღვევამოსილების საყრდენად აქცია იგი. მოგვიანებით, შვედეთის ხარჯზე, მან „ფანჯარაც გაჭრა“ ბალტიის ზღვისკენ. საბოლოოდ, როცა რუსეთმა მყარად მოიკიდა ფეხი, პოლონეთის განადგურების ამოცანაც ეკატერინე II-ს (1762-1796) გადაეცა. 189 წლის შემდეგ ხელახლა წამოიჭრა ამ ქვეყნის განადგურების საკითხი. ამჯერად რუსეთს ივანე მრისხანეს მიერ დაშვებული შეცდომა აღარ გაუმეორებია. 1792 წელს რუსეთმა ახალი ომი წამოიწყო პოლონეთთან. თუ მხედველობაში არ მივიღებთ არაოფიციალურ ბრძოლებსა და პოლიტიკური ჯგუფების განადგურებას, ეს ერთადერთი ფორმალური და ოფიციალური ომი იყო რუსეთსა და პოლონეთს შორის მიმდინარე მთელი „ცივი ომის“ განმავლობაში. ეკატერინე II-მ ეს ომი პოლონეთის სახელმწიფოს მესამე გაყოფით დაასრულა [9, 115]. რუსეთის ჯარი ისევ შევიდა პოლონეთში. მისი ოფიციალურად გამოცხადებული მიზანი და ლოზუნგი გახლდათ „პოლონეთის ალტრუისტული მიზნებით დაცვა გამეფებული უკანონობისა და უსამართლობისაგან“. დიახ, რუსეთი ყოველთვის კარგად ინიღბებოდა და თავისი აგრესიული ექსპანსიონისტური პოლიტიკის გამართლებას ყოველთვის რუსული „მესია-

ნიზმის“ იდეით ცდილობდა. ასე იყო ადრეც და ამასვე ცდილობს ახლაც.

პოლონეთის შემთხვევაში, რუსეთმა პოლონელთა ერთი ჯგუფი დარაზმა და რუსეთი საშველად მოახმობინა ახალი რეჟიმის დასამყარებლად და ქვეყანაში კანონიერებისა და წესრიგის აღსადგენად. ეს უკვე რუსული „ცივი ომის“ ახალი კომპონენტის – „მეხუთე კოლონიის“ გაჩენის პრეცედენტი იყო. ეს მანევრი კი რუსეთის მიერ წარმოებული თითქმის ყველა შემდგომი ომის აუცილებელი სვლა გახლდათ. რუსეთის არმია ყოველთვის „ჩაგრულებს“, ანუ დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობას უნდა მოეხმოს. ამ მანევრის გარეშე ძნელად იქნებოდა შესაძლებელი ფორმალური ომის შეცვლა „ცივი“ და სამოქალაქო ომით. ამიტომ არის, რომ რუსულ საოკუპაციო ჯარს, ჩვეულებრივ, თავის საფრონტო მარაგებთან ერთად, დაპყრობილი ქვეყნისათვის განკუთვნილი მთავრობაც თან დაჰყავს, რომლის ამოცანაც რუსეთის ნებისმიერი მოქმედების ლეგალიზება და გამართლება იქნება. [9, 115] რუსული ექსპანსიონიზმის შემდეგი მსხვერპლნი კი იყვნენ ჩრდილოეთ კავკასია, ამიერკავკასია, ირანი, ყირიმის სახანო, შუა აზია, მანჯურია და ა.შ. ამ მოვლენების შესახებ დანვრილებით მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ეს საკითხები სცილდება ჩვენი ნაშრომის ჩარჩოებს. იმას კი ვიტყვით, რომ მესიანიზმის იდეაზე დამყარებული რუსული სახელმწიფოს მიერ წარმოებული „ცივი ომების“ პროექტი და სტრატეგია თითქმის ყოველთვის გამართულად მუშაობდა. დიახ, ორსახოვანი პოლიტიკის წარმოებით – „Кнудом и Пряником“ შემოდოდა მაშინაც, XIX საუკუნეში რუსული იმპერია ამიერკავკასიაში და შემოდის დღესაც, უკვე XXI საუკუნეში – მათრახითა და თაფლაკვერით, ტკბილი დაპირებებითა და იმედებით, ცეცხლითა და მახვილით, ფულითა და მოსყიდვებით, სისხლითა და ცრემლით, სიყვარულითა და თანაგრძნობით, სიძულვილითა და მტრობით... და ასე უსასრულოდ... ყოველივე ეს კი, მცოცავი ანექსია იყო მაშინაც და მცოცავი ანექსიაა დღესაც, სხვა არაფერი, რომელიც წარმატებით განხორციელდა XIX საუკუნეში და ჯერჯერობით წარმატებით ხორციელდება დღესაც“ [12, 24].

რუსული კოლონიალიზმის მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი მეზობელი ტერიტორიების ხარჯზე იმპერიის საზღვრების განვრცობა იყო. რუსეთიც აწარმოებდა დაპყრობით ომებს, იერთებდა ახალ მიწებს, ძლიერდებოდა, თავის ორბიტაზე აქცევდა სულ უფრო და უფრო მეტ ტერიტორიებსა და მოსახლეობას. ახალი სამფლობელოების შემოერთების ამ პროცესს, რომელიც რამდენიმე საუკუნის

განმავლობაში გრძელდებოდა, ხან „Собирание земель“ ეწოდებოდა, ხანაც „Расширение границ“ ან კიდევ „Активная внешняя политика“, მაგრამ არა თავისი ნამდვილი სახელი – აგრესიული ექსპანსია. მაშინ როდესაც, სწორედ დაპყრობები, მასშტაბური ტერიტორიული ექსპანსია იყო რუსეთის ტოტალური სტრატეგია და სახელმწიფოს განვითარების ძირითადი მკვებავი წყარო. რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახალი მიწების ათვისებასთან, მიღწევებთან და წარუმატებლობებთან უცხოტომელთა ინტეგრაციისა და ასიმილაციის სფეროში, – აცხადებს პროფესორი ჯანელიძე [10, 111]. სრულად ვეთანხმებით ავტორის ამ მოსაზრებას და აი, რატომ. თუ რუსეთის ისტორიას დეტალურად გავანალიზებთ, ნათლად გამოიკვეთება რუსული სახელმწიფო ექსპანსიონიზმისათვის დამახასიათებელი სამი ძირითადი პერიოდი. სამივე პერიოდს მკაფიოდ შემოსაზღვრული მისია გააჩნია და ბრძოლებისა და არეულობების ხანგრძლივი პერიოდით ხასიათდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი „რუსული მიწების თავმოყრას“, ანუ „Собирание земель“-ს ეძღვნებოდა, რაც მოსკოვის მთავრებმა ოქროს ურდოს მეთოდებით და ამავე ოქროს ურდოს მფარველობით აღასრულეს. ეს პერიოდი ივანე მრისხანეს ტახტზე ასვლით დასრულდა.

მეორე პერიოდი – „Расширение границ“, რომელიც ცარისტულ რეჟიმს მოიცავს, ლოკალურ დაპყრობით ომებს ეძღვნება და იგი XX საუკუნის 10-იან წლებამდე გაგრძელდა.

მესამე პერიოდში კი, დაპყრობითი ომების შემდეგ რუსეთმა აირჩია ე. წ. „Активная внешняя политика“, ანუ ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის, რომელიც რუსეთის ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკთა მოსვლით დაიწყო. შესაბამისად, ადგილობრივი და რეგიონალური სამხედრო კამპანიები გლობალური მასშტაბის კონფლიქტებში გადაიზარდა. რუსული ექსპანსიონიზმის ამ პერიოდის აქტივობა მხოლოდ XX საუკუნის 90-იან წლებში შეფერხდა, მაგრამ XXI საუკუნის დადგომასთან ერთად მან ისევ იჩინა თავი და დღეს იგი ისევ აქტიურ ფაზაში იმყოფება.

რუსეთის მიერ წარმოებული „ცივი ომის“ მეთოდოლოგია კი ოთხ საფეხურს მოიცავს.

პირველი – იზოლაციაში მოქცევა. მთელი ძალისხმევა იქითკენაა მიმართული, რომ დასაპყრობი ქვეყანა გარე სამყაროსგან იზოლაციაში მოექცეს, რათა ამ ქვეყანამ არ მიიღოს დახმარება და არავინ ჩაერიოს რუსეთის საქმეებში.

მეორე – ქვეყანაში ღრმავდება შიდა დაპირისპირება, რომელსაც ხელს უწყობენ ამავე ქვეყნის მოქალაქეები, ე. წ. „სტავლენიკები“ (მეფე, პრეზიდენტი, ხანი, ამირა, გავლენიანი პოლიტიკური ლიდერი, მინისტრი და ა. შ.), რომელთაც რუსეთი დიდ დახმარებებს უწევს.

მესამე – სამოქალაქო ომის ინსპირირება. ღია თუ დახურული არხებით რუსეთი ხელს უწყობს ქვეყანაში დაპირისპირების ესკალაციას და ქვეყანას სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ხვევს. ამ დროს რუსეთი ერთ რომელიმე მხარეს კი არ უჭერს მხარს, არამედ დაპირისპირებულ მხარეებს შორის უფრო სუსტებს ეხმარება. ეს პროცესი მონაცვლეობით ხორციელდება, რათა ასე დაასუსტოს ორივე მხარე.

მეოთხე – ქვეყნის ინტერვენცია. წინა სამი ფაზის განხორციელების შემდეგ ქვეყანაში იწყება რუსული ჯარების ინტერვენცია, რომელიც საზღვართან ახლოს არის გაშლილი. როგორც წესი, ჯარების შეყვანა დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთ-ერთმა უნდა ითხოვოს. ჯარების შეყვანის შემდეგ კი ხდება ქვეყნის ტერიტორიების ნაწილობრივი ან სრული ოკუპაცია, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ ქვეყნის სრული ანექსიით სრულდება. ამ სქემით აღსრულებული „ცივი ომის“ მეთოდოლოგიის ისტორიული მაგალითები საკმაოდ ბევრია.

უნდა ვაღიაროთ, რომ ისტორიული თვალსაზრისით, მეფის რუსეთმა ჩინებულად შეასრულა ეროვნული იდეალებით შთაგონებული დავალებები. მან რეკორდულად მცირე დროში დაიპყრო ყველა იმ სახელმწიფოსა და ერის ტერიტორია, რომელთა დამორჩილებაც შეძლო. ამას გარდა, ყველაფერი ისე შეასრულა, როგორც თავად რუსი ერისათვის იყო ხელსაყრელი – მინიმალური დანაკარგებით, ფიზიკური ბრძოლების გარეშე და პოლიტიკური საშუალებების გამოყენებით. მოკლედ რომ ვთქვათ, „ცივი ომის“ სტრატეგიის დახვეწილი მეთოდებით. რუსეთის მიერ წარმოებულმა „ცივმა ომებმა“ დაამტკიცა, რომ იგი იმპერიალისტური მიზნების განხორციელების გზაზე საიმედო და შეუმცდარი იარაღია. რუსეთმა თითქმის ყველა დიდი დამპყრობლური კამპანია მისი საშუალებით აღასრულა... ეს ისტორია ჯერ არ დასრულებულა, იგი ისევ გრძელდება... და დღესაც, XXI საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთში გაბატონებული იდეოლოგიური ტენდენციები, კრემლის მესვეურთა საომარი ყიჟინა და საქართველოსა და უკრაინაში განვითარებული მოვლენები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ იმაზე, რომ „ნაციონალური ზეიდე-

ით“ აღსავსე ეს „მესიანური ერი“ ისევ არმაგედონისაკენ მიაქანებს სამყაროს...

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვახტანგ გურული, საქართველო და რუსეთი (მფარველობიდან ანექსიამდე), თბილისი, 2009.
2. Савицкий П. Н., Степь и оседлость //Мир России – Евразия. Антология / Составители и авторы вводного очерка Л. И. Новикова, И. Н. Сиземская, Москва, 1995.
3. Трубецкой Е. Н., О туранском элементе в русской культуре.
4. G. Orwell, 'You and the Atom Bomb', Tribune (19 October 1945) <http://historiana.eu/case-study/cold-war/george-orwell-and-origin-term-cold-war>.
5. Based on the Random House Dictionary, © Random House, Inc. 2015. <http://dictionary.reference.com/browse/cold+war>.
6. Collins English Dictionary – Complete & Unabridged 2012 Digital Edition. © William Collins Sons & Co. Ltd. 1979, 1986 © HarperCollins Publishers 1998, 2000, 2003, 2005, 2006, 2007, 2009, 2012. <http://dictionary.reference.com/browse/cold+war>.
7. Encyclopedia „Britanica“. <http://global.britannica.com/EBchecked/topic/125110/Cold-War>.
8. Leebaert, Derek (2006). The Fifty-year Wound: How America's Cold War Victory Shapes Our World. Boston: Little, Brown and Company.
9. ივანე ნანუაშვილი, რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ, თბილისი, 2012. ISBN 978-9941-15-564-2.
10. ოთარ ჯანელიძე, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში, თბილისი, 2013; Каппелер А., Россия – многонациональная империя: Возникновение. История. Распад, пер. с нем. С. Червоная, Москва, Традиция, 2000.
11. О. Джанелидзе, Грузинский вопрос в Петербурге, „Литературная Грузия“, №1-3, 2003.
12. არჩილ ჩაჩხიანი, რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში, (1918-1920 წლები), თბილისი, 2014.



**Archil Chachkhiani**

*Doctor of History, Colonel, David  
Agmashenebeli Georgian National  
Defense Academy*

**Strategy of the „Cold War“ – a Capstone  
of the Russian Expansionistic Politics**

**Summary**

The article reveals the main defining phenomenon of the Russian expansionistic politics – the essence of the Russian strategy of the „Cold War.“ Based on study and analysis on the historical events the article represents the characteristics and aspects, methodology and historical periods of this phenomenon.

From the historical viewpoint the tsarist Russia perfectly fulfilled the tasks inspired by the national ideals. Russia in record time managed to seize the territories of all the states and nations it could subdue. Besides, Russia performed all tasks in such way that was advantageous to the Russian nation – with minimal losses, without physical fight, through the political means – shortly, it can be considered as employing the „Cold War“ strategies perfectly.

The „Cold Wars“ conducted by Russia proved that on the way to achieve the imperialistic goals, such strategy is the reliable weapon. Russia succesfully executed all its expansionistic campaigns with its help...

## **ოჯახი, როგორც სოციალიზაციის საწყისი**

სოციალიზაცია – როგორც ამას თვით ტერმინი განსაზღვრავს, ადამიანის მიერ სრულფასოვანი ცხოვრების მიღწევისათვის აუცილებელი ნიშან-თვისების შექმნის პროცესია. ადამიანს, როგორც ბიოსოციალურ არსებას, ესაჭიროება სოციალიზაციის პროცესი, რათა იარსებოს და იცხოვროს. ადამიანს სოციალიზაცია ხშირ შემთხვევაში სთავაზობს ცხოვრების სხვადასხვა მიმართულების მქონე მოვლენებს, რომელთა შედეგადაც ის სწავლობს „თამაშის წესებს“, რომელიც საზოგადოებაშია მიღებული. სწავლობს ასევე საზოგადოების ფასეულობებსა და ქცევის ნორმებს. ამდენად, სოციალიზაცია ესაა პროცესი, რომელშიც მოქალაქეს უყალიბდება ღირებულებები, შეხედულებები და აზრები. ბავშვები ხდებიან პასუხისმგებლობით აღჭურვილი მოქალაქეები სხვადასხვა გავლენისა და ინსტიტუტის ურთიერთქმედების შედეგად. ესაა ოჯახი, რელიგია, სკოლა, თანატოლები, მასმედია და კანონი, რომლებიც მოქალაქეს უყალიბებენ ვალდებულებისა და საკუთარი თავის რწმენის შეგრძნებას.

ამა თუ იმ ინდივიდის ზნეობრივი განვითარება შესაძლებელია შეჩერდეს განსაზღვრულ ეტაპზე, თუმცა თვით სოციალიზაციის პროცესი არასოდეს არ მთავრდება. „სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ბავშვი თანდათან გადაიქცევა ცნობიერ, მცოდნე და იმ კულტურის შემთავსებელ პიროვნებად, რომელშიც ის დაიბადა. სოციალიზაცია არ არის „კულტურული დაპროგრამების“ მსგავსი რამ, როცა ბავშვი პასიურად ითვისებს იმ ზეგავლენებს, რომლებთანაც კონტაქტში შედის. ახალშობილ ბავშვსაც კი აქვს მოთხოვნილებები და საჭიროებები, რომლებიც გავლენას ახდენს მის მომვლელებზე, ამდენად, ბავშვი დაბადებიდანვე აქტიური არსებაა.“ [1, 50]

ინდივიდის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი, ეს არის ადამიანის ის მთავარი არსი, რაც მას განასხვავებს ყველა სახის სხვა ბიოლოგიურ სახეობისაგან. ადამიანი კი პიროვნებად მხოლოდ სოციალიზაციის პროცესში ყალიბდება.

ამ მხრივ ოჯახს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ოჯახი წარმოადგენს ადამიანის სოციალიზაციის საფუძველს, სწორედ იგი აძლევს საშუალებას ინდივიდს, რათა ჩამოყალიბდეს სოციალურად კომპეტენტურ პიროვნებად. ოჯახი ადამიანთა ურთიერთობების პირველადი უჯრედია ყოველმხრივ მოხერხებული, ისტორიულად გამოცდილი და სოციალურად აუცილებელი. მაშინაც კი, როდესაც სხვა ინსტიტუტები ერთგებიან პიროვნების ჩამოყალიბებაში, აღნიშნული პროცესი ოჯახში მაინც არ წყდება და ისევ გრძელდება.

ოჯახის განსაკუთრებული დანიშნულება მისი ფუნქციიდან გამომდინარეობს. სოციოლოგი იან შჩეპანსკი ოჯახის ხუთ ფუნქციაზე საუბრობს:

1. საზოგადოების ბიოლოგიური უწყვეტობის უზრუნველყოფა;

2. ოჯახი უზრუნველყოფს საზოგადოების კულტურულ უწყვეტობას; იგი ახორციელებს ახალგაზრდა თაობის სოციალიზაციას, ე.ი. იგი შეჰყავს ერთობლივი ცხოვრების ნორმებში და საზოგადოებრივი ცხოვრების კონფორმიზმის მექანიზმში;

3. ოჯახი სოციალურ მდგომარეობას აძლევს თავის შვილებს;

4. ოჯახი უზრუნველყოფს ინდივიდის ემოციურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ანჭებს უშიშროების შეგრძნებას, უზრუნველყოფს ემოციურ წონასწორობას, ამით კი პიროვნებას თავიდან აცილებს დეზინტეგრაციას;

5. ოჯახი სოციალური კონტროლის ინსტიტუტიც არის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისათვის. [2, 129]

როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ლოზუნგებით აღზრდამ, აღზრდა-განათლების სისტემის დაყვანამ „რა არის კარგი და რა არის მიუღებელი, ცუდი“, ნაყოფი ვერ გამოიღო, ვინაიდან უფროსების პირად, უსიტყვო მაგალითს უფრო დიდი გავლენა აქვს ბავშვის ჩამოყალიბებაზე, ვიდრე ცარიელ მითითებებს, რომელთაც ვერ მივყავართ ქცევით გამტკიცებებამდე. ბავშვი პირველად ცდისა და შეცდომის მეთოდით, ასევე სხვების მნიშვნელოვანი რეაგირების საფუძველზე ხვდება რა არის კარგი და ცუდი, დასჯადი და არადასჯადი. სწორედ ამგვარი მიმართულებების გარჩევისკენაა მოწოდებული აღზრდის სისტემა. გამომდინარე აქედან, სწორედ ოჯახი თა-

ვისი ფუნქციონირების ტიპისდა მიხედვით განსაზღვრავს მომავალი პიროვნების მახასიათებლებს და აქედან გამომდინარე მის სოციალიზაციის დონესაც. ასე მაგალითად, თუ ოჯახში ძალადობრივი ატმოსფეროა, ბავშვი სწავლობს იმას, რომ ძალადობა ესაა ერთადერთი ქცევა სხვა ადამიანებთან ურთიერთობებისა და საკუთარი თავის ამ მხრივ დამკვიდრებისა. ხოლო თუ ოჯახში ადგილი აქვს თანასწორუფლებიან ურთიერთობებს, ბავშვს უვითარდება უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდა, რაც სხვებთან დადებით ურთიერთობებში გამოიხატება და მისი სოციალიზაციის პროცესიც დადებითად წარიმართება.

ამრიგად, ოჯახი არის ის პირველადი ინსტიტუტი და საფუძველი, სადაც პიროვნების სოციალურ არსებად ჩამოყალიბება ხდება.

ოჯახი, რომელიც ადექვატურად ასრულებს ყველა ფუნქციას, ითვლება ფუნქციონალურად, ხოლო თუ რომელიმე ან რამოდენიმე ფუნქციაა დარღვეული დისფუნქციურად. ფუნქციონალური ოჯახი უმკლავდება ყველა მის წინაშე მდგარ შინაგან თუ გარეგან ამოცანებს, ხოლო დისფუნქციური ოჯახი ვერ უმკლავდება მის წინაშე მდგომ ამოცანებს.

სოციალიზაციის პირველ ფაზაში, რომელიც ადამიანის პირველ სამ წელს გრძელდება, უმნიშვნელოვანესია დედის პიროვნება. ამიტომაც მისი არყოფნა უარყოფითად მოქმედებს ბავშვის სოციალიზაციაზე. სოციალიზაციის მეორე ეტაპზე, რომლის დროსაც ბავშვები უფრო დიდ სოციალურ გარემოსთან შედიან ურთიერთობაში, უმნიშვნელოვანესია მამის როლი, მისი პიროვნება, ვინაიდან იგი აწვითარებს და წინ უძღვის ბავშვის სოციალიზაციას უფრო დიდ მასშტაბებზე [3, 397].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დაისვას კითხვა: როგორ ხორციელდება ბავშვთა სოციალიზაცია? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა საკმაოდ ძნელია, მაგრამ ისეთი ფსიქოლოგიური მექანიზმების, როგორიცაა – იმიტაციის, იდენტიფიკაციის, სირცხვილისა და ბრალის განცდების ანალიზი გვეხმარება მოცემული პროცესის არსების ახსნაში.

იმიტაცია ესაა ბავშვის მიერ ქცევის განსაზღვრული მოდელის კოპირების შეგნებულ-გაცნობიერებული მისწრაფება.

იდენტიფიკაცია ენოდება ბავშვების მიერ მშობელთა ქცევების, განწყობილებებისა და ღირებულებების, როგორც საკუთარის ათვისების წესსა და ხერხს.

იმიტაცია და იდენტიფიკაცია – პოზიტიური მექანიზმებია, ვინაიდან ხელს უწყობს გარკვეული ქცევის ჩამოყალიბებას. სირცხვილი და დანაშაული – ნეგატიური მექანიზმები, რამდენადაც ისინი კრძალავენ განსაზღვრულ ქცევას ან თრგუნავენ მას.

სოციალიზაციის პროცესზე ასევე ზემოქმედებენ კლასობრივი, რასობრივი, ეთნიკური და კულტურული განსხვავებულობანი. „ოჯახი წარმოადგენს იმ პირველ ჯგუფს, რომლის ღირებულებებსა და ნორმებსაც ითვისებენ და ითავისებენ ბავშვები და რომლებსაც-საქციელის შეფასების მიზნით იყენებენ. თუმცა, ოჯახი არ არის იზოლირებული ჯგუფი. ის ფართო საზოგადოების შემადგენელი ნაწილია. ოჯახის ღირებულებები, დამოკიდებულებები და ცხოვრების წესი ირეკლავს სოციალურ კლასს, რელიგიას, ეთნიკურ ჯგუფსა და ქვეყნის იმ კუთხეს, რომლის ნაწილიც თვითონ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვები ოჯახიდანვე ითვისებენ საკუთარი საზოგადოების კულტურას, რაც ისედაც დამოკიდებულია მათი ოჯახის წარმომავლობასა და გამოცდილებაზე [4, 220].

მელვინ კონის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ კლასობრივი განსხვავება სერიოზულ გავლენას ახდენს სოციალიზაციის პროცესზე. საზოგადოების საშუალო ფენებიდან გამოსული მშობლები თავიანთ ბავშვებს ასწავლიან ფაქტების გააზრებასა და გადაწყვეტილების მიღებისას პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას. მუშების ოჯახში ამჯობინებენ ბავშვებს ჩაუნერგონ გარეგანი ავტორიტეტისა და ძალაუფლებისადმი მორჩილების მზაობა. სოციალიზაციაზე გავლენის მქონე ამ კლასობრივი განსხვავების მიზეზთა გამოსავლენად, კონმა საშუალო ფენისა და მუშათა კლასის წარმომადგენლების საქმიანობის სპეციფიკა გააანალიზა. მან დაადგინა, რომ „მამები, რომლებიც თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლები იყვნენ, როგორც წესი თავიანთ შვილებში ინიციატივიანობისა და თავისუფალი აზროვნებისაკენ მისწრაფების განვითარებას უწყობენ ხელს. მამები კი, რომლებიც მკაცრი კონტროლის ქვეშ მუშაობდნენ, ბავშვებში კონფორმიზნისაკენ მიდრეკილების განმტკიცებას უწყობდნენ ხელს [5, 120-121]. კონის აზრით,

კლასობრივი კუთვნილების გავლენა სოციალიზაციაზე კულტურული ფაქტორების გავლენას აღემატება.

კონის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ ასევე აჩვენა, რომ გარდა კლასობრივი განსხვავებებისა, სოციალიზაციაზე გავლენას რელიგია და რასა ახდენს.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოჯახში მიმდინარეობს ადამიანის სოციალიზაციის პროცესი, რომელიც შედეგია არა მარტო ოჯახის წევრებთან ურთიერთობისა, არამედ პიროვნების ურთიერთობისა სოციუმთან, რომლის ჩამოყალიბებაზეც თავის მხრივ პიროვნებაც ახდენს გავლენას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალიზაცია საკმაოდ მრავალსახოვანი პროცესია. ცხადია, ჩვენს მიერ ზემოთ თქმული არ ამონურავს სოციალიზაციის შინაარსს. სოციალიზაცია ის პროცესია, რომლითაც ხდება ადამიანის გარემოში არსებულ ნორმათა და ღირებულებათა ათვისება. სოციოლოგ შვარცენბერგის განსაზღვრებით: „სოციალიზაცია ცოდნის, რწმენის, გრძნობების შექმნა, ე. ი. ყოფიერების გაგების და შეგრძნების წესისა, დამახასიათებელი საზოგადოებისათვის, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. სოციალიზებული ადამიანი ეკუთვნის თავის გარემოს, ის იზიარებს თავისი ჯგუფის შეხედულებათა, ღირებულებათა, გემოვნებათა უმეტესობას და ურთიერთობაშია იმავე კულტურის წარმომადგენლებთან“ [6, 153]. სოციალიზაციის პროცესში კი ოჯახს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ოჯახი ცნობიერად ორგანიზებული სტაბილური სოციალური ჯგუფია და მისი სახე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ყველა სხვა სოციალურ ინსტიტუტს საზოგადოების ჩათვლით, ისე როგორც, თავის მხრივ, სოციალური ინსტიტუტები, სახელმწიფოთი დაწყებული მცირე ჯგუფებით დამთავრებული, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ოჯახის სახეს.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. სოციოლოგია, ენტონი გიდენსის მიხედვით, თბილისი, 2011.
2. ი. შჩეპანსკი, სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები, თბილისი, 1997.
3. გ. ბანძარიდისი, „ქრისტიანული ეთიკა“, თესალონიკი, ტ. 2, თბილისი, 2006.

4. ქ. კალჭუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, სოციოლოგია, თბილისი, 2008.
5. Смельзер Н., Социология, Москва, Феникс, 1994.
6. Шварценберг Р. Ж., Политическая социология, Москва, 1992.

Maia Amirgulashvili  
*Georgian Technical University,  
Associate Professor*

## **The Family, as a Socialization from**

### **Summary**

Individual personality development, this is the main essence of a person, which differentiates it from all sorts of the other biological species. A person forms as a person only in the socialization process.

In this side, the family is the most important. The family is the foundation of the human socialization, exactly it allows the individual to become a socially competent person. The family is the relationship of human beings which convenient primary cells in every way, historically experiences and socially necessary.

The family is the first group, which values and norms assess, absorb and accept the children. But the family is not an isolated group. It is an integral part of the general public. The values of the family, attitude and lifestyle reflect social class, religion, ethnic group and the country in a sense, a part of which it is.

This means that the children own the social culture from the family in general, it already depends on their family background and experience.

Therefore, the family is the primary institution and the basis, from where becomes the establishment of a social creature.

**ხათუნა ქოქრაშვილი**

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

**ჟურნალი „სვეტიცხოველი“ საქართველოს ეკლესიის  
ეროვნული მისიის შესახებ (1917-1918)**

ჟურნალი „სვეტიცხოველი“ დაარსდა 1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის გადაწყვეტილებით. ის გამოიცა პავლე ინგოროყვას რედაქტორობით, და როგორც საქართველოს ეკლესიის ოფიციალური ორგანო იბეჭდებოდა 1917-1918 წლებში. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალები ასახავდა ახლად აღდგენილ საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე პროცესებს, მის პოზიციას და დამოკიდებულებას ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების მიმართ. გამოცემის დანიშნულების შესახებ პირველივე ნომერში ნათქვამი იყო: „ჟურნალი თავის ვალად დაისახავს ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმვას ახალი ცხოვრებისათვის საბრძოლველად, სარწმუნოებრივი ცხოვრების აყვავებისათვის და წარმატებისათვის“ [2, 1].

ჟურნალში დიდი ადგილი დაეთმო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებს, რუსეთის დროებითი მთავრობისა და უწმინდესი სინოდის დამოკიდებულებას საქართველოს ეკლესიის პრობლემებისადმი. მასში აისახა საქართველოს ეკლესიის ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი და პრობლემა: ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ პეტერბურგში გაგზავნილი დელეგაციის მუშაობის ანგარიშები, ინფორმაცია საქართველოს საეკლესიო კრების მოსამზადებელი კომისიის სხდომების, მოგვიანებით, საქართველოს საეკლესიო კრების მიმდინარეობისა და დღის წესრიგის, კათოლიკოს-პატრიარქის, საკათალიკოსო საბჭოსა და სასამართლოს არჩევნების შესახებ და სხვა.



ამჯერად, ყურადღებას შევაჩერებთ საქართველოს ეკლესიის იმ ძირითად ამოცანებზე, სამოქმედო პროგრამასა და პრიორიტეტებზე, რომელიც სრულიად საქართველოს ეკლესიისა და მისი მეთაურის მიერ ავტოკეფალიის აღდგენის პირველსავე წლებში შემუშავდა და ჟურნალ „სვეტიცხოვლის“ მეშვეობით ეუწყა საზოგადოებას.

1917 წლის 12 მარტს გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ხოლო 1917 წლის 17 სექტემბერს სრულად საქართველოს საეკლესიო კრებამ საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქად კირიონ II (გიორგი საძაგლიშვილი) აირჩია. ამავე წლის 1 ოქტომბერს სვეტიცხოვლის ტაძარში ის საეკლესიო წეს-განგებით საზეიმოდ აღასაყდრეს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე საქართველოს ეროვნული ყრილობისა და საქართველოს ეკლესიის სამწყოსადმი წარდგენილ „გუჯრებში“ [1, 1-3; 3, 1-3], აგრეთვე, აღმოსავლეთის პატრიარქთა, რომის პაპისა და სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქისადმი გაგზავნილ ეპისტოლეებში [1, 4-5; 3, 4-5] ჩამოაყალიბა თავისი სამოქმედო გეგმა და საპროგრამო პრინციპები, მიმართული ერის ერთიანობისა და ზნეობრივ-კულტურული სრულყოფისკენ.

უპირველეს საზრუნავად კირიონ II მიიჩნევდა ახლად აღდგენილი ეკლესიის განმტკიცებას ისტორიულ უფლებათა ფარგლებში. ეს ითვალისწინებდა: ა) სხვადასხვა ქვეყნებისა და საპატრიარქოების მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას, რისთვისაც მან ეპისტოლეებით მიმართა ქრისტიანული ეკლესიების მამამთავრებს; ბ) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ტერიტორიული პრინციპით გატარება, რაც ეწინააღმდეგებოდა რუსული ეკლესიის ინტერესებს. ეს უკანასკნელი მომხრე იყო ავტოკეფალიის ეროვნული პრინციპით აღიარების. გ) რუსული საეკლესიო პოლიტიკის შედეგად საქართველოს ეკლესიასა და სამწყოს შორის დარღვეული კავშირის აღდგენა. „გათავისუფლებული ეკლესია პირველყოვლისა განახლებულ უნდა იქნეს თანამედროვე ცხოვრების საჭიროებათა მიხედვით ყოველ სფეროში და ესრეთ განცხოვრებულ კვლავ დაუბრუნდეს ერის მთლიან გვამს, რათა ვიყვნეთ ყოველნი ერთ გვამ და ... ვიღვწოდეთ საერთო წარმატებისათვის“ – მიმართავდა ქართველ ხალხს კათოლიკოს-პატრიარქი [1, 4-5; 3, 2-3].

მეორე, ასევე უმთავრეს მიზნად კათოლიკოს-პატრიარქმა საქართველოს ეკლესიასა და ერს დაუსახა ქართული სახელმწიფოებრი-

ობის აღდგენა და დაცვა. ის შესანიშნავად აფასებდა საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე ისტორიულ მოვლენებს, მსოფლიო ომის ქარტეხილებს და ომით გამოწვეულ შესაძლო ისტორიულ-პოლიტიკურ კატაკლიზმებს: „...მრისხანედ ელვარებს ცეცხლი მსოფლიო ომისა... ეხლა უნდა გამოიჭედოს და გარდაიქმნას ბედი სხვადასხვა ქვეყნებისა, განსაკუთრებით პატარა ერებისა“ [1, 4-5; 3, 2-3]. კირიონ II საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეის მხურვალე მხარდამჭერი იყო და თვლიდა, რომ მსოფლიო ხალხთა შორის მასაც ეკუთვნოდა ღირსეული ადგილი. მისი აზრით, ისტორიული პროცესების მონაცვლეობაში ქართველ ერს უნდა გამოერკვია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი, რათა მსოფლიო ხალხთა შორის საქართველოსაც დაეჭირა ღირსეული ადგილი. საქართველოს ეკლესიის მამათმთავარი ეკლესიის უმთავრეს მისიად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესის მხარდაჭერასა და ხელშეწყობას თვლიდა: „ჩვენი ეკლესია მუდამ ედგა დარაჯად ქართველი ერის მთლიანობას და დამოუკიდებლობას. დღესაც ვალად აძევს ჩვენს ეკლესიას ემსახუროს იმავე იდეას და მედგრად გაახსენოს კაცობრიობას სახელი ქართველი ერისა; მან უნდა ხელი შეუწყოს ჩვენს განმტკიცება, გამთლიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენც ვპოოთ შესაფერი და დამსახურებული ადგილი. აი, მეორე საზრუნავი ჩვენი!“ [1, 4-5; 3, 2-3].

კათოლიკოს-პატრიარქის ეს მიმართვა სამწყსოსადმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე რამოდენიმე თვით ადრე – 1917 წლის 19 ოქტომბრით თარიღდება. ეს იყო პერიოდი, როდესაც ამიერკავკასიას რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ საგანგებოდ შექმნილი განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი) მართავდა, ხოლო საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გარდა, არ ჰქონდათ ნათლად წამოდგენილი საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის პერსპექტივა. ასეთ ვითარებაში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად საქართველოს ეკლესიის მონოღება მეტად ეროვნულ და პროგრესულ პოზიციას გამოხატავდა. კირიონ II სიტყვებმა გაიჟღერა, როგორც მონოღებამ ეროვნული თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიაში მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ სამღვდელოება იყო პირველი, რომელმაც გადაჭრით დააყენა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი: ჯერ კიდევ ავტოკეფალიის აღდგენის დღეს (1917 წ. 12 მარ-

ტი) სვეტიცხოვლის ტაძარში წარმოთქმულ ქადაგებაში ეპისკოპოს-მა ლეონიდემ ეკლესიის თავისუფლება მიიჩნია წინაპირობად ერის დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე [9, 59-60].

ჟურნალ „სვეტიცხოველში“ ასახულია, რომ საქართველოს ეკლესია კირიონ II-ის მეთაურობით რეაგირებდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა მტკიცეულ საკითხზე. 1918 წ. 18 იანვარს ბრესტ-ლიტოვსკში რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც ამიერკავკასიას რუსეთის ნაწილად თვლიდა გერმანიასთან საზავო მოლაპარაკების დროს ოსმალეთს გადასცა არდაგანი, ყარსისა და ბათუმის ოლქები. ამიერკავკასიის მთავრობის პროტესტის გამო თურქებმა ძალით დაიკავეს ეს ტერიტორიები და თბილისსაც დაემუქრნენ. ეკლესიამ თავის მოვალეობად ჩათვალა აქტიურად ჩართულიყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში. 1918 წლის 5 თებერვალს საკათალიკოსო საბჭოსა და სასამართლოს სხდომამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა კირიონ II, მიიღო დადგენილება: „სამღვდელოებამ სვეტიცხოველში საკუთრივ და საერთოდ ყველგან მოუწოდოს ერს, იხსნან სამშობლო დღევანდელ განსაცდელისგან ეროვნული ლაშქრის გაძლიერებით და მათაც დაუმტკიცონ თავისი სამშობლოსადმი სიყვარული ამ ლაშქარში მონაწილეობის მიღებით“ [6, 1]. საბედნიეროდ, ეს პრობლემა გერმანიის ჩარევით მოგვარდა.

კირიონ II-მ თავის საპროგრამო დებულებებში ეკლესიის უმნიშვნელოვანეს მოვალეობად მიიჩნია სხვადასხვა აღმსარებლობისა და ეროვნების ადამიანებს შორის ურთიერთობების მოგვარება, მათ შორის კეთილმეზობლური კავშირის დამყარება: „ერთა შორის ძმურ ურთიერთობის განმტკიცება ახლა მორიგ საკითხად ჩაითვალოს, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც ამ ძმურ განწყობილებას ხელოვნურად არღვევენ. განახლებულ საქართველოს ეკლესია მიზნად ისახავს... მეზობელ ერებს ძმურ, შემოქმედებით მუშაობისაკენ მოუწოდოს. აი, მესამე საზრუნავი ჩვენი!“ [3, 3].

ამ საკითხის შესახებ საქართველოს ეკლესიის პოზიციას გამოხატავს კირიონ II-ის „ეპისტოლე სომეხთა კათალიკოზ-პატრიარქის მიმართ“: „ერთობასა ვიტყვი არა სარწმუნოებრივ დოღმატიურსა, არამედ მოქალაქეობრივ-განმანათლებლობითსა, რათა დაემყაროს ჩუენ შორის ძმობა და ურთიერთას გულისხმისყოფა და რათა სამშობლოსა შინა განსახიერდეს სასუფეველი ღმრთისაი!“ [3, 5]. ასეთსავე დამოკიდებულებას გამოხატავს მისი წერილი რომის პაპის მიმართ [3, 4-5]. ბუნებრივია, ამგვარი განწყობილება არ ეხებოდა დოგ-

მატურ სფეროს და ითვალისწინებდა საქართველოში არსებულ სომხურ დიასპორასთან, გრიგორიანული და კათოლიკური აღმსარებლობის მრევლთან ურთიერთობის ურთულეს საკითხებს [8, 95-96].

საქართველოს განახლებული ეკლესიის საპროგრამო დებულებაში მეოთხე უმთავრეს საკითხად კირიონ II-მ მიიჩნია ერის კულტურისა და სწავლა-განათლების დონის ამაღლებისთვის ზრუნვა: „ეკლესია დიდი კულტურული ძალაა... ჩვენის განახლებული ეკლესიის საზრუნავია – ეს ძალა ჯეროვან სიმაღლეზე აიყვანოს...!“ [4, 3].

ამიტომაც, ბუნებრივია ის სიხარული, რომლითაც კირიონ II შეხვდა ქართული უნივერსიტეტის გახსნის ფაქტს და მას ეს სიტყვები ათქმევინა: „ამ ძვრა-რყევა და სიყმილის დროს ჩვენ შესაძლოთ დავინახეთ საძირკველი ჩაფუყართ ქართულ მაღალ კულტურულ დანესებულებას, რომელმაც უნდა შეიტანოს მეცნიერების შუქი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და რომელიც შეადგენს ჩვენი ხალხის სიამაყეს...“ [6, 1].

ქართველი ერის სულიერ გათავისუფლებას, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, მოჰყვა მისი პოლიტიკური ემანსიპაციაც. საქართველოს ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი ამ ფაქტს უდიდესი აღტაცებით შეხვდნენ. კირიონ II გონივრულად აფასებდა რა ქვეყნის შინ და გარეთ შექმნილ პოლიტიკურ პროცესებს, მოუწოდებდა ერს მტიცედ მდგარიყო დამოუკიდებლობის დაცვის სადარაჯოზე: „ნუ დავივინყებთ, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა გვაკისრებს დიდ ზრუნვას და დიდ მოქალაქეობრივ სიბრძნე-სიფრთხილეს თხოულობს ჩვენგან... ჭეშმარიტი მამული-შვილი მოვალეა, თუ პოლიტიკური გარემოება მოითხოვს, იარაღით ხელში დაიცვას... მოპოვებული თავისუფლება“ [7]. კირიონ II-ს შესანიშნავად ესმოდა, რომ თავისუფლების შენარჩუნების უმთავრესი პირობა ერის კონსოლიდაცია იყო. საქართველოს ეკლესია თავის მრევლს ეროვნული მთლიანობისა და სულიერი სიმტკიცისკენ მოუწოდებდა.

\*\*\*

ამგვარად, ჟურნალი „სვეტიცხოველი“, როგორც სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს ოფიციალური ორგანო, გამოხატავდა საქართველოს ეკლესიის ოფიციალურ პოზიციას. მან, საქართველოს სამღვდელოების პროგრესულ ნაწილთან ერთად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პირველ წლებში საკმაო წვლილი შეიტანა ქვეყნის საეკლესიო, ეროვნულ-საზოგადო-

ებრივი, ზნეობრივ-კულტურული განვითარებისა და ერის ერთიანობისთვის. რაზედაც ნათლად მეტყველებს საქართველოს ეკლესიის საპროგრამო დებულებები და პრინციპები, რომელიც ხაზგასმით გაჟღერდა საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის მიერ ეროვნული ყრილობისა და საქართველოს ეკლესიის სამწყოსადმი წარდგენილ „გუჯრებში“, აგრეთვე, აღმოსავლეთის პატრიარქთა, რომის პაპისა და სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქისადმი გაგზავნილ ეპისტოლეებში და ჟურნალ „სვეტიცხოვლის“ მეშვეობით ეუწყა საზოგადოებას.

საქართველოს ეკლესიის უმთავრეს საზრუნავად შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა: ა) საქართველოს ეკლესიის განმტკიცება მის ისტორიულ უფლებათა ფარგლებში, ავტოკეფალიის ტერიტორიული პრინციპით გატარება, რუსული საეკლესიო პოლიტიკის შედეგად ეკლესიასა და მრევლს შორის დარღვეული კავშირის გამთლიანება; ბ) ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და დაცვა; გ) სხვადასხვა კონფესიებსა და ეროვნებებს შორის ურთიერთობების მოგვარება; დ) ერის კულტურული და განათლების დონის ამაღლებისთვის ზრუნვა.

ჟურნალ „სვეტიცხოვლის“ მეშვეობით წარმოჩნდა თავისუფლებადღგენილი საქართველოს ეკლესიის ეროვნული მისია. ხაზი გაესვა იმ ტენდენციას, რომ საქართველოს ეკლესიის გათავისუფლება საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის აღდგენის სანინდარი გამხდარიყო.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1458, საქმე №188.
2. ჟურნ. „სვეტიცხოველი“, 1917, №1.
3. ჟურნ. „სვეტიცხოველი“, 1917, №4.
4. ჟურნ. „სვეტიცხოველი“, 1918, №4.
5. ჟურნ. „სვეტიცხოველი“, 1918, №5.
6. სიტყვა თქმული მისი უწმინდესობის კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II მიერ 26 იანვრს ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეს, გაზ. „საქართველო“, 1918, 31 იანვარი.
7. სიტყვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორისა (წარმოთქმული 1918 წლის 2 ივნისს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების გამო შესრულებული).

ბული დიდი ლიტანიის შემდეგ), „სახალხო გაზეთი“, 1998, 25 მაისი.

8. ვარდოსანიძე სერგო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში, თბილისი, 2000.
9. ბუბულაშვილი ელდარ, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობა, კრებულში: ქრისტიანობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები), თბილისი, 2000.

**Khatuna Kokrashvili**

*Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History*

**Journal “Svetitskhoveli” about the National Mission of the Church of Georgia**

**Summary**

Journal “Svetitskhoveli” was founded in 1917 after restoration of the autocephaly of the Church of Georgia. The journal was founded by the decision of the provisional committee. Editor of this publication was Pavle Ingorokva. It was an official publication of the Church of Georgia, and published in 1917-1918. The journal reflects the processes that took place in the newly restored church, its position about ongoing socio-political processes in the country.

In the given work we focused on the priorities and program of action of the Church of Georgia. It was worked out by the Church and the newly elected Patriarch Kirion II for the moral and cultural perfection of the newly liberated church. These priorities, announced pointedly in “deed carters”, were submitted to the national congress and the congregation of the Church of Georgia by the Catholicos-Patriarch of Georgia Kirion II. They also were submitted in the epistles sent to the patriarchs of the Eastern Orthodox Church, Pope of the Roman Catholic Church and Catholicos-Patriarch of Armenia. With the help of the journal “Svetitskhoveli” public became aware of them.

The main care of the Church of Georgia was to: a) strengthen the Church of Georgia within its historical rights, carry on the territorial principle of the autocephaly, restore the link between clergy and congregation violated by the Russian church policy; b) restore and defend statehood of Georgia; c) settle problems between different confessions and nations; d) care for development of the level of culture and knowledge.

The national mission of the liberated Church of Georgia was represented and introduced to the public with the help of the journal “Svetitskhoveli”. The tendency that liberation of the Church of Georgia should become a guaranty for restoring the statehood and independence of Georgia was underscored in the journal.

# წყართმცოდნეობა

## ნინო ლამბაშიძე

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

## ქართლის ცხოვრების ერთი აღზიდის გაგებისათვის

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე თავის ნაშრომში „საქართველოს საეკლესიო კრებები“ მართებულად აღნიშნავს, რომ ვინაიდან საქართველოს ეკლესიაში ძველთაგანვე მრავლად იყვნენ ეპისკოპოსები, საეკლესიო კრებების ტრადიცია იმთავითვე უნდა ყოფილიყო ჩვენში [1, 39].

მიტროპოლიტი ანანია საეკლესიო კრებათა რიცხვს მიაკუთვნებს VII ს-ში სტეფანოზ ადარნასეს ძის მიერ დადგენილ კრებებს ყოველ პარასკევს, ხუთშაბათს და სამშაბათს. „მატიანეს მონუმბით,“ – წერს მიტროპოლიტი ანანია – „აღნიშნულ საუკუნეში საეკლესიო კრებები იმართებოდა ეპისკოპოსებისა და სამღვდელოების მონაწილეობით მცხეთის ჯვრის ტაძართან (ყოველ პარასკევს). ყოველ ხუთშაბათს საეკლესიო კრებები იმართებოდა სვეტიცხოველში და ყოველ სამშაბათს – სამთავროს ტაძარში. ეს საეკლესიო კრებები, ცხადია, არ იყო სრულიად ქართული ეკლესიის კრება, მაგრამ მასში მონაწილეობდა ქართული ეკლესიის უმთავრესი ბირთვი – კათალიკოსი“, მღვდლები და ეპისკოპოსები. „...ჩვენი ფიქრით, ყოველ პარასკევს, ყოველ ხუთშაბათს და ყოველ სამშაბათს გამართულ მცხეთის კრებებზე მონაწილეობას იღებდა ქართული ეკლესიის მმართველობა, შეიძლება მას სინოდის კრებებიც ვუწოდოთ. როგორც მოყვანილი ცნობიდან ჩანს, ეს კრებები არ მოიცავდა მხოლოდ სხდომებს, არამედ მას თან ერთვოდა, რაც ზოგჯერ უმთავრესი მომენტი იყო, წირვა, ლოცვები, ხალხის დალოცვა და სხვა საეკლესიო საქმიანობა“ [1, 229].

აი რას გვეუბნება ამ კრებათა შესახებ ქართლის ცხოვრება: „ესე სტეფანოზ იყო უმეტეს ყოველთა ქართლის მეფეთა და მთავართა მორწმუნე და განმწმენდელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესი-



ათა. და მან მოადგნა ზღუდენი ეკლესიასა ჯუარისა პატიოსნისასა, და აღაშენნა დარბაზნი, და დაუნერა კრება ყოველთა პარასკევთა, და მუნ შეკრბიან ყოველნი ეპისკოპოსნი და მღვდელნი მის ადგილისა და არისანი კათალიკოსის თანა, წინაშე პატიოსნისა ჯუარისა; ადიდიან პარასკევი, ვითარცა დიდი პარასკევი. ხოლო საკათალიკოსოსა არიან კრებანი ყოველთა ხუთშაბათთა და ადიდიან წმიდა სიონი, ვითარცა დიდსა ხუთშაბათსა, საიდუმლოსა თანა კორციითა და სისხლითა ქრისტესითა. ხოლო მცხეთას საეპისკოპოსოსა არნ ყოველთა სამშაბათთა კრება და კსენება პირველმონამისა სტეფანესი და ყოველთა მონამეთა, დიდისა მისგან ძლიერებისა სპარსთასა რომელ წამებულ იყვნეს, და აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელმა მოაქცივნა უმრავლესნი მთეულნი არაგვსა აღმოსავლეთნი. ხოლო პატიოსანი გუამი მისი დადვეს მცხეთას, საეპისკოპოსოსა, სამარხავსა ეპისკოპოსთასა. და დღესასწაულსა მისსა უფროს ყოველთა დღესასწაულთასა შეკრბიან და ადიდებდიან ღმერთსა“ [2, 190-191]. ანუ სტეფანოზ II-მ, რომელიც მემატიანეს თქმით, ქართლის მეფეთა და მთავართა შორის გამოირჩეოდა ღვთისმოსაობით, ზრუნავდა სარწმუნოების სინმინდისათვის და აშენებდა ეკლესიებს, შემოზღუდა მცხეთის ჯვრის დიდი ეკლესია, რითიც განასრულა მისი მშენებლობა და, როგორც ჩანს, იქვე ააშენა საერო ნაგებობები. მან, ასევე, ყოველ პარასკევს მცხეთის ჯვარში დაადგინა, შესაძლოა წერილობით („დაუნერა“), დიდი პარასკევისკრება, ხუთშაბათს სიონში დიდი ხუთშაბათის, ხოლო სამშაბათს, წმ. სტეფანესი, წმ. აბიბოს ნეკრესელის და სხვა წმინდანების [3, 27, 28].

გიორგი ჩუბინაშვილი ამ ტექსტის რუსულ თარგმანში „კრების“ შესატყვისად ხმარობს სიტყვა *собрание*-ს ანუ შეკრებას [4, 20] და არა *церковный собор*-ს, ან *синод*-ს. ილია აბულაძე ძველი ქართული ენის ლექსიკონში *კრებას* განმარტავს, როგორც *შეკრება, რჩევა, შეგროვება, დღესასწაული, დღეობა, ყრილობა* [5, 202]. ამდენად, კრება საეკლესიო კრების, ყრილობის გარდა, სადაც საეკლესიო და რიგ შემთხვევებში, საერო სამართალთან დაკავშირებული საკითხები წყდებოდა, დღესასწაულის, დღეობის დროსშეკრებას, თავყრილობასაც გულისხმობს. გიორგი ჩუბინაშვილი საუბრობს რა ქართული ქრონიკების სომხურ თარგმანზე, აღნიშნავს, რომ ზემოთხსენებული ციტატა სომხურში შემოკლებითაა თარგმნილი. და რომ, სომხურში სამშენებლო სამუშაოებზე არაფერია ნათქვამი. საუბარია მხოლოდ დღესასწაულების დაარსების შესახებ [4, 21].

ვფიქრობთ, ამ კონტექსტში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ღვთისმშობლის, თუ სხვა წმინდანების სადიდებლად ეკლესია მრევლს გარკვეულ დღეებში სამადლობელი და სადიდებელი ღოცვისთვის ინვეეს, რასაც ჰქვია *კრება*. მაგალითად, შობის შემდგომი დღე (26.12/8.01) ლიტურგიკულ კალენდარში ღვთისმშობლის კრების სახელითაა ცნობილი [6, 527]. ასევეა, 26 ივლისი (ძვ. სტ. 13.07), გაბრიელ მთავარანგელოზის კრება, როდესაც ეკლესია მის მიერ აღსრულებულ ყველა სასწაულს იხსენიებს და სხვა მრავალი. სტეფანოზმაც, დაასრულა რა ჯვრის ეკლესიის მშენებლობა, „განანესა მუნ ჯვარისა კრება“ ანუ სპეციალური დღე ჯვრის თაყვანისცემისათვის. ასევე დიდი ხუთშაბათის და წმინდანების. სხვაგვარად, გაუგებარი იქნებოდა, ჯვრის, დიდი ხუთშაბათის და წმინდანების რა საეკლესიო კრებაზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი. კრებას, როგორც ვიცით, დადგენილება, განჩინება ახლავს თან. ამდენად, გაუგებრია, კვირაში სამჯერ, რეგულარულად რა გადანყვეტილებები უნდა მიეღო საეკლესიო კრებას. თუმცა, სტეფანოზის მიერ აგებული საერო ნაგებობები შესაძლოა სატრაპეზოს, დარბაზობის ფუნქციას ასრულებდნენ და საჭიროებისამებრ, რაიმე საკითხიც განხილულიყო. შესაბამისად, ძნელია ჩვენთვის იმ შეხედულების გაზიარება, რომ ზემოთხსენებული კრებები საეკლესიო კრებებს გულისხმობს. ამდენად, სტეფანოზ II-ს მიერ დადგენილ კრებებს სამართლებრივ, საეკლესიო კრებათა რიცხვს, ვერც სინოდის კრებებს, ვერ მივაკუთვნებთ.

ვფიქრობთ, ქართლის ცხოვრების ზემოთ ხსენებული ნაწყვეტი უნდა შეიცავდეს ცნობას იმის შესახებ, რომ ღვთისმოსაობით გამოირჩეულმა სტეფანოზ II-მ დაასრულა რა მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის მშენებლობა, დაადგინა ეკლესიაში *კრების* სახელით ცნობილი დღესასწაულები, რითიც, ვფიქრობთ, ქართლის სამეფოს სამი უმნიშვნელოვანესი ტაძარი სულიერად დააკავშირა. პირველი ქართული ორიგინალური ტაძრის, მცხეთის ჯვრის დასრულებით, სტეფანოზ II-ის დადგენილებით, სამი დღესასწაულით გამდიდრდა საქართველოს ეკლესიის ლიტურგიკული პრაქტიკა.

ხსენებული დადგენილებით სტეფანოზ II-მ გამოკვეთა გოლგოთაზე აღმართული ჯვრის (მცხეთის ჯვარი), სიონის დედა ეკლესიის, სადაც დაფუძნდა საღმრთო ზიარება და ეკლესია (სვეტიცხოველი) და სამთავრო, გარე ეკლესიის, როგორც წმინდანთა განსასვენებლის თაყვანისცემა. მან ამ ფაქტითაც აღნიშნა და დაავიზგინა მცხეთის ჯვრის ტაძრის აგება.

ვფიქრობთ, ქართლის ცხოვრების მოხმობილი ადგილი დადგენილი კრებების ანუ დღესასწაულების ღვთისმსახურების ხასიათზედაც უნდა მიგვითითებდეს. კერძოდ, პარასკევს ჯვარზე დადგენილი კრება, ვინაიდან იგი ნითელი პარასკევის ღვთისმსახურებით უნდა შესრულებულიყო, ექვარისტიული ლოცვების გარეშე სრულდებოდა. სიონში ხუთშაბათობით, დიდი ხუთშაბათის განგებით აღესრულებოდა წირვა და უსისხლო მსხვერპლი შეინიერებოდა, ნიშნად დიდ ხუთშაბათს ამ საიდუმლოს დაარსებისა. ვფიქრობთ, ამას უნდა ნიშნავდეს ციტატის ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ „ადიდიან პარასკევი, ვითარცა დიდი პარასკევი. ხოლო საკათალიკოსოსა არიან კრებანი ყოველთა ხუთშაბათთა და ადიდიან წმიდა სიონი, ვითარცა დიდსა ხუთშაბათსა, საიდუმლოსა თანა კორცითა და სისხლითა ქრისტესითა“.

როდესაც მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი აშენდა, ინტერიერში მოქცეულ ჯვარს გარშემო მოაჯირი ჰქონდა შემოვლებული. ჯვრისთვის რომ თაყვანი ეცათ, მლოცველები მოაჯირის მიღმა უნდა შესულიყვნენ. როგორც დავით ხოშტარია აღნიშნავს, ამგვარი „მონყობა პირდაპირ ეხმიანებოდა უფლის საფლავის მოწყობას ანასტასისის როტონდაში“ [3, 30]. როგორც ცნობილია, ამ დროისათვის საქართველოში იერუსალიმური პრაქტიკის მიხედვით აღესრულებოდა ღვთისმსახურება. სიღვია აკვიტანელის მომლოცველობიდან ვიგებთ, რომ იერუსალიმში სადაც დღეებში სამ ტაძარში იმართებოდა მსახურება. კერძოდ, აღდგომის, რომელშიც უფლის საფლავია, ჯვრის (ad cruce[m]), ანუ ეკლესია, რომელშიც კონსტანტინე დიდის მიერ ნაპოვნი ჯვარი ინახებოდა და მარტირიუმი. იგი გოლგოთაზე, სწორედ იმ ადგილზე იყო, სადაც იესო ქრისტე აცვეს ჯვარზე. ეს ტაძრები უფლის ჯვარცმას და მის საფლავს უკავშირდებიან [7, 139].

ვფიქრობთ, იერუსალიმის მოდელით შექმნილი მცხეთა, რომელიც საქართველოს ეკლესიის ცენტრი იყო და რომელიც იერუსალიმის, უფლის საფლავის განგებით წარმართავდა ლიტურგიკულ პრაქტიკას VII საუკუნეში, ხსენებული კრებებითაც ეხმიანებოდა IV საუკუნეში აღწერილ, სადაგი დღეების იერუსალიმურ პრაქტიკას და გარკვეულწილად, ლიტურატურულადაც ეხმიანობოდა ამ წმინდა ქალაქის მოდელს..

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, წიგნი II, მიმდინარე კრებები IV-XVII სს., გამ. მერანი-3, თბილისი, 2003.
2. ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება“), გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს აკადემიკოსებმა ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა, გამ. ნიკე, თბილისი, 1996.
3. დავით ხოშტარია, ადრეული შუა საუკუნეების ეკლესიები მცხეთაში, ჟურნალში АСАDEMIА, რედ. ა. კლდიაშვილი, 2001, ტ. №1.
4. Г. Н. Чубинашвили, Памятники истории грузии, Издательство академии наук грузинской ССР, Тбилиси 1948.
5. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), გამ. მეცნიერება, თბილისი, 1973.
6. С. В. Булгаков, Настольная книга для священно – церковно – служителей, Издательский отдел Московского Патриархата, 1993.
7. Михаил Скабаланович, Толковый типикон, Издание Сретенского монастыря, М., 2004.
8. The passage in the summary is given according to KARTLIS TSKHOVREBA A HISTORY OF GEORGIA, Editor in Chief of the English edition: *Professor* Stephen Jones, Mount Holyoke College (USA), ARTANUJI Publishing, Tbilisi 2014,  
<http://www.science.org.ge/books/Kartlis%20cxovreba/Kartlis%20Cxovreba%202012%20Eng.pdf>, 09.09.2015.

**Nino Ghambashidze**

*Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, senior scientist-researcher of the Department of Ethnology of Georgia*

**For the Understanding of one Passage of „Kartlis Tskhovreba“ (The Life of Kartli)**

**Summary**

In „Kartlis Tskhovreba“ (The Life of Kartli) we read: „... St’epanos was a devoted believer, the purifier of the faith and a church builder to a greater extent than any other Kartlian king or *mtavari*. It was he, who built a wall around the Holy Church of Jvari, erected palaces, and instituted Friday gatherings at which all the bishops and the priests of the vicinity and the neighborhood assembled before the Holy Jvari, glorifying Friday in the same manner they glorified Good Friday. And they gathered every Thursday in the eparchy to glorify the Holy Zion, and on Maundy Thursday they gathered for the sacrament of Christ’s flesh and blood. And every Tuesday they gathered in the Mtskheta bishopric and prayed for the first Christian martyr Stephan, and all the martyrs who were killed during the great Persian dominance, including the Bishop of Nek’resi, Abibo, who converted most of the mountaineers to the east of the Aragvi, to Christianity“ [8, 110].

Metropolitan Anania Japaridze, while speaking about this passage says that these gatherings were church councils of Georgia; that at these church council gatherings people and clergy were praying as well. Georgian word *kreba* is polisemantic word and means gathering, church council, festival and synaxis. Reverend Georgian scholar Giorgi Chubinashvili translates the word in Russian meaning gathering. He also mentions that in Arminian translation it is translated only that very part where chronicler speaks about festivals instituted by St’epanos. Thus, in our opinion, it is obvious that St’epanos II instituted synaxes and not church councils or synods. With the help of this new liturgical practice St’epanos II spiritually linked three churches, most holy places of Georgia. This newly instituted practice obviously is the echo of the Jerusalem liturgical practice. As it is well known, after conversion, the Church of Georgia followed the liturgical practice of Jerusalem.

## დავით მერკვილაძე

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

### **ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრთა წერილები სტეფანე ბურნაშვილისადმი**

რუსეთის საიმპერატორო კარმა 1783 წლის გაზაფხულზე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ისა და იმერეთის მეფე სოლომონ I-ის კარზე იმპერიის წარმომადგენლად („კომისიონრად“) მიავლინა პოლკოვნიკი სტეფანე ბურნაშვი. მოგვიანებით სტეფანე ბურნაშვეს ასევე დაევალა გეორგიევსკის ხელშეკრულების შესაბამისად ქართლ-კახეთის სამეფოში შემოსული რუსული ჯარის მეთაურობა.

სტეფანე ბურნაშვიის შთამომავალმა, არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრმა ს. ნ. ბურნაშვემა ა. ცაგარელის რჩევითა და ამ უკანასკნელის რედაქტორობით „საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავთან დაკავშირებით“ 1901 წელს პეტერბურგში გამოსცა თავისი დიდი ბაბუის საარქივო საბუთები. საბუთების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სტეფანე ბურნაშვილისადმი, როგორც საქართველოში რუსეთის დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლისადმი მიმართული ოფიციალური თუ პირადი წერილები.

აღნიშნული გამოცემის მე-2 განყოფილება, საერთო სახელწოდებით – „სამეფო წერილები“, შეადგენს ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრთა წერილები [5, 34-40]. აქედან 6 წერილის (ანუ ნახევარზე მეტის) ავტორი არის ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II, ერთი წერილი ეკუთვნის იმერეთის მეფე სოლომონ I-ს (თუმცა სოლომონ I-ის წერილიდან ვიგებთ, რომ ეს იმერეთის მეფის პირველი წერილი არ უნდა იყოს სტ. ბურნაშვილისადმი), ერთი – ერეკლეს მეუღლეს, დედოფალ დარეჯანს, და ერთიც – დავით ბატონიშვილს, ერეკლე II-ის შვილიშვილს, გიორგი XII-ის ვაჟს. აქ ასევე შედის ერეკლეს ხელმოწერა მის მიერ რუსული ჯარის შენახვისათვის განუხლები ხარჯების ასანახლაურებლად რუსეთიდან გამოგზავნილი ფულის მიღების თაობაზე. ამრიგად, აღნიშნული განყოფილება მოიცავს სულ 10 დოკუმენტს, საიდანაც 9 სამეფო ოჯახის წევრთა წერილია.

გამოცემის წინასიტყვაობაში ა. ცაგარელი აღნიშნავს, რომ სტ. ბურნაშევის ამ საბუთებში შემონახულია ასევე დოკუმენტთა ქართული დედნებიც. როგორც ჩანს, ა. ცაგარელს უნახავს წერილების ქართული დედნები და შეუდარებია ისინი შესაბამის რუსულ თარგმანებთან. ამას გვაფიქრებინებს „სამეფო წერილების“ შესახებ სქოლიოში არსებული მითითება (რომელიც ა. ცაგარელს, როგორც გამოცემის რედაქტორს უნდა ეკუთვნოდეს), რომ მათი „თარგმანები ძველია და ძალზე ახლოა დედნებთან“ [5, 34; შენ. 1].

თითოეულ სამეფო წერილის სათაურის ქვეშ მითითებულია, რომ იგი წარმოადგენს თარგმანს ქართულიდან. ასეთი აღნიშვნა არ მოეპოვება მხოლოდ დავით ბატონიშვილის წერილს. ვფიქრობ, სწორი უნდა იყოს იქვე სქოლიოში გამოთქმული აზრი (სავარაუდოდ ისევ ა. ცაგარელის), რომ „წერილი ალბათ დაწერილია რუსულად, რადგანაც ბატონიშვილი დავითი კარგად ფლობდა ამ ენას“ [5, 39; შენ, 2]. ეტყობა, ქართველმა მკვლევარმა სტ. ბურნაშევის საბუთებში ამ წერილის ქართულ დედანს ვერ მიაკვლია. გარდა ამისა, წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი დაწერილი უნდა იყო პეტერბურგში. მართლაც, იმ დროისათვის, 1797-1798 წლებში დავით ბატონიშვილი სწავლობდა და მსახურობდა რუსეთში და რუსული ენაც კარგად ჰქონდა შესწავლილი (გასათვალისწინებელია, რომ უფლისწული მანამდეც იმყოფებოდა რუსეთში).

ვინაიდან „სამეფო წერილების“ ქართული დედნები დასახელებულ გამოცემაში არ მოხვდა და არც როდისმე გამოცემულა, მათზე, სამწუხაროდ, ქართულ სამეცნიერო საზოგადოებასაც, შეიძლება ითქვას, ამჟამად ხელი არ მიუწვდება. არადა ეს დოკუმენტები ძალზე საყურადღებო წყაროა XVIII ს-ის 80-90-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის, განსაკუთრებით კი რუსულ-ქართული ურთიერთობების შესწავლის თვალსაზრისით (დანვრ. იხ. [4, 55-90]). აღნიშნული ერთადერთი რუსულენოვანი გამოცემიდანაც ას წელზე მეტია გასული და ისიც უკვე დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იმპიათობადაა ქცეული. ამ გარემოების გათვალისწინებით, რუსულ ენაზე გამოცემული ამ საბუთების ჩვენს მიერ შესრულებული ქართული თარგმანის წარმოდგენით შევეცადეთ ამ ხარვეზის გარკვეულწილად მაინც შევსებას. ყველა მათგანი დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (ისე, როგორც ეს იყო თავდაპირველ რუსულ გამოცემაშიც).

წერილებს ვაქვეყნებთ შენიშვნებისა და განმარტებების დართვით.

## 1. იმერეთის მეფე სოლომონის წერილი პოლკოვნიკ ბურნაშევისადმი (1783 წლის 19 ოქტომბერი)

ჩემო ახლო მეგობარო და საყვარელო ძმაო, ბატონო პოლკოვნიკო და კავალერო.

თქვენი მაღალკეთილშობილების წერილის გამო გიძღვნიტ მადლობას, ყველაზე მეტად კი მადლიერი ვარ იმისათვის, რომ იღწვით ჩვენი კეთილდღეობისა და სარგებლისათვის, ცდილობთ რა, შეაერთოდ და განამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა ჩვენს ძმა მეფე ერეკლესთან.<sup>1</sup> დაწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი წერილის თანახმად, რაც ძალა მეყოფა, მე ვაამებ მის უმაღლესობას და შევასრულებ ჩვენს შორის დადებულ პირობას. ამასთან, თავს მოვალედ ვრაცხ, თქვენს მაღალკეთილშობილებას ვაცნობო ჩვენს საქმეთა შესახებ. მრავალი მცხოვრებნი ჩვენი ოლქიდან გადავიდნენ და დასახლდნენ საქართველოში<sup>2</sup>. თუკი ამდაგვარად ჩვენი ოლქები გაღარიბდებიან მცხოვრებთაგან და ჩვენი ძმა მიიღებს ჩვენს ქვეშევრდომებს თავისთან, განა შეიძლება ჩვენს შორის თანხმობა და მშვიდობა? და მე ვთხოვ თქვენს [მაღალკეთილშობილებას] გამოიყენოთ თქვენი შემწეობა, რათა ჩვენი ქვეშევრდომები დაგვიბრუნდნენ, რითაც ჩვენს კავშირსაც გაამყარებთ.

დაე, ჩვენი განსვენებული ძმის, არჩილის ვაჟი<sup>3</sup> ჩვენთან ჩამოვიდეს, როგორც შეგვპირდით. ჩვენ ცდას არ დავაკლებთ, რომ აღვზარდოთ იგი და ვიზრუნებთ მასზე მის სრულწლოვანებამდე. ის მიიღებს არა მარტო მამის მემკვიდრეობას, არამედ ჩვენი ოლქიც მისი იქნება.<sup>4</sup> მე გთხოვთ და ველი, რომ თქვენ ამის თაობაზე იზრუნებთ, და ამის საშუალებით შეგვარიგებთ ჩვენ.

რაც შეეხება ბაღდადის საქმეებს, ჩვენ მზად ვართ დავაკმაყოფილოთ თქვენი სურვილი, მაგრამ ამასწინ მისმა აღმატებულება გე-

<sup>1</sup> ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II.

<sup>2</sup> რუსულ ტექსტში არის „Грузия“, რაშიც აქაც და შემდეგაც ქართლ-კახეთს სამეფო მოიაზრება.

<sup>3</sup> სოლომონის ძმა არჩილ ალექსანდრე V-ის ძე ბატონიშვილი გარდაიცვალა 1775 წელს. 1770 წელს იგი დაქორწინდა ერეკლე II-ის ასულ ელენეზე, ვისთანაც შეეძინა ვაჟი დავითი – იმერეთის მომავალი მეფე სოლომონ II. არჩილის გარდაცვალების შემდეგ დავით ბატონიშვილი იზრდებოდა თავისი პაპის, ერეკლე მეფის კარზე.

<sup>4</sup> ამ სიტყვებით სოლომონ მეფე, რომლის ერთადერთი ვაჟი ალექსანდრე ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო, თავის ძმიშვილს იმერეთის ტახტის მემკვიდრედ აღიარებს („ოლქში“ იგულისხმება იმერეთის სამეფო).



ნერალმა<sup>1</sup> გამოავაზა ჩვენთან თავისი კაპიტანი<sup>2</sup> მოთხოვნით, გაგვევაზა მასთან ერთგული კაცი, რომელსაც ის გადასცემს ჩვენთვის ზოგიერთ ცნობას. ამ მიზეზით ამჟამად არ შემიძლია ამ საქმის შესახებ მოგწეროთ, ხოლო როგორც კი მივიღებთ უწყებას მის აღმატებულებისაგან, მაშინ აუცილებლად გამოვაგზავნით შიკრიკს პასუხით.

ვიმეორებ ჩემს წინა თხოვნას ჩვენი სიძის ელიზბარის<sup>3</sup> შესახებ; დარწმუნებული ვარ, თქვენი შუამდგომლობა ძმა-მეფესთან<sup>4</sup> იქნება წარმატებული უკვე იმიტომ, რომ თქვენ თხოვთ.

ასევე გეტყვით, რომ მისი უმაღლესობა ჩვენი ძმა მეფე ერეკლე ერევა დადიანისა და გურგელის საქმეებში ყველა უფლების საწინააღმდეგოდ. ცუდი შედეგებისაგან თავის ასაცილებლად, გთხოვთ, დაიყოლიოთ იგი, რათა ეს არ ქმნას.<sup>5</sup>

თქვენი კეთილისმსურველი ძმა

---

<sup>1</sup> იგულისხმება პავლე პოტიომკინი (1743-1796) – რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. 1782 წელს გენერალ-პორუჩიკი პ. პოტიომკინი დაინიშნა ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებული რუსეთის არმიის სარდლად. იმპერატორმა ეკატერინე II-მ მას ასევე მიანიჭა სამხრეთის მიმართულებით იმპერიის გაფართოების პოლიტიკის წარმოების უფლებამოსილება. რუსეთის მფარველობაში შესვლაზე ერეკლე II-ის დათანხმებისათვის პ. პოტიომკინს საიმპერატორო კარისაგან ჯილდოები და ძვირფასი საჩუქრები გადაეცა. 1784-1787 წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომში განვევაძე, იგი უკვე კავკასიის სამეფისნაცვლოს გენერალ-გუბერნატორი იყო.

<sup>2</sup> გამოცემაში შესაბამის ადგილას არსებული შენიშვნის მიხედვით ამ კაპიტანის გვარი შტედერია [5, 35; შენ. 2] (თუმცა საკუთარ სახელთა საძიებელში მოცემულია გვარის მეორე სავარაუდო ფორმაც – შრედერი [5, 63]).

<sup>3</sup> იგულისხმება ელიზბარ ერისთავიშვილი, გიორგი ქსნის ერისთავის ძე. იგი მონაწილეობდა გიორგი ქსნის ერისთავის აჯანყებაში ერეკლე II-ის წინააღმდეგ. ამის შემდეგ მალევე გადაიხვეწა იმერეთში, სადაც სოლომონ II-მ პატივით მიიღო. მეფემ მას საკუთარი ქალიშვილიც მიათხოვა. ელიზბარი იმერეთის მეფის კარზე გავლენიანი პიროვნება გახდა, თუმცა კი ერეკლე მეფის მიერ შერისხულთა რიცხვში შედიოდა. წერდა ლექსებს, რის გამოც მას „მელექსესაც“ უწოდებდნენ [1, 233-234].

<sup>4</sup> იგულისხმება ერეკლე II.

<sup>5</sup> იგულისხმება, რომ ერეკლე იმერეთის მეფის საზიანოდ ერევა სოლომონის ურთიერთობებში დადიან-გურიელთან. აღსანიშნავია, რომ ერეკლეს მეუღლე დარეჯან დედოფალი და სამეგრელოს იმჟამინდელი მთავარი კაცია II დადიანი მკვიდრი ბიძაშვილები იყვნენ. იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებს შორის ურთიერთობის დაძაბვა გამოიწვია ერეკლე II-სა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის დათბობამ (1778 წ.). სოლომონ II-მ მისთვის ყველაზე დიდ მტერთან ერეკლეს ამგვარი ურთიერთობა დიდ საფრთხედ აღიქვა. თავის მხრივ, რუსეთიდან მიღებული მითითებების შესაბამისად, პოლკ. ბურნაშევი ერეკლესა და სოლომონის მორიგებას ცდილობდა ოსმალეთის წინააღმდეგ ეფექტური მოქმედებებისათვის.

მეფე სოლომონი.

## **2. საქართველოს მეფის ერეკლეს წერილი ბურნაშევისადმი (1783 წლის 12 ნოემბერი)**

მაღალკეთილშობილო სტეფანე ბურნაშევი, სახაზინო ფულიდან გამოყოფილი ორი თვის სურსათისა და ფურაჟის ფული ინებეთ, გადავცეთ ჩვენს ქვეშევრდომ ოჰანეზ მირიმანოშვილი,<sup>1</sup> რომელიც მოვალეა დაუნაწილოს ის დანიშნულებისამებრ მეურმეებს.

ერეკლე.

## **3. მეფე ერეკლეს წერილი ბურნაშევისადმი (1786 წლის 8 ივნისი)**

ჩვენს თოფჩიბამ თავად ანდრონიკაშვილისაგან<sup>2</sup> მივიღეთ ცნობა, რომ თქვენთან მყოფი მკურნალი იზმაილოვი<sup>3</sup> ავრცელებს ცრუ ხმებს, თითქოს მას თოფჩიბაშისაგან გამოეცხადა ჩვენი ბრძანება, მისთვის საკვების ფულის გადაცემის შესახებ დღეში მანეთის ოდენობით. ეს გამონაგონია. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ასეთი ბრძანება მისთვის არ მიგვიცია. საკუთრივ თქვენთვის ჩვენ დავნიშნეთ სადილის ფულად დღეში 10 მანეთი, ნიშნად თქვენდამი ჩვენი კეთილგანწყობისა, რასაც ვასრულებთ.

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე.

## **4. ქართლის დედოფალ დარეჯანის წერილი ბურნაშევისადმი (1787 წლის 2 იანვარი)**

ვადასტურებ რა თქვენდამი ჩემს პატივისცემას, გითვლით დიდ მადლობას ჩემთვის გამოგზავნილი ფარჩის გამო, რომელიც უკვე მივიღე.

---

<sup>1</sup> საკუთარ სახელთა საძიებელში ეს პიროვნება მოხსენიებულია მირიმანაშვილად [5, 61].

<sup>2</sup> პაატა ანდრონიკაშვილი. იგი ერეკლე II-მ რუსეთში გაუშვა საარტილერიო საქმეში დასაოსტატებლად, სადაც მიენიჭა არტილერიის ოფიცრის წოდება. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1778 წელს იგი დაინიშნა ქართლ-კახეთის ჯარის არტილერიის უფროსად – თოფჩიბაშად.

<sup>3</sup> რუსული გამოცემის თანდართულ საკუთარ სახელთა საძიებელში მითითებულია მკურნალ იზმაილოვის სახელი და მამის სახელიც – მიხეილ ივანეს ძე (Мих. Ив.) [5, 59].

ქართლის დედოფალი დარეჯანი.<sup>1</sup>

### **5. საქართველოს მეფის ერეკლეს წერილი ბურნაშევისადმი (1787 წლის 4 სექტემბერი)**

თქვენი ოჯახისათვის ჩვენს მიერ მოწოდებული ფული 50 მან. ოდენობით ინებეთ, მიიღოთ ჩვენს კარისკაცთაგან ტფილისში. ამ მცირედისათვის გთხოვთ პატიებას. ჩვენ რომ ამჟამად მტერთა წინააღმდეგ არ ვიყოთ, ასეთ საჩუქარს არ მოგიძღვნიდით.

ბრძანება. მდივან იოსებს და მელიქ ავეტიქას,<sup>2</sup> შესრულდეს დაუყოვნებლივ.

საქართველოს მეფე ერეკლე.

### **6. მეფე ერეკლეს წერილი ბურნაშევისადმი (1787 წლის 4 სექტემბერი)**

ჩვენს მიერ თქვენთვის მოწოდებული ფული 100 მანეთი, ინებეთ, მიიღოთ ჩვენს კარისკაცთაგან ტფილისში. ამ მცირე ოდენობისათვის გთხოვთ პატიებას. ესლა რომ მტერთა წინააღმდეგ არ ვიმყოფებოდეთ, ასე მცირე საჩუქარს არ მოგიძღვნიდით.

ბრძანება. მდივან იოსებს და მელიქ ავეტიქას, ახლავე მთავრით დანიშნული თანხა, როგორც ნაბრძანებია თქვენთვის.

საქართველოს მეფე ერეკლე.

### **7. მეფე ერეკლეს წერილი ბურნაშევისადმი 1787 წლის 4 ოქტომბერი**

---

<sup>1</sup> ქართლ-კახეთის დედოფალი დარეჯანი (1734-1807), ერეკლე II-ის მეუღლე 1750 წლიდან. დარეჯანი იყო სამეგრელოს მთავრის, ოტია დადიანის ძმის, კაციას ასული. სამეფოს ანექსიის შემდეგ, 1803 წელს რუსულმა მმართველობამ დედოფალი იძულებით გადაასახლა რუსეთში. გარდაიცვალა სანქტ-პეტერბურგში.

<sup>2</sup> მდივანი იოსები და მელიქი ავეტიქა ერეკლე მეფის მიერ 1784 წლიდან გაცემულ არაერთ საბუთში მოიხსენიებიან. უმეტეს შემთხვევაში მეფე მათ ხაზინის ხარჯის სხვადასხვა დანიშნულებით განკარგვას უბრძანებს [იხ. 3, 145; 150; 182; 185]. ავეტიქ ალას ძე ბებუთაშვილი იყო თბილისის მელიქი, ანუ ქალაქის თავი. ამ სახელის სომხური წარმოშობის მსხვილი ვაჭარი ბებუთაშვილები XVIII ს-ის II ნახევარში მემკვიდრეობით ფლობდნენ. მდივანი იოსები შეიძლება იყოს ავეტიქას უმცროსი ძმა იოსები (1762-1822 წწ.), რომელიც ერეკლემ 1778 წელს დაინიშნა მოლარეთუხუცესად, ხოლო 1784 წლიდან მიშკარბაშის თანამდებობა უბოძა.

დღეს საღამოს ბელაქნელ შიკრიკ აბდულასაგან მივიღეთ ნე-რილი, რომელშიც ის გვატყობინებს, რომ ომარ-ხანი ჯარით უკვე ბელაქანში მოვიდა და გაჩერდა ურდოს გადასასვლელთან.<sup>1</sup> თავს ვალად ვრაცხთ, ამ შემთხვევის შესახებ მოგახსენოთ, და, როგორც ჯერ არს, ვითხოვთ თქვენგან დახმარება რუსეთთან შეერთებული სამეფოს მტერთაგან დასაცავად. ვფიქრობთ, რომ ამდაგვარი მოქმედებისათვის არათუ საყვედურს არ მიიღებთ, არამედ საპირისპიროდ, დაიმსახურებთ შექებას, როგორც სამშობლოს სასარგებლო საქმისათვის.

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე.

### **8. მეფე ერეკლეს წერილი ბურნაშევისადმი (1787 წლის 4 ოქტომბერი)**

მაღალკეთილშობილ ბატონ პოლკოვნიკს, ჩვენ საიმედო მეგობარს.

ჩვენ ქიზიყში მივიღეთ თ[ქვენი] მ[აღალკეთილშობილების] ნე-რილი, სადაც ვგვთხოვთ, თქვენს საქართველოდან გასასვლელად მოგამარაგოთ ურმებით. ჩვენ ძალიან გაკვირვებულნი ვართ, რომ თქვენ ჯერ კიდევ არ გიბრძანებიათ იმ ურმების უკან გამოგზავნა, რომლებიც თქვენ მოგეცათ განჯაზე ლაშქრობისას. მისი ბრწყინვალეებისგან<sup>2</sup> ჩვენ არ გვცნობებია, რომ ბატალიონები საქართველო-

---

<sup>1</sup> ომარ-ხან ავარიელი (ავარიის ხანი 1774-1801 წწ.) XVIII ს-ის 80-იანი წლებიდან ზედიზედ აწყობდა ლაშქრობებს ამიერკავკასიაში, არბევდა აზერბაიჯანულ სახანოებს და 1785 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსაც შეუტია. მაშინ ერეკლე იძულებული გახდა ავარიის ხანისაგან დიდი თანხის ფასად ეყიდა მშვიდობა. 1787 წლის ოქტომბერში ომარ-ხანმა მეორეჯერ დააპირა ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმა, გადმოვიდა დალესტენელთა ლაშქრით ჭარ-ბელაქანში და ალაზანსაც მოადგა, მაგრამ ნუხისკენ გაბრუნდა. მაშინ ომარ-ხანმა ერეკლე II-ის საომრად გამზადებულ ჯართან შეტაკებას მეფის ახალი მოკავშირის, ფათ ალი-ხანის წინააღმდეგ გალაშქრება ამჯობინა [2, 717].

<sup>2</sup> რუსული გამოცემაში „მისი ბრწყინვალეობა“-დ მითითებულია თავადი გრიგოლ პოტიომკინი [5, 38; შენ. 1] (პავლე პოტიომკინი ჩვეულებრივ, „მის აღმატებულებად“ მოიხსენიება). გენერალ-ფელდმარშალი გრიგოლ პოტიომკინი ეკატერინე II-ის ფავორიტი და იმ დროის რუსეთში ყველაზე გავლენიანი ფიგურა იყო. ყირიმის რუსეთისათვის მიერთებისათვის 1783 წელს მან მიიღო „უბრწყინვალესი თავადი თავრიდელის (светлейший князь Таврический) ტიტული.

დან გაიყვანებიან, არც ის, რომ ჩვენ ამაში ჩვენი მხრიდან უნდა დავეხმაროთ. ვიმყოფებით რა უკვე უკიდურეს მდგომარეობაში, ჩვენ მით უმეტეს ვნუხვართ, რომ ჩვენთვის უცნობია, რა მიზეზებით გვეწვევა თავს ასეთი საგრძნობი უბედურება.

თ[ქვენი] მ[ალალკეთილშობილება] ითხოვს ჩვენგან 60 ურემს თქვენი აქედან გასვლის გასაიოლებლად. თქვენთვის ცნობილია, რა უკიდურეს სიღარიბეში იმყოფებიან ჩვენი ქვეშევრდომები მტრის გამო, და რომ ჩვენ არაერთხელ, თქვენი მოთხოვნისამებრ, გეხმარებოდით უსასყიდლოდ.

ახლა ჩვენი ქვეშევრდომების უკიდურესი იმედგაცრუებით, თქვენ ტოვებთ საქართველოს სწორედ იმ დროს, როცა ომარ-ხანი გვემუქრება ჩვენს მიწებზე თავდასხმით. ჩვენზე მომავალი მტრის სანინალმდეგოდ შეკრებილ ყველა ჩვენს ქვეშევრდომს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან ჩარიცხულნი ჩვენს ჯარში, ჩვენგან ნაბრძანები აქვთ, გამოცხადდნენ ჩვენთან; ამიტომ ნუ აიძულებთ მათ დაბრუნებას. ჩვენ გავამწესეთ ერთი მოხელე თქვენთან: მისთვის ნაბრძანებია, გასცეს ჯარისათვის ქერი და თივა დუშეთში ერთი დღისა, მთიულეთში ორის და ხევში ორი დღისა.<sup>1</sup> ასე რომ ურმები არ იქნება თქვენთვის საჭირო, და მათი წაღება ნუ გიბრძანებიათ, რამეთუ ჩვენი ქვეშევრდომები ისეთაც საკმაოდ გაღატაკებულნი არიან.

ჩვენმა მოხელეებმა წარმოგვიდგინეს, მოვახდინოთ თქვენთან ანგარიშსწორება ჯარისათვის მოწოდებულ სურსათზე; ამ ანგარიშით აღმოჩნდა, რომ გადმოცემულია თქვენგან ზედმეტად 165 ქართული მანეთი და 26 კაპიკი, და შეშისათვის ხუთ თვისა 64 ლიტრი. ქართული მანეთი 92 კაპიკია. ბურღული ასევე მთლიანად არაა მოცემული, და თქვენ მწერთ, რომ გეკუთვნით მიღება 1 მეოთხედში 4 მან. – თ[ქვენი] მ[ალალკეთილშობილებისათვის] ცნობილია, ჩვენ ყოველ წელს სურსათისა და ფურაჟისათვის ვხარჯავდით ჩვენი ფულიდან 30 000 მანეთამდე, რამეთუ თქვენგან ვიღებდით ლიტრ ფქვილში 3 1/2 კაპ., ქერში 3 კაპ., ბურღულში 4 კაპ., ხოლო ჩვენ ხანდახან ვიხდიდით ლიტრში 15 კაპ. როცა კი ეგერებისთვის<sup>2</sup> ბურღული არ გაიცემოდა, მაშინ მის მაგივრად არაერთხელ ვაძლევდით ხორცს, ბრინჯს და ლობიოს, და ამრიგად ჩანს, რომ ხარჯთაღრიც-

<sup>1</sup> სწორედ ეს ადგილები უნდა გაეგლო რუსეთისაკენ საქართველოს სამხედრო გზით მიმავალ რუსულ ჯარს.

<sup>2</sup> გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველოში შემოსულ რუსულ ჯარს ეგერთა ორი ბატალიონი წარმოადგენდა. ამიტომ აქ მყოფ რუს ჯარისკაცებს ხანდახან მარტივად, ეგერებად მოიხსენიებენ.

ხვაში არ არის შეცდომა; ხოლო რადგან თქვენ ჩვენ გვიხდით 1 1/2 მანეთს, მეოთხედ ბურღულში, ასე თქვენც გევალებათ ჩვენგან იმავე ფასით მიიღოთ, ფქვილისა და შემის ფულის გამოკლებით, რაც თქვენგან გადმოცემულია. ტყვია და რკინა, რომელიც თქვენთვის იყო გადმოცემული, უნდა იყოს იგივე ანგარიშსწორებით, ხოლო რაც დარჩება ამის შემდეგ ჩვენზე, ჩვენ არ დავტოვებთ ისე, რომ არ გავაგზავნოთ მის აღმატებულება პავლე სერგეის ძესთან,<sup>1</sup> და ვაუწყებთ მას ყველა ჩვენი ხარჯისა და სხვათა შესახებ.

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე.

## **9. მეფე ერეკლეს ხელმოწერა 4000 თუმნის მიღებისა**

ჩემს მიერ მიღებულია მისი აღმატებულების გენერალ-პორუჩიკ პავლ. სერ. პოტიომკინის მიერ ბ-ნ პოლკოვნიკ ბურნაშევის საშუალებით მონოდებული ოთხი ათასი ჰოლანდიური თუმანი.

ერეკლე.

## **10. ქართველ მეფისწულის დავითის ბურნიშევისადმი წერილის ასლი (1798 წლის 26 აპრილი)**

გენერალ-მაიორ ბურნაშევისადმი  
თქვენო აღმატებულებაგ,  
ჩემო მ[ონყალეო] ხ[ხელმწიფეგ],

ჩემი პაპის (მეფე ერეკლეს) გარდაცვალების გამო, ვისი ნაცვლადაც ჩემმა მამამ, მეფისწულმა გიორგიმ<sup>2</sup> მიიღო საქართველოს ტახტი, მივემგზავრები ამჟამად ჩემს სამშობლოში, ვაპირებ რა მოკლე ხანში კვლავ ვიყო პეტერბურგში. მე მჯერა, რომ ჩემი მშობლის ბედნიერების შეტყობა თქვენთვის სასიამოვნო იქნება, და ამიტომაც გაცნობებთ თქვენ, როგორც ჩვენს ჭეშმარიტ მეგობარს.

ამასთან გთხოვთ, ეს ჩვენი კაცი, ქართველი ეგორ ვესევეი არ მიატოვოთ და არ დააჩაგვრინოთ მის სავაჭრო საქმეებში იმ ადგილებში, რომელიც თქვენს გამგებლობაშია. თქვენდამი ჩემი საუკე-

---

<sup>1</sup> პავლე პოტიომკინი [5, 39; შენ. 1].

<sup>2</sup> ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII, ერეკლე II-ის უფროსი ძე. მან 1798 წლის 11 იანვარს სამეფო ტახტზე შეცვალა ერეკლე მეფე და მეფობდა გარდაცვალებამდე (1800 წლის 28 დეკემბერი).

თესო პატივისცემით თქვენი, ჩემი ხელმწიფის მორჩილი მსახური, ქართველი მეფისწული დავითი.<sup>1</sup>

P. S. ჩემთვის ძვირფას ნათლიდედას, მარია ფეოდოროვნას<sup>2</sup> და ნათლულს ანა სტიფანოვნას<sup>3</sup> ვუდასტურებ ჩემს უმდაბლეს მონინებას, ასევე მთელს თქვენს ოჯახსაც.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბილისი, 1983.
2. დუმბაძე მ., საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV (საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე), თბილისი, 1973.
3. ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლები, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისი, 2008.
4. მერკვილაძე დ., რუსულ-ქართული ურთიერთობები პოლკოვნიკ ბურნაშევის არქივის მიხედვით (1783-1787 წწ.), „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, XIV, თბილისი, 2012.
5. Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшего в Грузии с 1783 по 1787 г., собрал и издал с приложением карт, портретов и факсимиле С. Н. Бурнашев, под редакцией профессора А. А. Цагарели, СПб., 1901.

---

<sup>1</sup> გიორგი XII-ის უფროსი ძე და ტახტის მემკვიდრე. 1800-1801 წლებში განაგებდა ქართლ-კახეთის სამეფოს, მაგრამ რუსეთის საიმპერატორი კარმა მას ტახტზე ასვლის ნებართვა აღარ მისცა და სამეფო საერთოდ გააუქმა. 1803 წელს დავით ბატონიშვილი გადაასახლეს რუსეთში.

<sup>2</sup> სტ. ბურნაშევის მეუღლე.

<sup>3</sup> სტ. ბურნაშევის ქალიშვილი. როგორც დავით ბატონიშვილის წერილიდან ირკვევა, იგი ამ უკანასკნელის ნათლული ყოფილა.

**David Merkviladze**

*Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior scientist-researcher of the Department of Medieval History*

**The Letters of Bagration Royal Family Members  
to Stefan Burnashev**

**Summary**

In the spring of 1783, Col. Stephen Burnashev was sent at the courts Erekle II King of Kartli-Kakheti and Solomon I King of Imereti, as the Russia's official diplomatic and military representative (commissioner). Later on St. Burnashev was also entrusted to command the Russian troops inducted into Georgia according to the Georgievski agreement between Russian Empire and Kartli-Kakheti Kingdom.

Stephen Burnashev's descendant, a member of the Institute of Archaeology, S. Burnashev published his great-grandfather's archival documents in 1901 in St. Petersburg edited by A. Tsagareli.

The 2nd part of the publication – „Royal Letters“, consists of 10 documents, of which 9 are the letters of Georgian royal family members to Stephen Burnashev. These documents are important sources of the history of Georgia in 80-90-ies of 19<sup>th</sup> century, especially in the study of Russian-Georgian diplomatic and military relationships. Here are the Georgian translations of the documents with the notes and definitions.



## ნინო ჯიჯიშვილი

*იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტა-  
რული ფაკულტეტის დოქტორანტი*

### **რუსი მოხელე – კორნელი ბოროზდინი იმერეთის სამეფოს შესახებ**

წერილში გვინდა შევეხოთ საქართველოში ათეულ წელზე მეტ-  
ხანს მოღვაწე რუსი მოხელის – კორნელი ბოროზდინის (1828-  
1896 წწ.) ზოგიერთ ნაკლებად ცნობილ სტატიასა და ისტორიულ  
ნარკვევს, მის ურთიერთობას იმპერიული რუსეთის მაღალ წრეებ-  
თან და ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან.

გარდა იმისა, რომ ბოროზდინი საქართველოში დიდხანს მოღ-  
ვაწეობდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული აქაურ არისტოკრატი-  
ასთან, ისევე, როგორც მისი დროის ბევრ რუს სამხედრო მოხელეს,  
მას ცოლად ქართველი – ქავთარაძის ქალი ჰყავდა.

ბოროზდინს ეკუთვნის ნაშრომები სამეგრელოსა და სვანეთის  
სამთავროების შესახებ. წიგნი რამდენჯერმე გამოვიდა რუსულ და  
ქართულ ენებზე. მასში ბევრი საინტერესო ცნობაა შესული და ამ პე-  
რიოდის საქართველოს ისტორიის წყაროს წარმოადგენს. ამ დანიშნუ-  
ლებით ეს ნაშრომი ფართოდ გამოიყენება ქართულ ისტორიოგრაფი-  
აში. მიუხედავად ქართველი ერისადმი პატივისცემის გამოხატვისა,  
რაც მის ნაწერებში აისახა, ბოროზდინი რუსი მოხელეა, იმპერიული  
აზრითა და სულისკვეთებით. ის აკრიტიკებდა ეკატერინე დადიანს,  
მის ბატონყმურ პოლიტიკას, თითქოს რუსული ფეოდალიზმისათვის  
ამგვარი დამოკიდებულება ყმებისადმი უცხო ყოფილიყო, ამარ-  
თლებდა სამეგრელოსა და სვანეთის წინააღმდეგ მიმართულ რუსე-  
თის სადამსჯელო პოლიტიკას და სხვ. თავის ერთ წერილში ბოროზ-  
დინი მხარს უჭერდა რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკას რუსული  
სოფლების შექმნის შესახებ კავკასიასა და საქართველოში, რასაც  
ქართველი ხალხის მონინავე წარმომადგენლები მიუღებლად თვლიდ-  
ნენ და აკრიტიკებდნენ არა მარტო პრესის ფურცლებზე, არამედ მომ-  
დევნო წლებში სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნდანაც. ბოროზ-  
დინმა ამ თემაზე ვრცელი ნარკვევი გამოაქვეყნა ჟურნალ „Русский  
вестник“-ში. ხსენებული წერილის ანოტაცია და შეფასება გამოქვეყ-  
ნდა გაზეთ „ივერია“-ში 1891 წლის 16 ივლისს [1].

ბოროზდინს აქვს პატარა ნარკვევი, რომელიც ეხება იმერეთის მეფის – სოლომონ II-ის მეუღლის მარიამ დედოფლის ცხოვრებას რუსეთში. იმერეთის მეფის – სოლომონ II-ის დაპირისპირება რუსეთის ხელისუფლების კავკასიურ წარმომადგენლებთან მისთვის უამბია თავად გრიგოლ ლევანის ძე დადიანს, რომელსაც ეს ამბები კარგად სცოდნია. წერილში რუსი მოხელის ტენდენციურობა და გაყალბებული ისტორიზმის გრძნობა კარგად არის გამოკვეთილი. ეს მოთხრობაც „ივერია“-ში დაიბეჭდა და მის თარგმანს კომენტარებით ხელს აწერდა ს. დავითიანი. ეს იყო ცნობილი ისტორიკოსის – სარგის კაკაბაძის ფსევდონიმი. მისი დამოკიდებულება ტექსტისა და მასში მოტანილი დამახინჯებული ისტორიული ფაქტებისადმი მონიშნავს მთარგმნელის პროფესიონალიზმსა და პრობლემისადმი მეცნიერულ დამოკიდებულებას [2].

წერილის პირველივე შენიშვნაში მთარგმნელი წერს: „ბ. ბოროზდინი კარგადაა ცნობილი კავკასიის მწერლობაში. მისი თხზულებანი – „სამეგრელო-სვანეთის სამთავროების მოსპობა“ და „ბატონყმობა საქართველოში“ ქარულად არის თარგმნილი. ეს მოთხრობა, რომელიც ბოროზდინისათვის, როგორც თვითონ აცხადებს წერილის ბოლოში, უამბია უგანათლებულეს თავადს გრიგოლ ლევანის ძე დადიანს, დაბეჭდილი იყო რუსულ „ნივას“ 1893 წლის კრებულში. ზოგიერთი ცნობა ამ მოთხრობისა, ჩვენის ისტორიისათვის გამოსადეგი იქნება და ამისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ მისი თარგმნა, მხოლოდ აქა-იქ, სადაც საჭიროდ დავინახეთ, რამდენიმე შენიშვნა წარვუძღვარეთ“ [2].

ბოროზდინის აზრით, ქუჩუკ-კაინარჯის ზავმა ოსმალეთისგან დამოუკიდებელი გახადა დასავლეთი საქართველო, „თუმცა ეს დამოუკიდებლობა მხოლოდ სახელით იყო“. როდესაც რუსული ჯარი გავიდა საქართველოდან, სპარსელებმა და ლეკებმა ისევ დაიწყეს აღმოსავლეთ საქართველოს, ოსმალებმა კი იმერეთის, სამეგრელოს და ზოგჯერ ქართლ-კახეთის რბევა.

ბოროზდინი ისტორიულ ფაქტებს ერთმანეთში ურევს, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის თარიღად ასახელებს 1783 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროს, რის შემდეგაც შემოვიდა რუსული ჯარი საქართველოში, გასვლით კი, რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლის ომის დაწყებამდე გავიდა. ამ ფაქტით რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო რომ ცუდ დღეში ჩააგდო და ფაქტიურად, ტრაქტატის პირობა დაარღვია, რა თქმა უნდა, ამას ბოროზდინი არ ამბობს.

რუსი მოხელე დიდ წარმატებად მიიჩნევს საქართველოს რუსეთთან დაახლოებას, რუსული ოფიციალობის თვალსაზრისს იმეორებს და წერს: „მას შემდეგ, რაც 1801 წელს ქართლ-კახეთის მეფემ გიორგი XII-მ, სიკვდილის წინ გადასცა თავისი სამეფო რუსეთის იმპერატორს, მის მაგალითს 1803 წელს მიბაძა სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა, ხოლო 1804 წელს კავკასიის მთავარმართველ თავად ციციანოვთან მოლაპარაკების შემდეგ (მოლაპარაკება სწარმოებდა გრაფ მ. ს. ვორონცოვის, შემდეგში კავკასიის მეფისნაცვლის შუამდგომლობით) მასში მონაწილეობა მიიღო იმერეთის მეფე სოლომონმაც. მაგრამ როცა ასეთ გადანყვეტილებას ადგებოდა, სოლომონი ვერ ჰგრძნობდა სავსებით, როგორც ამ საქმის სიღიადეს, ისე იმასაც, რომ პასუხს აგებდა, თუკი მომავალში ცოტათი მაინც **თავისი მოქმედებით უგულვებელყოფდა რუსეთის მთავრობის ინტერესებს**“ [2].

ბოროზდინი წერს, რომ ე. წ. „თხოვნის მუხლთა“ ძალით, სოლომონი, რუსეთის მეფის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ, „ჰკარგავდა უფლებას თავის ქვეშევრდომების სიცოცხლესა და პიროვნებაზე“. მას ერთმეოდა სისხლის სამართლის საქმეების გარჩევის უფლება და საკუთარ სამეფოში მხოლოდ სამოქალაქო საქმეების გარჩევა შეეძლო. ყველა ურთიერთობა მეზობლებთან მეფეს მხოლოდ რუსი მთავარმართველის შუამავლობით უნდა ეწარმოებინა.

ქუთაისში ჩადგა რუსული ჯარი, მეფესთან დაინიშნა განსაკუთრებული ინსტრუქციითა და უფლებით მოსილი რუსი მოხელე. ბოროზდინი ფიქრობდა, რომ ამ ახალ უფლებებზე სტატუსს ვერ შეეგუა იმერეთის მეფე, თუმცა, ყველაფერი ნათესავეებისა და ახლობელი ადამიანების ნაქეზებას გადააბრალა. „ამათ დიდი გავლენა ჰქონდათ თავიანთი **სუსტი ხასიათის ხელმწიფეზე, რაც სურდათ, იმას აკეთებინებდნენ და რადგანაც ეწინოდათ რუსთა მთავრობა ამ თვითნებობას ალაგმავსო, ამიტომ მეფეს რუსთა წინააღმდეგ შეგულიანება დაუნყეს**“ [2].

ბოროზდინს მიაჩნდა, რომ სოლომონი ახალციხის ფაშასთან საიდუმლო მიწერ-მოწერის გამო დააპატიმრა მთავარმართველმა, რომელსაც ეს მიმოწერა ხელში ჩაუვარდა. ის მიზეზების აუხსენლად დაიბარეს თბილისში.

რუსი მოხელის ჩანაწერის ამ ადგილს მთარგმნელი (სარგის კაკაბაძე) შემდეგ შენიშვნას უკეთებდა: „ეს ასე არ იყო. 25 აპრილს 1804 წელს მეფე იძულებული გახდა ძალას დამორჩილებოდა და რუსთა იმპერატორის ერთგულებაზე ფიცი მიეღო იმ პირობით, რომ

თუ საჭირო საბუთებს წარმოადგენდა, ლეჩხუმი მისთვის უნდა დაემტკიცებინათ. მაგრამ, რადგან რუსთა მთავრობამ კარგად იცოდა, რომ **მეფეს რუსები ჭირივით ეჯავრებოდა**, ამიტომ თავისი საიდუმლო მტრის დასასუსტებლად გადაწყვიტა ლეჩხუმი ჩამოერთმია მისთვის და დადიანისათვის მიეცა, **რომელიც რუსეთის მომხრე იყო**. მართლაც, ლეჩხუმი დადიანს მისცეს. მაშინ მეფემაც გაბათილებულად ჩათვალა თავისი ფიცი და იწყო მინერ-მონერა ოსმალეთთან **რუსების გასარეკად**. თავის მხრივ, რუსეთის მთავრობამაც გადაწყვიტა მეფის ტახტიდან გადაყენება და რუსეთს გასახლება. ასეთი დიპლომატიური ომი რამდენსამე წელიწადს გაგრძელდა. ბოლოს, 1810 წლის 20 თებერვალს იმპერატორის პროკლამაციით სოლომონ II-ეს მეფობა ჩამოართვეს. სოლომონი მცირე ჯარით გამაგრდა ხანის-წყლის ხეობაში. რუსნი შემოერტყნენ. რადგან წინააღმდეგობის განევა შეუძლებელი იყო, მეფემ მოლაპარაკება გამართა რუსის ჯარის უფროსებთან, რომელთაც შეჰფიცეს, თუ ტფილისში წაბრძანდებით, მთავარმართველთან მოსალაპარაკებლად, თქვენს ღირსებას არა მოაკლდება რა და ისევ მეფედ დარჩებით იმერეთშიო. მეფეც დიდძალის ამალით, 500 კაცით, წავიდა ტფილისს“ [2].

ბოროზდინის მიერ თბილისში ჩაყვანილი და შინაპატიმრობაში მყოფი მეფის ცხოვრების დეტალებია მოტანილი. ბოროზდინი აღწერს სოლომონის დამხსნელი მსახურის – გლახ ივანე სარალიძის თავგანწირვას, რომლის სამოსით შეიმოსა ხელმწიფე, მტკვარზე წყლისთვის რუსი ჯარისკაცების შეუმჩნევლად ჩავიდა და გაიპარა. მისი აზრით, სარალიძე ამის გამო ჯერ მეტეხში ჩასვეს, შემდეგ კი ციმბირში გადაასახლეს.

„მეფე სოლომონის მეუღლე მარიამ დედოფალი კი პატივით გადაიყვანეს პეტერბურგში და მას შემდეგ აქ ცხოვრობდა ხელმწიფისა და სამეფო ოჯახისგან მოწყალედ მიღებული“ [2] – წერს რუსი ავტორი.

რუს მოხელეს სურდა ეჩვენებინა სოლომონ მეფის უპრინციპობა და მოლაღატეობა რუსთა მიმართ, მას უპირისპირებდა „კეთილ“ იმპერატორ ნიკოლოზ I-ს, რომელიც ხშირად მოინახულებდა ხოლმე რუსეთში მცხოვრებ დედოფალს და მის სურვილებს ასრულებდა. მართალია, იმპერატორი დასახლებული არაა, მაგრამ ბოლო სურვილის ამსრულებელი, საიდანაც რამდენიმე თვეში დედოფალი მარიამი გარდაიცვალა, სწორედ „ჯალათად“ შერაცხული ნიკოლოზ I უნდა იყოს, რადგან იმერეთის დედოფალი, როგორც კაკაბაძე აღნიშნავს ტექსტის კომენტარში, 1841 წელს აღესრულა რუსეთის დე-

დაქალაქში. თუმცა, ეს ასე არაა, ბოროზდინის აზრით, ეს ამბავი, – სარალიძის ინციდენტი, ათი წლის წინანდელი ამბავი იყო, როდესაც მარიამ დედოფალმა მისი განთავისუფლება ითხოვა იმპერატორისაგან, რომელიც ხშირად ინახულებდა ხოლმე, მასთან სახლში მიდიოდა და ზოგჯერ მთელი საათი რჩებოდა ამ „უბედურ ქალთან“. თუ ეს სოლომონის დაპატიმრებიდან ათი წლის თავზე მოხდა, მასასადამე ეს კეთილი ხელმწიფე საქართველოს დამპყრობი, „დემოკრატიკაზე“ პრეტენზიის მქონე ალექსანდრე I უნდა იყოს.

ამის შემდეგ ის ყველა სოლომონისა და მისი მეუღლის – მარიამ კაციას ასულ დადიანის ბედნიერ წარსულს, მათ დიდი სიყვარულს, რის გამოც დედოფალმა საშინლად განიცადა ტრაპიზონში ქმრის გარდაცვალების ამბავი. კინალამ ჭკუიდან შეცდაო, წერს ბოროზდინი და აქ იმეტებს იმერეთის მეფის დადებითად შესაფასებელ სიტყვებს: ...ქმარი გამშაგებით უყვარდა და შეუძლებელიც იყო ისეთი გულითადი, უვერაგო, უკიდურესობამდე მიმდობი და თუმცა ფიცხი, მაგრამ განუსაზღვრელად კეთილი კაცი არ ჰყვარებოდა, როგორც იყო სოლომონი“ [2].

მიუხედავად იმპერიული აზრებისა, ბოროზდინის ნაწერი მაინც ცხადყოფს, რომ სამეგრელოს მთავარსა და იმერეთის მეფეს შორის დაპირისპირებაში ინსპირაცია ეკუთვნოდა რუსულ პოლიტიკასა და პოლიტიკოსებს.

სამეგრელო-იმერეთის ურთიერთობა საშინელი შედეგებით აღწერილი აქვს ნარკვევის ავტორს, ის ვერ მალავს ლეჩხუმის გამო ატეხილ დავაში რუსეთის ტენდენციურად ჩარევის ფაქტს და წერს: „ჭემმარიტი მშვიდობიანობა მათ შორის არა და არ დამყარდა. და აი, 1802 წელს ახლად ამტყდარ ომში მეფემ საბოლოოდ დაამარცხა დადიანი, წაართვა სამეგრელოს მთიანი ნაწილი ლეჩხუმი და აპირებდა სამთავროს დანარჩენი ნაწილის დაპყრობასაც. მაგრამ დადიანმა ასეთ უკიდურესობაში მიმართა რუსეთის მეფეს შემწეობის სათხოვნელად და თავის მხრივ ქვეშევრდომობა აღუთქვა. დადიანის დასახმარებლად გაგზავნილი ჯარი გადმოვიდა ზღვის ნაპირას რედუტკალეში, მისი უფროსი, პოლკოვნიკი რიკხოფი ენერგიულად გამოესარჩლა დადიანს, რომელსაც ლეჩხუმი უკან დაუბრუნეს, სამეგრელო განთავისუფლებული იქნა იმერეთის მეფის ჯარისაგან, ხოლო თვით სოლომონი კი საშინ მდგომარეობაში ჩავარდა“ [2]. ასეთ მდგომარეობაში სოლომონმა დაიწყო მოლაპარაკება ციციანოვთან რუსეთის ქვეშევრდომობის შესახებ და, ბოროზდინის აზრით, ყველაფერი ეს ნაჩქარევად გააკეთა, სინამდვილეში მას „რუსე-

თი ძულდა“. პრორუსულ ორიენტაციას იმერეთში ჰყავდა მომხრეებიც და მოწინააღმდეგეც. სარგის კაკაბაძე აქაც შენიშნავს, რომ მოწინააღმდეგეთა ძირითადი დასის ხელმძღვანელი მეფის სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი იყო.

რუსი ავტორი სოლომონს უწუნებდა პოლიტიკასა და დიპლომატიას, თვლიდა, რომ მას „გულწრფელად რომ მოენანიებინა თავისი შეცოდება და მიქცეულიყო რუსეთის იმპერატორის სულგრძელობისადმი, ნებას დართავდა რუსეთში დაბრუნებულიყო და თავის მეუღლესთან ერთად მშვიდად იცხოვრებდა ერთ-ერთ ჩვენს საგუბერნიო ქალაქში, როგორც კერძო კაცი... დედოფალიც სთხოვდა, იწვევდა, მაგრამ მისმა წერილებმა ვერ გასჭრა“ [2]. სინამდვილეში დედოფალს რუსი სამხედროები აიძულებდნენ ამ წერილების დაწერას, რათა როგორმე ჩაეტყუებინათ იმერეთს მეფე რუსეთში და გაენეიტრალებინათ ის საშიში მდგომარეობა, რასაც მისგან გრძობდნენ. რაც შეეხება, იმპერატორის და მისი ოჯახის წევრების მხრიდან დედოფლისადმი მუდმივი ყურადღების ჩვენებას, ამით რუსი მოხელე ხაზს უსვამს თავისი ქვეყნის განსაკუთრებულობას, იმპერატორის გულმონყალებასა და სიკეთეს.

ამავე მიზანს ემსახურება ნარკვევში მოტანილი სოლომონის მსახურის – ივანე სარალიძის დეტალიც. ეს ამბავი ავტორს ჭირდება იმისთვის, თუ როგორ ლოიალური იყო იმპერიის კანონები ასეთი საშიში დამნაშავეების მიმართაც კი. სარალიძე არ მოკლეს, არ ჩამოახრჩვეს, ის ციმბირში გადაასახლეს, სადაც არც ისე მკაცრად ექცეოდნენ, პირად საქმეებსაც კი შოულობდა რუს მრეწველებთან, თავისუფლად გადადიოდა ციმბირის ერთი ადგილიდან მეორეზე და მუდმივი სამუშაოც კი იშოვა „მადნებზე“. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ზღაპარს უფრო ჰგავს, ვინაიდან რუსული კანონები ასეთ დამნაშავეებს ყოველთვის უმკაცრესად სჯიდა. ამაზე სარგის კაკაბაძეც შენიშნავს: „ბატონის ერთგულებისათვისო“ მთავარმართველმა არათუ დასაჯა, არამედ აზნაურობითაც დააჯილდოვა სარალიძეო (ის მოგვიანებით გადაასახლესო, ავტ.). ან რა დასაჯრებელია, რომ ისეთი დიდმნიშვნელოვანი პატიმარი, განთავისუფლებით დაეჯილდოვებინა? ამასთანავე, ნუ დავივინყებთ, რომ მეფის თავი რუსებისაგან, სანამ მათ ხელში ჩაუვარდებოდათ, შეფასებული იყო 2000 ოქროდ და, ამას გარდა, მის მკვლელს, ადგილ-მამულს და ჩინის ბოძებასაც ჰპირდებოდნენ“ [2].

„გულმონყალე“ იმპერატორმა დაინდო ქართველი გლეხი, მეტიც, ის მოაძებნინა ქვეშევრდომებს, რათა დედოფალი მარიამი,

მისთვის საძულველი იმერეთის მეფის მეუღლე ესიამოვნებინა და დააბრუნა ბოლოს მასთან. როგორ იდეოლოგიას ემსახურებოდა რუსული პრესა და რუსი მოხელე, ეს კარგად ჩანს ბოროზდინის ამ ნარკვევის შემდეგ ნაწილში: „აი, რატომ ვერ მონახეს ამდენ ხანს აღმოსავლეთ ციმბირში (რადგან თავისუფლად გადავიდა დასავლეთით – ავტ.), მხოლოდ ორი თვის წინათ ნახეს ეკატერინბურგში, განუცხადეს პატიება და პეტერბურგამდე სამგზავრო ფულიც მისცეს. მაგრამ ამ სამნუხარო წაწნალის შემდეგაც **ძლიერ მადლიერი დარჩა რუსი ხალხისა, რომელიც ყველგან მხურვალე თანაგრძნობით ეპყრობოდა. უჭირს ცხოვრება ამ ხალხს და აკი ამიტომაც შეუძლია სხვების უბედურებათა თანაგრძნობა!**“ [2].

მთელი დღე ისაუბრეს დედოფალმა და მსახურმა, საღამოს კი მარიამ დედოფალმა საძინებელი ოთახის კარამდე მიაცილა და დაემშვიდობა. რა იცოდა, რომ ეს მისი უკანასკნელი ღამე იყო. სარალიძე იმ ღამეს გარდაიცვალა – მნუხარებით გვაუნყა ავტორმა. ეს უბედურება ვერ აიტანა დედოფალმა და რამდენიმე თვეში თავადაც გარდაიცვალა – დაამატა შენუხებულმა.

მოცემულ ნარკვევში არა მარტო მოვლენების შეფასება, არამედ ფაქტებიც სრულად არის დამახინჯებული. ამბავი ვერ მოხდებოდა იმ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, როგორც მას სურს წარმოგვიდგინოს. დედოფალი მარიამი ქმრის გარდაცვალებიდან 26 წლის შემდეგ გარდაიცვალა, რაც მის მიერ წარმოდგენილ ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოს ვერ ერგება.

ბოროზდინის პორტრეტი კარგად ჩანს ნიკო ნიკოლაძის მოგონებებში. ის რომ მატყუარა და თალღითი მოხელეა, ნიკოლაძე ამ შეფასებას სრულიად რეალურ ამბად გვაცნობს [3, 161-216].

როდესაც ნიკოლაძის მიერ ვრცლად გადმოცემულ მის ისტორიას ვკითხულობთ, მაშინ სულ სხვაგვარი ხდება საქართველოსადმი მიძღვნილ ბოროზდინის მონოგრაფიებში მოტანილი ფაქტებისადმი ჩვენი დამოკიდებულება, მათი ობიექტურობისა და ნამდვილობის ხარისხი ეჭვქვეშ დგება. ცხადი ხდება, როგორ იყენებდნენ ბოროზდინის საიდუმლო სახელმწიფო საქმეების გასაკეთებლად, რა სიხარბე და მექრთამეობა ახასიათებდა ამ რუს მოხელეს, რა მოტივაცია უნდა ჰქონებოდა მის ქმედებებს, როდესაც სამეგრელოსა და სვანეთის დამორჩილებისთვის იარაღით იბრძოდა, როდესაც ცალკეულ ქართველ თავადებს შორის ხელოვნური დაპირისპირებისა და სიძულვილის ინსპირაციას ახდენდა... მის ამ თვისებებზე ნიკო ნიკოლაძე დაუფარავად მიუთითებს. ამ ფაქტებიდან ჩვენი დასკვნა ასე-

თია: კორნელი ბოროზდინი ტიპიური რუსი მოხელე იყო, რომელიც თავის ნაწერებში ხშირად ყალბია, არაობიექტური, საკუთარი ინტერესების გამტარებელი. ამიტომ, მის ნაწერებს, როგორც წყაროს, ისტორიკოსი მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. გაზეთი „ივერია“, № 149, 16 ივლისი.
2. გაზეთი „ივერია“, 1903 წელი, №189-190.
3. ნიკო ნიკოლაძე, მოგონებები, თბილისი, 1984.

**Nino Jijishvili**

*Doctoral Student of the Humanity Faculty of  
Telavi Jacob Gogebashvili State University*

### **Russian Official – Cornell Borozdini about Imereti Kingdom Summary**

The article is about some of the less-known historical essays and articles, authored by Corneli Borozdiny (1828-1896), who worked for more, than ten years in Georgia, particularly about King of Imereti Solomon and his Wife.

About the confrontation between King of Imereti – Solomon II and representatives of the Russian government in Caucasus told to Borozdini Georgian noblemen Grigol Dadiani, The son of Levan Dadiani, who knew this case very well.

The article clearly shows that The Russian official was very tendentious and he manipulated Historical facts. This essay was published in the newspaper “Iveria”, the translator and comments author was S. Davitiani. It was pen-name of Georgian Historian Sargis Kakabadze. His attitude toward the text and of the distorted facts shows the translator’s professionalism and the scientific approach to the problem. Niko Nikoladze Has described the portrait of Corneli Borozdini in his memories. Nikoladze tells the real stories, which assured us that Borozdini was a liar and swindler person.

The conclusion is formed as a result of evidence: Borozdini was typical Russian official, his writings are often false, biased and any historian should be caution to use Borozdini’s writings as a source.



## გია გელაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

### ინგლისელი კაპიტანი ტელფერი თბილისის შესახებ (XIX ს-ის 70-ანი წლები)<sup>1</sup>

ჯონ ბუხან ტელფერის (1830–1907) შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოვიძიეთ სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების „გეოგრაფიული ჟურნალიდან“ (ტ. 30, №1, 1907 წლის ივლისი, გვ.97-98). ეს გახლავთ მისი ნეკროლოგი:

„ვნუხვართ კაპიტან ჯ. ბ. ტელფერის 76 წლის ასაკში გარდაცვალების გამო. გვსურს უკვდავყოთ მისი ხსოვნა. იგი იყო ნევრი საზოგადოებისა 1875 წლიდან. მან ბევრი იმსახურა საზღვაო ფლოტში; მიიღო მონაწილეობა ყირიმის ომში, დაჯილდოვდა ბალტიკის მედლით. მსახურობდა საზღვარგარეთ მრავალ საზღვაო ნავსადგურებში.“

მან შემდგომ შეირთო ცოლად რუსი ქალბატონი და 1870-იან წლებში სამი წელი ცხოვრობდა რუსეთში. მას ორჯერ მიეცა საშუალება ემოგზაურა ყირიმსა და კავკასიაში და მოეწყო ვრცელი ექსპედიციები მთიან მხარეებში. რუსეთის ცოდნამ და მისმა ლტოლვამ ანტიკვარულისა და ისტორიულისადმი, მისცა მას საშუალება ბევრად შეეცხო ბ-ნ ფრემფილდის მიერ მანამდე მოცემული ცნობები („ცენტრალური კავკასია“) სვანეთის შესახებ. მისი შრომა „ყირიმი და კავკასია“ გამოქვეყნდა 1875 წელს ორ ტომად; როგორც წყაროს, მას უცვლელი ღირებულება აქვს, რადგან შეიცავს საყურადღებო ინფორმაციებს და ზუსტ აღწერას მისი დროინდელი ამიერკავკასიისა.“

---

<sup>1</sup> ცნობები დაცულია მის წიგნში – „ყირიმი და ამიერკავკასია“ (მოგზაურობა ყუბანში, გურიაში, გეორგიაში, სომხეთში, ოსეთში, იმერეთში, სვანეთში, სამეგრელოში და ტავრიდის მხარეში, ორი რუკითა და მრავალი ილუსტრაციით), I-II, ლონდონი, 1876.

(„The Crimea and Transcaucasia, being the Narrative of Journey in the Kouban, in Gouria, Georgia, Armenia, Ossety, Imeretia, Swanety, and Mingrelia, and in the Tauric Range, by Commander J. Buchan Telfer, with two Maps and numerous Illustrations“, I-II, London, 1876).

ჩვენი მხრივ ვიტყვით, რომ ტელფერს თბილისში საკმაოდ სარწმუნო მთხრობელი ჰყავდა. ეს ჩანს ყველგან, სადაც ავტორი ქვეყნის წარსულს ეხება. განსაკუთრებით სიზუსტით ის XIX ს-ის პირველი ნახევრის პოლიტიკურ ამბებს გადმოგვცემს.

ყველაზე მეტად საყურადღებო მის მიერ საკუთარი თვალით დათვალიერებული და აღწერილი ქალაქი და საქალაქო ცხოვრების ყოველი მხარეა, რაც საკმაოდ კარგად ჩანს ნაშრომის თავებს წინდართული შინაარსებიდანაც.

ჯონ ბუხან ტრლფერის ცნობები ძალზე საინტერესოა როგორც ისტორიკოსების, ისე ეთნოლოგებისთვის; ისინი წარმოადგენენ პირველწყაროს 1870-იანი წლების თბილისის შესასწავლად (გ. გ.).

## თავი XIV მეოცე დღე

ტფილისის დაარსება – მოსახლეობა – ჰავა – მდინარე მტკვარი – თევზები მასში – წყლით მომარაგება – საჯარო შენობები – წმ. დავითის მონასტერი – გრიბოედოვი – მისი პოპულარობა – ტფილისის ფორტიფიკაციები – ბოტანიკური ბაღები – სასაფლაოები – ამაღელვებელი სცენა – ბაზრები – ქართველების ხასიათი – ბალი – ქართველი ქალბატონები – ეროვნული ციკვა.

ტფილისი, საქართველოს დედაქალაქი – *ტფილის-ქალაქი* – დააარსა მეფე *ვახტანგ გორგასალმა*. მან ააშენა ქალაქი 469 წელს იქ, სადაც იდგა სპარსელი ერისთავის მიერ აგებული ციხე – *შურის* ციხე [1], როგორც ბასტიონი (ზღუდე) მეფეთა დედაქალაქ მცხეთის წინააღმდეგ, როცა ქართლის ტახტზე იჯდა *ვარაზ ბაქარი* (379-393). სამეფო რეზიდენცია მცხეთიდან ტფილის-ქალაქში გადმოიტანა 34-ე მეფე *დაჩიმ* (499-514). ქალაქმა სახელი მიიღო დღემდე ასე მიმზიდველი მინერალური წყაროებისგან მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე *ჯოჯოხეთის უბანში*. (აქ გვახსენდება *ტეპლიცე* უნგრეთში, რაც დაერქვა იქაური თერმული წყლების გამო; ანდა სიტყვა *ტეპლო* – რუსულად აღნიშნავს თბილს). ტფილისმა განიცადა მონღოლების, სპარსელების, ბერძნების და თურქთა დამპყრობლური შემოსევები; ის გაანადგურეს რვაჯერ, ხოლო მთლიანად იქნა გაძარცვული და მოსახლეობა გაჟღეტილი ჯერ *თემურლენგის* მიერ 1387 და 1393 წლებში და შემდეგ საზიზლარი ალა მაჰმად შაჰის ხელით 1795 წელს.

ტფილისის მოსახლეობის უმეტესობას ქართველების შემდეგ წარმოადგენენ სომხები; ასევე ცხოვრობენ აქ სპარსელები, თათრები, ებრაელები და ცოტა ფრანგები და იტალიელები; ხოლო ქალაქის უშუალო მეზობლობაში არის ვიურტემბერგიდან გადმოსახლებული გერმანელების [2] შთამომავლების აყვავებული და მშვიდი კოლონია<sup>1</sup>.

ზაფხულობით მოსახლეობას აქვს ბედნიერება ავიდეს მაღლა მთებში, რათა გაექცეს ხვატს ივნისიდან სექტემბრამდე, როცა თერმომეტრი ჩვეულებრივ უჩვენებს 100 გრადუსს ჩრდილში<sup>2</sup>. ზამთარში ჰავა ზომიერია. თოვლი მოდის საკმაო შუალედებით და იშვიათად ძვეს 24 საათი. ჰავის აღიარებული სირბილის დასტურად გამოდგება ის ფაქტი, რომ ზოგ ოჯახს აქვს გადახურული ეკიპაჟი; ხოლო ტფილისში ჩვენი ყოფნისას ვიქირავებთ ორი დახურული სატრანსპორტო საშუალება.

მტკვარი, ძველების კირუსი, რომელზეც განლაგებულია საქართველოს დედაქალაქი, ამბობენ, რომ ცნობილია ორაგულით (Salmon), თუმცა მე ამის დამადასტურებელი ფაქტი არ შემხვედრია. ამ სახეობასთან ძალზე ახლოსაა დიდი თევზი, ქართულად *ორაგული*, რუსულად *ლოსოსინა*. დამარილებული საუცხოვოა და უწოდებენ *სიომგა*-ს. შემდეგი თევზი მტკვარში არის *ტომი*-ი(?)<sup>3</sup>, რუსულად *უსაჩი*, რომელსაც აქვს უღვაშები; აქვია *ლოქო* და *ფირხული* – ეს პატარა და გემრიელი თევზია. კასპიის ზღვაში მტკვრის შესართავთან დაიჭირეს დიდი *ზუთხი*, რომელსაც უწოდებენ *ბელუგას*; მისი მსგავსი ეგზემპლარი არის ტფილისის მუზეუმში – სიგრძით 14 ფუტი, წონით 33 ფუნტი. ამ თევზის წონა ხანდახან აღწევს 70 ფუნტს. მისი ქვირითი (ხიზილალა) ძალზე დაფასებულია. *ისტახრი* [3], რომელმაც იმოგზაურა მეთაე საუკუნეში, ამბობს, რომ მტკვარში იჭერენ ორი სახეობის თევზს (*დორაკაინი* და *აზაჰი*), რომლებიც აღემატებიან ამ ქვეყანაში არსებულ ყველა დანარჩენს...

მტკვარი ერთადერთი წყაროა ქალაქის წყლით მოსამარაგებლად. მიუხედავად მისი სიბინძურისა, ქართველები მისდამი კეთილად არიან განწყობილი; მათ ის ისევე უყვართ, როგორც სტ.-პეტერბურგელებს ნევა და თავიანთი მამების მსგავსად წყალს იქიდან სვამენ. კუჭმა რომ ის მიიღოს, ქართველი უნდა იყო. *თულუხჩის*

<sup>1</sup> ტფილისის გუბერნიაში ითვლიან 635.315 მცხოვრებს 1873 წლის აღწერით.

<sup>2</sup> იგულისხმება ფარენგეიტით (=40 გრადუსს ცელსიუსით) – გ.გ.

<sup>3</sup> ეს უნდა იყოს *ნვერა* – გ. გ.

(„დამტარებელი“) წყლის გასაყიდად დააქვს ცხენზე გადაკიდული კამეჩის ტყავის ორი უზარმაზარი თულუხი; ამას ის დაატარებს მოსახლეობის საცხოვრებლებთან და ჰყიდის ვედროთი<sup>1</sup>, რომელიც პირუტყვს კისერზე ჰკიდია, ხოლო გამყიდველი გაყიდვას აღნიშნავს ქამარზე მიმაგრებულ მოკლე ჯოხზე ნიშნის დადებით.

სამი ხილია მტკვარზე. უდიდესია ვორონცოვის ხიდი, [4] რომელიც აერთებს მარცხენა ნაპირზე მდებარე კუკიას [5] ქართველთა უბანთან. მის ახლოს დგას კავკასიის გენერალ-გუბერნატორის, გარდაცვლილი თავადის ქანდაკება<sup>2</sup>; ორი დანარჩენი ხიდი – მეტეხის და ნიკოლაევსკისა [6] აკავშირებენ სომხურ და სპარსულ უბნებს ბაზრების მიმართულებით.

რკინიგზის სადგურიდან მომავალი მგზავრი, ვორონცოვის ხიდზე გადასვლის შემდეგ, გაივლის საზოგადო ბალებს გალაკინსკი პროსპექტისკენ; [7] ეს გახლავთ მთავარი ქუჩა და ნამდვილად ერთერთი ყველაზე პერსპექტიული მიმზიდველობის მხრივ რუსეთში. მარცხნივ შებრუნებული მგზავრი დაინახავს გიმნაზიას [8], სასამართლოს, ახალ კათედრალურ ტაძარს [9] და კავკასიის გენერალ-გუბერნატორის სასახლეს [10]. ეს გახლავთ იმპერიაში ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობა, რომელიც ამჟამად უკავია მისი იმპერატორობის უმაღლესობას, დიდ მთავარს მიხეილს, იმპერატორის ძმას; დიდი მთავარი არის აგრეთვე ნამესტნიკი („მოადგილე“ = ნაცვალი – გ. გ.) მისი იმპერატორობის უდიდებულესობის [11].

სასახლე არის შენობა, რომელიც უფრო წარმატებული სანახავი იქნებოდა, შედარებით მაღლა რომ მდებარეობდეს, ან როგორც ფლორენციაშია პიტის სასახლე. [12] სასახლის წინ არის მთავარი საყარაულო, თხელი და მობათქამებული რომანულ-დორიული კოლონადით, რაც სიმბოლოა სამხედრო ძლიერების და დიდების, ასე მახასიათებელი რუსეთში.

მის ახლოს არის საჯარო ბიბლიოთეკა და მუზეუმი [13]. პირველი მოიცავს საუცხოო სამკითხველო დარბაზს, რომელიც შუა დღემდე არ იღება, რაც ხელშემშლელია სწავლულთათვის. მუზეუმში მარჯვედაა დახარისხებული საბუნებისმეტყველო ისტორიისა და

<sup>1</sup> ერთი ვედრო უდრის 3 3/4 გალონს.

<sup>2</sup> დადგენილია, რომ თავადმა ვორონცოვმა დატოვა კავკასიის მმართველობა უკანასკნელი ომის დროს, რადგან იგრძნო, რომ ვერ დაეყრდნობოდა იმ ჯარს, რომლითაც მას უნდა დაეცვა ქვეყანა, აგრეთვე დაემყრებინა წესრიგი თავისი გუბერნიის დაუმორჩილებელ და უკმაყოფილო ხალხებში.

გეოლოგიური<sup>1</sup> კოლექციები. არქეოლოგიური და ეთნოლოგიური განყოფილებები ერთგვარ გაუგებრობაში არიან, მაგრამ პირველის მონესრიგება უეჭველად დაჩქარდება არქეოლოგიური საზოგადოების მფარველობით, რომელიც უკანასკნელ ხანს დაარსდა ტფილისში [14].

*სასახლის ქუჩაზე (დვარცოვია ულიცა)* განლაგებულ მაღაზიებში უხვადაა წარმოდგენილი ევროპული საქონელი, რაც მოიცავს უახლეს მოდებს. მოშორებით არის *ერევნის მოედანი*, რომლის შუაშიც განთავსებულია *თამამშევის ქარვასლა* და *ოპერის* [15] შენობა. ამ მოედნიდან გადის სამი ქუჩა: ერთი მიემართება „ევროპული უბნისკენ“, სადაც მდიდარი ოჯახები ცხოვრობენ მშვენიერ სახლებში, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებული გეგმითაა ნაგები; მათ აქვთ აივნები და მოხდენილი კონსტრუქცია, ასევე მათ ეკვრიან ბაღები. მეორე ქუჩას მიყვებათ ქართული, სომხური და სპარსული ბაზრებისკენ. მესამე მიემართება საბაზრო მოედნისა და რუსული ბაზრისკენ, სადაც ყოველ კვირა-დილას ეწყობა ერთგვარი გამოფენა-ბაზრობა; აქ მეტწილად სალდათები აკეთებენ ბიზნესს: ისინი ცვლიან და ყიდიან დაბრაკულ (უვარგის) უნიფორმას (მუნდირს) და ფეხსაცმელებს. *ერევნის მოედანზე* ხშირად იმართება უმნიშვნელო ვაჭრობა-აუქციონი, რომლის შეტყობინება ხდება საყვირის ხმამალალი ხმოვანებით, როცა იკრიბება უსაქმურთა (ზარმაცთა) ჭრელი ჯგუფი.

მოედნის ახლოს არის ორი კარგი სასტუმრო. სასტუმრო „*ეროპის*“ [17] ფანჯრებიდან დილით, თავისუფალ დროს მხიარული სანახავია, თუ როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკებები ნახშირისა და შეშის შესყიდვაზე, რაც ხდება მრავალი მძიმედ დატვირთული პატარა სახედრებისა (ეს სანყალი პირუტყვი არის ტფილისის ერთ-ერთი მახასიათებელი თავისებურება) და ხე-ტყით დატვირთული ურმების გვერდით.

პირველი დანიშნულების საგნების ფასები ზომიერია. საუკეთესო საქონლის ხორცი არასდროს აღემატება 12 კაპიკს ფუნტზე; მაგრამ მომარაგება ცუდია; ბინის ქირა და საარსებო ხარჯები მაღალი,

---

<sup>1</sup> გეოლოგიური კოლექცია ძირითადად გააფორმა ბ-ნმა *ფ.ბაიერნმა*, [16], რომლის საკუთრებაც არის და რომელიც დიდხანს ცხოვრობდა კავკასიაში. მიუხედავად გულმოდგინე და მგზნებარე კვლევა-ძიებისა, ბ-ნი *ბაიერნი* ერთი იმ პირთაგანია, რომლის დამსახურება არ იქნა აღიარებული და რომელსაც რუსეთი მტრულად (არაჯანსაღად) მოექცა; მისდამი გამოიჩინა გულგრილობა და უგულვებლჰყო.

როგორც ყველა უცხოურ საქონელზე. მიუხედავად ამისა, ტფილისი ჯერაც გამორჩეული რეზიდენციაა მრავალი რუსისთვის.

გორაკები, რომელთა შორისაც საქართველოს დედაქალაქი ძევს, მთლად ხრიოკია; მცირე გამონაკლისი ჩანს მხოლოდ ადრე გაზაფხულზე, როცა იმოსებიან ხასხასა მწვანით, რაც მაინც მოკლე ხანი ძლებს ულმობელი და გამხმობი ზაფხულის სიცხის გამო. ნახევარ გზაზე მწვერვალისკენ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქს ზემოდან გადმოჰყურებს „ნმ. დავითის“ მთაწმინდის მონასტერი [18]. პირველად ის აიგო 1318 წელს იმ ადგილზე, სადაც ცხოვრობდა წმინდა ასურელი მამა. შიგნით ამჟამინდელი შენობა წარმოადგენს საფლავს (სამარხს) წმინდანისას; იგი არის მფარველი და დამცველი გათხოვილი ქალებისა, რომლებიც ამოდიან საფლავზე მაისის თვეში. ბერი გვარწმუნებდა, რომ ეკლესია, როგორიც ჩვენ ვიხილეთ, მთლიანად აიგო უშვილო ქალების მიერ ამოტანილი (შემონირული) მასალებით. ისინი ხშირად მოდიოდნენ მოსალოცად და ყოველთვის თან ამოჰქონდათ აგური, ქვა, კირის ხსნარი; ამით სურდათ წმინდანის მომადლიერება, რათა გაბედნიერებულიყვნენ ოჯახურ ცხოვრებაში.

ეკლესიის ქვემოთ, დღის სინათლისთვის ღია აკლდამაში განისვენებს *გრიბოედოვის* ნეშტი, რომელიც იყო რუსეთის სრულუფლებიან ელჩად წარგზავნილი სპარსეთში 1828 წელს. ის იყო პატივცემული და პირდაპირი ხასიათის ჯენტლმენი...ალბათ საკმაოდ უდრეკი ხასიათის გამო ცნეს შესაფერის წარმომადგენლად ისეთ კარზე, როგორიც სპარსეთისა იყო. მაგრამ, თუკი ეს იყო მიზეზი მისი აღჭურვისა დავალებით, ის უდრეკობისთვის მძიმედ დაისაჯა. 1829 წლის 11 თებერვალს ის და რუსული მისიის მთელი შემადგენლობა დაეცა გაცოფებული ბრბოს ხანჯლების მეშვეობით. ეს უკანასკნელები ასაჯანყებლად წააქეზა მთავარმა *მუშტეჰიძმა*, ანუ მოძღვარმა; ამან აღიარა ორი სომეხი ქალის კანონიერება (ლეგალურობა) და მოუწოდა დაეცვათ ისინი რუსული საელჩოსგან, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა მათ გადაცემას, როგორც რუსეთის სუბიექტებისა. ეს ქალები ჰყავდა სამეფო ჰარემის მეორე მთავარ ევენუსს, რომელსაც იმ დროს რუსული მთავრობა მფარველობდა და აღიარებდა ამ ქალთა ერევნიდან წარმომავლობას.

დახოცილი რუსების რაოდენობა 35-ს უდრიდა. თავის სამოგზაურო ცნობებში *პუშკინი* გვიამბობს, რომ Gherghery-ს ციხესთან მას შემოხვდა ორხარშებმული ურემი (draba = ოთხთვლიანი საზიდარი); როცა ქართველ გამყოლებს ჰკითხა, თუ საიდან იყვნენ, პასუ-

ხად მიიღო – „თეირანიდან“. „რა მოგაქვთო?“ და „გრიბოედი“-ო, იყო პასუხი. თეირანის ბრბოს მიერ დადგმული სცენიდან სამი დღის შემდეგ გრიბოედოვის დასახიჩრებული სხეული ამოიცივნეს რამდენიმე წლის წინ დამბაჩის გასროლით ხელზე მიღებული ჭრილობით. გრიბოედოვს ძეგლი აუგო მისმა ახალგაზრდა ქვრივმა, თავად ჭავჭავაძის ქალიშვილმა [19], რომელიც შემდგომ დაკრძალეს ქმრის გვერდით.

ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვი ავტორია ნაწარმოებისა „ვაი ჭკუისაგან“; ეს გახლავთ მწარე სატირა მისი თანამედროვე საზოგადოების მდგომარეობაზე და ერთი ყველაზე პოპულარული დადგმა რუსულ სცენაზე. ის დაინერა 1824 წელს და პირველად დაიდგა 1832 წელს. აქედან მოყოლებული გამოიცა 93-ჯერ და ითარგმნა ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, პოლონურად და ქართულად, მიუხედავად იმისა, რომ მისმა ორიგინალმა რამდენჯერმე იწვნია ცენზურის ხელი. გრიბოედოვი მოიაზრებოდა 1825 წლის ამბების მონაწილედ, მაგრამ თავისი მეგობრის და მფარველის ერმოლოვის [20] დროული გაფრთხილების შედეგად გადაურჩა დანარჩენი დეკაბრისტების ხვედრს.

ევროპულ უბანში, სოლოლაკში ჩამოდის მთა, რომლის წვერიდან შეიძლება ქალაქს მოავლო თავალი. თუმცა ვერ დაინახავ შესამჩნევ ობიექტს – დიდებულ შენობებს, აზიდულ გუმბათებს, მაგრამ იქ ნათლადაა წარმოჩენილი ინდივიდუალობა. ამ სიახლის მზერა იწვევს სასიამოვნო შეგრძნებას. სოლოლაკის ქედის გასწვრივ არის *ნარიყალას ციხის* ნანგრევები, რომელიც საგულდაგულოდ ალადგინა *მუსტაფა ფაშამ* 1576 წელს თურქული ოკუპაციისას. ამბობენ, რომ მთის აღმოსავლეთ ბოლოზე აგებული იყო სპარსული ტაძარი ღვთაებრივი *ხურისადმი* – ანგელოზი დანიშნული *ორმუზდის* [21] მიერ, რათა ემეთვალყურა მზის დისკოსათვის.

სოლოლაკის ქვემოთ სამხრეთით არის ბოტანიკური ბაღები, დაარსებული თავად ვორონცოვის მიერ, მაგრამ ამჟამად მცირედ მოვლილი; ისინი გადასცქერიან ღრმა ხეობას, რომელშიც მოედინება *ნავეკისი*. მასზე ფონით ადვილად შეიძლება გასვლა საპირისპირო კლდოვან ფერდზე მდებარე სპარსული სასაფლაოსკენ. საფლავები წარმოადგენენ აგურის ოთხკუთხა სათავსებს, დაგვირგვინებულს გუმბათით (თალით) და კარით ჩრდილოეთ მხარეს; აღმოსავლეთით

---

<sup>1</sup> ამ სახელით იგულისხმებიან ცნობილი პირები, ჩაბმული 1825 წლის დეკემბრის აჯანყებაში, რომლებიც გადაასახლეს ციმბირსა და კავკასიაში.

ჩვეულებრივი ნიშაა. ყველა აკლდამა მოიცავს სამ საფლავს... აკლდამები თითქმის 3 ფუტი სიღრმისაა და ნაგებია აგურით, აქვთ მობათქაშებული ამოზურცული ძირი და აგურისვე თალი. ყველაფერს ადევს დიდი ფილა. ამკარად ჩანს მცდელობა, რომ გვამი დაცული იქნას მიწისგან. სპარსელთა სასაფლაოს ახლოს არის თათრებისა.

ბაღებსა და ქალაქს შორის ერთადერთი დამაკავშირებელი საშუალება გადის დედაქალაქის ყველაზე მადისკრეტირებელ ნაწილზე; ეს არის სევდიანი ანარეკლი იმისა, ვისაც ეს ეხება; სხვაგან არსადაა ამდენი თვალში საცემი ნაკლი და უზნეობა...

ჩვენ შევედით ვიწრო და დაკლაკნილ ქუჩებში, რომლებიც საესეა უცნაური შესახედაობის მსუბუქად დატვირთული საზიდრებით; ესენი ქმნიან ქარავნებს ბაქოსკენ მიმავალ უკანა გზაზე. ასევე გზას კეტავს ჯაჭვი მოუქნელი აქლემებისა ბამბის და აბრეშუმის უზარმაზარი ფუთებით სპარსეთიდან და დალესტნიდან. იყვნენ აგრეთვე *იზოზჩიკები* (მეეტლები – გ. გ.), რომლებიც გაშმაგებით შესტიკულობდნენ და ყვიროდნენ – *ხაბარდა* – „ფრთხილად! გამოიხედე!“. ამით ფიქრობდნენ თავისი მგზავრების მირეკვას იმ ჭეჭყვაში, რომელსაც ქმნიდნენ დამტარებლები და ქუჩის მოვაჭრეები ხილით, თევზით, შინაური ფრინველით, იარაღით, პლედებით, მძივებით და აბრეშუმით. აქა-იქ ჩანდნენ ქართველი ქალები *ჩადრით*, გახვეული თავით ფეხამდე თეთრ სუდარაში; აგრეთვე გზის ჩახერგვის საფრთხეს მუდმივად ქმნიდნენ *თულუხჩები* თავისი ჩამოკიდებული წყლის რუმბებით. მათ შორის იყო ასევე პოლიციელი (*პოლიციისკი სლუჟიტელ*), რომელიც მრავალ სხვადასხვა პიროვნებას ნამში 50-მდე ბრძანებას აძლევდა და გაშმაგებით არწმუნებდა მათ; მაგრამ კიდევ 50-მდე ბრძანებასაც უიმედო შედეგი მოჰყვებოდა. ყოველივე ეს იყო ნამდვილად აზიური. ჩვენ ვიმყოფებოდით ძველ ტფილისში, ტფილისის უძველეს ნაწილში, რადგან სოლოლაკის კედლები, რომლებიც ეს-ესაა დავტოვეთ, აკრავს ტფილისს სამხრეთიდან და დასავლეთიდან; ჩრდილოეთით კი ის დაცულია მდინარე მტკვრითა და სხვა თავდაცვითი საშუალებებით (სიმაგრეებით).

ტფილისის ბაზრებში, როგორც უმრავლეს აღმოსავლურ ქალაქებში, ყოველი სახის ვაჭრობას თავისი უბანი გააჩნია. პირველად ჩვენ მივედით მექუდეებთან. დუქნებში, რომელსაც ფლობენ სომხები, მაღლა თავსზემოთ ხის საკიდებზე ირგვლივ გამოკიდული იყო ქართული და სომხური *ქუდები*, ყაბარდოული და ოსური *ფაფახები*, დამზადებული ძვირად ღირებული შავი და რუხი ბუხარული (? Bokhara) ცხვრის ტყავისგან; აგრეთვე სპარსული მაღალი შაქრისთა-



ვიანი ქუდები. დუქნის იატაკი 3 ფუტით მაღლაა ქუჩიდან და გამოიყენება როგორც საკონტროლო-საკასო ადგილი, სადაც გამყიდველი და მომსახურეები ჩაცუცქულები არიან ჭილობის ნაჭრებზე.

შემდეგ ჩვენ გავუარეთ სასადილოებსა და საცხოვებს, სადაც შეიძლებოდა მოხელვისა და ცხოვბის მთელი პროცესის ნახვა. ქართველებსა და სომხებთან პურის შემცვლელად მიღებულია *ჩურეკები* – დიდი და ბრტყელი ფენა ცომის, რომელიც წააგავს უზარმაზარ ბლინს (ლავაში – გ.გ.). ამ სასადილოების ზემოთ (მოშორებით) არის *თათრის მოედანი* [22], სადაც გაკვირვებს უნესრიგობა – ფუთები და საქონელი ყრია მიმობნეულად, რაც საკმაოდ უშლის ხელს მოძრაობას. ჩვენი წარმატება აქ შენელდა, მაგრამ ეს პასუხობდა ჩვენს მიზანს: მოგვეცა შესაძლებლობა გვეხილა საოცარი სანახაობები და ჩვევები.

ბაზრიდან მივედით ღვინის დუქნებამდე, სადაც *ბურდიუკები* – კამერის უზარმაზარი ტყავები [23] და *ტიკი* – თხის ან ცხვრის ტყავები<sup>1</sup> გავსებულია კახური ღვინით და გვერდზე წვანან, რითიც ქმნიან უსიამოვნო სანახაობას: თითქოს წყალში დიდი ხნის დამხრჩვალ ლეში იდოს. ღვინის დუქნებიდან გავიარეთ სანდლების და ფეხსაცმლის ოსტატების, ჩაის გამყიდველების, მენჯრილმანეების (მესანთლეების) და უცხოური საქონლის დუქნები; აგრეთვე მენაღეების, სპილენძის სადნობის, შალის და ქვეშაგების ბაზრები, სანამ ბოლოს მივალნიეთ იარაღის ბაზარს, ალბათ ყველაზე მიმზიდველს.

მეიარაღეთა დუქნები, ძალზე პატარები, მაგრამ სავსე ყოველგვარი იარაღით, იყო ფართოდ გაღებული და ფეხით მოსიარულეთა გზიდან უმნიშვნელოდ შემალლებული. ოსტატები ფორმას აძლევდნენ ხმლისა და ხანჯლის სპილოს ძვლის, ძვლის ან რქის ტარებს; არგებდნენ საკეტებს კაჟს, ხმლებს ქარქაშს და ახალ კონდახს თოფის ლულებს. მცოდნე დარწმუნებულია, რომ იპოვნის სასურველ იარაღს, თუ ფრთხილად დაათვალიერებს თაროებს და შკაფებს, პირზე რომც ჰქონდეს ლათინური წარწერა (ასეთები კი ბევრია): მათ გთავაზობენ როგორც ჯვაროსნების ან გენუელების ნაქონს, თუმცა საკმაოდ ნათელია, რომ თანამედროვედაა შემოტანილი უნგრეთიდან.

---

<sup>1</sup> ტყავის ნავების შესახებ ჩვენ ნავიკითხეთ ოდისეასა და ილიადაში, ასევე გეორგიკებში და ჰეროდოტესთან. ღვინის ტყავები დღესაც გამოიყენება ესპანეთში. უდიდესი *ბურდიუკი* ჩვეულებრივ იტევს 75 ვედროს; *ტიკი* – ერთი ვედროს სამ მეოთხედს.

ნამდვილი ანდრეა ფერარა, რომელიც ვნახე, გაიყიდა ერთ მანეთად! ადგილობრივი იარაღი მრავლადაა, როგორიცაა ლეკური დამბაჩა, ოსური თოფი (შაშხანა), დალესტნური სატევარი, იმერული დანა, დამასკოს ხმალი და სპარსული სატრაბახო პირები (ფხები), დამზადებული მურზასა და ჰაჯი მუსტაფას მიერ. ზღაპრული ფასები ადევს ქურთულ ფარს, ბაშკირულ მშვილდს, ხევსურულ ჯაჭვის პერანგს, ან სპარსულ მდიდრულ საგულე ფარს.

ნაკლებად გიჩნდება სურვილი, რომ დაყოვნდე მეტყავებთან და მუსიკალური საკრავების ოსტატებთან, მათი ღარიბული საფაქრო საქონლით; მაშინ როცა ვერცხლის მჭედლობის ოსტატები ასე ახლოს არიან თავიანთ საოცარ პატარა დუქნებში შუშის ფასადით, სადაც გამოდგმულია მაცდუნებელი ვერცხლის სამკაული საყვარელი სევადით – როგორიცაა ხანჯლები (დანები), სათუთუნე კოლოფი, სარტყლები, ბროშები და ა. შ., ასევე ძველი ქართული სასმელი ფილა და სურები. სურებს ჰქვია კულა, სპეციფიური გეორგიასა და იმერეთში; ესენი არიან სფეროსებრი მუცლიდან ვერტიკალურად აღმართული ვერცხლის ყელით, რომელზეც ჩვეულებრივ წარწერილია „კულა, შენ, შექმნილო ღვინისთვის და ჩემი სულის სასიამოვნოდ (დასატკობად)“. სხვა კულებს აქვთ გრძელი სპირალური ყელი, ერთი ან ორმაგი, რომელიც გამოსცემს მხიარულ ხმას, როცა ნადიმისას მსმელი სითხეს ისხამს ყელში. საერთოდ ქართველი დიდი მსმელია: სადილად ჩვეულებრივ სამ ბოთლ კახურ ღვინოს მიირთმევს. ქართველი უცვლელად მხიარულ ხასიათზეა და იშვიათად აძლევს თავს ნებას, რომ დაიტანჯოს ცხოვრებისეული სიძნელეებით. მას უყვარს ღვინო და მუსიკა და ყოველთვის ცდილობს განდევნოს მოსაწყენი ღელვა...

ტფილისში მოსევადება ხდება შემდეგნაირად: ვერცხლის სამშვენის ან ფირფიტას ღრმად აქვს ამოკვეთილი (გრავირებული) ხვია (ხვეულა), ყვავილი ან პეიზაჟი; ამ ნახატში ასხამენ ვერცხლის, სპილენძის და ცოტა ტყვიის ნარევს (კომპოზიციას). შემდეგ ორნამენტს ახურებენ ცეცხლზე და ზემოდან ხეხავენ ბორაქსით; მერე მცირე ხნით ისევ დგამენ ცეცხლში, გამოაქვთ და ტოვებენ გასაცივებლად. გაცივების შემდეგ აპრიალებენ მის ზედაპირს გაბრწყინებამდე.

აღმოსავლური ნესის საპირისპიროდ, სადაც ბაზრები დაკეტილია მზის ჩასვლიდან მეორე დღის თითქმის შუადღემდე, ტფილისში მუშაობა (საქმიანობა) გრძელდება ბინდის შემდეგაც სანთლების შუქზე, რომლებიც დამაგრებულია საოცარი გამომგონებლობით.

სალამოს ნაცნობობითა და იაფად ნავედით ბალზე კლუბში (*კრუჟოკში*). სალამოს 9 საათზე შევედით ოთახების მშვენიერ ანფილადში (მწკრივში), ჩვენთვის საკმაოდ ახალში (უცხოში) თავისი კარნიზების, კონსოლის საოცარი მორთულობით და კედელზე დახატული ჩიტებისა და ყვავილების არაბუნებრივი გამოსახულებებით. ერთ დარბაზში ყველა ზომისა და ფორმის უთვალავი პატარა სარკე ირეკლავდა სინათლის ასევე უთვალავ მბრწყინავ სხივებს დაკიდული ჭაღიდან. სახლი თავისთვის აიშენა მდიდარმა სომეხმა, რომელმაც საკუთარი პროექტის განსახორციელებლად საგანგებოდ იქირავა ოსტატები სპარსეთიდან. შემდეგ ის შეიძინა რამდენიმე ჯენტლმენმა, რომელთა წარმატებული იდეით შენობა გადაკეთდა კლუბად.

ჩვენ ვიხილეთ ჯენტლმენები უნიფორმებში ან სალამოს სამოსში – ფრაკებში. ქალბატონები გამოცხადდნენ დილის ტანსაცმელში არაჩვეულებრივი შლეიფით, ან შესამჩნევად მოკლე კალთებით; მხოლოდ ცოტანი იყვნენ მდიდრულად ჩაცმული საბალოდ. ბევრი ქართველი გამოწყობილი იყო თავის ეროვნულ სამოსში, რომელსაც ჯერაც ატარებენ. კაბა ჩვეულებრივ ნათელი მწვანე ან ლურჯი აბრეშუმისაა; ეს საყვარელი ფერებია. კალთებსა და მოკლე აზღუდს ერთად (სადაც ეს უკანასკნელი გახსნილად წარმოადგენს „საყვარელ ჩასაცმელს“) უწოდებენ *გულისპირს*; წელზე შემოხვეული აქვთ *სარტყელი* – განიერი, მკვეთრი ფერის ლენტა, რომლის ბოლოები წინ ფეხებამდეა ჩამოშვებული. *თავსაკრავი* („თავის სამოსი“) წარმოადგენს ვიწრო შავი ხავერდის ზონარს (ლენტს), დაჭიმულს და შემოხვეულს შუბლზე დიადემის მსგავსად; ის ამოქარგულია ოქროს ან აბრეშუმის ძაფით (ოქრომკედით), ხანდახან კი მორთულია ბრილიანტით და სხვა ძვირფასი ქვებით (მარგალიტით). *ლეჩაქი* – თხელი, თეთრი ვუალი მოხერხებულად მოწესრიგებული, ჩამოშვებულია თავისუფალ ნაოჭებად მხრებს ქვემოთ. გათხოვილი ქალები განირჩევიან წინ ჩამოყრილი დალალებითა და ნაწნავებით. ეს გახლავთ ქართველი ქალბატონების მორთულობა სალამოთი თუ დილით; განსხვავება მხოლოდ ქსოვილის ხარისხშია. ზაფხულობით გარეთ ხმარობენ მაქმანიან მოსახვევს (შალს, თავშალს), რასაც ზამთარში ცვლის *ქათიბი* – სერთუკის მსგავსი, განყოფილი ბენვით და ოქროს და ვერცხლის ზონარით. ეს არის უხეში და შეუფერებელი სამოსი. *ქოშები* წარმოადგენენ ნახევრად ფლოსტებს აშვერილი წვერებით; ესაა ეშმაკური ხერხი, რათა წარმოაჩინონ მშვენიერი პატარა ფეხი (ტირფი) კარგად მომდგარ მაღალყელიან წინდაში, მაგრამ ის იხმარება მხოლოდ ოჯახში. ქართველი ქალის გამოჩენისას შეიძლება

სიტყვა-სიტყვით მოვიყვანოთ ჟან ჟაკ რუსოს სიტყვები მისი ვალენსანის კრიტიკიდან....

ქართველი წარჩინებული ატარებს ოქროს სირმიან ჩოხას, ანუ სერთუკს *ოურთმაღებით* – გაყოფილი სახელოებით, რომლებიც მხრებიდანაა ჩამოშვებული. ჩოხა ახალუხს ზემოდანაა; ესაა აბრე-შუმის შიდა სამოსი მჭიდროდ შეკრული ნელზე მდიდრული ქამრით, რომელზეც ამაგრებენ სხვადასხვა იარაღს, ხშირად მორთულს ძვირფასი ქვებით და ვერცხლით.

სალამოს მსვლელობისას ეროვნული ცეკვა *ლეზინკა* (ლეკური – გ. გ.) წარმოადგინა რამდენიმე წყვილმა. ქალის მოძრაობა ყოველთვის იყო ძალზე გრაციოზული, თითქოს მისრიალებდა იატაკზე; ამასთან მორცხვად მალავდა სახეს ხელებით და სწრაფად სწევდა უკან მისი მდევენელის შემოტევისას, რომელიც მიიწევდა წინ დამახასიათებელი კვალში მიდევნებით და ჯიუტი არშიყობით. ჩქარ, მაგრამ მონოტონურ მუსიკას სდევდა მთელი დამსწრე საზოგადოების ტაში.

ქცევის წესები ტფილისის საბალე დარბაზში იგივეა, რაც რუსეთში. ჯენტლმენს არ აქვს ნება სალამოს განმავლობაში ორჯერ ეცეკვოს ერთი და იმავე ქალბატონს. ვალსის დროს ერთი, ორი, ან მეტი ტრიალისას თუ შემთხვევით გაჩერდებიან, ჯენტლმენმა უნდა შეიცვალოს პარტნიორი, დაუფიქრებლად მიაცილოს ის დასაჯდომამდე და შემდეგ მიაკითხოს სხვას. ასეთი წესის არსებობისას უცხოელისთვის მცირე ნაცნობობის გამო გამორიცხულია სალამოს სიმოვნება.

მაგრამ სად არიან გურჯისტანის ტურფები? ნუთუ ქართველებმა დაკარგეს სილამაზის იმპერიის სახელი? მათ უეჭველად აქვთ დიდებული ნაწნავები (დალალები, თმები) და წყვილი თვალი, რომლებიც აქრობენ ძვირფასი ქვების სიელვარეს, მაგრამ მათ სახის ნაკვთების იერში გვხვდება საკვირველი მსგავსება; ყველას აქვს ნაკლებ მეტყველი ტუჩი (ბაგე) და ნესტო და ასევე პასიური გამომეტყველება; მაშინ როცა პატარა ორმოები (ლოყებზე) უცნობია მათთან ხანში შესვლამდე, რაც მათ ემართებათ 30 წლისას უეცრად.

## თავი XV ოცდამეერთე დღე

მიღება დიდ მთავარ მიხეილთან. – საბრალო მთხოვნელები. – დიდი მთავრინა ოლგა. – სპარსული ბაზრები. – ბურკა. – დიდი საპა-

ტიმრო. – მცხოვრებთა ეროვნება. – სიონის კათედრალი. – წმ. ნინოს ჯვარი. – საქართველოს კათოლიკოსი. – ქართული და რუსული ეკლესიები. – ეგზარხოსი. – თავადი ციციანოვი. – არაჩვეულებრივი სახელი. – წმინდა შენობები. – წმ. სტეფანეს მონაზვნები. – საღამოს კონცერტი. – განწმენდა.

დილით ადრე სახლის პატრონმა შემატყობინა, რომ მის იმპერატორობის უდიდებულესობას, გენერალ-გუბერნატორს სურდა ჩემი სტუმრობა პირველ საათზე საერთო მიღებისას. სასახლეში რამდენიმე საფეხურზე ამაცილეს; გზად გავუარეთ ორივე სქესის მშრომელთა საკმაო რაოდენობას და შემეყვანეს სასტუმრო ოთახში; ესაა ვრცელი დარბაზი, რომლის კედლებზე ნატურალური სიდიდითაა გამოსახული კავკასიის სხვადასხვა გენერალ-გუბერნატორთა პორტრეტები. აქ შეკრებილიყო ბევრი ოფიცერი სრული ფორმით. მხოლოდ ცოტა ჯენტლმენი იყო სამოქალაქო სამოსით, მაგრამ ყველას მრავლად უბრწყინავდა მკერდზე ორდენები. საუბარი იყო საერთო და ხმამაღალი, სანამ უცბად არ შეწყდა ჟრიაში და დიდი მთავარი შემოვიდა დარბაზში ადიუტანტის თანხლებით. ის არის დიდი და მაღალი ტანის, სასიამოვნო თავდაჭერილი გამომეტყველებით, თავაზიანი და მშვიდი მანერებით. მას აშკარად ყოველდღიური ფორმა ეცვა. მან მოკლედ მიმართა თითოეულ ოფიცერს და ბრძანა, რომ მივეცილებინეთ მის კაბინეტში სადაც პირადად გამესაუბრებოდა. მე ეს ჩავთვალე ჩემი ეროვნებისა და უნიფორმისადმი თავაზიანობად. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა მომმართავდა თავისუფალი ინგლისურით, ხანდახან ფრანგულად და ოცი წუთი საუბრის მერე ძალიან ზრდილობიანად გამანთავისუფლა.

დარბაზში დაბრუნებულს იქ დამხვდა ის საბრალო ხალხი, რომლებიც ვნახე მოსვლისას. ისინი ახლა შეკრებილიყვნენ იმ კარებთან, რომელსაც შეჰყავდა პირად აპარტამენტებში, და სურდათ დიდი მთავრის გამოჩენისას მისთვის მიერთმიათ თავისი აჯა და თხოვნები, რასაც ის მოისმენდა. ჭკვიანური მოწყალებობა ვრცელი და არაცივილიზებული ტერიტორიის ცენტრში იმ ხალხისადმი, რომელიც ჯერაც არაა მიჩვეული და ვერ აფასებენ მათთან სასამართლოების არსებობას. ამ თვალსაზრისით დიდ მთავარზე დაკისრებული მოვალეობა ძალზე სამძიმოა, რადგან ზოგჯერ ის ეხება უკვე გამოტანილი განაჩენის გაუქმებას; მან უნდა გამოითხოვოს განაჩენი და დაეხმაროს მოსალოდნელი სასჯელის შეჩერებაში. ე.ი. სინამდვილეში ხე-

ლი შეუწყოს ყოველგვარი უმართებულო და დანაშაულებრივი ქმედების ნახალისებას.

კ-ს ჰქონდა პატივი, მიეღო ის მისი იმპერატორობის უმაღლესობას, დიდ მთავრინა ოლგას, რომელიც სრულად ფლობდა ინგლისურ ენას და საუბრობდა ინგლისზე დიდი პატივისცემით. მისმა უდიდებულესობამ გაიღო მონყალება და მოგვცეს ნება ტფილისში ჩვენი ყოფნის პერიოდში გვესარგებლა „ტაიმსით“ [24].

გარდა უკვე ნანახი სომხური და ქართული ბაზრებისა, მტკვრის მარცხენა ნაპირზე ავლაბრის უბანში არის სპარსული ბაზარი. აქ იოლად მიისვლება თათრის მოედნიდან მეტეხის ხიდის გადავლით. სპარსული ბაზარი არის თავისებური კონსტრუქციის; არის გრძელი, განიერი, მაგრამ ბნელი გალერეა თალოვანი (გუმბათოვანი) სახურავით. ორივე მხარეს სავაჭრო ფარდულები ნათდებიან ზემოდან, გუმბათში პატარა ლიობებიდან. თავრიზული ხალიჩები, აბრეშუმი შემახასა და ნუხადან, შალეები, შარფები, დივნები, ფარდები და საწოლის გადასაფარებლები სიამოვნებენ თვალს. მაგრამ აქაც, როგორც სხვაგან, საჭიროა სავაჭრო გარიგება, რათა არ მოტყუდენ. წესია, რომ შესყიდვისას დაკავდეს მოთხოვნილი ფასის მეოთხედი, როცა შემოთავაზებული ბალანსი უცვლელადაა მიღებული.

სპარსული ბაზრის ახლოს არიან მეტყავეები და ბურკა-ს (=ნაბადი –გ.გ.) დამამზადებელი ოსტატები. ბურკა არის უხეში ქეჩის მოსასხამი, რომელიც ჰგავს ცხვრის ტყავს გრძელი ბეწვით გარეთ. ის ხანდახან თეთრია, ჩვეულებრივ შავი. ატარებენ კისერზე თავისუფლად მოსხმულს, ძირითადად მთიელები. მას შემოიხვევენ ტანზე წინიდან, გვერდიდან ან ორივე მხრიდან ვითარების მიხედვით ცივი ქარებისა და წვიმისგან თავის დასაცავად. განსაკუთრებით ხმარობენ ცხენზე ამხედრებულები. საუკეთესო ბურკებს ამზადებენ ყაზარდოში და ყიდიან ვლადიკავკაზში.

დუქნებს ზემოთ არის ძველი სიმაგრე (ციხე), რომელიც მოიცავს საპატიმროს და ძველ მეტეხის ეკლესიას [25], რომელიც, როგორც ამბობენ, ქალაქის თანადროულად დაარსდა და მიიღო განმასხვავებელი სახელი საქართველოს ერთ-ერთი მეფის მიერ აღდგენის შემდეგ. ეს მან ჩაიდინა მონანიების მიზნით, რადგან უსარგებლოდ ჩაბმულა ომში... ეს ეკლესია არის შესანიშნავი ნიმუში ადრე-ქართული არქიტექტურისა.

ტფილისის ფორტიფიკაციები მე-17 საუკუნეში აღწერილი აქვს აღმოსავლელ მოგზაურს [26]: – სიმაგრე მოიცავს ორ სასახლეს (კოშკს), რომლებიც დგანან ერთმანეთის საპირისპიროდ მტკვრის

ნაპირებზე, რომელიც ყოფს კლდეებს, რომლებზეც ისინი დგანან; ერთმანეთს უკავშირდებიან ზემოდან ხილთ. დიდი სასახლე მტკვრის სამხრეთ მხარესაა, მომცრო კი ჩრდილოეთ ნაპირზე... დიდი სასახლის წრენირი 6.000 ნაბიჯია, კედლის სიმაღლე 60 წყრთა<sup>1</sup>, აქვს 70 ბასტიონი და 3000 ქონგური, მაგრამ არავითარი თხრილი. წყლის კოშკურა, რომელიც მეციხოვნეებს ალყის დროს აწვდის წყალს, მდებარეობს მტკვარზე. სიმაგრეში 600 სახლია ტერასებად განლაგებული, ზოგი ბალით, ზოგიც უბალოდ, ასევე ხანის სასახლე, მეჩეთი და აბანო. მცირე სიმაგრე ააშენა იეზიდგერდ შაჰმა. ის არის ქვის, კვადრატული ფორმის, მხოლოდ ერთი კარით ხიდის თავში... სამი ათასი გუმბაგი ყოველ ღამე ანათებს ცეცხლს და უწყვეტად ყვირის „ხოდა ხობ“ (khoda khob)—„ყველაფერი რიგზეა“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქის სპარსული ნაწილია, ჯერაც მისი მაცხოვრებლების უმეტესობა სუნიტია ოტომანების დროიდან<sup>2</sup>.

საპატიმროების ნახვის ნებართვას რუსეთში არასდროს იძლევიან სიამოვნებით; მოთხოვნა უნდა გაკეთდეს ქალაქის გუბერნატორის სახელზე, რომელსაც სჭირდება გარკვეული დრო მოსაფიქრებლად. ოდესის საპატიმროს აღწერისას მე ვცადე გამემახვილებინა ყურადღება მის მძიმე მდგომარეობაზე და მავნე სისტემაზე, მაგრამ მაშინ ჯერ არ მენახა ტფილისის სატუსალო. მე მოვიხახულე „ტიურემნი ზამოკ“, ანუ „ლიტოვსკი ზამოკ“, დიდი სატუსალო სტ.-პეტერბურგში, სადაც წესრიგი, სისუფთავე და სხვა ცივილიზებული გავლენები მოქმედებენ. აქ კი, ამ ვრცელი იმპერიის ერთერთ მთავარ ქალაქში, სადაც ყოველგვარი სიამოვნება და ცივილიზაციით გამონვეული სრულყოფა შეიძლება მიიღო და გამოიყენო, უხეშად ხროვად შეყრილი ჩვენი თანამოძმეები არა მარტო დაცული არიან მაღალი კედლებით და მტკიცე კარით, არამედ ყოველ ნაბიჯზე ემუქრებათ გაუთლელი სალდათების ხიშტები. თუმცა ადამიანური მოპყრობის საჭიროება, რა თქმა უნდა, თავისთავად გაფიქრებინებს იზრუნო ამ სხვადასხვა ჯურის და ნახევრად ველური კაცების თავმყვარაზე, რომელთაგან ბევრი უფროვნებოა, უფრო მეტი კი უსახლკარო.

რასაც სახელმწიფო გაიღებს ჩვეულებრივი პატიმრის შესანახად და ამის ნამდვილი ფასი, ეს ორი რამ განსხვავებულია. ცოტა საეჭვოა, რომ სტ.-პეტერბურგში მის შესანახად გაღებული 7 კაპიკი

<sup>1</sup> წყრთა = 45 სმ-ს -გ. გ.

<sup>2</sup> ევლია ეფენდი, მოგზაურობა ევროპაში, აზიასა და აფრიკაში მე-17 საუკუნეში; თარგმნილი თურქულიდან ჰამმერის მიერ, ლონდონი, 1846, გვ.172.

ეხება რაოდენობას და ხარისხსაც. პატიმარს ეძლევა ხორცი ყოველდღე, გარდა ოთხშაბათის, პარასკევისა და მარხვის დღეებისა (რაც არცთუ ცოტაა მორწმუნე რუსეთში). კარგა მოზრდილი შავი პური, წონით 10 Ibs (?) არის ოთხი კაცის დღიური ნორმა; ასევე მიეცემა იმდენი ბურახი („კვასი“), რამდენის დაღვევასაც შეძლებს. რა განსხვავებაა ტფილისში, სადაც, თუკი რაოდენობა არასაკმაოა, ხარისხზე ლაპარაკიც არ ღირს!. სურსათის ფასები კავკასიაში შესამჩნევად დაბალია, ვიდრე სტ.-პეტერბურგში. აქედან გამომდინარე პატიმრებსაც უკეთ უნდა ეცხოვრათ ტფილისში, ვიდრე ჩრდილოეთის დედაქალაქში; მაგრამ შორს ვართ ასეთი დასკვნისგან. ამიტომაც იზადება კითხვა: რა მოსდის თანაფარდობას (ბალანსს)?

ქრისტიანები ცალკე ჰყავთ სხვა აღმსარებლობის პატიმრებისგან. ამჟამად ფაქტიურად კავკასიის ქრისტიანული პროვინციებია გეორგია, იმერეთი, სამეგრელო, გურია და სომხეთი; ნომინალურად (სიმბოლურად) ქრისტიანები არიან აფხაზები, ოსები და სვანები [27]. მაჰმადიანურ პროვინციებს წარმოადგენენ დაღესტანი, რომელიც მოიცავს ჩეჩნებს, ლეკებს, დარუბანდს და კუბაჩს; აგრეთვე ბაქო, შირვანი, ყარაბაღი, თალიში, ლენქორანი და სხვა მრავალი.

ბაზრებიდან დაბრუნებისას ჩვენ შევჩერდით სიონის ქართული საკათედრო ტაძრის სანახავად, რომელიც დასაბამს იღებს მეხუთე საუკუნიდან [28] და ბოლოს აღდგენილ იქნა მე-18 საუკუნის დასაწყისში. მარჯვენა მხარეს „წმინდა კარიდან“, ტაძრის შიგნით არის ვერცხლის ყუთი, რომელშიც მოთავსებულია საქართველოს უდავოდ ყველაზე ძვირფასი რელიკვია.

როდესაც წმ. ნინომ IV საუკუნის დასაწყისში იქადაგა ქრისტიანობა ქართლში, მან თავისთვის მოსახმარად დაამზადა ჯვარი ვაზის ტანისგან და შეკრა თავისი თმით. ეს იყო პირველი ჯვარი აღმართული ქართლში, ქართლის მთის წვერზე, საიდანაც მისი ლოცვების ძალით დაემხო არმაზი, ქართლოსიანთა კერპი. ეს ჯვარია ამჟამად დაცული ყუთში. 1811 წელს ის მიართვეს იმპერატორ ალექსანდრეს, რომელმაც მიიღო საჩუქარი, მაგრამ მაშინვე დააბრუნა საქართველოში.

ამბობენ, რომ, როცა ხორასნის სულთანმა ჯალალ-ედ-დინმა გააჩანაგა სამეფო 1225-30 წლებში, დაიპყრო ტფილისი, მოანგრია საკათედრო ტაძრის გუმბათი და გასდო ხიდი თავისი სასახლიდან მის სახურავამდე: ქრისტიანული ტაძრის ფეხით გათელვით მიიღო კმაყოფილება.

სიონის საკათედრო ტაძარი იყო საქართველოს კათოლიკოს-



პატრიარქის ეკლესია. როდესაც ეს დიდებული პიროვნება იჯდა მცხეთაში, მას უწოდებდნენ ქვეყნის სულიერ მეფეს და მონარქის შესაფერი პატივით ეპყრობოდნენ. პატრიარქს ირჩევდნენ ეპისკოპოსები. ის აკურთხებდა მეფეს, მთავარს (ან ერისთავს), არქიეპისკოპოსებს, მიტროპოლიტებს და ეპისკოპოსებს იმ დროს, როცა მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესია იყო ყველა არსებულ ეკლესიათა შორის უპირველესი.

დაახლოებით მეხუთე საუკუნეში გაითიშნენ ქართული და სომხური ეკლესიები, როცა უკანასკნელმა უარყო ქალკედონის კრების გადამწყვეტილებები [29]. მოგვიანებით გაერთიანდნენ ქართული და რუსული ეკლესიები.

საქართველოს პატრიარქის მმართველობა ხანგრძლივი დათრგუნვის შემდეგ შეცვალა რუსულმა ეგზარქოსმა, რომელიც იმყოფება ტფილისში და ეწოდება საქართველოს ეგზარქოსი და ქართლ-კახეთის არქიეპისკოპოსი. ის არის სინოდის წევრი სტ.-პეტერბურგში [30].

ქართული ეკლესია ყოველ მხრივ შეიძლება ჩაითვალოს რუსულის იდენტურად, მაგრამ არსებობს მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც ეგზარქატი უშვებს ძველი ქართული ლიტურგიისა და ზოგი რიტუალების (წესების) გამოყენებას.

სიონის საკათედრო ტაძრის წინ არის სამრეკლო, აღდგენილი თავად *ციციანოვის* [31] მიერ იმ კონტრიბუციის თანხით, რომელიც აიღო ჰაჯინსკის სიმაგრის შტურმისას. ციციანოვი იყო რუსული ძალების მთავარსარდალი; მან 1806 წელს მოინდომა მოლაპარაკების გამართვა ბაქოს მმართველთან სიმაგრის ჩაბარების თაობაზე, მაგრამ მას უღალატეს...: ის მოკლეს როგორც კი მიუახლოვდა ქალაქის კედლებს მოლაპარაკების საწარმოებლად, სანამ შეუთანხმდებოდა ხანს. მისი თავი მაშინვე გაუგზავნეს შაჰს, როგორც გამარჯვების ნიშანი (ტროფეი), ხოლო ნეშტი შემდგომ დამარხეს საკათედრო ტაძარში მისი შემცველი *მარკიზ პაულუჩის* თაოსნობით [32].

ალა-მაჰომედმა გაანადგურა ტფილისი, მიწასთან გაასწორა საქართველოს მეფეთა სასახლე. წარსულის კვალს წარმოაჩენს სიონის ახლოს მდებარე სათაყვანებელი *ანჩისხატის* ეკლესია, სადაც ჩვენ ვიხილეთ სხვა ძვირფასი რელიკვია, რომელიც დიდი სახელით სარგებლობს ქართველთა შორის. ესაა დიდებული წარსულის „ხელთუქმნელი“ სასწაულთმოქმედი ხატი, წამოღებული საეპისკოპოსო ქალაქ *ანჩადან*. ძვირფასი ქვებით მდიდრულად მოოჭვილ ჩარჩოზე დაცულია წარწერა: „ღვთის მიერ კურთხეული დიდი მეფეთა-მეფე

თამარის ბრძანებით, რომელმაც შემოსწირა მასალა, მე ივანე ანჩელ რკინაელმა (Renael) გაეკეთებინე ჩარჩო ამ ძლევაგამოსილი ხატის: დაიცავ მათი უდიდებულესობა ახლაც და საუკუნოდ. ის შეასრულა ბექამ. ქრისტემ შეინყალოს ის“. (მოტანილია *ბროსედან* – გ. გ.) [33].

ტფილისში არის 50-მდე წმინდა ნაგებობა. სომხების მთავარი ეკლესიაა *ფაშა ვანქი*, ლამაზი შენობა, გარშემორტყმული მაღალი გალავნით [34]. ფანჯრის ქვემოთ მოთავსებული წარწერა გვამცნობს, რომ ის აიგო *ხოჯა გიორგის* მიერ ვახტანგ VI-ის მეფობაში (1719-1724). ქართველებმა ეკლესიას უწოდეს *ფაშა-ვანქი*, რადგან, როგორც ამბობენ, ის ააგო თურქმა ფაშამ, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა.

სრული წირვა სრულდება კვირა დღით წმ. სტეფანეს ეკლესიაში დედათა მონასტრის მონაზვნების მიერ, რომლებიც განწევით ამბობენ ლოცვებს, მაგრამ არ ეხებიან ზიარებას. ძნელია წარმოიდგინო წირვა უფრო მექანიკურად და ნაკლებ გამომხატველად წარმოებულს. ამ საზოგადოების (გაერთიანების) წევრები არიან დაბადებითა და მდგომარეობით ქალბატონები, რომელთაც მოსდევთ ბუნებრივი ნიჭი დაეხმარონ დების საზოგადოებას. მათი კაბები მკრთალი მარგალიტის ფერი, ნათელი ლურჯი, ღრმა იისფერი და ა.შ. არის სახეებიანი აბრეშუმის და მუარის, კისერთან მოყრილი; თავზე ნიკაპის ჩათვლით შემოხვეულია შავი აბრეშუმი, ხოლო გრძელი საღეჩაქე (ტულის) ვუალი ზურგისკენაა ჩამოშვებული და ფარავს მხრებს.

კონცერტი მოაწყო საღამოს მოყვარულთა ფილარმონიულმა საზოგადოებამ დიდი მთავრისა და დიდი მთავრინას პატრონაჟით, რომლებმაც დააფასეს წარმოდგენა თავისი დასწრებით. ქართველები ამაცობენ მუსიკალური ტალანტით, რაც მათშია ჩადებული და შეადგენენ ამ საზოგადოების წევრთა უმრავლესობას. ჟღერდა რუსული მუსიკა – ლვოვის, ვარლამოვის, გლინკასი და სხვების, მაგრამ რამდენიმე იტალიური არია დიდი ეფექტით შეასრულა ნიჭით დაჯილდოებულმა ერთმა ქალბატონმა, რომელიც იყო გარნიზონის ოფიცრის ცოლი.

საღამოს მსვლელობისას ჩვენ დავაკვირდით რუსეთში საკმაოდ გავრცელებულ ჩვეულებას (პრაქტიკას), თუმცა საეჭვოა, ის ჯანმრთელობისთვის კარგ პირობებს ქმნიდეს. როგორც ევროპის კონტინენტის სხვა მხარეებში, რუსები უფრო ხშირად სხედან დახურულ და ცუდად განიავებულ ოთახებში. კარები და ფანჯრები ჩაკეტილია კარგ დარშიც; იშვიათად შეიგრძნობა ჟანგბადით მუდმივი მომარა-

გება და იმის მაგივრად, რომ ჰაერი გონივრულად განმინდონ, გამო-სავალს ხედავენ სასიამოვნო კეთილსურნელებაში საჭირო სუფთა ჰაერის ნაცვლად.

## თავი XXIX 42-ე და 43-ე დღეები

კვლავ ტფილისი. – ძველი ქართული საცხოვრებლები. – დარ-ბაზი. – ძალა სიმართლის (კანონის) საპირისპიროდ. – სპარსული ხა-ლიჩები. – ექსკურსიები ტფილისიდან. – ნადირობა გეორგიაში...<sup>1</sup>

...ძველებური სახლები მცირე რაოდენობით დღესაც დგანან დედაქალაქში; ისინი ჩანან ფერდობებზე და უხეშადაა ნაგები. ასე-ვეა წავკისის მოშორებით, თუ ავლაბრის უბანში. უმეტესობა ღარი-ბულია, როგორც მათი ულამაზო პროტოტიპები მთებში. ამათაც არ აქვთ ფანჯრები და კვამლის გასასვლელად ღიობი აქვთ დატოვებუ-ლი სახურავში. უკეთესები ნაგებია ქვეყნისთვის დამახასიათებელი ბრტყელი აგურით. სახურავს ქმნის დიდი ზომის ხის ძელები, რომ-ლებიც ორი ფუტით გადმოდიან განზე, ხოლო 3-4 ფუტით შენობის წინა მხარეს; ის შელესილია და შელებილი ლურჯად, ან წითლად. ეს შვერილები ამავე დროს წარმოადგენენ თავშესაფარს და საჩრდი-ლობელს, ხოლო ზემოთ წინისკენ ნივნივითაა დასრულებული და შე-ლამაზებულია აგურით. სახლის კარიბჭე მინიდან ზემოთაა და აქვს უმცირესი ზომის სამი თუ ოთხი ფანჯარა.

მდიდართა საცხოვრებლებში დარბაზი იყო ის ნაწილი, სადაც იმყოფებოდნენ ზაფხულის ხვატის დროს (გაუსაძლის სიცხეში). ტფილისის ძველ უბანში, *დგორიანსკაია ულიცა*-ზე („წარჩინებულ-თა ქუჩაზე“) ჩვენ გავიარეთ პატარა ეზო, რამდენიმე საფეხურით დავეშვიტ და შევედით ვრცელ, მაღალ, ბნელ, ქვის იატაკიან ბინაში (ოთახში). კედლები და მრგვალი თალი დარბაზში დაფარულია ღამა-ზად გამოჭრილი თხელი პანელებით; ასევეა დიდი სვეტი, რომელიც თალს იჭერს. თალის ცენტრშიც არის სანათი, რომლითაც დღის სი-ნათლე სუსტად შემოეფინება, რადგან ბინას არ აქვს ფანჯრები. დი-ვანზე (ტახტზე), რომელიც დგას იატაკზე, ოჯახის წევრები სხდები-ან, მიირთმევენ და ძინავთ; ფარდა ჰყოფს სხვადასხვა სქესის წევ-

---

<sup>1</sup> ჩვენ არ მოვიტანეთ ამ თავის სრული შინაარსი, რადგან ის არ ეხება ტფი-ლისს – გ.გ.

რებს. კარებებით შედიან სამზარეულოში, მარაგის საკუჭნაოში და ღვინის მარანში. ასე რომ დიასახლისს ეძლევა საშუალება საოჯახო საქმეები შეასრულოს *დარბაზიდან* გაუსვლელად. ტფილისის *დარბაზებიდან* ყველაზე სრულყოფილია ძველი სომხური ოჯახის, *ლორის მელიქოვის* საცხოვრებელი.

საჯარო შენობებიდან არის საიმპერიო ობსერვატორია და ჰოსპიტალის [35] მშენიერი შენობა, აგებული 50.000 L-დ (სტერლინგად); მას აქვს 200 პაციენტზე გათვლილი სანოლი, კარგადაა მოწყობილი და ნლიურად საჭიროებს 1000 L-ს.

სასამართლო გარჩევა ნაფიც მსაჯულთა გარეშე, რაც ჯერაც არ შემოღებულა კავკასიაში, ტარდება „*სუდებნაია პალატაში*“ (სასამართლო დარბაზი). გენერალ-გუბერნატორს შეუძლია ისე შეცვალოს სასამართლო კარის ყოველგვარი გადაწყვეტილება, როგორ საჭიროდაც დაინახავს. ამასთან დაკავშირებით გავიხსენებთ ერთ სასამართლო პროცესს, რომელიც შედგა ჩვენ ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე.

ერთმა თათარმა, რომელმაც გახარჯა და გაანიავა თავისი ქონება (მამული და სიმდიდრე), შეადგინა ჯგუფი თავისი ვაჟისა და ორი ძმისწულის მხარდაჭერით, რათა თავს დასხმოდნენ მოგზაურებს და დაეყაჩაღებინათ ისინი. თათარი საკმაო ხნით ემალებოდა სასამართლო დევნას, მაგრამ საბოლოოდ დაიჭირეს თავის ნათესავებთან ერთად. ისინი გაასამართლეს ძალადობრივი ყაჩაღობის გამო, აღიარეს დამნაშავეებად და მიუსაჯეს ციმბირში გადასახლება. ჭკვიანმა ადვოკატმა აიღო მათი საქმე, შენიშნა დარღვევა სამართლებრივ დევნაში, რაც ეწინააღმდეგებოდა მათ დამნაშავედ აღიარებას მეორედ გასამართლებისას და *დეჯთემური*, მისი ვაჟი და ძმისწულები გაანთავისუფლეს მეთვალყურეობისგან. თუმცა იმავე დროს ადგა ერთი ოფიცერი (სასამართლოს აღმასრულებელი მოხელე) და გამოაცხადა ყოფილი პატიმრების სატუსაღოში დატოვება „ადმინისტრაციული ავტორიტეტის“ მიერ, მისი იმპერატორობის უმაღლესობის, გენერალ-გუბერნატორის სახელით.

ამის შემდეგ ერთერთმა ძმისწულმა, რომელსაც მისცეს სიტყვის უფლება, ხმამაღლა თქვა: „ჩვენ ბედნიერები ვართ დავემორჩილოთ მისი იმპერატორობის უდიდებულესობის ბრძანებებს და ვთვლით ჩვენ თავს პატიმრებად მისი სიამოვნებისთვის; მაგრამ ჩვენ უფრო ბედნიერი ვიქნებოდით, რომ დაგვენახა ამ ქვეყანაში კანონის სამართლიანად აღსრულება, რადგან ჩვენ გამოგვაცხადეს უდანაშაულოდ იმ ბოროტმოქმედებაში, რაც ჩვენ მოგვანერეს!“ ეს

კაცები ოთხი წლით იმყოფებოდნენ საპატიმროში, სადაც ისინი ვნახე სატუსალოს ცალკე საკნებში.

თავისუფალი დღე ამიერკავკასიის დედაქალაქში შეიძლება სიამოვნებით გაატაროთ ბაზრების ხელახალ სტუმრობაში, რათა დაათვალიეროთ (შეაფასოთ) ხალიჩები, აბრეშუმი, ვერცხლის სამკაულები და სხვა ადგილობრივი ნაწარმი. რაც შეეხება ხალიჩებს და პლედებს (ხაოიან ნოხებს) ტფილისის ამ ბაზარზე, სპარსული ყველაზე საუკეთესოა და ძვირი, ასევე ყარადაღული, *ფარდაგი*, 6-8 მანეთად. საუკეთესო სპარსულ ხალიჩებში ხაოს ბენვი ისე მჭიდროდაა, რომ შემოწმებისას ვერ შეამჩნევ არათანაბრობას მის ზედაპირზე, თუმცა არაა ისე რბილი, რომ ემორჩილებოდეს თითის დაჭერას. ნაკლები ხარისხის ხალიჩებს ხაოს ბენვი უფრო გრძელი აქვს და დაშორებულიც; ყოველ შემთხვევაში, ერთი ან მეტი შეფერილობისაა. ნაკლები ხარისხის ხალიჩებში ხაოს ბენვი უხეშია და ზედაპირის ხორკლიანობა იოლად იგრძნობა. ამ მახასიათებლების გარდა, საუკეთესო ხალიჩაზე უცბად გეცემა თვალში უფრო ნათელი და გამორჩეული ფერები, როცა უარყოფილია მწვანე, იისფერი და ნაცრისფერი ტონები. სანამ შეიძენ ხალიჩას, ის უნდა გაჭიმო, რათა შეამჩნიო დეფექტები. სპარსული ხალიჩები განსხვავებულია სიგრძეში, მაგრამ ყოველთვის ვინროა და იშვიათად აღემატება 12 ფუტს სიგანეში, თუკი არ არის შეკვეთა. ფასი მაშინ ითქმება, როცა დადგინდება, რომ ხალიჩის ზომაა 14 ფუტი, ვიდრე უფრო დიდი ფართის, რომელიც იშვიათად იყიდება – ის შეიძლება შეიძინო 100-120 მანეთად. ამასთან შესყიდვისას ფასის მეოთხედი უყოყმანოდ დაკავდება და ხდება დაბალანსებული შეთანხმება. საჭიროა მიხედონ ამ სისტემას, რომ აიცილონ (გააუქმონ) გადასახადის დაკისრება, ასეთი უსიამოვნო და სანინაალმდეგო ჩვენი საკუთარი წესებისთვის.

ტფილისის შემოგარენში შეიძლება მოაწყო ექსკურსიები: მარტყოფის წმ. ანტონის მეექვსე საუკუნის მონასტრის[36] სანახავად, ტფილისიდან 25 ვერსზე; ასევე 12 ვერსით დაშორებული კოჯრისკენ, 30 ვერსზე მანგლისის ჩანჩქერებისკენ. 25 ვერსზე მდებარე ბეთანია არის *ბარონ ნიკოლაის* [37] მამული.

ნადირობა შეიძლება ქალაქის ახლო მიდამოებში, როგორც დავიდგინე ბაზრის დარაჯებისა და მოვაჭრეებისგან, რომელთა ნათქვამის დაჯერების საფუძველიც მაქვს.

მარტში [ნადირობენ] გარეულ ტახზე, გარეულ თხაზე, ხოხობზე და ტყის ქათამზე თეთრ წყაროში (*ბელოი კლუჩი*) ტფილისის დასავლეთით 50-60 ვერსზე.

აპრილში – მწყერზე ყველგან.

სექტემბერ-დეკემბერში – დათვზე, მთის თხაზე, მელაზე და ხოხობზე თეთრ წყაროში.

იანვარში – დათვზე, მთის თხაზე, elafus-ზე, მგელზე, აფთარზე, მელაზე და ხოხობზე თეთრ წყაროში.

თებერვალში – მგელზე, აფთარზე, ანტილოპაზე და ხოხობზე ყარაიაში, ტფილისიდან 40-50 ვერსზე, ასევე კოჯორთან, გარდა ანტილოპისა.

კუროჩკა ანუ შურთხი („კავკასიის კაკაბი“) ყველგანაა ზემოდასახელებულ ადგილებში, სადაც სროლის უფლების მიღება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ჩვენ დავემშვიდობეთ რუს თანამდებობის პირებს, რომელთაგანაც მიღებული პატივისცემის გამო ვიყავით ძალზე დავალებული, რადგან ყოველთვის თავაზიანად გვეხმარებოდნენ. სალამოთი დავცოვეთ ტფილისი და მატარებლით გავემგზავრეთ ქუთაისისკენ.

### მცირე კომენტარები

[1] „შურის ციხე“ – იგივე დედაციხე, „ნარიყალა“. შდრ. „ქართლის ცხოვრება“, I, თბილისი, 1955, გვ. 136, სქოლიო: „და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის შურისციხედ მცხეთისად“. აგრეთვე – „თბილისის ისტორია“, შ. მესხიას რედაქტორობით, თბილისი, 1958, გვ.33 – „უძველესი ციხე, რომელიც თბილისში აშენდა, „შურის ციხედ“ იწოდებოდა...მას სახელიც შეეცვალა და იმ მიდამოებს დღეს ნარიყალას უწოდებენ“.

[2] გადმოსახლებული გერმანელების კოლონიების მეტი წილი საქართველოში დაარსდა 1818 და 1819 წლებში ერმოლოვის მთავარმართებლობისას. აქ იგულისხმება სოფელ კუკიასთან დაარსებული კოლონია „ნოი-ტიფლისი“ (ახალი ტფილისი), რომელიც შემდეგ გაფართოვდა ყოფილი მიხეილის, ამჟამინდელი დავით აღმაშენებლის გამზირისკენ და 1852 წელს შეუერთდა ქალაქს.

[3] ისტახრი (ისტაჰრი) – ირანის მკვიდრი არაბი გეოგრაფი (850-934). იმოგზაურა ირანში, შუა, სამხრეთ და დასავლეთ აზიაში; 930-933 წლებში შეადგინა „ნიგნი სახელმწიფოთა გზების შესახებ“. ესაა გეოგრაფიული, პოლიტიკური და სტატისტიკური აღწერა; ეხება თბილისსა და მის მეურნეობას, გზას თბილისიდან თელავისკენ

და შემდეგ შაქისკენ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 327 და 350).

[4] ეს ხიდი აიგო ვორონცოვის მეფისნაცვლობისას 1851 წელს, რომელმაც ქალაქთან დააკავშირა კუკია და ჩულურეთი. დღევანდელ საარბრიუქენის მოედანზე იდგა მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის (1782-1856), საქართველოში პირველი მეფისნაცვლის (1844-1854) ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც გაიხსნა 1867 წლის 25 მარტს და ხიდსაც დაერქვა მისი სახელი.

[5] კუკია ყოფილი ქართული სოფელი თბილისიდან სამ ვერსზე, სადაც დაარსდა გერმანელთა კოლონია ნოი-ტიფლისი.

[6] ეს უნდა იყოს 1850 წელს ვაჭარ მნაცაკანოვის მიერ აგებული ქვის ხიდი; ახლანდელი 300 არაგველის სახელობისა.

[7] „გოლოვინსკი პროსპექტი“ დღევანდელი რუსთაველის პროსპექტია. ეგგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინი (1782-1858) საქართველოს მთავარმართველი იყო 1838-1842 წლებში.

[8] 1804 წელს თბილისში გახსნილი რუსული სკოლა 1830 წელს გადაკეთდა გიმნაზიად. ესაა დღევანდელი პირველი საჯარო სკოლა რუსთაველის გამზირზე.

[9] იგულისხმება რუსული „სობოროს“ ტაძარი, რომელიც იდგა ყოფილი მთავრობის სასახლის, ამჟამინდელი პარლამენტის შენობის ადგილას.

[10] მთავარმართველის სასახლე, დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე.

[11] დიდი მთავარი, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი (1832-1909), იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეოთხე ვაჟი. კავკასიის მეფისნაცვალი 1862-1881 წლებში.

[12] პიტის სასახლე ფლორენციაში – პალაცო პიტი, რომლის შენობაშიც მოთავსებულია სამხატვრო მუზეუმი. მასში დაცულია მედიჩების საგვარეულო კოლექცია XV-XVII სს. იტალიური სკოლის და XVII ს-ის ფლამანდური სკოლის სურათები (რაფაელის, ტიცინის, რუბენის).

[13] კავკასიის მუზეუმი დაარსდა 1852 წელს. 1864 წელს დაიხურა, მაგრამ აღადგინეს გუსტავ რადდეს ინიციატივით და საზეიმოდ გაიხსნა 1867 წლის 2 იანვარს. 1869 წელს მუზეუმის დირექციას დაექვემდებარა საჯარო ბიბლიოთეკა. ამჟამინდელი საქართველოს მუზეუმი 1919 წლიდან დაარსდა კავკასიის მუზეუმის ბაზაზე.

[14] XIX საუკუნის 70-ანი წლებიდან თბილისში ყალიბდება კავკასიის არქეოლოგიური კომიტეტი, რომელიც 1873 წლიდან გადაკეთდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებად“ (თბილისის ისტორია, გვ. 445).

[15] ერევნის (დღევანდელი „თავისუფლების“) მოედანზე 1851 წელს არქიტექტორ სკუდიერის პროექტით ააგეს რუსული თეატრისა და ოპერის შენობა, რომელიც დაინვა 1874 წელს. ახალი ოპერის შენობა (არქიტექტორი ვ. შრეტერი) არსებობს 1896 წლიდან.

[16] ფრიდრიხ ბაიერნი (1817-1886) ავსტრიელი ნატურალისტი და არქეოლოგი. 1849 წლიდან იგი იმყოფებოდა კავკასიაში, ხოლო 1856 წელს დასახლდა თბილისში. 1859-63 წლებში კურატორობდა კავკასიის მუზეუმის საბუნებისმეტყველო განყოფილებას. 1866-1886 წლებში ეწეოდა არქეოლოგიურ მოღვაწეობას აფხაზეთში, სართიჭალაში, დუშეთში, ყაზბეგში, ურბნისში, ნიჩბისში; 1872 წელს იწყებს მცხეთასთან სამთავროს სამაროვნის გათხრას. გათხრების ანგარიშები გამოქვეყნებული აქვს თბილისში (რუსულად), ბერლინსა და ვენაში (გერმანულად). ამას მან სპეციალური გამოკვლევა უძღვნა 1885 წელს.

[17] სასტუმრო „ვეროპა“ მდებარეობდა პუშკინის ქუჩის №29-ში.

[18] VI საუკუნის I ნახევარში ქ. ანტიოქიიდან მოვიდა ერთ-ერთი ასურელი მამა და გარეჯის სანახებში დაუარსებია მონასტერი. ამავე დავით გარეჯელს მთაწმინდაზე გამოუქვაბავს სენაკი – ქრისტიანული სამლოცველო, რომელიც დღესაც მამა დავითის ეკლესიის სახელითაა ცნობილი. 1542 წელს ააშენეს წმ. დავითის მონასტერი. ახლანდელი ეკლესია აგებულია 1871 წელს. აქვეა მცირე ზომის ფერიცვალების ეკლესია, აგებული 1809 წელს.

[19] იგულისხმება ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი ნინო.

[20] ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი, ინფანტერიის გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი 1816-27 წლებში.

[21] ორმუზდი – აჭურამაზდა, ზოროასტრული რელიგიის უზენაესი ღვთაება; სინათლისა და სიკეთის სამყაროს გამგებელი; საპირისპიროდ „ჰარიმანისა“ (სიბნელისა და ბოროტების სამყაროს გამგებელი).

[22] „თათრის მოედანი“ ანუ „ციხის მოედანი“ მდებარეობდა მტეხის ხიდთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

[23] იგულისხმება „რუმბები“.



[24] „ტაიმსი“ ინგლისში გამომავალი გაზეთი.

[25] მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია; მის აგებას მიაწერენ ვახტანგ გორგასალს. მონღოლების დროს გადამწვარი ალადგინა დემეტრე II თავდადებულმა. მეტეხის ძველი ციხე დაანგრევს XIX საუკუნეში და მის ადგილას საპატიმრო ააშენეს.

[26] აღმოსავლელი მოგზაურია ევლია ჩელები (1611-1682) – თურქი მოგზაური, გეოგრაფი და ისტორიკოსი. მას ეკუთვნის 10-ტომიანი „მოგზაურობის წიგნი“ (დაიბეჭდა სტამბოლში 1896-1938 წლებში). ქართულად თარგმნილია II ტომი, რომელშიც დაცულია ცნობები საქართველოს შესახებ. გამოსცა გიორგი ფუთურიძემ 1971-73 წლებში.

[27] საინტერესოა აფხაზების, ოსების და სვანების ნომინალურ (სიმბოლურ) ქრისტიანებად დასახელება.

[28] სიონის, ანუ „დიდი ეკლესიის“ მშენებლობა დაიწყო VI ს-ის II ნახევარში და დაამთავრეს VII ს-ის 20-იან წლებში.

[29] 451 წელს ქ. ქალკედონში შემდგარმა IV მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაგმო მონოფიზიტობა, რომელსაც ქრისტე მიაჩნდა ერთი ბუნების მქონედ – მხოლოდ ღვთიურის და არა ღმერთკაცად. სომხები მიემხრნენ მონოფიზიტობას, ქართველები დიოფიზიტობას, რასაც მოჰყვა სრული საეკლესიო განხეთქილება VII საუკუნის დასაწყისში. როგორც ზ. ალექსიძე ამბობს, მანამდე, დვინის საეკლესიო კრების დადგენილებით 506 წელს ქართულმა ეკლესიამ მონოფიზიტებთან შემრიგებლური პოზიცია დაიკავა (ზ.ალექსიძე, „მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის“ – მაცნე, 1973, №3.).

[30] ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ 1811 წელს რუსულმა ხელისუფლებამ დააარსა საქართველოს საეგზარქოსო. მის სათავეში მდგომ ეგზარქოსს ჰქონდა ქართლისა და კახეთის მიტროპოლიტის წოდება, შემდეგ არქიეპისკოპოსის. 1815 წლიდან ის „ქართლისა და იმერეთის ეგზარქოსია“. ეს თანამდებობა გაუქმდა 1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ.

[31] პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი (1754-1806), ინფანტერიის გენერალი, საქართველოს მთავარსარდალი 1802-1806 წლებში. მოღალატურად მოკლული გენერლის გვამი დაფლეს ბაქოს ციხის კართან; 1806 წლის 2 ივნისს ბაქოს ალების შემდეგ ციციანოვის ნეშტი

დამარხეს იქაურ სომხურ ეკლესიაში, ხოლო 1812 წელს მთავარმართებელმა პაულუჩიმ გადმოსვენა და დაკრძალა სიონის ეკლესიაში.

[32] მარკიზი ფილიპე ოსიპის ძე პაულუჩი, გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს მთავარმართებელი იყო 1811-1812 წლებში.

[33] ანჩისხატის ეკლესია VI ს-ის დამდეგსაა აგებული. ეს სახელწოდება მან მიიღო XVII ს-ში, როცა 1664 წელს ანჩიდან ჩამოიტანეს ანჩის საეპისკოპოსოს კათედრალური ტაძრის მთავარი სალოცავი მაცხოვრის ხატი (მანამდე მას ერქვა „ზარის ეკლესია“). მოოქრულ ვერცხლის ჩარჩოზე არის შემდეგი წარწერა: „ქ. ბრძანებითა და ნივთისა ბოძებითა ღმრთივ გვირგვინოსნისა დიდისა დედოფალთ დედოფლისა თამარისაითა, მე იოანე ანჩელმან რკინაელმან ხელყავ საშინელისა, ამის ხატისა პატივით მოჭედად მფარველმცა არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა, მოიჭედა ხელითა ბექასითა, ქრისტე შეიწყალე“.

ხატის დამკვეთი იოანე ანჩელი რკინაელი იყო XII-XIII სს ჰიმნოგრაფი, ანჩის მთავარეპისკოპოსი თამარის დროს.

[34] ვანქი სომეხთა საკათედრო ეკლესიაა. ვახუშტის გეგმით მდებარეობდა მტკვრის პირას, დღევანდელი ბარათაშვილისა და მტკვრის ქუჩებს შორის.

[35] ეს ჰოსპიტალი უნდა იყოს ე. წ. „მიხეილის საავადმყოფო“ დღევანდელ დავით აღმაშენებლის გამზირზე.

[36] სახელწოდება უნდა მიეღო ერთ-ერთი ასურელი მამის ანტონ მარტყოფელის სახელიდან. მან VI ს-ში დააარსა ღვთაების სამონასტრო ანსამბლი. საბოლოო სახე XIX საუკუნეში მიიღო.

[37] ბარონი ნიკოლაი, ალექსანდრე პავლეს ძე (1821-1899) 1863 წლიდან სენატორია და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი. ნიკოლაი ბარონთა გვარია, წარმოშობით შვედეთიდან.

## **Gia Gelashvili**

*Doctor of History, Ivane Javakishvili Tbilisi State University, Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology, Senior Scientific-researcher of the Department of Modern and Contemporary History*

### **English Captain Telfer about Tbilisi (70-th of XIX century)**

#### **Summary**

Captain John Buchan Telfer (1830-1907), fellow of The Royal Geographic Society since 1875, had seen much naval service; he took part in the Crimean war. He married a Russian lady, and resided, about 1870, for three years in Russia, visiting on two occasions the Crimea and the Caucasus, and making extensive journeys through the mountain districts. The outcome of his journey is the work in two volumes – „The Crimea and Transcaucasia“ (London,1876).

We translated suitable material from Telfer’s work, where he describes the conditions of Tbilisi, its parts, bridges, Public buildings, monasteries, fortifications, its economic state, merchandize, the bazaars, water supply, national dance, Georgian ladies etc. Author familiarizes us also with noble persons – Emperor's vicegerent in Caucasus Michael Romanov and His wife Olga.

Telfer's work has a permanent value as a mine of curious information and an accurate description of Tbilisi at that date.

**ნესტან სულავა**

*ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი*

**მურად მთვარელიძე**

*ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი*

## **უმნიშვნელოვანესი ნაშრომი იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის შესახებ**

იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტერი საუკუნეების მანძილზე ასრულებდა ჩვენი ეროვნული მეობისა და იდენტობის ერთგვარ ფუნქციას როგორც უშუალოდ წმინდა მიწაზე, ისე მთელ ქრისტიანულ სამყაროში. წმ. ჯვრის მონასტერი შუა საუკუნეებში იქცა კულტურისა და სულიერების უმნიშვნელოვანეს კერად, რომელთანაც დაკავშირებულია არაერთი გამოჩენილი ქართველი მოაზროვნისა და მამულიშვილის სახელი. სწორედ ამიტომაც, რომ ახლა უკვე სხვის მფლობელობაში არსებული ქართული ტაძარი ათეულის წლებია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა კვლევის საგნადაა ქცეული, იმ სხვა ქართულ ეკლესია-მონასტრებთან ერთად, რომლებიც წმინდა მიწაზე არსებობს.

ვფიქრობთ, იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტერი კვლავაც არაერთი მეცნიერის ყურადღებას მიიპყრობს, რადგან ჯერ კიდევ რჩება მთელი რიგი პასუხგაუცემელი კითხვები, რაც მომავალმა კვლევებმა უნდა ნათელყოს, მაგრამ მათგან, რაც ამ მონასტრის შესახებ ბოლო წლებში დაწერილა, უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილის ვრცელი მონოგრაფია „იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომელიც გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ეგიდით 2014 წელს გამოსცა გამომცემლობა „საარმა“.

როგორც ავტორი წიგნის შესავალში შენიშნავს, ამავე საკითხზე დაბეჭდილი „წიგნის გამოცემიდან 13 წელი გავიდა. იგი მალე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაიქცა. ამასთან ერთად, ისტორიული მეცნიერება წინ წავიდა, რამაც დღის წესრიგში დააყენა ადრე გამოთქმული ზოგიერთი დებულების კიდევ უფრო გაღრმავება და დაზუსტება“.

ნიგნის მნიშვნელობას ზრდის ქართულ და უცხოურ ენებზე არსებული დოკუმენტური და ნარატიული წყაროების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე გამოთქმული სრულიად განსხვავებული, ახალი შეხედულებანი და დებულებები, რაც მას დიდ მეცნიერულ და შემეცნებით მნიშვნელობას ანიჭებს.

მკვლევარი მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით, მასალის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით, ამასთანავე დიდი სიფრთხილით განიხილავს იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტს და იძლევა თანამედროვე მეცნიერული ცოდნით აღჭურვილ, ანგარიშგასაწევ და გასაზიარებელ დებულებას.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ ძირითად პრობლემურ საკითხებზე, რაც ამ მონოგრაფიაშია ნაკვლევია.

ნიგნის პირველივე თავის „წმინდა ჯვრის მონასტრის დაარსების საკითხისათვის“ ქვეთავში „პეტრე იბერი – პიროვნება და მოღვაწეობა“ მდიდარ ბიბლიოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით მკვლევარი აკადემიური თანმიმდევრობით წარმოაჩენს პეტრე იბერიელს, როგორც იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის დამაარსებელს.

მიჰყვება რა პეტრე იბერიელის ცხოვრების გზას, მკვლევარი წერს, რომ „მონოფიზიტური ერესით დაავადებულმა“ პეტრემ 457 წელს თავი შეაფარა ეგვიპტეს, ქალაქ ალექსანდრიას, სადაც იმყოფებოდნენ ყოფილი პატრიარქის დიოსკორეს მიმდევრები. აჯანყებულმა მონოფიზიტებმა მოკლეს დიოფიზიტი პატრიარქი პროტერი და მის ადგილზე დასვეს პეტრე იბერის თანამებრძოლი ტიმოთე ელური“ (გვ. 21). ამ ფაქტის გათვალისწინებით ე. მამისთვალისშვილი ლოგიკურად ვარაუდობს, რომ პეტრე და ტიმოთე ერთად გაიქცნენ ქალაქ მაიუმიდან და ერთადვე მოუხდათ მშვიდობიანი თავშესაფრის ძიება... ისიც საყურადღებოა, რომ მაიუმიდან განდევნილი ტიმოთე ელური თავდაპირველად თრაკიის ქალაქ განგარასა და ყირიმის ქალაქ კერსონესში ყოფილა (ზაქარია რეტორის ცნობა – მ. მ.). „შეიძლება დაფუძვით, – წერს მკვლევარი, რომ პეტრეც ეგვიპტეში მისვლამდე დასახელებულ ქალაქებში იმყოფებოდა“ (გვ. 22).

საინტერესოდ ხსნის მკვლევარი პეტრე იბერის მაიუმში დაბრუნების თარიღს. როგორც ცნობილია, პეტრე იბერის მაიუმში დაბრუნების ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის. მკვლევართა ერთი ნაწილი ასახელებს 453, ხოლო მეორე ნაწილი 458 წელს. ე. მამისთვა-

ლიშვილი სარწმუნოდ მიიჩნევს სწორედ უკანასკნელ თარიღს და ყურადღებას ამახვილებს სტეფანოზ ტარონეცის ცნობაზე, რომლის მიხედვითაც, „პეტრეს მაიჟმში დაბრუნება და მისი ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა მონოფიზიტური რწმენის უარყოფის გამო კი არ მოხდა, როგორც ამას ა. ცაგარელი ფიქრობდა, არამედ საიმპერატორო კარის და დედოფალ ევდოკიას მფარველობით“ (გვ. 24).

ამავე თავში მკვლევარი ასევე ეხება უალრესად საინტერესო საკითხს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მიღმა პეტრე იბერის, როგორც ფილოსოფოს-თეოლოგის იდენტიობას, რაც მას წინამორბედი მკვლევარების აკად. კ. კეკელიძისა და პროფ. ივ. ლოლაშვილის მსგავსად საეჭვოდ მიაჩნია. მკვლევარი თავისი აზრის გასამყარებლად ეყრდნობა ზაქარია რიტორის მონათხრობს და ასკვნის, რომ „ზაქარია ქართველს თუ სურდა ეცნობებინა, რომ პეტრე იბერი მწერალი-შემოქმედი იყო, მაშინ იმასაც იტყოდა, როგორი შინაარსის ნაშრომებს ქმნიდა“ (გვ. 28).

საინტერესო და განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია მონოგრაფიის ის მონაკვეთი, სადაც მკვლევარი მსჯელობს პეტრე იბერიელზე, როგორც იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის დამაარსებელზე.

ზაქარია რიტორის ცნობით, პეტრე იბერიელს რამდენიმე ეკლესია-მონასტერი და შენობა აუგია: იერუსალიმში ქართველი და ბერძენი ბერებისათვის სასტუმრო სახლის აშენების შემდეგ „წარვიდეს უდაბნოდ (პეტრე და იოანე) და შეკრიბნეს ძმანი მრავლად და აღაშენეს მონასტერი თავისა თვისად“. იმავე მონასტერში მათ ააშენეს ეკლესია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, მარიამის სახელზე, ასევე მდ. იორდანეს ნაპირზე ააშენეს მათ მონასტერი, რის შემდეგ ისევ იერუსალიმში დაბრუნდნენ და კვლავ ააშენეს სასტუმრო სახლი და დაიწყეს ეკლესიის მშენებლობა“. ზაქარია რიტორის ამ ცნობის საფუძველზე ე. მამისთვალისიშვილმა წიგნში „ქართველები და ბიბლიური სამყარო“ (გორი, 1988, გვ. 85-88) შექლო სამი მონასტრის იდენტიფიცირება. ესენია: „ლაზთა მონასტერი, ბეთლემის ჩრდილოეთით ხარბეთ სიარ ელ-ლანამის ჩრდილო-დასავლეთით, ბირელ-ყუტის მიდამოებში. ეგვიპტეში აგებულ მონასტერზე მსჯელობისას მკვლევარი ეყრდნობა მ. თარხნიშვილის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, ეს უნდა იყოს პეტრე იბერის მიერ თებეს უდაბნოში აგებული „სამეკლესიანი“ თებაიდის ბაზილიკა, ხოლო იერუსალიმში აგებული ეკლესია – იბერთა მონასტერი“ (გვ. 86). ამ ყველაფრის გათვალისწინებით მეცნიერი ასკვნის: „რაც შეეხება პეტრე იბე-

რის მიერ „თავისა თვისად“ აგებულ მონასტერს, ის უნდა იყოს დღე-ისათვის საყოველთაოდ ცნობილი იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი“ (გვ. 36). იქვე მკვლევარი უარყოფს აკად. ე. მეტრეველის მოსაზრებას, თითქოს „ამ მონასტერთან ანასტასი პატრიარქის მოთხოვნით აშენდა ეკლესიაც და ეწოდა მას ქართველთა მონასტერი“. მკვლევარი გამორიცხავს მონასტერში ეკლესიის აშენების ფაქტს.

ნაშრომის მეორე თავის მეორე ქვეთავში „ქართული ისტორიული ტრადიცია წმ. ჯვრის მონასტრის დაარსების შესახებ“ მკვლევარი მიმოიხილავს ყველა იმ თვალსაზრისს, რაც ამ საკითხის გარშემო არსებობს და განსაკუთრებით ჩერდება ორი პილიგრიმის მიერ დასახელებულ ცნობაზე იმ წმინდა ხის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ქრისტეს ჯვარცმასთან.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს, ერთი მხრივ, ზევულფის ცნობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ წმ. ჯვრის მონასტერი აშენდა იმ ადგილას, სადაც გამოთალეს წმინდა ჯვარი“ და, მეორე მხრივ, დანიელის ცნობაზე, რომლის მიხედვითაც „ამ ადგილას გამოიჭრა ქრისტეს ჯვარცმის საფეხურნი, რომელზეც მიაღურსმეს ქრისტეს ფეხები“. მეცნიერი კრიტიკულად განიხილავს მ. სტეფნაძის თვალსაზრისს, რომელმაც „ივარაუდა, რადგან დანიელმა 16 თვე გაატარა წმ. საბას ლავრაში, სადაც ქართველი ბერები იმყოფებოდნენ, მას მათგან უნდა მოესმინა საქართველოში გავრცელებული აზრი, რომ ქართველების ქრისტიანობაზე მოქცევით კმაყოფილმა კონსტანტინე კეისარმა პირველ ქართველ ქრისტიან მეფეს სხვა რელიკვიებთან ერთად გამოუგზავნა „ფერხთა ფიცარნი“. პროფ. ე. მამისთვალიშვილი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „ვერ გავიზიარებ მკვლევარის იმ ნათქვამს, რომ თითქოს დანიელმა ამის შემდეგ თვითონ დაუკავშირა მირიანისა და ჯვრის მონასტრის სახელები და სწორედ აქედან უნდა იყოს ის ცნობა, რომელიც პილიგრიმმა დაგვიტოვა. ვფიქრობ, – წერს მეცნიერი, – აღნიშნული ვერსია პალესტინაში მოღვაწე ქართველთა შორის უნდა ჩამოყალიბებულიყო და დანიელს მათგან უნდა მოესმინა“ (გვ. 40).

ამავე ნაკვეთში მკვლევარი ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა მირიან მეფისა და ვახტანგ გორგასალის წმინდა მიწაზე მოგზაურობა, ბერძნული ისტორიული ტრადიცია ჯვრის მონასტრის დაარსების შესახებ, ქართველთა კვალი არქეოლოგიური არქტეფაქტების მტკიცებულების გათვალისწინებით და სხვა. მრავალი დოკუმენტისა თუ ქართველ და უცხოელ მკვლევართა თვალსაზრისთა შეჯერება-განჩხრეკის შემდეგ მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „თანამედრო-

ვე წმ. ჯვრის მონასტრის ადგილას, ან მის მახლობლად, აღნიშნულ საუკუნეებში ქართველებს რაღაც სამლოცველო მაინც ჰქონდათ, რომლის საფუძვლის ჩამყრელი შეიძლება მირიან მეფე იყო. მის ადგილას შემდეგში (V ს) პეტრე იბერმა შესანიშნავი ტაძარი ააგო“ (გვ. 51-52).

ანგარიშგასანევია მკვლევარის ნააზრევი იერუსალიმის წმ. ჯვრის ტაძრის აგების თარიღთან დაკავშირებით. ცნობილი მკვლევარის დ. პრინგლის თვალსაზრისით, ჯვრის მონასტრის ნაგებობა დგას ადრეული VI-VII საუკუნეთა ეკლესიის ნაშთებზე. ე. მამისთვალისძვილის აზრით, დათარიღების ქვედა ზღვარი შეიძლება გადაინიოს მეხუთე საუკუნეში. ამ თვალსაზრისის განსამტკიცებლად მკვლევარს მოაქვს არაერთი მყარი არგუმენტი. მეცნიერი ასკვნის: „მონასტერი დაარსებული იყო მე-5 საუკუნეში ქართველების მიერ და მათივე სახსრებით, იერუსალიმიდან მცირე მოშორებით, მათთვის გამოყოფილ ადგილას. ამიტომ მათ გამოიყენეს კანონიერი უფლება და კვლავ თავიანთივე სახსრებითა და შრომით XI საუკუნეში აღადგინეს ქართული ქრისტიანული კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი კერა“ (გვ. 75).

ვფიქრობთ, ამ თავის დასკვნებში, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, დამაჯერებლად შეჯამდა ყველა ის თვალსაზრისი, რაც ჯვრის მონასტრის დაარსებას უკავშირდებოდა. მკვლევარმა შეძლო მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და კომპეტენტურობით დაესაბუთებინა ყველა ის დებულება, რაც ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას უკავშირდება.

პეტრე ქართველის წვლილისა და დამსახურების ფონზე ე. მამისთვალისძვილი ასკვნის, რომ სწორედ ის არის ქართული მონასტრის დამაარსებელი იერუსალიმში და ამიტომაც „არის მისი სურათი დახატული ტაძრის კედელზე“ (გვ. 79). მიღებული შეხედულებით, იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი მეათე საუკუნეში დაზიანდა და მეთერთმეტე საუკუნეში ის კვლავ აღადგინეს. ასევე მიღებული შეხედულების მიხედვით, მონასტერი მე-11 საუკუნეში დააარსა შავშეთელმა საეკლესიო მოღვაწემ გიორგი-პროხორემ.

მეცნიერის მართებული მტკიცებით, ეს თვალსაზრისი რეალურ საყრდენზე არ დგას. წიგნის ავტორი მიუთითებს: „საყოველთაოდ ცნობილ მასალაზე დაკვირვებით, იმ დასკვნამდე მივდი, რომ წმინდა ჯვრის მონასტერი მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში ისევ არსებობდა, შეიძლება ძლიერ დაკნინებული და საჭიროებდა გადაუდებელ რესტავრაცია-რეკონსტრუქციას“ (გვ. 97).

არაერთი დოკუმენტის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად (ხელ-



ნაწერი წიგნების მინაწერები, ჯვრის მონასტრის მხატვრობა, სვინაქსარული ნუსხები და ალაპები) მეცნიერი ასკვნის, რომ ჯვრის მონასტერი „აღნიშნულ პერიოდში დაარსებული კი არა, აღდგენილი იქნა ორი პიროვნების – გიორგისა და პროხორეს მიერ. ისინი თანამიმდევრობით იყვნენ ჯვარის წინამძღვრები – ჯერ გიორგი, შემდეგ კი პროხორე“ (გვ. 123). ვფიქრობ ეს დასკვნა სრულიად ახალი სიტყვაა ამ საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც ყველა მეცნიერი, ვინც კი აღნიშნულ პრობლემას ეხება, ეჭვმიუტანლად ასახელებს გიორგი-პროხორეს ერთ პიროვნებად. ასეა ეს სახელი შეტანილი ყველა ლექსიკონსა და ცნობარში. მეცნიერი კი არგუმენტირებულად ასკვნის, რომ გიორგი და პროხორე ორი სხვადასხვა პიროვნებაა და ისინი ჯვრის მამები იყვნენ.

თავში „წმ. ჯვრის მონასტრის „დატყვევებისა და განთავისუფლების საკითხისათვის“, პრობლემის შესწავლისა და გაანალიზების შედეგად მეცნიერი არაერთ საინტერესო, განსხვავებულ და გასაზიარებელ დასკვნას აკეთებს. მათ შორის აღსანიშნავია „კლიტენი იერუსალიმისანის“ საკითხი. მეცნიერს მიუღებლად მიაჩნია აკად. ელ მეტრეველის თვალსაზრისი „იერუსალიმის კლიტეში“ მხოლოდ ქრისტეს საფლავის კლიტის მოაზრების შესახებ. ასევე მიუღებლად მიიჩნევს მეცნიერი ვ. სილაგაძის შესაბამის თვალსაზრისს. ხსენებული მკვლევარები ეყრდნობიან „ძეგლი ერისთავთას“ (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატეიანე). მკვლევარი ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით თვლის, რომ „ძეგლში“ საუბარია არა ერთი სინმინდის – ქრისტეს საფლავის კლიტეზე, არამედ რამდენიმე სინმინდის კლიტეებზე და მათ შორის უნდა იგულისხმებოდეს ჯვრის მონასტრის კლიტეც, რომლის შესახებ არაბი ავტორები აღნიშნავენ“ (გვ. 139) და ქართველი ელჩისთვის „იერუსალიმის კლიტეების“ გადაცემას ორმაგ – სიმბოლურ და პირდაპირ დატვირთვას აძლევს.

მკვლევარი დეტალურად, ჩვეული სკრუპულოზურობით მიმოიხილავს იერუსალიმის წმ. ჯვრის მეტოქ ტაძრებს როგორც საქართველოში ისე პალესტინაში. ასევე საინტერესოა ჯვრის მამების როლისა და მნიშვნელობის ამსახველი მონაკვეთი. მკვლევარი საფუძვლიანად მსჯელობს ჯვრის მამებზე და მიმოიხილავს ამა თუ იმ პიროვნებასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს. მას უყურადღებოდ არ რჩება ასევე ისეთი საკითხი, როგორცაა ჯვრის მონასტრის არსებობის მატერიალური საფუძვლები: მამულები, სახლები, შეწირულობანი და სხვა.

საინტერესოდ იკითხება თავი „მნივნობრულ-ლიტერატურული

საქმიანობა“. შეიძლება ითქვას, რომ ნიგნის ამ თავში, ისევე როგორც სხვაგან მთლიანად შეჯამდა ყველა ის თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც ქართულ და უცხოურ გამოკვლევებში გამოთქმულა. როგორც ცნობილია, ჯვრის ქართულ მონასტერში დავანებული იყო საკმაოდ დიდი ფონდი ხელნაწერი კრებულებისა, რომელიც დროთა ვითარებაში გაიფანტა ან შეგნებულად განადგურდა. აღნიშნული თავის დასასრულს მკვლევარი აკეთებს ერთ საგულისხმო მითითებას: „არ ვიცი თუ ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკის ფონდის ნაწილი იყო თუ არა ის მრავალი ქართული ხელნაწერი, რომელიც ქ. ხაიფის არქივიაკონს დოჟლინგს უნახავს იერუსალიმის წმ. კონსტანტინეს ბიბლიოთეკაში. როგორც ჩანს, ბერძნებმა ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკაში მხოლოდ ბერძნული ნიგნები და ხელნაწერები დატოვეს“ (გვ. 217).

ასევე საყურადღებოა მკვლევარის ვარაუდი იერუსალიმში წმ. ჯვრის დასამზადებელი ხის მოჭრის დღეზე, რომელიც პასექის მეორე კვირას იმართებოდა იერუსალიმში, მუსლიმების დასწრებისა და მონაწილეობის საკითხი. „შეიძლება ვიფიქროთ, – წერს მეცნიერი, – რომ ეს მუსლიმანები ოდესღაც ქრისტიანების, შეიძლება გამუსლიმანებული ქართველების ის შთამომავლები იყვნენ, რომლებზეც 1925 წელს იერუსალიმში იტალიურ ენაზე გამოცემულ „წმ. მინის გზამკვლევი“ პატრი მაისტერმანი წერდა“ (გვ. 218).

უკვე რამდენიმე ათეული წელია ისტორიულ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა მეფე თამარის განსასვენებელთან დაკავშირებით. საისტორიო წყაროებისა და მათ საფუძველზე მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, თამარი გელათში დაიკრძალა, მაგრამ ფაქტია, მისი ნეშტი მეფისათვის განკუთვნილ სამარხში არ არის. ამ საკითხის გასარკვევად მეცნიერი მიმართავს უცხოურ წყაროებს. ჯერ კიდევ წლების წინ გამოცემულ ნიგნში „ქართველები და ბიბლიური სამყარო“ ე. მამისთვალისფერი თამარის განსასვენებლად მიიჩნევა და იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერს. მართალია, ეს თვალსაზრისი მანამდეც არაერთ ქართველ და უცხოელ მკვლევარს გამოუთქვამს, მაგრამ ნიგნის ავტორის და კვირვებანი სრულიად განსხვავებულია. გამოვყოფთ რამდენიმე მათგანს. მკვლევარის დასკვნით: 1. „განხილული უცხოენოვანი წყაროები ნათელს ხდის, რომ ნამდვილად არსებობდა თამარ მეფის ანდერძი, რომელშიც გამოთქმული იყო მისი სურვილი – დაკრძალულიყო წმინდა მინაზე. 2. ნათელია გიორგი-ლამას და მისი კარის განწყობილება სისრულეში მოეყვანა თამარ მეფის უკანასკნელი სურვილი“.

მართალია, მკვლევარი დარწმუნებული არ არის, რამდენად მოიყვანა სისრულეში ლაშა-გიორგიმ დედის ანდერძი, მაგრამ ჯვრის მონასტერში არსებული საფლავი, სადაც ორი მანდილოსნის ნეშტი აღმოჩნდა, ბადებს არაერთ კითხვას, რომელზედაც პასუხის გაცემა კვლავაც მომავლის ამოცანად რჩება.

ასევე ათეული წლებია მკვლევართა ყურადღება მიპყრობილია ჯვრის მონასტრის შოთა რუსთაველის ფრესკისაკენ.

ჩვენ არ შევეცდებით იმ მოსაზრებათა ანალიზს, რაც ამ ფრესკასთან დაკავშირებით არსებობს. საკითხს შევხედავთ იმ კუთხით, თუ რა დამსახურების გამო დაიხატა შოთას ფრესკა იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში.

ითვალისწინებს რა მკვლევართა ნააზრევს, ე. მამისთვალიშვილი თამარის მიერ სალაჰ ად დინის კარზე გაგზავნილ დიპლომატიური მისიის შესახებ, იზიარებს აკად. შ. ამირანაშვილის თვალსაზრისს, რომელიც ამ ელჩობაში მთავარ ფიგურად სახავდა შოთა რუსთაველს. ამასთან დაკავშირებით მეცნიერი ასკვნის: „სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი და ვარაუდები იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ იგი ნამდვილად იყო იერუსალიმში და მასზე დაკისრებულ წარმატებით შესრულებულ დიპლომატიურ მისიასთან ერთად, წმ. ჯვრის მონასტრის ძმობასაც დაამახსოვრა თავი ტაძრისათვის განეული დიდი დახმარებით.

რადგან შოთა რუსთაველის პორტრეტი დახატულია იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში, მეტყველებს იმაზე, რომ ის სწორედ ის სახელმწიფო მოხელე იყო, რომელსაც დიდი დამსახურება ჰქონდა ამ სახელგანთქმული ქართული სასულიერო და კულტურის კერის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინაშე. რა თქმა უნდა, მონასტრის ბერები შოთას იმის გამო არ დახატავდნენ ტაძარში, რომ გენიალური პოეტი იყო და უბრწყინვალესი ნაწარმოები შექმნა“ (გვ. 251).

აქვე ვიტყვით იმასაც, რომ ა. ცაგარელისა და თ. ვირსალაძის მსგავსად, ე. მამისთვალიშვილს შოთას ფრესკა მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, ნ. ჩოლოყაშვილის ჯვარისმამობის პერიოდში შექმნილად მიაჩნია. ვფიქრობთ, რომ საკითხი ჯერ კიდევ მოითხოვს სკრუპულოზურ ობიექტურ კვლევას, რაც მომავალში ბევრ რამეს დააზუსტებს.

თავში „წმ. ჯვრის მონასტრის ქართული პერიოდის დასასრული“ მკვლევარი აანალიზებს ყველა იმ მიზეზს, რამაც იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი სხვის საკუთრებად აქცია. საკითხთან მიმართებაში ავტორი ვრცელი ექსკურსით დამაჯერებელს ხდის ამ სა-

კითხთან დაკავშირებულ რამდენიმე პრობლემას, იქნება ეს გრიგოლ პირველისა თუ მალაქია მეორე გურიელისა და მაქსიმე მაჭუტაძის ზეობის ხანა და, შესაბამისად, მართა მონაზონის წერილის დათარიღება. ამ უკანასკნელს კი მეცნიერი განიხილავს „როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის შემცველ წერილობით წყაროს მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების შესასწავლად“ (გვ. 260). ამასთანავე, სხვა ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით, მკვლევარი აკეთებს უაღრესად მნიშვნელოვან და საჭირო დასკვნას, რომელიც, ვფიქრობ, სერიოზულ დაფიქრებასა და, შესაბამისად, გონივრული სახელმწიფოებრივი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს: „წინაპრებმა, მონასტრების სანაცვლოდ ქართველებს არავითარი ვალი არ დაუტოვეს და შეუძლიათ სინდისის ქენჯნის გარეშე ჰქონდეთ პრეტენზია იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერზე“ (გვ. 291).

თავში „წმინდა ჯვრის ტაძრის ფრესკები და წარწერები“ მკითხველი ღებულობს ამომწურავ ინფორმაციას ყველა იმ კითხვაზე, რაც ამ საკითხებს უკავშირდება. აქ დეტალურად, არსებული რეალობის გათვალისწინებით, დიდი ცოდნითა და დაკვირვებით არის აღნუსხული ყველა ის წარწერა თუ ფრესკა, რაც ჯვრის მონასტრის კედლებმა შემოინახა.

ვფიქრობთ, რომ წიგნში განხილული საკითხები კიდევ არაერთხელ იქნება კვლევის საგანი, რადგან ისინი ქართული კულტურის კარდინალურ, ქართველი ერისათვის საჭირობოროტო და უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს შეეხება, ხოლო ცნობილია, ზოგჯერ ჭეშმარიტებადქცეული მოსაზრებები ახლებური მიდგომის, ახალი მასალის აღმოჩენის შედეგად სხვა დასკვნების საფუძველი გამხდარა.

უნდა აღინიშნოს, რომ კარგი იქნებოდა, ამ სოლიდური მონოგრაფიისათვის ავტორს დაერთო თუნდაც პირთა საძიებელი, რაც სპეციალისტებსა და დაინტერესებულ მკითხველებს წიგნით სარგებლობას გაუადვილებდა.

იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში „გუმბათის ქვეშ, საკურთხეველის კარის პირდაპირ, მოზაიკის იატაკში ჩასმული იყო ბრინჯაოს მრგვალი ფირფიტა ქართული ასომთავრული წარწერით, რომელშიც განსაკუთრებულად ჟღერდა ეს მოწოდება: „სდექით მტკიცედ და შეურყევლად...“ სწორედ ეს მოწოდება იქცა არა მარტო მონასტრის ბერთა ცხოვრების დევიზად, არამედ ეს იყო ქართველი ერის ერთგვარი ხვედრიც, რამაც ეს მცირერიცხოვანი ხალხი მინის პირისაგან არ აღგავა. უფრო მეტიც, მრავალსაუკუნოვანი არსებო-

ბის მანძილზე შეაძლებინა უცხო მიწაზე არაერთი უმნიშვნელოვანესი სასულიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო კერის შექმნა, რომელთაგან იერუსალიმს სრულიად განსაკუთრებული მისია ეკისრებოდა. სწორედ ამიტომაც, აღნიშნული ნაშრომის შექმნით, ბატონმა ელდარ მამისთვალიშვილმა არა მხოლოდ ძალზე მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა, ამასთანავე მეცნიერულად დაასაბუთა ყველა ის საკვანძო საკითხი, რაც ჯვრის მონასტერს უკავშირდება. ამასთანავე, ეს ნაშრომი და მისი კვლევის სიზუსტე ნერგავს რწმენას, რომ ქართველებმა მომავალში კიდევ უფრო მეტი ვიფიქროთ ამ დიდი ქართული საგანის კანონიერ მფლობელობაში დასაბრუნებლად.

დასასრულ, იმის გათვალისწინებით, რომ პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილის გამოკვლევა „იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი“ და ზემოაღნიშნული სხვა ნაშრომებიც ერთობლიობაში ასახავს საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობას შუა საუკუნეებში და, რომ მიმდინარე 2016 წელი არის შოთა რუსთველის საიუბილეო წელი, სავსებით სამართლიანი იქნება, მონოგრაფიების ეს ციკლი წარდგენილი იქნას სახელმწიფო პრემიაზე.

**Nestan Sulava**

*Doctor of Philology, professor*

**Murad Mtvarelidze**

*Doctor of Philology, Professor*

**The Most Important Work About the Holy  
Cross Monastery in Jerusalem  
Summary**

Nestan Sulava, Doctor of Philology, professor and Murad Mtvarelidze, Doctor of Philology in their review give high evaluation to the professor Eldar Mamistvalishvili's work „The Monastery of the Holy Cross in Jerusalem“. The authors of the review expressed their opinion that the mentioned work and the other monographs of E. Mamistvalishvili about Georgia-Jerusalem relations would have been presented at the State Prize of Georgia

## ზურაბ კვეციანიძე

ისტორიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

### მნიშვნელოვანი გამოკვლევები სონი-სამტრედიის ეპარქიის ტერიტორიაზე მღვანე რეპრეზენტაციის მონასტრების შესახებ

ქართველი ერისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ერთმანეთისაგან განუყოფელია. წმ. ილია მართალი აღნიშნავდა: „ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველომ გადავუღდეღეთ მკერდი და ამ მკერდზე როგორც კლდეზე, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი. ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟღიბეთ, თავი გავწირეთ, ცოლშვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვანარმოეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შემოვინახეთ“...



გავწყდით, გავიჟღიბეთ, თავი გავწირეთ, ცოლშვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვანარმოეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შემოვინახეთ“...

საუკუნეთა განმავლობაში ხალხურ ტრადიციებზე დაყრდნობით, ბრწყინვალე განვითარება ჰპოვა ქართულმა ქრისტიანულმა სატაძრო არქიტექტურამ, მონუმენტურმა მხატვრობამ, ლიტურატიურამ და ხელოვნებამ. ამიტომაც ქვეყნის ტერიტორია სავსეა მართმადიდებლური ეკლესიებითა და მონასტრებით, რომელთაგან ბევრი მსოფლიო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშად არის აღიარებული.

საკოველთაოდ ცნობილია ის უდიდესი აღმშენებლობით-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით ეწევა ეკლესიამონასტრების აღდგენა-განახლების, ახლების მშენებლობის, გარდასულ წელთა ამბავთა გამოვლენა-გამომზეურებისათვის.

საქართველოს საპატრიარქოს ზრუნვამ ნათელი მოეფინოს იმ სასულიერო პირთა მოღვაწეობას, რომელთა საქმენი ჯერ კიდევ არ არის ცნობილი მრევლისა და ფართო საზოგადოებრიობისათვის დიდი გამოძახილი ჰყოვა ხონი-სამტრედიის ეპარქიაში. მეუფე საბას (გიგიბერია) ლოცვა-კურთხევით, ახალგაზრდა ბიზნესმენის და ქველმოქმედის სერგო რუხაძის თაოსნობით შეიქმნა საქველმოქმედო ფონდი: „**ივერიელთა ეკლესიის მატრიანე**“, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მეცნიერულად გამოიკვლიოს, შესაბამისად წიგნების სახით გამოსცეს ეპარქიის ტერიტორიაზე მდებარე ჯერ კიდევ შეუსწავლელი ეკლესია-მონასტრებისა და აგრეთვე მათში მსახური სასულიერო პირების მოღვაწეობის ისტორია.

მიმდინარე წელს აღნიშნული ფონდის დახმარებით გამოვიდა სამი მონოგრაფია: **1. ედიშერ გვენეტაძე, სოლომონ ყუბნეიშვილი, „სოფელ მუხაყრუას//მუხალრუას ეკლესიების ისტორიიდან“; 2. ედიშერ გვენეტაძე, გულივერ გაგუა, „გამოჩინებულის წმიდა გიორგის ეკლესია“; 3. ედიშერ გვენეტაძე, „სოფელ დიდი ჯიხაიშის ეკლესიების ისტორიიდან. წმიდა ნაზარი (ლეჟავა).**

წიგნში – **ედიშერ გვენეტაძე, სოლომონ ყუბნეიშვილი, „სოფელ მუხაყრუას//მუხალრუას ეკლესიების ისტორიიდან“** გადმოცემულია ამჟამად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ გომისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი უბნების ეკლესიების ისტორია. ნაშრომში ისტორიის დოქტორის ედიშერ გვენეტაძის მიერ მოძიებული და გამოქვეყნებულია დღემდე უცნობი საარქივო მასალები. მაგალითად ისეთი, როგორიცაა 1800-1810 წლებით დათარიღებული „მუხალრუელების ადგილების განაწილების საბუთი“. მის მიერვე დადგენილია, რომ ამ ეკლესიაში 1878-1882 წლებში მღვდელმსახურებას აღავლენდა სრულიად საქართველოს კატოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის მამა მიხეილ ცინცაძე. აღნიშნულია, რომ ამ სოფლის ერთ-ერთ უბანში წმიდა კვირიკესა და ივლიტას ეკლესიაზედ, მედავითნედ მსახურებდა კალისტრატე ცინცაძის ძმა ამფილოქე ცინცაძე. მოთხრობილია 1885 წელს სოფელ კორმალალში სამრევლო სკოლის გახსნის შესახებ და მითითებულია იმ ღვანლის შესახებ, რომელიც ამ სასწავლების დაარსებაში მიუძღვის სოფლის მკვიდრ მედავითნე მოსე ლაზარეს ძე თევზაძეს, რომელსაც საკუთარი ხარჯები გაუღია აღნიშნული სკოლის ფუნქციონირებისათვის.

ავტორის მიერ დადგენილია სოფელ გომის და მის გარშემო მდებარე ტერიტორიებზე არსებული და შემდეგ კომუნისტური მმართველობის წლებში დანგრეული ეკლესიების აგების თარიღები. ნაშრომში წარმოჩენილია ის ღვანლი, რომელიც გააჩნდა სოფელ კორმალლის წინაშე მღვდელ ტარასი თევზაძეს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიუღია უკრაინაში. სამშობლოში დაბრუნებული მამულიშვილი მთელი ცხოვრების მანძილზე თავდაუზოგავად ემსახურებოდა თანასოფლელთა განათლებისა და მათი სულიერ ამაღლების ღვთიურ საქმეს. ამაგი „ღირსეულად დაუფასეს ბოლშევიკებმა“. მამა ტარასი 20-იან წლებში უღვთოდ იქნა შეურაცხყოფილი „მებრძოლი უღმერთოების“ მიერ. მოძღვარმა ვერ აიტანა ქვეყანაში არსებული უმსგავსოება მიიღო ინსულტი და გარდაიცვალა.

კვლევის შედეგად ავტორის მიერ საბოლოოდ დადგენილია, რომ სოფელი მუხალრუა XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე დაუარსებია ან უკვე წმინდანად შერაცხულ ეფთვიმე გენათელს.

გამოკვლევაში ედიშერ გვენეტაძის მიერ მოძიებული და შეტანილია ცნობილი მეცნიერის სოლომონ ყუბანეიშვილის ნაშრომი: **„ცნობები შუამთის (ვანის რაიონი) ყუბანეიშვილების შესახებ“**, რომელიც ან განსვენებულ პროფესორს დაუსრულებია გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს. იგი დღემდე გამოუქვეყნებელი იყო და მანქანაზე ნაბეჭდის სახით ინახებოდა მეცნიერის ოჯახში. ნაშრომში ბატონი სოლომონი გადმოგვცემს ცნობებს არა მარტო საკუთარი გვარის გენეალოგიის შესახებ, არამედ გვანჯდის დღემდე უცნობ ძვირფას მასალებს სოფელ მუხალრუასა და იქ მდებარე ღვთისმშობლის შობის ეკლესიის ისტორიისა და მასში მოღვაწე მღვდელმსახურ ყუბანეიშვილთა შესახებ.

მე-2 მონოგრაფიაში **„გამოჩინებულის წმიდა გიორგის ეკლესია“** ავტორების ედიშერ გვენეტაძის და გულივერ გაგუას მიერ გამოკვლეული და წარმოჩენილია ეპარქიის ტერიტორიაზე მდებარე XI საუკუნის გამორჩეული საეკლესიო და კულტურული ძეგლის გამოჩინებულის ეკლესიის ისტორია. ნაშრომში დანვრილებითაა საუბარი საჯავახოს მხარის ისტორიის შესახებ, სადაც მდებარეობს ტაძარი. მკვლევარები მოგვითხრობენ თავად ტოპონიმ „საჯავახოს“ წარმომავლობის შესახებ. ფართოდაა აღწერილი ის საბრძოლო პერიპეტიები, რომელიც „სტრატეგიულად უმნიშვნელოვანე-



სი“ საჯავახოსათვის ბრძოლაში მიმდინარეობდა იმერეთის სამეფოს, გურიისა და სამეგრელოს სამთავროებს შორის.

წიგნში ვრცლად არის მიმოხილული ქილაძეთა გვარის ისტორია, რომელნიც ისტორიულად ფლობდნენ აღნიშნულ ტერიტორიას. მოპოვებული და გადმოცემულია მრავალი ძვირფასი მასალა ქილაძეთა საცხოვრისის შესახებ. მაგალითად, ავტორებს მოჰყავთ დ. ბაქრაძის ცნობა იმის შესახებ, რომ მისთვის მოგზაურობის დროს ადგილობრივებს ქვემო ხეთთან ახლოს, სანაბლიოს ქედის ჩრდილო ძირთან ჭყორენჯუისწყალის შენაკადზე, რომელსაც ქილაძის წყალს ეძახდნენ, უჩვენებიათ-„თლილი ქვით ნაგები კვადრატული აუზი, სადაც საჯავახოს ან უკვე გადაგებულ მფლობელთ ქილაძეთა დროს ყოველთვის ჰყავდათ თევზი მათი ოჯახისათვის“.

ედიშერ გვენეტაძე და გულივერ გაგუა სხვადასხვა წყაროსა და სამეცნიერო ნაშრომზე დაყრდნობით აღნიშნავენ, რომ XVIII 80-იან წლებში გამოჩინებულის მონასტერში არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა. რაც გამონეუული იყო იმით, რომ ამ პერიოდში ოსმალთა შემოსევის შედეგად ხინონმინდის ეპარქია გაუქმდა და ეპისკოპოსი საქრისტიანო გურიაში გადმოიხიზნა. სწორედ გამოჩინებულის მონასტერში განაგრძობდა მოღვაწეობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეპისკოპოსი იოანე ხინონმინდელი.

ისტორიულ დოკუმენტზე, სახელდობრ-„შენირულების წიგნი ეფთვიმე გენათელისა გამოჩინებულისადმი“ დაყრდნობით ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ამ ეკლესიაში დიაკვნად მსახურებდა შემდეგში გაენათის მიტროპოლიტი, ან უკვე წმინდანად შერაცხული ეფთვიმე გაენათელი(ექვთიმე შარვაშიძე).

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი წმიდა ფილიმონ მაგლობელის ერისათვის თავდადებულის (ქორიძე) ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ფილიმონ ქორიძე სოფელ გამოჩინებულშია დაბადებული და მისი ნათლობის საიდუმლო ამ სოფლის ტაძარში აღსრულებულა 1835 წლის 12 დეკემბერს. ავტორების მიერ ფილიმონ ქორიძის ოჯახის ისტორიიდან წარმოჩენილია ზოგიერთი ისეთი ფაქტი, რომელიც დღემდე ცნობილი არ იყო(მაგ: ის, რომ წმიდა ფილიმონ მაგლობელს ჰყავდა სამი ძმა, რომელთაგან ერთი ზოსიმე მცირეწლოვანი გარდაცვლილა, ხოლო დანარჩენი ორი ლაზარე და იოსები მღვდელმსახურებას აღასრულებდნენ გამოჩინებულის წმიდა გიორგისა და ნოლის წმიდა გიორგის ეკლესიებზედ).

ე. გვენეტაძეს და გ. გაგუას საარქივო მასალების საფუძველზე მოძიებული და დადგენილი აქვთ, თუ რომელი საეკლესიო მოღვაწე რომელ წელს არის დაკრძალული „გამორჩინებულის ეკლესიის გალავანსა შინა“. ნაშრომს აგრეთვე დართული აქვს დოკუმენტური მასალები გამორჩინებულის წმიდა გიორგის ეკლესია-მონასტრის შესახებ. მკითხველის ინტერესს აღძრავს თხრობა ხინონმინდიდან გადმობრძანებული ღვთისმშობლის ოქროს ხატის შესახებ, რომელიც იშვიათი ხელოვნების ნიმუში. იგი მძარცველებს გაუტაცნიათ 1904 წელს და ასე დაკარგულა მომავალი თაობებისათვის.

პროფესორ ედიშერ გვენეტაძის მესამე წიგნი – „**დიდი ჯიხაიშის ეკლესიების ისტორიიდან. წმიდა ნაზარი (ლეჟავა)**“ მოგვითხრობს ხონი-სამტრედიის ეპარქიის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი ულამაზესი სოფლის, დიდი ჯიხაიშის ეკლესიებისა და ამ სოფელში დაბადებული და გაზრდილის შემდეგში წმინდანად შერაცხული წმიდა ნაზარი(ლეჟავას) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. წიგნში აღნიშნულია, რომ სოფელ დიდი ჯიხაიშის ტერიტორიაზე მდებარეობდა 9 ეკლესია, რომელთაგან 8 ოციან წლებში დაანგრიეს ბოლშევიკებმა. გადარჩა მხოლოდ ერთი დიდი ჯიხაიშის (ყაზბეგის უბნის) მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ეკლესია, რომელშიც ამჟამად წირვა-ლოცვა აღევლინება.

ნაშრომში ფართოდ არის წარმოდგენილი წმიდა ნაზარი(ლეჟავას) ცხოვრება და მოღვაწეობა. დადგენილია წმინდანის დაბადების თარიღი. საარქივო მასალების საფუძველზე ახალი ცნობებია გამოქვეყნებული დიდი საეკლესიო მოღვაწის სახლეულობისა და წინაპრების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მკვლევარი სხვადასხვა წყაროთა შეჯერების საფუძველზე აღნიშნავს ნაზარი (ლეჟავას) და მასთან ერთად ახლმონამეთა დახვრეტის დაზუსტებულ თარიღს 1924 წლის 2 სექტემბერს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამივე წიგნში აღნიშნულია ამ სოფლების ეკლესიებში სასულიერო მსახურთა მოღვაწე მსახურების ქრონოლოგიური ჩარჩოები და შესაძლებლობის ფარგლებში დღემდე უცნობი მათი ბიოგრაფიები.

დასასრულ წიგნებში შეტანილია 20-იანი წლებში ეკლესიებში არსებული განძეულობის შესახებ ჩატარებული აღწერის მასალები. რაც მთავარია მიუფე საბას (გიგობერია) ლოცვა-კურთხევით და საქველმოქმედო ფონდ: „**ივერიელთა ეკლესიის მატჩანეს**“ თანად-

გომით პროფესორი ედიშერ გვენეტაძე აგრძელებს მუშაობას ეპარქიის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრების შესახებ.

ამრიგად, ყოველივე ზემოდ თქმულიდან გამომდინარე აღნიშნული წიგნები ძვირფასი შენაძენია საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლით დაინტერესებული მკვლევარებისა და საზოგადოებრისათვის.

**Zurab Kvetenadze**

*Doctor of History, Georgian Technical University, Professor*

### **Research Khoni-Samtredia Eparchy of Located Territory Churches and Monasteries**

#### **Summary**

The article deals with the churches of Georgia. Namely Khoni-Samtredia diocese in the history of the churches in the villages. The paper discusses three books: 1. Edisher Gvenetadze, Solomon qubneishvili – "mukhaquas // mukhaghruas village church history"; 2. Edisher Gvenetadze, Guliver gagua – "Gamochinebuli St. George Church"; 3. Edisher gvenetadze – "Vilage, to view the history of Didi Jikhaishithe churches. Clear Nazari (Lezhava).

The author notes that Books valuable addition to the history of the researchers and the interested public.



## გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)